საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

კაატა გუგუშვილი

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX – XX საუკუნეებში

მონოგრაფიები

ტომი მეექვსე

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1979

338 (С 41) (09)
338 (47922 + 4792) (09)
ბ 927

წინამდებარე წიგნი გაგრძელებაა ავტორის გამოქვეყნებული (1949—1965) მონოგრაფიების I—V ტომებისა — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს“.

მოცემულ ტომში შევიდა გამოკვლევები: ვაჭრობის განვითარება 1831—1883 წწ.: ვაჭრობის პოლიტიკა. ბაჟის პოლიტიკა. ამიერკავკასიის ტრანზიტი და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. შინაგანი ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობა. ეაჭართა გილდიები. ვაჭართა კლასის ფორმირება. ვაჭრობის (ბაზრის) სოციოლოგიისათვის.

არქივისა და გამოქვეყნებულ პირველწყაროთა საფუძველზე დაწერილი ეს მონოგრაფიები პირველი ცდაა ხსენებული მოვლენები ეაშუქონ ფეოდალიზმის რღვევისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარების ასპექტში. ამასთანავე ქვეყნის ეკონომიკური ევოლუციის რიგი პრობლემა აქ პირველადაა დასმული და მეცნიერულად გაანალიზებული.

ბ $\frac{10801}{М\ 607\ (06) — 79}$ 204—78 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

ვაჭრობის განვითარება 1831—1883 წწ.

I. ვაჭრობის პოლიტიკა

I. თავისუფალი ტრანზიტის შემდეგ

ვაჭრობის პოლიტიკა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაწილია საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკისა, რაც არსებითად ჩაისახა და თავდაპირველ საფეხურებზე ვითარდებოდა უპირატესად როგორც კომერციული პოლიტიკა.

მაგრამ ეს მომენტი ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაში განსაკუთრებით ნათლად და სპეციფიკური ხასიათით გამოსჩვივის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუციის საფეხურებზე და არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების, არამედ აღმოსავლეთისა და, კერძოდ, რუსეთის, როგორც მეტროპოლიის მიერ თავის „განაპირა ქვეყნებში“ ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით შემუშავებული პოლიტიკის თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული გატარებისათვის შექმნილი და ამოძრავებული სახელმწიფოებრივი აპარატის მთელს მოღვაწეობაში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ასპექტში, ამ ქვეყნების რუსეთის იმპერიასთან შეერთების პირველ სამი ათეული წლის შანძილზე ბაკისა და ვაჭრობის პოლიტიკის და თვით ვაჭრობის განვითარების საკითხებს ჩვენ (1934—1938 წწ.) მივუძღვენით ორი მონოგრაფია: 1. ვაჭრობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1821 წწ. და 2. შელავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა ამიერკავკასიაში 1821—1831 წწ. ორივე ეს გამოკვლევა შემდეგ შევიდა მონოგრაფიების I ტომში[1].

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, თბ., 1949, ტ. I, გვ. 3—134 და 135—257.

ვაჭრობის ისტორია საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების, ანუ სახალხომეურნეობრივი ისტორიის ფრიად ფართო და მნიშვნელოვანი საკითხია. იგი მეტ-ნაკლები ზომით ეხება და ასახავს მეურნეობრივი თაოსნობის ყველა დარგს; კიდევ მეტი, იგი ქვეყნის შინაგანი და საგარეო პოლიტიკის, საერთოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული ევოლუციის სადემარკაციო ხაზებზე გადის და, გარკვეული გაგებით, განაპირობებს კიდევაც მათს ხასიათსა და მიმართულებას.

სწორედ ამიტომ ჩვენი მიზანია, შეძლებისამებრ, ფართოდ და საფუძვლიანად წარმოვაჩინოთ ეკონომიკური განვითარების ეს მხარე, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფრიად უმნიშვნელო ზომითაა შესწავლილი. როგორც საერთოდ ვაჭრობის ისტორიაზე, ისე კერძოდ მის ცალკეულ საკითხებზე პირველწყაროების მიხედვით დაწერილი მონოგრაფიული გამოკვლევები არ გაგვაჩნია და ამიტომ ჩვენ გვიხდება ერთსა და იმავე დროს არქეოგრაფიული მუშაობა, წყაროების გამოვლინება, შესწავლა და თავმოყრა და, ამასთანავე, ცალკე პრობლემების მიხედვით მათი მონოგრაფიული გამოკვლევა და განზოგადება, ე. ი. ზოგადი ისტორიული და თეორიული დასკვნების შემუშავება, რამაც, როგორც მკითხველი ხედავს, ფრიად დიდი დრო მოითხოვა, რომ არა ვთქვათ რა წარმოდგენილი მეცნიერული ანალიზის დონეზე, რაც, საბოლოოდ, ცხადია, არა თვით ავტორის, არამედ მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტისა და საერთოდ მკითხველთა მიუდგომელი მსჯელობის საკითხი შეიძლება იყოს.

როგორც დასახელებულ მონოგრაფიებში გვაქვს ნაჩვენები, საქართველოსა და ამიერკავკასიის სამეფოების, სამთავროების, სახანოებისა და საფაშოების რუსეთის იმპერიასთან შეერთება 1801 წლიდან დაწყებული რიგი ათეული წლების მანძილზე, არსებითად თვით 1880-იან წლებამდე გრძელდებოდა, თუმცა, პირთალია, იმპერიამ ე. წ. „კავკასიის ომების“ დასრულება ბევრად ადრე, 1864 წელს, დიდის ზარ-ზეიმით აღნიშნა.

ამ ხნის მანძილზე ჯერ აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგში ე. წ. „საქართველოს გუბერნია“ შეუერთდა რუსეთს, მერმე დასავლეთი და სამხრეთი საქართველოს ნაწილები, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები, ბოლოს ბათუმის ოლქი და ა. შ.

ამის შესაბამისად, და თვით იმპერიის ეკონომიკური განვითარების მიხედვით, ბაჟისა და ვაჭრობის პოლიტიკა აქ ზედიზედ გა-

ნიცდიდა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის ცვლილებას. მაგრამ იგი ყოველთვის მტკიცედ და განუხრელად ემსახურებოდა მეტროპოლიის ინტერესებს, რაც აქ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო-პოლიტიკურ აქციებს, უწინარეს ყოვლისა სწორედ ეაპრობის გზით ქვეყნის ეკონომიკური დაპყრობის პოლიტიკაში ვლინდებოდა და მეურნეობრივ მეწარმეობაში შეღწევისა და გაბატონების მიზნებს ემსახურებოდა, ე. ი. აბორიგენთა კოლონიური ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრის დიდმპყრობელური რეჟიმის სახით ხორციელდებოდა.

ახლა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს რუსეთის იმპერია, მართალია, მრავალეროვან, უძლიერეს და ტერიტორიულადაც უზარმაზარ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მმართველობის აპარატი ე. წ. „განაპირა ქვეყნების", ე. ი. კოლონიების ეკონომიკური ექსპლოატაციის პრობლემაში როგორც პრაქტიკული გამოცდილების, ისე, და მით უფრო, თეორიული ცოდნის მხრივ საკმაოდ ჩამორჩენილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის სახელმწიფოებრივ აპარატში მრავლად იყო გარედან, ე. ი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მოწვეული და შემოღწეული მოხელეები, ჩინოსნები, ეს აპარატი, მთლიანად აღებული, იმდროინდელი ინგლისისა თუ საფრანგეთის ანალოგიურ აპარატებთან შედარებით მეტწილად გაუნათლებელი, ზოგჯერ კიდევ პრიმიტიული და საცოდავი იყო თავისი მოუხეშაობით, ბიუროკრატიულობით, გაუგებლობით.

ამიტომაც მით უფრო ჯაგერნაუტის ბორბლების სახით მიეთრეოდა იგი „განაპირა ქვეყნებში", რაც უფრო უმწეო და ხელაპყრობილი იყო ავტოქტონური მოსახლეობა, რაც უფრო ყრუ და ბნელი იყო იმპერიის უმაღლესი ადმინისტრაციის მიერ აქეთკენ გადმოსროლილი, ცენტრში გამოუსადეგარად, გათახსირებულად და გახრწნილად აღიარებული ჩინოსნების დიდი ნაწილი, რომელიც აქ მარტოოდენ გამდიდრების, მაშასადამე, აბორიგენთა და თვით ხაზინის ძარცვის გზით მოსახვეჭელთა მითვისების მიზნით მოდიოდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ჩინოსნები აბორიგენთა შორის ადვილად პოულობდნენ ამყოლ ელემენტებს, რათა ორივე მხარეს რაც შეიძლება ბლომად აეღო და წაეღო იმ უშუალომწარმოებელთა ნაამაგარი, რომელსაც არსებითად ხელი და ხმა არ მიუწვდებოდა ახალი მთავრობის არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ინსტანციებისადმი...

მაინც, როგორც იტყვიან, ცხოვრება წინ მიდიოდა. ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა, მაღლდებოდა თვით მეტროპოლიის ეკონომიკური და კულტურული დონე, ყალიბდებოდა კოლონიური სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელთა შორის, ცხადია, მცირე ზომით, მაგრამ მაინც თითქმის ყოველთვის ერია განათლებული და ჰუმანური რუსი ინტელიგენცია; ვითარდებოდა კერძოდ ბაკისა და ვაჭრობის პოლიტიკა, რისი საბოლოო მიზანი უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის ორბიტაში ამიერკავკასიის ჩათრევა და ნიველირება.

ყოველივე ეს ნათლად ჩანს იმ მასალებიდან და მსჯელობიდან რაც ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

2. ამკრძალავი ტარიფის პოლიტიკა

შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის შემდეგ 1831.6.3 მიღებულმა კანონმა ამიერკავკასიაზედაც გაავრცელა ე. წ. „ევროპული საბაჟო ტარიფი“, რაც ფრიად აბრკოლებდა აქ კომერციული თაოსნობის შემდგომ განვითარებას და რამაც საყოველთაო აღიარებით „ძირშივე ჩაჰკლა ალორძინების გზაზე შემდგარი ევროპული ყაიდის მესარეწეობა“.

მერმე მთელი რიგი მოხსენებებისა და საჩივრების სახით ხშირად ისმებოდა საკითხი ამ ე. წ. „ამკრძალავი საბაჟო ტარიფის“ შეცვლის თაობაზე[2]. 1836.6.4. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ 1831.6.3 კანონის მოქმედებამ დაამტკიცა, რომ „აუცილებელია ზოგიერთი ცვლილება და დამატება“ და, ბოლოს, გამოქვეყნდა ახალი წესები, რაც რამდენადმე არბილებდა არსებულ საბაჟო ვითარებას[3].

მაგრამ ყოველივე ასეთი პალიატიური ღონისძიება საქმეს ვეღარ შველოდა და სასურველი შედეგების მიღწევას სულ უფრო აგვიანდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ევოლუციის პირველ ათეულ წლებში კავკასიისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის ეკონომიკური დაპყრობისაკენ მიმართული რიგი ოფიციალური ღონისძიება ფიასკოს განიცდის, მაინც ამ მხრივ ყველაზე მთავარ მომენტებად რჩება იმთავითვე დასახული:

---

[2] II ПСЗРИ, т. XI, СПб, 1837, отд. I, № 8739, с. 1.

[3] იქვე, № 9250, გვ. 648—651.

I. ამიერკავკასიის ბაზრებზე რუსეთის ფაბრიკებისა და მანუფაქტურების ნაწარმთა რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა;

II. ადგილობრივი ნედლეულის, თუ ნახევარფაბრიკატის შიგა რუსეთის ფაბრიკებისათვის მიწოდების ორგანიზაცია;

III. იყო ამასთანავე მესამე, ოღონდ არაოფიციალური მიზანი — მეტროპოლიიდან სამუშაოდ აქ წამოსულთა გამდიდრება, რაც კორუპციის, მექრთამეობის, სახელმწიფო შემოსავალთა მითვისებისა და აბორიგენთა კერძო თუ კორპორაციული ქონების პირდაპირი და აშკარა ძარცვის გზით ხორციელდებოდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ყველა შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებად იყო მიჩნეული ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრის, მწარმოებლურ ძალთა შესწავლა. ცარიზმის ხელისუფლება დაბეჯითებით მოუწოდებდა რუს თუ უცხოელ სპეციალისტებს, რათა ხელი მოეკიდათ ამ საქმისათვის, დახმარებოდნენ მთავრობას „თავის კეთილშობილურ განზრახვაში — შეეტანოს კულტურა კავკასიის ხალხებში“, აამოძრაოს აქ „მთვლემარე ბუნებრივი მწარმოებლური ძალები და ჩაითრიოს ის მსოფლიო ცივილიზაციის ორბიტაში“.

როგორც გინდ თვალთმაქცური არ ყოფილიყო ეს მისწრაფება, მას ობიექტურად მოჰქონდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც სასარგებლო იყო როგორც მეტროპოლიის, ისე, რამდენადმე მაინც, კოლონიის აბორიგენი მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისითაც.

1830-იან წლებში ამ მიმართულებით, ასე ვთქვათ თეორიულ ასპექტში, განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ჟურნალი «Сын отечества», რომელიც პეტერბურგში გამოიცემოდა და იმ დროს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ პერიოდულ ორგანოდ ითვლებოდა, 1834 წ. ბეჭდავს პ. ვიშესლავცოვის ვრცელ სტატიას—«Взгляд на Закавказ в хозяйственном и торговом отношениях его к России».

პ. ვიშესლავცოვი წერს: „რომ გასაგები იყოს ყველა ხელსაყრელობა, რაც გააჩნია ქვეყანას, რომელიც ფლობს კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებს, აუცილებელია თავი მოეყაროს სწორ და დადებით ცნობებს იმ მხარის ადგილმდებარეობის, კლიმატის, ნიადაგისა და მის მცენარეულობათა შესახებ. ამიტომაც ფინანსთა სამინისტრო, რათა მასზე დამოკიდებული ნაწილები აწყობილი იყოს, შეუდგა ამ თვალსაზრისით ამიერკავკასიის კამერალურ, საკუთრად ფინანსურ და სტატისტიკურ აღწერას“[4].

[4] Журн. «Сын отечества », 1834, СПб., т. XLIV, № 27, с. 25.

როგორც ყველა სხვა ამ მიმართულებით განხორციელებული, იქე საკუთრად ეს კამერალური აღწერაც, ცხადია, კოლონიზაციურ მიზნებს ემსახურებოდა[5]. ეს ნათლად ჩანს თვით პ. ვიშესლავცოვის სტატიიდანაც: „რუსული კოლონიზაცია ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს სწრაფ გარდაქმნას მხარისა, რომელსაც ახასიათებს მშვენიერი კლიმატი, მდიდარი ნიადაგიანი მიწა, მისი მცენარეულობა და ყოველგვარი სიკეთე და სიმდიდრე დიდებული მომხიბლავი ბუნებისა. ჩვენი კაპიტალისტების შრომის ჯილდო გადააჭარბებს მათს მისწრაფებას და ამიერკავკასია მოკლე დროში ჩვენს სამშობლოს მიაწვდის მისი მოთხოვნილებისათვის სრულიად საკმარისი რაოდენობით — აბრეშუმს, ბამბას, საღებავებს, ზეთებს, ღვინოს და ყველაფერს, რისთვისაც უცხოელები ჩვენგან ყოველწლიურად ღებულობენ მილიონობით მანეთებს“[6].

ჟურნალი „ბიბლიოტეკა ლია ჩტენია“ 1848 წ. აქვეყნებს გ. ნ-ს სტატიას ამიერკავკასიის ვაჭრობის შესახებ. იხილავს რა 1831 წლის მერმინდელ პერიოდში აქ ვაჭრობის განვითარების საკითხს, რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა მისწრაფების გამომხატველი ავტორი წერს: „ვაჭრობის ასეთი მსვლელობა არაა სასარგებლო რუსეთისა და თვით ამიერკავკასიისათვის. აქ მცირეა რუსულ ნაკეთობათა რეალიზაცია და ამასთანავე იზრდება შიგა რუსეთის ფაბრიკებში მოთხოვნა ამიერკავკასიის აბრეშუმზე, რისთვისაც ჩვენმა ვაჭრებმა ამ ნაწარმოებისათვის დამატებით უნდა იხადონ ჩხრიალა მონეტები, რაც სომხებს გააქვთ საზღვარგარეთ უცხოური საქონლის სასყიდლად. ამიერკავკასია, ღებულობს რა ამ გზით ევროპულ საქონელს, მათი გაძლიერებული შემოტანით არავითარ სარგებლობას არ ღებულობს თავისი მრეწველობის თვალსაზრისით: მისი პროდუქტები არ სჭირდებოდა ევროპას და როგორც წინათ, იყიდებოდა მხოლოდ რუსეთში. ამგვარად, ამიერკავკასიასა და ევროპას შორის ვაჭრობა არ იყო სასარგებლო არც რუსეთისა და არც ამიერკავკასიისათვის სწორედ ისევე, როგორც ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის ვაჭრობა არ იყო ორივე მხარისათვის სასარგებლო. აქ, ერთი მხრით, მოგებას ღებულობდნენ ლაიპციგის იარმარკეტებზე მოვაჭრე სომხები და უცხოელი ვაჭრები და ფაბრიკანტები, რომლებიც სარგებლობდნენ ამ ახალ ბაზარზე თავიანთი საქონლის რეალიზაციით;

---

[5] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, თბილისი, ტ. I, 1949, გვ. 669—684.

[6] Журн. «Сын отечества», 1834, т. XLIV, № 27, с. 50—51.

ხოლო, მეორე მხრით, ეცემოდა ამიერკავკასიაში რუსულ ნაკეთობათა მოხმარება და თვით ადგილობრივ შინაგან მესარეწეობას აბრკოლებდა აქაურ პროდუქტთა არახელსაყრელი რეალიზაცია რუსეთში, სადაც სომხები ამ საქონელს ყიდდნენ დაბალ ფასებში, ოღონდ ნაღდ ფულზე, იმისათვის, რათა ამონაგებით შეეძინათ უცხოური საქონელი"[7].

ამ ასპექტში უფრო მნიშვნელოვანი იყო პუბლიკაცია, რასაც ახლა განვიხილავთ.

კარგა ხნის განმავლობაში და სპეციალურად კიდევ იმპერატორის განკარგულებით 1823-1835 წწ. წარმოებული დაკვირვებებისა და სხვა სათანადო მასალების თავმოყრის შემდეგ, 1836 წ. პეტერბურგში გამოქვეყნდა ოთხტომიანი წიგნი — «Обозрение Российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях» (— ОРВЗ).

ამ გამოცემის დანიშნულება იყო, ერთი მხრით, ხელი შეეწყო უწინარეს რუსეთში და აგრეთვე უცხოეთშიაც ისეთი ინფორმაციის მოწოდებისათვის, რომლებიც დაეხმარებოდნენ მეტროპოლიის მთავრობას ამიერკავკასიის როგორც კოლონიის სწრაფი ათვისების საქმეში, ხოლო მეორე მხრით, საიმედო სახელმძღვანელო ცნობები მიეცა ამიერკავკასიის ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეებისათვის ამ მხარის ბუნებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ამ თხზულების პირველი ტომის შესავალში, რომელიც ლიოგკობიტოვის კალამს ეკუთვნის[8], ნათქვამია: „ძნელია აიხსნას... ფაქტი ამიერკავკასიის ნაკლებად შესწავლილობისა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა სარგებლობენ მეცნიერებათა ტიტულის პატივით, თვით per eminetiam-ითაც კი; როდესაც ჩვენი საუკუნის უაღრესად განათლებული ხალხები... იმდენად არიან გატაცებული ამ მეცნიერებებით, რომ ოცნებათა საწყისებზე აშენებენ ისეთ სისტემებს, რომლებიც მათი აკადემიური ტერმინებით მხოლოდ აძნელებენ მარტივ საწყისთა (მოვლენათა) არსობას; როდესაც ჩვენი მზრუნველი, განათლებული მთავრობა, მამობრივი წინდახედულობით ეწევა მის ქვეშევრდომ ხალხთა სვებედის

[7] Г. Н., Закавказская торговля (журн. «Библиотека для чтения», 1848, т. LXXXVI, с. 8—9).

[8] თვით წიგნში არსად არაა მოხსენიებული ავტორთა (შემდგენელთა) ვინაობა (რომელთა შორის მთავარი წვლილი სწორედ ლიოგკობიტოვისაა), რაც უცნობი იყო თვით საქართველოს იმ დროინდელი მთავარმართებლის ბარონ გ. როზენისათვის (ЛОЦИА, ф. КК, 1838 г., д. № 67, л. 4).

მოწესრიგებას, იძლევა ყოველსავე საშუალებას ქალაქებისა და პროვინციების სტატისტიკის შედგენისათვის"[9].

ОРВЗ-ის გამოსვლამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ოთხტომიანი თხზულების ლიტერატურული ღირსებისა და ფაქტოლოგიური აუთენტურობის შეფასებაში ერთი აზრისა არ იყო თვით ცარიზმის ბიუროკრატიაც კი.

საქართველოს მთავარმართებელი როზენი I იმპერიის ფინანსთა ჰინისტრისადმი 1837 წ. 12.16 გაგზავნილ ვრცელ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ ეს თხზულება მოითხოვს ფრიად დაკვირვებულ განხილვას, რამდენადაც ცნობები, რაც საფუძვლად დადებია მის შედგენას, „შეიცავენ მნიშვნელოვან შეცდომებს"[10].

გენ.-ად. როზენმა ეს წიგნები განსახილველად გადასცა იმ დროს ამიერკავკასიის საკითხების ცნობილ სპეციალისტს ი. შოპენს, რომელიც წიგნების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისინი შეიცავდნენ ფრიად სერიოზულ დეფექტებს.

თავის მხრივ გენ.-ად. როზენი ფინანსთა მინისტრს ატყობინებდა, რომ ამ თხზულების პირველი ნაწილი, ისტორიული და არქეოლოგიური მიმოხილვა „ყველაზე სუსტია და, ცხადია, რომ შემდგენელს მხედველობაში არ მიუღია ნამდვილი წყაროები, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანი შეეხოს კლასიკური კავკასიის სიძველეებს; ანაქრონიზმები, მოვლენათა და ხალხთა აღრევა და ამის მსგავსი შეცდომები თითქმის ყოველ გვერდზე მოიპოვება". გრ. როზენი შიშობს, უცხოელები, თუ ხელს მოჰკიდებენ «Обозрение»-ს თარგმნას, ესოდენ უხეში შეცდომები, რაც მოიპოვება მთავრობის ბრძანებით დაბეჭდილ ამ წიგნში „მათ საბაბს მისცემს იფიქრონ, რომ ჩვენ არა გვაქვს სრული ცნობები კავკასიის სიძველეთა შესახებ".

შეცდომები უხვად მოიპოვება «Обозрение»-ს მეორე ნაწილშიც, „რაც შეიცავს თანამედროვე ამიერკავკასიის შესახებ სტატისტიკურ და ფინანსურ ცნობებს; მაგრამ რამდენადაც ეს ცნობები თითქმის ყოველდღიურად იცვლებიან, რასაკვირველია მათი მკაცრი განხილვა საჭირო არაა და არც შეიძლება ისინი ნამდვილ შეცდომებად მივიჩნიოთ... მაგრამ მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია თქვენი ბრწყინვალების ყურადღება მივაქციო ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვან გარემოებას, სახელდობრ, თვალსაზრისს, თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ, ჩემის აზრით, რუსეთის ამიერკავკასიას"[11]:

---

[9] ОРВЗ, ч. I, с. II—III.

[10] ЛОЦИА, ф. КК, 1838, д. № 67, л. 2.

[11] იქვე, ფურც. 3.

საქმე ისაა, რომ ОРВЗ-ის საერთო შესავალში, „შემდგენელი ცდილობს მთელი ამიერკავკასია წარმოადგინოს, უდავოდ, როგორც უზარმაზარი კოლონია რუსეთისათვის, და მიიღო რა საფუძვლად ეს აზრი, მასზე აშენებს თავის მცდარ გაანგარიშებებს. მაგალითად, აიღო რა სალიანის კუნძული, რომელსაც, ფრიად მცდარი აზრით, თითქოს ყოველწლიურად შეუძლია მიაწოდოს 5 მლნ ვერცხ. მან. კოლონიური ნაწარმები, მას გამოჰყავს დასკვნა, რომ ამ ანგარიშით, ჩვენი ამიერკავკასიის პროვინციები ერთობლივად შესძლებენ მოამარაგონ რუსეთი ყოველგვარი ნაწარმებით, რომლებსაც იგი ღებულობს ორსავე ინდოეთიდან“[12].

ამ განცხადების ავტორი, არ იფიქროთ, რომ ყოველსავე ამას ამბობდეს ამიერკავკასიელ ხალხთა ინტერესების დაცვისათვის. რა თქმა უნდა არა. და ეს ნათლად ჩანს მომდევნო აბზაციდან მისი ბარათისა, სადაც ვკითხულობთ: „მე სავსებით თანახმა ვარ, რომ ამიერკავკასიას შეიძლება ვუყურებდეთ და უნდა ვუყუროთ კიდეკაც, როგორც მხარეს რუსული დასახლებისათვის საკუთრად იმ აზრით, რომ დროთა ვითარებაში ის გადაიქცეს სავსებით რუსულ მხარედ, და რომ ამიერკავკასიის მკვიდრნი, შეისწავლიან რა ჩვენს ენას, დაგვინათესავდენ ჩვენ და დაივიწყონ, რომ ჩვენ ვართ მათი დამპყრობლები; ხოლო რაც შეეხება შემდგენელის მისწრაფებას, დაგვარწმუნოს, რომ ამ მხარეს უნდა განვიხილავდეთ არა სხვა რიგად, თუ არა როგორც კოლონიას, მსგავსად ევროპელთა სხვა კოლონიებისა, ამ მხრივ მას შეიძლება დავეთანხმოთ არა სხვა რიგად, თუ არა დიდი კრიტიკული მიდგომით, რაც ამსხვრევს ამ თეალსაზრისის მთელ მნიშვნელობას: საერთოდ რომ ამიერკავკასიის მხარე თავის უმნიშვნელო სივრცეში თითქოს შეიცავს დედამიწის თითქმის ყველა კლიმატს, დაწყებული ჩრდილოეთის პოლუსიდან — ეკვატორამდე“[13].

სწორედ ამ უკანასკნელის ნათელსაყოფად გრ. როზენმა ი. შოპენს დაავალა შედგენა ამიერკავკასიის კლიმატური რუკისა, რომელსაც გარკვეულობა უნდა შეეტანა შესაბამისი საკითხის გადაჭრაში.

როზენს ОРВЗ-ის წინააღმდეგ მოჰყავს სხვა მოსაზრებაც. იგი პირდაპირ წერს: „ამას გარდა მრავალმა აქაურმა მცხოვრებმა ირანთან მეზობლობისა და ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის მეოხებით ფრიად კარგად იცის იმ მხარეში ინგლისელთა მოქმედება და

---

[12] ЛОЦИА, ф. КК, 1838, № 67, л. 4.

[13] იქვე, ფურც. 4.

იმ აზრს, რომ მთავრობა ამიერკავკასიას უყურებს როგორც თავის მომავალ კოლონიას საკუთრად იმისათვის, რათა მსგავსად ინგლისელებისა მიიღოს სარგებლობა მისი ნიადაგისაგან, რაც ხელსაყრელია კოლონიური მეურნეობისათვის, მე ვფიქრობ მათ რუსეთისადმი მით უფრო გულგრილს გახდის, რომ ტროპიკულ ზონაში უკვე ეგრძნობა ვარგისი მიწების არასაკმარისობა".

ამგვარად, ლიოგკობიტოვის მიერ შედგენილი და იმპერატორის ბრძანებით გამოცემული წიგნის მიზანდასახულობის წინააღმდეგ გენ. როზენი იმიტომ კი არ გამოდის, რათა ამიერკავკასიაში დაიცვას ავტოქტონური ხალხების ინტერესები და არც იმიტომ რომ თითქოს არ ეთანხმებოდეს იმ აზრს, რომ ამიერკავკასია უნდა წარმოადგენდეს რუსეთის კოლონიას, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ამიერკავკასიას ოფიციალურ ურთიერთობასა და დოკუმენტებში რომ აშკარად და საჯაროდ რუსეთის კოლონია უწოდონ, ეს გარემოება რუსეთისადმი გამოიწვევს გულგრილობას ადგილობრივი მოსახლეობისა, რომელიც, ამ გარუსებული გენერლის აზრით, რაც შეიძლება მალე უნდა იქნას გარუსებული, ოღონდ ის კია, რომ რუსიფიკატორული ღონისძიებები უფრო შენიღბული პოლიტიკის მეოხებით უნდა ტარდებოდეს.

და თავისი გრძელი მიმართვის დასკვნას იგი ამთავრებს სიტყვებით: „ვიმეორებ, რომ შეხედულება ამიერკავკასიაზე, როგორც ინდოეთსა ანუ ამერიკაზე გადაჰარბებას შეიცავს"[14].

როზენი არ კმაყოფილდება იმპერიის ფინანსთა მინისტრისადმი ხსენებული ბარათის გაგზავნით და თავისი განათლებულობის მარგალიტებს აცნობს აგრეთვე გენ-ად. გრაფ ალექსანდრე ჩერნიშევს (სამხედრო მინისტრს), რომელსაც თანაც ატყობინებს, რომ იმხანად შედგენილი ამიერკავკასიის კლიმატური რუკა მან დიდის პომპით წარუდგინა ამიერკავკასიაში მყოფ იმპერატორს და ახლა კიდევ ა. ჩერნიშევს სთხოვს პეტერბურგშიც გახადოს ის იმპერატორის „კეთილგანზრახული განხილვის საგანი".

გრიგოლ როზენი ამასთანავე გრაფ. ა. ჩერნიშევსაც სწერს, რომ ეს რუკა საკმაო დამაჯერებლად უჩვენებს, რომ „ამიერკავკასია საერთოდ არ შეიძლება განვიხილოთ როგორც რუსეთის „უზარმაზარი კოლონია", მსგავსად ევროპის კოლონიებისა ინდოეთსა და ამერიკაში.

ბარონმა როზენმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ იმპერი-

---

[14] ЛОЦИА, ф. КК, дело № 67, 1838, л. 5—7

ის დიდ მოხელეთა შორის უკვე საკმაოდ განმტკიცებულია ფინანსთა მინისტრის გრაფ კანკრინის მიერ შემუშავებული შეხედულება, რომ ამიერკავკასიას უნდა უყურებდნენ როგორც რუსეთის კოლონიას, რომელმაც მეტროპოლია უნდა მოამარაგოს სამხრეთის ქვეყნების დამახასიათებელი მცენარეული და სხვა ნედლეულით. სწორედ ამიტომ, როზენი 1837 წ. დეკემბერს გენ-ად. ჩერნიშევს უგზავნის ამ საკითხზე ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილი თავისი მიმართვის ასლს, სადაც ამ მხრივ „ამიერკავკასიის მრავალ ახალ აღწერებში გატარებული აზრების საწინააღმდეგო მისი მოსაზრებებია გადმოცემული"[15].

1844 წ. შედგენილ ამიერკავკასიასთან რუსეთის ვაჭრობის მიმოხილვაში გაგემეისტერი წერდა, რომ „ახლანდელი სახე ამ ვაჭრობისა განისაზღვრა იმ ორი ღონისძიებით, რაც მთავრობამ გაატარა 1828 და 1831 წლებში". ეს იყო: 1. თურქმენჩაის ტრაქტატით (1828) დადგენილი „სამუდამო" წესი, რომ ამიერკავკასიაში ყოველგვარ შემოზიდულ ირანულ საქონელზე დაიდებოდა მხოლოდ ხუთპროცენტიანი საბაჟო საფასური და 2. 1831 წლიდან შავი ზღვის პორტებზე ფოთიდან (და თვით შეკვეთილიდანაც — წმ. ნიკოლოზის საყარაულო) ანაპამდე რუსეთის ე. წ. ევროპული, უაღრესად პროტექციონისტული, არსებითად ამკრძალავი, საბაჟო ტარიფის გავრცელება.

მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარებისას, კოლეესკი სეკრეტარის გაგემეისტერის აზრით, დაივიწყეს, რომ ირანთან ხშირ კავშირურთიერთობას არ შეეძლო ამიერკავკასიელ ხალხთათვის მოეტანა რაიმე სარგებლობა, რამდენადაც „ირანს არ სჭირდება არც ერთი ნაწარმოები რუსეთის ოლქებისა" და ამიტომ ნაცვლად იმისა რომ დაეწინაურებინა ისინი განათლების გზაზე, უწინარეს მიაჯაჭვავს მათ ძველ ჩვეულებებსა და უყაირათობას. ამგვარად „საკუთრად ამიერკავკასიის სარგებლიანობის თვალსაზრისით ორივე ხსენებული ღონისძიება საზიანო იყო როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ასპექტში. ხოლო რაც შეეხება ცარიზმის თვალსაზრისს, რაც გულისხმობდა საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას და იქ თავის ნაწარმოებთათვის ახალი ბაზრების გახსნას, ამ მხრივ თხუთმეტწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არც ერთი და არც მეორე მიზანი არ იქნა მიღწეული"[16].

---

[15] ЛОЦИА, ф КК, дело № 67, 1838, л. 1.

[16] Акты собр. Кавк. археограф. комис. (—АСКАК), т. IX, с. 662.

არ იქნა მიღწეული, რადგან ადგილობრივი „მცხოვრებნი თავის თავს გრძნობდნენ დაჩაგრულად, რადგან მათთან უშვებდნენ მხოლოდ ცუდ ანდა ძვირ საქონელს, — ყველაზე გრძელი და არაბუნებრივი გზებით, ხოლო საკუთრივ მათი ნაწარმოებთაგან, გარდა ქურქისა, აბრეშუმისა და ენდროსი, რუსეთსა და უცხოეთში არც ერთი არ ჰპოებდა გასაღებას. რუსეთის ფაბრიკების ბამბაქსოვილი ნაწარმოები, რაც ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგანს შეადგენდა და მნიშვნელოვანი რაოდენობით იგზავნებოდა საქართველოსა და ირანში, ჰკარგავენ ბაზარს (მოთხოვნას) უწინარეს ირანისა, ხოლო შემდეგ რუსეთის სამფლობელოებში, მას მერმე, რაც საქართველოზე ტრანზიტი დაიხურა და ევროპელმა ვაჭრებმა თავიანთთვის ირანისაკენ ახალი გზა გააბეს ტრაპიზონის მეშვეობით“.

ამ უკანასკნელი ფაქტის საილუსტრაციოდ მოყვანილ მასალათა შორის აღსანიშნავია, რომ ინგლისურმა მიტკალმა და ჩითმა არა მხოლოდ განდევნა ირანიდან ანალოგიური რუსული ნაწარმი, არამედ ნაწილობრივ შეცვალა ადგილობრივი ნაკეთობაც, რაც ამიერიდან გაძლიერებით შემოდის ამიერკავკასიაში, ე. ი. რუსეთის სამფლობელოში. მაგალითად, ირანიდან რუსეთში შემოზიდული ბამბაქსოვილი საქონლის ღირებულება უდრიდა: 1824 წელს 2 170 000 ვერცხ. მან., ხოლო 1842 წელს კი 7 000 000, ე. ი. ნაცვლად იმისა, რომ რუსეთს გაეძლიერებინა თავისი ტექსტილური ნაწარმით ირანის ბაზრების მომარაგება, მოხდა პირიქით, — გაძლიერდა ირანული საქონლის რუსეთის შინაგან ბაზრებში რეალიზაცია[17].

საერთოდ ამიერკავკასიის „აზიური ვაჭრობის“ საკითხი თითქმის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წრეებში. საქმე ისაა, რომ ეს ვაჭრობა ერთ-ერთი დიდი ფაქტორი იყო საერთოდ რუსეთის აღმოსავლური ვაჭრობისა და პოლიტიკის სფეროში.

1836 წელს გენ.-ად. როზენი იმპერიის ფინანსთა მინისტრს ატყობინებდა, რომ რუსულ ნაწარმთა საზღვარგარეთ, ე. ი. თურქეთისა და ირანის სამფლობელოებში გასაღება: ახალციხის, ლენქორანისა და რეშტის, ანუ ენზელის მეშვეობით საკუსებით თავისუფალია და ამიერკავკასიის საზღვრებში არ იხდის არავითარ რახტარებსა და საფასურებს (ბაჟებს); რომ ამ მიმართებით მიმდინარეობს გზების გაუმჯობესება, რაც ამჟამად ბევრად უკეთესია

---

[17] АСКАК, IX, с. 662—3.

ვინემ წინათ და, რომ, ამასთანავე, ყველა აქაურ დიდ გზაზე უზრუნველყოფილია მიმოსვლის სრული უშიშროება[18].

მართალია, რუსეთის კომერციული თაოსნობა, როგორც ვნახეთ, ფიქრობდა, რომ ამიერკავკასიის გზით ირან-თურქეთთან ვაჭრობის განვითარება ხელს შეუწყობდა ახლოაღმოსავლეთის ბაზრებზე რუსული ტექსტილური და საერთოდ მრეწველობის საქონლის გასაღების გაფართოებას და იქიდან გამოდევნიდა ინგლისურ ვაჭრობას, მაგრამ ამ კონკურენციამ ამ მხრივაც საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა. ინგლისური კომერცია ფრიად მობილური და მოხერხებული იყო. 1839 წლიდან, მაგალითად, ინგლისური ნართი იგზავნებოდა ირანში, სადაც ხდებოდა მისი გადამუშავება ადგილობრივი მოსახლეობის გემოვნების შესაბამისად. თეთრ ინგლისურ მიტკალს ირანელები და თურქები სხვადასხვაფრად ღებავდნენ და ჰყიდდნენ როგორც ნუშურს (ხატაურს), ხოლო ინგლისური ბამბის ნართს ამ ქვეყნებში იყენებდნენ როგორც ლარულს (საქსველი) ნახევრად აბოეშომის ფართლეულისათვის.

შემდეგ ისეც ხდებოდა, რომ ასეთი ნახევრად ევროპული საქონელი შემოდიოდა ამიერკავკასიაში, როგორც „ნამდვილად ირანული". — როგორც ვიცით, 1828 წლის ბრძანებულებით, ამიერკავკასიაში შემოსატან ირანულ საქონელზე იღებდნენ მხოლოდ 5 % საბაჟო საფასურს. ასეთ პირობებში, ეს, „ნამდვილად ირანული" საქონელი, „რაც უფრო იაფი და უკეთესი იყო რუსულ ბამბაქსოვილზე", მით უფრო ადვილად იკავებდა ამიერკავკასიაში მის ადგილს; ამიტომაც გასაგებია, რომ რუსული ბამბაქსოვილი „ამჟამად იმ მხარეში (ამიერკავკასიაში — პ. გ.) ფრიად ცოტა საღდება"[19].

3. ვაჭროგის აღორძინებისათვის

1844 წ. ივლის-აგვისტოში გაგემეისტერმა ამიერკავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას (გენ.-ლეიტ. ნეიდგარდტს) გადასცა მის

[18] АСКАК, VIII, № 101, с. 184.

[19] А. С. Сумбат-заде, Прогрессивные экономические последствия присоединения Азербайджана к России (Присоединение Азербайджана к России..., Сб. ст.), Баку, 1959; М. Адонц, Экон. развитие Вост. Армении в XIX в., Ереван, 1957; А. Аминов, А. Бабаходжаев, Экон. и полит. последствия присоединения Средней Азии к России, Ташкент, 1966; М. Рожкова, Экон. политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века..., М.-Л., 1949

მიერ ფინანსთა მინისტრის დავალებით შედგენილი: „ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვის ბარათები“: 1. ვაჭრობის; 2. კასპიის ზღვაზე თევზის ჭერის; 3. ბუნებრივი წარმოების, ე. ი. სოფლის მეურნეობის; 4. საბაჟო-საკარანტინო დაწესებულებათა; 5. მრეწველობის, ე. ი. საოჯახო მრეწველობის, ხელოსნობის, შინამრეწველობისა და ფაბრიკულ-ქარხნული წარმოებისა და 6. სახალხო სიმდიდრის ძირითადი საწყისების შესახებ[20].

საკითხის ისტორიისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ 1843 წ. 23 ნოემბერს ამიერკავკასიის მთავარმართებელს გენ. ნეიდგარდტს, საიდუმლო მიმართვაში, კანკრინი სწერდა, რომ „ამიერკავკასიაში ჩვენი ვაჭრობის შესამჩნევი დაცემის გამო“ იმპერატორთან შეთანხმებით ადგილზე საკითხის შესწავლის მიზნით იგზავნება ფინანსთა სამინისტროს ბერლინელი აგენტი გაგემეისტერი[21]. ადგილობრივ ადმინისტრაციას ევალებოდა განსაკუთრებული მფარველობა გაეწია ხსენებული აგენტისათვის, რადგან ერთ-ერთი მიზანი ამ მივლინებისა ისაა, რომ ადგილობრივ მთავარმართებლობას მისცეს საგანგებო და უახლესი საშუალება (ინფორმაცია — პ. გ.) ამ საქმის უკეთესად მოწყობისათვის“. გაგემეისტერის მიერ წარდგენილ ნასალათა და მოსაზრებათა საფუძველზე თავისი დასკვნა ფინანსთა მინისტრისათვის უნდა წარედგინა გენ. ნეიდგარდტს.

თვით იმპერატორისათვის 1843 წ. 19 ნოემბერს წარდგენილ მოხსენებაში კანკრინი სხვათა შორის წერდა: „ჩვენი ვაჭრობა ამიერკავკასიაში არათუ სასურველ წარმატებას ვერ აღწევს, არამედ მცირდება კიდევაც, რის გამოც... მოსკოველი ფაბრიკანტებიც ჩივიან“. ამის მიზეზი სხვადასხვანაირია: აზიურის სახით ინგლისური საქონლის შემოტანა, სპარსული საქონლის სიიაფე, ხალხის ჩვეულება, სხვადასხვა ადგილობრივი გარემოება და, ნაწილობრივ, არასაკმარისი გულმოდგინება ჩვენი ვაჭრებისა და ფაბრიკანტების მხრივ“. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიიდან ჩვენი მონეტები დიდი რაოდენობით გადის საზღვარგარეთ, თურქეთში, სადაც (კონსტანტინოპოლში) წარმოებს მათი გადადნობა დაბალი ღირსების თურქულ მონეტებად და სხვ[22].

---

[20] საქ. სსრ ცსს, ფ. 30, კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საქმე № 17214. 1843—1845; ანალოგიური მასალა ინახება ლენინგრადის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის კავკასიის კომიტეტის ფონდშიც.

[21] იქვე, ფ. 30, საქმე № 17214, ფურც. 1.

[22] იქვე, ფურც. 16—20.

მიცემული ინსტრუქციით გაგემეისტერს ისიც ეკისრებოდა, რათა დაესახა ღონისძიება, თუ რა საშუალებებით შეიძლებოდა რუსული საქონლის გასაღების გაძლიერება, რუსი ფაბრიკანტებისა და ვაჭრების დაახლოება ამიერკავკასიასთან; — რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა რუსული საქონელი „უფრო შეეხამებოდეს აზიურ გემოვნებას". — როგორ უნდა დამყარდეს უახლესი კავშირი მოსკოვსა და თბილისს და სხვა იქაურ სავაჭრო პუნქტებს შორის; — ბოლოს, შეიძლება თუ არა აიკრძალოს რუსული მონეტების გატანა აზიური საზღვრებიდან...

ამიერკავკასიის „ერთობლივი მიმოხილვისათვის" ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაგემეისტერთან ერთად მიავლინა ნადეორნი სოვეტნიკი დიუკრუასი. მათ 1848 წ. თებერვალ-ივლისში მოიარეს: თბილისი, თელავი, ნუხა, ყუბა, დერბენტი, შემახია, ბაქო, სალიანი, ლენქორანი, ალექსანდროპოლი (გუმბრი), ახალციხე, შეკვეთილი (წმ. ნიკოლოზის საკარანტინო საყარაულო შავ ზღვაზე), ყულევი (რედუტ-ყალე), სოხუმი, ვორი,... როგორც მასალებიდან ჩანს, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დაკვირვებებსაც აწარმოებდნენ და სხვადასხვა ობიექტებსაც აღწერდნენ[23].

გაგემეისტერი თავის ვრცელ (ასორმოცდაათამდე ფურც.) მიმართვაში არაერთგზის ეხება 1821—1831 წწ. შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის საკითხს და, იძულებულია, ზოგჯერ კიდევ ნასიამოვნებია, რათა აღინიშნოს, რომ შეღავათიანი ვაჭრობის აღკვეთას ფრიად უარყოფითი შედეგები მოჰყვა, როგორც რუსეთის საქონლის ამიერკავკასიასა და სპარსეთში რეალიზაციის, ასევე თვით ამიერკავკასიის კომერციული ცხოვრებისთვის[24]. იგი აღშფოთებულია, რომ კონტრაბანდული ვაჭრობა სავსებით ლეგალიზებული სახით მიმდინარეობს. მაგალითად, „აბხაზეთის სანაპიროებზე, სადაც არაა საბაჟო მეთვალყურეობა, არსებობს კონტრაბანდული საქონლის ლეგალური საწყობები. ხომალდები დაუბრკოლებლად ადგებიან კელასურსა და ოჩამჩირეს (ოჩემჩირეს), განსაკუთრებით უკანასკნელ პორტს, და აქ გადმოაქვთ თავიანთი საქონელი, რასაც ინახავენ მაღაზიებში და მათ ყიდულობენ არათუ მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ შავი ზღვის სანაპირო ლინიის

---

[23] საქ. სსრ ცსს, ფ. 30, საქმე № 17214, ფურც. 119—144.
[24] იქვე, ფურც. 139—144.

ჩინოსნებიც“... „ყოველივე ამის გამო ყოველწლიურად კლებულობს რუსეთიდან საქონლის მოტანა და იგი კიდევ უფრო დაიკლებს, რამდენადაც თავდაპირველად მთელ მხარეში შემოჰქონდათ თითქმის მხოლოდ ბამბაქსოვილი, როგორიცაა ჩითი, ნარმა, მიტკალი და სხვ. აქამდე კონტრაბანდად სპარსეთის საზღვრებიდანაც თითქმის იგივე საქონელი შემოჰქონდათ. მაგრამ, ეს ერთი ხანია შავი ზღვის სანაპიროებიდან (ევროპიდან)... შემოაქვთ კიდევ სხვა საქონელი: შალის ქსოვილები, შაქარი, ღვინო, ფაიანსის ჭურჭელი და სხვ. და თვით რკინისა და ფოლადის ნაკეთობებიც. აგრეთვე შუშის (მინის) და ფაიფურის ჭურჭელი, რაც აქამდე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთიდან მოჰქონდათ...“[25].

კონტრაბანდის ლიკვიდაციისათვის გაგემეისტერს აუცილებლად მიაჩნდა, რათა: 1. რუს ფაბრიკანტებს გაეუმჯობესებინათ ნაკეთობათა ხარისხი და რაც შეიძლება დაბალ ფასად გაეყიდათ ის ამიერკავკასიაში; 2. გაეძლიერებინათ საზღვრების დაცვა და 3. სასტიკი ზომები მიეღოთ კონტრაბანდის წინააღმდეგ.

მაგრამ... „მაგრამ“, როგორც ფრანგები ამბობენ, შეიძლება ისე უშველებელი რამ იყოს, რომ მთელი პარიზი ჩაყლაპოსო!

საქმე ისაა და ამას ხედავს გაგემეისტერი: პირველი ღონისძიების განხორციელება ახლო მომავალში მოულოდნელია (ეს მოლოდინი დიდი ხანია მომავალს უცდის!), რადგან იგი უნდა განხორციელდეს შიგა რუსეთში ტექნიკის გამსწრები განვითარების მეოხებით. გაგემეისტერს რამდენადმე მიზანშეწონილად მიაჩნია ამიერკავკასიის მთავარმართებლის აზრი, რომ „რუსეთიდან შემოტანილ ბამბაქსოვილზე ბაჟის დაბრუნებას (drawback) შეეძლო წაექეზებინა რუსეთის ფაბრიკანტები და ვაჭრები, შესაძლებელია იგივე წესი ზოგიერთ სხვა საქონელზედაც გავრცელდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა არაა საიმედო, რომ ამ დახმარებამ საქონელთა ფასების წონასწორობა დაამყაროს, რამდენადაც ცნობილია დაბალი ხარისხი ივანოვოსა და შუის ჩითებისა, რაც უპირატესად შემოაქვთ საქართველოში“[26].

გაგემეისტერსა და დიუკრუასს მიაჩნიათ, რომ რუსეთთან შეერთებიდან ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში ამ მხარის „სამრეწველო და სავაჭრო წარმატება თითქმის შეუმჩნეველია“ და ამიტო-

---

[25] საქ. სსრ ცსს. ფ. 122. კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საქმე № 17214, 1843—1845 წ.წ. ფურც. 122.

[26] იქვე, ფურც. 125.

მაც აუცილებელია ბოლოს და ბოლოს გამოინახოს რაიმე საშუალება, რათა ამიერკავკასიას შეეძლოს აანაზღაუროს რუსეთის მიერ ქვეყნის... შეერთებაზე... გაწეული დიდი ხარჯები. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა იმ მიმართულებით, რათა გაადვილდეს ამ ქვეყნის უმდიდრესი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება, ე. ი. ის, რასაც ვ. ი. ლენინი კოლონიური ქვეყნის ეკონომიკურ დაპყრობას უწოდებდა.

ამ მიმართულებით უახლოეს და უადვილეს საშუალებად მათ მიაჩნიათ, რათა ამიერკავკასიას გარკვეული დროის მანძილზე მიეცეს უცხოეთიდან რუსეთში ნებადართული ყოველგვარი საქონლის შავი ზღვის პორტებით შემოტანის შეღავათები: 1841 წ. მიღებული საერთო საბაჟო ტარიფის მეხუთედი ნაწილის (20 %) გადახდით. საქმე ისაა, რომ 1841 წ. ტარიფმა საბაჟო საფასური გაადიდა კიდევ 12,5 %, რაც წინათ საქართველოში შემოსატან საქონელზე არასოდეს არ აიღებოდა[27].

მათ სამართლიანად მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა დროს მიღებული სხვადასხვა ტარიფის ერთდროული მოქმედება ართულებს საერთოდ ვაჭრობას, თვით საბაჟო მოხელეთა მუშაობასაც და ამიტომ, ამ მხრივ, უნდა დამყარდეს მარტივი და ერთგვაროვანი წესები[28]. ამიერკავკასიაში ახალი შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის დაწესება აუცილებელია. მხოლოდ ის გამოაცოცხლებს ვაჭრობას თბილისში, გააძლიერებს ევროპულთან ერთად რუსული საქონლის ექსპორტს სპარსეთში. ტრანზიტი: ყულევი-თბილისი-თავრიზი ბევრად უფრო სარფიანია, ვინემ ტრაპიზონი — თავრიზი, თუმცა მანძილი თითქმის ერთნაირია. საქმე ისაა, რომ თურქეთის სამფლობელოებში გზა ფრიად ხიფათიანია, თარეშობენ მეკობრეები, თანაც გზა უფრო ცუდია და მხოლოდ საპალნეებით შეიძლება ტვირთის გადაზიდვა, ხოლო ყულევიდან თავრიზამდე — ურმებითა და პოვოზკებითაც, რაც შესამჩნევად უფრო იაფი ჯდება[29].

---

[27] საქ. სსრ ცსს, ფ. 30. № 1724, ფურც. 129; ფურც. 180—183,.

[28] გ ა ბ ე ბ ი ს ტ ე რ ი წერს: „ამიერკავკასიელ ვაჭართაგან არავის არ შეუძლია დაწეროს საბაჟოში წარსადგენი განცხადება, რაც საჭიროა საქონლის იმპორტისა ანუ ექსპორტისათვის...'ამისათვის აქ არიან საბაჟოთა კანცელარისტები, რომლებიც უწერენ მათ ამ დოკუმენტს, რისთვისაც ხშირად უზომო გასამრჯელოს მოითხოვენ...“ ამის გამო მას საჭიროდ მიაჩნია დაწესდეს გარკვეული ნიხრი და დაევალოს კანცელარისტებს დაუწერონ ვაჭრებს განცხადება — ერთი გვერდისათვის 50 კაპ. გასამრჯელოს კვალობაზე (იქვე, ფურც. 141—142).

[29] იქვე, ფურც. 130—131.

იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ვაჭრობის განვითარება და ამასთანავე ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, აუცილებელია შეღავათების დაწესება 30 წლით მაინც. ამ ხნის მანძილზე რუსეთის მრეწველობა გაუმჯობესდება და „გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ საქართველო, გამდიდრებული 30 წლის აყვავებული ვაჭრობით, გადაიქცევა რუსეთისათვის ვრცელ ბაზრად", — ასკვნიან გულდაჯერებული ოფიციალური მიმომხილველები, რომელთაც, ეტყობა, არც კი იციან, ან რაში სჭირდებათ რომც იცოდნენ, რომ საესებით ანალოგიური მოსაზრებები არაერთგზის იყო ადრეც შემუშავებული და... მერმეც იქნება წამოყენებული.

მაგრამ პროგრამა, როგორც პროგრამა, ნათელია. ყოველივე შეპირებული სიკეთე — თანაც ისე იქნება მიღწეული, არწმუნებენ ისინი ხელისუფალთ, არა თუ რაიმე ახალ ხარჯებს არ მოითხოვს, არამედ, პირიქით, გაიზრდება საბაჟო შემოსავალი, მოიმატებს საერთოდ ხაზინის შემოსავალი; ამოძრავდება მთვლემარე ბუნებრივი მწარმოებლური ძალები, გაადვილდება და მიიღწევა მათი ეკონომიკური ექსპლოატაცია და, ბოლოს, რუსეთი, ე. ი. რუსი ვაჭრები და მრეწველები უფრო ბლომად მიიღებენ ნავარაუდევ მოსაგებელს[30].

4. პრემია რუსული საქონლის რეალიზაციისათვის

იყო კიდევ სხვა გარემოება, რაც, გაგემეისტერის აზრით, ყველაზე უფრო უწყობდა ხელს ამიერკავკასიაში ირანული საქონლის რეალიზაციას. საქმე ისაა, რომ ამ საქონელზე აქ უხდიდნენ მონეტებით (ოქროთი და ვერცხლით), რაც, ამგვარად გადადიოდა ირანში და აქედან კიდევ კონსტანტინოპოლში. ხოლო ევროპული საქონლის შესასყიდად ირანს გააჩნდა მხოლოდ აბრეშუმი, თამბაქო და ორიოდე სხვა ნაწარმი. ამავე დროს თავრიზი იძენდა დაახლოებით 20—30 მილიონი მანეთის ევროპულ საქონელს, ხოლო ირანიდან

---

30 საქ სსრ ცსს, ფ. 30, საქმე № 1724, 1843—1845, ფურც. 132.

ტრაპიზონის გზით გასაზიდი ყოველგვარი ირანული პროდუქტის ღირებულება არ აღემატებოდა 4—5 მლნ მანეთს. მთელი დანარჩენი ნაწილი იფარებოდა ნაღდი ფულით. 1842 წელს ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლში გაიგზავნა 18 მლნ მან. რუსული ფული. „ამჟამად, ამტკიცებდა გაგემეისტერი, რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, საიდანაც ირანში ღებულობენ ოქროსა და ვერცხლს“.

მაშასადამე, ასკვნიდა იგი, რაც უფრო მეტ სარფიანობას ნახულობენ თავრიზელი სოვდაგრები რუსეთთან ვაჭრობაში, მით უფრო იაფად შეუძლიათ მათ მიაწოდონ ამიერკავკასიის მოსახლეობას ირანის ნაწარმოები და ევროპული საქონელი და უფრო ძნელი ხდება რუსული ნაკეთობისათვის მათთვის კონკურენციის გაწევა. გასაგებია, ამ მიზეზითაა, რომ ირანელებს ახლა შეუძლიათ იაფად გაყიდონ აბრეშუმი: მიღებულ დანაკლისს ინაზღაურებენ რუსული ჩხრიალა მონეტის მიღებით.

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ რუსეთის მთავრობამ, აღკვეთა რა ამიერკავკასიის კავშირი ევროპასთან, სწორედ ამით „ის ხელში ჩაუგდო ირანელებს და აუარებელი თანხა (დაახლოებით 14 000 000 მან. ვერცხ.), რაც ყოველწლიურად რუსეთიდან კავკასიაში იგზავნება, ხელს უწყობს არა ამ მხარის გამდიდრებას და არც ბრუნდება უკან რუსული საქონლის შესყიდვის სახით, არამედ ხელს უწყობს მხოლოდ ინგლისურ ნაკეთობათა გასაღებას ირანშიო“ — აცხადებდა გაგემეისტერი, რომელსაც ბანს აძლევდა ამიერკავკასიაში ადგილობრივი ხელისუფლების რიგი წარმომადგენელი[31].

ცარიზმის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, შექმნილ სიტუაციაში, უმთავრესად მოსკოველი ფაბრიკანტების დაწოლის შედეგად, ამიერკავკასიელ მოხელეთათვის სავსებით მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა.

1846 წლის მიწურულს, ფინანსთა სამინისტროს მოხსენებითი პაპერის საფუძველზე, უმართებულესი სენატისადმი ბრძანებულებით იმპერატორმა „ამიერკავკასიის მცხოვრებლებს მიანიჭა შეღავათები ვაჭრობაში“[62]. ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის მინიჭებული ამ „შეღავათებით“ დადგენილ იქნა (ბრძანებულების მესამე მუხლით), რომ „ქერჩიდან ბედუტ-კალესა და სოხუმ-კალეში, ხოლო ასტრახანიდან ბაქოში მოტანილი რუსული ბამბაქსოვილისათვის, ხუთი წლის მანძილზე, 1847 წლის იანვრიდან დაწყებული,

---

[31] АСКАК, IX, 663.

[32] II ПСЗРИ, 1846, т. XXI, ч. II, № 20692, с. 642—646.

პ რ ე მ ი ი ს სახით მიეცეს ნახევარი იმ საბაჟო საფასურისა, რაც საერთო ტარიფით აიღება უცხოური ბამბის ნართზე[33]. ეს პრემია მიეცეს ქერჩისა და ასტრახანის საბაჟოებში ბაქოს, რედუტ-კალესა და სოხუმის საბაჟოთა მიერ გაცემული მოწმობების მიხედვით, რომ აღნიშნული ნაკეთობანი ნამდვილად იქნა შეტანილი ამიერკავკასიაში"[34].

გასაგებია, რომ ეს პრემიები გაიცემოდა იმ მიზნით, რათა წმინდა ეკონომიკური მეთოდებითაც წაექეზებინათ რუსული საქონლის მიერ ამიერკავკასიის ბაზრების დაპყრობა, გაედიდებინათ საეაჭრო მოგება, გაეძლიერებინათ უცხოური ნაკეთობის საქონელთა მიმართ რუსული საქონლის კონკურენტუნარიანობა.

სულ რამდენიმე ხნის შემდეგ კავკასიის ნამესტნიკმა შუამდგომლობა აღძრა პეტერბურგში, რათა პრემიის სახით საბაჟო საფასურის ნახევარი დაებრუნებინათ რუსული ფაბრიკების იმ ბამბაქსოვილზედაც, რაც ამიერკავკასიაში იგზავნებოდა სახმელეთო გზით. ფინანსთა მინისტრმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და კავკასიის კომიტეტის დადგენილება 1847 წ. 28 დეკემბერს დაამტკიცა იმპერატორმა: 1846 წ. 14 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად 1852 წლამდე ხსენებული პრემია გაეცათ ამიერკავკასიაში სახმელეთო გზით შეტანილი რუსული ნაკეთობის ბამბაქსოვილზედაც[35].

ამასთანავე, იმ მიზნით, რათა ამ პრემიის გაცემისას ხაზინის საზიანოდ სიყალბეები და მაქინაციები არ მოეწყოთ „ამ საქონელთა სახმელეთო გზით გაგზავნის საგანგებო პუნქტებად გამოცხადდა მოსკოვისა და ასტრახანის საბაჟოები, რომელთაც ევალებოდათ დაწვრილებითი შემოწმება ამ საქონლისა და საქონლის ბარდანაზე (კიპზე) პლომბის დადების შემდეგ ყოველთვის უნდა ეცნობებინათ თბილისის საბაჟო საწყობისათვის საქონლის პატრონისა და მომტანის სახელი, მიტანილი საქონლის ხარისხისა და რაოდენობის, მათზე დადებული პლომბების რიცხვის და სხვათა შესახებ. ხოლო საქონელთა გამტანისათვის უნდა გაეცათ იარლიყები, სადაც, საბაჟო წესდების ზუსტი შესაბამისობით, აღწერილი იქნებოდა იგივე დეტალები საქონლის გამშვები საბაჟოდან. მის მიმღებ საწყობში გადაზიდვის შესახებ".

---

[33] А. Семенов, Изучение ист. свед. о Российской внешней торговле... с половины 17 столетия по 1858 г., СПб., 1859, ч. III, с. 167—168.

[34] ЛОЦИА, ф. КК, д. № 702, 1847, л. 28.

[35] II ПСЗРИ, т. XXII, 1847, № 21830, с. 442—443.

აქ მხოლოდ ის შეღავათი იყო, რომ საქონლის გამგზავნს არ მოეთხოვებოდა არავითარი საწინდარი ან თავდები: „რამდენადაც იგზავნებოდა არა უცხოური, არამედ რუსული საქონელი“[36]. შემდეგ თავის მხრივ თბილისის საბაჟოს ევალებოდა ამ საქონლის აქ მოტანის შესახებ ზემოხსენებული დაწვრილებითი ცნობების შემცველი მოწმობა გაეცა საქონლის მომტანისათვის, მოსკოვის ანუ ასტრახანის საბაჟოში წარსადგენად, სადაც გაიცემოდა დადგენილი პრემია: ერთ ფუთ ბამბაქსოვილზე 3 მან. და 25 კაპ. ვერცხლით[37].

როგორც ჩანს, მომდევნო წლებში რუს ვაჭრებს კარგა გაუტკბათ ეს პრემიები... 1852 წ. 31 იანვარს მ. ვორონცოვი ფინანსთა მინისტრს ვრონჩენკოს სწერს: ვლადიმირის გუბერნიის შუისკის მაზრის სოფელ ივანოვოს ბამბაქსოვილის ფაბრიკანტები სთხოვენ მას, რათა მან იმპერატორისაგან გამოითხოვოს 1846 წ. 14 დეკემბრის და 1847 წ. 28 დეკემბრის უმაღლესობის ბრძანებულებებით 5 წლის ვადით დაწესებული პრემიის გაცემის ვადის გაგრძელება.

ეს ფაბრიკანტები ირწმუნებიან, რომ ამ ღონისძიებას „დიდი გავლენა ჰქონდა ამიერკავკასიაში სამამულო ბამბაქსოვილის გასაღების გაძლიერებაზე, იმიტომ რომ ვაჭრები, რომლებიც ბამბაქსოვილს ნისიად ყიდულობდნენ, მათი ამიერკავკასიაში შეტანისას უკანვე ღებულობდნენ საბაჟო საფასურს, რასაც იყენებდნენ საქონლის გადატანის სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად და ასე მათ, რომელთაც არ გააჩნდათ მნიშვნელოვანი კაპიტალები, შესაძლებლობა ეძლეოდათ ეწარმოებინათ ფართო ვაჭრობა და ამით მხარი აებათ ჩვენი ბამბის მანუფაქტურების (ტექსტილური მრეწველობის) მუშაობისათვის“[38].

მაგრამ ცენტრში საქმეს სხვანაირად შეხედეს. 1852 წ. 12 მარტს კავკასიის ნამესტნიკს პეტერბურგიდან ატყობინებდნენ, რომ იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფოებრივი საბჭოს ეკონომიის დეპარტამენტის წარდგინება (ჟურნალი), სახელმწიფოებრივი ხარჯების შემცირების მიზნით... ამიერკავკასიაში შეტანილ ბამბაქსოვილზე დაწესებული პრემიის ვადა არ იქნას გაგრძელებული და დაწესებული ვადის გასვლასთან ერთად შეწყდეს პრემიის გაცემაც[39].

---

[36] ЛОЦИА, ф. КК, д. № 702, 1847: Об установлении по 1852 год возвратной пошлины в пользу российских бумажных изделий, отправляемых в Тифлис из Москвы и Астрахани, на 20 лл;

[37] II ПСЗРИ, т. XXII, с. 443.

[38] АСКАК, X, № 213, с. 208.

[39] იქვე, № 215, გვ. 209.

1846 წ. 14 დეკემბრის კანონით ამიერკავკასიიდან საქონლის უცხოეთში გატანის, სპარსულ და თურქულ ნაკეთობათა შემოტანის და აქედან საქონელთა რუსეთში გატანის წესი არ შეცვლილა. გაიხსნა ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს პორტებიდან თბილის-ნახჭევანის გზით სპარსეთში და სპარსული საქონლისა ბაქოდან რედუტ-კალეს და სოხუმ-კალეს მიმართულებით ევროპაში. რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეში მოვაჭრეებს უფლება ეძლევათ აქედან უკანვე გაიტანონ საქონელი და ერთი წლის ვადაში გადაიხადონ მათი საბაჟო საფასური, ანალოგიურად წესისა, რაც მაშინ მოქმედებდა ბალტიისა და თეთრი ზღვის რუსეთის ზოგიერთ პორტში.

ყველა, როგორც რუსული, ისე უცხოური გემი, რომელიც შევა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროთა პორტებში და აქედან საზღვარგარეთ გავა, იხდის სატვირთო მოსაკრებელის ნახევარს, ე. ი. 25 კაპ. ამიერკავკასიაში გასაყიდად შეტანილი ევროპული და კოლონიური საქონლიდან აღებული საბაჟო შემოსავლის 10 % 1847 წ. 1 იანვრიდან გადაირიცხება ამ მხრის პორტებისა და მიმოსვლის საშუალებათა გასაუმჯობესებლად[40].

კანონის მრავალ პარაგრაფში უაღრესად დაწვრილებითაა აღწერილი სატრანზიტო საქონლის ამიერკავკასიაზე გატარების წესები და კონტროლი. შავი ზღვის სანაპიროებიდან წაღებული საქონელი თბილისში უნდა ჩაეტანათ არა უგვიანეს 4 თვისა (§ 13). თბილისის საბაჟოს მიერ გაშვებული ტრანსპორტი გზას განაგრძობს ნახჭევანისაკენ — დელიჯანის ხეობითა და ერევანზე გავლით, ისე რომ თბილისიდან გასული არა უგვიანეს 3 თვისა უნდა მივიდეს გიულისტანის საბაჟოში (§ 18), რომელიც ნახჭევანში იმყოფებოდა. ამის მერმე, დეტალური შემოწმების შემდეგ, ტრანსპორტი მიემართება ჯულფის გადასასვლელისაკენ, სადაც საბაჟოს მოხელე ტვირთებზე ახსნიდა რუსულ პლომბებს და იარლიყებს და უკვე თავისუფალი ევროპული ნაკეთობის სატრანზიტო საქონელი გადაჰქონდათ მდ. არაქსის მეორე ნაპირზე — სპარსეთში[41].

სპარსეთიდან ბაქოში მოტანილი, ამიერკავკასიაში სარეალიზაციოდ ნებადართული, სპარსული ნაკეთობის საქონელი პატრონს

---

[40] II ПСЗРИ, т. XXI, ч. II, с. 642.

[41] იქვე, № 20699, გვ. 645.

შეეძლო თბილისიდან ტრანზიტით გაეგზავნა რედუტ-კალეში და აქედან უცხოეთში (§ 22). ეს საქონელი ბაქოდან შავი ზღვის პორტში თავისუფლად მიდის მარტოოდენ იარლიყის მიხედვით, ისე რომ გზაზე მას არ ამოწმებენ და არც აკონტროლებენ, ოღონდ საქონელი არ შეიძლება წაიღონ სხვა გზით, გარდა იარლიყში აღნიშნულისა. გზაზე გაყიდულ ანდა დაუსაბუთებლად დაკარგულად გამოცხადებულ საქონელზე პატრონი იხდის დადგენილ ბაჟს და ამას გარდა ყოველ ფუთზე 5 მან. ვერცხ. (§ 27) ჯარიმას, რედუტ-კალეში ჩატანილ სპარსულ სატრანზიტო საქონელზე გემში ჩატვირთვის წინ აიხსნებოდა რუსული პლომბები და იარლიყები. ნავარაუდევი იყო, რომ მალე სუხუმ-კალეშიც, აქამდე არსებული საყარაულოს ადგილზე, გაიხსნებოდა საბაჟო და მას მერმე იქაც სატრანზიტო საქონლის გატანის იგივე წესები იქნებოდა გავრცელებული[42].

ევროპული საქონლის ამიერკავკასიის გზით სპარსეთში ტრანზიტის გაძლიერების მიზნით, 1847 წ. 27 მაისს ნება დართეს საქონელი გაეტანათ ოდესიდანაც — ოდესის პორტო-ფრანკოდან, — აქ საზღვაო თუ სახმელეთო გზით მოტანილი უცხოური საქონლის — რედუტ-კალეს ან სუხუმ-კალეში გადაგზავნით, სადაც, ან თბილისში, მისგან აიღებოდა ბაჟი, და შემდეგ მას გაუყენებდნენ სპარსეთის სატრანზიტო გზას[43].

„ბიბლიოტეკა დლია ჩტენიას“ მიმომხილველს მიაჩნია, რომ „ამიერკავკასიაზე გავლით უცხოეთის საქონლის უბაჟო ტრანზიტის დაწესებას მიზნად აქვს სარგებლობა მოუტანოს ამ მხარესო“[44]. ბაგრამ მთავარი კი ის იყო, რომ 1831 წელს ამ ტრანზიტის აღკვეთის შემდეგ ევროპულმა საქონელმა, როგორც თავის ადგილას გვაქვს ნაჩვენები, სპარსეთისა და საერთოდ აზიის ბაზრებისაკენ გზა გაიკაფა თურქეთის ტერიტორიით და კიდევ უფრო მეტად შეაკიწროვა იქ რუსული ნაკეთობის საქონელი, ვინემ ადრე. ახლა რუსეთის სავაჭრო პოლიტიკის ნამდვილი აზრი ის იყო, რომ რაკი ევროპული საქონელი მაინც შედიოდა სპარსეთში, ის შესულიყო რუსეთის ტერიტორიაზე გავლით და... მეტ-ნაკლები ზომით... რუსულ საქონელთან ერთად და, თანაც, ფართო სატრანზიტო ოპერაციებს გასცნობოდნენ და დაუფლებოდნენ რუსი ვაჭრები და თვით სახელ-

---

[42] II ПСЗРИ, т. XX', ч. II, с. 646.

[43] Журн. «Библиотека для чтения», 1848, т. LXXVI, сс. 22—23.

[44] იქვე, გვ. 23.

მწიფო მოხელეები. ბოლოს, ეს წმინდა ფისკალური თვალსაზრისი-თაც სარფიანი იყო — საბაჟო შემოსავალი გაიზრდებოდა...

მაინც, 1846 წ. 14 დეკემბრის (№ 20699) კანონი ტრანზიტისა და ვაჭრობის შესახებ ნაქადაგებ „ლიბერალიზაციას“ მძიმე ბიუროკრატიული მუხრუჭებით ბორკავდა. საბაჟო უწყების კონტროლი და მეურვეობა აუტანელი ჩანდა. მალე, 1848 წ. 28 იანვარს მეფემ დაამტკიცა „დამატებითი წესები“, რაც ნებას რთავდა:

1. რედუტ-კალესა და სუხუმ-კალეში მოტანილი ევროპული და კოლონიური საქონელი მათი იქვე „გამოცხადება-შემოწმების“ გარეშეც გაეგზავნათ თბილისში, სადაც საბაჟო კანტორას ევალებოდა დეტალურად დაეთვალიერებინა და შეესწავლა სატრანზიტო საქონელი და მხოლოდ მერმე მიეცა მისთვის გზა სპარსეთისაკენ;

2. მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა გაყიდვა სატრანზიტო როგორც ევროპული და კოლონიური, ასევე სპარსული საქონლისა, რა თქმა უნდა, მას მერმე რაც წინასწარ იქნებოდა გაკეთებული საბაჟო განაცხადი და გადახდილი დაწესებული საბაჟო საფასური[45].

ზემოხსენებული „შემსუბუქებაც“ საკმარისი არ აღმოჩნდა და 1850 წ. 26 იანვარს უმართებულესი სენატი იხილავს იუსტიციის მინისტრის წინადადებას ევროპული საქონლის ამიერკავკასიის გზით ირანში ტრანზიტის გაადვილების შესახებ, რაც აღძრული იყო კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის სამხედრო მინისტრის გენ.-ად. ჩერნიშევისა და მ. ვორონცოვის მიერ. ბოლოს იმპერატორმა ბრძანა:

1. სატრანზიტო საქონელი (შეკვრა, ადგილი), რომელსაც აქვს კონსულის ბეჭედი, განთავისუფლდეს საკარანტინო შემოწმებისაგან, რისთვისაც კონსტანტინოპოლის კომერციულ კანცელარიას, ასევე რუსეთის საკონსულოებს ტრაპიზონს, გალაცს, ტრიესტს, ლივორნოს, მარსელსა და სხვ. საზღვარგარეთის პორტებში დაევალოს ამიერკავკასიაში გასაგზავნ საქონელზე სათანადო მოწმობასთან ერთად გასცენ აგრეთვე მოწმობა, რომ ამ საქონლის შეკვრაში (ადგილში) არაა ისეთი საქონელი, რომლის შეტანა აკრძალული იყოს შავი ზღვის ამიერკავკასიის პორტებში;

2. ამის შემდეგ საქონლის ადგილები არც შავი ზღვის პორტებზე და არც თბილისში არ ექვემდებარება არც საკარანტინო და არც საბაჟო შემოწმებას, გარდა გარეგანი დათვალიერებისა, და იგზავნება დანიშნულებისამებრ როგორც სატრანზიტო;

---

[45] II ПСЗРИ, 1848, т. XXIII, № 21948, с. 84.

3. წესები, რაც მიღებულია უცხოური საქონლის ამიერკავკასიის გზით სპარსეთში ტრანზიტისათვის, გამონაკლისს გარეშე გავრცელდეს აგრეთვე თბილისში გზავნილ საქონელზეც, რედუტ-კალესა და სუხუმ-კალეში მათზე ბაჟის აღების გარეშე;

4. თუ აქამდე სატრანზიტო საქონლის ბაჟგადაუხდელად გაჩერება თბილისის საბაჟოში შეიძლებოდა 6 თვის ვადით, ეს ვადა განისაზღვროს ერთი წლით, საქონლის შავი ზღვის პორტებზე მიტანის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ უცხოურ საქონელზე თბილისში აუცილებლად უნდა აიღონ საბაჟო საფასური, ან აქედან საქონელი გაიგზავნოს ტრანზიტით სპარსეთში;... გზაზე განთესილი საქონლის ყოველ ბრუტო ფუთზე აქამდე დაწესებული 5 მან. ნაცვლად ამიერიდან დაწესდეს ჯარიმა 10 მან.

6 კომერციის სპეციალისტთა წაქეზება

ერთ-ერთი მიზეზი, რაც ამუხრუჭებდა აქ ვაჭრობის განვითარებას იყო კომერციის საქმის, საერთოდ სავაჭრო მესარეწეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ნაკლებობა. ამას, ცხადია, გრძნობდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობდა კიდევაც ამიერკავკასიაში მოეზიდა ისეთი სპეციალისტები, უწინარეს, ცხადია, შიგა რუსეთის გუბერნიებიდან, სადაც მნიშვნელოვანი ზომით თვითონ განიცდიდნენ კადრების ნაკლებობას. მაგრამ საქმე ეხება არა მხოლოდ სახელმწიფო აპარატისათვის საჭირო სპეციალისტთა დიდ ნაკლებობას, არამედ ამასთანავე განათლებულობის დაბალ დონეს თვით ვაჭართა კლასისა, რომელთა დიდ ნაწილს, თვით სოვდაგრებსაც კი, ხშირად იმდენი ცოდნა არ ჰქონდა, რომ მის მიერ შემოტანილ თუ გასატან საქონელთა შესახებ საჭირო განაცხადი წიგნიერად შეედგინა.

1839 წ. თებერვალს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი ამიერკავკასიაში უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ. უმართებულესმა სენატმა მოისმინა ფინანსთა მინისტრის მოხსენება: რომ საქართველოს, კავკასიის ოლქისა და ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებელი გენ.-ლეიტ. გოლოვინი შუამდგომლობდა დაეკმაყოფილებინათ საფრანგეთის თბილისელი კონსულის გრაფ როტი-მონტონის თხოვნა, რომ მას, დროებით საფრანგეთში მიმავალს, განზრახული აქვს იქიდან ამიერკავკასიაში გამოიწვიოს ოსტატები, ხელოსნები და აგრონომიის მცოდნე კაცები და რომ

იგი, ამასთანავე, თხოულობს საბაჟო საფასურისაგან გაანთავისუფლონ ყოველგვარი მანქანები და ინსტრუმენტები, რასაც ისინი თავიანთი ხელობის შესაბამისად თან წამოიღებენ, 10 წლით გაანთავისუფლონ თვით ისინი ყოველგვარი საქალაქო და საერობო ბეგარისაგან, ხოლო მათ შორის იმათ, რომლებიც მოისურვებენ ხელი მიჰყონ მიწათმოქმედებას ან გააშენონ ვენახები — მისცენ თითოეულს 15 დესეტინა მიწა.

რუსეთში უცხოეთიდან სამიწათმოქმედო მანქანების, საფაბრიკო გაწყობილებათა და ხელოსნური იარაღ-ინსტრუმენტების შემოტანა ამ დროს მოქმედი ტარიფით ისედაც თავისუფალი იყო საბაჟო საფასურისაგან. რაც შეეხება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სპეციალისტებს, მათს მოწვევასა და მათთვის შეღავათების მინიჭებას, ფინანსთა მინისტრის აზრით, შეუძლია მოიტანოს ორგვარი სარგებლობა: ერთი მხრით, მათი შრომისმოყვარეობა და ცოდნა-გამოცდილება ხელს შეუწყობს იმ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებას და წარმოშობს ახალ ნაკეთობათ და, მეორე მხრით, მათი სასარგებლო მაგალითი შეასწავლის ადგილობრივ მცხოვრებთ და წააქეზებს მათ განავითარონ ანალოგიური წარმოება.

10 წლით საქალაქო და საერობო გადასახდელებისაგან ამ უცხოელთა განთავისუფლების შესახებ საჭიროა ითქვას, რომ თუმცა ამ დროს აქ გილდიური წესები არ მოქმედებდა, მაგრამ თუ ამ ხნის მანძილზე იქნებოდა იგი შემოღებული, ფრანგი სპეციალისტები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი სამესარეწეო მოსაკრებლებისაგან[46].

* * *

საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის პრობლემის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პუნქტი იყო აქ ვაჭრობისა და მესარეწეობის განვითარება, ე. ი. პოლიტიკურის თანმიყოლებით ქვეყნის ეკონომიკური დაპყრობა. მაგალითად, შავი ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთა, სახელდობრ მდინარეების ყუბანისა და ენგურის შესართავთა შორის მდებარე მთელი ტერიტორიის (რაც 1840-იან წლებიდან საერთო მმართველობის წესით ამიერკავკასიის მხარეში შედიოდა) კოლონიზაციის დაჩქარების მიზნით 1846 წ. 15

---

[46] II ПСЗРИ, т. XIV, 1839, № 12002, сс. 132—133.

დეკემბერს იმპერატორი ამტკიცებს სპეციალურ დებულებას. ამიერიდან აქ არსდება სამი საპორტო ქალაქი: ანაპა, ნოვოროსიისკი და სუხუმ-კალე.

ამ საპორტო ქალაქებში უნდა დასახლებულიყო უპირატესად ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევარი ხალხი (§ 8) — ვაჭრები, მეშჩანები, ხელოსნები და ამქრის ოსტატები (§ 9), რომლებიც აქ ინარჩუნებენ ყველა პრივილეგიას, რაც მათ ჰქონდათ წინანდელ საცხოვრებელ ადგილას, თანაც არ იკრძალებოდა კოლონიზატორთა სოციალური სტატუსის შეცვლა, ე. ი. შეიძლებოდა მეშჩანი ჩაწერილიყო ხელოსნად ანდა ვაჭრად, ოღონდ მას ახალი მდგომარეობის შესაბამისი მოსაკრებელი უნდა გადაეხადა (§ 10)[47].

ამ ტერიტორიაზე, სახელდობრ საპორტო ქალაქებში: ანაპაში, ნოვოროსიისკსა და სუხუმ-კალეში იმპერიის შიგა გუბერნიებიდან, ანუ ამიერკავკასიიდან გადმოსახლების მსურველნი, რომლებიც აქ ჩაეწერებიან ვაჭრებად, მეშჩანებად და ხელოსნებად, თავისუფლდებიან საგილდიო გადასახდელისაგან და სახელმწიფოებრივი ბეგარისაგან, როგორიცაა რეკრუტში გაწვევა და სამხედრო ჩაყენება, ამ დებულების დამტკიცებიდან 30 წლის განმავლობაში (§ 18). მათ უფლება ეძლევათ აწარმოონ თავისუფალი შინაგანი და საგარეო ვაჭრობა განუსაზღვრელი მოცულობით, ყოველგვარი ნებადართული მესარეწეობა და ხელოსნობა, აგრეთვე დააარსონ ფაბრიკები და ქარხნები, ოღონდ დანიშნული ოცდაათწლიანი ვადის განმავლობაში, ხოლო საგარეო ვაჭრობისათვის ქალაქის სასარგებლოდ უნდა შეიტანონ ყოველწლიურად 50 მან. ვერცხლით (§ 19).

ამასთანავე ხსენებულ ნავსადგურებში გაწერილთ უფლება ეძლევათ ივაჭრონ შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთის სანაპიროებსა და ამიერკავკასიაში, საგილდიო გადასახდელთა გარეშე; ხოლო თუ ისურვებენ ივაჭრონ რუსეთში, მაშინ დაკანონებული მოწმობა უნდა აიღონ დადგენილი საფასურის შეტანის გზით (§ 20)[48]. ამ კანონის მომზადებას წინ უსწრებდა მთავრობის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის ფრიად გაჭიანურებული დისკუსია, რომლის შინაარსის ზოგიერთ მხარეს ჩვენ ქვემოთ გავეცნობით[49].

---

[47] II ПСЗРИ, т. XXI, отд. II, № 20707, с. 671.
[48] იქვე, ფურც. 671.
[49] ЛОЦИА, ф. КК, 1841, д. № 134, ч. I—IV.

II. ბაჟის პოლიტიკა

1. ბაჟები რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე

1830 წ. 29 მაისს სენატორი ობერ-ბეგრ-ჰაუპტმანი ევგრაფი ილიას ძე მეჩნიკოვი საქართველოს უზენაესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის უფროსს სთხოვს ცნობებს: თუ არსებობს ამ ექსპედიციის უწყების ხაზით შემოტანილ რუსულ ნაწარმზე (საქონელზე) რაიმე მოსაკრებელი, საწინააღმდეგო იმპერატორის 1807 წ. 30 ნოემბრის რესკრიპტისა — საქართველოს მთავარმართებლის გრაფ გუდოვიჩისადმი რომ იყო გაცემული.

საქართველოს სახაზინო ექსპედიცია საპასუხო წერილში (1830 წელს 5.30) აცხადებს, რომ: თბილისში შემოტანილ რუსულ ნაკეთობებზე ბაჟები აიღება: რკინაზე, სპირტსა და არაყზე. სახელდობრ რკინაზე აიღება სამინბაშო (по минбащской статье)—ყოველ ლიტრაზე 1 კაპ., ხოლო უკანასკნელებზე — ღვინის იჯარა-გამოსყიდვისათვის (по винному откупу) ყოველ თუნგზე 5 კაპ. ვერცხლით, მ. შ. ყიზლარის არაყზედაც.

მართალია, ხსენებული რესკრიპტის შემდეგ, რამაც გააუქმა რუსეთიდან საქართველოში შემოსატან საქონელზე საბაჟო მოსაკრებელი, სახაზინო ექსპედიციას არავითარი საფუძველი არა აქვს არსებობდეს ბაჟები რკინასა და არაყზე, მაგრამ ეს მოსაკრებელი, ისე როგორც ბაჟები საკვებ პროდუქტებზე, რომლებიც 1808 წლიდან იმპერატორის განკარგულებით განთავისუფლებულია ბაჟებისაგან, კვლავ რჩება. კიდევ მეტიც, სახაზინო ექსპედიციის გამგებლობაში დღემდე არის იჯარა-გამოსყიდვის სტატიები, რომელთა მიხედვით მოიჯარე-გამოსყიდველს (откупщик) უფლება აქვს აიღოს ბაჟები რუსულ ნაწარმზე, ცხადია, არა იმიტომ, „რომ საკუთრად რუსული საქონელი უნდა იხდიდეს საბაჟო მოსაკრებელს, არამედ იმის გამო, რომ ამ მხარეში ძველი დროიდანვე არსებობს,

საკუთრებით შეუცვლელი სარახტარო მოსაკრებელი, ე. ი. ბაჟი საერთოდ შემოზიდულ საქონელზე[1], საპალნის კვალობაზე".

შემდეგ, მაგალითისათვის, ნათქვამია, რომ საქართველოში სამინბაშო აიღება ხოლმე: თბილისში შემოტანილ და აქედან გატანილ საქონელზე ყოველი საპალნიდან 2,5 კაპ. ვერცხ. ქ. გორში — თბილისიდან ცხინვალში გასატან 10 მან. საქონელზე — 20 კაპ. და განჯაში შეზიდულ ყოველგვარ საქონელზე და საწერ ქაღალდზე — 1,8 მან. ყოველი საპალნიდან.

ამიერკავკასიის მუსლიმანურ პროვინციებსა და დაღესტანშიც ძალაშია ყოველი პროვინციის ხანისათვის წინათ მინიჭებული უფლება: საერთოდ საქონელზე აიღონ ბაჟი საპალნის კვალობაზე; და იღებენ რუსულ ნაკეთობაზედაც, თუმცა ამის შესახებ კონტრაქტებში არაფერია ნათქვამი[2].

სახაზინო ექსპედიციის მოხელის ცნობით, დაღესტანში რუსეთთან ვაჭრობა „ძლიერ შეევწროებულია" უზომო საბაჟო საფასურებით, რასაც ყიზლარსა და დერბენტს შორის სხვადასხვა ადგილზე ახდევინებენ. და ეს იმ დროს, როდესაც „ნიჟეგოროდის იარმარკტასა და ასტრახანს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ დაღესტანზე. ბაჟებს ახდევინებენ როგორც საპალნის, ასევე ურმების (პოვოზკების) მიხედვით. სხვადასხვა მოსაკრებელს ახდევინებენ პირუტყვზე, ხოლო რუსეთში შესატან ყოველ ურემ აბრეშუზე 5,6 მან., ყოველ საპალნეზე 2,5 მან. ვერცხ. და „მთელი ეს ბაჟები აიღება 250 ვერსის მანძილზე"[3].

ამიერკავკასიის რევიზიისათვის მოვლენილი სენატორები — კუტაისოვი და მეჩნიკოვი 1831 წ. 28 ნოემბერს იმპერატორს მოახსენებენ: რომ მათ, სხვათა შორის, „აღმოაჩინეს", რომ „საქართველოში არსებობს შინაგანი ბაჟები რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე და რომ ეს მოსაკრებელი შემოღებულია საქართველოს წინანდელ მფლობელთაგან, ხოლო შემდეგ ის გადაქცეულა იჯარავაბოსყიდვის სისტემად"[4].

ამასთანავე სენატორები აღნიშნავენ, რომ მათ საქართველოს მთავარმართებლისა და სახაზინო ექსპედიციის „საქმეთა" შესწავ-

---

[1] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული საბაჟო ტარიფი (მსკი, 1937, ნაწ. IV, გვ. 291—311).

[2] ЛОЦИА, ф. КК, д. № 7, 1837, лл. 205—208.

[3] იქვე, ფურც. 208.

[4] იქვე, ფურც. 239.

ლის შედეგად ნახეს: იმპერატორის ოთხი განკარგულებაა გაცემული 1805—1808 წწ., სადაც ნათქვამია, პირველში: საქართველოს საზღვრებში შინაგანი ბაჟები, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ვითარებისათვის შეუთავსებელი, გაუქმდეს (1804); მეორეში: შეჩერდეს 1804 წ. 4 მარტის ბრძანებულება საქართველოს შიგნით ბაჟების იჯარით გაცემის გაუქმების შესახებ და „იქაური მოსაკრებლები აიღონ წინანდელი ქართული ტარიფის მიხედვით (1807); მესამეში: 1804 წ. ბრძანებულება ცხოვრებაში გატარდეს იმ აზრით, რომ რუსეთიდან საქართველოში შეზიდულ საქონელზე არ აიღებოდეს შინაგანი ბაჟები, რათა იმ მხარის ვაჭრობა ჩაერთოს მთელი სახელმწიფოს ვაჭრობაში (1807) და მეოთხეში: „საქართველოში გაუქმდეს (მოისპოს) შინაგანი ბაჟები“ (1808).

1808 წ. საქართველოს მთავარმართებელმა გასცა სათანადო განკარგულება, მაგრამ სახაზინო ექსპედიციამ იგი არ შეასრულა და დღემდე (1831) კრებენ შინაგან ბაჟებს, ხოლო თვით სენატორებისათვის მიცემულ განმარტებაში აღნიშნულია, რომ მოიჯარეგამომსყიდველებს „უფლება აქვთ რუსულ ნაკეთობათაგან ბაჟები აიღონ, არა იმიტომ რომ საკუთრად რუსულ საქონელს დაედოს საბაჟო მოსაკრებელი, არამედ იმიტომ, რომ ბაჟი საერთოდ საქონელზე აიღება საპალნის კვალობაზე“ და სხვ.

სენატორები, რა თქმა უნდა, კარგად ხედავენ, თუ რას ნიშნავდა სახაზინო ექსპედიციის „ამიტომ და იმიტომ“... და რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, წინააღმდეგ იმპერატორის ბრძანებულებისა, საბაჟო მოსაკრებელთა აღების იჯარით გაცემის გამო, რუსული საქონელი ამიერკავკასიაში მეტისმეტად მაღალ ფასებში იყიდებოდა; რაც აქაური მცხოვრებთათვის ფრიად საზარალო იყო, ხოლო თვით რუს ვაჭრებს ინტერესს უქარვებდა შემოეტანათ აქ რუსული ნაკეთობანი, რომელზედაც ყოველ ნაბიჯზე ბაჟებს ახდევინებდნენ; მეორე მხრივ, რუსული საქონლის სიძვირე და, მაშასადამე, ამიერკავკასიის ბაზრებზე მისი რეალიზაციის სიძნელე გზას უხსნიდა უცხოურ საქონელს, რომელიც აქ სულ უფრო ვრცელდებოდა და სწორედ ამით აბრკოლებდა არა მხოლოდ რუსული მანუფაქტურების ნაწარმთა რეალიზაციას, არამედ საერთოდ რუსული ვაჭრობის განვითარებას.

სენატორები იმპერატორს მოახსენებდნენ, რომ აქაური სახაზინო ექსპედიცია აშკარად გამოდის მეიჯარეთა ინტერესების დამ-

[8] ЛОЦИА, ф. КК д. № 7, 1837 г., л. 239.

ცველთა როლში, რომ მათ შორის „დადებული კონტრაქტები განგებ შედგენილია ისე, რომ გაუგებარი და ბუნდოვანი იყოს, რათა მეიჯარეებს საბაბი მისცეს აიღონ ბაჟები რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე"[6].

მთავრობა დიდი ხანია ცდილობს მოსპოს ამიერკავკასიაში შინაგანი ბაჟები, აღნიშნავს კანკრინი, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ამას (რახტარების ლიკვიდაციას) დღემდე (1836 წ.) ვერ ახორციელებს, რადგან, „არაა შემოსავლის სხვა წყარო, რითაც შეიძლებოდეს რახტარის შეცვლა"[7].

---

[6] სენატორები წერენ: «Что казенная экспедиция вопреки упомянутого высочайшего повеления означенный сбор в течении почти 25-ти лет отдавала на откуп и в продолжении сего времени знав или видя, что делает сие в противность высочайшего повеления, что от того товары российские к разорению жителей продаются в Закавказском крае, чрезвычайно дорогою ценой, что торговцы встречая на каждом шагу требование с них пошлины лишаются желания иметь промышленность товарами российскими, что сие дает способ к сбыту товаров иностранных, затрудняет сбыт русских и имеет влияние не только на русские мануфактуры но и на торговлю всего государства, ни единожды не обратили внимание на исправление противозаконных действий в своих, убеждаясь, только тем, что сбор сей, при самом воспоследовании выше изложенного высочайшего повеления остался в прежнем положении... хотя же оная экспедиция и оправдывается тем, что откупщики имеют право взимать пошлину с российских произведений не потому чтобы собственно русские товары были подвергнуты пошлинному сбору, а потому, что взимается пошлина вообще с товаров, от выюка, но оправдавшие сие обнаруживает только пристрастие ее в пользу откупщиков и не внимание к высочайшему повелению, ибо есть ли бы за силой упомянутого высочайшего повеления в контрактах с откупщиками заключаемых было делаемо изъятие на сбор пошлин с российских произведений, и представлялось им брать пошлину не отвьюка, а с товара, то без строгой за противное сему ответственности, никогда бы сами откупщики на таковой сбор решится не могли: экспедициею самые контракты были заключаемы как бы намерено с неясностью, давшею повод откупщикам на взимание пошлин с товаров из России привозимых. В другом случае сама она защищая сторону откупщиков признавала справедливым, что привозимая из России кизлярская водка по винной статье подлежит пошлинному сбору, и хотя министерство финансов изъявило со своей стороны на то согласие, но оное изъявлено не в том уважении, чтобы та водка признана была подлежащею вторичному акцизу, так как за нее заплачен уже был акциз на месте, но потому единственно чтобы только сохранить заключенный экспедициею с откупщиками контракт» (ЛОЦИА, Ф. КК, д. № 7, 1837г., лл. 239—250).

[7] АСКАК, VIII, № 97, с. 172.

საქმე ისაა, რომ იგივე ცენტრალური მთავრობა კატეგორიულ ფორმებში მოითხოვდა, რათა ადგილობრივად გამოენახათ სახაზინო შემოსავალთა ახალ-ახალი წყაროები და ამ შემოსავლით დაეფარათ ჯარებისა და ადმინისტრაციის შენახვის ხარჯები[8].

ეს ხარჯები კი შეუჩერებლად იზრდებოდა. კანონით ახალი თანამდებობების შექმნა და მათი შენახვის ხარჯების განსაზღვრა მარტოოდენ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შედიოდა; მაგრამ საქართველოს სახაზინო ექსპედიცია (Грузинская казенная экспедиция) თავის შეხედულებისამებრ აწესებდა თანამდებობებს და უნიშნავდა მათ ხელფასებს. ასეთ პირობებში არათუ ძველ რახტარებს (შინაგან ბაჟებს) არ სპობდნენ, ზოგჯერ კიდევ ახლებს აწესებდნენ. მაგალითად, გენ. ტორმასოვმა ქალაქში შემოსატან და აქედან გასატან სურსათ-სანოვაგეზე ბაჟების აღება კვლავ გასცა იჯარით, რაც უაღრესად ავიწროებდა როგორც სოფლელ მწარმოებლებს, ისე ქალაქელ მომხმარებლებსაც.

როგორც სენატორები — კუტაისოვი და მეჩნიკოვი წერდნენ (1831 წ.) საქართველოს სახაზინო ექსპედიციას 25 წლის განმავლობაში არავინ კონტროლს არ უწევდა და საქართველოში მთელი სახაზინო შემოსავალი იხარჯებოდა ყოველგვარი ანგარიშგების გარეშე. ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურები თვითონ არ იყვნენ დაინტერესებულნი ფინანსური დისციპლინის დაცვის საქმით. და ასე სახაზინო ექსპედიციას დაუხარჯავს... 221 მლნ მან. სენატორებისაგან მხოლოდ იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ თბილისის სამხედრო გუბერნატორს გენ. სიპიაგინს უკანონოდ, უმთავრესად თავისი პირადი საჭიროებისათვის დაუხარჯავს 277 ათასი მან. ხაზინის ფული[9].

ეს კიდევ ერთი ილუსტრაციაა იმისა, რომ ცენტრიდან გენერლებისა და სახელმწიფო მოხელეთა დიდი უმრავლესობა აქ მოდიოდა მოსახვეჭელისათვის, გამდიდრების მიზნით, ანდა, როგორც ხშირად აშკარადაც ამბობდნენ, თავიანთი „შერყეული ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის“.

რომ შეენელებინათ ადგილობრივი სახაზინო შემოსავალთა მფლანგველური ხარჯვა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ მათი პირდაპირი მითვისება, 1840 წელს ამიერკავკასიაზე გავრცელდა სამოქალაქო მმართველობის იგივე წესები, რაც იყო რუსეთის შიგა გუბერნიებში. ეს იმასაც მოასწავებდა, რომ აქაური სახაზინო შემოსავ-

[8] АСКАК, VIII, № 97, с. 125.

[9] იქვე, გვ. 8.

ლები გადადიოდა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში და ასე უერთდებოდა „სახელმწიფოებრივ შემოსავალთა საერთო მასას“, რაც ხარჯებთან ერთად სახელმწიფოს ბიუჯეტში (госуд. роспись) შედიოდა. ამ დროიდან იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, ცხადია, კიდევ უფრო ენერგიულად ცდილობდა, რათა აქ შეემცირებინა ხარჯები და გაედიდებინა ადგილობრივი შემოსავალი.

1856 წ. 8 აგვისტოს გენ. ბარიატინსკი იმპერატორს მოახსენებს, რომ წლიური ხარჯთა ნუსხით ამიერკავკასიის შემოსავალი ისეა ნაანგარიშევი, რომ ის ვერ ფარავს მთელ ხარჯებს, რაც საჭიროა „ადგილობრივი მმართველობისა და მოწყობისათვის“ და სამხედრო (ჯარის ნაწილების შენახვის) უწყებისათვის[10]. ორიოდე წლით კიდევ უფრო ადრე კავკასიის ნამესტნიკი გენ. მურავიოვი აცხადებდა, რომ „მას არაერთგზის აქვს მიღებული იმპერატორის ბრძანება, რათა შეძლებისამებრ დაზოგოს ამიერკავკასიის ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხები და რომ ამ თანხების საფუძველია ოქროსა და ვერცხლის მონეტა“, რომელთა მოგზირნეობით ხარჯვას ის ესოდენი გულმოდგინებით ცდილობს. ამასთანავე ის ავალებს გენ. ბებუთოვს, რათა „ჩემმა ხაზინამ“ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში გასცეს ოქრო და ვერცხლი და ყოველმხრივ ეცადოს თავისი ოპერაციები დაფაროს საკრედიტო ბილეთებით[11].

ახლა ისევ სენატორების, კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მიერ ჩატარებული რევიზიის საკითხს უნდა დავუბრუნდეთ. უნდა ითქვას, მათ ბევრი გაბედული აზრი გამოთქვეს, მრავალი უსამართლობა და ბოროტება ამხილეს და როგორც ვაჭრობის განვითარების, ისე საერთოდ სახელმწიფოებრივი ხაზინის გაჯანსაღების რიგი ღონისძიება დასახეს. იქ ისიც უნდა ითქვას, რომ მათი მოქმედება პირველ ხანებში უფრო შემტევი და ობიექტური იყო, ხოლო მერმე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რამდენადმე მაინც... გაიშინაურა ისინი....

ბართალია, სახაზინო ექსპედიცია სენატორებს უმტკიცებდა, რომ საბაჟო იჯარების მეოხებით ხაზინა მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობსო, მაგრამ, როგორც ჩანს, სენატორები იმასაც ხედავდნენ და ამჩნევდნენ, თუმცა არ იმჩნევდნენ რომ ამჩნევდნენ, რომ ამ შემოსავლის დიდი ნაწილი თვით სახელმწიფო მოხელეების ჯიბეებში მიდიოდა და ეს იყო კოლონიის ეკონომიკური ექსპლოატაციის ერთ-ერთი წყარო. მაგრამ, მეორე მხრივ, სენატორები ნათლად ხედავდნენ და

---

[10] АСКАК, XII, с. 2.

[11] АСКАК, XI, № 697, с. 648.

ამას თვით იმპერატორსაც მოახსენებდნენ, რომ ამ შინაგანი საბაჟოების მიერ რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე აკრებილი ბაჟები, რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას ბევრად უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვინემ ბაჟების მოსაკრებელთა სახით ხაზინაში მიღებული შემოსავალი. ამიტომაც ისინი გადაჭრით მოითხოვენ, რათა საქართველოში შესატანი რუსული საქონელი არსად და არავითარი ბაჟებით არ იბეგრებოდეს.

2. ბაჟები საკვებ პროდუქტებზე

1. ახლა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის გადასახდელი, რაც აქ მეწარმოების სხვადასხვა დარგზე იყო დაწესებული და საერთოდ ბაჟის სახელწოდებით იყო ცნობილი, თავისი ეკონომიკური ხასიათითა და მნიშვნელობით, ფინანსური მეცნიერების თვალსაზრისით, ბაჟს არ წარმოადგენდა.

ბაჟი (таможенная пошлина) ესაა სახელმწიფოებრივი გადასახდელი, რაც გარკვეული ტარიფის შესაბამისად დაიდება საზღვარგარეთიდან შემოსატან ან უცხოეთში გასატან საქონელზე. ცენტრალისტური მონარქიების ჩამოყალიბებამდე ბაჟს თავიანთ ტერიტორიებზე აწესებდნენ ფეოდალური სენიორები. მაგრამ დიდ ფეოდალურ გაერთიანებათა სიუზერენებმა, მეფეებმა, როგორც, მაგალითად, ფულის (მონეტის) მოჭრის უფლება და სხვ. ასევე ბაჟების სახით შემოსავალთა მიღების წყაროები სახელმწიფოებრივი პრეროგატივების შემადგენელ ნაწილებად გამოაცხადეს და, ამდენადვე, კერძო (პარტიკულარული) ბაჟები ან შინაგანი ბაჟები (მას მერმე რაც სენიორიის საზღვრები მონარქიული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მოექცა), როგორც მათ ამიერიდან უწოდებდნენ, თანდათანობით აღკვეთეს, რაც იმავდროულად ფეოდალური იმუნიტეტებისა და საერთოდ პოლიტიკურ დამოუკიდებლობათა ლიკვიდაციას მოასწავებდა.

ის „ბაჟები", რაც ადგილობრივი წარმოების მარილსა, არაყსა, ღვინოსა, თამბაქოსა და სხვ. დაიდებოდა — უკვე აქციზს წარმოადგენს და იგი არაპირდაპირ გადასახადთა სისტემაში შედის, თანაც, ცხადია, სახელმწიფოს (ადრე ფეოდალის) შემოსავალთა წყაროს მნიშვნელოვანი დარგი იყო.

რაც შეეხება გზების, ხიდებისა და სხვ. ნაგებობათა სარგებლობისათვის დადგენილ „ბაჟს", ეს უკვე საფასურია და გულისხმობს საზღაურს იმ დანახარჯებისა, რაც ამა თუ იმ ობიექტის აშე-

ნებასა და სხვ. იყო გაწეული სახელმწიფოსა და კერძო პირის (კორპორაციის) მიერ.

საბალახოების, ტყეების, მდინარეების და სხვ. სარგებლობისათვის გადახდილი „ბაჟი“, ეს უკვე სხვისი (მონოპოლიური) საკუთრების (მფლობელობის) ექსპლოატაციის სანაცვალგებო მოსაკრებელია და მიწის რენტის, ღალის სახეობას წარმოადგენს.

სენატორების — კუტაისოვისა და მეჩნიკოვის შეკითხვის საპასუხოდ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი 1830 წ. 11 თებერვალს წარდგენილ მოხსენებაში აცხადებს, რომ საქართველოს ქალაქებში საკვებ პროდუქტებზე დაწესებულია მოსაკრებლები, რომელთა ამოღება გაცემულია იჯარა-გამოსყიდვის წესით, ანდა მინდობილი აქვთ საღალო შემოსავალთა კომისრებს. ესენია:

1. სამინბაშო, ე. ი. თბილისში შემოტანილ საკვებ პროდუქტებზე დაწესებული მოსაკრებელი, გაცემული იჯარით 1829—1833 წწ., წლიურად 2625 მან. ვერცხ. კონტრაქტის მიხედვით მეიჯარეს უფლება აქვს, ქართველ მეფეთა დროს არსებული ჩვეულების მიხედვით, აიღოს ერთ ურემ ღვინოზე 5 კაპ. ხოლო 1 საპალნეზე — 1 კაპ.; დირსაშალისა და ორთაშალის ზვრებიდან — 50 მან. თითოეულზე; შემოტანილ და გატანილ 1 ურემ, როგორც ახალ ისე ძველზე გამოყვანილ (გამხმარ) თევზზე — 10 კაპ.; აბანოს ალაყაფის კარებიდან შემორეკილ ცხვარსა და თხაზე, თითოზე — 2 კაპ., ხოლო მსხვილრქიან პირუტყვზე — 2,5 კაპ.; შემოდგომობით ავლაბრის ალაყაფის კარებში გავლით გარეკილ ცხვრის ფარაზე ერთი ცხვარი და ერთი ბატკანი. ყველა სხვა შემოსატან თუ გასატან ნაწარმზე საპალნის მიხედვით 2,5 კაპ.; საპალნით შემოტანილ კანაფზე — ლიტრობით 1 კაპ., ყოველ საპალნე საკვებ პროდუქტზე, პურის, ბრინჯის, ყველისა და ერბოს გამოკლებით, — 2,5 კაპ., შემოტანილ თევზზე, სახელდობრ გელაქნურსა და კალმახზე 1 საპალ. — 1 თევზი; შემოსატანი თუ გასატანი, მარილის ოთხ ქვაზე — 2,5 კაპ. ვერცხ. ეს მოსაკრებლები ედებოდა საეკლესიო საქონელსაც, რაც ადრე მეფეების სიგელებით თავისუფალი იყო. არ იბეგრებოდა თვით ხაზინის მიერ თავისი, ანდა სამხედრო მოსამსახურეთა მოსამარაგებლად შემოტანილი საქონელი.

2. სასაწონო (საყანთრო) მოსაკრებელი იჯარით იყო გაცემული 1827—1832 წწ. წლიურად 3155 მან. ვერცხლით. მეიჯარეს კონტრაქტის მიხედვით ჰყავს თავისი მსახურები და კონტროლიორები და უფლება აქვს თავის სასარგებლოდ აიღოს: 1 ფუთ ხორ-

ბალზე, ქერსა თუ ფეტვზე — 1/2 კაპ. და ყველა სხვა სანოვაგეზე ფუთობით — 1 კაპ. ვერცხ.

3. თ ე ვ ზ ი ს მოსაკრებელი 1829 წლიდან გადაცემული ჰქონდა თბილისის საღალო შემოსავალთა კომისარს. ხაზინამ კი 1829 წ. მიიღო 2800 მან. ვერცხ. 1829 წელზე ადრე დადებულ კონტრაქტში აღნიშნულია, რომ მეიჯარეს არ ეკრძალება თავის ხარჯზე ჰყავდეს მსახურები და მეთვალყურეები და თბილისში შემოტანილ თევზსა და ხიზილალაზე აიღოს მოსაკრებლები, იმ კერძო პირთა და ეკლესიებისაგანაც, რომლებიც ამ მხრივ საქართველოს მეფეთა სიგელებით თავისუფლები იყვნენ, გარდა ჯარებისათვის შემოტანილისა: ა. თბილისში შემოტანილ ყოველგვარ ახალ და გამხმარ თევზსა და აგრეთვე ხიზილალაზე: 1 ურემზე — 3,4 მან., ხოლო საპალნეზე — 80 კაპ. 1 საპალნე ორაგულსა თუ ზუთხზე — 2,5 თევზი, ხოლო წითელ თევზებზე, როგორიცაა გელაქნური და კალმახი ერთ საპალნეზე — 24 თევზი და ფულად — 40 კაპ., ბ. შემოტანილ თევზსა და ხიზილალას პატრონი თუ უკანვე გაიტანს მაშინ იხდის 1 ურემზე — 2 მან., ხოლო თუ სხვა ვინმე იყიდის და გაიტანს ის იხდის — 4 მან. ვერცხ. გ. თუ გელაქნურისა და კალმახის შემომტანი რაიმე აუცილებლობით, ანუ საკუთარი სურვილით 1 საპალნეს ორად გაყოფს, მაშინ ყოველ ნახევარ საპალნეზე — 12 თევზი და 20 კაპ. აიღება.[12].

ჟ. განჯაში (ელისავეტოპოლს) ა ლ ა ფ ხ ა ნ ი ს მოსაკრებელი,— აქ გასაყიდად შემოტანილი პურისა — იჯარით ჰქონდა სომეხ ვაჭარ არაქელოვს 1828—1832 წწ., მას წლიურად ხაზინაში შეჰქონდა 450 მან. ვერცხ. მასთან დადებული კონტრაქტით დაწესებული იყო: წინანდელი მფლობელის ჯევათახანის დროს არსებული ჩვეულების მიხედვით გასაყიდად შემოტანილ: ხორბალზე, ქერზე, ფქვილზე, ფეტვსა თუ ბრინჯზე აეღო ერთი მეოცდაათედი (1/30) ნაწილი.

განჯის ოკრუგის სოფლებში სამუხსა და ყარასიყალაში გამხმარი თევზის მოსაკრებელის იჯარა 1827—1832 წწ. აღებული ჰქონდა თბილისელ მოქალაქეს იაგორა შადინოვს, რომელსაც წლიურად ხაზინაში შეჰქონდა 230 მან. ვერცხ. მეიჯარე, კონტრაქტის მიხედვით, ხსენებულ სოფლებში, თავის სასარგებლოდ იღებდა ისე, როგორც ეს დადგენილი იყო ჯევათხანის დროს, ყოველ გატანილ ურემ თევზზე 1,5 მან. ვერცხ. ახლა მოსაკრებელისაგან არ თავისუფლდებოდ-

---

[12] ЛОЦИА, ф. КК. д. № 7, 1837 г., лл. 227—228.

ნენ ისინიც, რომელნიც წინანდელი ხანების დროს მას არ იხდიდ-ნენ[13].

შემდეგ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი აღნიშნავს, რომ სურსათ-სანოვაგეზე ეს მოსაკრებლები უნდა გაუქ-მებულიყო ჯერ კიდევ 1808 წელს, — იმპერატორის მიერ გენ.-ფელდმარშალ გუდოვიჩისადმი გაცემული ბრძანებით. მაგრამ ამით ხაზინა ჰკარგავდა მნიშვნელოვან შემოსავალს, რის გამოც ყოველივე ეს ეცნობა ფინანსთა მინისტრს და ამგვარად... იმპერა-ტორის ბრძანება არ განხორციელებულა, თუმცა წინანდელ მეფე-თაგან დადგენილი ამ მოსაკრებლებით ძლიერ შევიწროებულია მოსახლეობაო...

გუბერნატორის მოხსენების დედანს ამ ადგილას მარგინალზე კუტაისოვის ხელით აქვს მინაწერი: „ეს ისეთ აზრს ატარებს, რომ ყურს უგდებდნენ უფრო მინისტრს, ვინემ ხელმწიფეს"[14].

ელისავეტოპოლში გარდა ხსენებულისა, სურსათ-სანოვაგეზე გაწერილი მოსაკრებლის სახით ხაზინა შემოსავალს ღებულობდა 1829 წლიდან წლიურად 410 მან. ვერცხ. იქაური კომისრისაგან, რომელიც მოსაკრებელს იღებდა გასაყიდად შემოტანილ ახალ და დამარილებულ თევზსა და ხიხილალაზე; აგრეთვე ყასაბხანი-დან, — 1850 მან. წლიურად, მსხვილრქიანი პირუტყვის დაკვლის მოსაკრებელს. ეს გადასახდელებიც, როგორც ზავილეისკი ირწმუ-ნებოდა, დაწესებული იყო ჯევათხანის მფლობელობის დროს[15].

1831 წ. 28 ნოემბერს სენატორებმა კუტაისოვმა და მეჩნიკოვმა იმ-პერატორს წარუდგინეს მოხსენება: «По делу о существующем в Закавказском крае сборе пошлин за привозимые для продажи съестные припасы». სენატორები აღნიშნავენ, რომ მათ სხვათა შორის აღმოაჩინეს, რომ „საქართველოსა და იმერეთში არსებობს შინაგანი ბაჟები სოფლებიდან ქალაქებში შემოსატან და აქედან გასატან სურსათ-სანოვაგეზე, რომ ეს მოსაკრებელი დაწესებულია ჯერ კიდევ ამ ქვეყნის წინანდელ მფლობელთაგან, ხოლო შემდ-გომში მან მიიღო იჯარა-გამოსყიდვის სისტემის (система откупа) ფორმა, რაც ხაზინას წლიურად აძლევს 8000 მან. შემოსავალს"[16].

---

[13] ЛОЦИА, ф. КК. д. № 7, 1837 г., л. 229.

[14] იქვე, ფურც. 230.

[15] იქვე, ფურც. 230—231.

[16] იქვე, ფურც. 241—242.

ამავე დროს აქ შინაგანი ბაჟების გადახდევინება პირველად ჯერ კიდევ 1804 წ. იყო აკრძალული, ხოლო 1807 წ. კომერციის მინისტრის სახელზე გაცემული იმპერატორის რესკრიპტით საქართველოში ყოველგვარი შინაგანი ბაჟები უნდა გაუქმებულიყო. მიუხედავად ამისა საქართველოს სახაზინო ექსპედიციამ საჭიროდ მიიჩნია მხოლოდ ზოგიერთი, ნაკლებმნიშვნელოვანი ბაჟების მოსპობა. ხოლო დიდშემოსავლიანი მოსაკრებლები, რომლებიც გაიცემოდა იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე არ გააუქმა... კონტრაქტების ვადის გასვლამდე. მაგრამ მერმე, ამ ვადის გასვლის შემდეგაც, საქართველოს მთავარმართებელმა გენ. ტორმასოვმა „ყურად იღო“ მეიჯარეთა თხოვნა და კვლავ გააგრძელა „ქართველ მეფეთა დროს დადგენილი“ ბაჟების აკრება.

სენატორები მსჯელობენ: შინაგანი ბაჟები უკიდურესობამდე ავიწროებენ ქალაქის მცხოვრებთ და კიდევ უფრო სოფლის მესარეწეობას, რამდენადაც არც ერთ გლეხს, არც ერთ მემამულეს არ შეუძლია ქალაქში გასაყიდად შეიტანოს საკვები პროდუქტები, თუ არ გადაიხადა ბაჟები. საცოდავი გლეხი, რომელსაც ამ ბაჟისათვის გადასახდელი ფული არა აქვს, იძულებულია ქალაქის ალაყაფის კარებიდან მოშორებით თავისი სანოვაგე უმნიშვნელო ფასად მიჰყიდოს სომეხ-გადამყიდველებს და მას თავი მაინც ბედნიერად მიაჩნია, რომ თავი დააღწია მეიჯარე-გამომსყიდველთაგან დაყენებული ბოქაულებისა და ზედამხედველთა მატრაბაზობას.

სენატორები ასკვნიან: შინაგანი ბაჟები უნდა მოისპოს. ამით, მართალია ხაზინას დააკლდება 8000 მან. ვერცხ., მაგრამ ეს შეიძლება დაიფაროს იქ ღვინოზე არსებული აქციზის უმნიშვნელო წამატებით... და თუნდაც ხაზინას ამ შემოსავლის ნაწილი დაკლდეს... იგი ანაზღაურდება მთელი ხალხის მადლიერებითა და აღიარებით იმისა, რომ მასზე ზრუნავს მთავრობა, რომელიც ამ საქმეში, როგორღაც მხოლოდ მეიჯარე-შემსყიდველებს მფარველობდაო, — აღიარებენ ისინი[17].

---

[17] ჩვენ ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ამ დოკუმენტის დედნიდან მოვიყვანთ მცირეოდენ ამონაწერს. სენატორები (1831. 11. 28) აცხადებენ: ...Внутренние пошлины со съестных припасов в Грузии до сих пор существует к нестерпимому угнетению городских жителей, а более сельской промышленности, ибо ни один крестьянин, ни один помещик не может привести в город для продажи съестных припасов, не заплатя пошлины. Бедный крестья-

3. პარტიკულარული გაუები

1831 წ. 28 ნოემბერს სენატორებმა კუტაისოვმა და მეჩნიკოვმა რუსეთის იმპერიის უმართებულეს სენატს მოახსენეს, რომ ჯერ კიდევ 1829 წ. 16 მაისს იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში საქართველოს მთავარსარდალი გენ.-ფელდმარშალი პასკევიჩი აცხადებდა, რომ საქართველოში ახლაც ახდევინებენ კერძო პირთა სასარგებლოდ სხვადასხვა ბაჟებს, რაც მეოთხედი საუკუნის წინათ იყო გაუქმებული[18].

შესაბამის მასალათა შესწავლის შედეგად სენატორებმა გაიგეს, რომ საქართველოს მეფეები თავიანთ ქვეშევრდომებს აძლევდნენ ხოლმე სიგელებს, მათს თანამდებობასთან დაკავშირებულ საბოძვართა და შემოსავალთა შესახებ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1803 წ. 18 ივნისს მაშინდელმა მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა განკარგულება გასცა, რათა: მეფე გიორგის სამსახურ-

---

нин не имея на платеж сей пошлины денег, по необходимости должен в некотором расстоянии от городских застав, продавать свои припасы перекупщикам армянам за ничтожную цену, какую обыкновенно сии последние платят и при сем малом возмездии, считает себя счастливым, что избавился от предстоящих мытарств, от приставов, и досмотрщиков учрежденных от купщиками...

По всем таковым обстоятельствам мы и пологали бы: в Грузии и Имеретии сбор внутренних пошлин за съестные припасы прекратить с чем вместе хотя казна и лишится дохода до 8000 руб. серебром, но сие можно вознаградить ничтожною прибавкой существующего там акциза на ввоз вина, и покрыть весь расход, какой казна должна иметь от уничтожения сбора за съестные припасы, а если б какая либо часть оного и осталась на счету, то сей недостаток вознаградится благодарностью и признательностью всего народа за попечение об нем правительства, которое в сем деле, как бы покравительствовало одних только откупщиков...» (ЛОЦИА, ф. КК, д. № 7, 1837 г., л. 241).

[18] Кутаисов и Мечников: «Там нет почти ни одного произведения земли, ни одной отрасли промышленности, которая не была бы внекоторых местах обложена пошлиной казне; даже первые потребности человека, съестные припасы, от сего не изиммаются; но наибольшее зло производят рахдары, или внутренние введенние еще прежними владельцами, таможенные пошлины, умерщвляющне торговлю и промыслы. Пошлины сии собирают даже частные лица в собственную свою пользу, при провозе через имения их товаров. Следствие чего и есть то что в закавказье доселе еще нет ни заводов, ни фабрик принадлежащим владельцам частным» (ЛОЦИА, ф. КК, 1837, д. № 7, на лл. 247).

ში მყოფი ყველა მოხელის სიის შედგენის მიზნით თავადებმა და აზნაურებმა წარადგინონ მეფისაგან მიღებული სიგელები და უწყებები, თუ ვის რა ადგილი და თანამდებობა ეჭირა, ვინ რამდენს და სახელდობრ საიდან ღებულობდა ყოველწლიურად, თავის თანამდებობისა და წოდების შესაბამისად... მერმინდელი განკარგულებებით დოკუმენტები, რომლებიც დანიშნულ უკანასკნელ ვადამდე (1807 წ დეკემბრამდე) არ იქნებოდა წარდგენილი, გაუქმებულად ცხადდებოდა[19]..

საქართველოს მთავარსარდლების სახელზე გაცემული იმპერატორის ორი (1804 და 1807) ბრძანებულებით, ეს სიგელები წესრიგში უნდა მოეყვანათ და სპეციალურად შეესწავლათ მათი აუთენტურობის საკითხი, სიგელებით ბოძებულ შემოსავალთა წყაროების ახლანდელი მდგომარეობა, თვით სიგელთა ვადის, ე. ი. დროებითი თუ მემკვიდრეობითი ხასიათი და სხვ.

საქართველოს მთავარსარდლის გრაფ გუდოვიჩის განკარგულებით საქართველოს უმაღლესი მთავრობის „საერთო კრებას" (Общее собрание Верховного Грузинского правительства) დაევალა ხსენებული თვალსაზრისით ამ დოკუმენტების შესწავლა და იმის გარკვევაც, თუ მეფე გიორგის გარდაცვალებამდე დასახელებული პირები ნამდვილად სარგებლობდნენ სიგელებში აღნიშნული შემოსავლებითა და თანამდებობებით (უფლებებით).

თუ როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში ხსენებული განკარგულებები იქიდან ჩანს, რომ 1808 წ. 23 დეკემბერს გუდოვიჩმა „საერთო კრებას" აცნობა: აზნაურებმა — შანშიაშვილმა და შაბულათოვმა ითხოვეს საზღაურები იმ ადგილისა და შემოსავლისათვის, რასაც ისინი ქართველი მეფეების დროს ღებულობდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა თავადმა კურაკინმა გრაფ. გუდოვიჩს შეატყობინა, რომ იმპერატორმა არ შეიწყნარა მათი თხოვნა, რადგან სიგელთა წარდგენის ვადა უკვე გასული იყო და თანაც ისინი რუსეთის სამსახურში არ ყოფილან... ახლა გუდოვიჩი „საერთო კრებას" წინადადებას აძლევს, რომ „საქართველოს სხვა მოხელეთა" ანალოგიური სიგელები არ განიხილონ და უკანვე დააბრუნონ.

სენატორების მიერ მოპოვებული ცნობებით 1830-იან წლებში საქართველოში ბაკუბს კრებდა ყაზახის ვექილი ალი-აღა. მას გიორგი მეფის სიგელით უფლება ჰქონდა ყაზახის დისტანციით გამოვლილ საქონელზე აეღო ბაჟი. ანალოგიურ მოსაკრებელს იღებდნენ

[19] საქმე ისაა, რომ ახალი რეჟიმის დამყარების დროს ძველი სამეფო არქივების დიდი ნაწილი დაიღუპა, — დაიწვა, დაიტაცეს.

აგრეთვე: აღალარი ოსკარ-აღა, გზის ყარაულობისათვის; მეიჯარე-შემსყიდველი ელიოზიშვილი — საეკლესიო ბაეს, საიდაბადის გზით გადაზიდულ საზღვარგარეთულ საქონელზე; თავადი ორბელიანები — მათს მიწებზე გამვლელ ურმებსა და საპალნეებზე, ბალახისა და ტყის გაფუჭებისათვის, 1 ურემზე — 30 კაპ. და 1 საპალნეზე — 10 კაპ. ორბელიანებს ეს უფლება ნაბოძები ჰქონდათ მეფე თეიმურაზისა და გიორგი ბატონიშვილის სიგელებით[20].

ასლან, დიმიტრი, ლუარსაბ, ალექსანდრე, ვახტანგ და ზაალ ორბელიანებმა განმარტება წარადგინეს, რომ ისინი ახდევინებენ არა ბაეებს, არამედ საბალახო მოსაკრებელს, რამდენადაც მათს მამულებზე გამვლელი ტრანსპორტი აუცილებლობით საჭიროებს ბალახსაც და ტყესაც. მაგრამ სხვა ცნობები უჩვენებდნენ, რომ მათი კაცები ნამდვილად მათს მამულებზე გატანილ საქონელსაც ბეგრავდნენ და არა მხოლოდ საბალახოს იღებდნენ, როგორც ეს კეთდებოდა ბორჩალოში, აქაური თათრების ჯოგზე დაწესებული მოსაკრებელის აღების სახით, რასაც ორბელიანებს როგორც მემამულეებს არ ედავებოდნენ.

იმერეთში ბაეებს კრებდნენ:

1. პოდპოლკ. თავ. წერეთელი — ონის გზით გარეკილ პირუტყვზე, გატანილ ღვინოზე და სხვ. და ჩალის გორის გზით მიმავალი პირუტყვის გაძოვებისათვის — იმერეთის უკანასკნელ მეფეთაგან 1784 და 1792 წწ. ბოძებული სიგელის ძალით.

იმერეთის მეფემ დავითმა 1784 წ. გაცემული სიგელით სარდალ პაპუნა წერეთელს, მის ძმებს სახელთუხუცესს ზურაბსა და ბერს რაჭაში უწყალობა სოფლები, ციხესიმაგრეები შიგ მცხოვრები აზნაურებით, მსახურებითა და გლეხებით; აგრეთვე მემკვიდრეობით სამეფო ქალაქი ონი და იქ მცხოვრები მეფის ვაჭრები და სხვანი მთელი მათი ქონებით, უძრავითა და მოძრავით. კიდევ ს. წედისი თავისი სამეფო მცხოვრებლებით, მათი მიწებითა და მამულებით... 1792 წ. იმერეთის მეფემ სოლომონ არჩილის ძემ და დე-

---

[20] ყაფლანიანთ ერთ 1690 წ. საბუთში ნათქვამია: „ქ. ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაეი სულ ჩვენია: ბრეშუმზე — აბაზი, ენდოზე და ბანბაზე — ორი შაური, ფარჩაზე — ექვსი შაური, ხიზილალაზე, თევზზე — ერთი შაური, ბრინჯზე — ერთი შაური" (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები..., II, 443). 1754 წ. „ელის კაცნი" ორბელიანებს უჩიოდნენ: „ჩვენ ამათთვის ბაეი არ გვიძლევია და ახლა გვთხოვენო" (გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 108—109).

დოფალმა მარიამ დადიანის ასულმა სარდალ ქაიხოსრო წერეთელს უწყალობეს ჩალის გორის გზის ბაჟი მთლიანად (აქამდე ბაჟის მესამედი მეფისა ყოფილა)[21].

2. პოდპოლკ. თავ. ანტონ ერისთავი — ს. წესში ხიდისკარის ხიდზე (მდ. რიონზე) გასვლისათვის — საქართველოს მთავარსარდლის გენ. ტორმასოვის ნებართვით (1811 წ.). საქმე ისაა, რომ იმერეთის ორ სამხედრო ექსპედიციაში არაჩვეულებრივი თავგამოდებისა და ერთგულებისათვის მთავარსარდლის გენ. ტორმასოვის წარდგინებით იმპერატორმა ერისთავს დაუბრუნა მეფე სოლომონ პირველის მიერ წართმეული სოფლები, მამულები და ყმები რაჭაში, მით უფრო, რომ ისინი აქამდე იმყოფებოდნენ „რუსეთის არაკეთილმოსურნეთა ხელში“. ამ მიწებზე ცხოვრობდა სულ 173 კომლი, მ. შ. 4 აზნაურის ოჯახი.

ქუთაისის კომენდანტ გ.-მაიორ ორლოვისათვის წარდგენილ ცნობაში (1830.7.19) ა. ერისთავი აცხადებს: რომ ს. წესში, რიონზე გადებულ ხიდზე ის იღებს ბაჟს, რაც წლიურად არ აღემატება 300 მან. ვერცხ: რომ ეს ხიდი აშენებულია მისი წინაპრის პაპუნა ერისთავის მიერ და უკვე 200 წელზე მეტია, რომ ამ ხიდზე ბაჟის აღება გრძელდება[22].

შექის პროვინციაში ბაზრებზე მოვაჭრეებს ბაჟს ახდევინებდა შვიდი ბეგი, რომელთაგან ზოგიერთს ამის უფლება ჰქონდა ყოფილი ხანებისაგან, ხოლო ზოგიერთი სარგებლობდა „წინაპართა უფლებით“, რისი დასამტკიცებელი დოკუმენტები არ მოეპოვებოდათ. შირვანში შემოტანილ საქონელზე ბაჟს ღებულობდა ორი ბეგი, რომელთაც ამის ნებართვა მიღებული ჰქონდათ გენ. ერმოლოვისაგან. ყარაბაღის პროვინციაში ბაჟის აკრება, მართალია, იჯარით გაიცემოდა ხაზინისაგან, მაგრამ შემოსავლის ნაწილი ეძლეოდა იმ კერძო პირებს, რომლებიც წინათ მას იღებდნენ საკუთარი სარგებლობისათვის.

სენატორები გაკვირვებას გამოთქვამენ, რომ კერძო პირები ბაჟებს აქამდე თვით საქართველოშიც კი (იგულისხმება აღმ. საქართველოსა და განჯის ყოფ. სახანო) კრებდნენ. მაგრამ ახლა პასკევიჩის განკარგულებით ასეთი უსამართლობა „სავსებით შეწყვეტილია“. მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, 1831 წ. 14 თებერვალს

---

[21] ЛОЦИА, ф. КК, д. 7, ფურც. 323 და 326; — იმერეთის მმართველის გენ.-მ. გენეს მოხსენებები.

[22] •ქვე, ფურც. 328.

გაფრთხილება მიეცა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, რომ სასტიკი მეთვალყურეობა დააწესოს, რათა ამიერიდან არავინ კერძო პირთაგან კვლავ არ დაიწყოს საბაჟო მოსაკრებელთა აღება[23].

ორბელიანები მაინც სხვანი იყვნენ. მათ მიაღწიეს დაემტკიცებინათ, რომ ბორჩალოსა თუ ბამბაკში თავიანთ მამულებზე გამვლელ ტრანსპორტებს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე 10 დღეზე მეტს აყოვნებდნენ, ისინი, ე. ი. მათი მეიჯარე გლეხები — საიფოვი და ბებუთოვი ახდევინებდნენ სახელდობრ საბალახოს (ტყისა და ბალახის მოხმარება-გაფუჭებისათვის) და არა ბაჟს... ახლა სენატორები ადგილობრივ ხელისუფალთ ურჩევენ, რომ ორბელიანების საქმე მოაგვარონ „ყოველგვარი მცირეოდენი გაჭიანურების გარეშე“ და „რომ საქმის განხილვისას მხედველობაში მიიღონ თავადაზნაურული საკუთრების უფლება“, რაც არაა დამოკიდებული ცალკეული სიგელებით ბოძებული ბაჟის აკრების უფლებისაგან.

ანალოგიური უნდა ყოფილიყო წერეთლისა და ერისთავის საქმეც. თუ ისინი ბაჟებს კრებენ „თავიანთ მამულებში გამვლელთათვის საჭირო გზებისა და ხიდების წესიერი მოვლისათვის და ბალახისა და ტყის გაფუჭებისათვის“, რასაც როგორც საკუთარი მამულებით სარგებლობას არ კრძალავენ არც ქართული და არც რუსული კანონები, მაშინ ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები და ისეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, რაც „ხელს არ შეუშლის მემამულეს ისარგებლოს თავისი საკუთრებით და ამასთანავე არ შეავიწროებს სავაჭრო მესარეწეობასო“, — ასკვნიან სენატორები.

ამიერკავკასიის მუსლიმანურ პროვინციებში კერძო პირთაგან ბაჟის აღება კიდევ გრძელდება, რაც „შემავიწროებელია ხალხისა და მავნებელია სავაჭრო მესარეწეობისა და თვით სახელმწიფოებრივი ეკონომიისათვის“ და, ყოველივე ამის გამო, იგი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, მაგრამ... სენატორებისათვის ეს მაგრამ სწორედ ისეთია, როგორც ერთი იმდროინდელი ფრანგული ანდაზისათვის: მაგრამ... შეიძლება ისეთიც იყოს, რომ მთელი პარიზი - ჩაყლაპოს.

მაგრამ: ა. მუსლიმანურ პროვინციებს გარდა ანალოგიური საბაჟო მოსაკრებელი შეიძლება არსებობდეს ამ ცოტა ხნის წინათ

---

[23] ЛОЦИА, ф. КК, д. 7, 1837 г., лл. 249—250, 399.

დაპყრობილ ოლქებში, როგორიც არიან: ახალციხე, ახალქალაქი, სომხეთი და გურია; ბ. რომ ამ პროვინციებში ბაჟების აკრების უფლების გაუქმებამ შეიძლება პოლიტიკური თვალსაზრისით უარყოფითი გავლენა იქონიოს არა მხოლოდ ამ პროვინციების ხალხებზე, არამედ სხვებზედაც...; გ. რომ საქართველოში კერძო პირებს, რომელთაც ბაჟის აკრების უფლება წაერთვა და რომელთაც სათანადო დოკუმენტები დროზე წარადგინეს, მიეცა გარკვეული საზღაური და სხვ.. და ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი: ახლად შემოერთებულ პროვინციებშიც ადგილობრივ ხელისუფლებას დაეევალოს შეაგროვოს ამ საკითხზე დაწვრილებითი ცნობები და, მერმე, ამ მასალათა საფუძვლიანი შესწავლის კვალობაზე გადაწყდეს, თუ სახელდობრ რა სახით და როგორი ზომებით იქნებოდა გაუქმებული ყოველგვარი შინაგანი ბაჟები[21].

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის რევიზიისათვის მოვლინებულ სენატორებს პ. კუტაისოვსა და ე. მეჩნიკოვს უდგენს ვრცელ ინფორმაციას (1831 წ.) კერძო პირთა მიერ ბაჟების აკრების თაობაზე: ნახჩევანის მცხოვრებლები ჰაჯი შირ-მაჰმედ-აღა, მაჰმად მაჰმადი და სხვ. საქართველოს მთავარსარდალს საჩივარს უგზავნიან, რომ მათ ყაზახის დისტანციაში ყოველ საპალნე ბამბაზე გადაახდეინეს 85 კაპ. ვერცხ. ბაჟი. სიღნაღელი სომხები ოლქის უფროსის წინაშე ჩივიან, რომ მათ უკრძალავენ ივაჭრონ თელავის მაზრაში იმის გამო, რომ აქაურ სოფლებში ვაჭრობის უფლება გაცემულია იჯარა-შესყიდვის კონტრაქტით.

ალმოჩნდა, რომ ყაზახის ვექილი ალი-აღა ამ დისტანციაზე ახდევინებდა ბაჟს, მაშინ როდესაც ეს მას აკრძალული ჰქონდა უკვე 1829 წ. გაცემული განკარგულებით. როდესაც გენ. პასკევიჩმა მოითხოვა საჭირო განმარტება ყაზახის ბოქაულმა მაიორმა შჩეკუტინმა მას აცნობა, რომ მისი ბრძანების შესრულება შეუძლებელია, რადგან 1826 წელს აჯანყებულებმა ადგილობრივ სამმართველოს კანცელარიის საქმეები, ე. ი. დოკუმენტები გაანადგურესო, ცეცხლს მისცესო.

რაც შეეხება თელავის მაზრის სოფლებში ვაჭრობის მოწესრიგების საკითხს გამოირკვა, რომ ზოგიერთმა აქაურმა მემამულემ და სოფლის მამასახლისმა ზეპირი ხელშეკრულება დადეს ვაჭრებთან, რომ მათს სოფლებში მხოლოდ ამათ გაეყიდათ საქონელი, ოღონდ

---

[24] იქვე, ფურც. 251—252.

ან უფლებისათვის, თუ მყიდველს ნაღდი ფული არ ექნებოდა ვაჭარს საქონელი ნისიად უნდა მიეცა. ამგვარად, ადგილობრივი ვაჭრების კაბალაში ექცეოდა მაზრის სოფლების მთელი მოსახლეობა. ეს „შეთანხმება“ აიკრძალა, რათა აღდგენილიყო „თავისუფალი ვაჭრობის“ შელახული პრინციპები.

გენ.-მ. კონსტანტინე მუხრან-ბატონი და მისი ძმები ერემია და ნიკოლოზი და კიდევ მათი სხვა ნათესავები, რომელთა საერთო მფლობელობაში იყო ს. მუხრანი (დუშეთის მაზ.), აქ ბაჟს ახდევინებდნენ მოვაჭრეებს: ერთ შეკვრა (тюк) ბამბაზე — 20 კაპ., ერთ შეკვრა ცხვრის მატყლზე — 60 კაპ., 10 მანეთის თევზსა და ხიზილალაზე — 50 კაპ., ერთ ქვამარილზე — 5 კაპ., ყასბებზე — ცხვრისა და ღორისათვის 2,5 კაპ., ხოლო ძროხისათვის — 5 კაპ. მაგრამ ეს ბაჟები (წლიურად სულ 300 მანეთამდე) ახლა (1831 წ.) გაუქმებულია. და საერთოდაც საქართველოში კერძო პირთა მიერ ბაჟები უკვე არსად არ აიკრიბება[25].

იმპერიის ფინანსთა მინისტრმა, ცნობილმა ეკონომისტმა კანკრინმა, სენატორების მიერ ამიერკავკასიაში არსებული შინაგანი ბაჟების ლიკვიდაციის თაობაზე აღძრული საკითხი, შემდეგ, რუსეთის მინისტრთა კომიტეტის მსჯელობის საგნად გახადა (1831) და, ბოლოს, უმართებულესი სენატისადმი მოხსენებაში (1832.8.13) აღნიშნა, რომ:

1. ამიერკავკასიაში რუსეთიდან შეტანილ საქონელზე ბაჟების აკრძალვა ერთბაშად არ შეიძლება, რადგან მას საამისო დეტალური ცნობები კიდევ არ მოეპოვება. შეიძლება, რომ ეს ბაჟები გათვალისწინებული არიან საკონტრაქტო პირობებით, რომელთა ვადა კიდევ არაა გასული, რაც საქართველოს სახაზინო ექსპედიციამ უნდა ვაითვალისწინოს, ხოლო ახალი კონტრაქტების დადებისას კი ეს ბაჟები მოხსნან.

2. გასაყიდად გატანილ სურსათ-სანოვაგეზე (საკვებ პროდუქტებზე) დაწესებული ბაჟების გაუქმება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რადგან ისინი გაცემულია იჯარაგამოსყიდვის საფუძველზე და ამის გამო... სათანადო კონტრაქტების ვადის ფარგლებში მეიჯარეთა უფლების დარღვევა არ შეიძლება.

ფინანსთა მინისტრის ეს მოსაზრებები დაადასტურა იმპერატორმა, რომელმაც სწორედ ამ ხანებში (1831. 6. 3) დაამტკიცა სპეციალური დებულება ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ბაჟების საქმის

---

[25] ЛОЦИА, ф. КК, д. № 7, 1837, лл. 337—342.

მოწესრიგების“ შესახებ (Положение об устройстве торговых и таможенных дел в Закавказском крае), რაც არსებითად საწყისს უდებდა „სავსებით ახალ“ საბაჟო და საგაჭრო პოლიტიკას კოლონიაში და რაც ძალაში შედიოდა 1832 წლიდან, ე. ი. შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის შესახებ ცნობილი კანონის ვადის გასვლის შემდეგ[26].

ამ დებულების მეთექვსმეტე პარაგრაფში ნათქვამია: „საქონლის შემოტანასთან დაკავშირებული ყოველგვარი რახტარის (საბაჟო საფასურის) გადახდევინება ამიერკავკასიაში უახლოეს ხანებში უქმდება — ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულებისამებრ, ხოლო ამის გამო დაზარალებულთ ეძლევათ შესაფერისი საზღაური. შინაგან მესარეწეობაზე დაწესებული რახტარებიც თუ ისინი ამ მესარეწეობას ავიწროებენ, თანდათანობით უნდა გარდაიქმნან ანდა გაუქმდნენ“.

ფინანსთა მინისტრს კანკრინს მიაჩნია, რომ ეს დებულება არის პირველი ნაბიჯი ამიერკავკასიის, — მ. შ. თურქმენჩაისა და ადრიანოპოლის ტრაქტატების საფუძველზე ახლად შემოერთებული ირანისა და თურქეთის ყოფილი პროვინციების, ე. ი. ერევნის ყოფილი სახანოს, ახალციხის ყოფილი საფაშოსა და სხვ.—მთელი ფინანსური მეურნეობის ახალი რეორგანიზაციის საქმეში; — რომ ამ საქმის წარმატების მიზნით მოგროვდა და გროვდება საჭირო ცნობები და აგრეთვე ტარდება ამ მხარის კამერალური აღწერა.

რამდენადაც ეს აქტი მეტროპოლიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ახალი და დიდმნიშვნელოვანი მოსაბრუნია, მინისტრის თეზისი მოგვყავს ორიგინალის ენაზე. „Сие последнее положение... должно быть почитаемо первым шагом к новому преобразованию всей финансовой части того края, не исключая и вновь приобретенных по трактатам Туркменчайскому и Адриапольскому от Персии и Турции провинций — на каковой конец собраны и собираются еще нужные сведения, а также сделаны надлежащие распоряжения о камеральном описании того края»[27].

მინისტრი უმართებულეს სენატს, სენატორებს კუტაისოვსა და მეჩნიკოვს, ამიერკავკასიის ადგილობრივ ხელისუფალთ ამშვიდებს,

---

[26] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, ტ. I, 1949, თბ., გვ. 135—257.

[27] ЛОЦИА, ф. КК, д. № 7, с. 404—407.

რომ ამიერიდან ყოველივე მოწესრიგებული იქნება და თანაც კეთილსასურველ ნიადაგზე, რომ ის ამ საქმეში მთლიანად შეთანხმებულია ამიერკავკასიის მთავარმართებელ გენ.-ფელდმარშალ პასკევიჩთან და რომ ყოველ საჭირო შემთხვევაში საქმის მიმდინარეობის კურსში აყენებს თვით... იმპერატორს... — ნეტარ არიან მორწმუნენი!

***

კერძო ბაჟების სისტემას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოდან ვლადიკავკაზში (ძაუ-ჯიკაუში, ახ. ორჯონიკიძეში) და პირუკუ მიმმავალთა (ვაჭართა, მგზავრთა) დაბეგვრა „განსაკუთრებული მოსაკრებელით“, რასაც ტაგაურის ხეობაში „ძველი დროიდანვე“ იღებდნენ[28].

1837 წ. 22 ივნისის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის მიმოხილვაში გადმოცემულია საკითხის ისტორია. რუსეთთან მოვაჭრე ქართველი კომერსანტები ტაგაურის ხეობაში მგზავრობის უსაფრთხოებისათვის ტაგაურელებს უხდიდნენ ბაჟს: ერთი ვაჭარი ერთ საპალნე ყოველგვარ საქონელზე 30—40 მან. ვერცხ[29]. ამ საფასურისათვის ტაგაურელნი ამ ხეობაში კისრულობდნენ მგზავრების და ვაჭართა და ქარავანთა დაცვას. გენ. პ. ციციანოვმა, იმ მიზნით, რათა ხელი შეეწყო რუსეთ-საქართველოს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის, ტაგაურელებს დაუდგინა: ვაჭრებისაგან აეღოთ მანამდე არსებული ბაჟის ნახევარი, ხოლო სხვა მგზავრთაგან ერთ სულზე 75 კაპ.

შემდეგ გენ.-ფელდმარშალ გუდოვიჩმა 1809 წ. დაადგინა, რათა ტაგაურელებს ყოველ ვაჭარსა და მის საქონელზე ბაჟი აეღოთ 10 მან., ხოლო ქართველ და სომეხ მგზავრზე ცხენოსანსა და ფეხოსანზე 35 და 20 კაპ. ამასთანავე ტაგაურელებს ევალებოდათ ამ საფასურისათვის გაყოლოდნენ მგზავრებს ყაზბეგიდან ვლადიკავკაზამდე და უკანვე და თანაც მათვე ეკისრებოდათ მთელი პასუხისმგებლობა მგზავრთა პირადი თუ ქონებრივი ხელუხლებლობისათვის[30].

---

[28] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. VI, с. 743.

[29] მოსაკრებელთა შესახებ ცნობები განზრახ გაზვიადებულია.

[30] II ПСЗРИ, т. XII, ч. I, 1837, № 10368, с. 575.

ასეთი ვითარება, ნათქვამია 1837 წ. მიღებულ კანონში, „გამართლებული იყო, როდესაც ტაგაურელები მეგზურობდნენ და საკუთარი რაზმებით ბადრაგობდნენ მგზავრებს იმდროინდელ პიროებებში“, როდესაც საერთოდ თერგის ხეობაში ყაჩაღები თარეშობდნენ, მაგრამ ახლა საქართველოს სამხედრო გზაზე „აშენებულია ჩვენი საყარაულოები და მგზავრებს იცავენ საბხედრო ნაწილები ტაგაურელთა ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე“. მიუხედავად ამისა ისინი წინათ დადგენილ ბაჟებს კრებდნენ 1830 წლამდე.

მაგრამ მას მერმე რაც ვლადიკავკაზის მახლობლად მცხოვრებ სხვა ოსებთან ერთად ტაგაურელებმაც მიიღეს მონაწილეობა მაშინ მომხდარ არეულობაში, გენ.-ფელდმარშალ პასკევიჩმა, 1830 წ. ბოლოს, მათ სამუდამოდ წაართვა უფლება ხსენებული ბაჟის აღებისა და განკარგულება გასცა ამიერიდან ეს ბაჟი ჩაერიცხათ საქართველოს მთავარმართებლის თანხებში. ამ თანხამ 1837 წ. იანვრამდე შეადგინა 20,4 ათასი მან. რაც გამოიყო ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრის აღდგენისათვის.

აღსანიშნავია, რომ ტაგაურელებს ადრიდანვე მოყოლებული ბაჟს უხდიდნენ მხოლოდ ქართველები და სომხები. სხვა ვაჭრები საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და კარგა ხანს მერმეც აქ არც მიმოდიოდნენ. რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს, „ოფიციალურ მგზავრებს“ ისინი, ცხადია, ბაჟს საერთოდ არ იხდიდნენ. 1830-იან წლებში ყველა ნაციის მგზავრი თუ ვაჭარი (მექარავანე) გარდა ქართველთა და სომეხთა „სარგებლობს ჩვენი სამხედრო დაცვის თანაბარი მფარველობით, არ იხდის რა არავითარ ბაჟს. ქართველთა და სომეხთა ეს გამონაკლისობა უფლებისაგან, რომლითაც ყველა უფულოდ სარგებლობს არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანად და არც შეიძლება ზიანს არ აყენებდეს მათს მეწარმეობას“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ამ ბაჟს ერთნაირი განაკვეთით იხდიდა ყველა ვაჭარი განურჩევლად საქონლის რაოდენობისა და ღირებულებისა, რაც მას მიჰქონდა, რის გამოც ეს ბაჟი „ამ სახით მძიმე ტვირთად აწვება და ავიწროებს“ უფრო ნაკლები შეძლების ადამიანებს[31].

გენ.-ად. როზენის აზრით ეს ბაჟი სავსებით უნდა გაეუქმებინათ და მის ნაცვლად შემოეღოთ „განსაკუთრებული მოსაკრებელი“, რომლისაგან თავისუფალი იქნება ყოველგვარი სახელმწიფო სასამსახუ-

---

[31] II ПСЗРИ, т. XII, ч. I, 1837, № 10368, с. 376.

რო ტრანსპორტი და მგზავრი, ხოლო კერძო პირთაგან აიღება ყოველ ცხენზე 25 კაპ. (მკვდარი სატრანსპორტო საშუალება, საერთოდ არ იბეგრება); ქვეითნი არავითარ ბაჟს არ იხდიან; გასაყიდი საქონლის საპალნიან ყოველ ცხენსა და ხარზე 25 კაპ., აქლემზე — 50 კაპ., საქონლით დატვირთულ რუსულ პოვოზკასა და ურემზე, შესაბმელზე დაწესებულთა დამატებით იხდიან თვითეულზე კიდევ 25 კაპ.. იმავე პოვოზკებსა და ურმებზე, რომლებიც უკან ცარიელი ბრუნდებიან ბაჟი არ აიღება. კავკასიის ლინიიდან და ყაბარდოს ველიდან საქართველოში და პირუკუ გარეკილ ყოველ ცხენს, აქლემსა და საერთოდ რქიან პირუტყვზე ედებოდა — 5 კაპ. ადგილობრივ მცხოვრებთა, მთიელთა მიმოსვლა საკუთარი საჭიროებისათვის, საკუთარ ნაწარმოებთა გასაყიდად წაღება თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახდელისაგან.

ფინანსთა მინისტრის აზრით, უფრო სამართლიანი იქნებოდა ზემოხსენებული „განსაკუთრებული მოსაკრებლებიც“ არ ყოფილიყო დაშვებული, რადგან „იგი მხოლოდ გააძნელებს კავშირურთიერთობას რუსეთსა და საქართველოს შორის და შეადგენს ახალ შინაგან საბაჟო საფასურს, მაშინ როდესაც მთავრობას ახრად აქვს გააუქმოს საქართველოში აქამდე არსებული მსგავსი „მოსაკრებლები“. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ეს მოსაკრებელი განკუთვნილია საქართველოს სამხედრო გზის კეთილმოწყობისათვის, რომელსაც თუ არ ყოფნის ის 30 ათასი მან., რაც ახლა ყოველწლიურად მისთვისაა გამოყოფილი, მაშინ ხსენებული მოსაკრებელი შეიძლება დაშვებულ იქნას, მხოლოდ დროებით რამდენიმე წლის ვადით. საბოლოოდ, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კიდევაც ასეთი დადგენილება, რაც დაამტკიცა იმპერატორმა[32].

ახლა აქ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ტაგაურელთა ვინაობისა და მდგომარეობის შესახებ ისტორიკოსთათვის საინტერესო მასალაა დაცული ჩვენს ცენტრარქივში[33].

როგორც ჩანს, მას მერმე რაც მათ ბაჟის აკრების უფლება დაკარგეს და იქნებ მანამდეც, ცარიზმის ტერიტორიული ექსპანსიით შევიწროებულნი, ისინი ყაჩაღური საშოვრების „მოტრფიალენი“

---

[32] II ПСЗРИ, т. XII, ч. I, 1837, № 10368, с. 376.

[33] ЦАУ ГССР ф. 77 II: Комиссия для разбора прав горцев Кубанской и Терской области: д. № 2/2 — О землях тагаурцев и о личном происхождении сего народа, 1845, лл. 1—197; д. №-17/18—О народе общества Тагаурского, 1858; лл. 1—143; д. №-35/42— Относительно Тагаурского общества, 1862, лл. 1—105.

გახდნენ. გრ. ორბელიანი 1831 წ. წერდა, რომ ვლადიკავკაზის მიდამოებში „ძალიან შიში იყო უფრო უწინ მთის ხალხისაგან, ასე რომ ახლაც საქონელს, ორს ან სამს ვერსზედ უჯაროდ ვერ უშვებენ საძოვრათ, მაგრამ კნიაზ აფხაზოვმან (გენ. ი. ნ. აფხაზი — პ. გ.), რომელიც ახლა არის მუნ კამენდანტათ, ძალიან შეაძრწუნა მთის ხალხნი. ჯარით შევიდა თაგაურის ხეობაში, სადაც ორჯერ დამარცხდნენ რუსები, დაამარცხა თაგაურნი, დაწვა რამდენიმე მათი სოფლები, გამოართვა პირველთა გვართა მძევლად შვილები, შეიპყრა ხალხის ამშლელნი და ავაზაკნი, რიცხვით სამოცამდე, რომელნიცა ავაზაკობდნენ საქართველოს (სამხედრო — პ. გ.) გზაზედ... და კვალად წაართვა ბაჟი თაგაურთა, რომელნიცა იღებდნენ ჩვენთა ვაჭართაგან, რუსეთით მომავალთა“[34].

4. ბაჟის პოლიტიკა

ა. ვაჭრობა და საბაჟო ტარიფი

ბაჟის პოლიტიკა თავისთავად ვაჭრობის პოლიტიკის ნაწილია. ვაჭრობის პოლიტიკა ბევრად უფრო ფართო ცნებაა და შეიცავს საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკის ფრიად მნიშვნელოვან მომენტებს[35].

კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი, ეხებოდა რა ამიერკავკასიაში საბაჟო ტარიფების სისტემას, იმის შესახებ თუ რატომ არ მოჰყვა 1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებას ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაში ნავარაუდევი შედეგები, წერდა (1846 წ.), რომ ამის მიზეზები იყო:

1. გაუთავებელი ომები, რაც ამ პერიოდში (1821—1831) აქ მიმდინარეობდა და

2. შელავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის მოკლე ვადა (ცხრანახევარი წელიწადი). საქმე ისაა, რომ დიდმნიშვნელოვან კომერციულ საქმეთა და მრეწველური საწარმოებისათვის ათწლიანი პე-

---

[34] გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის (თხზ. სრ. კრებული, 1959, თბ., გვ. 162—163).

[35] И. Кулишер, Очерк истории русской торговли, 1923; Соболев, Очерк экономической политики промышленности и торговли, 1916; Струве, Торговая политика России, 1913; Н. Шапошников, Протекционизм и свободная торговля, 1925; Fontana-Russo, Trede de politique commerciale, 1903; Ehrenberg, Handelspolitik, 1966; Hobson, International Trede, 1930.

რიოდი ყველგან არასაკმარისადაა მიჩნეული, და, ჩვეულებრივ, საბაჟო სისტემათა ძირეულად შემცვლელი შეღავათები, რასაც შეეძლება სასურველი შედეგები მოიტანოს, ყოველთვის ეძლევა ნავსადგურებსა და ქალაქებს ან პროვინციებს 25—35 წლითა და უფრო მეტი ვადით. ამგვარად, თუ 1821 წელს საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ეს ახალი და არამრეწველური მხარე გაეთავისუფლებინათ იმ დროს რუსეთში მოქმედი, 1819 წელს გამოცემული საბაჟო ტარიფისაგან, მაშინ, ცხადია, მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მთელ ამიერკავკასიაზე არ გაევრცელებინათ ახლანდელი, ე. ი. 1842 წლის ტარიფი, რაც „ბევრად უფრო ამკრძალავია და რამაც ესოდენ დიდად შეავიწროვა ევროპის რუსეთის ურთიერთობა მსოფლიოს სხვა ნაწილებთან"[36].

ახლა კი, განაგრძობს კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი, „თბილისის ყოფილი სავაჭრო სახლების უკეთესი ნაწილი გაქრა, რადგანაც ვაჭრობის უდიდესი ნაწილი კონტრაბანდისტების ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელთ არც საქმე აქვთ და არც რაიმე ინტერესი აკავშირებთ მოსკოვისა და ნიჟეგოროდის იარმარკტასთან".

სწორედ ამიტომ მ. ვორონცოვს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიაში თუ ისევ აღდგება შეღავათიანი და მასთან ერთად მოწესრიგებული ვაჭრობა, მაშინ კვლავ გამრავლდება აქაურ ქალაქებში კარგი სავაჭრო სახლები (ფირმები) და კაპიტალისტები და უფრო გაძლიერდება, არა თუ შემცირდება კომერციული ურთიერთობა რუსეთთან. „უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მალე გაჩნდებიან რუსული სავაჭრო სახლები თბილისში, როგორც არიან ისინი ოდესაში, სადაც გამრავლდნენ პორტო-ფრანკოს დაწესების დროიდან. ეს კომერსანტები აქ წამოიწყებენ საერთო ვაჭრობასაც და უპირატესად ვაყიდვას რუსული საქონლისა. ხოლო ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლიდან მოყოლებული ყველა დადგენილებას მიზნად ჰქონდა წაექეზებინა და გაეძლიერებინა ნაციონალური მეწარმეობა, რასაც ეწირებოდა ამ მხარის მთელი ინტერესები, 14 წლის მანძილზე თბილისში არ გაჩენილა არც ერთი წესიერი სავაჭრო სახლი (ფირმა), მიუხედავად იმისა, რომ გარდა თვით გილდიური ბეგარებისაგან განთავისუფლებისა, სხვა მხრივაც შეეძლოთ მათ აქ ესარგებლათ დიდმნიშვნელოვანი ადგილობრივი სარფიანობით, და აი, ახლაც რუსეთთან მთელი ვაჭრობა, როგორც წინათ, რჩება სომეხთა ხელში"[37].

---

[36] ACKAK, XI, c. 183.

[37] იქვე, გვ. 184.

საქმე ისაა და მ. ვორონცოვსაც ის აწუხებდა, რომ ფინანსთა სამინისტროს მოხელეთაგან წარდგენილი ცნობებით ეს ვაჭრობა. საქართველოსა და რუსეთს შორის საქონელბრუნვა, ამ დროს, 1840-იანი წლების შუაში, საშუალოწლიურად შეადგენდა 5 000 000 ვერცხლის მანეთს. აქედან კი თბილისზე მოდიოდა 3 000 000 ვერცხ. მან. მეტი ღირებულების საქონელი, ხოლო დანარჩენი — ამიერკავკასიის სხვა ქალაქებზე. მაგრამ საქმის დაწვრილებითმა შესწავლამ უჩვენა, რომ რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოდიოდა არა 5 მილიონი მანეთის, არამედ ბევრად ნაკლები, დაახლოებით 2,5 მლნ. მანეთის საქონელი.

ამგვარად, ნათელია, რომ რუსეთ-ამიერკავკასიის მთელი ვაჭრობის ნახევარი, არსებითად, კონტრაბანდისტების ხელში იყო. ხოლო შეღავათების აღდგენის შემთხვევაში, როგორც მ. ვორონცოვი ვარაუდობდა, კონტრაბანდული ვაჭრობა მინიმუმამდე დაეცემოდა და ამიერკავკასიაში რუსული საქონლის რეალიზაციაც უფრო ადვილად გაფართოვდებოდა.

მაგრამ კავკასიის ნამესტნიკის ეს მოსაზრებები დაუსაბუთებელ ვარაუდებად მიიჩნიეს, როგორც იმპერიის სახელმწიფო კანცლერმა, ასევე ფინანსთა მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმაც იმ მოტივით, რომ ამიერკავკასიას გაცვლისათვის, განსაკუთრებით ევროპასთან ვაჭრობისათვის, გარდა პურისა და აბრეშუმისა სხვა „არავითარი საქონელი არ გააჩნია“.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, უნდა ითქვას, რომ მ. ვორონცოვიც ადვილად არ სთმობდა პოზიციებს. ის აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო კანცლერისა და მინისტრების მოტივები სწორი არაა. რამდენადაც ფაქტია, რომ გარდა ხსენებული ორი საგნისა ახლაც კი „მიუხედავად ყველა სიძნელისა, რაც ამკრძალავი ტარიფისაგან წარმოსდგება, აქედან, როგორც რუსეთში ისე უცხოეთის ქვეყნებში გაიტანება მრავალი სხვა საქონელიც, ხოლო მათგან ზოგიერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანია“.

დიდი რაოდენობით მიდის რუსეთში ბამბა; ოდესის გზით უცხოეთის ნავსადგურებში ექსპორტის საგანი ხდება მატყლი; ამიერკავკასიის მთელი აღმოსავლეთის ნაწილში დიდი რაოდენობით იწარმოება და იყიდება ენდრო; „ამჟამად რუსეთში მოთხოვნილებაა კახურ ღვინოებზე, სამეგრელოს ნავსადგურებიდან მრავალ ქვეყანაში გააქვთ ხე-ტყე და მერქანი“[38]; აღმოჩენილია სპილენძისა და

[38] იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და აბხაზეთიდან ძვირფასი ხე-ტყის, განსაკუთრებით მუხისა და ძელქვის საზღვარგარეთ გატანის გაძლიერებამ საფიქრე-

ტყვიის ახალი მადნები, ხოლო სპილენძი ფრიად დიდი სარფიანობით იყიდება ჩვენი არტილერიის ქარხნებისათვის, — მატყლი დიდი რაოდენობით გადის ირანსა და ასტრახანში. ვაჭრობისა და გაცვლის საგნებს წარმოადგენენ აგრეთვე რქიანი პირუტყვი, მარილი, ნავთობი, თაფლი, სანთელი; მოთხოვნილება მეგრულ თამბაქოზე, რომელსაც ამერიკული თამბაქოს თითქმის ყველა ღირსება გააჩნია, ყოველწლიურად ძლიერდება[39]. რქიანი პირუტყვი და ტყავეულობა იწყებენ მნიშვნელოვანი როლის თამაშს, და უკვე 1844 წელს ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგიდან გატანილია 140000 მანეთის ღირებული ეს საქონელი... ასე რომ, ამავე 1844 წელს საბაჟოთა უწყისების მიხედვით სულ გატანილია დაახლოებით 1 000 000 მან. საქონელი[40].

ამ დისკუსიის დროს წამოიჭრა საკითხი იმის შესახებაც, თუ რით შეუძლია ამიერკავკასიას გადაიხადოს „იმ მსხვერპლისათვის რაც რუსეთმა მისთვის (ე. ი. მისი ანექსიისათვის — პ. გ.) გასწია". — ერთადერთი რამ რითაც შეუძლია ესაა ის, რომ ამიერკავკასია იყოს რუსეთის ნაწარმოებთა გამსაღებელი ბაზარი. ამასთანავე კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე გრაფი კისელიოვი და მასთან ერთად გრაფი ბლუდოვი .და ტიტ. სოვეტნიკი შერემეტიევი. აცხადებენ: 1. რომ ეს ბაზარი ამჟამად ფრიად უმნიშვნელოა; 2. რომ მიუხედავად ამკრძალავი სისტემისა, მოსკოველი ფაბრიკანტები ჩივიან მათი საქონლის გასაღების თანდათანობით შემცირების გამო და 3. რუსეთის პირდაპირი ინტერესები არ შეიძლება მხოლოდღა მოსკოვის ფაბრიკანტების სარფიანობისა და მონოპოლიისათვის მთელი მხარის შევიწროებაში მდგომარეობდეს („...Прямые интересы России не могут состоять в стеснении целого края для выгод и монополии одних московских фабрикантов").

წარმოდგენილი სიტუაციის ფონზე კავკასიის ნამესტნიკი იმ აზრისაა, რომ შეღავათიანი ვაჭრობის სისტემის ამიერკავკასიაში კვლავ შემოღება, არა თუ არავითარ ზიანს არ მიაყენებს რუსეთის ვაჭრობას, არამედ, პირიქით, გააცხოველებს იმპერიის ურთიერთობას ამიერკავკასიასთან"[41].

ბელში ჩააგდო ხელისუფლება. ამის მეოხებით იგი თავისდაუნებურად ხომ არ უწყობდა ხელს თურქეთისა და სხვა ქვეყნების გემთმშენებლობის განვითარებას? (იხ. მაგ., II, ПСЗРИ, 1838, СПб., отд. II, № 9854).

[39] შეად. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. IV, წიგნი I, გვ. 32 და შემდგ.

[40] АСКАК, т. X, с. 184.

[41] იქვე,

ამასთანავე ნამესტნიკი მ. ს. ვორონცოვი, წინააღმდეგ სახელმწიფო კანცლერის, ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოსაზრებათა, რომ კავკასიის მცხოვრებნი და რუსი ოფიცრები და სახელმწიფო მოხელეები არ საჭიროებენ ევროპულ საქონელს, აცხადებს, რომ: 1. ამიერკავკასიის მოსახლეობისგან მრავალი იცნობს ევროპული წარმოების საქონელს და მათ კიდევაც სურთ ის შეიძინონ, განსაკუთრებით ბამბაქსოვილები, რაც მათ შორის, საყოველთაო მოხმარების საგანს წარმოადგენს; 2. რომ რუსეთის სახელმწიფო მოხელეები, მართალია, აქ (თუმცა არა ყველგან) ღებულობენ დამატებით ხელფასს, მაგრამ აქ მუშაობის სიძნელისა და სიმძიმის, აგრეთვე სხვა მრავალგვარი დანაკლისის გამო საკსებით იმსახურებენ მთავრობის მხრივ შეღავათებისა და შემსუბუქების ღონისძიებას; 3. ძლიერი კონტრაბანდის არსებობის ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ აქაურ მოსახლეობაში არის საჭიროება და სურვილი შეიძინონ აკრძალული, ანდა მაღალი საბაჟო საფასურით დაბეგრილი საქონელი.

მაგრამ, რაც მთავარია, მ. ვორონცოვი აქ აშკარად აცხადებს, რომ ის ამიერკავკასიაში ვაჭრობის შეღავათების აღდგენისათვის შუამდგომლობს ნამდვილად არა რუს ოფიცერთა და სახელმწიფო მოხელეთა სარგებლობის, არც ამ მხარის კეთილდღეობის და არც კონტრაბანდის აღმოფხვრის წადილის გამო: «Прямая и главнейшая, если не единственная необходимость всей перемены—есть удаление через оную опасности от заразы, как скоро она существует заграницею, не только для Закавказья, но и для внутренней империи»[42].

მოვლენათა სიღრმისეული მდინარების არამცოდნე მკითხველს შეუძლია იფიქროს, რომ აქ ლაპარაკია რაღაც გადამდები სენის შემოღწევის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ. ნამდვილად, თუ რა სენის შემოღწევის საშიშროება აწუხებდა ცარიზმის ერთგულ სატრაპს, ჩანს მის მოხსენებაზე დართული გენ. ანრეპის მიმოხილვითი ბარათიდან, რომლის ერთი ეგზემპლარი უფრო ადრეც იყო გადაგზავნილი პეტერბურგს.

გენ. ანრეპი კონტრაბანდას განიხილავდა უბრალოდ არა როგორც საბაჟო წესრიგის დამრღვევ მოვლენას. მართალია, ასეთი დარღვევებიც ხშირი იყო, „მაგრამ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: დაკარგვა რამდენიმე ათასი მანეთისა, რასაც ხაზინა მიიღებდა

[42] АСКАК. т. X, с. 185.

მთიელთა მიერ მოტანილ საქონელზე გადახდილი საბაჟო საფასურის სახით, იმდენად უმნიშვნელო რამაა, რომ არც ღირს მისთვის ხელისუფლების მხრივ რაიმე ღონისძიების გატარება და განკარგულებათა გაცემა. მაგრამ საქმე ისაა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროთა კონტრაბანდას აქვს **განსაკუთრებული მნიშვნელობა კარანტინული და პოლიტიკური თვალსაზრისით.** კონტრაბანდას შეუძლია შეიტანოს შავი ჭირი (ქამი), **კონტრაბანდის გზით მთის ხალხები ღებულობენ სამხედრო იარაღ-საჭურველს; ამ აზრით კი კონტრაბანდის აღკვეთა უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოებრივი ღონისძიება"**[43].

***

ახლა, სანამ ვაჭრობის განვითარების შემდგომ მოვლენებს შეეხებოდეთ, როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა და ორიოდე ცნობა უნდა მოვიტანოთ საკუთრად **კარანტინის სისტემის** შესახებ, რაც ესოდენ უშუალო კავშირშია საბაჟოებისა და უცხოეთთან ყოველგვარი გაცვლის ორგანიზაციის საკითხთან.

ბ. საკარანტინო სამსახური

საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების პირველდაწყებითი მომენტების დროიდან მოყოლებული ირანისა და თურქეთის საზღვრებზე კარანტინის ორგანიზაცია თანდათანობით ვითარდებოდა. რამდენადაც ეს საზღვრები მე-19 ს. პირველ ნახევარში ხშირად იცვლებოდა, ცხადია, იცვლებოდა საკარანტინო პუნქტების ადგილმდებარეობა, „რის გამოც საკარანტინო შენობათა აგება და მოწყობა არ ხდებოდა ჯეროვანი წესების დაცვით და არ შეესაბამებოდა საკარანტინო დაწესებულებათა მიზნებს"[44].

ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლება ამ ხნის მანძილზე ხშირად აყენებდა საკითხს იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროში, კარანტინის სამსახურის მოწესრიგებისა და საერთოდ გაუმჯობესებისათვის, სათანადო მყარი შენობების აგებისა და სხვ. მიზნით საჭირო თანხების გამოყოფის შესახებ, მაგრამ ამას სათანადო შედეგი არ მოყოლია.

---

[43] ACKAK, IX, c. 683.

[44] იქვე.

1834 წ. გენ.-ად, როზენმა პეტერბურგში გადააგზავნა დეტალურად შემუშავებული პროექტი და მოითხოვა:

1. კარანტინების სათანადო შენობათა აგებისათვის — 462.000 მან.;

2. საკარანტინო გაწყობილობათა აშენებისათვის — 18.630 მან.;

3. საკარანტინო გუშაგთა ფორმირებისათვის — 72. 471 მან.

4. ხელფასების, რემონტისა და სხვ. — 40.370 მან... სულ 553 ათასი მან და

5. შემდეგ ყოველწლიურად 40.370 მან.

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა ერთობლივად განიხილეს ეს საკითხი და სცნეს, რომ „კავკასიაში კარანტინის მოწყობა დიდად საჭიროებელო იქნება". მაგრამ ეს მოითხოვს ფრიად დიდ ხარჯებს და ამას გარდა ამ პროექტით გათვალისწინებული ყოველგვარი ღონისძიებაც რომ განხორციელდეს „მხარის ადგილობრივი მდგომარეობისა და მცხოვრებთა თვისების გამო, მაინც არ იძლევა უსაფრთხოების სრულ გარანტიას, რომ არ იქნება შემოტანილი სენი და არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის შიგნითაც".

მინისტრთა ამგვარ მოსაზრებათა საფუძველზე სახელმწიფო საბჭომ საბოლოოდ დაადგინა და იმპერატორმა დაამტკიცა: „საკარანტინო მეთვალყურეობა შეძლებისამებრ აქ განისაზღვროს ისეთი ღონისძიებით, რაც ცნობილი იქნება, როგორც აუცილებელი რამ ამ მხარის საჭიროებლობისათვის, რაც არ გააძნელებს საგარეო კავშირურთიერთობას რუსეთთან, რომელსაც იცავს კავკასიის ლინიაზე მოწყობილი კარანტინები"[45].

საქმე ისაა, რომ როგორც თავის ადგილას გვექნება საუბარი, გარდა იმ კარანტინებისა, რაც ამიერკავკასიაში იყო, ირან-თურქეთის ძველ საზღვრებზე არსებობდა აგრეთვე (დატოვებულ იქნა) კარანტინის სისტემა კავკასიის ლინიისა, რაც ჩრდილოეთ კავკასიაზე გადიოდა, დაახლოებით იმ გარნიზონების და სამხედრო კორდონების გასწვრივ, რომლებიც აქ არსებობდა ჯერ კიდევ მე-18 ს. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

ეს იყო, ასე ვთქვათ, მეორე და უძლიერესი ბარიერი, რაც საკარანტინო და საბაჟო სისტემით იცავდა შიგა რუსეთს როგორც ირან-თურქეთისაგან, ასევე საკუთრად ამიერკავკასიის მისი სამფლობელოებისგანაც. ამ მეორე სისტემას განსაკუთრებით დიდი

---

[45] АСКАК, IX, с. 683.

მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1821 წ. დაწესებული თავისუფალი ვაჭრობისა და ტრანზიტის პირობებში, მაგრამ იგი ამ თავისუფლებათა აღკვეთის შემდეგაც დიდხანს დარჩა ძალაში.

1834 წელს ამიერკავკასიაში არსებობდა სულ 17 საკარანტინო პუნქტი, მათ შორის იყო:

1. კასპიის ოლქში: დერბენტის, ბაქოს, სალიანის, ლენქორანის, ჭევადისა და ჯებრაილის;

2. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში: ორდუბადის, ჯულფის, შარურის, იგდირის, ალექსანდროპოლის, ქოზაპინის, კაჩკევოს, ოზურგეთის, სოხუმ-კალეს, რედუტ-კალეს (ყულევის) და წმ. ნიკოლოზის სიმაგრისა (შეკვეთილის).

ამათ გარდა თბილისში, გარეუბანში, იყო საფოსტო კარანტინი, სადაც ხდებოდა აქედან რუსეთში გასაგზავნი კორესპონდენციის შებოლვა (კარანტინული დეზინფექცია).

საერთოდ კარანტინთა ამ სისტემას 1828 წლიდან განაგებდა ამიერკავკასიის ჭირისაგან (ჟამისაგან) დაცვის კომიტეტი, რომელსაც არ ჰქონდა შედგენილი გარკვეული სახელმძღვანელო წესები და რომელიც შედგებოდა რა სხვადასხვა თანამდებობის ადამიანებისაგან — ფრიად უმოქმედო და არაოპერაციულ ორგანიზაციად იყო ცნობილი თვით ოფიციალურ წრეებშიც კი. ამ კომიტეტის დაუდევრობით ხსნიდნენ, რომ 1838 წლიდან საქართველო-იმერეთის გუბერნიაში გახშირდა ჟამი (შავი ჭირი). ამასთანავე ამ კარანტინის უწყებას ძლიერ ცოტა და დაბალხელფასიანი, თანაც არსებითად გარკვეულ უფლებებს მოკლებული შტატი ჰყავდა[46].

თვით კარანტინის სადგომი ადგილები უმრავლეს შემთხვევაში მიწურებისა და უბრალო ფარდულების სახით იყო მოწყობილი, გარდა ალექსანდროპოლისა და ყულევისა (რედუტ-კალესი), სადაც სპეციალური შენობები იყო აგებული ჯერ კიდევ 1820-იან წლებში. ზოგიერთი საკარანტინო პუნქტი დაშორებული იყო საბაჟო საყარაულოებისა და თვით სასაზღვრო პუნქტებისაგან, ე. ი. საზღვარგარეთ მიმავალი მგზავრებისაგანაც კი.

1843 წელს ამიერკავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სპეციალური კომისია შექმნა, რათა შეესწავლათ უკანასკნელ ხანებში აქ შავი ჭირის ფრიად ხშირი გაჩენის მიზეზები. ოფიციალური და თვით საზოგადოებრივი აზრი, ცხადია, ამას აბრალებდა საკარან-

---

[46] АСКАК, IX, с. 683.

ტინო სისტემის ჯეროვან მოუწყობლობას. „ვისაც შემთხვევა ჰქონდა დაკვირვებოდა ამ საგანს, ის ნამდვილად გაკვირვებული იქნება, თუ როგორ მოხდა, რომ 8 წლის განმავლობაში (დაწყებული 1829 წლიდან) ამიერკავკასიას თავზე არ დაატყდა შავი ჭირის დიდი უბედურება და როგორაა, რომ 5 წელიწადია იგი მძვინვარებს ჩვენს მხარეში და ეს ხენი ესოდენ მცირედ გავრცელდა, ვინემ იმით, რომ აღნიშნული დროის განმავლობაში შავი ჭირი აქ ესოდენ გამუდმებულად არის"[47].

გ. საბაჟო საზღვრის დაცვა

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბაჟის პოლიტიკის მიმართულებას, თუ როგორ ვითარდებოდა იგი 1840-იანი წლებიდან მოყოლებული.

ეს ის დრო იყო, როდესაც კავკასიონის მთიულეთში დაიწყო და ღვივდებოდა დიდი მოძრაობა, როდესაც „კავკასიის ომები" სულ უფრო და უფრო მეტ გასაქანს ღებულობდა — მთელი დაღესტანი და რიგი სხვა მთიელი ხალხები იარაღს ისხამდნენ, ურთიერთშორის მეგობრობის, ძმობისა და სიმტკიცის ფიცს სდებდნენ და „გიაურების" წინააღმდეგ „საღმრთო ომისათვის" ირაზმებოდნენ.

ასეთ ვითარებაში, გასაგებია, უცხოური (ინგლისური) იარაღის ამ მთიელთათვის მიწოდების საკითხი, მათი შეიარაღების საკითხი, არ შეიძლებოდა ცარიზმის ხელისუფლებას დიდმნიშვნელო-

---

[47] АСКАК, IX, № 564, с. 679—680.

ადრე, როგორც ჩანს, საკარანტინო სამსახური უფრო მარტივად იყო მოწესრიგებული: „1800 წელსა გაჩნდა ჭირი ქალაქსა: შემოიტანეს ესე ახალციხისა მხრითა. რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკმან სთხოვეს მეფესა, მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან წერილითა უწყებულმან, წერილითვე აცნობა: ყარანთინსა უნდა ყარაულებიო და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერაფენ შემოვიდეს მუნით აქეთ ჩემსა სამეფოშიო. ამისთვის კმარა ეს ზომაო: მე მივსწერე ახალციხის ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ მავალთა; თუ შემოვა ვინმე ჩემს სამძღვრებში, არავის მივიღებთო, სავაჭროსა წაავართმევთო და თვით მასცა თოფსა ჰკვრენო. — გაიცინეს შეფთა ესრეთსა პასუხზედ; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ფაშასა ბრძანება თვისი და ნამდვილ აღარავინ შემოვიდა და ექვსსა თვეზედ ჭირიცა გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა კვალად გაიმართა. იტყვიან მომსწრენი დღეთა ამათ მშარეთა; მართლად ერთმანეთა კაცმან ვერ გაბედა შემოსვლა სოფლებშიაცაო; მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსრულდა მტკიცედ, რომელ არავინ უნახავთ არავის მიხრული სამძღვრებისა სოფლებში კაცი ოსმალთა ადგილებიდამ" (პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 169—170).

ვან სამხედრო-პოლიტიკურ აქციად არ მიეჩნია და მის წინააღმდეგ თავისი ძალები არ აემოქმედებინა... და მით უფრო, რაც უფრო ძლიერი იყო ცარიზმის მისწრაფება „დაუმორჩილებელ და მოუთვინიერებელ კავკასიონის მთიელთა დაშოშმინებისა და დამშვიდებისა“ და, ერთდროულად, მათთან კულტურული ვაჭრობის ორგანიზაციის დაჩქარების საქმეში.

ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ კონტრაბანდული ვაჭრობა და საერთოდ „აკრძალული ურთიერთობა თურქეთთან აქვთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროთა არა მხოლოდ ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ მთიელებს. ანატოლიის ნავსადგურებს, ბათუმიდან სინოპამდე, დიდი ხანია მუდმივი კავშირურთიერთობა დაუმყარებიათ გურიასთან, სამეგრელოსთან, აბხაზეთთან; მათს ამ კავშირს განსაკუთრებულის მონდომებით მფარველობს ტრაპიზონში ახლად დაარსებული ინგლისური კომპანია, რომელმაც მოქმედება დაიწყო მაშინვე, როგორც კი გაუქმებულ იქნა ტრანზიტი საქართველოზე. ეს ინგლისური სავაჭრო კომპანია, ამარაგებს რა აღმოსავლეთის სანაპიროთა მცხოვრებთ აზიური გემოვნებისათვის შეხამებულ ინგლისური ნაკეთობებით, ამასთანავე ცდილობს გავლენა მოიპოვოს ამ მხარის პოლიტიკურ საქმეებზე, რათა რაც შეიძლება მეტხანს შეინარჩუნოს მისთვის სასარგებლო მთიელთა ჩვენდამი მტრული განწყობილება“.

მაგრამ არა მხოლოდ ეს ინგლისური სავაჭრო კომპანია, არამედ ის თურქებიც, რომლებიც დარჩნენ აბხაზეთში, მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ და რომელთა რაოდენობა ას ოჯახს აღემატებოდა, ხელს უწყობდნენ და, როგორც ჩანს, უშუალოდაც მონაწილეობდნენ კონტრაბანდულ ვაჭრობაში.

ამ მხრივ „თურქებსა და ინგლისელებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველნი მოქმედებენ საკუთრად კომერციული ინტერესებისათვის, ხოლო უკანასკნელნი, ამასთანავე ერთად, ცდილობენ მოიპოვონ მთიელებზე პოლიტიკური გავლენა“.

მართალია, ინგლისური კომპანიის მოქმედება ვრცელდებოდა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთის სანაპიროებზე, მაგრამ მისი კავშირურთიერთობა განსაკუთრებით ვითარდებოდა სამეგრელოსა, გურიასა და აბხაზეთში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აბხაზეთთან და სამეგრელოსთან ისინი ვაჭრობდნენ ზღვის სანაპიროებზე, ხოლო გურიასთან კი სახმელეთო კავშირიც ჰქონდათ, თურქეთის საზღვრებიდან მდ. ჭოროხზე და ტყით დაფარულ მთაგორიან ადგილებში.

კერძოდ აღმოსავლეთის სანაპიროებზე ვაჭრობდნენ პატარა, უღუზო თურქული ხომალდებით („კოჩერმა"), რომელთა ხმელეთზე გათრევა ადვილად შეიძლებოდა და, მაშასადამე, რომელთათვისაც უბრალო ნავმისადგომიც არ იყო აუცილებელი. ქარიშხლის დროს მათ ზღვაზე გაჩერება არ შეეძლოთ და ამიტომაც „არც შეიძლებოდა მათთვის აეკრძალათ ასეთ დროს უცხო ნაპირზე გასვლა, რათა, თავშესაფარი ეძიათ, თავი გადაერჩინათ". ამ გარემოებებით სარგებლობდნენ კიდეევაც სანაპირეობის გასწვრივ მცურავი ეს „კოჩერმები".

ანატოლიის პორტებიდან ყულევისა (რედუტ-კალესა) და სოხუმ-კალესკენ წამოსულ ასეთ ხომალდს, სანამ ამ უკანასკნელი ადგილიდან რომელიმეში საკარანტინო და საბაჟო პროცედურას გაივლიდა, ადვილად შეეძლო ნაპირს მიდგომოდა სადმე დაფარულ ადგილზე და გადაეტვირთა კონტრაბანდული საქონელი. ამის შემდეგ თურქული კოჩერმა მიადგებოდა, ვთქვათ, ყულევს, აქ გაივლიდა კარანტინს და მიიღებდა ბილეთს (ნებართვას) წასულიყო ნოვოროსიისკის მხარისაკენ. მაგრამ ის შეუმჩნეველად ბრუნდებოდა უკან, რათა კვლავ ჩაეტვირთა დატოვებული საქონელი და მერმე უკვე დაუბრკოლებლად მიცურავდა სასურველი პუნქტისაკენ. სადაც მთიელებზე ასაღებდა თავის საქონელს, რომელთა შორის სულ უფრო იზრდებოდა თოფ-იარაღისა და საერთოდ სამხედრო საჭურველის რაოდენობა.

ჯერ კიდევ 1832 წლის დასაწყისიდანვე, ე. ი. ამიერკავკასიაში შელაფათიანი ტრანზიტის აღკვეთის შემდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიელ მთიელთათვის უცხოეთიდან სამხედრო იარაღისა და ამუნიციის მიწოდების ალაგმვის მიზნით გამოიცა სპეციალური კანონი (1832.4.1), რომელიც ამიერიდან უცხოელ საკაჭრო გემებს უკრძალავდა შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებზე მიდგომას, გარდა ანაპისა და რედუტ-კალეს (ყულევის) პორტებისა, სადაც არსებობდა კარანტინიცა და საბაჟოც[48].

ახლა აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა ამ ორი პუნქტისა შავი ზღვის სანაპიროებზე რუსის ჯარი იდგა კიდევ სოხუმ-კალეში და რუსეთის მიერ 1831 წ. დაკავებულ სიმაგრეებში: ბომბორს, ბიჭვინთას (პიცუნდას), გაგრასა და გელენჯიკში, — სადაც, მაშასადამე, საჭირო იყო ჯარისათვის სურსათისა და ამუნიციის მიტანა. ამიტომაც ამ ნავსადგურებზე მიდგომის ნება მიეცა მხოლოდ რუსეთის სავაჭრო გემებს[49],

[48] II ПСЗРИ, т. VII, № 5209, с. 123—124.
[49] II ПСЗРИ, т XII, 1838, отд. II, № 9860.

ამიერიდან უცხოეთის ალმით მცურავ ყველა გემს, რომელიც ამ უკანასკნელ ადგილებში აღმოჩნდებოდა, გარდა საავარიო შემთხვევის დროს თავის შესაფარებლად შემოსულთა, მოელოდა კონფისკაცია, ხოლო საავარიო შემთხვევაში შემოსული ხომალდი ემორჩილებოდა კონტროლს..., რათა სამხედრო იარაღი არ გაეტარებინა. თუ ასეთი რამ აღმოჩნდებოდა, ის უცხოური გემი ჩაითვლებოდა რუსეთის სამხედრო ხომალდების კანონიერ პრიზად[50].

ამგვარად, მართალია, ამ სანაპიროებზე დარაჯობდნენ რუსეთის სამხედრო კრეისერები, რომელთა დანიშნულება იყო აღკვეთათ კავკასიონის მთიელებისათვის იარაღის მიწოდების გზები, მაგრამ „მსუბუქი კოჩერმები" ადვილად ახერხებდნენ მოენახათ შესაფერი ადგილი და დრო, რათა მათგან ფარულად მიდგომოდნენ ნაპირებს...; „ასე რომ, კონტრაბანდისტებისათვის აქ სარისკო თითქმის არა იყო რა".

სწორედ ამიტომ გენ. ანრეპი ფიქრობდა, რომ რუსეთის მხრივ მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის დაწესების მეოხებით შეიძლებოდა თანდათანობით აღკვეთილიყო შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებზე კონტრაბანდისტული ვაჭრობა, მთიელების თურქეთთან საიდუმლო კავშირი, მაშასადამე, კავკასიონის მთიულეთში თურქეთის მავნე პოლიტიკური გავლენის მოსპობა, ამ მთიელების რუსეთთან ვაჭრობაში ჩაბმა და, შემდეგში, რუსულ ორიენტაციაზე გადაყვანა[51].

ამ თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა აზრით აუცილებელი იყო:

1. მთიელთათვის საჭირო საიმპორტო საქონელთა საბაჟო საფასურისაგან განთავისუფლება;

2. პრივილეგიები მიენიჭებინათ რუსი ვაჭრებისათვის, რომლებიც ჩაებმებოდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების მცხოვრებლებთან საქონელგაცვლაში;

3. აღმოსავლეთის სანაპიროებთან ვაჭრობის ნებართვა მიეცათ უცხოელებისათვისაც, ოღონდ საგანგებო პირობებით;

4. ეს უპირატესობანი გაევრცელებინათ აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაზე და, დასასრულ,

5. ნოვოროსიისკსა და სოხუმში პორტო-ფრანკოს დაწესება.

მათი აზრით, მხოლოდ ამ გზით მიიღწეოდა როგორც კონტრაბანდისტული ვაჭრობის აღკვეთა, ასევე მისი კანონიერი ვაჭრობით

---

[50] II ПСЗРИ, т. VII, № 5209, с. 124.

[51] АСКАК, IX, с. 608.

შეცვლა, რამდენადაც „ჩვენ აქამდე არ გაგვაჩნია მანუფაქტურული ნაკეთობანი, რომლებითაც შესაძლებელი იყოს შეცვლა საქონლისა, რასაც მთიელები იძენენ კონტრაბანდის გზით და რაც მათში საყოველთაო მოხმარების საგნებადაა ქცეული. ამიტომაც ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ერთხნობით დავუშვათ ამ საქონელთა უცხოეთიდან შემოტანა და, ამგვარად, ამ ვაჭრობას მივსცეთ კანონიერი მიმართულება“.

მაგრამ კონტრაბანდული ვაჭრობის საკითხი მთელი აღებული პერიოდის მანძილზე იპყრობდა როგორც ხელისუფლების, ასევე, ცხადია, უწინარეს რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა ყურადღებას.

რუსი კაპიტალისტები და მათი ინტერესების დამცველი პირები და პუბლიცისტიკა საყვედურობდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ აქ „სავაჭრო მოღვაწეობა ყველგან აწყდება დაბრკოლებებს, ხოლო ზოგიერთი რუსული ნაკეთობის გასაღება შეეიწროებულია, ყველგან ხვდება რა ევროპულ საქონელს, რაც საიდუმლოდ შემოაქვთ. კონტრაბანდა აქარწყლებს ვაჭართა ყველა ვარაუდებს და პატიოსანი მოვაჭრეები მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან. გასაღების არაუზრუნველყოფილი ვითარება აიძულებს ყველას შეიძინოს ყველაზე უბრალო და იაფი საქონელი და გაყიდოს იგი რაც შეიძლება ძვირად“, რათა აინაზღაუროს ვაჭრობის დახუთულობით დაკარგული სარფიანობა[52].

კერძოდ შავი ზღვის სანაპიროების კონტრაბანდული ვაჭრობა ცარიზმის ადმინისტრაციისათვის ფრიად სამძიმო იყო და არა მხოლოდ როგორც რუსული ნაკეთობის საქონლის რეალიზაციისათვის ხელშემშლელი გარემოება. საქმე ისაა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე მოქმედ კონტრაბანდისტებს შემოჰქონდათ არა მარტო რუსულზე უფრო იაფი და უკეთესი ხარისხის ევროპული საქონელი... მათ შემოჰქონდათ აგრეთვე სამხედრო იარაღი და ისინი... აქეზებდნენ მთიელებს.

სწორედ ამიტომ გენ. რეადი და მისი წინამოადგილეები, ისევე როგორც მემკვიდრეები, მთელის გულმოდგინებით ცდილობდნენ ამ კონტრაბანდის აღკვეთას და თურქეთის საზღვარზე „ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობათა“ დადგენას. მაინც გენ. რეადს, იმისათვის, რათა მოესპოთ შავი ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებზე თურქეთის გემების მოსვლა, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა გაეძლიერებინა რუსეთის კრეისერებით ამ სანაპიროების დაცვა[53].

---

[52] Сб. газ. «Кавказ», 1847, I, с. 14.

[53] АСКАК, XI, с. 936.

ეს ამოცანა მოწოდებული იყო შეესრულებინა აზოვის კაზაკთა ფლოტილიას. აზოვის კაზაკთა ფლოტის მეორე ნაწილი, გარდა სანაპირო ციხესიმაგრეებისა, მეთვალყურეობდა საკარანტინო-საბაჟო პუნქტებს სოხუმსა და ფოთს შორის, მას ევალებოდა ოჩემჩირესა და კელასურის თავისუფალი პორტების დახურვის შემდეგ დაეცვა ეს სანაპიროები კონტრაბანდული საქონლის შემოტანისაგან.

გენ. რეადი მოსკოვს გენ.-გუბ. ზაკრევსკის ატყობინებს (1854. 12.15) „თურქეთის გემების მოსვლა სანაპიროებზე თანდათანობით შემცირდა და 1846 წელს სრულებით შეწყდა. აზოვის კაზაკების ჩინებული სამსახური ამართლებდა მათი სამხედრო წარმომავლობის დიდებას. მათ მოსპეს გამონაკლისს გარეშე ყველა ჩერქეზული გალერა და აიძულეს ჩერქეზები ხელი აეღოთ საზღვაო ნაოსნობასა და საზღვაო ყაჩაღობაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ წინააღმდეგ ვაჭართა გემებისა, რომელთაც სურსათ-სანოვაგე მოჰქონდათ აბხაზეთში, და წინააღმდეგ ამ სანაპიროებისა“[54].

მაინც, როგორც ჩანს, კონტრაბანდული ვაჭრობა მარტოოდენ სამხედრო ძლიერებით არც თუ ისე ადვილი აღსაკვეთი იყო. იგი მეტ-ნაკლები ინტენსივობით, გარკვეულ მიზეზთა და გარემოებათა გამო, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი, გრძელდებოდა თითქმის ყველა რაიონში და თვით 1880-იან წლებშიც.

მაგალითად, ქუთაისის გუბ., დას. საქართველოში, კონტრაბანდის გზით — უმთავრესად აბრეშუმისა და ბამბაქსოვილების, ხავერდის, შაქრის, შამპანური ღვინოს, რომისა და ჭურჭლეულის გავრცელების შესახებ, ლავრენტიევი 1858 წ. წერდა: „კონტრაბანდა დიდი ზომითაა განვითარებული გუბერნიის სანაპირო და სასაზღვრო ნაწილებში და კონტრაბანდული საქონლის დიდი რაოდენობა შემოდის უპირატესად გურიაში, მდ. ჭოროხის სახმელეთო საზღვრიდან და ზღვითაც, აგრეთვე სამეგრელოში, სადაც არის კონტრაბანდული (საქონლის) დიდი საწყობები; ახალციხის მაზრაში კონტრაბანდა შემოდის მეტად უმნიშვნელო ზომით. იმის დასამტკიცებლად, რომ გურიაში დიდძალი კონტრაბანდა შემოდის, საკმარისია აქ მიმოქცევაში გასული მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური საქონლის შედარება საბაჟო საფასურით გაწმენდილ საქონელთან. გურიის კარგად მცოდნე პირთა აზრით ამ მხარეში შემოსული საქონლის მთელი რაოდენობის არა თუ ნახევარი, არამედ მესამედიც არ იქ-

---

[54] АСКАК, XI, с. 936.

ნება, რომ საბაჟო საფასური ჰქონდეს გადახდილი, რაც მტკიცდება ოზურგეთის ვაჭრობის მნიშვნელოვანი ბრუნვებით. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ უცხოური საქონელი ოზურგეთში თბილისიდან არ მოაქვთ, ხოლო ადგილობრივი ნაწარმი ფრიად განსაზღვრულია. სახმელეთო გზით ჩვეულებრივ კონტრაბანდა შემოაქვთ მდ. ჭოროხზე გავლით, საწყობებიდან, რომლებიც არსებობენ თურქეთის სამფლობელოში, ჩურუქსუსა და ნიკოლოზის (შეკვეთილის) საყარაულოს მოპირდაპირე მხარის ყავახანიდან... მაგრამ უფრო მეტი შემოდის კონტრაბანდა სამეგრელოში, სადაც იმყოფება მისი დიდი საწყობები. ასე, მაგ., ზუგდიდის საქონლის დიდი ნაწილი კონტრაბანდულია, ხოლო თვით კონტრაბანდით ვაჭრობა იქ სრულებითაც არ ითვლება სათაკილოდ. ამიტომაც ევროპულ საქონელზე ზუგდიდში არსებული ფასები სანახევროდ დაბალია ქუთაისის ბაზრისაზე[55].

რუსეთის გენშტაბის კაპიტანი ლ. არტამონოვი, თავის მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევში, საკმაოდ დეტალურად აღწერს რა სპარსეთის აზერბაიჯანის სავაჭრო ცენტრების: თავრიზის, ხოისა და არდებილის მეშვეობით რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობის ვითარებას 1870—1880-იან წლებში, აცხადებს: „... საკმარისია ცოტახნით მაინც იცხოვროს კაცმა საზღვრის ახლო სპარსეთის მხარეს, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ ყოველივე ფასეული, კომპაქტური და ადვილად გასატანი ჩვენთან შემოდის კ ო ნ ტ რ ა ბ ა ნ დ ი ს ფ ა რ თ ო ფ რ ო ნ ტ ი თ მთელი 600 ვერსიანი საზღვრიდან. კონტრაბანდა აზერბაიჯანში არა შემთხვევითი, არამედ სავსებით წესიერად ორგანიზებული მესარეწეობაა, რასაც კარგი შემოსავალი აქვს და გამუდმებული შეკვეთები ერევნელი, ნახჭევანელი, შუშელი, განჯელი, ლენქორანელი, ბაქოელი და თბილისელი ვაჭრებისაგან. მასთან ბრძოლა უაღრესად ძნელია, რადგანაც კონტრაბანდაში ძლიერ აქტიურად მონაწილეობს ჩვენი საზღვრების მუსლიმანური მოსახლეობა“...[56]

საერთოდ იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში კონტრაბანდული ვაჭრობის როგორც მიზეზების, მეთოდებისა და გზების, ასევე მის წინააღმდეგ ადმინისტრაციის ოფიციალური ბრძოლის და ამავე ადმინისტრაციის მოხელეთა მხრივ კონტრაბანდული ვაჭრობის ფარული წაქეზების, კიდევ მეტი, მასში უშუალო მონაწილეობის

---

[55] [Л а в р е н т ь е в], Стат. описание Кутаисского ген.-губ., 1858, СПб, с. 124—125.

[56] Л. А р т а м о н о в, Сев. Азербайджан, 1890, Тифлис, с. 47.

შესახებ საკმაო ლიტერატურა და კიდევ უფრო მეტი საარქივო მასალა არსებობს. ამ მასალის აზრი ისაა, რომ ადმინისტრაცია ერთი ხელით ებრძოდა იმას, რასაც მეორე ხელით თვითონვე აქეზებდა და აძლიერებდა.

დ. 1847 წ. საბაჟო-საკარანტინო დებულება

1847 წ. 4 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიასა და ამიერკავკასიაში საკარანტინო და საბაჟო სამსახურის დებულება. ჟამისგან (ჭირისგან) ამირკავკასიისა და რუსეთის შიგა გუბერნიების დაცვის მიზნით არსდება სამი საკარანტინო ლინია: I. ამიერკავკასიის, II. სუხუმ-კალესა და III. კავკასიის. შიგა რუსეთისათვის ეს უკანასკნელი იყო უმთავრესი. ამიერკავკასიისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (სოხუმის) კარანტინები გაერთიანებული იყვნენ საბაჟოებთან და იწოდებოდნენ საკარანტინო-საბაჟო დაწესებულებებად (§ 2). სამსავე ლინიაზე გაცვლის სახლები (меновой двор) და ბაზრები შედიოდნენ საკარანტინო-საბაჟოების უფროსთა გამგებლობაში (§ 13).

I. ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგი ვრცელდებოდა ზღვის სანაპიროებზე თერგის შესართავიდან ასტარამდე, მერმე სპარსეთისა და თურქეთის მთელ სახმელეთო საზღვარზე წმ. ნიკოლოზის სიმაგრემდე (შეკვეთილამდე) და ბოლოს აქედან შავი ზღვის სანაპიროებზე ენგურის შესართავამდე (§ 18). ამ ოკრუგის სამმართველო იმყოფებოდა თბილისში (ამიერიდან უქმდებოდა აქ არსებული ჟამისგან დაცვის კომიტეტი). მთელი ოკრუგი იყოფოდა ოთხ დისტანციად:

1. ბაქოს (ბაქოს, სალიანის, ასტარის, ლენქორანის საბაჟო-საკარანტინოები და დერბენტის, ყუბის, აფშერონის, კუმბაშისა და სხვ. საყარაულოები);

2. ნახჭევანის (გიულისტანის, ჯულფის, ჯებრაილის, შარურის...);

3. ალექსანდროპოლის — გუმბრის (ალექსანდროპოლის, ორგოფის, აჯი-ბაირამის, ქოზიაპინის, ჯაგისმანის...) და

4. რედუტ-კალეს—ყულევის (რედუტ-კალეს, წმ, ნიკოლოზის, ოზურგეთის საკარანტინო-საბაჟოები და საყარაულოები).

ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგში იმყოფებოდა თბილისის სასაწყობო საბაჟო და მას დაქვემდებარებული სუხუმის საბაჟო-საყარა-

ულო, რომლებიც დისტანციების შემადგენლობაში არ შედიოდ-ნენ[57].

II. 1847 წ. № 21169 კანონის საფუძველზე არსდებოდა აგრეთვე ახალი, სუხუმ-კალეს საკარანტინო-საბაჟო, რომელშიც შედიოდა შავი ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სანაპიროები ენგურის შესართავიდან ბოღაზამდე. იგი ემორჩილებოდა შავი ზღვის სანაპიროთა ლინიის უფროსს და იყოფოდა: 1. აბხაზეთისა (ენგურიდან გაგრამდე) და 2. ჩერქეზეთის (გაგრიდან ბოღაზამდე) დისტანციებად. აბხაზეთის დისტანციაში შედიოდა: სუხუმ-კალეს, ოჩემჩირის, ბომბორის, ბიჭვინთის, გაგრის, კელასურისა და გუდავას საბაჟო-საკარანტინოები; ჩერქეზეთისაში: ნოვოროსიისკის, გელენჯიკის, ანაპისა და სხვ...

III. კავკასიის საკარანტინო ლინია ვრცელდებოდა ბოღაზიდან ზემოთკენ ყუბანისა და მერმე თერგის გასწვრივ კასპიის ზღვამდე, ყუბის შესართავამდე. ეს ლინია რჩებოდა ადრინდელი შემადგენლობით და ეკატერინოგრადის კანტორის მეშვეობით ემორჩილებოდა კავკასიის ნამესტნიკს (§ 36 და 37).

კავკასიის საბაჟო-საკარანტინო ლინია რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის ვაჭრობაში იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, რომ აქ საჭიროა ორიოდე ცნობა მოვიყვანო მისი ისტორიიდან.

ჯერ კიდევ მაშინვე, როდესაც თბილისსა და ბაქოში საბაჟოები დაარსდა, გაუქმდა (მოიხსნა) კავკასიის ლინიის მოზდოკის საბაჟო და, მაშასადამე, „კავკასიის ლინიაზე გაიხსნა თავისუფალი და უბაჟო ვაჭრობა მთიელ ხალხებთან, სადაც საბაჟო მეთვალყურეობას არავითარი ფუნქცია არ ჰქონდა; ამითვე გაიხსნა რუსეთიდან საქონლის თავისუფალი გატანა საქართველოში და შემოერთებულ სპარსულ პროვინციებში (ე. ი. ბაქოსა და სხვ. სახანოებში — პ. გ.); მაგრამ აქედან, ჩვენს მიერ დაპყრობილი პროვინციებისა და მთიულეთის ნაწარმთა სახელწოდებით რუსეთში დაუბრკოლებლად დაიწყო დენა მრავალმა სპარსულმა საქონელმა. ამგვარად, შემოერთებულ პროვინციებში ჯეროვანი მეთვალყურეობის დაუწესებლად, კავკასიის ლინიაზე საბაჟო ჯაჭვის დარღვევით, წარმოიშვა შესაძლებლობა ჩვენს მიერ შემოერთებული მხარიდან შიგა აზიაში გაეტანათ

---

[57] II ПСЗРИ, т. XII, 1847, №-21169, с. 399—406. ხსენებული კანონების შემზადების მდიდარი მასალა დაცულია ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქივის კავკ. კომიტეტის ფონდში, საქმე № 355[6], 1846-7, ფურც. 626.

აურაცხელი რაოდენობის რუსული მონეტები“ — ვკითხულობთ 1816 წ. შედგენილ ოფიციალურ მომოხილვაში[58].

ამის მოთმენა კი თვითმპყრობელობის ადმინისტრაციას, ცხადია, დიდხანს არ შეეძლო. სწორედ ამიტომ დაიწყო სასაზღვრო ტერიტორიის დეტალური შესწავლა, რის შემდეგაც, საერთოდ, საზღვრებისა და, კერძოდ, საბაჟო ლინიის გამაგრების მიზნით, ბაქოს საბაჟო დისტანციის არეალში დაარსდა საყარაულოები: ჯევადის, სალიანის, ლენქორანის, შუშისა და ელიზავეტპოლის; ხოლო თბილისის დისტანციისათვის: ბორჩალოს, წალკის, სურამის და ქუთაისის საყარაულოები და, ამგვარად, „საზღვრები გამაგრდა უწყვეტი საბაჟო ჯაჭვით“.

კავკასიის ლინიაზე კი რჩებოდა თავისუფალი უბაჟო ვაჭრობა მთიელებთან: მაგრამ სპარსეთიდან კონტრაბანდას აქ რომ არ შეშოელწია, ყიზლარის შაზრის კასპიის ზღვის სანაპიროები, სოფელ ჩორნი რინოკის მიმდებარე ადგილები და სხვ. გამაგრებულ იქნა საბაჟო საყარაულოებით. ასე რომ, შიგა რუსეთში მხოლოდ დაწესებული საბაჟო საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლებოდა ირანთურქეთიდან საქონლის შეტანა[59]. მაგრამ იყო შავი ზღვის საზღვარიც. ამიტომაც ამ სანაპიროების საბაჟო გამაგრებაც შავი ზღვის სამხედრო კორდონს დაევალა, რათა აბხაზეთიდან კავკასიის ლინიაზე უცხოური საქონელი საერთოდ არ გასულიყო.

ახლა დავუბრუნდეთ 1847 წ. 4 მაისის კანონის ამიერკავკასიის კომერციულ ცხოვრებაში გატარების საკითხს.

ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო დაწესებულებები საქონელთა გატარებისა და საბაჟო საფასურის აღების მხრივ ხელმძღვანელობდნენ ადრინდელი და 1846 წ. 14 დეკემბრის ტარიფით, რაც დადგენილი იყო შავი ზღვის საქართველოს პორტებისათვის. სპარსეთისა და თურქეთის სახმელეთო საზღვრებიდან 1846 წ. საბაჟო ტარიფით ნებადართული იყო შემოტანა იმ ევროპული და კოლონიური საქონლისა, რაც „ნამდვილად აუცილებელი იყო მესაზღვრე მოსახლეობისათვის.“ ამ საქონელთა საგანგებო სია უნდა შეე-

---

[58] АСКАК. V, с. 322.

[59] ეს მაშინ, როდესაც ოცი წლის წინ, 1827 წ., გამოცემული კანონით: ამიერკავკასიაში, შავი და კასპიის ზღვებს შორის, ვაჭრობის განვითარების მიზნით საქართველოსა და ასტრახანის საბაჟო ოკრუგის პორტებით რუსი თუ სპარსელი ვაჭრების მიერ შემოტანილ სპარსულ საქონელზე დროებით დაწესდა 5% საბაჟო საფასური; ისე რომ, საქართველოდან რუსეთში შეტანილი ეს საქონელი სხვა არავითარ საფასურს არ იხდიდა (II ПСЗРИ, т. II, № 831, с. 38).

დგინა კავკასიის ნამესტნიკს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით. ასეთი სიაც მალე იქნა შედგენილი და დამტკიცებული[60].

№ 21168 კანონის 62 პარაგრაფი ამჟღავნებდა „დიდ ლიბერალობას“ იმით, რომ ათავისუფლებდა კონფისკაციისაგან გასაპარებელ საქონელს, რომლის რუსეთში გატანა კავკასიის ლინიიდან აკრძალული იყო. ასეთი საქონელი პატრონს შეეძლო უკანვე წაეღო ამიერკავკასიაში, თუ ისინი მოჰქონდათ პირებს, „რომლებიც ვაჭართა წოდებას არ ეკუთვნიან და თუ ეს საქონელი საბაჟო დათვალიერებისაგან არ იყო დამალული“[61].

1847 წ. 4 მაისის № 21169 კანონს იმავე დღეს მოჰყვა № 21172 კანონი: „საკარანტინო-საბაჟო უწყებაში აბხაზეთის პორტებ-ს ნიღების შესახებ“[62].

კავკასიის ნამესტნიკმა მ. ვორონცოვმა 1846 და 1847 წწ. ორჯერ აღძრა საკითხი აბხაზეთის პორტების დახურვის (ლიკვიდაციის) თაობაზე. ამასთანავე იგიცა და ფინანსთა მინისტრიც საჭიროდ სთვლიდნენ აბხაზეთის მთავრისათვის მიეცათ შესაფერისი საზღაური. ასეთი ღონისძიების გატარება აუცილებლად მიაჩნდათ არა მხოლოდ კარანტინისა და საგარეო ვაჭრობის, არამედ და, ცხადია, მეტადრე პოლიტიკური თვალსაზრისით.

„კავკასიის კომიტეტის აზრითაც „აბხაზეთის პორტების... შემდგომში არსებული სახით სავსებით ღიად დატოვება არა მხოლოდ კონტრაბანდისა და ყაჩის, არამედ საერთოდ ყველა მხრით მავნებელია და უხერხული, რისგამოც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას დაშვებული“.

ამიტომაც კომიტეტმა დაადგინა: 1 აბზახეთის პორტები: ოჩემჩირე[63], კელასური და გუდავა მიღებულ იქნას საკარანტინო-საბაჟო

---

[60] II ПСЗРИ, т. XXII, № 21831, сс. 943—944.

[61] იქვე, გვ. 407—408.

[62] იქვე, გვ. 415—416.

[63] მართებულია ოჩემჩირე და არა ოჩამჩირე. ეს ჭანურ-მეგრული (კოლხური) შედგენილობის ტოპონიმია. ოჩე — ყანა; მჩირე — ფართო (იხ. პროფ. გ. რ ო გ ა ვ ა, ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩემჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის. თსუ შრომები, 1960, ტ. 93). აღსანიშნავია რომ თურმე გიორგი შერვაშიძე (ჰამეთ-ბეი) წერდა: ოჩემჩირეს (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900, № 1319). იხ. აგრეთვე ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები (თსუ შრომები, 1968, ტ. 117), ეს ავტორები იზიარებენ პროფ. გ. როგავასეულ ახსნას და თანაც შენიშნავენ, რომ ოჩე — ხოდაბუნს, საბატონო დიდ ყანას ნიშნავსო. ამ ცნობის მოწოდებისათვის პროფ. მ. დ უ მ ბ ა ძ ე ს მად ლობას მოვახსენებ.

უწყებაში და მათზე გავრცელდეს შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებზე დაწესებული მეთვალყურეობა; 2. ოჩემჩირეში გაიხსნას პორტი და დაარსდეს საკარანტინო-საბაჟო საყარაულო. კელასურსა და გუდავაში გემების მისვლა გადაჭრით აიკრძალოს; 3. რამდენადაც ამ სამი პორტის სახელმწიფო უწყების ხელში გადასვლით აბხაზეთის მთავრის სახლი კარგავს შემოსავალს რასაც აქედან ღებულობდა, მისი ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის, მის მიმართ იმპერატორის ყოვლადმოწყალე ყურადღების ნიშნად, „აბხაზეთის მთავარს გენ.-ლეიტ. მიხეილ შერვაშიძეს მიეცეს 9 500, ხოლო მის ძმას თავად დიმიტრის 2 500, სულ ორივეს ერთად 12 000 მან, ვერცხ. წლიურად; 4. ეს თანხა, ცხადია, ადგილობრივ საბაჟოთა შემოსავლიდან უნდა ყოფილიყო გაცემული; 5. ამიერიდან აბხაზეთის მთავარს დაევალოს მთელი მისგან დამოკიდებული საშუალებები გამოიყენოს, რათა ხსენებულ და საერთოდ აბხაზეთის სანაპირო პუნქტებში არ იქნას დაშვებული ფარული და კონტრაბანდული ვაჭრობა. ამასთანავე იმისათვის, რათა აბხაზეთის მთავარმა ზუსტად და განუხრელად შეასრულოს ეს პირობა, კომიტეტის აზრით „ფრიად სასარგებლო იქნებოდა ამ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში მისთვის შეეწყვიტათ ხსენებული თანხის მიცემა, თუ კი კავკასიის ნამესტნიკი მხარის სამხედრო და პოლიტიკურ გარემოებათა გამო ამ მხრივ რაიმე დაბრკოლებასა და სიძნელეს არ დაინახავდა“... კავკასიის კომიტეტის ჟურნალში შეტანილ ამ დადგენილებას 1847 წ. 4 მაისს იმპერატორმა საკუთარი ხელით წააწერა: „აღსრულდეს“[64].

ე. ტრანზიტის საბაჟო მეთვალყურეობისათვის

1852 წ. დამტკიცდა ამიერკავკასიის ტრანზიტის ახალი წესები, რომლის პირველ პარაგრაფში განცხადებულია, რომ „ევროპული და კოლონიური საქონელი შეიძლება ტრანზიტით, საბაჟო საფასურის გადაუხდელად, ამიერკავკასიაზე გაელით გაიგზავნოს სპარსეთში რედუტ-კალედან, სოხუმ-კალედან და თბილისიდან — ნახჭევანის გზით სპარსეთის (ირანის) საზღვრამდე“. მეორე პარაგრაფი იუწყება, რომ პირუკუ იმავე გზით და ასევე უბაჟოდ ევროპისაკენ ნებადართულია აზიური საქონლის ტრანზიტი (იხ. აგრ. §§ 31 და 33)[65].

---

[64] II ПСЗРИ, XXII, 1847, № 21172, с. 408.

[65] ЦГИАЛ, ф. КК, 1852, д. № 279, лл. 1—119.

ევროპიდან შავი ზღვით შემოსული სატრანზიტო საქონლის მიმართულება იყო: სოხუმ-ზუგდიდი-ქუთაისი..., ხოლო რედუტ-კალედან (ყულევიდან) — ქუთაისი... მერმე ორივე ხსენებული პორტიდან შემოსული საქონელი მიდიოდა: გორი—თბილისი—ერევანი-ნახჭევანის გზით და, ბოლოს, ჯულფის გადასასვლელით (არაქსზე)—ირანში. შეიძლებოდა ყულევიდან—რიონითაც ორპირამდე და გუბისწყლამდეც, მხოლოდ იმ პირობით, რომ რიონამდე სატრანზიტო საქონელი მიეტანათ მდ. ცივით და რიონის არხით და არა ზღვით მდ. ხობის შესართავიდან მდ. რიონის შესართავამდე (§ 9)[66]. საქონელი ყულევიდან და სოხუმიდან თბილისში უნდა მიეტანათ არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო თბილისიდან ნახჭევანში არა უგვიანეს 3 თვისა (§ 10). სატრანზიტო საქონლის გაყიდვა შეიძლებოდა თბილისშიაც, ოღონდ ამისათვის აუცილებელი იყო საფასურის გადახდა (§ 13)[67].

მალე, 1854 წ. გამოიცა ბრძანება, რამაც ნება დართო ბაკგადაუხდელი უცხოური საქონელი შეეტანათ თბილისში, როგორც იმპერიის ევროპული საზღვრებიდან, ისე პოლონეთის სამეფოს საგარეო საზღვრებიდანაც[68].

ა. ბარიატინსკიმ 1856 წ. აღძრა ასტრახანის გუბერნიის კავკასიის სანამესტნიკოსთან შეერთების საკითხი. იგი ამას ასაბუთებდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, კერძოდ ვაჭრობის ინტერესებით:

1. ასტრახანიდან იგზავნება ყოველგვარი სამხედრო ამუნიცია და საჭურველი ჯარებისათვის, რომლებიც განლაგებულია კასპიის მხარესა და მთელ კავკასიაში. ასტრახანში არსებობს სურსათ-სანოვაგის კავკასიაში გადაზიდვის სპეციალური კომიტეტი, რომლის მოქმედება არ ემორჩილება კავკასიის მთავარმართებლობას, რის გამოც წარმოსდგება დიდი უხერხულობანი და სიძნელეები.

---

[66] საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ დროს მდ. რიონით ფოთიდან ორპირამდე და ყულევიდან ხობი-რიონით ორპირამდე მნიშვნელოვანი სამდინარო ნაოსნობა იყო გაჩაღებული. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენ.-მ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მოღვაწეობის 1854 წ. ანგარიშგებაში ნათქვამია: „მეგრელებს რიონზე აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის კაიუკები", რომლითაც ამ (ყირიმის) ომის დაწყებამდე მდინარეზე გადაჰქონდათ როგორც სამხედრო ამუნიცია, ისე სხვადასხვა საქონელი, რაც საღდებოდა ამ მხარეში, „მაგრამ ყველაზე უფრო მათ გადაყავდათ მგზავრები" (იქვე, ფ. კკ, საქმე № 335, 1855, ფურც. 2—5).

[67] იქვე, საქმე № 279, ფურც. 116—119.

[68] იქვე, საქმე № 82, 1854, ფურც. 1—18.

2. ვაჭრობის მხრივ ასტრახანის გუბერნია მჭიდრო კავშირშია კავკასიასთან. კასპიის ზღვის მიმდებარე ამ მხარის აღმოსავლეთის ნაწილის ყოველგვარი ნაწარმი რუსეთში საღდება ასტრახანის მეშვეობით. აქედანვე ღებულობს თითქმის მთელი ამიერკავკასია რუსულ ნაკეთობებს (საქონელს), რასაც ყიდულობენ ნიჟეგოროდის იარმარკეტაში და მოაქვთ მდ. ვოლგით. მთელი ვაჭრობა რუსეთისა კავკასიასთან და კავკასიის მხარის მთელი ვაჭრობა რუსეთთან წარმოებს ასტრახანის მეშვეობით. თვით ასტრახანის კომერციული მოსახლეობა შედგება თითქმის მხოლოდ ამიერკავკასიის მკვიდრთაგან და ასტრახანის სავაჭრო წარმატებებზეა დამოკიდებული ამიერკავკასიის მომავალი კეთილდღეობის განვითარება. ამიერკავკასიის კასპიისპირა პროვინციების სავაჭრო მესარეწეობის განვითარება დამოკიდებულია ასტრახანზე, რომელიც ამ მხარეს აძლევს ყველაფერს, ურომლისოდაც მას არსებობა არ შეუძლია.

3. სპარსეთთან რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა ტარდება ასტრახანის მეშვეობით, ხოლო ამისი და საერთოდ სპარსეთის პოლიტიკური მდგომარეობის მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს კავკასიის ნამესტნიკს. აღმოსავლეთში რუსეთის გავლენა მრავალმხრივაა დამოკიდებული ასტრახანსა და ამიერკავკასიაზე და მხოლოდ ერთიანი მოქმედებით შეიძლება ამ მხრივ მოველოდეთ სარგებლობას მომავალში: ასტრახანის კავკასიისადმი ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდება მაშინ, როდესაც, როგორც ეს იყო მაგალითად წინანდელი (ყირიმის) ომის დროს, თურქეთთან განხეთქილების შემთხვევაში, შავი ზღვა ჩვენთვის შეიძლება ჩაიკეტოს. მაშინ კი ყოველგვარი სავაჭრო კავშირისათვის დარჩება ერთი მოსახერხებელი გზა: კასპიის ზღვა და ასტრახანი. და თუ ასტრახანის გუბერნია შეერთებული იქნა კავკასიის სანამესტნიკოსთან, ნამესტნიკს შეეძლება წარმატებით გაუძღვეს მთელ საქმეს, რამდენადაც მას შესაძლებლობა ექნება... გააძლიეროს და გაადვილოს ამიერკავკასიურ ნაკეთობათა გასაღება, გაადიდოს შემოტანა და მოხმარება რუსული საქონლისა ამიერკავკასიაში და ხელი შეუწყოს ჩვენი ვაჭრობის განვითარებას სპარსეთში და საერთოდ შუა აზიაში[69].

---

[69] ЦГИАЛ, АНХ, ф. Министерства финансов. Департамент... податей и сборов, 1856, д. № 749, лл. 138—139.

კავკასიის ნამესტნიკის ეს მოსაზრებანი, ცხადია, ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ მისი სამფლობელოების ფარგლების გაფართოების ინტერესით. ეს საკითხი ათიოდე წლით უფრო ადრეც წამოიჭრა.

3. კავკასიის საბაჟო-საკარანტინო ლინია

მაგრამ ნამესტნიკის ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ პეტერბურგში კატეგორიულად გაილაშქრა ფინანსთა მინისტრმა, სწორედ შიგა რუსეთის გუბერნიების ეკონომიკური ინტერესების სახელით, იგი, სახელდობრ, წერდა:

მოქმედი კანონების მიხედვით ამიერკავკასიიდან საქონლის სახმელეთო გზით რუსეთში შეტანა ნებადართულია კავკასიის ლინიის მხოლოდ ორი პუნქტიდან, ეკატერინოდარიდან და ყიზლარიდან. მაგრამ ამ პუნქტებიდანაც შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი, კავკასიური წარმოშობის საგნების გატანა და თურქული და სპარსული საქონლისაც, რომლის ბაჟი გადახდილია ამიერკავკასიის სახმელეთო საზღვრებზე. ყველა სხვა საქონლის ამიერკავკასიიდან რუსეთში შეტანა საერთოდ აკრძალულია და კონტრაბანდად ითვლება თვით ამიერკავკასიური საქონელიც კი, თუ ის შეტანილი არაა ზემოხსენებულ ორ პუნქტში გავლით[70], სადაც იმპერიის შიგნით საქონელთა მართებულ შეტანაზე დაწესებულია საბაჟო მეთვალყურეობა.

„მაშასადამე, აცხადებდა ფინანსთა მინისტრი 1857 წელს, კ ა ვ კ ა ს ი ი ს ლ ი ნ ი ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ხ ა ზ ს, რ ო მ ე ლ ი ც ს ა ბ ა ჟ ო ს მ ხ რ ი ვ ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა ს გ ა მ ო ყ ო ფ ს რ უ ს ე თ ი ს ა გ ა ნ. ამ ლინიაზე არაა დაწესებული საფასურთა ამკრები ჩვეულებრივი საბაჟოები მხოლოდ იმიტომ, რომ აქედან შიგა რუსეთში გაიშვება მხოლოდ ის დასახელებული საქონელი, რომელიც აქ ბაჟს არ იხდის, ხოლო ყველა სხვა საქონლის გატანა კი საერთოდ აკრძალულია. ამის გამო საკმარისადაა მიჩნეული, რომ ეკატერინოდარსა და ყიზლარში იყოს მხოლოდ საბაჟო მეთვალყურეობაო“, — ატყობინებდა მინისტრი ცარიზმის ერთგულ გენერალს და მხედართმთავარს, რომელიც რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის მომსახურების ზოგიერთ „ინტიმურ“ საკითხში, როგორც ეტყობა, არც თუ ისე კარგად ერკვეოდა[71].

---

[70] ЦГИАЛ, АНХ, ф. Министерства финансов. Департамент... податей и сборов, 1856, д. №—749, лл. 139—150.

[71] იქვე, ფურც. 154—156; კურსივი ჩვენია — პ. გ.

თავის ადგილას ითქვა, რომ კავკასიის საბაჟო ლინია ადრეც იყო და განაგრძობდა არსებობას მას მერმეც, რაც ამიერკავკასია რუსეთს შეუერთდა. კავკასიის ადმინისტრაციას, რომელიც ახლა, მე-19 საუკუნიდან, უკვე ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, 1850-იანი წლებიდან კავკასიის საბაჟო ლინია ზედმეტად მიაჩნდა.

მაგრამ ფინანსთა მინისტრი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან, მისი აზრით, მიუღწეველი იქნებოდა ისეთი თანაბარზომიერება საიმპერიო და ამიერკავკასიის საბაჟო ტარიფებს შორის, რომ ამას ზიანი არ მოეტანა საბაჟო შემოსავლისა და შინაგანი მრეწველობის ინტერესთა თვალსაზრისით. ამას გარდა ამ ლინიის გაუქმებას უნდა მოჰყოლოდა ამიერკავკასიის საბაჟოების იმპერიის საერთო საბაჟო სამმართველოსათვის დაქვემდებარება, ანალოგიურად იმისა, როგორც ეს მოხდა, როდესაც გაუქმდა საბაჟო ლინია იმპერიასა და პოლონეთის სამეფოს შორის.[72].

კავკასიის ნამესტნიკი ა. ბარიატინსკი კი, წინააღმდეგ ფინანსთა მინისტრისა, რომელსაც „თავის მოვალეობად მიაჩნია იცავდეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მრეწველთა ინტერესებს“, ამტკიცებდა, რომ კავკასიის საბაჟო ლინიის მოხსნით „რუსეთის ვაჭრები და ფაბრიკანტები არა ნაკლებ და იქნებ უფრო მეტ სარგებლობას ჰიიღებენ, ვინემ ამიერკავკასიელი ვაჭრები“. საქმე ისაა, რომ სამამულო (რუსულ) ნაკეთობათა ამიერკავკასიაში გასაღება მხოლოდ მაშინ გაფართოვდება, როდესაც გაადვილდება აქაური საქონლის რეალიზაცია რუსეთში, რამდენადაც მხოლოდ ასეთი ვაჭრობა შეიძლება იყოს ორივე მხარისათვის სასარგებლო. რაც შეეხება ტარიფებში არსებულ განსხვავებასა და, მაშასადამე, საბაჟოს შემოსავლის საკითხს, ესეც ადვილად მოსაგვარებელი იყო, იმით, რომ ამიერკავკასიიდან რუსეთში გასატან უცხოურ საქონელზე, ნაცვლად კავკასიის ლინიის მთავარი საბაჟოს ეკატერინოდარისა, პატრონი წინასწარ, თბილისის საბაჟო კანტორაში გადაიხდიდა აქაური საბაჟო საფასურის საერთო-ევროპულ ტარიფისაგან განსხვავებას.

ფინანსთა მინისტრი გამოთქვამს შიშს, რომ თბილისის საბაჟოში დამატებითი საფასურის გადახდისა და კიდევ შიგა რუსეთის შორეულ გუბერნიებში ტრანსპორტის ხარჯების მიმატების შემდეგ, უცხოური საქონელი იქ ფრიად ძვირი იქნებოდა. მაგრამ კავკასიის ნამესტნიკი მას მოტივირებულად ამშვიდებს: საეჭვო არაა, ასეთი

---

[72] АСКАК, XII, № 87, с. 148.

საქონლის პეტერბურგსა და იმპერიის სხვა შორეული ადგილებში სარეალიზაციოდ გატანას ამიერკავკასიელი ვაჭრებისათვის აზრი არ ექნება. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის გუბერნიაში, დონის კაზაკთა მიწაზე და სხვ. მცხოვრებნი, რომლებიც დაშორებულნი არიან პორტებს, საჭიროებენ ბევრ ევროპულ საქონელს. ამით ერთმანეთს დაუკავშირდება თბილისი, სტავროპოლი, ეკატერინოდარი და კავკასიის ლინიის სხვ. ადგილები, სადაც სამხედროს ჩინოსნები და მოსახლეობა განიცდის დიდ ნაკლებობას ცხოვრებაში. ასე რომ, კავკასიის საბაჟო ლინიის გაუქმებით მთავრობა მხოლოდ ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებასო[73].

კავკასიის ნამესტნიკის ა. ბარიატინსკის ამ ცდებმაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. პეტერბურგში კავკასიის კომიტეტმა ძირითადად მხარი დაუჭირა ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებს, რომ „კავკასიის ლინიაზე საბაჟო მეთვალყურეობა აუცილებელია ძველებურადვე დარჩეს ახალი ტარიფის პირობებშიც". მაინც... გატარდა საბაჟო ფორმალობათა და ბიუროკრატიული აპარატის მუშაობის ერთგვარი გამარტივება. ყველას, ვისაც სურდა თბილისიდან სახმელეთო გზით საქონელი (ნივთი) გაეგზავნა რუსეთში, ფოსტით თუ ტრანსპორტით, იგი გასასინჯად უნდა წარედგინა თბილისის საბაჟოში, რომელიც ამოწმებდა, რომ ეს ისეთი საგნებია, „რომელთა ამიერკავკასიიდან იმპერიაში შეტანა აკრძალული არაა" და სათანადო მოწმობასაც აძლევდა. ამის შემდეგ კავკასიის ლინიაზე ეს საქონელი უკვე მეორედ არ ისინჯებოდა, მ ა გ რ ა მ... აქაური მეთვალყურე ვალდებული იყო გაესინჯა, რომ ეს ნამდვილად ის საქონელია, რაზედაც თბილისში გაცემული იყო მოწმობა და დაკრული პლომბები და სხვ[74].

შედარებით მარტივდებოდა რედუტ-კალესა და ნიკოლაევის პორტებში, აგრეთვე ენგურსა და ყუბანს შორის პორტებში თურქული წარმოშობის რიგ საქონელთა შემოტანა, არსებული ტარიფების მიხედვით, პირველ ორში — გამოცხადებული ფასიდან 5 %-ს გადახდით და დანარჩენებში სულ უბაჟოდაც[75].

1861 წ. კავკასიის ნამესტნიკმა კვლავ აღძრა საკითხი საბაჟოებისა და საკარანტინოების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლო-

---

[73] АСКАК, XII, № 87, с. 149—150.
[74] ◦ქვე, გვ. 151.
[75] ◦ქვე, გვ. 152.

ბის შესახებ, რამდენადაც იგი მეტად მოუქნელი და ძნელად მოსაელელი იყო; ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის, სპარსეთისა და თურქეთის სახმელეთო საზღვრების გაყოლებით შეადგენდა 2 200 ვერსს; მაშინ როდესაც მანძილი ევროპის საზღვრებზე არსებულ საბაჟო ოკრუგებს შორის არ აღემატებოდა 300—400 ვერსს. ამიტომაც მას საჭიროდ მიაჩნდა აქ წარმოექმნა სამი ახალი დამოუკიდებელი ოკრუგი: ქუთაისის, ერევნისა და ბაქოსი[76].

მას მერმე, რაც ფოთი ოფიციალურად გამოცხადდა (1858) საპორტო ქალაქად, რედუტ-კალედან (ყულევიდან) ფოთში გადაიტანეს საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, ხოლო ყულევში დაარსდა დროებითი საბაჟო პორტი. ფოთის საბაჟოდან სატრანზიტო საქონლის მდ. რიონზე მცურავი რ ო პ ი ტ-ის გემებით დაუბრკოლებელი გადაზიდვის მიზნით დროებითი საბაჟო პოსტი დაარსდა აგრეთვე ზემორიონის ნავმისადგომზე დაბა ორპირში (ცხენისწყლის შესართავთან)[77].

ამიერიდან ქუთაისის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგი იყოფოდა: სოხუმის (ოჩემჩირეს, გუდავისა და კელასურის საყარაულოები და პოსტები), ფოთის (ყულევის, ნიკოლოზის, ოზურგეთის, ანაკლიის...) და ახალციხის საკარანტინო-საბაჟო საყარაულოებად და პოსტებად[78].

ამიერკავკასიის საბაჟოს უწყებაში შედიოდა აგრეთვე ლარსის საყარაულო (საქართველოს სამხედრო გზაზე) და სურამის, გორის, თბილისის, სოლაოღლისა და დელიჯანის სატრანზიტო პოსტები.

1881 წ. 24 მარტის კანონით კავკასიის საკარანტინო საბაჟო უწყება საბოლოოდ გამოვიდა ნამესტნიკის გამგებლობიდან და გადავიდა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების, სახელდობრ ფინანსთა სამინისტროს უწყებაში. ეს აქტი რუსეთის კაპიტალიზმის შემდგომი გაძლიერების ერთ-ერთი გამოვლინება იყო, განაპირა ქვეყნებსა და მათი მიმდებარე უცხოეთის ბაზრებზე მისი განუყოფელი ბატონობისადმი მისწრაფების მომასწავებელი; — რაც სულ უფრო ნაკლებად ითმენდა ადგილობრივ თაოსნობას და ინიციატივას, ანდა მხოლოდ იმდენად ითმენდა, რამდენადაც ის ჯერჯერობით მისთვის

---

[76] АСКАК, XII, с. 153—154.
[77] იქვე, გვ. 1339.
[78] იქვე, გვ. 157—158.

ხელსაყრელი იყო; — რაც ცენტრალისტური ინტერესების მისწრაფების გზაზე ულმობლად სპობდა და ანადგურებდა „ტუზემცეების“ კომერციული და საერთოდ ეკონომიკური განვითარების ყოველგვარ თავისუფლებას და რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა მრავალი ადგილობრივი, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება, რამდენადაც ადრე თუ გვიან ჩაიკეტა ნატიფი და უნიკალურ ნაკეთობათა რეალიზაციისა და, მაშასადამე, აღწარმოების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა მხოლოდ დიდი დროის შემდეგ გაიხსნა და კვლავ დაიწყო აღდგენა, ახლა უკვე სუვენირების სახით, და მასობრივადაც წარმოება იმისა, რაც ოდესღაც მომხმარებელთა შედარებით მცირე რაოდენობისათვის იყო განაუთვნილი.

ახლა, 1880-იანი წლებიდან, ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო უწყება ორი ოკრუგისაგან შედგება: ქუთაისისა და ბაქოსი, რომელთაც ორი ზღვისა (შავი და კასპიის) და ერთი სახმელეთო (სპარსეთ-თურქეთის) სასაზღვრო სივრცე ეჭირათ. შავი ზღვის სანაპიროთა საბაჟო პუნქტები იყო: ანაპა, ნოვოროსიისკი (II კლასის კანტორა), გელენჯიკი, სუხუმ-კალე, გუდაუთა, ფოთი (I კლ. კანტ.) და წმ. ნიკოლოზის პოსტი. კასპიის ზღვისპირეთია: ასტარა, ლენქორანი, ყიზილ-აღაჩი, მტკვრის შესართავი, სალიანი, ბაქო (I კლ. კანტ.), აფშერონი, ნიზოვსკი, დერბენტი და სხვ. სახმელეთო საზღვრების: ართვინი (II კლ. კანტ.), ოლთისი, ყარსი (II კლ.), ორდუბათი, ჯებრაილი (II კლ.) და სხვ. ამათ გარდა იყო მეოცეარი საბაჟო სასაწყობო პუნქტი თბილისსა და ბათუმში და კიდევ ორი საყარაულო: ოზურგეთისა და ჭოროხის, რომლებიც საბაჟო ოკრუგებს არ ემორჩილებოდნენ.

ჩვენ ქვემოთ გავეცნობით 1883 წ. კანონს, — ამიერკავკასიაში უბაჟო (თავისუფალი) ტრანზიტის აკრძალვისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ვითარებას.[79].

---

[79] საერთოდ ბაჟისა და ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ იხილეთ: Осокин, Внутренние пошлины в России, 1850; Лодыженский, История русского томоженного тарифа, 1886; его же, Томоженная политика России во второй половине XIX в., 1911; Кун, Развитие нашего томоженного обложения..., 1917; Бенеман, О таможенном покровительстве промышленности, 1891; Шапошников, Протекционизм и свободная торговля; 1925; Озеров, Основы финансовой науки, ч. I, 1911; Кулишер, Ист. экон. быта Зап. Европы, I—II, 1931; Marshall, Fiskal Policy of International Trede, 1920; Ehrenburg, Handelspolitik, 1966.

III. ამიერკავკასიის ტრანზიტი

პოლიტიკა. საერთაშორისო მნიშვნელობა. სტატისტიკა

1. ტრანზიტის პოლიტიკის ამოსავალი საწყისები

დას. ევროპის ქვეყნების მიმართ რუსეთის ვაჭრობისა და ბაჟის პოლიტიკა მე-18 საუკუნეშიც უაღრესად პროტექციონისტული ხასიათისა იყო. მე-19 ს. დამდეგიდანვე იკრძალებოდა რიგი დას. ევროპული საქონლის შემოტანა. განსაკუთრებით ცნობილია 1822 წ. გამოცემული, ე. წ. ამკრძალავი ტარიფი. აღიკვეთა ტექსტილური ნაწარმის უდიდესი ნაწილის, ასევე საწერი და საბეჭდი ქაღალდის, სპილენძის, თუჯის, რკინის, შუშის, ფაიფურის, შაქრის და სხვ. შემოტანა. 1830 და 1841 წლების საბაჟო ტარიფით დაშვებულ იქნა რიგი აქამდე აკრძალული საქონლის შემოტანა. 1822—1849 წწ. საშუალო საბაჟო საფასური უდრიდა შემოტანილი საქონლის გამოცხადებული ფასის 45 %. 1851 და 1857 წწ. საბაჟო ტარიფი მიზნად ისახავდა მფარველობა გაეწია რუსეთის მრეწველობის ახალი დარგებისათვის, ხოლო შეღავათიანი განაკვეთი წესდებოდა უკვე მოღონიერებული დარგების საქონელთა შემოტანაზე. 1869 წ. საიმპერიო ტარიფის მოქმედების პერიოდში (1869—1886) სავაჭრო ბალანსი რუსეთისათვის არასახარბიელო ხასიათს ღებულობს. 1877 წლიდან დაიწყო საბაჟო საფასურის ოქროს ვალუტით აღება, რამაც ფაქტიურად არსებული საბაჟო საფასური 25—30 % გაზარდა, სამხედრო ხარჯების გაიდიდებისა და სხვა მიზეზთა გამო 1882 წელს ბაჟი დაწესდა მრავალ საქონელზე, რაც 1868 წ. ტარიფით უბაჟოდ შემოჰქონდათ და აწეულ იქნა განაკვეთი ფუფუნების საგნებზე. 1877—1890-იან წლებში ფრიად მფარველობითი საბაჟო სისტემის პერიოდში დაიწყო და განმტკიცდა რუსეთის მრეწველობის სწრაფი განვითარება[1].

---

[1] В. Тимирязев, Обзор системы русского таможенного тарифа: Фабрично-заводская промышленность и торговля России, 1893, СПБ.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალი, ცარიზმი, ადრიდანვე მიისწრაფოდა საერთაშორისო ვაჭრობის გზებისაკენ. ჩრდილოეთიდან ევროპასთან საზღვაო კავშირის გახსნის შემდეგ, მის წინაშე მდგარ პირველი რიგის ამოცანებში შედიოდა გაჭრილიყო შავი და კასპიის ზღვებისაკენ და გადაელახა კავკასიონის მთაგრეხილი[2].

ჯერ კიდევ 1699 წელს, თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დასადებად კონსტანტინოპოლს მივლინებულ ემელიან უკრაინცევს თანხმობა უნდა მიეღო, რათა რუსეთის კომერციულ გემებს შავ ზღვაზე დაუბრკოლებელი ცურვის და, აქედან სრუტეებით, კიდევ ეგვიპტისა და ლევანის პორტებში შესვლის გზახსნილი მისცემოდა. რუსეთის ელჩის ამ მრავალგზის წამოყენებული პრეტენზიის საპასუხოდ სულთნის ვეზირი ა. მავკორდატო მას უცხადებს: — ეს არასოდეს არ იქნება, რადგან შავი ზღვის „მფლობელი მხოლოდ სულთანია და სხვა თანამფლობელი არასოდეს არ შეიძლება ვინმე იყოს; ხოლო ოტომანთა სახელმწიფოს ეს ზღვა აქვს როგორც უმწიკვლო და უმანკო ქალწული, ამაზე არა თუ საცურავად, არამედ ხელის მიკარებამდეც ის არასოდეს არავის არ დაუშვებს“.

ვერც უკრაინცევის შემდეგ კონსტანტინოპოლში მივლინებულმა რუსეთის ელჩმა თავ. დ. გოლიცინმა შეძლო რუსეთისათვის ამ სანუკვარი საკითხის — შავი ზღვის ვაჭრობის საკითხის — მოგვარება. პრუტის ხელშეკრულებით დაშვებულ იქნა ორსავე ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ მარტოოდენ... სახმელეთო გზით... მხოლოდ კიუჩუქ-კაინარჯის ზავის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა ქერჩი, ენიკალე და კინბერნი და რუსეთმა მოიპოვა უფლება, რათა მის სავაჭრო გემებს თავისუფლად ეცურათ შავ ზღვასა და სრუტეებზე.

1791 წ. იასის ზავის საფუძველზე ყირიმი შეიერთა რუსეთმა და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა შავ ზღვაზე. უფრო ადრე, 1784 წ. ეკატერინე II საგანგებო მანიფესტით აუწყა მსოფლიოს, რომ ხერსონი, სევასტოპოლი და ფეოდოსია ღიაა რუსეთთან მეგობრულ

---

[2] А. Семенов, Изучение Российской внешней торговли с половины XVII века по 1858 г., 1859, I—III, СПБ; П. Струве, Торговая политика России, 1913, СПБ; В. Витчевский, Торговая, таможенная и промышленная политика России от Петра Великого до наших дней, 1909, СПБ; М. Познер, Исторический обзор правительственных мероприятий для развития русского торгового мореходства, 1895, СПБ; Сборник торговых договоров, заключенных Россией с иностранными государствами, 1912, СПБ.

ურთიერთობაში მყოფი ყველა ხალხისათვის, რომელთა გემებს ნებისმიერად შეუძლიათ ამ პორტებში შევიდნენ და აქედან წავიდნენ. 1794 წ. შავი ზღვის ახალი ნავსადგური, ოდესა, პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა (30 წლით)[3].

და მაინც... მე-18 ს. ბოლოსაც შავ ზღვაზე რუსული ვაჭრობა კუს ნაბიჯით ვითარდებოდა. რუსეთს აქ თითქოს სულ არ ჰყავდა სავაჭრო ფლოტი, რომლის ცურვის თავისუფლებისათვის თითქმის მთელი საუკუნე იბრძოდა. ხოლო სხვა ქვეყნების ხომალდებს სრუტეებზე თურქეთი არ ატარებდა. ბოლოს ხერხდებოდა, რომ უცხოელთა გემები აქ რუსული ალამით შემოსულიყო, მაგრამ ამ ხრიკს ნავარაუდევი შედეგი არ მოჰყოლია[4].

მე-19 საუკუნიდან შავი ზღვის რუსულ ვაჭრობაში საქართველოს პორტებიც ჩაერთნენ. ამ დროიდან პირველი დიდი ძერა იყო 1821—1831 წწ. ათი წლით დაწესებული ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა, რასაც, და საერთოდ 1801—1831 წწ. აქ ვაჭრობის განვითარების საკითხებს, ჩვენ სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვენით, რის გამოც მათ აქ არ ვეხებით.

ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტი, როგორც ვიცით, ვადის გასვლამდე, 6 თვით ადრე იქნა გაუქმებული. რუს ვაჭრებს ეჩვენებოდათ, რომ მათი ლუკმით უცხოელი და ადგილობრივი ვაჭრები სუქდებოდნენ. შეღავათების აღკვეთის შემდეგ ადგილობრივმა და რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა ვერ შეძლო მოსალოდნელი საგარეო და საშინაო ვაჭრობის სარფიანი ოპერაციების აწყობა. 1831 წლიდან აქ დაწყებული ამკრძალავი საბაჟო ტარიფის პირობებში მძიმედ დაზარალდა ადგილობრივი ვაჭრობა და საერთოდ აღორძინების გზაზე შემდგარი თავდაპირველი დაგროვების ტენდენციები, მთლიანად ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრება.

ცარიზმის ხელისუფლება თანდათანობით დარწმუნდა, რომ ამიერკავკასიის მეშვეობით სპარსეთ-თურქეთთან და დას. ევროპის

---

[3] Ф. Вселаго, Очерк Русской морской торговли, 1874, СПБ.
[4] П. Струве, Торговая политика России, 1913, СПБ.

ქვეყნებთან ვაჭრობის სადავეების სასურველი მიმართულებით წარმართვის რუსული სავაჭრო კაპიტალის პრეტენზიები ჯერ კიდევ განსახორციელებელი ოცნება იყო. ახალი კანონის მოტივაციაში პირდაპირაა აღნიშნული მისი მიღების მიზეზი: რომ რუსეთის მრეწველობამ და ვაჭრობამ ვერ შეძლო საკუთარი ნაკეთობის საქონლით მოემარაგებინა სპარსეთის ბაზარი[5]. 1846 წ. საბაჟო კანონმა ამიერკავკასიაზე 1831 წლიდან გავრცელებულ საერთო-საიმპერიო სატარიფო განაკვეთები 30 %-მდე შეამცირა და ამასთანავე უბაჟო ტრანზიტი აღადგინა. შავი ზღვის პორტებზე უცხოურ გემთა სატვირთო გადასახდელი 50%-ით შეამცირა. ეს იყო ღონისძიება რასაც აქ უნდა მოჰყოლოდა 1821—1831 წწ. თავისუფალი ტრანზიტის ვითარებაში ჩასახული „აღორძინების პერიოდის კვლავ დაბრუნება"[6].

ნათქვამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს ცხრილები.

ამიერკავკასიის კასპიის ზღვის პორტების ნაოსნობისა და საქონელბრუნვის მონაცემებს აქ ვაქვეყნებთ 1831 წ. ადრინდელი პერიოდისაც, რადგან ეს ცნობები თავის დროზე არ შემიტანია 1801-1821 და 1821—1831 წწ. ვაჭრობისა და ტრანზიტის საკითხებისადმი მიძღვნილს ჩემს მონოგრაფიებში[7].

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ საქონელბრუნვის ანგარიში 1840 წლამდე მიდიოდა ასიგნაციის მანეთობით, ხოლო ამ დროიდან კი ვერცხლის მანეთობით. ამ ცხრილში კერძოდ 1840—1844 წწ. მონაცემები წარმოდგენილია ორივე ანგარიშით. ზემოთ ასიგნაციების, ხოლო ქვემოთ ვერცხლის მანეთობით, რაც ამასთანავე კარგად მიანიშნებს მათ შორის (ასიგნაციებსა და ვერცხლს შორის) ოფიციალური კურსით არსებულ შეფარდებას.

სიტყვამ მოიტანა და ისიც უპრიანია აღინიშნოს, რომ ვერცხლის მანეთის — рубль серебром — ქართულ შესატყვისად იხმარებოდა:

---

[5] П. Струве, Торговая политика России, 1913, СПБ, с. 225—250.

[6] К. Лодыжинский, История Русского таможенного тарифа, 1886, СПБ.

[7] ბ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. I, 1949, თბ., გვ. 3-134, 135-257.

ნაოსნობა და საქონელბრუნვა (ათას მანეთობით) კასპიის ზღვის ამიერკავკასიის პორტებში[8]

წლები	გემების მოძრაობა		იმპორტი		ექსპორტი	
	მოვიდა	წავიდა	საქონელი	მონეტა	საქონელი	მონეტა
1	2	3	4	5	6	7
1812	78	34	1059	—	310	—
1813	82	43	2338	—	1919	1428
1814	188	175	2962	—	1770	434
1815	209	205	2204	—	2032	1844
1816	256	265	4004	—	1450	2385
1817	266	231	3520	—	1294	3335
1818	205	214	6473	—	1636	3413
1819	168	241	5990	5	1774	2447
1820	172	241	5584	1	2970	1262
1821	177	297	4137	3	2793	424
1822	172	266	3002	—	3021	177
1823	178	243	3822	—	—	119
1824	191	220	4275	—	3254	603
1825	191	241	3805	—	2582	350
1826	150	160	4101	—	1753	411
1827	242	285	4290	—	3509	1668
1828	307	322	5403	—	3721	844
1829	269	319	5575	—	5470	368
1830	204	221	4805	149	3947	345
1831	173	191	3913	63	2772	681
1832	201	198	1090	43	1910	660
1833	238	237	2839	—	2046	152
1834	224	244	1707	137	1932	308
1835	268	271	2077	—	2726	883
1836	289	279	3646	146	2697	1102
1837	270	286	2839	215	2635	1298
1838	275	285	2845	2	2522	555

[8] ეს ცხრილები შედგენილია ამიერკავკასიის ტრანზიტის საკითხის შესწავლის მიზნით შექმნილი მთავრობის კომიტეტის მიერ. იხ. ЛОЦИА, კავკ. კომიტ. ფონდი, 1845, საქ. № 134, ნაწ. IV.

1	2	3	4	5	6	7
1839	295	303	2896	—	1839	742
1840	118	137	3465	—	1945	684
1841	136	169	3521	—	1523	1125
1842	155	160	3833	—	2297	1183
1843	137	150	4442	—	2136	1350
1844	103	110	3338	—	2405	1571
1840	—	—	990	—	556	195
1841	—	—	1054	—	435	322
1842	—	—	1095	—	656	338
1843	—	—	1269	—	611	386
1844	—	—	959	—	687	449

საქონელბრუნვა (ათას მანეთობით) კასპიის ზღვის ამიერკავკასიის პორტებში

წლები	იმპორტი				ექსპორტი			
	სურსათ-სანოვაგე	სამრწ. ნედლ. (ნახ. ფაბრიკ.)	მრეწვ. ნაკეთობანი	სხვა-დასხვ.	სურსათ-სანოვაგე	სამრეწვ ნედლ. (ნახ. ფაბრიკ.)	მრეწ. ნაკეთობანი	სხვადასხვა საქონელი
1824	154	2861	1167	93	208	2375	602	70
1825	160	2386	1192	66	92	1835	607	49
1826	230	2069	1714	88	85	887	740	40
1827	177	2261	1855	58	288	1899	1241	81
1828	288	2661	2417	37	466	1971	1212	72
1829	356	3493	1671	55	407	2943	2045	75
1830	340	3102	1298	64	301	1974	1623	49
1831	190	2472	1173	78	310	1178	1240	44
1832	114	333	630	15	233	713	917	50
1833	204	1284	1311	41	391	803	827	25
1834	124	1186	378	19	174	1155	874	29
1835	73	1181	791	31	231	1507	964	24
1836	138	1807	1667	34	249	1470	946	32
1837	192	1247	1379	22	240	1504	802	29
1838	729	1362	1724	30	279	1462	760	21
1839	711	1183	960	43	99	1059	673	8
1840	851	1217	1347	50	131	1261	541	11
1841	379	1172	1739	37	122	784	609	8
1842	810	983	1977	63	124	1422	735	17

1	2	3	4	5	6	7	8	9
1843	926	1126	2304	85	99	1365	666	8
1844	1375	650	1939	61	205	1281	865	21
1840	243	348	385	14	38	360	155	3
1841	211	335	497	11	35	224	174	2
1842	252	281	565	18	35	406	210	5
1843	265	322	658	21	28	390	190	2
1844	393	186	544	17	59	366	247	6

სიქა მანათი, სიქა მანეთი, თეთრი სიქა მანათი, მანათი ხუთაბაზიანი[9]. მანათი. მანეთი ქართულში შემოვიდა რუს. монета-დან : монета рубль—ასე ეწერა, მაგალითად, 1796 წ. მიმოქცევაში გამოშვებულ რუსულ ერთმანეთიანზე[10].

2. თავისუფალი ვაჭრობა და კოლონიური პოლიტიკა

1846 და 1847 წწ. ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგის მმართველობის, სატრანზიტო ვაჭრობისა და საბაჟო ტარიფის შესახებ მიღებულ კანონებს წინ უძღოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ცენტრალური ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციებში გაჭიანურებული მოსამზადებელი მუშაობა. შეიქმნა დიდძალი ოფიციალური მასალა: მიმოხილვები, ახსნა-განმარტებები, მოსაზრებანი, პროექტები და სხვ., რომელთა გაცნობა მით უფრო საჭიროა, რომ ამ დოკუმენტებიდან ნათლად გამოსჭვივის იმპერიის, როგორც მეტროპოლიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა, კერძოდ რუსეთის კაპიტალიზმის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტრანზიტისა. და ამიერკავკასიის როგორც სანედლეულო ბაზისა და როგორც რუსეთის მრეწველობის ნაკეთობათა გამსაღებელი კოლონიური ბაზრის შესახებ.

მას მერმე რაც თვით კანონების შინაარსს ჩვენ უკვე გავეცანით ბაჟის პოლიტიკისადმი მიძღვნილ თავში, აქ დაგვრჩენია მოკლედ განვიხილოთ მხოლოდ ხსენებული საარქივო დოკუმენტები,

---

[9] იხ. მაგ., გრ. ორბელიანი, წერილები, 1937, თბ., ტ. I, გვ. 126, 194, 199, 201, 260.

[10] Р. Михалевский, История денег..., 1925, приложения, табл. III—IV.

როგორც თვითმპყრობელობის ბაჟისა და ტრანზიტის, საერთოდ ვაჭრობის პოლიტიკის ფორმირების პირველწყაროები.

ამიერკავკასიაში 1821—1831 წწ. შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღკვეთის უარყოფითი შედეგები მალე საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ერთ-ერთი ძლიერი შეტევა 1831 წლიდან დაწესებული ე. წ. ამკრძალავი ტარიფის წინააღმდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღძრა 1841 წ. მართალია ამას რაიმე არსებითი ხასიათის გაუმჯობესება არ მოჰყოლია გარდა ქაღალდების დიდი გროვისა, მაგრამ გენ.-ად. ნეიდგარდტმა, ამიერკავკასიის მთავარმართებელმა, შეძლო საკითხის შესწავლაში ჩაერთო ავტორიტეტული სპეციალისტები, რომლითაც მიაღწიეს არა თუ მარტოოდენ მნიშვნელოვან ჰაილუსტრაციო მასალათა მობილიზაციას, არამედ სავსებით გარკვეული გავლენაც მოახდინეს ცენტრალური ხელისუფლებისა და განსაკუთრებით კი ადგილობრივი ადმინისტრაციის წრეებში.

ამიერკავკასიის ტრანზიტისა და ვაჭრობის პრობლემის შესახებ ამ მასალათა გაცნობის შემდეგ იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ: ამიერკავკასიაში 1832 წლიდან შემოღებულმა ვაჭრობის სისტემამ მოლოდინი ვერ გაამართლა. „მანამ სანამდე ამიერკავკასიაში არ წარმოიქმნებიან კერძო კაპიტალები, რომელთაც შეეძლებათ აამოძრაონ მრეწველობა და მიწათმოქმედება, ეს მხარე რუსეთისათვის დარჩება უნაყოფო ტვირთად. ხოლო კაპიტალების წარმოქმნისათვის ყველაზე საუკეთესო და საიმედო საშუალება არის ვაჭრობა“... ამიერკავკასიის მწარმოებლურ ძალთა ჩამორჩენილობის ახლანდელ პირობებში „უმთავრესი რასაც შეუძლია გამოიწვიოს მხარის განვითარება, ესაა იმპორტული ვაჭრობა და ტრანზიტი, რასაც მიუთითებენ ამ ქვეყნის თვით (ეკონომიკური) მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა“[11].

ტრაპიზონსა და სპარსეთს შორის გაჩაღებული მთელი ვაჭრობის თბილისში გადმოტანის მიზნით უნდა დაწესდეს სპარსული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ბაქო-თბილისი-რედუტ-კალეს მიმართულებით. ცნობილია, რომ სპარსეთში შეტანილი ევროპული საქონლით ვაჭრები ყიდულობენ განსაკუთრებით გილანურ აბრეშუმს, რაც ახლა საპალნეებით სპარსეთიდან იგზავნება თურქეთში—ტრაპიზონისაკენ. უბაჟო ტრანზიტის პირობებში, ბუნებრივია, გზის სიიაფისა და სხვ. გამო ვაჭრები აირჩევენ თბილისის მიმართულებას.

---

[11] ЛОЦИА, ф. КК, 1845, д. № 134, ч. IV, лл. 60—64.

რამდენადაც ამიერკავკასიის ტრანზიტის პრობლემა „დაკავშირებულია საერთოდ რუსეთის იმპერიის ვაჭრობასა და ფაბრიკულ მრეწველობასთან“, ცენტრში, ფინანსთა მინისტრის ინსპირაციით, აუცილებლად მიიჩნიეს ეს საკითხი განხილულიყო კიდევ მანუფაქტურისა და კომერციის საბჭოებში. ამიტომაც (10.XI.1844) იმპერატორის ბრძანებით საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ბანკირი ბარონ შატილიტი, კომერსოვეტნიკები პ. პონომარიოვი და ნ. ხარიჩკოვი, მანუფაქტურსოვეტნიკი თ. ბიტეპაკი და პირველი გილდიის ვაჭრები ალექსანდრე ტალი და იაკობ ფონ დერ-ფლიტი[12].

ამ კომიტეტს უნდა ეთქვა: შეიძლება თუ არა „რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის დიდი ზიანის მიყენების გარეშე ამიერკავკასიის შავი ზღვის პორტებს ნება დაერთოს 30 წლით, ან უფრო ნაკლები ვადით, 1841 და 1819 წწ. ტარიფით დაწესებული საფასურის 20 % გადახდით სატრანზიტოდ მიიღონ ყოველგვარი უცხოური საქონელი“ (ზოგიერთი გამონაკლისით)..., წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა თუ არა აიკრძალოს ამიერკავკასიიდან უცხოეთში გატანა რუსული მონეტების და ჰოლანდიური ჩერვონეცებისა და სხვ[13].

საგანგებო კომიტეტების ვრცელი მსჯელობის აზრი მოკლედ ისაა, რომ ნავარაუდევი შეღავათიანი ტრანზიტი „ყოველგვარ ეჭვს გარეშე დიდ ზიანს მიაყენებს ვაჭრობასა და მანუფაქტურულ მრეწველობას“, რადგან: 1. რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა შეტანა ამიერკავკასიაში სულ უნდა შეწყდეს, რამდენადაც მას არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უცხოური ნაკეთობის სიიაფეს, რომელიც იხდის ბაჟის მხოლოდ 20 %; და 2. ამიერკავკასიიდან უცხოური საქონლის რუსეთში ფარულად შეტანის საწინააღმდეგო ღონისძიებანი არარეალურია. თუ რატომ არ შეუძლია ამიერკავკასიაში უბაჟოდ შეტანილ და ამასთანავე პრემიებითაც წაქეზებულ რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობებს კონკურენცია გაუწიონ ანალოგიურ ევროპულ საქონელს „ეს უდავოდ უკანასკნელთა სიიაფეა“, რაც აქ ბაჟის 20 %-ით დაბეგვრის მერმეც ინარჩუნებს გადამ-

[12] ЛОЦИА, ф. КК, 1845, д. № 134, ч. IV, лл. 66—68.

[13] ამიერკავკასიიდან მონეტების უცხოეთში უბაჟოდ გატანა დადგინდა 1830 წ. კანონით. თავდაპირველად ეს ოპერაცია უმნიშვნელო ზომისა იყო, მაგრამ 1835 წლიდან სწრაფად გაიზარდა და 1841 წ. უკვე მონეტის ექსპორტმა 1,8 მლნ. მან. ვერცხ. მიაღწია (АСКАК, X, с. 187); 1846 წ. უკვე აიკრძალა აქედან ოქროსა და ვერცხლის მონეტების გატანა (ЛОЦИА, ф. КК, 1846, д. № 325).

წყვეტ უპირატესობას. „ეს სიიაფე ნაყოფია ურიცხვი გაუმჯობესებებისა, რასაც სხვა ნაციებმა საუკუნეების განმავლობაში მიაღწიეს, ხოლო ჩვენს ახალგაზრდა მანუფაქტურულ მრეწველობას, თავისი განვითარების გიგანტური ნაბიჯების მიუხედავად, იქამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევია". ასეთია ამ უაღრესად კომპეტენტური საგანგებო კომიტეტის დასკვნა. რაც შეეხება ამიერკავკასიიდან რუსული მონეტებისა და ჰოლანდიური ჩერვონცების უცხოეთში გატანას, კომიტეტის აზრით, ესეც „არ შეიძლება იყოს რუსეთისათვის სასარგებლო", თუმცა ამის კანონით აკრძალვითაც მიზანი არ მიიღწევა[14].

მაგრამ საქმის მთელ მიმართულებაში ახალი და ძლიერი ცვლილება მოხდა მას მერმე რაც აქ გადმოიყვანეს მ. ვორონცოვი, რომელიც უკვე მოითხოვს ამიერკავკასიის ტრანზიტში უფრო მეტი შეღავათების დაწესებას, ვინემ მისი წინამოადგილე გენ.-ად. ნეიდგარტი; სახელდობრ, რომ დაეშვათ გამოცხადებული ფასიდან 5 % საბაჟო საფასურის გადახდით საერთოდ ყოველგვარი უცხოური საქონელი, ხოლო რუსეთის მთავარი საბაჟო და საკარანტინო ლინია გადაეტანათ თერგსა და ყუბანზე[15]. ამ იდეის შეურიგებელი მტერი შეიქნა, უწინარეს ყოვლისა, ფინანსთა მინისტრი, რომელმაც მხარდაჭერისათვის მაშინვე მიმართა სახელმწიფო კანცლერს გრაფ ნესელროდეს და შინაგან საქმეთა მინისტრს დსს პეროვსკის, რომლებიც, ცხადია, რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის ურყევი ბურჯები იყვნენ. მათი, კერძოდ უკანასკნელის, აზრით ამ მხარის რუსეთისათვის მთავარი ეკონომიკური სარგებლიანობა ისაა, რომ „ეგი უნდა იყოს რუსეთის მანუფაქტურულ ნაკეთობათა მომხმარებელი და მისივე აზიის სახელმწიფოებში გასაღების საშუალება[16].

სახელმწიფო კანცლერის აზრით კი აქ შეღავათების დაწესებას აზრი არა აქვს იმიტომაც, რომ „კავკასიის ხალხთმოსახლეობა თავის ჩვეულებათა და განათლებულობის დაბალი ხარისხის გამო

---

[14] ЛОЦИА, ф. КК, 1846, д. 325, лл. 105–109.

[15] იქვე, ფურც. 364—367.

[16] Перовский: «Важнейшая польза от сего края для России в экономическом отношении, есть именно то, что край умножает собою слишком ограниченное число рынков для сбыта в Азию мануфактурных наших изделий: он представляет и место потребления и средство сбыта их в Азиатские государства» (ЛОЦИА, ф. КК, 1845, д. 134, ч. IV, лл. 396—398).

არ საჭიროებს ევროპული მრეწველობის გაუმჯობესებულ ნაკეთობებს“ და კმაყოფილდება მხოლოდ აზიური ნაწარმოებებით[17]. შეღავათიანი ტრანზიტის მოწინააღმდეგეთა აზრებს ქვემოთაც შეეხებით...

რუსეთის იმპერიის დიდი განაპირა პროვინცია 1844 წ. წარმოიქმნა როგორც სანამესტნიკო ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს რუსეთის ცნობილი სახელმწიფოებრივი მოღვაწე, ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენ.-გუბერნატორი თავ. მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც კავკასიის ადმინისტრაციულ, სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვ. სფეროში გამგებლობის რიგი რეორგანიზაცია ჩაატარა. ამათ შორის კულტურულ-ეკონომიკურ ასპექტში, თვით მისი აზრით, ყველაზე ეფექტური უნდა ყოფილიყო შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენა. მალე მან ამის თაობაზე პეტერბურგში წარადგინა ვრცელი მოტივირებული მოხსენებითი ბარათი.

პეტერბურგში კავკასიის კომიტეტმა თავის შენიშვნებში არსებითად გააკრიტიკა მ. ვორონცოვის მოსაზრებები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კომიტეტის ზოგიერთ წევრს ეპვი შეჰქონდა მის პატრიოტულ გრძნობათა სიმტკიცეში.

თავის მოხსენებიდ ბარათში, და მერმეც, კავკასიის კომიტეტის შენიშვნების საპასუხოდ, მ. ვორონცოვი ამტკიცებდა: შეღავათიანმა ტრანზიტმა და ვაჭრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა როგორც რუსეთს, ისე ამიერკავკასიას; — გამოაცოცხლა ამ მხარის მწარმოებლური ძალები, გამოიწვია ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის გაუმჯობესება, ხელი შეუწყო ამ მხარეში რუსული და ევროპული კულტურის გავრცელებას, და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში (1821—1831) თითქმის ვამუდმებით ომები და აჯანყებები იყო და რომ 9,5 წელიწადი ისედაც ძლიერ მცირე დრო იყო ასეთი ღონისძიებისათვის, რაც პროვინციებს, ქალაქებსა და პორტებს, ჩვეულებრივად, 25, 35 და კიდევ მეტი დროით ებოძებათ ხოლმე.

— შეღავათების აღკვეთის შემდეგ განახევრდა აქ შემოსული როგორც რუსული, ასევე ევროპული საქონლის საერთო ღირებულება, ამასთანავე ფრიად გაიზარდა კონტრაბანდული ვაჭრობა. მიუ-

---

[17] ЛОЦИА, ф. КК, 1845, д. 134, ч. IV, л. 456.

ხედავად მრავალგვარი ზომისა შეუძლებელია ჩვენი აზიური საზღ-ერების დაცვა კარანტინული თუ საბაჟო თვალსაზრისით, ასე რომ კონტრაბანდამ[18] გააქარწყლა შეღავათების აღკვეთის მიზანი. შეღავათების დროს კი აქ წარმოშობილი და გაძლიერებული სავაჭ-რო სახლები ეწეოდნენ არა მხოლოდ უცხოურ, არამედ აგრეთვე რუსული მანუფაქტურის რეალიზაციას, ახლა ბევრი მათგანი გადა-ვიდა სპარსეთში, ხოლო ზოგიერთი საეაჭრო სახლი სულ ჩაქრა.

რიგი რუსული ნაწარმი უფრო იაფია და ადვილად მოიხმარება აქ, ვინემ უცხოური საქონელი. მათს შემოტანას ვერ მოსპობს ვერა-ვითარი სატარიფო დადგენილება და რაც მეტი იქნება კარგი ვაჭრე-ბი საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, მით უფრო გაფარ-თოვდება და გამოცოცხლდება კავშირი ნიჟეგორდის იარმარქტას-თან, რასაც ადრიდგანვე არიან მიჩვეული აქაურები, რომლებიც ვერც გაძლებენ ისეთ საქონელთა გარეშე როგორიცაა, მაგალითად, ჩაი, ბეწვეული, ციმბირის მრავალი ნაკეთობა, რაც იქიდან მიაქვთ „საქართველოში გასაცვლელად და გასაყიდად, რათა აინაზღაურონ გრძელი და მძიმე, მაგრამ ამასთანავე გვერდაუხვეველი გზა არაქ-სისა და მტკვრის ნაპირებიდან ვოლგამდე და ოკამდე“.

მ. ვორონცოვი განაგრძობს: გადაუჭარბებლად შეიძლება ითქ-ვას, რომ „ამიერკავკასიაში შეღავათიანი და მასთან ერთად მართე-ბული ვაჭრობის აღდგენით აქაურ მთავარ ქალაქებში კვლავ გამრავ-ლდება კარგი სავაჭრო სახლები და კაპიტალისტები, ხოლო რუსეთ-თან კომერციული ურთიერთობა კი არ შემცირდება, არამედ გაძლი-ერდება. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ რუსული სავაჭრო სახლები გაჩნდებიან თბილისში, როგორც ისინი არიან და მრავლდებიან ოდე-საში პორტო-ფრანკოს დაწესებიდან... ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლიდან მოყოლებული ყველა დადგენილების მიზანი იყო წაექეზებინა და გაეძლიერებინა ნაციონალური მრეწველობა, რასაც ეწირებოდა 14 წლის განმავლობაში მთელი მხარის ინტე-რესები, თბილისში არ გაჩენილა არც ერთი წესიერი სავაჭრო სახ-ლი, მიუხედავად იმისაც კი, რომ გილდიური ბეგარებისა და სხვ. მხრივ მათ შეეძლოთ ესარგებლათ მრავალი ადგილობრივი სარ-

---

[18] მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ს არსებულ პირობებში კონტრაბანდის აღკვეთა ყოვ-ლად შეუძლებელ რამედ მიაჩნდა, იმდენად დიდი იყო, ევროპული, მეტადრე ინგ-ლისური და გერმანული საქონლის უპირატესობა და, მაშასადამე, მიმზიდველი ძა-ლა. მისი აზრით, კონტრაბანდისაგან ერთადერთი ხსნა ის იყო, რომ ამ ვაჭრობა-სათვის კანონიერი ხასიათი მიეცათ, ე. ი. 5 %-მდე შეემცირებინათ საიმპორტო საქონელზე საბაჟო საფასური.

ფიანობით და, ამგვარად, რუსეთთან მთელი ვაჭრობა, როგორც წინათ, რჩება სომეხთა ხელში"[19].

რათა პეტერბურგში აუთენტური ცნობები მიეწოდებინა, მ. ვორონცოვმა, თბილისის საბაჟოს აპარატის საშუალებით, როგორც თავითონ აღნიშნავს, თბილისში ჩაატარა მთელი საქმის დაწვრილებითი შესწავლა: „რუსეთთან მოვაჭრე ყველა თბილისელი ვაჭრის გამოკითხვის" სახით; ხოლო სხვა ქალაქთა ვაჭრობის შესახებ ცნობები შეკრიბეს მაზრების უფროსებმა. ასეთი სიფრთხილე საჭიროდ იყო ცნობილი, რადგან „ჩვეულებრივ ვაჭრებს ახასიათებს სურვილი მისცეს რაც შეიძლება მაღალი ცნობები მათი სავაჭრო ბრუნვების სიდიდის თაობაზე". დადგინდა, რომ უკანასკნელი სამი წლის (1843—1845) განმავლობაში თბილისელმა ვაჭრებმა საშუალოწლიურად მიიღეს 2 მლნ. მან. ვერცხლ. რუსული საქონელი, ხოლო ამიერკავკასიის ყველა სხვა ქალაქის ვაჭრებმა არა უმეტეს 0,5 მლნ. მანეთისა. მოსკოვის მანუფაქტ. და კომერც. საბჭოს თავმჯდომარის ბარონ მეიენდორფის მიერ ფინანსთა მინისტრისათვის წარდგენილი ცნობით კი მთელი ამიერკავკასიის ვაჭრებს აქ შემოჰქონდათ წლიურად 5 მლ. მან. (თბილისში — 3, ხოლო სხვა ქალაქებში — 2 მლნ) რუსული საქონელი. ასეთი გაბერილი ცნობა, მ. ვორონცოვს მიაჩნია, რომ გამოგონილია განზრახ, რათა გააზვიადონ შეღავათიანი ტრანზიტის შემოღებით მოსალოდნელი ზიანი.

იგი არ ეთანხმება კავკასიის კომიტეტის არც იმ შენიშვნას, რომ ამიერკავკასიას მცირე ზომით მოეპოვება სარეალიზაციო პროდუქტები: „ამას არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო. ამ მხარეს გააჩნია დიდი სიმდიდრე, საჭიროა მხოლოდ სასარგებლო მაგალითის ჩვენება და მოსპობა დაბრკოლებებისა და როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში სარეალიზაციო პროდუქტები აუცილებლად გამრავლდება".

სახელმწიფო კანცლერისა და ფინანსთა მინისტრის შენიშვნებზე, რომ ამიერკავკასიას პურისა და აბრეშუმის გარდა არავითარი სხვა გასაცვლელი საგანი არ გააჩნია, ნამესტნიკი აცხადებს: გარდა ამ პროდუქტებისა, ახლაც, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რაც ამკრძალავი ტარიფისაგან წარმოსდგება, ამიერკავკასიიდან როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში გააქვთ მრავალი საქონელი, რომელთაგან ზოგიერთი დიდი რაოდენობითაც. ასეთებია, მაგალითად, ბამბა, მატყლი, ენდრო, ღვინო, ხე-ტყე, სპილენძი, ტყვია, რქიანი პირუტყვი, ნავთობი, სანთელი, თამბაქო, ტყავი და სხვ.,

[19] ЛОЦИА, ф. КК, д. № 335[6], лл. 10—14.

რომელთა გატანა წლითიწლობით სულ იზრდება და მით უფრო გაიზრდება „თავისუფალი კომერციის სისტემის პირობებში, როდესაც დამყარდება პირდაპირი კავშირი სამეგრელოს პორტებისა კონსტანტინოპოლთან და დასავლეთ ევროპასთან“.

კავკასიის კომიტეტის შენიშვნას, რომ რუსეთის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლისათვის ამიერკავკასიას შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ როგორც მის ნაწარმოებთა ბაზარს, გენ.-ად. ჩერნიშევი, გრაფები კისელოვი, ბლუდოვი და შერემეტიევი იქვე უპასუხებდნენ, რომ: 1. ეს ბაზარი ახლა უმნიშვნელოა და 2. მიუხედავად არსებული ამკრძალავი სისტემისა, მოსკოველი ფაბრიკანტები მაინც ჩივიან მათი საქონლის გასაღების თანდათანობით შემცირების თაობაზე.

თავის საპასუხო განმარტებაში მ. ვორონცოვი აცხადებს:

ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის სისტემის შემოღებით მოსკოველი ფაბრიკანტები არაფერს არ წააგებენ, ხოლო მალე, ამ მხარის გამდიდრებით, ბევრს მოიგებენ თავიანთი უკეთესი და ბევრად მეტი საქონლის აქ რეალიზაციით: თუ მოსკოველი ვაჭრები გამოგზავნიან კარგ და ნიმუშების შესაბამის ნაკეთობათ, გადაუჭარბებელი ფასებით, თავიანთ ოპერაციებს ააწყობენ კომერციული პატიოსნებით, ურომლისოდ არავითარი სოლიდური და წარმატებიანი ვაჭრობა არ შეიძლება და, განსაკუთრებით, თუ ისინი აქ იმოქმედებენ თვითონ, ანდა საიმედო რუსივე რწმუნებულთა მეშვეობით..., ისინი აუცილებლად მრავალმხრივ მიაღწევენ უცხოელებზე მეტ სარფიანობას.

კავკასიის კომიტეტში სახელმწიფო კანცლერი, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები ამტკიცებდნენ, რომ „კავკასიის მცხოვრებნი და იქ მყოფი რუსი ოფიცრები და ჩინოსნები არ საჭიროებენ ევროპულ საქონელსო“. მ. ვორონცოვი მათ უპასუხებს, რომ ეს არ შეეფერება სიმართლეს და მოჰყავს სათანადო მასალა, რასაც ჩვენ უკვე გავეცანით.

***

ჯერ კიდევ პ. ციციანოვის და შემდეგ პ. ერმოლოვისა და ა. გრიბოედოვის (+ზავილეისკის) სახით იმპერიის ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მწარმოებლურ ძალთა აღმავლობისათვის, ადგენდნენ

პროექტებს ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარებისათვის...

მეორე, უფრო ძლიერი და სისტემატური, საბოლოოდ ყოველთვის გამარჯვებული ტენდენცია, რომლის „ბაიარაღდარი“ ამ ხანებში იყო ე. კანკრინი, ისაა, რომ ეს განაპირა ქვეყანა ყოფილიყო რუსული მანუფაქტურული მრეწველობის ბაზარი. თვით ა. გრიბოედოვს, რომელიც ირანს იგზავნებოდა როგორც რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი, იმპერიის კანცლერი გრაფი ნესელროდე დარიგებას აძლევდა, რომ ყოველმხრივ ეზრუნა გაეძლიერებინა რუსეთის ვაჭრობა ირანში, რათა „ჩვენი სამამულო ნაწარმოები შეადგენდეს სპარსულ საქონელზე გაცვლისათვის გატანილ სარეალიზაციო საქონლის დიდ ნაწილს“.

ამგვარად, არსებობდა ორი ძირითადი მიმართულება. პირველის, სახელდობრ იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მესვეურთა საერთო აზრი ის იყო, რომ საქართველო და ამიერკავკასია, როგორც განაპირა ქვეყანა, „უნდა განვითარდეს როგორც კოლონია“[20], ხოლო მეორე, რომელთა მეთაურები იყვნენ კავკასიისა და ამიერკავკასიის ზოგიერთი ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, შესაძლებლად თვლიდა აქ საერთოდ მწარმოებლურ ძალთა და კერძოდ ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარებას. პირველს ყოველთვის აქეზებდა რუსეთის ბურჟუაზია, ვაჭარ-მრეწველთა კლასი, თავისი ძლიერი კორპორაციებითა და საერთოდ მთელი ორგანიზაციით; მეორეს მხარში ედგა საქართველოსა და ამიერკავკასიის ადგილობრივი მეურნეობრივი თაოსნობის ადამიანები, უმთავრესად მაინც კომერსანტები, აგრეთვე, ნაწილობრივ, აქ მოკალათებული უცხოელი ნეგოციანტები.

ამ ასპექტში საჭიროა ქვემოთ მოვიყვანოთ კიდევ ზოგიერთი სხვა მასალა, რაც ნათელყოფს ხსენებულ მოვლენათა მსვლელობით დაინტერესებულ ძალთა ჯიდილს და, მაშასადამე, თვითმპყრობელობის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის მთელ მუხანათურ ხასიათს განაპირა ქვეყნების მიმართ.

---

[20] გენ. პასკევიჩსა და, აგრეთვე, სენატორების კუტაისოვისა და მეჩნიკოვის წრეში 1830 წ. დაიბადა ამიერკავკასიაში ადმინისტრაციული რეფორმის გატარების იდეა. ამ პროექტის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო: «чтобы оный связать с Россиею гражданскими и политическими узами в единое тело и заставить жителей тамошних говорить, мыслить и чувствовать по-русски» (Колониальная политика российского царизма в Азербайджане..., с. 280); А. Иоанисиян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958.

მთელი აღებული პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით 1812 წლიდან მოყოლებული, რუსეთის მრეწველები იბრძვიან უცხოეთის კონკურენციისაგან შინაგანი ბაზრების დაცვისათვის. 1833 წ. პეტერბურგში მოწყობილ სამრეწველო გამოფენასთან დაკავშირებით ნიკოლოზ I სადილი გაუმართა რუსეთის კაპიტალისტთა წარმომადგენლებს. სუფრაზე, ზამთრის სასახლეში, იმპერატორმა გვერდით მოისვა მოსკოველი ფაბრიკანტი, მემაუდე რიბნიკოვი. მეფის სიტყვებზე, რომ „ჩვენი მანუფაქტურა, ჩანს, ჩქარი ნაბიჯებით მიდის წინ. მე ძლიერ ნასიამოვნები ვარ!", რიბნიკოვი მას უცხადებს, რომ მათ, მოსკოველ ფაბრიკანტებს, ძლიერ ეშინოდათ, რადგან ხმა გავრცელდა, რომ ყოველგვარ მანუფაქტურულ საქონელზე შემცირდება ბაჟები, ხოლო ზოგიერთზე შემოტანის ბაჟები სულ მოიხსნებაო. როდესაც იმპერატორმა მას „თავისი" საწინააღმდეგო აზრი გააცნო, რიბნიკოვმა უთხრა: „ხელმწიფეო, მხოლოდ ეს იქნება სასარგებლო მამულისა და სახელმწიფოს ყველა წოდებისათვისო"[21].

1837 წ. ერევანში ყოფნისას ნიკოლოზ I გენ. როზენმა წარუდგინა აქაური დიდვაჭრები, რომელნიც თხოულობენ დას. ევროპული ფაბრიკატის ამიერკავკასიაში შემოტანის ნებართვას, როგორც იყო 1831 წ. 3 ივნისის კანონის გამოცემამდე, რადგან ეს ვაჭრები მათზე ცვლიდნენ ადგილობრივ ნაწარმს — ბრინჯსა და ბამბას, რომელთა გასაღება ახლა შეუძლებელი გახდაო. იმპერატორის პასუხი ის იყო, რომ, მათ ურჩია, დაკავშირებოდნენ მოსკოველ ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს და ხელი შეეწყოთ სომხეთში რუსულ ნაკეთობათა რეალიზაციისათვის. რაც შეეხება ბამბის მოყვანის საკითხს, ამით ცენტრალური ადმინისტრაცია იმთავითვე დაინტერესდა, რადგან ეს ნედლეული საჭირო იყო რუსეთის ტექსტილური მრეწველობისათვის.

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდა და, მაშასადამე, შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენის მომხრე იყო გენ. როზენი... კამერალური აღწერის კრებსითი მონაცემების შედგენის საკითხთან დაკავშირებით 1833 წ. გენ. როზენმა განაცხადა: „ასეთი აღწერების დრო აქ ჯერ კიდევ არ დამდგარა; რომ ის (1830—1832 წწ. კამერალური აღწერა — პ. გ.) არ ყოფილიყო, მაშინ იქნებ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა საქართველოში", ე. ი. არ იქნებოდა 1832 წლის შეთქმულებაო. ამასთანავე როზენი იმ აზრისა იყო, რომ „აქ მოსახლეობის აღწერა შეიძლება ჩატარდეს

[21] М. Рожкова, Экономическая политика царского правительства, 1949, М., с. 35—36.

არა უადრეს 30 წლის“, რომ „ფრიად სასარგებლო იქნებოდა განხორციელებულიყო ა. გრიბოედოვისა და პ. ზავილეისკის (თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის) პროექტი — „ამიერკავკასიური ვაჭრობის კომპანია“... — მაშინ აქ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, იქნებოდნენ აქაური ზანგები“...[22]

1831 წ. საბაჟო ტარიფის გატარებით ვაჭრობის გართულებული მდგომარეობის შესასწავლად ამიერკავკასიაში 1843 წ. მოვლინებული ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი ი. გაგემეისტერი, სხვათაშორის, წერდა: „ახლანდელმა ამკრძალავმა სისტემამ, მართლაც მოშალა თბილისის კავშირი დასავლეთ ევროპასთან, მაგრამ არა რუსეთის სასარგებლოდ, არამედ სპარსეთისა და თურქეთის სასარგებლოდ, რამდენადაც იქიდან მოდის ყველა საქონელი როგორც აზიური, ისე ევროპული. იქითკენაა ახლა აქაურ მცხოვრებთა ყურადღება მიმართული და მაშინ, როდესაც დაღესტანში შამილმა წინასწარმეტყველის დროშა აღმართა, როდესაც მუსლიმანები ამიერკავკასიის სამხრეთის ოლქებშიც ღელავენ, მთაურობა ყოველმხრივ ააჯლოებს მათ მეზობელ თანამორწმუნეებთან. ამიერკავკასიაში საშიში არაა ევროპული თავისუფალი აზროვნება, მაგრამ საშიშია აზიური უმეცრება!“.

ი. გაგემეისტერი მომხრე იყო საერთოდ საბაჟო ტარიფის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის, საჭიროდ სთვლიდა ამიერკავკასიაზე უცხოური საქონლის ირანში უბაჟო ტრანზიტის დაწესებას, მთავარი სასაწყობო მაღაზიის თბილისში დაარსებას, ამიერკავკასიაში შემოსატან უცხოურ საქონელზე საბაჟო საფასურის მნიშვნელოვან შემცირებას და სხვ. ღონისძიებათა გატარებას, რაც 30 წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო: — ამ ხნის მანძილზე რუსეთის მრეწველობა გაუმჯობესდება, „ხოლო საქართველო გამდიდრდება აყვავებული ვაჭრობით და გადაიქცევა გაუმჯობესებულ რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა ვრცელ ბაზრად“.

შეღავათიანი ტრანზიტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ მისი მეოხებით სპარსეთის ბაზრებზე რუსულ საქონელს ავიწროებს დას. ევროპულიო. მაგრამ ამ შეღავათების აღკვეთის შემდეგაც, ამ მხრივ, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. ოღონდ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მფარველობითი საბაჟო ტარიფის პირობებშიც რუსული ფაბრიკების საქონლს არ შეეძლო ირანში კონკურენცია გაეწია დას. ევროპული, განსაკუთრებით ინგ-

[22] Колониальная политика... царизма в Азербайджане в 20—60-х годах XIX в., ч. I, 1936, М.-Л., с. 245.

ლისური საქონლისათვის. საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, 1831 წ. 3 ივნისის დებულების გატარების დროიდან, ინგლისელმა ნეგოციანტებმა ირანთან ვაჭრობა გააძლიერეს ტრაპიზონის გზით.

1830-იანი წლების დამდეგს თავრიზში რუსული საქონლის საშუალოწლიური რეალიზაცია 1 მლნ მან. აღწევდა, ხოლო 1839 წელს რუსეთიდან აქ მოიტანეს სულ 60 ათასი მან. საქონელი. 1832 წელს ამიერკავკასიელი ვაჭრების მიერ თავრიზში შეტანილი მთელი საქონლის 64,3 % იყო რუსეთიდან გატანილი, დანარჩენი 35,7 % კი დას. ევროპიდან. 1845 წ. კი რუსეთიდან გატანილი საქონლის ხვედრიწონა უდრიდა 4,1 %, ხოლო ლაიპციგიდან — 77,2 % და კონსტანტინეპოლიდან გატანილი (ე. ი. მხოლოდ ინგლისური) საქონლისა — 18,7 %, რამაც შემდგომ, 1846 წელს უკვე 56,0 % მიაღწია!

ი. გაგემეისტერი წერდა: „მანქანურ წარმოებაში ინგლისელთა უპირატესობა აღიარებულია და არც ერთ ნაციას არ შეუძლია მათ კონკურენცია გაუწიოს ბამბაქსოვილის წარმოებაში... მათ თავისი ყოველთვის გააქვთ რაოდენობითა და სიიაფით“...[23]

აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში ამიერკავკასიაში ძლიერ გაიზარდა კონტრაბანდული ვაჭრობა, რასაც ხელს უწყობდა ირანში „გადამუშავებული“ ინგლისური ტექსტილური ნაწარმის ხარისხი და სიიაფე. ინგლისურ მიტკალს ირანში ღებულობდნენ ადგილობრივი გემოვნების შესაბამისად და მერე, როგორც ირანული ნაწარმი, კანონიერი გზითაც შემოჰქონდათ კავკასიაში — 5 % საბაჟო საფასურით „გაწმენდილი“. მაგრამ ინგლისური და საერთოდ დას. ევროპული ბამბაქსოვილი, ისევე როგორც სხვა საქონელი, კონტრაბანდის სახითაც შემოდიოდა, რაც დაახლოებითი ცნობებით (საკონსულოების ინფორმაციით) შეადგენდა (მლნ. მანეთობით): 1840 წ. — 0,3; 1843 წ. — 1,0; 1845 წ. — 2,5, ხოლო 1846 წ. — 4,0.[24]

უკვე 1836 წ. ინგლისელებმა მიაღწიეს იმას, რომ მოჰამედ-შაჰმა მათ უბოძა ფირმანი, რითაც უფლება ეძლეოდათ ირანში შეტანილი საქონლისათვის ეხადათ გამოცხადებული ფასის 5 % ბაჟი, ე. ი. იგივე უფლება, რაც თურქმანჩაის ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდათ რუს ვაჭრებს[25].

---

[23] Ю. Гагемейстер, Об европейской торговле в Турции и Персии, 1838, СПб., с. 67—68.

[24] М. Рожкова, Экономическая политика царского правительства.., с. 170—190.

[25] იქვე.

***

წინააღმდეგ ცენტრალური ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა პოზიციისა, მ. ვორონცოვი იცავდა საერთოდ ვაჭრობის თავისუფლების იდეას და მოითხოვდა ამიერკავკასიისათვის ვაჭრობის სრული თავისუფლების მინიჭებას, რაც მას ქვეყნის პოლიტიკური მშვიდობისა და სანიტარული უშიშროების აუცილებელ პირობად ჰქონდა წარმოდგენილი.

1845 წ. მ. ვორონცოვი ისევ ფინანსთა მინისტრს სწერდა: ამკრძალავი სისტემა, რაც ახლა ჩვენში არის შემოღებული, მე მიმაჩნია „არა მხოლოდ მავნებლურად, არამედ სავსებით შეუძლებლად ამიერკავკასიაში მისი გატარება“. მისი აზრით აქ თავისუფალი ვაჭრობა აუცილებელი იყო რუსეთისათვის პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამდენადაც იგი, შეღავათიანი ტრანზიტი, შავ ზღვაზე ერთმანეთთან აკავშირებდა ინგლისისა და რუსეთის ინტერესებს, ხოლო მისმა აღკვეთამ ინგლისის მთელი კომერციული საქმიანობა გადაისროლა ტრაპიზონში და „ბუნებრივია, რომ შავ ზღვაზე ინგლისის ინტერესები დაშორდა ჩვენსას და ემსახურება მთელ ზღვაზე მხოლოდ თურქეთის გაელენასა და სარგებლობას“... არსებული ვითარება საზიანო იყო ვაჭრობისათვის, უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობილებაზე და ხელს უწყობდა კონტრაბანდის გაძლიერებას...

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ რუსეთში მაინც საკმაოდ იყვნენ ვაჭრობის თავისუფლების თეორიის მომხრენი და, მაშასადამე, მქადაგებელნი. მაგალითად, ლ. ტენგობორსკი, რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი რუსეთის მრეწველობის, განსაკუთრებით კი ტექსტილური (უპირატესად, ცხადია ბამბაქსოვილის) მრეწველობის განვითარებისადმი, 1846 წ. სახელმწიფო კანცლერს გრაფ ნესელროდეს სწერდა იმ უარყოფითი შედეგების თაობაზე, რაც მოჰყვა 1831 წლიდან ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებას; იგი არ ეთანხმებოდა ამიერკავკასიის როგორც კოლონიის ორგანიზაციის კანკრინისეულ თეორიასა და პრაქტიკას, რაც მარტოოდენ მოსკოველი ფაბრიკანტების ინტერესებისათვის ტარდებოდა ცხოვრებაში და რაც უგულებელყოფდა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და საკარანტინო ვითარებას. მისი აზრით ამიერკავკასიაში ვაჭრობის თავისუფლების შემოღება საზიანო იქნება მხოლოდ რუსული ბამბაქსოვილის მრეწველობისათვის, რომლის ნაწარმი აქ საღდება დაახლოებით 1 მლნ. მანეთისა, რაც რუსეთის ამ დარ-

გის მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების მხოლოდღა 2 % შეადგენს. მაშინ, როდესაც ვაჭრობის თავისუფლებას აუცილებლად მოჰყვება კავკასიაში მშვიდობიანობის განმტკიცება (მიურიდიზმის მოძრაობის შენელება!), კონტრაბანდის მკვეთრი შემცირება და შავი ჭირისა და ქოლერის შემოღწევის საშიშროების მოსპობაო.

მაგრამ თავისუფალი კონკურენცია არ უყვართ მოსკოველ კაპიტალისტებს, რამდენადაც „ჩვენი მრეწველობა, რომელიც აღზრდილია ყოვლად გადამეტებული და ყველაზე განსაკუთრებული ამკრძალავი იდეების პირობებში, ისეთი მომთხოვნი, ისეთი იშვიანი გახდა, რომ საკუთარი ძალებისა და საშუალებათა იგნორაციის ვითარებაში, თუნდაც მხოლოდ ფიქრი საგარეო ვაჭრობის მიმართ სულ მცირეოდენ დათმობაზე და ისიც იმპერიის ყველაზე შორეულ კუთხეში, ზომაზე მეტად აშინებს მას"[26].

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, თვით მინისტრები, ჯერ კანკრინი და მერმე ვრონჩენკო, სულ საწინააღმდეგო შეხედულებისა იყვნენ. მაგალითად, ვრონჩენკო 1845 წ., სწორედ ამიერკავკასიური ტრანზიტის პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით გრაფ ნესელროდეს სწერდა: უკანასკნელ დროს განსაკუთრებით სწრაფად ძლიერდება რუსეთის საფაბრიკო მრეწველობა, რომელიც ახლა მძიმე პირობებშია თავის ნაკეთობათა, განსაკუთრებით ბამბეულის გასაღების მხრივ. სწორედ ამიტომ „ფრიად სასურველი იქნებოდა შევინარჩუნოთ და გავაფართოოთ მისი ნაკეთობათა რეალიზაციისათვის ამიერკავკასიის ბაზრები, მსგავსად იმისა (მონოპოლიისა — პ. გ.), რასაც სხვა ევროპული სახელმწიფოები თავიანთ ქვეშევრდომებს ანიჭებენ დაპყრობილ ქვეყნებსა და კოლონიებში ვაჭრობისა და ფაბრიკული მრეწველობის სარფიანობისათვის".

დას. ევროპის სახელმწიფოების მიზანი იყო შეერბილებინათ რუსეთის პროტექციონისტული, არსებითად ამკრძალავი საბაჟო ტარიფი, რაც აძნელებდა რუსეთის იმპერიასა და აზიის ქვეყნებში ინგლისის და საერთოდ ევროპული საქონლის რეალიზაციას. ინგლისის საკონსულოები კონსტანტინეპოლიდან, ტრაპიზონიდან, ოდესიდან იტყობინებოდნენ რუსეთის ვაჭრობის წარმატებებზე შავი ზღვის თურქეთის სანაპიროებსა და მის მეზობელ ქვეყნებში...

---

[26] Л. Тенгоборский, О производительных силах России, 1855, М., с. 42.

რუსეთი არ აპირებდა მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკიდან გადახვევას, ხოლო თურქეთის სულთანმა მაჰმუდ II 1838 წ. გამოსცა ლიბერალური, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპზე აგებული საბაჟო ტარიფი, რაც ხელსაყრელი იყო ინგლისის ვაჭრობისათვის. მაჰმუდ II სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასული ახალგაზრდა სულთანი აბდულ-მეჯიდი თითქმის მთლიანად ჩაიგდო ხელში ლორდ პალმერსტონმა და ინგლისის კონსტანტინეპოლელმა ელჩმა და იგი კიდევ უფრო მეტ შეღავათებს ანიჭებს — ინგლისელ ნეგოციანტებს ბრწყინვალე პორტას სამფლობელოში[27].

მაგრამ კავკასიის კომიტეტში არა ორაზროვნად, არამედ სავსებით გარკვევით მიუთითეს, რომ „თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება მავნებელი იყოს ევროპასთან კავშირურთიერთობის გაძლიერებისა და იქიდან საშიში იდეების შემოღწევის სახით". მ. ვორონცოვი ამ ყველაზე მძიმე არგუმენტის წინაშეც არ შედრკა და თავის ახსნა-განმარტებაში მან განაცხადა. „...თუ ასეთ წესს უნდა დავადგეთ და ასეთი შიში უნდა გვქონდეს, მაშინ უნდა შევსცვალოთ და დავივიწყოთ ჩვენი საუკუნის ყველა მიდრეკილება, პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული ყველა მოქმედება ჩვენი განათლებული მთავრობისა, უნდა წინ აღუდგეთ ყოველგვარ სავაჭრო კავშირურთიერთობას და გავაჩეროთ მისწრაფება, რაც ესოდენ ძლიერად აღიძრა ჩვენი იმპერატორის შეფობის დროს და მიმართულია „რკინიგზების მშენებლობისა და ზღვაოსნობის დაუბროკლებელი გაფართოებისაკენ პეტერბურგსა და სხვადასხვა ევროპულ პორტებს შორის".

კავკასიის ნამესტნიკმა, ამ შემთხვევაშიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გადააჭარბა. ვერ გაითვალისწინა, რომ ცარიზმი იმას რასაც აკეთებდა პეტერბურგისა და მოსკოვისათვის, შიგა რუსეთისათვის, არ გააკეთებდა დაპყრობილი განაპირა ქვეყნებისათვის, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური და თვით ეკონომიკური განვითარების ფარვატერი სავსებით განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი და დადგენილიც.

რაც შეეხება კავკასიის ლინიის, როგორც კონტრაბანდისაგან დაცვის საშუალების საიმედოობას, მ. ვორონცოვი იმ აზრისაა, რომ ეს ლინია ყიზლარიდან ტამანამდე თერგით, მალკითა და ყუბანით და ცოტაოდენი სახმელეთო საზღვრით უდავოდ ყველაზე უკეთესია

---

[27] B. Sumner, Russian and The Balkans 1870—1880, 1937, Oxford; Hobson, International Trede, 1930.

თავისი საბაჟო-საკარანტინო მოწყობილობით და ზედ კიდევ 248 ყაზახთა პოსტებით, რასაც შეიძლება ახლად მიემატოს საჭირო რაოდენობით საბაჟო ზედამხედველები, კორდონის დაცვა და სხვ. და, ამგვარად, გახდეს ფრიად საიმედო.

მაგრამ გარდა „გაუნათლებელი და ნახევრადველური მთიელებისა“, რომლებიც კონტრაბანდისათვის ხშირად რისკზე მიდიან, არსებობს კიდევ თვით მამულის სიმტკიცე და იმედი: ჯარის ნაწილები. მათზე კი, როგორც ნამესტნიკი აცხადებს, სასტიკი კონტროლი და მეთვალყურეობა უნდა იყოს ამიერიდანაც დაწესებული. შეღავათიანი ტრანზიტის რაიონებიდან შიგა რუსეთში გადასვლის დროს საბაჟო-საკარანტინო უწყებამ უნდა დაწვრილებით შეამოწმოს ყოველგვარი სახაზინო თუ კერძო ტრანსპორტი, თვით ჯარისკაცები და საერთოდ ყველაფერი. „მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ჩინოსნები და ნდობის ღირსი პირები შეიძლება გაატარონ ტანისამოსისა და ჯიბეების გაჩხრეკის გარეშე“, მაგრამ ყოველგვარი ეკიპაჟი, საპალნე, ხურჯინი და ყუთი, პოლკის ამუნიცია, სახაზინო ტვირთი სასტიკად და მთელის ყურადღებით უნდა გაისინჯოსო, მოითხოვს იგი.

მ. ვორონცოვს საჭიროდ მიაჩნია ისიც აღნიშნოს, რომ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღდგენა „არა თუ არ შეამცირებს, არამედ დიდი ზომით გაადიდებს ამ მხარის კავშირურთიერთობას რუსეთთან, რომელთანაც მას მიაბამს, როგორც მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მადლიერების გრძნობით, ასევე შესაძლებლობისათვის იმოქმედოს უფრო ფართოდ ვაჭრობისა და მრეწველობის ყველა სფეროში.

...თბილისში ვაჭრები მკვდრეთით აღდგებიან, უკეთა ვთქვათ, აღორძინდებიან... კასპიის ზღვის ვაჭრობა... გაძლიერდება; რაც შეეხება შავი ზღვის ნაოსნობას, მას არ შეუძლია ფრიად მაღალ ხარისხამდე არ გაძლიერდეს, მაშინ როდესაც ახლა იგი, კომერციის თვალსაზრისით, ამიერკავკასიისათვის თითქმის არ არსებობს.

კავკასიის კომიტეტში იმ აზრისა იყვნენ, რომ შეუძლებელია საერთოდ არავითარი ცვლილება არ გატარდეს, მაგრამ ეს ცვლილებები, რაზედაც ისინი თანხმდებოდნენ, ფრიად უმნიშვნელო ზომით აუმჯობესებდნენ მდგომარეობას. მაშინ როდესაც კავკასიის ნამესტნიკის მტკიცე რწმენით „მხარის მდგომარეობა მოითხოვდა სისტემის ძლიერ და საერთო შეცვლას“ და სწორედ ამიტომ მიისწრაფოდა იგი „სრული, დადებითი და ნათელი“ ღონისძიებათა გატარებისაკენ. იმიტომაც, რომ მხოლოდ ამისთანა ღონისძიებას შეუძლია

გვიხსნას ჩვენ კონტრაბანდისა და, რაც კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია, „შეუნელებელი ხიფათისაგან ჩვენში ჭირის შემოღწევისა“, რაც კონტრაბანდული ვაჭრობის პირობებში ადვილადაა შესაძლებელი შემოიჭრას თურქეთის მოსაზღვრე პროვინციებიდან.

მაგრამ მას, და სავსებით სამართლიანადაც, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია აგრეთვე საბაჟო პროცედურის გამარტივება. „სიმარტივე და ერთსახოვნება ყოველგვარი საბაჟო მოქმედებისა თავისთავად ამსუბუქებს ვაჭრობისა და საბაჟოს მოხელეთა მდგომარეობას და ამასთანავე ხელს უწყობს ბოროტმოქმედებათა შემცირებას...“ ამიტომაც იგი ხაზგასმით აცხადებს: „მე არ შემიძლია არ გავშიფრო, რომ (საქონლის ღირებულებიდან) ერთადერთი და 5 % საფასურის დაწესება არის ყველაზე საუკეთესო, უსაფრთხო და მოსალოდნელი შედეგებით კეთილმოქმედური ღონისძიება“[28]. ამასთანავე მისი სურვილი იყო ეს შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა დაეწესებინათ 35 წლის ვადით, რათა ადგილობრივი ვაჭრობა ამასობაში კარგად მომაგრებულიყო საკუთარ ფეხებზე.

***

აქ ახლა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იმ ხანებში, როდესაც პეტერბურგში კავკასიის კომიტეტში მიდიოდა კავკასიის ნამესტნიკის პროექტის განხილვა, ამიერკავკასიის ტრანზიტისა და საერთოდ ვაჭრობის სისტემის შეცვლის თაობაზე, მოსკოვიდან პეტერბურგში ჩადის ორი ფაბრიკანტი ახსნა-განმარტებებით, რომ ამ ღონისძიებას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს რუსეთის ეკონომიკას. ესენია მანუფაქტურ-სოვეტნიკი პროხოროვი და მოსკოვის საპატიო მოქალაქე ბარანოვი, რომელთაც ფინანსთა მინისტრს გადასცეს ბარათი:

„ამიერკავკასიაში სავაჭრო სისტემის შეცვლის შესახებ გავრცელებულმა ხმამ ფრიად ძლიერი შიში აღძრა მოსკოვისა და ვლადიმირის ფაბრიკანტებს შორის, რომელთაც ამ საკითხზე კერძო თათბირის შემდეგ, რასაც ესწრებოდა მოსკოვის ქალაქისთავი, პროხოროვსა და ბარანოვს დაავალეს გამგზავრებულიყვნენ პეტერბურგს, რათა პირადად მიეცათ ახსნა-განმარტება იმ მავნე შედეგების შესახებ, რაც მოსალოდნელია განზრახული ღონისძიების გატარები-

---

[28] ЛОЦИА, ф. КК, 1846—1847, д. № 355б, лл. 9—38, უკიდურეს შემთხვევაში, თუ მისი წინადადება არ იქნებოდა მიღებული, იგი თხოულობდა აქ დაეწესებინათ ევროპული ტარიფის 20% საბაჟო საფასური.

საგან: მნიშვნელოვანი საკრედიტო კავშირები, რაც ფაბრიკანტებს აქვთ თბილისელ სომხებთან და ყველა ამიერკავკასიელ ვაჭართან აუცილებლად დაირღვევა, ამასთანავე თვით რეალიზაცია რუსული მანუფაქტურული ნაკეთობისა არა თუ ამიერკავკასიაში, არამედ კავკასიის ოლქსა და სხვა მოსაზღვრე გუბერნიებში უნდა შეწყდეს, მას მერმე რაც ამიერკავკასიაში შავი ზღვის პორტებით დაშვებული იქნება ევროპული საქონლის სავსებით თავისუფალი ვაჭრობა. ჩვენამდე მოღწეული აუთენტური ცნობებით, უკვე ახლა უცხოური ნაკეთობანი ამიერკავკასიიდან საიდუმლო გზებით აღწევენ ასტრახანსა და სტავროპოლში; რაღას უნდა მოველოდეთ, როდესაც ის მხარე გაივსება დაბალი ბაჟით დაშვებული უცხოური საქონლით.

გარდა ამისა, პროხოროვმა და ბარანოვმა ფინანსთა მინისტრს სიტყვიერადაც ბევრი რამ მოახსენეს, რომელთაგან მინისტრი განსაკუთრებით აღნიშნავს ორ გარემოებას: 1. ზოგიერთმა თბილისელმა ვაჭარმა თავი შეიკავა იყიდოს მოსკოვში მათთვის საჭირო საქონელი, იმის გამო, რომ მათ თბილისიდან მიიღეს ცნობა, რომ იქ თავისუფალი ვაჭრობა ვითომ გაიხსნება 1847 წ. 1 იანვრიდან; 2. ეს კი ფაბრიკანტებს ემუქრება მათი საქონლის გასაღების შემცირებით, რის გამოც ისინი იძულებული იქნებიან შეამცირონ მათს ფაბრიკებში მომუშავეთა რიცხვი, რასაც არ შეუძლია უაღრესად არასასურველი მოქმედება არ იქონიოს ამ ადამიანთა მრავალრიცხოვან კლასზე.

ასეთ ვითარებაში პროხოროვი და ბარანოვი თხოულობენ დაამშვიდონ დანაღვლიანებული ფაბრიკანტები, „რომელთაც მთელი თავიანთი კაპიტალები გამოიყენეს თავიანთი საწარმოების მოწყობასა და გაუმჯობესებაზე“[29].

მოახსენა რა ყოველივე ეს ფინანსთა მინისტრმა დეისტვ. ტაინი სოვეტნიკმა ვრონჩენკომ იმპერატორს, უკანასკნელმა ბრძანა (7.12.46): ეს ბარათი განსახილველად გადაეცეს კავკასიის კომიტეტსო.

კავკასიის კომიტეტში, რომელიც იმპერატორის წინაშე ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივ საქმეთა გადაჭრის უმაღლესი ცენტრალური ინსტანცია იყო, მაშინ შედიოდნენ: თავ. ჩერნიშევი (სამხ. მინისტრი), გრაფები კისელიოვი (სახელმწ. ქონებათა მინისტრი) და ბლუდოვი, ტაინი სოვეტნიკი შერემეტიევი, დტს ვრონჩენკო (ფინ. მინ.) და დსს პეროვსკი (შინ. საქ. მინ.).

---

[29] ЛОЦИА. ф. КК, 1846 1847, д. № 355б, лл. 549—551.

კავკასიის კომიტეტმა, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორის დეისტვ. სტატს. სოვეტნიკის საფონოვის დასწრებით, სამ საგანგებო სხდომაზე განიხილა საკითხი. სახელმწიფო კანცლერის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების აზრით ნამესტნიკის მიერ განზრახული ვაჭრობის სისტემა „ძლიერ ავნებს რუსულ მრეწველობას; შეასუსტებს ამიერკავკასიის ნაწარმოებთა რუსეთში გასაღებას და ამ მხარეს ვაჭრობის მხრივ მოსწყვეტს რუსეთისაგან, სამხრეთ რუსეთს გაავსებს კონტრაბანდით და შეამცირებს საბაჟო შემოსავალს“[30].

სახელმწიფო ქონებათა მინისტრი გრაფი კისელიოვი რამდენადმე დიფერენცირებული საბაჟო ტარიფის მიღების მომხრე იყო. კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე თავ. ჩერნიშევი ფიქრობდა, რომ არსებული სისტემის პირობებში კონტრაბანდული ვაჭრობა სულ უფრო გაძლიერდებოდა და მისი აღკვეთა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაჟის შემცირებით; ამიტომაც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მიეღოთ ნამესტნიკის მეორე წინადადება. ამიერკავკასიაში საიმპორტო საქონელზე დაეწესებინათ საერთო ტარიფის ერთი მეხუთედი საბაჟო საფასური.

3. 1846 წ. კანონი ტრანზიტის შესახებ

კავკასიის კომიტეტმა საფონოესა და ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგის მმართველის თანაშემწეს კოლ. სოვეტნიკ დჯპიკ-დიუკრუასს დააკალა შეედგინათ და ფინანსთა მინისტრისათვის წარედგინათ უწყისი ზოგიერთი საიმპორტო საქონლისა, რომელთა საბაჟო დაბეგვრის შემცირება შესაძლებლად იყო მიჩნეული. თავის უკანასკნელ სხდომაზე (7.12.46) კომიტეტმა განიხილა ეს დოკუმენტი და მიზანშეწონილად ცნო რიგ საიმპორტო ევროპულ და კოლონიურ საქონელზე დაეკლო არსებული საბაჟო დაბეგვრა, თუმცა ცხადია არა იმ ზომით, როგორც ვორონცოვი მოითხოვდა. მაგრამ მაინც იმდენად მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიისათვის საერთო საიმპერიო ტარიფების დაკლება, რომ იგი მაშინ საფუძველს იძლეოდა შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღდგენად მიეჩნიათ და ნაწილობრივ კიდევაც იყო ამის მომასწავებელი.

საბაჟო საფასურები დაუწიეს განსაკუთრებით იმ პროდუქტებზე, რომლებიც რუსეთში ან საერთოდ არ იწარმოებოდა ანდა არა იმ ზომით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი გატანა ამიერ-

---

[30] ЛОЦИА, ф. КК, 1846—1847, д. № 355б, лл. 558—562.

კავკასიისა და სპარსეთ-თურქეთის ბაზრებზე. ეს იყო უმთავრესად ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელი, მათ შორის ტექსტილური ნაწარმიც, ფაიფურისა და შუშის საოჯახო ჭურჭლეულობა, იარაღ-ინსტრუმენტები და სხვ.

რიგი საქონლის (მაგალითად, ბამბაქსოვილთა და სხვ.) შემოტანა, რაც საკმაოდ იწარმოებოდა რუსეთში და არსებით კონკურენციას გაუწევდა რუსულ მრეწველობას, საერთოდ აიკრძალა, ხოლო ზოგიერთზე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანებზე ტარიფი უფრო საგრძნობლად შეამცირეს ანდა ბაჟი სავსებითაც მოხსნეს.

საქმე ისაა, რომ კავკასიის კომიტეტის ღრმა რწმენით, რასაც იზიარებდა იმპერატორი, ამიერკავკასიის ტრანზიტისა და ვაჭრობის უფრო მეტი შემსუბუქება „ამჟამად რუსეთის მრეწველობისათვის ზიანის მიყენების გარეშე ყოვლად შეუძლებელია“[31].

მ. ვორონცოვს მაგარი დარტყმა აგემეს... აუცილებელი შეიქნა იმპერატორის წინაშე უქვეშევრდომილესობის, უერთგულესობის, უმდაბლესობის, თავგანწირულობის გრძნობათა დეკლარაცია. 1847 წ. 7 თებერვალს იგი ყოვლადმოწყალე ხელმწიფეს თაყვანისმცემლობისა და ხელაპყრობილობის ბარათს უგზავნის. რა თქმა უნდა, მან კარგად იცის, რომ მისი სიმტკიცის ერთადერთი წყაროა მეფე და მისგან შეწყალებაა მისი უზენაესი ჯილდო. ის არ ივიწყებს თავად ჩერნიშევისადმი (სამხედრო მინისტრი, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), რომელმაც მისი უქვეშევრდომილესი ბარათი იმპერატორს უნდა წარუდგინოს და თანაც ვაი თუ თბილი სიტყვები არ დასძინოს, — მოწიწების გრძნობათა გამომჟღავნებას და ეს გაქნილი კარისკაცი ხაფანგში გაღვიძებული მელიის გრძნობათა შემობერტყვით, ცდილობს თავი ბედნიერად უჩვენოს და, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ტრანზიტისა და ვაჭრობის შესახებ უმაღლესობის ყველა მითითების განუხრელად და ზუსტად გატარების აღთქმა აღავლინოს.

მაგრამ „თუ მე რაიმე ისეთი წარმოვადგინე, რაც სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით ზედმეტი მოეჩვენათ და რაზედაც დათანხმება შეუძლებელი იყო, — ჩემს გასამართლებლად ვბედავ მხოლოდ ის ვთქვა, რომ მე მებრძანა თავისუფლად წარმედგინა ჩემი აზრი და თუ ამ აზრში იყო ისეთი რამ, რაც იმპერიის საერთო ინტერესებ-

---

[31] ЛОЦИА, ф. КК, 1846—1847, д. № 355б лл. 558—573.

თან შეუთანხმებელი აღმოჩნდა, მე ამ მხრივ, რასაკვირველია, გამიტაცა არა სურვილმა რაიმე მომეგო ჩემს გამგებლობაში მყოფი მხარისათვის, ჩემი ერთადერთი სამშობლო რუსეთის საზიანოდ ან მის ხარჯზე, არამედ იმ აუცილებლობამ, რათა სრული სახით წარმომედგინა, რომ ახლანდელი სისტემის პირობებში შეუძლებელია აზიის ჩვენი საზღვრების ისეთი დაცვა, რომ კონტრაბანდის მეშვეობით ჩვენს ქვეყანაში არ შემოაღწიოს სენმა (ჭირმა), როდესაც იგი გამოჩნდება თურქეთის სამფლობელოში... ახლა საქმე გადაწყვეტილია და მე ისღა მრჩება ზუსტად და გულმოდგინედ შეეასრულო რაც ნაბრძანებია. მე ჩემს საგანგებო მოვალეობად მივიჩნევ ყველაფერი ვიღონო, რათა შეძლებისამებრ გავაუმჯობესო ჩვენი საკარანტინო ლინია, თუმცა ის არ შეიძლება არ იყოს არა საიმედო და საშიში... ამასთანავე აქ ტრანზიტის აღდგენა კეთილმოქმედური საქმეა, რაც, სამამულო მრეწველობისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ამ მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანს ახლავე და უფრო მეტს მომავალში. მე ახლა მთელის გულმოდგინებით და ახალი წესებით ხელს შივყოფ გავაუმჯობესო ჩვენი შავი ზღვის პორტები და მათსა და სპარსეთის საზღვრებს შორის მიმოსვლა ტრანზიტის გზაზე. ესაა ამ მხარის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი საერთოდ. რამდენადაც სამიმოსვლო, როგორც სახმელეთო, ისე წყლის გზების გაუმჯობესება, აუცილებელია სამხედრო და კომერციული თვალსაზრისით და, ამასთანავე, დიდ შესაძლებლობას იძლევა პროვინციებსა და მცხოვრებთა შორის კავშირისა, გაცვლისა და სხვა მხრივ...“

ასეთი აღიარებითი უქვეშევრდომილესი ბარათიც ვაი თუ არასაკმარისი აღმოჩნდეს და მ. ვორონცოვი განაგრძობს: რომ საფონოვმა იმპერატორს გადასცეს მისი სიტყვები, რომ: ჩემი განუხრელი ნებასურვილია, რათა „ყოველთვის და უეჭველად მხედველობაში მქონდეს რუსეთის საერთო ინტერესები და რომ ყველაფერი ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთში, ისახავდეს ერთ მიზანს. ვბედავ დავარწმუნო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა (—თიუ), რომ მე ყოველთვის ბოროტებად მივიჩნევდი ამ მიზნის საწინააღმდეგო და ჩვენი საერთო სამშობლოსათვის საზიანო რაიმე სურვილსა და წარმოდგენასაც კი, გარდა ჩემი საკუთარი პირდაპირ რუსულ გრძნობათა, რასაც, თქვენ ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, ესოდენი წყალობით, და, უნდა ვთქვა, სამართლიანად, სცნობთ ჩემში, მე უკვე პირველად არ მსმენია თვით თქვენგან, თქვენი ურყევი ნება ამისა.

ჯერ კიდევ პეტერბურგში, როდესაც მე აქეთ მაგზავნიდით, თიუ განაცხადეთ სურვილი თქვენი, რომ ჩვენ ვიხარშებოდეთ, ასე ვთქვათ, ერთ ქვაბში. — ხოლო თქვენს კეთილნებიერ მეფობაში ჩემი 20 წლის სამსახური ამოწმებს, რომ თქვენი ნება-სურვილის ზუსტი შესრულება იყო და ყოველთვის იქნება ჩემთვის პირველი საგანი... აქ ბევრია საზრუნავი... რომელთა შესრულებაში არაფერია რუსეთის საერთო ინტერესებისათვის საწინააღმდეგო და... რომლებიც პირდაპირ სასარგებლონი არიან მისთვის; — რამდენადაც ეს მხარე ნაწილია დიდი იმპერიისა და მისი ინტერესები განუყოფელნა საერთოსაგან. აი, საგანი და მიზანი, რაც მე გამუდმებულად მექნება მხედველობაში; და ვბედავ დავარწმუნო თიუ, რომ არც ერთ ჩემს წარდგინებას (მოხსენებას) უმაღლესობისადმი, როგორც ღონისძიებათა ისე პიროვნებათა შესახებ, არ ექნება სხვა საფუძველი, თუ არა პირდაპირი სარგებლობა თქვენი სამსახურისა... და თქვენი მაღალგანზრახულობათა ზუსტი შესრულებისა...“

„...ჩემმა მეუღლემ მოწიწებით მიიღო მის შესახებ მოწყალების სიტყვა თიუ და ფეხთა თქვენთა მიემთხვევა თავისი უსაზღვრო ერთგულების გრძნობებით... უღრმესი მოწიწებით ვშთები ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, თიუ უერთგულესი ქვეშევრდომი თავადი მ. ვორონცოვი“[32].

მე თითქმის მთლიანად გადმოვეცი ამ მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტის შინაარსი. გრაფი, თავადი, გენ.-ად. მ. ვორონცოვი, ბრწყინვალე კარისკაცი, მრავალი ტიტულისა და წოდების მქონებელი, კავკასიის პირველი ნამესტნიკი, მეფის ტოლი კაცი, როგორც აქ მას მაშინ ეძახდნენ, ამასთანავე თვითონაც კომერციული თაოსნობით ამოძრავებული ადამიანი, ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტის პრობლემამ და, ცხადია, ადგილობრივი და უცხოელი ვაჭრების ფულმა და იმპერატორის გულმა სცილასა და ქარიბდას შუა გამავალ გზაზე შეაყენა.

იმპერატორისადმი მ. ვორონცოვის უქვეშევრდომილესი ბარათის ორიგინალზე თავად ჩერნიშევის ხელით აწერია: „ხელმწიფე იმპერატორმა მე გადმომცა შესანახად. 24 თებერვალი 1847 წ“. ცხადია, სამხედრო მინისტრის თანაგრძნობა ვორონცოვისათვის მიამიტურ მხარდაჭერას არ მოასწავებდა... ორივეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი მოვლენათა აზრის ზოგიერთი მხარე მაინც. და მაინც, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჩერნიშევმა იმპერატორს უფრო

---

[32] ЛОЦИА, ф. КК, д. № 355б, лл. 610—617.

ასიამოვნა: მისი ძველი მეგობარი, ამაყი და თავმომწონე მ. ვორონ-ცოვი იმპერატორის წინაშე ხელაპყრობილი დააჩოქა... ყველა ნა-სიამოვნები დარჩა. დაჩოქილსაც უხაროდა, რომ ბედნიერად გა-დარჩა და შორსაც იყო, თანაც საკუთარ ხელქვეითთა შორის კვლა-ვაც ბრწყინვალე თავადი და კავკასიის ნამესტნიკი იყო...

***

საჭიროა აღინიშნოს, რომ შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენის მო-წინააღმდეგნი თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებდნენ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ათას მანეთობით (ვერცხ.)

წლები	ექსპორტი	იმპორტი	სულ
1812—1822	964,2	5812,5	6776,7
1822—1831	7005,7	17085,0	24090,7
1831—1841	8164,9	26639,6	34804,5

სტატისტიკა უჩვენებს, რომ საგარეო ვაჭრობა შეუნელებლად იზრდება შეღავათიანი ტრანზიტის აღკვეთის შემდეგაც. მართალია, უმნიშვნელო ზომით, მაგრამ მაინც 1822—1831 წლებთან შედარე-ბით 1831—1841 წწ. გაიზარდა ექსპორტიც. რაც შეეხება იმპორტს, მან 17 მლნ-დან 26,6 მლნ-ს მიაღწია, რაც ნამდვილად მნიშვნელოვა-ნი მატებაა. მაგრამ ამ და საერთოდაც ანალოგიური ხასიათის სტა-ტისტიკურ მონაცემთა შედარებაში იფარება ერთი დიდმნიშვნელო-ვანი ფენომენი. ეს ისაა, რაც „ცივილიზაციის განვითარების ზოგა-დი კანონის შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში მოხდებოდა, რომ ასეც არ ყოფილიყო“.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ვითარება ასე გამოითქმის: მართალია, შეღავათების აღკვეთის შემდეგაც გაიზარდა ამიერკავ-კასიის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა, მაგრამ უეჭველია, რომ იგი ბევრად უფრო მაღალი ტემპით გაიზრდებოდა, რომ შეღავათი-ანი ტრანზიტი ძალაში ყოფილიყო, ე. ი. რომ არ გაეუქმებინათ. მაგ-რამ ამის გაგება და დამტკიცებაც, როგორც წესი, ჩვეულებრივზე მეტ შორსმჭვრეტელობას მოითხოვდა.

მაგრამ უფრო მაგარი ისაა, რომ ამ ფენომენის ექსპერიმენტუ-ლად დამტკიცება, ისტორიულად განვლილი მოვლენის განმეორება, როგორც, ვთქვათ, ფიზიკაში ცდის განმეორება არ შეიძლება. ამი-ტომაც მარტივად მოაზროვნე ადამიანთა და, მაშასადამე, საერ-

თოდ საზოგადოების, ხალხის მასის გაგებით, რამდენადაც მაჩვენებელთა მატება სინამდვილეს ასახავს, მის საფუძველზე აგებული პროპაგანდა, რომ „ასე სჯობია“, რომ „ეს უფრო პროგრესულია“, ცხადია, იმდენად მართებულია, რამდენადაც არსებულია.

მაინც, მთავარი ისაა, როგორც პროფ. ს. პოკროვსკი წერდა, რომ „1846 წ. რუსეთის მთავრობა დაადგა უფრო რეალური პოლიტიკის გზას“[33]. ამიერკავკასიაში დაწესდა უბაჟო (თავისუფალი) ტრანზიტი. ახალი ტარიფით საბაჟო საფასურის განაკვეთები შემცირდა საერთოსაიმპერიო ტარიფის 30%-მდე. უცხოურ გემებზე სატვირთო მისაკრებელი შავი ზღვის პორტებში განახევრდა. ამასთანავე რუსეთის საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის სპარსეთის ბაზრებში შეღწევის, ე. ი. გაიაფების მიზნით, 5 წლით დაწესდა ბაჟის 50% პრემია საიმპორტო ნართზე—ამიერკავკასიაში შემოტანილი რუსული ბამბაქსოვილისათვის.

***

მაინც, თუ რა გავლენა იქონია 1846 წ. გამოცემულმა საბაჟო და სატრანზიტო კანონმა, ჩანს ქვემოთ განხილული მასალიდან.

აღსანიშნავია, რომ 1848 წ. მოეწყო რედუტ-კალედან სპარსეთში უცხოური (ევროპული) საქონლის ტრანზიტის ცდები. თუ 1848 წ. ტრანზიტის ღირებულებამ შეადგინა 10,3 ათასი მანეთი, იგი 1849 წ. უდრიდა 52, ხოლო 1850 წ. — 86,9 ათას მანეთს. 1851 წ. გატანილ იყო 80 ათასისა და თბილისის საბაჟოს საწყობში დარჩა სპარსეთში გასაგზავნი 19,5 ათასი მან. საქონელი. ტრანზიტის განვითარებას, მიმომხილველთა აზრით, აბრკოლებდა აქ გამოცდილ, განათლებულ და საჭირო კაპიტალის მფლობელ ნეგოციანტთა ნაკლებობა და უცხოეთის სავაჭრო ფირმებთან მტკიცე კავშირის უქონლობა. უთუოდ მძიმე იყო აგრეთვე სატრანზიტო-საკარანტინო შემოწმებისა და კონტროლის აქ არსებული მეტისმეტად ბიუროკრატიული და გაჭიანურებული წესები, რაც პირდაპირ აუტანელ და მოუთმენელ მოვლენად მიაჩნდათ ევროპელ ნეგოციანტებს, რომლებიც ამ მხრივაც ყოველთვის უფრო მეტ და იქნებ გადაჭარბებულ ლიბერალობას ამჟღავნებდნენ[34].

---

[33] С. Покровский, Внешняя торговля и внешняя торговая политика России, М., 1947, 87.

[34] М. Федоров, Соперничество торговых интересов на Востоке, СПБ, 1903.

1850 წელს ამიერკავკასიის ტრანზიტში თავისებური მონაწილეობის სურვილი განაცხადა ავსტრიელმა ფაბრიკანტმა თეოდორ ბაუერმა. იგი, მორავიელი მემაუდე, მოწადინებული იყო ევროპიდან შემოტანილ სამრეწველო საქონელზე გაცვლით აქედან გაეტანა მატყლი, ენდრო, თაფლის სანთელი და სხვ. 1850 წ. 23 ნოემბერს მ. ვორონცოვი თავ. ჩერნიშევს სწერდა:

ტ. ბაუერი ფიქრობს შექმნას აქციონერული კომპანია 150 ათას მან. ვერცხ. კაპიტალით, რათა თბილისში, სადაც ამჟამად არასოდეს არაა ამიერკავკასიის ნაწარმოებთა გარკვეული მარაგი, თავის ხარჯზე ააშენოს სასაწყობო მაღაზიები. ამ საწყობებში მას ყოველთვის ექნება აქ შესყიდული ადგილობრივი საქონლის საკმაო მარაგი სატრანზიტო ვაჭრობისათვის. მან ამ მიზნით იმოგზაურა ამიერკავკასიაში და უკან დაბრუნების წინ შემოვიდა წინადადებით, რომ, გარდა ამისა, მისი კომპანია ხელს მოკიდებს რედუტ-კალესა და მდ. არაქსს შორის გზებისა და ხიდების კეთილმოწყობას. ამავე მიზნით, რამდენადაც გემებს, რომლებიც ჩვენს პორტებში მოიტანენ ევროპულ საქონელს, მანამდე სანამ უკან გამობრუნებისას მათი დასატვირთავი ადგილობრივი საქონელი, მწარმოებლურ ძალთა განუვითარებლობის გამო, საკმაო ზომით არ იქნება, იგი თხოულობს მიეცეს ნება ტრანზიტის სახით თავრიზიდან თბილის-რედუტ-კალეთი ევროპაში გაიტანოს სპარსული საქონელი[35].

მ. ვორონცოვი ამასთანავე ჩერნიშევს სწერს: „...მოგეხსენებათ, რომ სატრანზიტო ვაჭრობა ამ მხარეში თუმცა ნებადართულია, მაგრამ იგი თითქმის მხოლოდ ნომინალურად არსებობს, რადგანაც აქამდე ინგლისელები უპირატესობას აძლევენ ტრანპეზუნდ-ერზერუმის გზას". მაგრამ, ცნობილია, რომ ამ მხარისათვის ტრანზიტს ექნება ფრიად კეთილსასურველი გავლენა და შეუძლია მალე გამოიწვიოს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება, რის გამოც ბაუერის წინადადება, წამოიწყოს და გამართოს „მტკიცე ვაჭრობა ავსტრიასა და აზიას შორის, მე მიმაჩნია ფრიად მნიშვნელოვან და საყურადღებო" საქმედ და ამიტომაც მე მას ვაცნობე, რომ მისი განზრახვა შესაძლებელია მთავრობამ მიიღოს.

ერთი წლის შემდეგ თავის ანგარიშგებით მოხსენებაში მ. ვორონცოვი აღნიშნავდა, რომ ტ. ბაუერმა უკვე წამოიწყო თავისი კომერციული ოპერაციები. ამიერკავკასიის ტრანზიტით სხვადასხვა

---

[35] АСКАК, X, № 208, с. 205.

ევროპული საქონელი გაიტანა ირანში, ხოლო აქ შეისყიდა ადგილობრივი პროდუქტები: ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ენდრო და სხვ. და გაიტანა ავსტრიაში. ეს გზა, — ვენა-დუნაი-შავი ზღვა-ყულევი-თბილისი უფრო უხიფათო და ხელსაყრელია ავსტრიისა და ევროპისთვისაც, ვინემ ტრაპიზონის გზაო, აცხადებს იგი[36].

შეღავათიანი ვაჭრობის პირობებში, 1840-იანი წლების მეორე ნახევარში, შესამჩნევად გაძლიერდა ამიერკავკასიიდან რუსეთში ევროპული საქონლის შეტანა... 1850 წ. გამოიცა ტარიფი, რამაც აკრძალა სახმელეთო გზით ამიერკავკასიიდან უცხოურ ნაწარმთა შიგა რუსეთში შეტანა. ამიერიდან ასეთ საქონელს რუსეთში შეღწევა შეეძლო მხოლოდ ზღვით და მას მერმე, რაც საერთო განაკვეთის შესაბამისად დამატებით გადაიხდიდა საბაჟო საფასურს.

4. ტრანსპორტისა და ტვირთზიდვის არქაულობა

მე-19 ს. პირველ ნახევარში სამიმოსვლო გზები და სატრანსპორტო საშუალებები არსებითად მთლიანად არქაულ მდგომარეობაში რჩებოდა. მაგრამ ამ ვითარებას ხშირად კიდევ უფრო ამძიმებდა ადგილობრივ სამეფოებსა და სამთავროებს (სახანოებს) შორის ხშირი მტრული ურთიერთობა, აგრეთვე ე. წ. კავკასიის ომები, ე. ი. ომები კავკასიონის მთიანეთის (შამილისა და სხვ.) დამორჩილება-დაშოშმინებისათვის, ე. ი. დაპყრობისათვის.

ასე, მაგალითად, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი და იმერეთის მეფე სოლომონი ურთიერთს გადამტერებულნი იყვნენ... „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების მიზნით დადიანმა გადაწყვიტა ეთხოვა იმპერატორ ალექსანდრე I მფარველობა, რისთვისაც თავისი კაცები გაგზავნა თბილისს, მთავარსარდალ გენ. ციციანოვთან...

„და ვინაითგან იმერეთით ვერ იშოვნა გზა დადიანმა, რათა წარგზავნოს კაცი საქართველოდ, მაშინ ნოღას ციხიდამ განმზადა კარისა თვისისა მღვდელი სიმონ ასათიანი და აზნაური გიორგი გუგუშვილი და წარგზავნა ასხის მთით და ჩავიდნენ ლენტეხს და ლენტეხიდამ ჩოლულს და ჩოლულიდამ წარუძღვა გარდაფხაძე გიგო, რომელი დიდათ ერთგულებდა გრიგოლ დადიანსა; გარდავლეს კავკასი და ოსეთი და შთავიდნენ მოსდოქს, ხოლო მუნით მოქცეულნი მივიდეს ტფილისს კნიაზ ციციანოვთან“[37].

---

[36] АСКАК, X, № 208, с. 893—894.

[37] ნიკო დადიანი, ქართველი ცხოვრება, 1962, გვ. 192.

იმპერატორმა დააკმაყოფილა დადიანის თხოვნა და ამასთანავე იგი დააჯილდოვა ალექსანდრე ნევსკის ორდენით, რომლის გადასაცემად პოლკ. მაინოვი სამეგრელოში გაემგზავრა „ახალციხით, ვინაიდან იმერთით მეფე არ მისცემდა გზასა, მოვიდა პოლკოვნიკი მაინოვი ჭალადიდს ფოთით და მოუტანა კავალერი“.

თუ დიპლომატიური კავშირების დამყარებისათვის მიმოსვლა ასე გართულებული იყო, ცხადია, მით უფრო გაძნელებული იქნებოდა ტურისტებისა და ვაჭართა, ე. ი. ქარავანთა მიმოსვლა და გაცვლა საერთოდ. მაგრამ 1820-იანი წლებიდან მდგომარეობა ამ მხრივაც რამდენადმე მაინც გაუმჯობესებული იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ზამთრობის პერიოდში დას. საქართველოს გზებზე მიმოძრაობა მაინც გაძნელებული იყო.

ა. დიუმას მახვილგონივრულად აქვს აღწერილი თავისი მოგზაურობა კავკასიაში საერთოდ და კერძოდ თბილისიდან ფოთამდე, 1859 წ. 11—20 იანვარს: „სამეგრელოსა და იმერეთში, სადაც ეტლით სასიარულო გზები არ არსებობს, ქალები ვაჟებივით ცხენით დადიან ფართო წამოსასხამებით, იმის მიხედვით თუ რომელ წოდებას ეკუთვნიან...“. შემდეგ იგი წერს: „შარდენმა სპარსეთსა და კავკასიაში ორი საუკუნის წინათ იმოგზაურა, მაგრამ დღევანდელი სამეგრელო თითქმის ისეთივეა, როგორიც შარდენის აღწერილი... კავალერმა გამბამ, რომლის და ახლაც ცოცხალია და სამეგრელოში (იმერეთში — ჰ. გ.) დიდ მამულს ფლობს, იმავე გზით იმოგზაურა კავკასიაში 1817—1818 წწ., რომელიც მე გავიარე 1856—1859 წწ...“. ა. დიუმა და მისი მხლებლები დიდი გაჭირვებით მგზავრობდნენ ცხენებით, რომლებიც მუხლებამდე ტალახში ეფლობოდნენ. თვითონ ა. დიუმას ეცვა ყელმაღალი ჩექმები, რაც ტალახისაგან მაინც არ იცავდა. „ჩექმა თეძოებამდე მადგა და ბალთებით მქონდა მიმაგრებული იმავე სარტყელზე, რომელზედაც სატევარი მეკიდა...“ მარანში რომ „მივედით ჩექმაში იმდენივე ტალახი აღმომაჩნდა, რამდენიც ზედ მეცხოო...“. ახალი მარანიდან ფოთში უკვე კარჭაპით ჩავიდა. ფოთის ქუჩებიც ჯერ უსახელონი და უსახონი იყვნენ... სწორედ ა. დიუმას იქ ყოფნის დღეს ფოთის ქალაქად გამოცხადების შესახებ: „ერთი ღატაკი კაცი ხელში ბარაბანით ყოველ სახლთან ჩერდებოდა, ბარაბანს ურტყამდა და კითხულობდა დადგენილებას“...[37]:

---

[37] ა. დ ი უ მ ა, კავკასია, 1964, გვ. 411—456.

1830-იან წლებში რუსეთიდან საქონელი მოჰქონდათ ურმებითა და ნაწილობრივ სასაპალნე ქარავნებით. ორბორბლიან ურემს მიჰქონდა 60—70 ფუთამდე ტვირთი. გზები ისეთი იყო, რომ ყველგან ურემს ვერ გაევლებოდა. სასაპალნე აქლემს აეკიდებოდა დაახლოებით 18, ხოლო ცხენს 8 ფუთი. 1833 წელს მოსკოვიდან და ნიჟნი-ნოვგოროდიდან თბილისამდე 1 ფუთი ტვირთის გადაზიდვა 9—12 მან. ჯდებოდა; ხოლო ყულევიდან (რედუტ-კალედან) თბილისამდე 50—80 კაპ. კოლხეთის დაბლობი ზამთრობით ურმებისათვის გაუვალი ხდებოდა; ასე რომ, ნოემბერ-მარტის განმავლობაში ტვირთზიდვა მხოლოდღა სასაპალნე ტრანსპორტით შეიძლებოდა. ჩარვადრები თბილისიდან ყულევში 8—10 დღეს ჩადიოდნენ, ხოლო ურემი 2—3 კვირა უნდებოდა ამ მანძილს, გზის მდგომარეობის შესაბამისად. ზამთრის პერიოდში ტვირთზიდვის ფასები მატულობდა.

საერთოდ მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებები, კერძოდ გზები მოუწყობელი იყო[38]. მინდვრებზე ბევრგან სავალი გზა, ისე როგორც მდინარე და ზღვა, მთლიანად ბუნებრივ მდგომარეობაში იყო დარჩენილი. მართალია, განსაკუთრებით სამხედრო უწყების მიერ ტარდებოდა რიგი სამუშაოები საკუთარი სტრატეგიული მნიშვნელობის გზათა მოწესრიგებისათვის, აშენებდნენ ხიდებს, ნავმისადგომებს და სხვა, მაგრამ მთელი ეს ღონისძიება პალიატიურ და არასისტემატურ ხასიათს ატარებდა და თანმიმდევრულ პატრონობას მოკლებული გაკეთებული გზებიც მალე ფუჭდებოდა.

ყირიმის ომის წლებში, ცხადია, შეფერხდა როგორც სატრანზიტო ვაჭრობა, ასევე მასთან დაკავშირებული სარეწავები[39]. ქუთაისის გუბერნიის მმართველი გენ. რეადი 1854 წ. 23 ოქტომბერს წერდა: იმერლები უკვე არ ეწევიან ჩვეულებრივ თავიანთ სარეწებს — საქონლის გადაზიდვას ყულევიდან თბილისში, ამიერკავკასიის ქალაქებში დაქირავებით მომსახურებას და გარესაშოვარს მოკლებულნი თავიანთ სახლებში რჩებიან. ასეთივე ამბები ისმის სამეგრელოდან და გურიიდანო[40].

---

[38] О. Константинов, Дорожник Закавказского края, 1850, Тифлис; Л. Артамонов, Северный Азербайджан, 1890, Тифлис; Д. Данилович, Араксская равнина, 1897, Тифлис.

[39] Д. Бухаров, Россия и Турция..., 1871, СПБ; Б. Дранов, Черноморские проливы, 1948, М.; П. Кухарский; Франко-русские отношения накануне Крымской войны, 1941, М.

[40] АСКАК, IX, № 665, с. 629.

აღსანიშნავია, რომ 1854 წ. ყირიმის ომის დროს გამოიცა ბრძანება, რომელიც „კრძალავდა რუსული ოქროს მონეტის ზღვით თუ ხმელეთით საზღვარგარეთ გატანას, კასპიის ზღვის პორტებისა და აზიის სახმელეთო საზღვრების გამოკლებით“. ომის ვითარებაში გატარებულმა ამ შეზღუდვამ ერთბაშად შეაფერხა ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობა. მაგალითად, 1856 წ. აგვისტოს რედუტ-კალეს პორტს მიადგა ჰოლანდიური გემი, იგი დატვირთული იყო გორელი ვაჭრის სტეფანოვის საქონლით. უკანასკნელს კონტრაქტით გემის შკიპერისთვის უნდა გადაეხადა 5000 მანეთი ოქროთი, ნაესადგურში მოსვლიდან 21 დღის განმავლობაში, ხოლო ყოველი გადაცილებული დღისათვის — პირგასამტეხლო 50 ჰოლანდური გულდენი.

ზემოხსენებული კანონის ძალით რედუტ-კალეს საკარანტინო-საბაჟომ სტეპანოვს ნება არ მისცა უცხოელისათვის გადაეხადა 5000 მანეთი ოქროთი. გორელ ვაჭარს დიდი ჯაფა და გასაჭირი უნდა გაეევლო, სანამ კავკასიის (თბილისის) ხელისუფალთაგან მიიღებდა ამის ნებართვას. სულ რამდენიმე დღეში სოვდაგარს სრული გაკოტრება ელოდა...[41]

ამიერკავკასიის ტრანზიტსა და საერთოდ ამიერკავკასიის ვაჭრობას, როგორც სამართლიანად შენიშნავს ე. ტიხოცკი[42], აბრკოლებდა: 1. უცხოეთიდან ვაჭრობისათვის გახსნილ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების პორტების სიმცირე (1857 წლამდე სოხუმი, ოჩემჩირე და ყულევი); 2. ამ პორტებსა და თვით ქვეყნის შიგა რაიონებს შორის სახმელეთო სამიმოსვლო გზების მოუწყობლობა და სიმძიმე; 3. საბაჟო კანონებისა და ინსტრუქციების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ფრიად წვრილმანური რეგლამენტაცია და მათი შესრულების უაღრესად ბიუროკრატიული აპარატი, რაც აბრკოლებდა ისედაც განუვითარებელი ვაჭრობის აღორძინებას; 4. კომერციული ბანკის, საერთოდ კრედიტის მოუწესრიგებლობა და სიძვირე, ე. ი. ფრიად მაღალი სარგებელი (%%); 5. ამიერკავკასიისა და რუსეთის სხვა, აგრეთვე, უცხოეთის პორტებს შორის რეგულარული ურთიერთობის აუწყობლობა. შემდეგ, 6. რასაც ე. ტიხოცკი არ აღნიშნავდა, ის იყო, რომ ტრანზიტი საგარეო ვაჭრობასა და შინაგან ვაჭრობას შორის ურთიერთგავლენა და კავში-

---

[41] АСКАК, IX, № 828, с. 839.

[42] Е. Тихоцкий, Закавказский транзит и наша с ним конкуренция по торговле с Персией в 1862—1881 гг., 1883, Киев.

რი,—ადმინისტრაციის მხრივ ავტოქტონური მოსახლეობისადმი საბოლოოდ ნამდვილად ბოროტული დამოკიდებულების და მთელი კომერციული სისტემის მუხანათური ხერხებითა და მეთოდებით აწყობისა და გატარების გამო — არსებითად შეზღუდული იყო.

ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროებს 1858 წლიდან მიემატა ფოთის პორტი. ფოთი ქალაქად გამოცხადდა. 1873 წელს გაუქმდა ყულევის (რედუტ-კალეს) პორტი, რომელმაც ამ დროისათვის არსებითად უკვე დაკარგა კომერციული ნავსადგურის მნიშვნელობა. მისი როლი, საბოლოოდ, კარგა ხნით ადრევე და უფრო გაძლიერებული სახით, შეცვლილმა ვითარებამ ფოთს დააკისრა.

რაკი ყულევის, როგორც სავაჭრო ქალაქისა და პორტის ცხოვრება ამ დროიდან უკვე ისტორიას ჩაბარდა, აქ საჭიროა ორიოდე სიტყვაც ითქვას მისი მნიშვნელობის თაობაზე. წელსაც (1978 წ. ივლისს) მომეცა საშუალება დამეთვალიერებინა ხობის შესართავი და ეს მიდამოები. იგი მეტი ყურადღების ღირსია... აუცილებელია სერიოზული არქეოლოგიური გათხრები და სხვ.

ცარიზმის ადმინისტრაცია აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველსავე ხანებიდან ეძებდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე შესაბამის სანავსადგურო პუნქტს. დადიანთან „მეგობრული ურთიერთობის დამყარების შემდეგ“ ასეთად ყველაზე ხელსაყრელი იყო მდ. ხობის შესართავთან მდებარე ყულევი.

გენ. ციციანოვის ბრძანებით ყირიმიდან რუსეთის „მხედრობა დამცველი დადიანისა“, პ. ლიტვინოვთან ერთად, აქ პირველად მოვიდა 1804 წ., რომელთაც „თვით წარუძღვა გ. დადიანი და შთაიყვანა მხედრობა ყულევს და უჩვენა ლიმენი ხობის წყლის პირსა და მუნ დააბანაკა რუსნი... მისცა ზარბაზანნი და სხვადასხვა საჭირონი სახმარნი, სასმელ-საჭმელი. შამოავლო ირგვლივ სიმაგრე და ესრეთ დაუტევა მუნ...“[42ა] სწორედ ამ დროიდან (1804) რედუტ-კალე (ყულევი) „პორტად იქცა“.

მერმე, აქ 1805 წ. უკვე გაჩნდა რუსის ჯარი გენ. რიკგოფის მეთაურობით. ყულევი ადრითგანვე იყო ცნობილი როგორც ნავსადგური. ამ ხანებში პეტერბურგიდან დაბრუნებული სამეგრელოს ელჩი ნ. დადიანი, თავისი მხლებლებითურთ ყირიმიდან, კაფადან (ფეოდოსიიდან) ხომალდით წამოსული მოვიდა ყულევში და მერმე აქედან ეახლა დადიანის კარს ბანძაში.

ამგვარად, რედუტ-კალე მდ. ხობის შესართავზე, პორტად გამოცხადდა 1804 წ. 1840-იან წლებში იყო საკმაოდ ენერგიული

[42ა] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, 1962, გვ. 193—196.

ცდები ამ ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის. კონსულტაციისათვის მიმართეს უცხოელ სპეციალისტებსაც (ბარონ ა. ჰაქსტაუზენს და ჯონ რენის), მაგრამ ამ ღონისძიებებმა არსებითად უშედეგოდ ჩაიარა. მაინც ყულევი კარგა ხნის მანძილზე წარმოადგენდა დიდმნიშვენლოვან პორტს შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროზე, სანამ, 1857 წლიდან, აქ მთავარ პორტად მიჩნეული იქნებოდა ფოთი.

1848 წელს შედგენილი აღწერით: „რედუტ-კალე შედგება დიდი ხის ბაზრისაგან ანუ დუქნებისა და საცხოვრებელი ბინების რიგისაგან, რომლებიც აშენებულია მდ. ხობის მარცხენა ნაპირის გაყოლებით. ამ ბაზრის სულ ბოლოს, მდინარის ზედ ზღვის შესართავთან, არის საკარანტინო და საბაჟო. ამ საკმაოდ გრძელი მდინარის სანაპიროთა სულ ახლოს იწყება ტყეები და ჭაობები. მიუხედავად ამ დიდმნიშვნელოვანი უხერხულობისა, ბერძნები, რომლებიც რედუტ-კალეს მოსახლეობის უმთავრეს ნაწილს შეადგენენ და აქ ვაჭრობისათვის არიან ჩამოსახლებულნი, ამ ადგილს სამეგრელოსა და გურიის სანაპიროების ყველა სხვა პუნქტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ, რადგან, მათი აზრით, სხვაგან დაავადებანი ბევრად უფრო ძლიერია, ვინემ რედუტ-კალეში“. „ეს ბერძნები კაპიტალების სიმცირის გამო უმნიშვნელო ვაჭრობას ეწევიან და მათი მთავარი მესარეწეობაა რეიდზე მდგარი გემებიდან ნავებით (ბარკასებით) ტვირთის გადმოტანა და ნაპირიდან გემებამდე ტვირთის მიტანა. მთავარი ვაჭრობა კი თბილისელი სომხების ხელშია, რომელთაც ყულევში ჰყავთ თავიანთი კომისიონერები, რომლებიც აქ ღებულობენ (იბარებენ) საქონელს, იხდიან მათს საბაჟო საფასურს და აგზავნიან თბილისში.

რედუტ-კალეს პორტი ეწევა საკაბოტაჟო ვაჭრობას შავი ზღვის სანაპირო ლინიის სამხედრო დასახლებებთან. ამასთანავე ტაგანროგიდან და როსტოვიდან ღებულობს რუსულ საქონელს, რაც საღდება სამეგრელოსა და ქუთაისის გუბერნიაში, თბილისამდე ეს საქონელი იშვიათად აღწევს“[43].

ამავე ოფიციალური მიმომხილველის სიტყვებით, ნიკოლოზის პორტი (შეკვეთილი) „სასარგებლოა გურიის ნაწარმთა ზღვით გასაგზავნად, მაგრამ მცხოვრებთა ნაკლები „შრომისმოყვარეობისა და სიღარიბის გამო, მიუხედავად ნაყოფიერი მიწისა, გურიიდან ზღვით აგზავნიან მხოლოდ სიმინდს, როდესაც მოსავალი იძლევა შესაძლებლობას ამ პურის ნაწილი გამოიყოს გასაყიდად, მცირე რაოდენობით თაფლის სანთელს, ბზის ხეს, რაც უხვად იზრდება სანაპი-

[43] КК на 1849 г., с. 53—54.

[44] იქვე, გვ. 57.

როებზე, აგრეთვე კაკლისა და მუხის მორებს[44], რომელთა უცხოეთში გატანა ამ დროს უკვე აკრძალული იყო და იგი მხოლოდ რუსეთის პორტებში იგზავნებოდა.

რედუტ-კალეს პორტის სატრანზიტო ტვირთბრუნვა და საბაჟო შემოსავალი (ათას მანეთობით)[45].

წლები	იმპორტი	ექსპორტი	გემთა მიმოსვლა		საბაჟო შემოსავალი
			მოვიდა	წავიდა	
1843	314	79	181	140	95
1844	218	153	136	115	63
1845	239	146	122	102	69
1846	247	196	169	164	110
1847	380	196	207	187	72
1848	268	160	158	157	82
1849	363	167	372	350	138
1850	425	258	250	256	143
1851	492	278	208	226	177
1852	368	682	159	186	159
1853	302	620	210	203	121
1854	23	—	—	6	13

ყულევისა და შეკვეთილის პროტებიდან შემოჰქონდათ უმთავრესად ევროპული და კოლონიური საქონელი: შაქარი, ყავა, სანელებლები, საღებავები, სასმელები, ზეთები, პედიკამენტები, ტექსტილური ნაწარმები: აბრეშუმი, ბამბაქსოვილი, მიტკალი, ნარმა, შალეული, მაუდი; მეტალის ნაკეთობანი, ფოლადი, კალა, რკინა-კაკეული, საოჯახო ჯამეურეულობა, საპონი, სტეარინის სანთელი, თურქული თამბაქო, ყალიონი, მარილი, დამარილებული თევზი, პილპილი, კასრები, ზანდუკები, ქაღალდი, თოკი და სხვ. აქედან გაჰქონდათ თაფლი და მისი სანთელი, ხე-ტყე (კაკალი, მუხა, ბზა, ურთხელა, ძელქვა, წაბლი და სხვ), სიმინდი, ღომი, ბამბა, ბეწვეული, ნედლი ტყავი (ხარის, კამეჩის), მატყლი, ბრინჯი, წურბელა და სხვ.[46].

---

[45] Материалы для описания русских портов и истории их сооружений, вып. XIII. Потийский порт, СПБ, 1844, с. 34—35.

[46] ЛОЦИА. ф. КК, 1854, д. № 21, л. 23—25.

შეკვეთილის (წმ. ნიკოლოზის) ნავსადგურში საქონლის ტვირთბრუნვა და საბაჟო შემოსავალი (ათას მანეთობით)[47]

წლები	ჩემთა მიმოსვლა		იმპორტი	ექსპორტი	საბაჟო შემოსავალი
	მოვიდა	წავიდა			
1843	117	124	0,5	15	0,2
1844	41	38	1	10	0,3
1845	41	42	1	10	0,3
1846	84	89	3	13	0,4
1847	77	63	16	36	0,7
1848	120	108	3	17	3,0
1849	124	120	12	17	3,5
1850	119	119	7	5	6,0
1851	108	84	53	37	11,6
1852	127	116	—	—	11,3

როგორც ითქვა, ამიერკავკასიის საგარეო და სატრანზიტო ვაჭრობის მთავარი საგანი იმ ხანებში იყო აბრეშუმი, რაც ევროპაში იგზავნებოდა ყულევის პორტიდან. აქედან გატანილი აბრეშუმის ღირებულება უდრიდა (ათას მანეთობით): 1850 წ. — 169, 1851 წ. —204; 1852 წ. — 623 და 1853 წ. — 497. თუ ამ მონაცემებს ზემოთ მოყვანილ ცნობებს, რედუტ-კალეს ექსპორტის ღირებულების საერთო ჯამებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ აქ აბრეშუმს აბსოლუტურად გაბატონებული ადგილი ეჭირა. მთელი ექსპორტის ღირებულების 60—80 % შეადგენდა[48].

***

1864 წელს კავკასიის ნამესტნიკი, გენერალფელდცეხმაისტერი მიხეილ რომანოვი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტს ატყობინებდა, რომ 1863 წ. დეკემბერს სპარსეთის აზერბაიჯანის ადმინისტრაციამ განკარგულება გასცა, რათა ამიერიდან „ევროპაში და პირუკუ მიმომავალი ყველა სპარსული საავჭრო ტრანსპორტი, აგრეთვე მგზავრები და სახელმწიფო ფოსტა მიმოდიოდეს თბილისისა და ფოთის გზით და ითხოვა ხელი შეეუწყოთ ამ განკარგულების შესრულების გაადვილებასო“[49].

[47] ЗКОИРГО, 1854, т. III.

[48] АСКАК, X, с. 213.

[49] ЛОЦИА, ф. КК, д. № 170, лл. 1—2.

ამის შესაბამისად ნამესტნიკმა ამიერკავკასიის მთავარმართველობის უფროსს — სენატორს, სტატს-სეკრეტარ ბარონ ა. ნიკოლაის — დაავალა, რათა ვაჭრობისა და საკარანტინო-საბაჟოს მოხელეთა შორის მოეგროვებინა ცნობები: ტრანზიტის არსებული წესების ფარგლებში თუ რა ცვლილებების გატარება იყო საჭირო საქონლის გადაზიდვის გაიოლებისათვის. ბარონ ა. ნიკოლაის მიერ შეკრებილი მასალის საფუძველზე შედგა საჭირო ღონისძიების პროექტი, რაც, ამიერკავკასიაზე ევროპული და აზიური საქონლის ტრანზიტის შემდგომი გაფართოებისათვის განმარტებით ბარათთან ერთად, გაიგზავნა პეტერბურგს.

1863 წლიდან ერზერუმის გზით თურქეთიდან სპარსეთში მიმავალი ტრანზიტის ნაწილის ამიერკავკასიაზე გადმოსვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თურქეთმა სპარსეთის საზღვარზე დაამყარა „ახალი საკარანტინო წესი". ამის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის გზით სატრანზიტო ვაჭრობის სწრაფი ზრდა:

	ათას ფუთობით		
	1863 წ.	1864 წ.	1865 წ.
ევროპიდან სპარსეთში გაიგზავნა	27	78	130
სპარსეთიდან ევროპაში გაიგზავნა	3	26	15

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპიდან სპარსეთში საქონლის შეტანა ყოველთვის აღემატებოდა გატანას, რაც უკანასკნელის მრეწველობის განუვითარებლობით აიხსნება.

ამიერკავკასიის ტრანზიტი ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო ევროპელი ნეგოციანტებისათვის, რამდენადაც, თვით ნამესტნიკის სიტყვებით რომ ვთქვათ: 1. აქ უფრო მეტი იყო მეკობრეთა თავდასხმისაგან დაცულობის გარანტია, ვინემ ერზერუმის გზაზე; 2. აქ სატრანზიტო საქონელი არ იბეგრებოდა ბაჟით, მაშინ როდესაც იგი თურქეთში ყოველგვარ ტრანზიტზე იყო დაწესებული; 3. თვით საქონლის ტრანსპორტირება აქ უფრო ადვილი იყო. ევროპული საქონელი ფოთიდან ორპირამდე[50] რიონით გადაჰქონდათ, ხოლო აქე-

---

[50] გაზ. „კავალის" კორესპონდენტი ყ. საქილაველი 1898 წ. წერდა: „ვინ არ იცის, რომ ორ-პირი თავ ქალაქათ ითვლებოდა სამოც-სამოცდაათ წლებში და უმთავრეს სავაჭრო ცენტრს შეადგენდა იმერეთ და გურია-სამეგრელოსას, სადაც შემოდიოდა ფოთიდან რიონით საზღვარ-გარეთის გემები და მასთან მრავალი ათასი ქარავნები სხვა და სხვა შორეულ ქვეყნიდან საქონლით დატვირთულები; ასე და ამ გვარათ, ორ-პირი იძლეოდა ყოველგვარ სავაჭროებს ჩვენი ქვეყნისას და ჩვენი ქვეყანაც მასზე იყო დამოკიდებული, სანამ ფოთის რკინის გზა არ გაიხსნა. გაიყვანეს

დან ურმებით, ფურგონებითა და სასაპალნე ცხენებით, თუმცა ეს სახმელეთო ტრანსპორტი ძვირი იყო.

ჯულფის იქით და საერთოდაც სპარსელი ჩალავადრების[51] ზომსახურება უფრო იაფი ჯდებოდა. სპარსეთში ჰყავდათ „აუარებელი სასაპალნე ცხენები და აქლემები, ხოლო ტვირთზიდვა ადრიდგანვე იყო მათი განსაკუთრებული სარეწი“. თვით გზა თავრიზიდან ერზერუმამდე გადიოდა უფრო მეტად დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ისეთ ადგილებში, სადაც ბლომად იყო საბალახოები, „რისგამოც პირუტყვის გამოკვება სპარსელ ჩალავადრებს თითქმის არაფერი უღირდათ და ტვირთის გადაზიდვის ეს სიიაფე იზიდავდა ძველი გზის მოყვარულ ვაჭრებს“.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ 1865 წელს რუს ვაჭართა კომპანია „ნადეჟდამ“ თავრიზში გახსნა თავისი სააგენტო, რომლის მიზანი იყო სატრანზიტო საქონელთა სპარსელი ჩალავადრებისათვის მიმართულება ამიერკავკასიისაკენ მიეცა[52]... 1864 წელს ერზერუმის გზაზე მეკობრეებმა გაძარცვეს ქარავანი, რის მერმეც მრავალმა სავაჭრო სახლმა აბრეშუმის, ყველაზე ძვირფასი საქონლის, გაგზავნა ევროპაში დაიწყო ბაქო-თბილისი-ფოთის გზით. ყველაზე

თუ არა რკინის გზა და შეიქნა ჩქარი მოგზაურობა ფოთსა და თფილისს შუა, მაშინვე ორპირს სასიკვდილო ტკივილებმა დაუარა. მოვაჭრე ხალხმა აქეთ-იქით მოიხედა, დააკვირდა ახალ შემოსულ მანქანას და იგრძნო უფრო სადვილე და სიმჩატე მოგზაურობაში. ისინი, რომლებსაც წინეთ მრავალი უბედურება შემთხვეოდათ ქალაქში სავაჭრო სიარულში, ცხენით იყო იგი თუ ფურგონით, ახლა თავისუფლად მიექანებიან საქონლის საყიდლათ. აი ეს იყო პირველი ისარი ორ-პირზე გამოტყორცნილი, რომელიც გადმოისროლა ახალმა შემოსულმა ცხოვრებამ; გაიარა კიდევ ცოტა ხანმა და მეორე მხრიდანაც გაკეთდა ბათუმის ახალი რკინისგზა, რომლის ამოძრავებამ ორ-პირი სრულიად მიწასთან გაასწორა და მისი ვაჭრობა აქეთ-იქით მიაბან-მოაბნია, ერთი ნაწილი გადავიდა იქვე ახლო-მახლო სადგურებში როგორც, მაგ., სამტრედია, საჯაოხო და აბაშა... ამ დროს რიონიც გაურისხდა ორ-პირის დახავსებულ მოვაჭრეებს, რომლებიც არ აპირებდნენ გაშორებას და წინააღმდეგობას უწევდნენ ახალ ცხოვრებას... მისმა მჩქეფარე ტალღებმა აუნგრ-ჩაუნგრია დუქნები, ქუჩები, და სულ ერთიანათ ორ-პირის მიდამოები. ასეთივე ბედი ხვდა ორ-პირის ეკლესიასაც...“ („კვალი“, 1898, № 9, გვ. 154).

[51] ჩალავადარი („ჩალანდარი“), სპარსული: ჩარვადარ (— ოთხფეხის პატრონი) საშოვარზე, ქირაზე გასული სასაპალნე ტვირთის გადამზიდი (შესაპალნე). საქართველოში ჩალანდარი (მეჩალანდრე) კარდაკარ დაატარებდა საკუთარ (სოჯახოთუ შინამრეწველურ) საქონელსაც (ღვინოს, არაყს, ქოთნებს, თამბაქოს და სხვ.). საპალნე — ოთხფეხზე (ცხენზე, ეირზე, აქლემზე და სხვა) ასაკიდი ტვირთი სპარს. პალან — კურტანი; რაზედაც გადაიკიდება ტვირთი. კურტანი — ეეხი.

[52] Р. Бакулин, Очерки торговли с Турцией, 1875, СПБ.

უმსხვილესმა სავაჭრო სახლმა — პ. რალლი და კომპ., საკუთარი მუდმივი სააგენტო გაიჩინა თბილისში და თავის სატრანზიტო ოპერაციებს სულ უფრო აფართოებდა ამიერკავკასიაში. მას ბაძავენ სხვა ფირმებიც.

ამიერიდან სატრანზიტო საქონელი მიემართება უმთავრესად: თბილისი-ერევანი-ჯულფა-თავრიზის გზით. ამ გზის გაუმჯობესებისათვის პეტერბურგი ყოველწლიურად, ექვსი წლის განმავლობაში, იძლეოდა 300 ათას შან[53]. ყველაზე მძიმე მაინც დელიჯანის ხეობის გზა იყო, რაც 1866 წ. უნდა გაეკეთებინათ, და შემდეგ — გზაც თბილისიდან წითელ ხიდამდე (ჩატეხილ ხიდამდე). რაც შეეხება თბილისი-ბაქოს გზას, იგი სულ უფრო იზიდავდა კასპიის ზღვის ნავსადგურებიდან, განსაკუთრებით კი რუსეთიდან წამოსულ სატრანზიტო ტვირთებს.

ამასობაში ერევნიდან ალექსანდროპოლ-ახალქალაქი-ახალციხე-ქუთაისის ე. წ. მ ე ფ ი ს გ ზ ი ს მოწყობაც მთავრდება. აქ დარჩენილი იყო მხოლოდ აბასთუმნიდან ქუთაისისაკენ მიმავალი ზეკარის (ხეობის) ულელტეხილის გადასასვლელი, სადაც სამხედრო ნაწილები მუშაობდნენ. ასე რომ, მეფის გზა სატრანზიტო ტვირთის ქარავნების მოძრაობისათვის 1866 წ. გაიხსნა.

მ. რომანოვი, ამასთანავე, ტრანზიტის გაფართოების თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მისი ინიციატივით იმპერატორის მიერ 1865 წ. 29 იანვრის ბრძანებით რიგ ბიუროკრატიულ ფორმალობათა გაუქმებას, რაც ადრე არსებობდა კონტრაბანდის შემოღწევის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სახით და რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აძნელებდა და დიდად აგვიანებდა საქონლის მოძრაობას[54].

ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობის აღორძინებამ მადა აღუძრა ზღვაოსნობისა და ვაჭრობის რუსულ საზოგადოებას (Русское об-во пароходства и торговли — РОПИТ), თავისი მოქმედების არეალი სახმელეთო გზებზედაც გაევრცელებინა. 1868 წელს

---

[53] თბილისიდან სამხრეთში, ერევანში, მიმავალი საქარავნო-სატრანზიტო გზა შუა საუკუნეებშიც დმანისზე გადიოდა. ამ მიდამოებში აწ განსვენებულმა ჩემმა მეგობარმა, არქეოლოგმა ლ. მუსხელიშვილმა აღმოაჩინა „აქლემის გზა", ე. ი. საქარავნო გზა, რაც XI—XIII სს. თბილისიდან ერევანსა და სპარსეთისაკენ მიდიოდა (ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. — შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938, გვ. 317—448).

[54] ЛОЦИА, ф. КК, д. №-170, лл. 71—75.

როპიტმა შუამდგომლობა აღძრა პეტერბურგში, რომ მისთვის სახელმწიფოს სუბსიდია მიეცა იმ მიზნით, რათა ევროპული საქონელი სპარსეთში და სპარსული კი ევროპაში ამიერკავკასიის სატრანზიტო სახმელეთო გზებითაც მასვე გადაეზიდა.

მაგრამ ფინანსთა მინისტრმა ასეთი სუბსიდიის გაცემა დაუშვებლად მიიჩნია. „მე სავსებით შეუძლებლად მიმაჩნია ხსენებული სუბსიდიის დანიშვნა მთავრობისაგან იმ დიდმნიშვნელოვანი დახმარების პირობებში, რასაც საზოგადოება ამჟამად უკვე ღებულობს"[55]. ხოლო იმ ხანებში როპიტი სახელმწიფოსაგან ყოველწლიურად 1,5 მლნ. მან. მეტს ღებულობდა დახმარების სახით. ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როპიტი დაარსდა 1857 წ. და მან მალე ხელი შეუწყო როგორც ამიერკავკასიის პორტებსა და შავი ზღვის რუსეთის პორტებს შორის რეგულარული მიმოსვლა-მიმოზიდვის დამყარებას, ასევე ამ პორტებისა და დას. ევროპის ნავსადგურებსა და საერთოდ კომერციულ ცენტრებს შორის კავშირის გაცხოველებას[56].

ამიერიდან ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროებზე ფოთის მნიშვნელობა თანმიმდევრულად იზრდებოდა. 1864 წ. რუსეთის ტრაპიზონელი ვიცე-კონსული ა. მოშკინი კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართებლობის უფროსს სტ.-სეკრ. ა. ნიკოლაის ატყობინებდა, რომ ფრანგული სავაჭრო კომპანიის «Messageries Impériales» გემი „ლოუსორი" პირველად წავიდა ქ. ფოთში, რათა ამ ქალაქში დააარსოს საფრანგეთის საგენტო და პირდაპირი კავშირი მარსელთან. „ამ ახალი ფრანგული ლინიის დაარსება აშკარად ამტკიცებს კავკასიური ვაჭრობის აყვავებას და სრულ იმედს იძლევა, რომ სპარსული ტრანზიტი (თურქეთის ტერიტორიიდან — პ. გ.) გადაინაცვლებს საქართველოს გზაზე". ამასთანავე ა. მოშკინი სიგნალს იძლევა, რომ ფრანგებს ეს სამიმოსვლო კავშირი შეუძლიათ გამოიყენონ კავკასიის მთიელებისათვის იარაღის მიწოდებისა და სხვა ანტირუსული მიზნითო[57].

---

[55] ЛОЦИА, ф. КК, 1868—1869, д. 99, лл. 5—12.

[56] М. Познер. Исторический обзор... русского торгового мореходства, 1895, СПБ.

[57] Шамиль — ставленник султанской Турции и английских колонизаторов (Сб. докум.). Тб., 1953, с. 494.

1870-იანი წლებიდან სავსებით ახალი ხანა იწყებოდა ამიერკავკასიის ტრანზიტის ისტორიაში; ჯერ ფოთ-თბილისს (1872), ხოლო შემდეგ თბილის-ბაქოსა (1883) და ბათუმ-თბილისს (1883) შორის რკინიგზის გაყვანამ არა თუ დიდად გააიაფა ტვირთზიდვა და მიმოსვლა ამ პუნქტებს შორის, არამედ მთელი ეს ქვეყანა განუზომლად უფრო დაუახლოვა რუსეთსა და საერთოდ მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს, მსოფლიო ბაზრებს და ამით, ჩართო რა საერთაშორისო გაცვლის მიმოქცევაში, თითქოს სულ სხვა სამყაროში გადაიყვანა იგი.

ამიერკავკასიის რკინიგზებისა და საერთოდ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების ისტორიას ჩვენ ცალკე სპეციალურ მონოგრაფიაში განვიხილავთ და ამის გამო აქ მათზე არ შევჩერდებით.

ფოთი-თბილის-ბაქოს რკინიგზამ ამიერკავკასიაზე გამავალ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდანვე (საბერძნეთი, რომი, ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა, ფაზის-რიონი, მტკვარი, არაქსი, კასპიის ზღვა, ირანი, ინდოეთი) ცნობილ მსოფლიო სატრანზიტო მაგისტრალს ახლა, მე-19 ს. 70-იანი წლებიდან, ახალი სული შთაჰბერა და იგი ახალი კომერციული იდეებით აამოძრავა. მაგრამ ახლა ამ კომერციულ მიზნებში სულ უფრო დიდ ადგილს იჭერდა საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური მისწრაფებები, რაც ადრე თუ გვიან უძლიერეს ძალთა აშკარა ჭიდილში უნდა გამოხატულიყო.

პეტერბურგში, უწინარეს კავკასიის კომიტეტში, უკვე სპეციალური მსჯელობის საგანი ხდება ახალ მსოფლიო სიტუაციაში ჩართული ამიერკავკასიის ტრანზიტის პრობლემა, რასაც მერმე იხილავენ სახელმწიფო საბჭოსა და უმართებულეს სენატში[58]. სახელმწიფო საბჭო და საერთოდ იმპერიის ცენტრალური ადმინისტრაცია იმ აზრისაა, რომ რკინიგზის გაყვანამ გააადვილა რა ამიერკავკასიის ტრანზიტი, სწორედ ამით დიდი ზიანი მიაყენა აზიაში, უწინარეს ირანის ბაზარზე რუსული საქონლის რეალიზაციის საქმეს[59]. ეს ფრიად შორს მიმავალი პროცესია. მას აშკარად მოჰყვება ყველა იმ ქვეყანაში, და განსაკუთრებით შუა აზიაში, რუსეთის პოლიტი-

---

[58] М. Соболев, Таможенная политика России во второй половине XIX века, 1911, Томск.

[59] ЛОЦИА, АВПКБ, ф. КК, 1872—1877, д. № 67, лл. 199—207.

კური პრესტიჟის დაცემა... ამიტომაც აუცილებელია: საერთოდ ტრანზიტის გაძნელება, ბაჟების აწევა, სატრანზიტო ტარიფების გადიდება და ზოგიერთი საქონლის ტრანზიტის საესებით აღკვეთა, რადგან ტრანზიტულმა საქონელმა ირანის ბაზრებიდან გამოდევნა, მაგალითად, რუსული შაქარი, უფრო იაფი და რუსულის მსგავსი ანალოგიური პროდუქტით და ფრიად შეავიწროვა სხვა რუსული საქონელიც, მაგალითად, ტექსტილური ნაწარმები[60].

პირიქით, რუსეთის იმპერიის თავრიზელი კონსული საწინააღმდეგო აზრისაა, იგი მოითხოვს ამიერკავკასიის ტრანზიტის შეღავათების კიდევ უფრო გაფართოებასა და გადიდებას და სწორედ იმავე მოტივით, რათა გაძლიერდეს რუსეთის მრეწველობა და რათა ევროპული საქონლის მეოხებით სპარსეთში გატკეპნილი გზა მერმე, მალე, მთლიანად ხელში ჩაიგდოს რუსეთმა[61].

ტრანზიტის სტატისტიკა თვალნათლივ უჩვენებდა ამ პროცესს (სტატისტიკური მონაცემები იხ. ქვემოთ). საერთოდ 1850—60-იან წლებში რუსეთიდან ირანში ექსპორტის საგანი იყო: შაქარი, პური, ტყავი, საღებავები, პირუტყვი, სპილენძი და რკინა (დიდი რაოდენობით), ეერცხლი, ოქრო, აბრეშუმქსოვილები, ბამბაქსოვილები, მოსკოტილური საქონელი, სელისა და კანაფის ნაკეთობანი, შალეული, ბაუდი და სხვ., ხოლო ირანიდან რუსეთში შემოჰქონდათ: აბრეშუმი, ბამბა, თამბაქო, პირუტყვი, ტყავი, თევზეული, ბამბაქსოვილი, საღებავები და სხვ[62].

იმპერიის სახელმწიფო კანცლერის გრაფ ნესელროდეს მოსაზრებები, ამიერკავკასიის ტრანზიტის შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ, ემყარებოდა თავრიზის, ტრაპიზონის, რეშტის, თეირანის, ასტრაბადისა და სხვა რუსეთის მისიებიდან, საკონსულოებიდან და საელჩოებიდან მიღებულ ცნობებს.

სახელდობრ, ასტრაბადელი კონსული იწერებოდა: ამიერკავკასიის ტრანზიტით ირანში შემოზიდული საქონელი, რაც უპირატესად შედგება შაქრისა და ტექსტილური ნაწარმისაგან, უმთავრესად მიემართება კასპიის ზღვის სამხრეთის ორი პუნქტისაკენ — მაზანდერანისა და ასტრაბადის უბისაკენ. მაზანდერანში მისული საქონელი, გარდა იმისა რაც აქვე საღდება, ნაწილობრივ მიდის

---

[60] ЛОЦИА. АВПКБ, ф. КК, 1872—1877, საქმე № 105, ფურც. 12—137.

[61] იქვე, საქმე № 171.

[62] ЛОЦИА, АВПКБ, д. № 105: По предложению государственного канцлера о необходимости принятия мер против чрезвычайного развития Закавказского торгового транзита..., 1873—1874, лл. 23—25.

თეირანში და აქედან კიდევ შიგა ირანში. ასტრაბადიდან კი გიაზის ნავსადგური სატრანზიტო საქონლით, გარდა ადგილობრივი ბაზრებისა, ამარაგებს ხორასანის ქალაქებს, ხოლო ამ უკანასკნელთა მეშვეობით თურქესტანსა და შუა აზიის სახანოებს[63].

ამავე ცნობის მიხედვით, ასტრაბადელი მექარავნე ვაჭრები ამიერკავკასიის ტრანზიტით მიღებულ საქონელს თურქმენთა აულებიდან მდ. ათრეკის გაყოლებით და მერმე სტეპებზე მიმავალი გზით აწოდებდნენ ქივაში, რის შედეგადაც 1869 წელს „რუსული მანუფაქტურული ნაკეთობანი და შაქარი თითქმის სულ არ შემოუტანიათ იქაურ ბაზრებზე, მაშინ როდესაც რეშტის ბაზრები სულ სავსეა ფრანგული შაქრითა და ინგლისური ჩითეულით. ასტრაბადსა და მაზანდერანში თუმცა იყიდება რუსული მანუფაქტურა, მაგრამ აქ გაბატონებულია უცხოური საქონელი, ხოლო რუსული შაქრის შემოტანა სავსებით შეწყდა“[64], ამიერკავკასიის ტრანზიტით ევროპიდან შემოტანილი საქონლის დაწოლითო.

ასეთ ვითარებაში, ამიერკავკასიის რკინიგზის მეოხებით ბევრად უფრო გაადვილდება და გაიაფდება ევროპული საქონლის ირანში შეტანა და, ამგვარად, ცხადზე უცხადესია, რომ ამიერკავკასიის ტრანზიტს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ირანსა და საერთოდ აღმოსავლეთში რუსეთის ვაჭრობისათვის.

კომერციული თაოსნობა, რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის ვაჭრები, გასაგებია, უკვე წინასწარვე სჭვრეტენ, თუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს აზიასა და ევროპას შორის, კერძოდ ამ ქვეყნებსა და ირანს შორის ვაჭრობაში შავი და კასპიის ზღვების იმ დროისათვის ყველაზე იაფი სახმელეთო ტრანსპორტის, რკინიგზის გაყვანას.

იმპერიის კანცლერს ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ის აფიქრებდა, რომ: 1. ირანის მთავრობამ ინგლისელ კაპიტალისტთა კომპანიასთან დადვა კონტრაქტი, რის მიხედვითაც ირანის მთელ სამრეწველო საქმიანობაში მონოპოლიური უფლებები ენიჭებოდა ამ კომპანიას, რომლის ხელში გადადიოდა აგრეთვე მთელი საბაჟო სამსახური და 2. ინგლისელთა გამუდმებული აშკარა მისწრაფება გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვონ სპარსეთში, რომელიც

---

[63] ЛОЦИА, АВПКБ, д. № 105, 1873—1874, л. 54.

[64] იქვე, ფურც. 55.

რუსეთის სამფლობელოებს ესაზღვრება და მჭიდრო სავაჭრო კავშირშია იმპერიასთან[65].

მაგრამ კავკასიის ნამესტნიკი მ. რომანოვი და იმპერიის ფინანსთა მინისტრი იმპერატორისადმი წარდგენილი თავიანთ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებებით[66] არ ეთანხმებიან სახელმწიფო კანცლერის მტკიცებას, რომ ამიერკავკასიის ტრანზიტი საზიანო და მავნებელი იყოს რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, ისინი სათანადო სტატისტიკის მოშველიებით ამტკიცებენ, რომ პირიქით, ირან-რუსეთს შორის ვაჭრობა სულ უფრო იზრდება და ფართოვდება და ამ ტრანზიტს შეუძლია სარგებლობაც მოიტანოს კონკურენციის შედეგების სახით, რამდენადაც რუსი ფაბრიკანტები იძულებული იქნებიან, ევროპის მრეწველობასთან მეტოქეობაში, უკეთესი ხარისხისა და უფრო იაფი საქონელი მიაწოდონ ირანის ბაზრებს[67].

ცენტრალურ აზიაში რუსეთის პოლიტიკური თუ კომერციული ექსპანსიის ცდები ინგლისის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იდგა[68] და ამ გზის ჩახერგვა მისი მიზანი იყო. ნ. შავროვის აზრით, „განათლებული ინგლისი ამ მიზნისაგან ხელს აიღებდა, რომ იცოდეს, რომ ცენტრალურ აზიაში ვაჭრობის განვითარებას ყველაზე უფრო აბრკოლებს აზიელი ხანების დესპოტიზმი, ვაჭართათვის უსაფრთხოებისა და ხელსაყრელი სამიმოსვლო გზების არ არსებობა, და, რომ რუსეთი ცენტრალურ აზიაში სპობს რა წვრილ დესპოტურ სამფლობელოებს და ამყარებს რა წესრიგსა და უსაფრთხოებას, ნამდვილად უანგარო მისიონერულ გმირობას ასრულებს, რამდენადაც რუსები გულარხეინობისა და უდარდელობის მეოხებით თავიანთ სასარგებლოდ არ ეწევიან მთავრობის დანაპყრობთა მონოპოლიზაციას და ცენტრალური აზიის, ინგლისიდან ფრიად შორეულ ადგილებში, ინგლისური საქონელი წარმატებით უწევს კონკურენციას რუსულ საქონელს...“ კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ ტაშკენტისა და თურქესტანის ბაზრებზე უფრო მეტია ინგლისური, ვინემ რუსული საქონელი[69].

ამგვარად, აქაც, ცნობილი კავკასიოლოგის. ნ. შავროვის მეცნიერულ ნაშრომშიც, აშკარად გაისმის პოლიტიკური ექსპანიის უპი-

---

65 ЛОЦИА, АВПКБ, д. № 105, 1873—1874, л. 70.

66 იქვე, ფურც. 80—112 და 118—130.

67 იხ. აგრეთვე, იქვე 1878, საქ. № 174, ფურც. 2—74; საქ. № 199 და სხვ.

68 А. Субботин, Россия и Англия на среднеазиатских рынках, 1887, СПБ.

69 Н. Шавров, О значении Черного и Каспийского морей в европейской и русской торговле (ССК, II, с. 30 — 47).

რატესობის იდეა. პოლიტიკური ექსპანსია, მთავრობის შეიარაღებული ხელი, წინ უნდა უძღოდეს, გზას უნდა უკაფავდეს რუსულ კომერციულსა და საერთოდ კაპიტალისტურ ეკონომიკურ თაოსნობას.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში რუსული კაპიტალის ექსპანსიონისტური პოლიტიკა კიდევ უფრო იტვირთება „პატრიოტული" გრძნობებით. იმ მიზნით, რათა რუსული საქონლისათვის გზა გაეკაფათ შუა აზიისაკენ და შეენარჩუნებინათ უზარმაზარი თანხა (30 მლნ მან.), რომლის დიდ ნაწილს იხდიდნენ უცხოეთიდან შემოტანილი ბამბისათვის, რაც ამიერიდან შუა აზიიდან და თანაც არა ოქროზე, არამედ რუსულ საქონელზე გაცვლით უნდა მიეღოთ, „რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ" 1860-იან წლებში აუცილებლად მიიჩნია აზიაში ვაჭრობისათვის ახალი უფრო ხელსაყრელი გზის ორგანიზაცია. ეს სავაჭრო გზა უნდა გამართულიყო მდ. ვოლგითა და კასპიის ზღვით კრასნოვოდსკის უბემდე, ხოლო მერმე სახმელეთო უღელტეხილით ამურდარიასა და ბუხარამდე. ეს ხაზი მანამდე არსებულს (სამარა, ორენბურგი, ტაშკენტი, სამარყანდი, ბუხარა) 700 ვერსით ამოკლებდა და, გარდა ამისა, საქონლის ტრანსპორტისათვის უფრო სარფიანი იყო[70].

მაგრამ რუსული კომერციული თაოსნობის ამ იდეის განხორციელებას ხელს უშლიდა ევროპული საქონლის ამიერკავკასიური ტრანზიტი. კიდევ მეტი, ბევრად უფრო არამიზანშეწონილი ჩანდა ამ დროს უკვე წამოწყებული ფოთიდან (შავი ზღვიდან) თბილისამდე და მერმე ბაქომდე (კასპიის ზღვამდე) რკინიგზის გაყვანის შედეგად მოსალოდნელი ცვლილებები.

იმთავითვე ნავარაუდევი იყო, რომ ამიერკავკასიის ტრანზიტი ხელს შეუწყობდა ევროპასა და აზიას შორის მსოფლიო ვაჭრობის გზის თურქეთის, მცირე აზიის ტერიტორიიდან რუსეთის სამფლობელობში გადაადგილებასა და, ამდენადვე, კასპიის ზღვაზე რუსული ნაოსნობის განვითარებასთან ერთად, რუსული ნაკეთობის საქონლის სპარსეთსა და ავღანისტანში, შუა აზიაში რეალიზაციის გაფართოებას.

სინამდვილეში „რა მოვიგეთ ჩვენ რუსებმა ამ ღონისძიებების განხორციელებით?" — კითხულობს „სევერნაია პჩელას" რედაქცია (1869). შემდეგ საგანგებოდ შერჩეული ციფრობრივი მონაცემებით

---

[70] О влиянии транзита через Кавказ на нашу среднеазиатскую торговлю («Северная пчела», 1869, № 66).

იგი ამტკიცებს, რომ ამ ტრანზიტით თურმე იზარალა როგორც კავკასიის მოსახლეობამ, ასევე და განსაკუთრებით, რუსეთმა... ბოლოს, რედაქცია გარკვევით აცხადებს: „საქმის ასეთი მდგომარეობის პირობებში ევროპული საქონლის გადაზიდვის დასახელებულ ტარიფს (ტრანზიტს) შეუძლია მთელ ჩვენს საავჭრო წამოწყებებს შუა აზიაში მიაყენოს საბოლოო და ყოვლად გამოუსწორებელი მარცხი". სწორედ ამიტომ, ტრანზიტი უნდა აღიკვეთოს და შეწყდეს რკინიგზის მშენებლობა ამიერკავკასიაში, ე. ი. ფოთი-თბილისის შემდეგ არ გაგრძელდეს ბაქომდე[71].

6. ტრანზიტის საერთაშორისო ასპექტები

ამიერკავკასიის ტრანზიტის საკითხზე 1876 წ. პეტერბურგს გამოქვეყნდა ნ. პალაშკოვსკის წიგნი. აქ.ის აზრია გატარებული, რომ ამ ტრანზიტის ყოფნა არყოფნის საკითხის გარშემო იბრძვის ორი თავარი ძალა: 1. ამიერკავკასიის ადმინისტრაცია, რომელიც ტრანზიტში ხედავდა ამ მხარის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების პირობას და 2. იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება, რომლის აზრითაც იგი ზღუდავდა და აბრკოლებდა რუსეთის ვაჭრობის განვითარებას.

თვით პალაშკოვსკის აზრით, ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთას არ შეეძლო სარგებლობა მოეტანა რუსეთის ვაჭრობისათვის, რადგანაც „ჯანამ აზიური თურქეთის ტერიტორიით არსებობს სპარსეთისაკენ ჩვენგან დამოუკიდებელი გზა, თუნდაც ფრიად მოუხერხებელი, ჩვენს პროდუქტებზე არსებული მაღალი ფასების გამო უცხოური საქონელი მაინც გავრცელდება (გასაღდება) სპარსეთში, ისარგებლებს რა თურქეთის გზით"[72], ასეთსავე შეხედულებას ავითარებდა და ამტკიცებდა ე. ტიხოცკიც[73].

ამიერკავკასიის რკინიგზამ გადატრიალება გამოიწვია ტრანზიტის საქმეშიც. 1848—1864 წწ. ამიერკავკასიაზე ევროპული საქონლის ტრანზიტის მთავარი მარშრუტი იყო ფოთი-თბილისი-ჯულფა-თავრიზი. ამასთანავე სპარსული სატრანზიტო საქონელის დიდი

---

[71] Черняков, Сплавные и сухопутные реки Кавказа и Закавказья (журн., «Мин. путей сообщения», 1863, т. 39).

[72] С. Палашковский, Закавказский транзит в Персию, 1876, СПБ, с. 6—7.

[73] Е. Тихоцкий, Закавказский транзит..., 1883, Киев.

ნაწილი თავრიზიდან გაჰქონდათ არზრუმისა და ტრაპიზონის გზით — თურქეთის ტერიტორიით. 1864 წლიდან ტრანზიტი ბაქოს გზითაც გაიხსნა. საქონელი აქედანაც წავიდა სპარსეთში, ოღონდ სპარსეთიდან კი იგი უმთავრესად ისევ ძველი გზით მიდიოდა. მხოლოდ აბრეშუმი, მცირე წონის, მაგრამ დიდფასიანი საქონელი, ახლა მნიშვნელოვანი ზომით გააქვთ ბაქო-თბილისი-ფოთის გზით ევროპაში. ტრანზიტი, ცხადია, დიდ შემოსავალს აძლევდა ამიერკავკასიის რკინიგზას, გარდა იმისა, რომ მან გამოიწვია თვით ქვეყნის მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა და სპარსეთ-კავკასიას შორის ვაჭრობის განვითარება[74].

ამ მხრივ ტრანზიტისაგან მთავარი სარფიანობა ეს იყო უმთავრესად ტვირთის გადაზიდვის შემოსავალი, რაც ისაზღვრება არა სატრანზიტო საქონლის ღირებულებით, არამედ ამ ტვირთის წონით. ფოთი-თბილისის რკინიგზის ამუშავების პირველსავე წლებში ტრანზიტი ერთბაშად გამოცოცხლდა. აქედან გატანილ იქნა სპარსეთში (ათას ფუთობით):

წლები	ნახევანის (ჯულფის) გზით	ბაქოს გზით	სულ
1871	54,9	85,9	140,8
1872	98,6	152,0	250,6
1873	99,5	127,2	226,7
1874	148,9	183,2	332,1

იმავე გზით სპარსეთიდან ევროპაში გასატანი საქონლის წონა ათას ფუთობით უდრიდა: 1871 წ. — 25,7, 1872 წ. — 26,3, 1873 წ. — 22,1. 1874 წ.—27,4. ამასთანავე, მართალია, ამ საქონლის ნაწილი შეიძლებოდა გაყიდულიყო აქვე, ისე რომ თბილისში გადაეხადა საბაჟო საფასური, მაგრამ, როგორც ფოთის საბაჟოს მონაცემებიდან ჩანს, თითქმის მთელი სატრანზიტო საქონელი გადიოდა ევროპაში: 1871 წ. — 17,4, 1872 წ. — 23,5, 1873 წ. — 19,8, 1874 წ. — 25,1.

ტრანზიტის სტატისტიკა მოწმობს, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ სპარსეთში რუსული საქონლის რეალიზაცია კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევაც; იგი გატანილი იყო სპარსეთში (ათას მანეთობით). 1868 წ. — 1433,0;

---

[74] О кавказском транзите (газ. «Русский мир», 1872, № 137, 138).

1871 წ. — 1429,0; 1872 წ. — 1693,4; 1873 წ. — 1819,5; 1874 წ. — 1845,8. ამავე დროს რუსეთის სავაჭრო კაპიტალის აპოლოგეტები განგაშს სტეხენ: ამიერკავკასიის ტრანზიტმა სპარსეთში რუსული საქონლის პარალიზაცია გამოიწვიაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ტრანზიტით სპარსეთში შეჰქონდათ უმთავრესად ინგლისური ტექსტილური ნაწარმი (მანუფაქტურა), რაც, სამწუხაროდ, რუსულზე ჯერ კიდევ უფრო იაფი და უკეთესი იყო, როგორც ფრანგული შაქარი. საერთოდ სპარსეთსა და ამიერკავკასიაშიც ევროპული საქონელი კონკურენციას უწევდა რუსულს უმთავრესად თავისი ხარისხითა და ფასით. მაგალითად, 1871—1874 წწ. სპარსეთში სატრანზიტო ფრანგული შაქარი თბილისში ჯდებოდა 1 ფუთი არაუმეტეს 5 მანეთისა, მაშინ როდესაც აქ მოტანილი რუსული შაქარი ღირდა (იყიდებოდა) 7—8 მანეთად. ანალოგიური იყო ამ შაქრების ფასების შეფარდება თავრიზსა და რეშტში[75].

ასეთი ვითარება ს. პალაშკოვსკის აიძულებდა ეთქვა, რომ „ფასებში ეს განსხვავება ისე დიდია, რომ ჩვენი შაქარი თბილისიდან თავრიზსა და რეშტში ჩვენ მუქთადაც რომ გადავზიდოთ და იმავე დროს აღიკვეთოთ უცხოური შაქრის ტრანზიტით გაშვება, ასეთ შემთხვევაშიც კი სპარსეთისათვის სარფიანი იქნებოდა ეყიდა ფრანგული შაქარი თურქეთის მეშვეობით, ვინემ ჩვენი“.

ს. პალაშკოვსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ტრანზიტის საკითხის შესწავლა, ასკვნის: „ტრანზიტი იმ სახით, როგორც ამჟამად არსებობს, რუსულ ვაჭრობას არავითარ ზიანს არ აყენებს“[76]. დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებაზე იდგა ა. მარკოვი, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ სპეციალურად მიავლინა ამიერკავკასიის ვაჭრობისა და ტრანზიტის საკითხის შესასწავლად, რუსეთის საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვის მიზნით. მაგრამ ამ უკანასკნელის საქმიანობაზე ქვემოთ შევჩერდებით.

1864 წლიდან ბაქოდან კასპიის ზღვით სპარსეთში გასატანი საქონელი უნდა წაეღო აუცილებლად რუსეთის ქვეშევრდომთა კუთვნილ გემებს, რომელთაც მიდგომა შეეძლოთ იმ სპარსულ პორტებზე, სადაც არსებობდა რუსეთის საკონსულო. უკვე 1867 წლიდან ნება დართეს ევროპული საქონელი ამიერკავკასიიდან გაეტანათ თურქეთში: ფოთიდან და სოხუმიდან ახალციხისა და ახალ-

---

[75] ს. პ ა ლ ა შ კ ო ვ ს კ ი, დასახ. თხზ., გვ. 20.

[76] იქვე, გვ. 37.

ქალაქის საკარანტინო-საბაჟოს მეშვეობით. ევროპული და კოლონიური სატრანზიტო საქონელი შეიძლებოდა გაყიდულიყო თბილისში, ცხადია, დადგენილი საბაჟო წესების დაცვისა და საფასურის გადახდის შემდეგ. მალე ნება დართეს აგრეთვე იგივე საქონელი, იმავე წესით, გაყიდულიყო ახალციხის, ალექსანდროპოლის, ნახჭევანისა და ბაქოს საბაჟოს საწყობებიდანაც.

ასევე 1867—1868 წწ. მიღებული ინსტრუქციით აზიური, უპირატესად, ცხადია, სპარსული, საქონელი საბაჟო წესების დაცვის საფუძველზე შეიძლებოდა, გარდა თბილისისა, გაყიდულიყო აგრეთვე ახალციხეს, ალექსანდროპოლს, ფოთსა და სოხუმში.

ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობაში ზოგიერთი ცვლილება გატარდა აგრეთვე 1877 წ. 4 იანვარს მიღებული კანონით, რაც ძალაში შევიდა იმავე წლის 1 ივლისიდან[77].

ამიერიდან ყოველგვარი უცხოური წარმოების საქონელი, იქნებოდა იგი აზიური თუ ევროპული წარმომავლობისა, ფოთსა და თბილისს შორის იგზავნებოდა აუცილებლად რკინიგზით.

ფოთი-თბილისს შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1872) ფოთიდან თბილისს მიტანილი სატრანზიტო საქონელი სპარსეთში იგზავნებოდა: 1. თბილისი-ერევანი-ნახჭევანი-ჯულფას მიმართულებით, შემდეგ აქედან თავრიზამდე (თბილისი-თავრიზი: 534 ვერსი); ანდა 2. თბილისი-ბაქომდე (525 ვერსი), ხოლო აქედან ზღვით სპარსეთის სასურველი პორტისა და ქვეყნის სხვა სავაჭრო ცენტრებისაკენ[78]: რეშტი, ენზელი, ყაზვინი ...ასტრაბადი. ეს უკანასკნელი იყო დიდმნიშვნელოვანი სასაწყობო და განმანაწილებელი პუნქტი, საიდანაც სატრანზიტო ტვირთი შემდეგ მიჰქონდათ შაჰრუხში, მეშხეტში, ხორასნის დედაქალაქში. რეშტიდან დიდძალი საქონელი იგზავნებოდა თეირანში. 1870-იანი წლების მეორე ნახევრიდან სატრანზიტო საქონელი სპარსეთში სულ უფრო ხშირად იგზავნებოდა თბილისი-ბაქოს გზით, რა მიმართულებითაც უკვე დაწყებული იყო რკინიგზის გაყვანა.

ირანსა და ავღანისტანში საქარავნო ვაჭრობას აადვილებდა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე მცხოვრებ მომთაბარე ტომების მიმოძრაობის მდიდარი და დაცდილი საშუალებები, კერძოდ აქლემთა საქარავნო ტვირთხიდვის ორგანიზაცია, რაც ევროპასა და ინდოეთს,

---

[77] ЛОЦИА, ф. КК, 1872—1877, д. № 67, лл. 231—235.

[78] М. Герсеванов, Транзитная тифлиско-джульфинская дорога (ССК, т. III, 1875, с. 565—601).

ასევე ევროპასა და ჩინეთს შორის აბრეშუმის გზის დიდ და არსებითად ყველაზე ძნელ, უდაბნოებზე გამავალ ტრასას მოიცავდა.

ეს მომთაბარე-მეომარი ტომები (კუჩი, დურანები და ღილზაები) მე-18 ს. დასაწყისში ყანდაჰარის არეალში შეკავშირდნენ საერთო ბელადის მირ-ვეისის მეთაურობით და ერთხნობით გამოეყვნენ კიდევაც სპარსეთს და ირან-ინდოეთის საზღვრებზე შექმნეს ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება. მათ ჰყავდათ აქლემების აუარებელი ჯოგი და დედაწულიანად მიმოძრაობდნენ და თანაც ჩაბმულნი იყვნენ არა მხოლოდ საშინაო, არამედ საერთაშორისო ვაჭრობაში. მათ თავიანთი და უცხოური საქონელი ავღანეთიდან, არსებითად კასპიის ზღვის სანაპიროებიდან გაჰქონდათ ინდოეთსა და შუა აზიაში. ამჟამად, ძველი აბრეშუმის გზის დიდ ნაწილზე მოასფალტებული ავტომაგისტრალია გადაჭიმული და მირვეისის მომთაბარე მხედართა შთამომავალნი ეთხოვებიან აქლემზე ცხოვრებას და... შოფრები ხდებიან, უფრო მასობრივად კი ბინადარ ცხოვრებაზე გადადიან, რასაც მოწოდებულია ხელი შეუწყოს აგრარულმა რეფორმამ ამა, 1976, წლის ზაფხულიდან რომ გატარდა ცხოვრებაში. თუმცა აქაც „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“ და მათი ნაწილი დღესაც ისეთსავე მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, როგორც ჩვენი კვლევის მოვლენათა პერიოდში, ე. ი. 100 და კიდევ, ვინ უწყის, 500 წლის წინათ.

***

სატრანზიტო ვაჭრობა, საერთოდ საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობდა ამ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური და თვით პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩართვას. მაგალითად, თუ როგორ აისახა ქ. ფოთის ცხოვრებაში 1870—1871 წწ. პრუსია-საფრანგეთის ომი და საფრანგეთის რევოლუცია, საკმარისია წავიკითხოთ ნ. ნიკოლაძის კორესპონდენცია, მოთავსებული 1871 წ. გაზ. „დროების“ ფურცლებზე[79].

„...მასაქეთია რაც შარშანდელმა (1870) ომმა საქვეყნო ვაჭრობა დააფრთხო და აღება-მიცემა არია და დარია, მასაქეთია, განსაკუთრებით რაც საფრანგეთის ძალა და შრომა ომის გაგრძელებას და მისი კვალის ამოხოცვას მოუნდა, ფოთში საზოგადო ცხოვრება შევიწროვდა და აღებ-მიცემაც თითქმის განახევრდა. მთელი წელი-

[79] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 2, 1960, გვ. 550.

წადია თითქმის რაც ფოთში საქონელი არ მიუღიათ საზღვარს გარეთიდან, რადგან უმეტესი ნაწილი საქონლისა აქ საფრანგეთიდან მოჰქონდათ. მაშასადამე, შემცირდა კომისიონერების შრომაც, მუშების რიცხვიც. ნაგების მუშაობაც, გაძვირდა საქონელი და ფული, და ქალაქი სანახევროდ დაცარიელდა — რაკი დაცარიელდა დამოუნის და ცალკე პირების მაღაზიები. რომ წარმოიდგენს კაცი, რა მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთს მთელი ქვეყნებისათვის! რაა, ვთქვათ, ფოთი? სად ეს ქალაქი. —სად პარიკი, და კაცს გონია: მე რა მენაღვლება, სადღაც ოხერ-ტიალების ქვეყანაში რა ამბებიაო!, მართლაც ასე უნდა გონებოდა კაცს. მაგრამ აი ეხლა, იქ აყალ-მაყალი მოხდა, მოხდა ომი, და ამ ჩვენი ფოთის მედუქნეს შემოსავალი გაუნახევრდა, მამულის პატრონს სახლები და შენობები ცარიელი დაურჩა, მუშა ხალხს შრომა მოაკლდა და ქირა შეუმცირდა, და ყველას ფულები გაუძვირდა, ცხოვრების საშუალება დაუპატარავდა! მოდი ეხლა და ნუ გენაღვლება „იმ ოხერ-ტიალის ქვეყანაში“ რა და რა ხდება და რა კეთდება, მოდი და ნუ იკითხავ ამბავს, იქ როგორ ცხოვრობენ, რას შვრებიან და რას აპირებენ. თუ კი მათი სატკივარი ჩვენ თავს გვაფხანვინებს და ვაის გვაძახებს, მოდი და ნუ იკითხავ — რა ტკივა იმ „ოხერ-ტიალების ქვეყანას“ და რა წამალი მოუხდება იმ ტკივილს!“[80]...

ანალოგიური მასალა სხვაც ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია, რომ დავინახოთ თუ რამდენად ჩართული იყო უკვე ამ დროს საქართველოს ეკონომიკური და აერძოდ კომერციული ცხოვრება საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და, მაშასადამე, მსოფლიო მეურნეობაში.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამავე მოვლენის კიდევ სხვა ასპექტები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთრად ამიერკავკასიის, არამედ საერთოდ იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ასპექტშია განსახილველი.

ამ ხანებში სატრანზიტო ვაჭრობის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობისა და, მაშასადამე, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი სულ უფრო ადვილად უკავშირდებოდა სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს.

სწორედ ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბალკანეთში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, გაზ. „ობზორის“ მოწინავეში, მისი რედაქტორი ნ. ნიკოლაძე წერდა: „...შე-

---

[80] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 2, 1960, გვ. 151.

ვიქენით რა გამთავისუფლებლები და უფრო მეტი, ვინემ მფარველები ქვეყნებისა, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მხრივ ჩვენზე ბევრად უფრო დაწინაურებული არიან, ჩვენ სწორედ ამით ძალებული ვიქნებით გავატაროთ ღონისძიებანი, რათა გავუთანასწორდეთ მათ. ესაა აუცილებელი ლოგიკური დასკვნა... უნდა ეხოდეს გარდაქმნები: გადასვლა ისეთ ნიადაგზე, „რომელზედაც დაფუძნებულია საერთოდ ყველა თავისუფალი ხალხის ცხოვრება"[81].

ამ სტატიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა... იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი საიდუმლო წერილით სვიატოპოლკ-მირსკის ატყობინებს, რომ ასეთი გადაკრული და ნართაული აზრების ქადაგებამ იმპერატორის გულისწყრომა დაიმსახურა და ნაბრძანებია ამიერიდან გაზეთების რედაქტორებმა „არ დაუშვან გატარება მსგავსი იდეებისა"[82].

ცხადია, საბაჟოებიც მოწოდებულნი იყვნენ, არა თუ ყოველგვარი უცხოური საქონელი, არამედ ყოველგვარი დაუშვებელი იდეებიც, ინფორმაციაც არ შემოეშვათ..., ამიტომაც იყო, რომ ცოტა უფრო ადრე ევროპიდან დაბრუნებულ იმავე ნ. ნიკოლაძეს სხვადასხვა ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური ლიტერატურა, რევოლუციური აზრებით გაჟღენთილი დიდძალი წიგნები და ლითოგრაფიული საბეჭდი დაზგაც დაატოვებინეს... საბაჟოში[83].

დას. ევროპიდან შემოსული საქონელი, როგორც ყოველი საქონელი, არამხოლოდ სახმარი ნივთი, არამედ გარკვეული სოციალური და პოლიტიკური აზრის მაჩვენებელი საგანიც იყო... და ამ პროდუქტების როგორც იმპორტული საქონლის ძლიერი კონკურენცია და არა თუ უცხოეთის — ირან-თურქეთის — ბაზრებზე, არამედ შინაგან, ე. ი. ამიერკავკასიის ბაზრებზედაც, როგორც ერთხმად აღიარებდნენ თვით რუსი ვაჭრები და მრეწველები და მათი ინტერესების დამცველი ოფიციალური სახელმწიფო მოღვაწეებიც, იყო რუსეთის მრეწველობის ჩამორჩენილობის მაჩვენებელი, უშუალო შედეგი იმისა, რომ ამიერკავკასიისა და ირანის ბაზრებზე ბევრად უფრო შორი მანძილიდან მოტანილი ინგლისური, ფრანგული, გერმანული საქონელი თავისი სიიაფითა და თვით ნაკეთობის ხა-

---

[81] «Обзор», 1878, № 1.

[82] ვრცლად იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, 1971, IV გამოცემა, გვ. 89—91.

[83] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი 1629—1929 წწ., 1929, თბილისი, გვ. 236—237.

რისხით ბევრად უფრო იზიდავდა მომხმარებელს (მყიდველს), ვინემ რუსული ფაბრიკების საქონელი. მაგრამ ეს ნივთიერ ურთიერთობათა მხოლოდ ერთი მხარე იყო და იმპერიის შორსმჭვრეტელ სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს იგი ბევრად უფრო ნაკლებად აწუხებდა, ვინემ მოვლენის მეორე, სახელდობრ, პოლიტიკური, იდეოლოგიური მხარე, რომელიც აჩვენებდა: თუ ევროპული საქონელი და, მაშასადამე, წარმოების კულტურა რუსულზე ესოდენ უკეთესია, ხომ არ მიანიშნებს ეს იმასაც, რომ უკეთესია იქაური პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთოდ სახელმწიფოებრივი წყობილება და უკულმართულ გავლენას ხომ არ მოახდენს ყოველივე ეს რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომთა აზრებისა და შეხედულებათა ფორმირებაზე?!

ამგვარად, ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის განვითარებას მხოლოდ ზიანი და არა მარტო ეკონომიკური ხასიათისა, შეუძლია მოუტანოს რუსეთს! — ფიქრობდნენ რეაქციული ძალები, რომლებიც ამიტომაც სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ ევროპული ტრანზიტისა და ვაჭრობის გზების დაჩიხვას.

7. ბათუმი — პორტო-ფრანკო

რუსეთის ცარიზმს, რუსეთის საავჭრო კაპიტალს დიდხანს აწვალებდა ბათუმის საკითხი. ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს, 1853.V.31, კ. მარქსი წერდა: „რამდენადაც ბათუმის ნავსადგური ერთადერთი საიმედო თავშესაფარია ხომალდებისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, გასაგებია, რუსეთის მიერ მისი დაპყრობა თურქეთს დააკარგვინებდა უკანასკნელ სამხედრო-საზღვაო ბაზას პონტოზე და გადააქცევდა მას მხოლოდ და მხოლო რუსეთის ზღვად. თუ რომ რუსეთი ყარსთან — სამხრეთის ამ უმდიდრეს და ყველაზე უფრო ათვისებულ ნაწილთან ერთად ბათუმსაც ხელში ჩაიგდებდა, მაშინ მას შეეძლებოდა გაეთიშა ინგლისსა და სპარსეთს შორის ტრაპიზონის მეშვეობით აწყობილი ვაჭრობა და შეექმნა თავისთვის საოპერაციო ბაზა, როგორც ინგლისის, ასევე მცირე აზიის წინააღმდეგ“.

ხუთიოდე თვის შემდეგ (1853.10.27.) ფრ. ენგელსი წერდა: აზიაში სამხედრო მოქმედებათა თეატრის გადამწყვეტი პოზიცია... „ბათუმია, და მხედველობაში ჰქონდა რა ეს გარემოება და აგრეთვე ითვალისწინებდა რა ბათუმის მნიშვნელობას ვაჭრობისათვის, გასაკვირველი არაა, თუ რატომ ყოველთვის ცდილობდა რუსეთის მეფე მის მიტაცებას. კიდევ მეტი, ბათუმი მთელი აზიური თურ-

ქეთის სამხედრო მოქმედებათა თეატრის ცენტრალური პუნქტია, იმიტომ რომ ის გაბატონებულია ერთადერთ ვარგის გზაზე, რომელიც სანაპიროებიდან ქვეყნის შიგნით მიემართება, — გზაზე, რომელიც არზრუმის პირისპირ შემოუვლის თურქეთის ყველა პოზიციას. და შავ ზღვაზე ორი ფრონტიდან, ის, რომელიც მოწინააღმდეგეს აიძულებს უკან დაბრუნდეს თავის სავსადგურში, გაბატონდება ბათუმში" (თხზ. ტ. 9, გვ. 117, 451—474, 573 — რუს. გამოც.).

მაგრამ, როგორც ვიცით, ყირიმის ომის დროს რუსეთი დამარცხდა და არა თუ ბათუმი და ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიები ვერ დაიპყრო, არამედ, როგორც, ყირიმის არმიის მთავარსარდალი გენ. მ. გორჩაკოვი, შემდეგში (1856—1861) პოლონეთის ნამესტნიკი, წერდა: ფინეთის, პოლონეთის, კავკასიისა და საქართველოს დაკარგვის შიშმა დაუარა... სულ სხვა სიტუაცია და ძალთა თანაფარდობა შეიქმნა 1870-იან წლებში (ე. ტ ა რ ლ ე, თხზ., ტ. IX, გვ. 475 — რუს. გამოცემა).

ამისათვის კი აუცილებელი იყო აღმოსავლეთში დას. ევროპისა და კერძოდ ინგლისის ვაჭრობისათვის გზების გადაკეტა. ეს გზები კი უმთავრესად თურქეთის სამფლობელოებზე გადიოდა...

თურქეთის იმპერიის დეგრადაციის ყველა გზაზე ინგლისისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკა ყოველთვის ერთმანეთს უპირისპირდებოდა. 1838 წ. აგვისტოს სავაჭრო ხელშეკრულებით, ამ დროს ინგლისის უძლიერესი მრეწველობისათვის, მთლიანად გაიღო თურქეთის ბაზრის კარები. სულ მალე, 1841 წ. დადებული კონვენციით, ბოსფორი და დარდანელი დაიკეტა და სწორედ ამით რუსეთის ფლოტი შავ ზღვაში ჩაიკეტა. ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკის კულმინაციური პუნქტი იყო ყირიმის ომი. ცხადია, ინგლისი აქ მხოლოდ „მომრიგებლის" როლში უნდა გამოსულიყო. თემთა პალატაში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კლარენდონი ცბიერული ღიმილით აცხადებდა: „ჩვენ არაფერი არ გვჭირდება ჩვენი ვაჭრობისათვის. ჩვენ არ გვეშინია ჩვენი ინდოეთის სამფლობელოებისათვის. ჩვენთვის აუცილებელია ჩვენი პატივის და საკუთარი ღირსების გრძნობის დაცვა"... მან განაცხადა, რომ ეს იქნება „ბარბაროსობის წინააღმდეგ ცივილიზაციის ომის" დასაწყისი. ...მაინც, ინგლისის პრემიერ მინისტრ პალმერსტონს საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა და არც საფრანგეთის მესვეურთა მადა იყო „შემოქმედებით" იდეებს მოკლებული. მაგრამ 1856 წ. პარიზის ხელშეკრულებით, ყირიმის ომს რომ შედეგად მოჰყვა, ინგლისი-საფრანგეთის ფართო გეგმების დიდი ნაწილი აორთქლდა.

სავსებით სხვანაირი იყო, როგორც საერთოდ საერთაშორისო ვითარება,ისე კერძოდ რუსეთ-თურქეთ-ბალკანეთის ურთიერთდამოკიდებულება და თვით შინაგანი მდგომარეობა ოციოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში[83].

1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი[84] იმით დამთავრდა, რომ რუსეთმა შემოიერთა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები. რუსეთის დიპლომატია ბერლინის კონგრესზე დაბეჯითებით მოითხოვდა ბათუმსა და ლაზისტანის სანჯაყის ნაწილს. მაგრამ ევროპის სახელმწიფოები და, განსაკუთრებით ინგლისი, ამას ვერ ურიგდებოდნენ[85].

ამავე დროს რუსეთისათვის ეს იყო „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი". სხვა მხრივაც „ბათუმის ხელში ჩაგდება უნდა ყოფილიყო მთავარი ნივთიერი საზღაური იმ უზარმაზარი მსხვერპლისა, რაც რუსეთმა გაიღო ამ ომის განმავლობაში". ფიიჩნდათ, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე სხვა რამდენიმე ხელსაყრელი ბუნებრივი ნავსადგური არ იყო. ასეთ პირობებში მხოლოდ ბათუმი შეიძლება ყოფილიყო ამიერკავკასიის მთავარი პორტი, საიდანაც მთელი წლის მანძილზე რეგულარული საზღვაო კავშირი დამყარდებოდა სამხრეთ რუსეთთან — ნოვოროსიისკი-სევასტოპოლი-ოდესის მეშვეობით[86].

რაკი ბათუმისადმი პრეტენზიაში რუსეთი უკან არ იხევდა და რაკი ამჯერად მთელი მუსლიმანური მსოფლიოს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას ინგლისმა ვერ მიაღწია, მაშინ ლორდ ბიკონსფილ-

---

[83] История дипломатии, II, 1963; А. Новичев, История Турции, ч. 2, 1973; Освобождение Болгарии от Турецкого ига, т. I, 1961; А. Нарочницкий, Балканский кризис 1875—1878 гг. и великие державы („Вестн. истории", 1976, № 11); R. H. Sumner, Russia and the Balkans, 1937; W. G. Wirthwein, Britain and the Balkan Crises 1875—1878, 1938.

[84] Ш. Мегрелидзе, Грузия в русско-турецкой войне (1877-1878), Батуми, 1955.

[85] Н. Шавров, О значении Черного и Каспийского морей в европейской и русской торговле (ССК, II, Тифлис, 1871, 30—47).

[86] საქართველოში ზეიმობენ. გრ. ორბელიანი იწერება (1878): რუსეთის ძლიერებამ „დაჰსცა საუკუნოდ მაჰმადიანობა... და ჩვენნი ძმანი, ძველნი ქართველნი, აჭარა, ლაზანა, ქობულეთი, ბათუმით განთავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდამ და შეუერთა დედა საქართველოსა... აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის" (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1941, გვ. 122).

დის გონებაში ახალმა აზრმა გაიელვა; ბათუმი გამხდარიყო პორტო-ფრანკო[87].

ახლა აქ უწინარეს საჭიროა აღინიშნოს, რომ პორტო-ფრანკოს და თავისუფალი ნავსადგურების, როგორც თავისუფალი, ე. ი. უბაჟო (უსაფასურო) ვაჭრობის, კომერციული თავისნობისათვის, „ვაჭრობის ღია კარების“ მოვლენებს საინტერესო ისტორია აქვთ ევროპის ქვეყნებში, სადაც იგი ადრიდანვეა ცნობილი[88].

პორტო-ფრანკო პირველად გაჩნდა ზღვების სანაპიროთა თავისუფალ ქალაქებში, ქალაქ-კომუნებში, რომლებიც დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულების პრივილეგიებით სარგებლობდნენ, გამოყოფილნი იყვნენ სახელმწიფოს დანარჩენი ტერიტორიებიდან საბაჟო საყარაულოებით და რომლებიც თავიანთ ვაჭრებს ათავისუფლებდნენ ყოველგვარი მოსაკრებლებისა და საბაჟო საფასურის გადახდისაგან. პორტო-ფრანკოს ფარგლებში თავისუფლად შემოტანილი უცხოური საქონელი (ნედლეული) შეიძლებოდა გადაემუშავებინათ და შერმე გაეყიდათ; ისინი საბაჟო გაწმენდას ექვემდებარებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქედან გაიტანდნენ ქვეყნის სხვა ნაწილებში სარეალიზაციოდ, სწორედ ისე, როგორც იბეგრებოდა საერთოდ უცხოური საქონელი. პორტო-ფრანკოს უფლებით სარგებლობდნენ ჰანზის ქალაქები ჰამბურგი, ლიუბეკი და სხვ., როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები. რუსეთში შედარებით დიდხანს (1817 — 1857 წწ.) იარსება ოდესის პორტო-ფრანკომ.

სან-სტეფანოს (კონსტანტინოპოლის მახლობლად) 1878 წ. 19 თებერვლის ხელშეკრულების მე-19 სტატიით ომით გამოწვეული ხარჯებისა და ზიანისათვის, რაც თურქეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის, საქართველოს ტერიტორიის დალაშქვრით იყო გამოწვეული, ბრწყინვალე პორტამ იკისრა რუსეთისათვის გადაეხადა 100 მლნ მანეთი[89]. მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული თურქეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობა და რუსეთის იმპერატორი

---

[87] იტალ. porto franko (პორტო—ნავსადგური; ფრანკო — თავისუფალი, ნებიერი) საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონლის იმპორტი და ექსპორტი თავისუფალია საბაჟო საფასურისაგან.

[88] К. Медзыховский, О свободных гаванях, 1910; Л. Барац, О введении свободных гаваней в России, 1914; Boucher, Les ports-francs, 1902; Kuger, Die Entstehung der neuen Freihefenformen, 1922.

[89] B. Sumner, Russian and the Balkans 1870—1880, 1937, Oxford; W. Wirthwein, Britain and the Balkan Crisis 1875—1878, 1935, N. Y.

დათანხმდა სულთნის თხოვნაზე ხსენებული თანხის დიდი ნაწილი დაფარულიყო ტერიტორიების დათმობით, სახელდობრ: არდაგანის, ბათუმის, ყარსისა და რუსეთ-თურქეთის ძველ საზღვარსა და ჭოროხ-ბარდუზ-არაქსის გაყოლებით ახალ სასაზღვრო ხაზს შორის მდებარე მთელი ტერიტორიის (სტ. 58)[90] რუსეთისათვის გადაცემით.

მაგრამ ეს გარიგება, ომში დახოცილთა სისხლისა და ნივთიერად და მორალურად გაუბედურებულ ადამიანთა ნერვებისა და ცრემლების ფასად მიღწეული რუსეთის ახალი ტერიტორიული ექსპანსია, არსებული კომერციული სიტუაციის პირობებში, ხელსაყრელი იყო ბერლინის (1878 წ. ივნისის) კონგრესის მონაწილე დას. ევროპის სახელმწიფოებისათვის, როგორიც იყვნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, საფრანგეთი, იტალია და განსაკუთრებით ინგლისი.

არსებულ ვითარებაში შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე ინგლისს რუსეთზე არანაკლებ სჭირდებოდა ხელსაყრელი ნავსადგური, საიდანაც ინგლისური საქონელი უბაჟოდ გაიტანებოდა ამიერკავკასიაში, სპარსეთსა და შუააზიაში. ლორდი ბიკონსფილდი დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტით იმუქრებოდა, თუ მისი წინადადება ბათუმის პორტო-ფრანკოზე არ იქნებოდა მიღებული[91]. „რუსეთი, სურდა რა დაეჩქარებინა საზავო ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა, დათმობაზე წავიდა“ და... ბერლინის ტრაქტატის (1878) 59 პარაგრაფით ბ ა თ უ მ ი პ ო რ ტ ო-ფ რ ა ნ კ ო დ გ ა მ ო ც ხ ა დ დ ა[92].

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის შავი ზღვის რომელსამე ნავსადგურზე პორტო-ფრანკოს დაშვების იდეა პირველად წარმოიშვა სულ მალე მას მერმე, რაც 1831 წ. აიკრძალა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი. თვით საბაჟო-საკარანტინო უწყებას შესაძლებლად და ზოგიერთ ასპექტში მიზანშეწონილად მიაჩნდა:

„თუ მთავრობას მართლა აქვს განზრახული მომავალში გააფართოოს მრეწველობა ამიერკავკასიის პროვინციებში და გაამრავლოს წარმოება ძვირფასი პროდუქტებისა, როგორიცაა აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი[93] და სხვ.... განავითაროს ვაჭრობა და სხვ. მაშინ

[90] Н. К и н я п и н а, Внешняя политика России во второй половине XX в., 1974. М.; Г. Г а л о я н, Россия и народы Закавказья.... 1976, М.
[91] И. К о л е с о в, Таможенная политтика России, СПБ, 1890.
[92] С. Е с а д з е, назв. соч. II, с. 241—242.
[93] 1832 წ. საქართველოს ადმინისტრაციამ პეტერბურგში ითხოვა, რომ საბაჟო საფასური მოეხსნათ საიმპორტო ბრინჯზე, რამდენადაც მოუსავლიანობის დროს აქაური მოსახლეობა მას როგორც პურს მოიხმარდა.

ფოთთან შედარებით, კლიმატური და სხვ. საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით უფრო ხელსაყრელი იქნება პორტო-ფრანკო დაწესდეს რედუტ-კალეში. მაშინ იგი გადაიქცევა ქალაქად. აქ გაჩნდება საქალაქო თვითმმართველობა, საბაჟო-საკარანტინო უწყება... გამრავლდება მოსახლეობა და აქ „გაჩაღდება სავაჭრო ურთიერთობანი“ როგორც ქვეყნის შიგნითა, ისე საზღვარგარეთის პუნქტებთან[94].

მაგრამ... ამ იდეის განხორციელება, ცოტა ხნით მაინც, შესაძლებელი გახდა მხოლოდ... ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ ბათუმის პორტო-ფრანკოს სახით. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი პრესა ამ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურა. მოვლენებს ყველაზე ვრცლად და არსებითად მაინც ნ. ნიკოლაძე და მისი „ობზორი“ აშუქებდა, მით უფრო, რომ „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ჩვენი პირადი, ადგილობრივი საკითხიცაა, რადგან შავი ზღვის რუსეთის სანაპიროების სიგრძის ნახევარი კავკასიის სანამესტნიკოზე მოდის და ჩვენთვის შავი ზღვა უმთავრესი გზაა რუსეთთან და ევროპასთან დასაკავშირებლადო...“

და, აი, ნ. ნიკოლაძე წერს (1878): „ლორდმა ბიკონსფილდმა მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაგვანახა, რომ იგი რუსეთის ყოველგვარი წარმატების მტერია. ამიტომ, ლორდ ბიკონსფილდს ძლიერ სურს, რომ ბათუმი თურქების ხელში დარჩეს, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს, გააქარწყლოს მისი სასარგებლო მნიშვნელობა და მისი ფლობა საზიანოც კი გახადოს რუსეთისათვის, აქ თავისუფალი ნავსადგურის დაწესების შემწეობით. რუსეთი ვალდებულია აღიაროს ბათუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა და შეინარჩუნოს იგი, როგორც საკუთარი სიძლიერის განვითარების მძლავრი საშუალება“.

შემდეგ ნ. ნიკოლაძე თავის მკითხველს აცნობს რუსეთის ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებს, საზღვაო ვაჭრობის, გემთშენებლობისა და საერთოდ სატრანსპორტო საშუალებათა ჩამორჩენილობას, ურთიერთს ადარებს იმპერიის ზღვების მნიშვნელობას და სამართლიანად აცხადებს, რომ „შავმა ზღვამ კი, თავის უფრესთან — აზოვის ზღვასთან ერთად, რომელიც სამხრეთ რუსეთის ყველაზე ნაყოფიერ ოლქებს ეკვრის, ხოლო აღმოსავლეთით — კავკასიამ, რომელიც კიდევ უფრო შესანიშნავია თავისი ჰავითა და ბუნებრივი ნაწარმის სიმდიდრით, სუეცის არხის გათხრის შემდეგ

---

[94] П. Гугушвили, СХАО, т. II, с. 436—439.

რუსეთისათვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა"; რადგან ამ ზღვაზეა შორეული აღმოსავლეთის კოლონიური საქონლის მისაღებად უახლოესი ნავსადგურები. ხოლო ეს საქონელი, გარდა უშუალო მოხმარების საგნებისა (როგორიცაა ჩაი, ყავა, შაქარი, სანელებლები), რუსეთის ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულსაც შეიცავს (როგორიცაა საღებავები, ბამბა, აბრეშუმი და სხვა) და ამიტომ „ამ საქონლის გაიაფება მოსახლეობის აუცილებელ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში, ხელს შეუწყობს მისი კეთილდღეობის ზრდას, და, ამავე დროს, შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მწარმოებლებს — მეტი კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ფაბრიკებს, რაც ახლა შეუძლებელია, იმის გამო, რომ ნედლეულს ძვირად ვყიდულობთ უცხოელებისაგან. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ... შავ ზღვაზე შორეული ნაოსნობის განვითარება, რუსეთს მოუპოვებს იმ დამოუკიდებლობას, რისი უფლებაც მას აქვს თავისი სიძლიერითა და პოლიტიკური მნიშვნელობით"[95].

დასასრულ, ნ. ნიკოლაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთმა ყოველივე უნდა იღონოს, რათა განავითაროს ნაოსნობა შავ ზღვაზე, რაც კავკასიის სანაპიროების კეთილმოწყობისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს. ამ საკითხს მან კიდევ რიგი საინტერესო სტატია მიუძღვნა[96].

1878 წ. 19 აგვისტოს, სტატიაში „ბათუმი და ფოთი", ნ. ნიკოლაძე წერდა: „როცა ინგლისელი მინისტრები ბათუმს საბაჟო საფასურისაგან ანთავისუფლებდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის გზით ინგლისური საქონლის კონტრაბანდათ გატანას სპარსეთსა და შუა აზიაში... ნაწილობრივ მართალია ვარაუდი, რომ საბაჟო საფასურისაგან განთავისუფლებულ ნავსადგურში ცხოვრება უფრო იაფი იქნება, ვინემ ფოთში, მაგრამ ვაჭრობა ბათუმში დიდი მასშტაბით ვერ იწარმოებს..., სანამ შემოერთებული ოლქის გზები არ გაუმჯობესდება... ასე რომ, მიუხედავად ლორდ ბიკონსფილდის ფანდებისა, ჩვენ გვჯერა, რომ ამიერკავკასიის ვაჭრობა გზების გაყვანამდე უცვლელი დარჩება, ხოლო სანამ ბათუმამდე გზას გაიყვანდნენ, ფოთის ნავსადგურის მშენებლობაც დამ-

---

[95] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1970, ტ. 6, გვ. 57—72.

[96] იქვე, გვ. 73—93; 100—108; 137—141; 227—234; იხ. აგრეთვე: ტ. 5, 1966, გვ. 384—400; 543—546.

თავრდება და მაშინ ამ პორტიდან საქონლის გატანის სარგებლიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდებაო"[97], აცხადებს იგი. ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი ქვეყნისა და საერთოდაც რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების უდავოდ დიდი მცოდნე იყო, მაშინ ნაკლებად შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ ბათუმი ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელში იქნებოდა ჩართული...

***

როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, ამიერიდან რუსეთის კაპიტალიზმი სულ უფრო ვერ ითმენდა ამიერკავკასიაში ვაჭრობის და კერძოდ საკარანტინო-საბაჟო უწყების ადგილობრივი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულობას; მას მიაჩნდა, რომ კავკასიის თვით ნამესტნიკებიც კი უფრო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისათვის ზრუნავდნენ, ვინემ რუსეთის სავაჭრო თუ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისათვის: და, აი, 1881 წ. 24 მარტს იმპერატორი ამტკიცებს სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებებს, რომლის მიხედვით კავკასიის სანამესტნიკოს საკარანტინო-საბაჟო უწყება უშუალოდ დაუმორჩილდა იმპერიის ფინანსთა სამინისტროს; ამიერიდან ადგილზე მივლინებული ამ სამინისტროს სპეციალურ მოხელეს ემორჩილებოდა მთელი ხსენებული უწყება[98].

ადგილობრივი კომერციული თაოსნობის შეზღუდვის მიზნით გამოცემული ამ კანონის მეექვსე პარაგრაფში ნათქვამია: კავკასიის სახმელეთო საზღვრებზე ურთიერთობათა გამოცოცხლების მიზნით, ფინანსთა მინისტრს, ნამესტნიკთან შეთანხმებით უფლება აქვს დააწესოს საბაზრო ადგილები ზედ საზღვრებზე — მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის გარკვეული საგნების გასაყიდად. ამ ბაზრების დანიშნულება უნდა ყოფილიყო არსებითად მხოლოდ თვით საზღვრების დაცვის ნაწილების მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და სხვა აუცილებელი საოჯახო ნივთებით.

ამგვარად, როგორც ნათქვამია: „ჯერ კლავდნენ, რათა მერმე გაეცოცხლებინათ".

რუსეთ-თურქეთის ხსენებული ომის დროს, როდესაც ამიერკავკასიის ტრანზიტი არსებითად შეფერხებული იყო, რუსეთის ბამ-

---

[97] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი. 1970, ტ. 6, გვ. 227—231.

[98] С. Е с а д з е, Ист. записка об управлении Кавказом, т. II, 1907. Приложения, с. 70, 82—85.

ბაქსოვილისა და შაქრის იმპორტი სპარსეთში ფრიად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ევროპული საქონლის ტრანზიტი მაინც უფრო მეტი იყო, ვინემ რუსული ექსპორტი. ამან, ამ წლების კომერციულმა ოპერაციებმა, თურქეთზე გამარჯვებამ, სპარსეთზე კი „მართლმადიდებლობის ძლიერების შიშის ზარმა“ რუსეთის სავაჭრო კაპიტალს, გასაგებია, კიდევ უფრო მეტი გამბედაობა შესძინა, და... ახლა იგი მოითხოვს ტრანზიტის აღკვეთას.

ამიერკავკასიის რკინიგზის (ბათუმი-ბაქო) მშენებლობის დამთავრებამ და ბათუმის პორტო-ფრანკომ უაღრესად ფართო გასაქანი მისცა სატრანზიტო ოპერაციებს... მოსკოველ ვაჭართა თავაკაცებმა განგაში ატეხეს. რუსეთის დიდვაჭართა მოთხოვნით მოწვეულმა ს ა გ ა ნ გ ე ბ ო თ ა თ ბ ი რ მ ა გადაჭრით მოითხოვა საბაჟო საფასურისაგან თავისუფალი ამიერკავკასიის ტრანზიტის მოსპობა; რაც იმას მოასწავებდა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროთა პორტებიდან შემოტანილ ევროპულ საქონელზე ამიერიდან წესდებოდა საერთო-საიმპერიო ტარიფით დადგენილი საბაჟო საფასური, რასაც არ იხდიდა მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილი შაქარი-რაფინადი. საქმე ისაა, რომ შაქრის მრეწველობა რუსეთში ჯერ კიდევ იმდენად იყო ჩამორჩენილი, რომ თვით შინაგანი ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა მთლიანად და, მაშასადამე, ის ჯერ კიდევ ვერ გახდებოდა საექსპორტო საქონელი. ამიტომაც გაკეთდა ის გამონაკლისი, რომ ევროპიდან შავი ზღვით შემოსატან შაქარ-რაფინადზე დაწესდა შემცირებული საბაჟო საფასური — ერთ ფუთზე 2,2 მან.

საერთოდ ამიერკავკასიის ტრანზიტის მთელი ისტორია ნათლად უჩვენებს, რომ რუსეთის სატრანზიტო და საერთოდ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა შესამჩნევად, და უფრო ხშირად, აშკარად ლიბერალურია სპარსეთისა და საერთოდ აზიური წარმოების ყოველგვარი საქონლის მიმართ... საქმე ისაა და რუსეთთან შედარებით, ინდუსტრიული თვალსაზრისით, ბევრად უფრო განვითარებული ევროპიდან არა თუ ამიერკავკასიის სატრანზიტო გზით სპარსეთსა და თურქეთში, არამედ თვით ამიერკავკასიაში შემოტანილი სამრეწველო საქონელი უკეთესი და ზოგჯერ უფრო იაფიც იყო, ვინემ რუსული. ამიტომაც, გასაგებია, რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა ამ მხრივ პროტექციონისტული უნდა ყოფილიყო[99].

---

[99] С. Г у л и ш а м б а р о в, Всемирная торговля в XIX в. и участие в ней России, СПБ, 1898.

რაც შეეხება სპარსეთიდან და თურქეთიდან, შუა აზიის ქვეყნებიდან წამოსულ საქონელს, ის უფრო ნედლეულის ანუ ნახევარფაბრიკატის (აბრეშუმი და სხვ.) სახით მოდიოდა, ხოლო აზიური სამრეწველო საქონელი (შალეული და სხვ.) თავისი ღირსებით რამდენადმე მნიშვნელოვან კონკურენციას ვერ გაუწევდა რუსულ მრეწველობას, რომელიც შესამჩნევად უფრო მაღლა იდგა ვინემ ხსენებული აზიური ქვეყნების მრეწველობა.

ე. ტიხოცკი, რომელმაც სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა 1862—1881 წწ. ამიერკავკასიის ტრანზიტის განვითარების საკითხებს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ მხრივ აქამდე, ე. ი. 1881 წლამდე, იმპერიის ხელისუფლება, „მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ დ ა რ ა უ ცხ ო ურ ტ რ ა ნ ზ ი ტ ს, ზ ი ა ნ ს ა ყ ე ნ ე ბ დ ა ს ა კ უ თ ა რ ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ა ს“[100]. საქმე ისაა, რომ „თავისუფალი გაცვლის“ ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროებზე რუსულ და ევროპულ საქონელთა შორის დაშვებულმა კონკურენციამ აშკარად არახელსაყრელი ვითარება უჩვენა: უჩვენა ის, რაც, სხვათა შორის გამოაშკარავდა უფრო საგრძნობი სახით ყირიმის ომის დროს.

ე. ტიხოცკი წერს: „უცხოელებს ხელთ ჰქონდათ ყველა შანსები: საქონლის მაღალი ხარისხი, მისი კარგი შეხამებულობა აღმოსავლეთის გემოვნებასა და მოთხოვნილებებთან, იაფი საზღვაო გზა და, დასასრულ, (ნამდვილი სეირი!), საქონლის უბაჟო გატანა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც კონკურენციას უწევდნენ იმავე სარბიელზე“..., ე. ი. სპარსეთის ბაზრებზე.

7. ტრანზიტის სტატისტიკა

ქვემოთ მოგვყავს ამიერკავკასიის ტრანზიტის დამახასიათებელი სტატისტიკურ მონაცემთა ცხრილები[101].

როგორც მოტანილი ცხრილები გვიჩვენებს, ამიერკავკასიის ტრანზიტის საქონელბრუნვაში, კერძოდ სპარსეთის ბაზრებზე ევროპული საქონლის რეალიზაციის თვალსაზრისით 1862—1881 წწ. მთავარი იყო შაქარი და ტექსტილური ნაწარმი, რომლებზედაც მოდის მთელი ამ საქონელბრუნვის დაახლოებით 90 %; შემდგომ ადგილზეა ჩაი, საღებავები, სასმელები, ჭურჭლეულობა, სპილენძის

---

[100] ე. ტ ი ხ ო ც კ ი, დასახ. წიგნი, გვ. 10.
[101] იქვე, გვ. 13—20.

ამიერკავკასიის ტრანზიტის (საქონლის) საერთო ბრუნვა 1862—1881 წწ.
(ათას მანეთობით)[102]

წლები	სულ	მათ შორის	
		ევროპიდან	აზიიდან
1862—1866[2]	7582	4616	3037
საშუალოწლიური	1895	923	759
	100%	59,9%	40,1%
1867—1871	10412	8173	2239
საშუალოწლიური	2082	1635	448
	100%	78,5%	21,5%
1872—1876	19052	15697	3354
საშუალოწლიური	3810	3140	671
	100%	82,4%	17,6%
1877—1881	23688	20735	2953
საშუალოწლიური	4737	4147	591
	100%	87,5%	12,5%
1877—1881 წწ. მეტი იყო 1862—1866 წწ. შედარებით	150%	349%	—22,2%

უცხოური (ევროპული) საქონლის ტრანზიტი სპარსეთში 1862—1881 წწ.
(ათას მანეთობით)

წლები	ტექსტილური (საფეიქრო) ნაწარმი	შაქარი	ჩაი	საღებავები	ფაიფურეულის, ქაღალდის და მინის ნაკეთობანი	ძეტალი და მეტალის ნაკეთობანი	სხვადასხვა საქონელი
1862—1866	2414	2017	32	3	4	74	43
საშუალოწლიური	489	403	6	0,7	0,7	15	8
%-ობით	52,9	43,7	0,7	0,1	0,1	1,6	0,9
1867—1871	4088	3589	1447	9	7	5	330
საშუალოწლიური	817	718	289	2	1	1	66
%-ობით	50.0	44,0	1.8	0,1	0,1	0,1	3,9
1872—1876	5341	9443	243	23	20	8	620
საშუალოწლიური	1068	1889	48	5	4	1	124
%-ობით	34,0	60,2	1,6	0,2	0,1	0,1	3.8
1871—1881	6836	11192	1247	138	71	47	1195
საშუალოწლიური	1367	2238	249	28	14	9	240
%-ობით	33,0	54,0	6,0	0,7	0,3	0,2	5,8

[102] 1862 წლის ტრანზიტის საერთო ლირებულებაში შესული არაა აზიის ქვეყნების საქონელბრუნვა.

აზიური (სპარსული) საქონლის ტრანზიტი ევროპაში (ათას მანეთობით)

წლები	აბრეშუმი	აბრეშუმის თესლი	მატყლი	ოპიუმი	ტექსტილ-ური ნაწარმი	სხვადა-სხვა
1862—1866	2692	17	3	...	74	250
საშუალოწლიური	673	4	0,8	—	18	52
%-ობით	88,7	0,6	0,1	—	2,5	8,1
1867—1871	1704	56	49	16	148	266
საშუალოწლიური	341	11	10	3	30	53
%-ობით	76,1	2,5	2,2	0,7	6,6	11,9
1872—1876	2430	193	121	162	328	131
საშუალოწლიური	486	39	24	34	66	24
%-ობით	72,4	5.8	3.6	4,8	9.8	3,6
1877—1881	1642	24	129	91	861	205
საშუალოწლიური	328	5	26	18	172	42
%-ობით	55.6	0,8	4,4	3.1	29,2	6,9

ნაკეთობანი, რკინაკავეული და სხვ. აღებულ პერიოდში ტრანზიტული შაქრის საერთო ღირებულება პირველ ხუთწლედთან შედარებით მეოთხე ხუთწლედში ხუთნახევარჯერ მეტი იყო და 2.238 ათას მან. მიაღწია, მანუფაქტურა გაიზარდა თითქმის სამჯერ და მისმა საერთო ღირებულებამ 1376 ათას მან. შეადგინა.

სპარსეთში შეტანილი ადგილობრივი (რუსული) საქონლის საერთო ღირებულებაში პირველი ადგილი ეპირა ტექსტილურ ნაწარმს (33 %), შემდეგ მოდიოდა მეტალის (უფრო სპილენძის) ნაკეთობანი (28 %), მერმე პური, შაქარი, ჭურჭლეულობა, საღებავები, მოსკოტილი (მოსკოტილური საქონელი), აბრეშუმქსოვილი, სასმელები. ტექსტილურ ნაწარმთაგან ბამბაქსოვილი შეადგენდა დაახლოებით 58 %-ს, სელის ქსოვილები — 11 %, შალისა — 25 %, აბრეშუმისა — 5,5 %.

საერთოდ ტრანზიტულ საქონელბრუნვაში ტექსტილურ ნაწარმთა დაახლოებით ნახევარი რუსული წარმოშობისა იყო; რაც შეეხება შაქარს, აქ ამ პერიოდში აბსოლუტურად გაბატონებული იყო უცხოური პროდუქტი და თვით ბოლო 1877— 1881 წწ. რუსული საქონლის ხვედრიწილი 20 % არ აღემატებოდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ხანებში ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთის მქადაგებელნი, თავიანთ მოთხოვნებს, სხვა-

თაშორის, სამამულო წარმოების შაქრის ირანის ბაზარზე რეალიზაციის შეზღუდულობითაც ასაბუთებდნენ. ე. ტიხოცკი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, წერს: „შეგვიძლია ჩვენ ამ მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში მოვამარაგოთ კასპიისპირეთის ოლქები მათთვის საჭირო შაქრის მთელი რაოდენობით?“ და იქვე უპასუხებს: „უყოყმანოდ უარყოფით პასუხს ვიძლევი. არც ახლა... არც უახლოეს წლებში ჩვენ არ შეგვეძლება გამოვყოთ სპარსეთისათვის 300—500ათასი ფუთი შაქარი... ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რაც ყოველწლიურად ფრიად პროგრესულად იზრდება“. ამ მხრივ, მისი აზრით, წარმატების მიღწევა ვერ მოხერხდებოდა საბაჟო საფასურის გადიდებითაც და თვით ტრანზიტის აღკვეთითაც კი. ჩვენ აღმოვჩნდებით იმის მდგომარეობაში, ვინც „არც თვითონ სჭამს და არც სხვას აჭმევს“. შეგვიძლია ჩვენს რკინიგზას შემოსავალიც დავაკარგვინოთ, ხოლო სპარსეთს „მაინც ექნება იაფი შაქარი“ — მიღებული სხვა ქვეყნებიდან.[103].

საერთოდ ამიერკავკასიის ტრანზიტში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ევროპულ საქონელს. აღებულ წლებში (1862 — 1881 წწ.) საქონელბრუნვის ჯამი შეადგენდა დაახლოებით 61 მლნ მან., საიდანაც ევროპულ საქონელზე მოდის 81%, და ასეთი თანაფარდობა გრძელდებოდა მთელი 1862—1881 წწ. მანძილზე, ისე რომ, სულ უფრო იზრდებოდა ევროპული საქონლის ტრანზიტი აზიაში.

მთელი ეს საქონელი, რაც საშუალოწლიურად დაახლოებით 640 ათას ფუთს შეადგენდა, ფოთიდან თბილისამდე მოდიოდა რკინიგზით, მერმე ბაქომდე ან ჯულფამდე გადაჰქონდათ ურმებითა და სპეციალნე პირუტყვით და ამ სატრანსპორტო ხარჯების სახით სატრანზიტო საქონელი ამიერკავკასიაში ტოვებდა დაახლ. 0,9 მლნ. მან. და „ეს იყო ერთადერთი ეკონომიკური სარგებლიანობა, რასაც სატრანზიტო ვაჭრობა აძლევდა ამიერკავკასიას“ და იგიც მეწარმეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში რჩებოდაო, აცხადებს ე. ტიხოცკი, რომელიც ამ მოვლენათა შეფასებაში არც თუ ისე დიდადაა დაშორებული სინამდვილეს. როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, ტრანზიტის საერთო მნიშვნელობა უფრო დიდი იყო და არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ სატრანზიტო საქონლის ნაწილი (თანაც სულ უფრო დიდი ზომით) იყიდებოდა თვით ამიერკავკასიაში.

---

[103] ე. ტ ი ხ ო ც კ ი, დასახ. წიგნი, გვ. 19.

მაგრამ დროება უკვე შეიცვალა. რუსეთის მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება და ამიტომ ახლა საჭიროა „უკანასკნელი ბიძგი, რათა ავიცილოთ უცხოეთის მონოპოლია... და დავიპყროთ ჩვენთვის ესოდენ აუცილებელი აღმოსავლეთის ბაზრები... უცხოეთის კონკურენცია ახლა, როდესაც გაიხსნება მიმოსვლა და ტვირთზიდვა ფოთი (ბათუმი) — თბილის-ბაქოს შორის მით უფრო სახიფათო და საშიში იქნება და მათ შეეძლებათ სანამ ჩვენ იქ მივალთ, გაავსონ თავიანთი საქონლით სპარსეთის ბაზრები, თუ კი არ აღიკვეთა ამიერკავკასიის ტრანზიტი“.

აუცილებელია „მტკიცე და განუხრელი გატარება“ ამ ღონისძიებებისა, რათა ამაღლდეს რუსეთის ეკონომიკა და განმტკიცდეს მისი ფინანსური მდგომარეობა, რაც ესოდენ შერყეულია ომების შედეგად. უნდა დავიპყროთ უზარმაზარი მატერიკის, აზიის ბაზარი, რათა განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალები.

ამიტომაც... ისევ და ისევ აუცილებელია აღიკვეთოს ამიერკავკასიის ტრანზიტი! — ასეთი მოწოდებით მიმართავს თავის მკითხველსა და, ცხადია, იმპერიის ხელისუფლებას, ე. ტიხოცკი[104].

გასაგებია, რომ 1883 წ. ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთამ ერთბაშად გააძლიერა ჩრდილოეთ სპარსეთში რუსული საქონლის კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად გაძლიერდა რუსული ექსპორტი.

ამიერკავკასიის ტრანზიტის დახურვას მაშინვე გამოეხმაურა ადგილობრივი პუბლიცისტიკა. ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ივანე მაჩაბელი თავის გაზეთ „დროების“ მოწინავეში, წერდა: „ტრანზიტი მოისპო... იმედი ჰქონდათ, რომ რაწამს ტრანზიტი მოისპობა რუსეთის უძრავი საქონელი შუააზიისა და სპარსეთისაკენ წავა და ამით მარტო რუსეთის ვაჭრებს დარჩებათ ის თვალუწვდენელი ალაგი მათის სავაჭროს გასასაღებლად, და რაკი რუსულ საქონელს უფრო მოკლე და მარჯვე გზა ექნება აზიისაკენ, ფრანგული და ინგლისური საქონელი ცილობას ვერ გაუწევსო... მაშინ ჩვენს ბაქო-ბათუმის რკინის გზასაც უნდა რუსულის საქონლით დატვირთული ვაგონები ზედიზედ ეგზავნა კასპიის ზღვისაკენ სპარსეთსა და შუა აზიაში გასანაწილებლად.

---

104 ე. ტ ი ხ ო ც კ ი, ლასხ. წიგნი, გვ. 11.

მაგრამ... ფრანგები და ინგლისელები ისე მარდად ვაჭრობენ, რომ შეუძლიათ უფრო ნაკლებს სარგებელს დასჯერდნენ... შუააზიისა და სპარსეთისათვის დანიშნული რუსული საქონელი არსადა სჩანს. ის წყეული ევროპიელები საქმეს კიდეც შესდგომიან და თავიანთს სავაჭროს გზებს აფართოებენ, ნავთსაყუდელებს იკეთებენ და უეჭველია მალე ტრაპეზუნიდამ სპარსეთამდე რკინის გზის გაყვანასაც შეუდგებიან. ჯერჯერობით კი აი რას სწერენ ტრაპეზუნიდამ სომხურ გაზეთ „არძაგანკს“: „ტრანზიტის მოსპობის შემდეგ ჩვენი ქალაქი გამოცოცხლდა; ამ საუკუნეში სამჯერ მოხდა ტრანზიტის მოსპობა და გახსნა და სამივეჯერ ჩვენი ქალაქი ან კეთდებოდა, ან ეცემოდა ტრანზიტის შესაფერად. ეხლა აქ ორი კომპანია სდგება თავრიზთან ვაჭრობის გასამართავად: ერთი ფრანგებისა, მეორე სპარსელის მდიდარის ვაჭრებისა. საქონელს ერზერუმზედ უპირებენ გაგზავნას. ოსმალეთის მთავრობა ძალიან ხელს უწყობს ამ ვაჭრობას, ტრაპეზუნდსა და არზრუმს შორის შოსეს შეკეთებას შეუდგნენ. 30.000-მდე ლაზებმა და გათათრებულმა ქართველებმა და სომხებმა იმედი მოიცეს სამუშაოს შოვნისა“[105].

ტრანზიტის აღკვეთას, ცხადია, დიდის სიხარულით შეხვდა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი.

ა. მარკოვი, მოსკოველი დიდვაჭარი, 1884 წ. წერდა, რომ თუ აქამდე თბილისი წარმოადგენდა ვაჭრობის ცენტრს კავკასიაში, ახლა იგი „განიცდის ძლიერ შეფერხებას ვაჭრობაში“; ამის მიზეზი ისიც არის, რომ 1. მხარის დამშვიდების შემდეგ მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია ამიერკავკასიაში დიდი სამხედრო ძალების შენახვა“. ამათი შემცირების შედეგად პირებმა, რომლებიც ეწეოდნენ არმიის მომარაგებას, დაკარგეს იჯარები. ეს განსაკუთრებით დაეტყო თბილისს, სადაც დიდი მთავრის ნამესტნიკის ყოფნის დროს თავმოყრილი იყო დიდძალი ჯარი და თვით დიდი მთავრის რომანოვის მხლებელი მრავალრიცხოვანი არისტოკრატია, 2. ბათუმის პორტოფრანკო შესაძლებლობას იძლევა კერძო პირებმა კონტრაბანდად შემოიტანონ მრავალი საქონელი, რაც გავლენას ახდენს საერთოდ კავკასიისა და კერძოდ თბილისის შინაგან ვაჭრობაზე.

როგორც ჩანს, სპარსეთ-თურქეთის საზღვრებიდან აზიური საქონლის სახით 80-იან წლებში კონტრაბანდად შემოჰქონდათ დიდძალი საქონელი. ა. მარკოვი წერს, რომ ამ დროს ერევანში კონტრაბანდული საქონლის საბითუმო ვაჭრობაც კი წარმოებდა. კონტრაბანდა

---

[105] გაზ. „დროება“, 1883, № 147; იხ. აგრ. № 165.

შემოდიოდა ახალციხიდან, ართვინიდან, ბათუმიდან, ოზურგეთიდან. 1883—1886 წწ. მთავრობამ ეს საზღვრები საგანგებოდ გააბაგრა, რათა აღეკვეთა კონტრაბანდის შემოღწევა. 3. ადრე პროვინციულ ქალაქთა ვაჭრებს საქონელი მიჰქონდათ თბილისიდან. ახლა, გზის გაიაფების, კავშირგაბმულობის გაადვილების შემდეგ ამ ვაჭრებმა უშუალო კავშირი დაიჭირეს რუს და უცხოელ ფაბრიკანტებთან და შორეულ ბაზრებთან, მებითუმე სოვდაგრებთან; 4. ჯანვლილი რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდი ყველაზე ბრწყინვალე ხანა იყო ამერიკავკასიის ვაჭრობაში... ახლა „თბილისში თავისი წარმომადგენლები ჰყავს თითქმის ყველა უცხო ქვეყნის მრეწველობას“. სპარსეთს — 28 ვაჭარი, საფრანგეთს — 17, გერმანიას — 21, თურქეთს — 7, ავსტრიას — 6, ინგლისს — 2, შვეიცარიას, ვირტემბერგსა და ამერიკას—თითო-თითო... და მხოლოდ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესები თბილისში მინდობილი აქვს სომხებს, რამდენადაც პოპოვისა და პერლოვის ფირმები — ჩინური ჩაით რომ ვაჭრობენ და ებრაული ფირმა ალშვანგისა — ავსტრიულ-გერმანული საქონლით, არ შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის წარმომადგენლებად[106].

ასეთ პირობებში კავკასიასა თუ თბილისში რუსული საქონლის კარგად გავრცელებას ხსნიდნენ მარტოოდენ ფართო კრედიტით, რაც გახსნილი აქვს კავკასიელ ვაჭრებს. ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1880 წელს თბილისის კომერციულმა ბანკმა, ურთიერთკრედიტის საზოგადოებამ, სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ და სხვ. კანტორებმა გააკეთეს 15,5 მლნ. მან. თამასუქის დისკონტი[107].

ა. მარკოვი ბრალდებას უყენებს კავკასიის მთავარმართებელს გენ. დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელიც გადაჭრით იცავდა ტრანზიტის საჭიროებას და აუცილებლობას, რომ „ჩემს მიერ შეკრებილი ფაქტიური მონაცემების მიხედვით ჩვენი (რუსი) ვაჭრები ფაქტიურად თითქმის არ არიან უშუალო კავშირში არც ამერიკავკასიასთან და არც სპარსეთთან“. იგი ბრალს სდებს აგრეთვე მ. ვორონცოვს, რომ ისინი და საერთოდ კავკასიის ადმინისტრაცია მფარველობენ აქ სომეხ ვაჭრებს, რითაც ძირს უთხრიან რუსეთის ვაჭრობას[108].

---

[106] А. Марков, Закавказье в торговом отношении (Журн. «Русский вестник», т. 169, 1884, № 1, с. 151—184).

[107] КК на 1882 г., с. 239.

[108] იხ. აგრეთვე, ჟურნ. „«Слово», 1885, № 7, с. 14.

ა. მარკოვი ზეიმობს, რომ უკვე აღკვეთილია რუსეთის მრეწველობის ძირგამომთხრელი ამიერკავკასიის ტრანზიტი და ახლა მოუწოდებს რუს ვაჭრებსა და მრეწველებს, რომ „ყოველივე შესაძლებელი გააკეთონ, რათა განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა ამიერკავკასიის ბაზარზე“[109].

ამიერკავკასიის ტრანზიტის გაუქმების შესახებ ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გაუთავებელი დისკუსია, თითქოს იმით დამთავრდა, რომ ტრანზიტი აღიკვეთა... მაგრამ არა...

ივ. მაჩაბელი გაზ. „დროებაში“ წერდა: „ლასალის გაცხარებულის ბაასის შემდეგ შულცე-დედიჩთან და მის მომხრეებთან, მგონია, მეორედ არასოდეს აღარავის შეუწუხებია იმოდენად არც პოლიტიკური ეკონომია, არც სტატისტიკა და არც საღი ჭკუა, რამდენადაც კავკასიის ტრანზიტზედ ბაასის გამო შეაწუხეს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის მომხრენი, მაგრამ მაინც ევროპის საქონელს საქართველოზედ გზა შეეკრა... „მოსკოვსკიე ვედომოსტიც“ (კატკოვი) თავის გამარჯვებით ვერ დაკმაყოფილდნენ და ეხლა თხოულობენ არამცთუ ევროპულ საქონელს საქართველოზედ ნუ გავატარებთო, ბათომის პორტო-ფრანკოც დავკეტოთ, თორემ თუ ევროპულს გემებს ბათომის ნავთსაყუდელში თავისუფლად შემოსვლის ნება ექნებათ, მთელი კავკასია კონტრაბანდით გაივსებაო“[110].

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვა რუსეთის კაპიტალიზმის მესიტყვეებისათვის ბათუმის პორტო-ფრანკოს აღსასრულსაც მოასწავებდა... მაგრამ ამ მოვლენათა გაშუქება ვაჭრობის ისტორიის შესახებ ჩვენი მონოგრაფიის შემდგომი ნაწილის (1883—1917) თემაა.

1883 წ. ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთა არ იყო რაღაც განცალკევებული მოვლენა. ის კავშირში იყო როგორც ამიერკავკასიის, ისე საერთოდ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური განვითარების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან, რომელთაც საწყისი დაუდვეს დიდ მოსაბრუნს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და კერძოდ, ვაჭრობის პოლიტიკის სფეროში.

---

[109] ა. მ ა რ კ ო ვ ი, დასახ. თხზ., გვ. 179.

[110] გაზ. „დროება“, 1883, № 108, მოწინავე. ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებამ (1886. 7. 23), რასაც ჩვენ მომდევნო მონოგრაფიაში გავაშუქებთ, ფრიად გაანაწყენინა დას. ევროპის მრავალი პოლიტიკური მოღვაწე. იხ. Батум и его окрестности, Батум, 1906; ვ. ს ი ჯ ი ნ ა ვ ა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958; B. S u m n e r, Russian and the Balkans 1877—1888, Oxford, 1937.

რუსეთში საბოლოოდ ბატონდება სამრეწველო კაპიტალი, რომელმაც მთელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიული რეფორმების გატარების, ფინანსურ-საკრედიტო სისტემის მოდერნიზაციის, მატერიალური საზოგადოებრივი წარმოების ყველა მთავარ სფეროში დაქირავებული შრომის სისტემის დამკვიდრების და მსხვილი მანქანური მრეწველობის, მასობრივი წარმოების განვითარების მეოხებით ახალი ძლიერი ძალები აამოძრავა შინაგან (ნაციონალურ) ბაზრებზე საბოლოოდ გაბატონებისა და ახალი საგარეო ბაზრების დაპყრობის ინტერესებისათვის.

ამიერკავკასიაში შავი და კასპიის ზღვების რკინიგზით შეერთების პერიოდში (1867—1883) სამრეწველო რევოლუცია აქ უკვე თავის გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა და, მაშასადამე, ის უკვე უფრო მჭიდროდ უნდა ყოფილიყო ჩართული სრულიად რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების ორომტრიალში. ამ დროიდან როგორც საერთოდ, ისე ვაჭრობის ისტორიაში აქ ახალი ხანა იწყება...

VI. საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობა 1830—1850-იან წლებში

1832 წელს ამიერკავკასიის ვაჭრობა უცხოეთთან ქვემოთ დასახელებულ საბაჟოთა და საყარაულოთა ანგარიშგებებით (ამ პუნქტებში გატარებულ საქონელზე გადახდევინებული საბაჟო საფასურის მიხედვით) შემდეგ სურათს იძლევა (ასიგნაციის ათას მანეთობით)[1].

საბაჟოთა და საყარაულოთა დასახელება	გატანილი საქონელი	შემოტანილი საქონელი
1. თბილისის საბაჟო	1156	927
2. ახალციხის საყარაულო	134	227
3. ბაქოს საბაჟო	2443	1002
4. დერბენტის საყარაულო	1168	40
5. ლენქორანის საყარაულო	15	496
6. ჯევადის „	59	745
7. სალიანის „	325	79
8. ნახჩევანის საბაჟო	—	1369
9. ორდუბათის საყარაულო	164	155
10. ბაშნურაშენის „	—	425
11. რედუტ-ყალეს (ყულევის) საბაჟო	91	21
12. სოხუმის საყარაულო	32	35
13. ერევნის საბაჟო	64	870
14. გუმბრის საყარაულო	202	272
15. აგოღლის საბაჟო	344	1128
ს უ ლ	6197	7790

თავის ადგილას განხილული გვაქვს ამიერკავკასიაში 1821—1831 წწ. შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღკვეთის შედეგე-

[1] АСКАК, VIII, № 87, с. 144.

ბი; იქ ნაჩვენებია, რომ 1832 წლიდან ეს საქონელბრუნვა ერთბაშად დაეცა და საკუთრად რუსეთის ვაჭრობამაც ნავარაუდევ სარფიანობას ვერ მიაღწია. პირიქით. ერთხნობით უფრო დაზარალდა კიდეკაც[2].

1834 წლის მიწურულს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება საგანგებო მოხელეებს ავალებს შეისწავლონ ის ცვლილებები, რაც 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულების გაუქმებამ გამოიწვია და თუ რა ღონისძიებათა გატარება იქნება საჭირო იმისათვის, რათა უფრო ადვილად და იაფად იქნას რუსული ტექსტილური ნაწარმი მიწოდებული ტრაპიზონში, საიდანაც ამიერიდან, ე. ი. ყულევისა და სოხუმის პორტების გზით შემოზიდულ საქონელზე მაღალი, არსებითად ამკრძალავი, ბაჟების დაწესების შემდეგ, ევროპული-ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვ. საქონელი შედიოდა სპარსეთიდან მცირე აზიის ქვეყნებში.

შესაბამის მოვლენებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის საფუძველზე, გრაფი მ. ვორონცოვი იმპერატორისადმი წარდგენილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში წერდა: მცირე აზიის ვაჭრობას განუწყვეტელი და აუცილებელი კავშირი აქვს სპარსეთისა და საერთოდ ამიერკავკასიის ვაჭრობასთან. ამ ვაჭრობას, საზღვაოს გამოკლებით, საერთოდ და უმთავრესად ეწევიან სომხები. სანამ ამიერკავკასიას პორტო-ფრანკოს (ე. ი. შეღავათიანი ტრანზიტის) უფლება ჰქონდა და სანამ, ამგვარად, ღია იყო რედუტ-კალეს (ყულევის) პორტი, ისინი საქონელს იქ აგზავნიდნენ ოდესიდან და შემდეგ თვითონაც საქონელს ყიდულობდნენ ოდესაში, ხოლო მერმე ლაიპციგში. სომეხ ვაჭართა აღალები ბროდის გზით მიდიოდნენ ოდესაში, ხოლო აქედან საქონელი ზღვით იგზავნებოდა რედუტ-კალეში, რათა მერმე თბილისის გზით ჩაეტანათ თავრიზში... ამ გზით ოდესიდან გატანილი საქონლის ღირებულებამ 1828 წელს ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით, მთავრობამ საჭიროდ დაინახა და 1829—1830 წწ. გასცა ზოგიერთი განკარგულება, რომელთა პრაქტიკულად გატარებამ ფრიად შეავიწროვა ტრანზიტული ვაჭრობა ამიერკავკასიაში. ამ გარემოებამ სომეხი ვაჭრები აიძულა, რათა ლაიპციგს შესყიდული საქონელი რედუტ-კალეში გაეგზავნათ ტრიესტის გზით, ხოლო ამით რუსეთმა დაჰკარგა ის სარგებლობა,

---

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, 1949, თბ., ტ. I, გვ. 237—257.

რასაც მოსახლეობა ღებულობდა დიდძალი, სატრანზიტო და ადგილობრივად სარეალიზაციო საქონლის შემოტანის მეოხებით. ამასთანავე დაეცა ოდესის კავშირი სომეხ ვაჭრებთან.

თუ რამდენად მალე აეწყო და აუცილებლობად იქცა შეღავათების პერიოდში საგარეო ვაჭრობის ოპერაციები, ნათლად ჩანს ერთი თავისთავად უბრალო ეპიზოდიდან.

1828 წელს, შეღავათიანი ტრანზიტის პირობებში, რუსეთ-ოსმალეთის ომმა, ბუნებრივია, გამოიწვია ევროპასთან რუსეთისა და ამიერკავკასიის ვაჭრობის შეფერხება, და აი, თბილისელმა ვაჭრებმა თხოვნით მიმართეს ელისავეტგრადში მყოფ იმპერატორს, რათა მათ ნება მისცემოდათ, თურქეთთან ომის შემთხვევის გამო, უცხოური საქონელი ოდესიდან თბილისში წამოეღოთ სახმელეთო გზით, რამდენადაც შავ ზღვაზე ნაოსნობა სახიფათო შეიქმნა.

იმპერატორმა საკითხი განსახილველად გადასცა ფინანსთა მინისტრს: „თუ რაიმე განსაკუთრებული ხასიათის დაბრკოლება არ აღმოჩნდება" დაეკმაყოფილებინა ეს თხოვნა—თანაც, რაც შეიძლება მალე, „რათა მოგებულ იქნას დრო, ურომლისოდ ვაჭრებს შეიძლება დიდი დანაკლისი მოუვიღეთ"[3]. ვაჭრებმა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ერთი ფრანგული ანდაზისა არ იყოს, გულის მოსაგებად ყველაზე გატკეპნილი გზა კუჭზე გაივლის და, ცხადია, ამიტომაც შეძლეს და ადვილად დაუმტკიცეს მინისტრს იმპერატორის სურვილის დაუყოვნებლივი შესრულების მიზანშეწონილობა.

შეღავათების 10 წლიანი ვადის მიწურულისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში საზღვარგარეთელი ვაჭრები და მათი კომერციული ოპერაციები იმდენად გახშირდა, რომ უკვე აუცილებელი ხდება აქ მათი უცხოური ურთიერთდამოკიდებულების კანონმდებლობითი აქტებით მოწესრიგება.

1830 წ. გამოიცა კიდეევაც კანონი „საქართველოში უცხოელთა შორის რუსეთის საზღვრებს გარეთ მათი საავაჭრო ბრუნვებისა და ანგარიშსწორების სადავო საქმეთა განხილვის წესის შესახებ"[4].

1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიაში დაწესებული შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებით, რაც მისი ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე მოხდა, რუსი ფაბრიკანტები ვარაუდობდნენ, რომ აიცილებდნენ უცხოური საქონლის კონკურენციას; რამდენა-

---

[3] II ПСЗРИ, т. III, № 2093, сс. 621—622.

[4] II ПСЗРИ, V, № 3957, с. 75.

დაც თუ რედუტ-კალეს პორტო-ფრანკო მოიხსნებოდა, მაშინ სომეხი ვაჭრები მცირე აზიაში გასატან საქონელს შეიძენდნენ არა ლაიპციგში, არამედ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმარკეზე, როგორც ისინი ამას აკეთებდნენ 1821 წ. ბრძანებულებით შექმნილ ვითარებამდე.

მაგრამ მათი ეს იმედები არ გამართლდა. სომეხი ვაჭრები, რომელთაც ლაიპციგთან კომერციული კავშირის სარფიანობა უკვე იგემეს, როგორც ითქვა, ამიერიდან უკვე არჩევენ სპარსეთის ბაზრებისათვის ევროპული საქონელი წამოიღონ ტრიესტისა და ტრაპიზონის გზით. მალე სულ შეწყდა უცხოური საქონლის ოდესიდან საქართველოში (ყულევში) შემოზიდვა. ხოლო ტრაპიზონი, მიუხედავად მისი პორტის კეთილმოუწყობლობისა, გადაიქცა სპარსეთთან ევროპული ვაჭრობის სასაწყობო ადგილად. უცხოელებმა, განსაკუთრებით ინგლისელებმა, ცხადია, ისარგებლეს ამ შემთხვევით, ხოლო კერძოდ ბრანდტის სავაჭრო სახლმა (ფირმამ) იქამდე გააფართოვა თავისი ბრუნვები, რომ საბოლოოდ დაჯაბნა ყველა თავისი კონკურენტი.

საქმე ისაა, რომ თუ არა მედგარი პროტექციონისტული პოლიტიკა და სხვა წამქეზებელი სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებანი, საერთოდ რუსულ საქონელს, არც ნაკეთობის ღირსების და არც ფასის მიხედვით, ძალა არ შესწევდა კონკურენცია გაეწია დას. ევროპულისათვის, რომელთან შედარებით რუსული, მაგალითად, ტექსტილური ნაწარმი „მასალის ნაკლები გამძლეობის, საღებავების სიმდიდრისა და აზიური გემოვნებისათვის შეუფერებელი ნახატებისა და ფერადოვნების გამო“ ძნელად საღდება. „მაშინ როდესაც გერმანული, ფრანგული და ინგლისური მანუფაქტურული ნაწარმები, განირჩევა მასალის შესაძლებელი ღირსებით, ღია და მტკიცე გაუხუნარი ფერებით, აზიელთა გემოვნების დასაკმაყოფილებლად საგანგებოდ შერჩეული ფერადხატებით..., შეხამებულია რა მათს ჩვეულებებსა და ფუფუნებითობასთან... მათზე ფასებიც უფრო დაბალია, ვინემ ზომიერი და ისინი გამსაღებლებისათვის უფრო მომგებიანია“[5].

თუ აქამდე ფეოდოსიიდან ანატოლია გარდა პურისა, ტყავეულისა, მატყლისა და მარილისა ყოველწლიურად 100.000 ფუთამდე რკინას ღებულობდა, „ახლა ინგლისურმა რკინამ შეავიწროვა რუ-

---

[5] АСКАК, VIII, № 92, с. 158.

სულის რეალიზაცია და ფეოდოსიიდან იგზავნება არა უმეტეს 6—7 ათასი ფუთისა წლიურად".

ამგვარად, შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის გაუქმებამ „ვერ შეუწყო ხელი რუსული წარმოების საქონლის რეალიზაციის გაფართოებას, რადგან მათზე მოთხოვნილება საქართველოში უმნიშვნელოა"[6].

ასეთ ვითარებაში გრაფი ვორონცოვი, 1835 წელს, იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აცხადებდა:

„ადვილი და ფრიად სასარგებლო იქნებოდა, რომ კვლავ ნება მისცემოდა უცხოური საქონლის ტრანზიტს ამიერკავკასიაზე და მის ერთ-ერთ პორტს ჰქონოდა უფლება ყოფილიყო უბაჟო სასაწყობო ადგილი (პორტო-ფრანკო), ხოლო აქ დასახლებულ ვაჭრებს ჰქონოდათ ყოველგვარი შეღავათიო"[7].

გრაფ მ. ვორონცოვის ვარაუდით, შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენით, შესაძლებელი კონტრაბანდისაგან გამოწვეული „ზიანი უმნიშვნელო, ხოლო სარფიანობა კი აურაცხელი იქნებოდა", რამდენადაც: „საქართველო, ღარიბი, თუმცა მრავალი ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოებული ქვეყანა, განახლდებოდა (აღორძინდებოდა); ჩვენთან ურთიერთობას აღადგენდნენ სპარსელები და თურქეთის სომხები, რამდენადაც, ცხადია, შედარებაც კი არ შეიძლება საქართველოსა და ჩვენს სომხეთზე გამავალი კეთილმოწყობილი და სავსებით უსაფრთხო გზისა შავი და მარმარილოს ზღვათა პორტებსა და ირანს შორის არსებული ნახევრად ველური და ფათერაკებით სავსე გზასთანო".

აქ გრაფი ვორონცოვი იხსენებს 1833 და 1834 წლებში ქურთი მეკობრეების მიერ სოვდაგართა ქარავნების გაძარცვის ფაქტებს[8]. შემდეგ აღნიშნავს რედუტ-კალეს (ყულევის) ნავსადგურის გაუმჯობესების და გემთა მიმოსვლის გახშირების, რეგულარობის სარგებლიანობას, რადგან ამ ქვეყანასთან კავშირურთიერთობის გაფართოება „ერთადერთი საშუალებაა დავითანხმოთ სასარგებლო კოლონისტები დასახლდნენ მდიდარ და ამჟამად სავსებით უკაცრიელ სამეგრელოს ველებზე, სადაც მებაღეობის ყოველგვარი დარგისა და

---

[6] ACKAK, VIII, № 88, c. 145—146.

[7] იქვე, გვ. 147.

[8] 1834 წ. ირანის საზღვართან ახლოს ქურთებმა გაძარცვეს ტრაპიზონიდან მიმავალი 1800 საპალნიანი ქარავანი და წაიღეს ნახევარი მილიონი მანეთის სხვადასხვა ევროპული საქონელი (ACKAK, VIII, c. 158).

მიწათმოქმედების პროდუქტთა გარდა, მარტოოდენ ტყეებს შეუძლიათ უხვად მოგვცენ ვაჭრობის საგნებიო"[9].

ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის საკითხი იმ ხნობით რუსეთის კომერციული ცხოვრების დიდმნიშვნელოვან პრობლემად იქცა. როგორც მისი აღდგენა-გაგრძელების, ასევე საბოლოოდ უარყოფის სასარგებლოდ იბრძოდნენ ფრიად ძლიერი ძალები, როგორც ვაჭრობა-მრეწველობის სხვადასხვა დარგის, ასევე, მათთან დაკავშირებული, ადგილობრივი და ცენტრალური უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენლები[10].

შეღავათიანი ტრანზიტის მომხრენი პეტერბურგში ატყობინებენ, რომ შეღავათების აღკვეთის შემდეგ ამიერკავკასიაში ძლიერ დაეცა ვაჭრობა, დიდი ზარალი განიცადა რუსეთ-სპარსეთს შორის გაჩაღებულმა ვაჭრობამ, სასტიკად დაეცა ამ რაიონებში საბაჟო შემოსავალი, ხოლო სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც მოგების მიღების საშუალება წაერთვა, უკვე გადის ამიერკავკასიიდან, საერთოდ რუსეთიდან და, ამგვარად, სახეზეა ქვეყნის გაღარიბების სიმპტომატური მაჩვენებლებიო. მართლაც, მხოლოდ 1834 წელს თბილისიდან ოურქეთში გადაიტანეს თავიანთი კომერციული ოპერაციები და თან დიდძალი თანხები წაიღეს აქედან თბილისელმა მოქალაქეებმა შადინოვმა, ბაბანოსოვმა, ფრიდონოვმა და ამხანაგობამ[11].

თვით გრაფი კისელიოვი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით თბილისში, შეღავთიანი ვაჭრობის სისტემის პირობებში წარმოიშვა რიგი სავაჭრო სახლი, რომლებიც ვაჭრობდნენ არამხოლოდ უცხოური საქონლით, არამედ რუსული მანუფაქტურული ნაკეთობებითაც, რომელთაგან მრავალ რამეს აგზავნიდნენ სპარსეთში. ხოლო „ახლა არამცთუ ეს სავაჭრო ბრუნვები აღარაა, არამედ უკვე თითქმის არ არსებობენ ის სავაჭრო სახლები, რომლებიც დაარსებული იყვნენ და რომელთაც აყვავება დაიწყეს თავისუფალი სისტემის დროს"[12].

ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღდგენის ერთ-ერთი ძლიერი მომხრე იყო ნოვოროსიისკის გენ-გუბ. გრაფი მ. ვორონცოვი, რამდენადაც ამ შეღავათების აღკვეთით

---

[9] АСКАК, VIII, № 89, с. 150.
[10] II ПСЗРИ, XI, 1837, № 8739, с. 1.
[11] АСКАК, VIII, № 93, с. 158.
[12] იქვე, IX, გვ. 183.

ძლიერ დაზარალდა და მნიშვნელოვნად ჩაქრა ოდესის ვაჭრობაც, მისი პორტის ოპერაციები, მაშასადამე, შემოსავალი.

იმპერატორმა მ. ვორონცოვის მოსაზრებები ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენის შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია და ბრძანა: ეს საკითხი „კვლავ შეესწავლათ დიდის გულმოდგინებით". ამ დავალების შესრულება გრაფმა ჩერნიშევმა ისევ ბარონ როზენს დააკისრა. დიდხანს გაჭიანურებული და ვრცელი მიმოწერისა და ახსნა-განმარტებათა შემდეგ, რაშიაც, ასე თუ ისე, სახელმწიფოს თითქმის მთელი ბიუროკრატიული აპარატი იყო ჩაბმული, ფინანსთა მინისტრი გრაფი კანკრინი იძულებული შეიქნა სახელმწიფო საბჭოში წარედგინა ახალი მოსაზრებანი ამიერკავკასიის ტრანზიტის თაობაზე.

ფინანსთა მინისტრი ირწმუნება: 1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულების 1831 წლიდან გაუქმებას ის აზრი ჰქონდა, რომ: 1. მრეწველობის საქონელზე ამიერკავკასიის მოსახლეობის მოთხოვნილება, რაც მანამდე სხვათა მრეწველობის წაქეზების საქმეს ემსახურებოდა, ამიერიდან შიგა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაკეთობით უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული და 2. აუცილებელი იქნებოდა უცხოელთა კონკურენცია სპარსეთს ჩვენი საქონლის გასაღებაში და არა ჩვენი ხაზინის შემოსავლის გადიდება, რომლის შემცირების ფაქტებს აღნიშნავდნენ შეღავათიანი ტრანზიტის დამცველნიო.

ამასთანავე კანკრინი აღნიშნავს: რამდენადაც ინგლისი ეძებს ახალ გზებს სპარსეთისაკენ, ცხადია, ის მაინც გამონახავდა კონსტანტინოპოლისა და სმირნის გზას, ყულევის (რედუტ-კალეს) პორტი კიდევაც რომ დარჩენილიყო მისთვის გახსნილი. საერთოდ ფინანსთა მინისტრი დიდის გულმოდგინებით ცდილობს უარყოს ყველა ის მოსაზრება, რაც მოჰყავთ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის აღდგენის მომხრეებს, უარყოს რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების ინტერესებისათვის, როგორც ის ირწმუნება. თუმცა მის ამ თავგამოდებაში გამოსჭვივის აღმოსავლეთის ვაჭრობაში ინგლისის კონკურენტი კონტინენტური ქვეყნების, კერძოდ გერმანიისა და საფრანგეთის ინტერესებიც.

გრაფი კანკრინი აღნიშნავს სხვა მომენტებსაც, სახელდობრ: იმას, რომ რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ დიდი ხანია რაც დაადგინა, რომ ამიერკავკასიაში მოისპოს რახდარის (რახტარის) სახით არსებული შინაგანი ბაჟები და სხვა გადასახდელები, რაც აბრკოლებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ ამიერკავკასიის

ადგილობრივი ხელისუფლება ამ დადგენილებას დღემდე (1836 წ.) ვერ ატარებს ცხოვრებაში, რადგან „პირი არ უჩანს რახტარის შემოსავალის შემცველელ სხვა წყაროს“, მაშინ როდესაც 1831 წ. ბრძანება მოითხოვდა სავსებით გაუქმებულიყო კერძოდ ის რახტარები მაინც, რომლებიც აიღებოდა შინაგანი ბაჟის სახით[13].

ამ თავისი ფრიად გრძელი მოტივაციის დასასრულს, გრაფი კანკრინი მაინც საჭიროდ ცნობს ამიერკავკასიის ვაჭრობაში ზოგიერთი შეღავათის დაწესებას, სახელდობრ ისეთ საქონელთა შემოტანაზე, რაც ჯერჯერობით ან საერთოდ არ იწარმოება რუსეთში, ანდა იწარმოება და იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ შემოტანილი ევროპული საქონელი მის რეალიზაციას საგრძნობ ზიანს ვერ მიაყენებს[14].

***

ამიერკავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებასა და პეტერბურგს შორის ეს გაჭიანურებული დავა, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ შიგა რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენლები, სანამ თავისი გზით მიდიოდა, აქ, ადგილობრივი კომერციული თაოსნობა, ცხადია, კიდევ სხვადასხვანაირ ცდებში ეძებდა გამოსავალს.

1838 წელს პოლკოვნიკმა არწრუნმა, ტიტ. სოვეტ. აივაზოვმა, საქართველოს აზნაურებმა ლორის-მელიქოვმა, კანჯელოვმა, ხეროდინოვმა და თბილისელმა მოქალაქემ აბესალომოვმა კოლექტიური თხოვნით მიმართეს ფინანსთა მინისტრს, რათა მათთვის ნება დაერთოთ შეედგინათ „სპარსეთთან ვაჭრობის ამხანაგობა“.

მათი მიზანი იყო რუსეთის მოსაზღვრე სპარსეთის პროვინციების მომარაგება რუსეთის მანუფაქტურული, უპირატესად ტექსტილური ნაწარმოებით და იქიდან რუსეთის ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულის შემოტანა. ისინი ამასთანავე ფიქრობდნენ, როგორც ირანიდან შემოტანილი, ასევე ადგილობრივი, ე. ი. ამიერკავკასიური ნედლეულის გადასამუშავებლად, უპირატესად, ცხადია, პირველადი გადამუშავებისათვის, „კასპიის ზღვის ჩვენს სანაპიროებზე, შეძლებისამებრ, აეშენებინათ ფაბრიკები“.

„სპარსეთთან ვაჭრობის ამხანაგობის“ გამგეობა იქნებოდა თბი-

---

[13] АСКАК, VIII, № 97, с. 172.

[14] II ПСЗРИ, XI, отд. I, № 9250, сс. 648—651.

ლისში, ხოლო კანტორები ბაქოსა და სხვ. „ამხანაგობის“ ძირითადი კაპიტალი ნავარაუდევი იყო 2.000.000 მან. ასიგნაციით, რაც პაიების სახით დანაწილდებოდა ზემოხსენებულ პირთა შორის.

ამ „ამხანაგობამ“ გაითვალისწინა ისიც, რომ 1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებით დაწესებული შელავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის 10-წლიანი ვადა, როგორც ყველანი აღიარებდნენ, ძლიერ მოკლე იყო შესამჩნევი ეკონომიკური ეფექტების მიღწევისათვის, რის გამოც ითხოვა, რათა „ამხანაგობის“ ფუნქციონირების ვადა ყოფილიყო 15 წელიწადი, სასურველ შემთხვევაში ამ ვადის შემდგომი გაგრძელების უფლებით.

„ამხანაგობა“ ითხოვდა მიეცათ მისთვის 1000 დესეტინა მიწა კასპიის ზღვის სანაპიროებზე — სხვადასხვაგვარ კოლონიურ (ტროპიკულ) მცენარეთა პლანტაციების გასაშენებლად; იგი აპირებდა აგრეთვე იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე საექსპლოატაციოდ აეღო ბაქოსა და შირვანის ნავთობის ჭები, მარილიანი ტბები და სხვ.

ეს „ამხანაგობა“, მის მიერ წამოყენებული საქმიანობის პროექტში ჩცირეოდენ ცვლილებათა შეტანის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაამტკიცა[15].

2. ხე-ტყის ექსპორტი

1836 წელს გურულმა მემამულეებმა ხელშეკრულება დადეს უცხოელ ვაჭრებთან—სარდინიელ პავლო ბოზოსა და ინგლისელ მართან, რათა მიეწოდებინათ 40.000 მანეთის მუხის მორები[16].

უკვე ექვსი წლის შემდეგ, 1842 წ. 11 იანვარს გრაფ მ. ვორონცოვისადმი მიმართვაში გენ. გოლოვინი წერდა: „ეს გარემოება ამტკიცებს, ერთი მხრით, პირველი შეხედვითაც თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ვაჭრობისათვის მხარის ამ ნაწარმოებს, ხოლო, მეორე მხრით, რომ გურულებისათვის მათს ახლანდელ ნახევრადველურ მდგომარეობაშიც უცხო არაა ვაჭრობისადმი, თვით იჯარაჩაბარებისადმი მიდრეკილება. ამ დაკვირვებებზეა დაფუძნებული ჩემი წინადადება, რომ დაარსდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ვაჭრობის კომპანია, რომლის საგანი იქნება უპირატესად მაქნისი ჭერქნის, სამშენებლო და საშეშე ტყის გატანა“[17].

---

[15] ACKAK, IX, № 37, c. 52.

[16] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения. 1950, II, с. 436.

[17] ACKAK, IX, № 166, c. 58—59; № 67, c. 60—61.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეტყობა, „ნახევრადველურმა“ გურულებმა ხსენებულ საქმეს თავი მშვენივრად გაართვეს. — „...ნახევრადვაჭარ, ნახევრადბრძენ, ნახევრადუმეცარ და ნახევრადარამზადა“ გრაფ მ. ვორონცოვსა და ცარიზმის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც, გასაგებ მოსაზრებათა გამო, იმთავითვე საჭიროდ მიაჩნდათ ხსენებული კომპანიისათვის რიგი პრივილეგიის მინიჭება.

1835 წელს რუსეთის გენერალური კონსული ალექსანდრიაში, პოლკ. დიუგამელი ბარონ როზენს ატყობინებდა, რომ მას ლევოვისაგან გაუგია სამეგრელოში ტყეების სიუხვისა და აქედან ტყის ექსპორტის მეოხებით შესაძლებელი სარფიანობის შესახებ. ამ ცნობის შესაბამისად ალექსანდრიელ გენერალურ კონსულს მოლაპარაკება უწარმოებია ეგვიპტის ფაშა მაჰმედ-ალისთან, რომელმაც, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ყველა ზემოხსენებულზე უკეთ იცოდა ამ ტყეებისა და საერთოდ საქართველოს ამბები (ცხადია, მასთან ახლოს მყოფი ეგვიპტელი ქართველებისაგან).

ეგვიპტეში საერთოდ იგრძნობოდა სამშენებლო ხე-ტყეზე დიდი მოთხოვნა, ხოლო ამ დროს მით უფრო საჭირო იყო ის, რომ, როგორც გენარალური კონსული იტყობინებოდა, ეგვიპტის ფაშამ წამოიწყო დიდი ჰიდრავლიკური სამუშაოები. და აი მაჰმედ-ალიმ ერთ-ერთ ოდესელ ვაჭარს დაავალა სამეგრელოში შეესყიდა ხე-ტყე და გადაეგზავნა ის ალექსანდრიაში[18].

1835 წ. 10 ივლისს ბარონ როზენი ტაინი სოვეტნიკ სენატორ კ. როდოფინიკინს ატყობინებს, რომ ამიერკავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიუგამელს აცნობა, რომ აქ უკვე გაცემულია სათანადო განკარგულება, რათა ხსენებულ ოდესელ ვაჭარს დაუბრკოლებლად შეეძლოს მაჰმედ-ალისათვის სამშენებლო ხე-ტყის, სასურველი რაოდენობით, შეძენა სამეგრელოში.

მაგრამ აქ მალე თავი იჩინა საგარეო პოლიტიკის ერთმა გაუთვალისწინებელმა მომენტმა. მოჰამედ-ალი მტრულ დამოკიდებულებაში იყო სულთანთან. ხოლო ეგვიპტის ფაშას აქედან მიღებული ხე-ტყე შეეძლო გამოეყენებინა არა მხოლოდ ჰიდრავლიკური სამუშაოებისათვის, არამედ სამხედრო ხომალდების შესაკეთებლად და თვით ახალი ხომალდების ასაშენებლადაც. ამიტომაც ასეთი საშუალებების (მასალათა) მისთვის მიწოდების საკითხის დადებითად გადაჭრისათვის საჭირო იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს

---

[18] АСКАК, VIII, № 305, с. 437.

დასტური, რადგან ხომ შეიძლებოდა ამ ასპექტში მომხდარიყო რაიმე საწყენი აქცია სულთნისათვის, რომელიც რუსეთთან ამ ხანებში კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ამყღავნებდა.

მაგრამ, ამას გარდა, ბარონ როზენს ეჩვენებოდა, რომ სამეგრელოსა და აბხაზეთის სამშენებლო ხე-ტყის ეგვიპტეში გასაღება განსაკუთრებით დიდ სარგებლობას არ მოუტანდა რუსეთის ვაჭრობას. ამავე დროს ამ საექსპორტო ოპერაციებს აუცილებლად მოჰყვებოდა ამ ადგილებში გაჩეხვა და მოსპობა ტყეებისა, რაც „დროთა მსვლელობაში ჩვენ თვითონ შეიძლება დაგვჭირდეს, თუ არა შავ ზღვაზე სამხედრო ნაგებობათა, მაშინ სავაჭრო საზღვაო გემების აშენებისათვის მაინც.“[19]

ამას გარდა, ბარონ როზენი კ. როდოფინიკინს სწერდა, რომ სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა, რომელიც მოწადინებულია „გაავრცელოს თავის ქვეშევრდომ მეგრელთა შორის ზოგიერთი განათლება და წაახალისოს ისინი ვაჭრობაში, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, უკვე ააშენა თავისი ხე-ტყით სავაჭრო ხომალდი, რამაც გასული წლიდან უკვე რამდენიმე რეისი გააკეთა ოდესასა და სამეგრელოს შორის. იგი აშენებს აგრეთვე მეორე ასეთსავე ხომალდს. ამიტომაც, სამეგრელოში სავაჭრო გემების ასეთი მშენებლობის ვარაუდებისას, მე ვფიქრობ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ არ დაგვეშვა ეგვიპტის ფაშა, ხოლო მას შემდეგ შესაძლებელია სხვებიც, რომ არ გაანადგურონ სამეგრელოს ტყეები“.

ბარონ როზენი რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელს სთხოვს ყოველივე ეს მოახსენონ თვით იმპერატორს და მერმე შეატყობინონ მას უკანასკნელის განზრახვა: ნება დართოს შავი ზღვის აბხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროებიდან გემთსამშენებლო ხე-ტყის ეგვიპტეში გატანას, თუ აკრძალოს იგი[20].

იმავე 1835 წ. 6 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბარონ როზენს სწერს, რომ უკვე მოახსენეს იმპერატორს მისი ზემოხსენებული მიმართვის შინაარსი. ხოლო იმპერატორმა გამოთქვა თავისი მოსაზრებანი: 1. სამეგრელოს ტყეების განვრცობილობა სასურველს ხდის შემცირდეს მისი სიდიდე და მიწები გადაიქცეს სამოსახლო ადგილებად. ასევე სასურველია ძველი ტყეები საჩქაროდ იქნას მოხმარებული, რათა ახალ ტყეს გაზრდის საშუალება მიეცეს. უამისოდ დარჩენილი ძველი ტყე ლპობას განიცდის და უსარ-

---

[19] АСКАК. VIII, № 306, с. 438.

[20] იქვე.

გებლო ხდება; 2. ის გარემოება, რომ სამიმოსვლო წყლების მახლობლად ან სულ არ არის, ანდა ფრიად მცირეა ვარგისი სამშენებლო ტყე და დანარჩენი კი თითქმის სულ დაძველებულია, ხოლო ვარგისი ტყე სანაპიროებიდან შორსაა, ცხადია, მისი მოკრა და სანაპიროებამდე გადაზიდვა გზას გაუხსნის მოსახლეობისათვის სასარგებლო მეწარმეობას, და 3. რომ ჩვენგან უკვე ნებადართულია იმ მხარეებში ყველა უცხოელმა აშენოს ხომალდები და თავის ქვეყანაში გაგზავნოს ისინი.

ამგვარად, ეგვიპტის ფაშისათვის ტყის შესყიდვის აკრძალვა, ცხადია, მიიღებს საკუთრად მის წინააღმდეგ მტრული მოქმედების ხასიათს, მაშინ როდესაც ჩვენი ურთიერთობა მასთან, როგორც პორტას (სულთნის) ქვეშევრდომ ფაშასთან, ფრიად კეთილგანწყობილი ხასიათისაა.

ყოველივე ამის გამო იმპერატორმა ცნო, რომ უფრო სასარგებლო იქნება, ვინემ საზიანო, რომ ეგვიპტის ფაშას ნება დაერთოს შეისყიდოს ხე-ტყე სამეგრელოში, ოღონდ ეს უნდა მოხდეს ვაჭრების მეშვეობით, რათა ისე ჩანდეს, რომ უფროსობას (ხელისუფლებას) ამ საქმეში არავითარი პირდაპირი მონაწილეობა არა აქვს, და უყურებს მას უბრალოდ, როგორც მოსახლეობის საკერძო მესარეწეობას.

ამასთანავე კ. როდოფინიკინი ბარონ როზენს სწერს, რომ ხსენებულ მოსაზრებათა საფუძველზე, იმპერატორმა ხე-ტყის სამეგრელოდან ექსპორტის ნებართვა თუ აკრძალვა, ადგილობრივი პიროებების შესაბამისად, მთლიანად მიანდო თქვენს კეთილგონივრულ შეხედულებას[21].

1835 წ. 3 სექტემბრის თარიღით მიმართვაში სენატორი კ. როდოფინიკინი კიდევ ატყობინებს ბარონ როზენს, რომ ეგვიპტის ფაშის თხოვნის შესახებ თურმე რუსეთის ალექსანდრიელ გენერალურ კონსულს მიუმართავს აგრეთვე რუსეთის სტამბოლელი ელჩისთვისაც. ხოლო ახლა გენ. კონსული დიუგამელი ამავე საქმის შესახებ იტყობინება,რომ ფაშა დაბეჯითებით თხოულობს გაგებას: არის თუ არა რუსეთიდან მისთვის ხე-ტყის გაზიდვის შესაძლებლობა. ამასთანავე დიუგამელი იტყობინება, რომ მისი აზრით არ უნდა დაბრკოლდეს ეს საქმე, და მით უფრო, რომ ეგვიპტის მთავრობას შეუძლია ყოველთვის იყიდოს საჭირო რაოდენობით ხე-ტყე ადრიატიკის ზღვის სანაპიროებზე, თუმცა რამდენადმე ძვირად. ამას გარდა სამშენებლო ტყე ეგვიპტესთან ჩვენი ვაჭრობის ერთადერთი

[21] АСКАК, VIII, № 306, с. 438.

საგანია, რის გამოც ჩვენ უნდა ვაქეზებდეთ კიდევაც მის ექსპორტს[22].

ყოველივე ამის შემდეგ, როგორც იქნა, ბარონ როზენის კეთილგონიერებაში შეაღწია ნათელმა და, იმავე წლის 4 ოქტომბერს, მან ლევან დადიანს შეატყობინა სამეგრელოდან ხე-ტყის ექსპორტის ნავარაუდევი ოპერაციების შესახებ.

1835 წლის 21 ოქტომბრის თარიღით გაგზავნილ ბარათში სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ბარონ როზენს სწერს: თანახმად თქვენი წინადადებებისა მე მზად ვარ ხე-ტყე გავყიდო საზღვარგარეთაც, „რადგან ამაში მდგომარეობს სამეგრელოს სარგებლიანობაო“ და, მერმე, თხოულობს საჭირო მითითებებს „თუ როგორ უნდა მოვიქცე მე ამ გაყიდვის დროს“[23].

1836 წლიდან უკვე დაიწყო, როგორც სამეგრელოში, ასევე გურიასა და აბხაზეთში ხე-ტყის საექსპორტო ოპერაციები[24], რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით[25] კარგა ხანს გრძელდებოდა, სანამ 1860-იანი წლებისათვის, ამას, მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად, არ მოჰყვა ამ ტყეების უდიდესი ნაწილის... განადგურება.

მაგრამ დას. საქართველოდან ხე-ტყე დიდი ზომით გაიტანებოდა შავი ზღვის რუსეთის პორტებშიც. 1847 წ. მაისს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი გენ. ჩერნიშევი კავკასიის ნამესტნიკს მ. ვორონცოვს ატყობინებს, რომ მისი, ვორონცოვის, წარდგინებით იმპერატორმა ბრძანა რომ:

1. გურიიდან, ნიკოლოზის პორტიდან, კაკლის ხის რუსეთის შინაგან პორტებში გატანაზე საბაჟო საფასური ერთ ფუთ კაკლის ხეზე დაწესდეს 2,5 კაპ, და რომ ეს ფული მოხმარდეს ოზურგეთიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრემდე (შეკვეთილამდე) გზის გაყვანასა და შეკეთებას;

2. სამეგრელოდან და აბხაზეთიდან კაკლის ხის გატანა შეიძლება როგორც საზღვარგარეთ, ასევე რუსეთის შინაგან პორტებში, მაგრამ სუხუმ-კალესა და რედუტ-კალეს საკარანტინო-საბაჟო სამმართველომ ამ ხის გატანისას აკრიბოს საბაჟო საფასური: რუსეთის პორტებში გასატან ყოველ ფუთზე 2, 5 კაპ; ხოლო საზღვარგარეთ საექსპორტოზე — 5 კაპ. და ეს ფულები მოხმარდეს რედუტ-კალესა და სუხუმ-კალეს შორის მშენებარე გზის მოვლა-პატრონობას;

---

[22] АСКАК, VIII, № 307, с. 438.

[23] АСКАК, VIII, № 308, с. 439.

[24] П. Гугушвили, СХАО, II, с. 436.

[25] ПСЗРИ, 1838, СПБ, т. XII, № 9854.

3. კაკლის ხის გატანაზე დაწესებული ხსენებული საბაჟო საფასური აიღებოდეს ხე-ტყის გამგზავნისაგან[26].

1851 წ. შედგენილი ცნობის მიხედვით ამიერკავკასიიდან რუსეთის შინაგან პორტებში გაიტანეს კაკლის ხე, ფუთობით:[27]

	1848 წ.	1849 წ.	1850 წ.
რედუტ-კალეს პორტიდან	20.778	42.266	5.124
წმ. ნიკოლოზის პორტიდან	99.252	128.369	23.756

დას. საქართველოდან ხე-ტყის გატანის ოპერაციები სულ უფრო ფართოვდებოდა. ფისკის ინტერესების დამცველნი კი ყოველთვის სახაზინო შემოსავლის გადიდებაზე ფიქრობდნენ და, აი, რაკი, კერძოდ, ბზის ექსპორტმაც მასობრივი ხასიათი მიიღო, ფინანსთა მინისტრის წინადადებით 1852 წლიდან, დადგენილების თანახმად, ბზის გატანაზედაც, ანალოგიურად კაკლის ხის გატანაზე არსებული ბაჟისა, დაწესდა საფასური: ყულევისა და შეკვეთილის ნავსადგურებიდან — 10 კაპ. ერთ ფუთზე, ხოლო სოხუმიდან და ოჩემჩირედან, თუ რუსეთის პორტებში მიჰქონდათ — 2,5 კაპ. და თუ საზღვარგარეთ გაჰქონდათ — 5 კაპ.

ახლა, ასეთი დადგენილების მიღების შემდეგ, მ. ვორონცოვს, რომლის სურვილი იყო ბზის გატანაზე საერთოდ არ დაეწესებინათ საბაჟო საფასური, ისღა დარჩენოდა, რომ იშუამდგომლოს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე, რათა უკანასკნელმა იმპერატორისაგან გამოითხოვოს ნებართვა: მსგავსად კაკლის ხის გატანაზე აღებული ბაჟისა, ბზის ექსპორტიდან მიღებული საბაჟო საფასურიც გამოეყენებინათ დას. საქართველოში გზების კეთილმოწყობაზე[28].

ამ ხანებში შავი ზღვის ამიერკავკასიის პორტებიდან გაიტანეს ბზა (ფუთობით)[29]

	1848 წ.	1849 წ.	1850 წ.	1851 წ.
რედუტ-კალედან	10.000	14.201	30.500	30.500
წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის) პორტიდან	5.350	13.000	84.400	75.725
სუხუმ-კალედან	46.592	16.480	32.288	24.825
ოჩემჩირედან	8.630	—	20.500	40.000

---

[26] АСКАК, X, № 222, 217.

[27] იქვე, № 209, გვ. 207.

[28] იქვე, № 214, გვ. 208.

[29] აღსანიშნავია, რომ კოლხეთიდან ხომალდების საშენი ხე-ტყე გაჰქონდათ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში (იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, ტფ., გვ. 42).

... და ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ევლია ჩელების (1640—1647) აღწერილი აქვს უფრო სამხრეთით, მდ. ჭოროხის შესართავთან „გუმრუქად (საბაჟო) წოდებუ-

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას შეკვეთილის შესახებ.

ყირიმის ომის დროს მტერმა დალაშქრა და გადასწვა, როგორც შეკვეთილი ასევე ყულევიც. ნიკოლოზ I საგანგებოდ მოახსენეს, რომ „ბაშიბუზუკებმა“ წმ. ნიკოლოზის ფორტის მთელი გარნიზონი ამოხოცეს*... 1853 წ. დეკემბრის ბოლოს ფრ. ენგელსი წერდა: „საქართველოს საზღვრებზე თურქეთის შეტევითი მოძრაობა რამდენიმე ხნის წინათ შეჩერებულ იქნა. თურქების მიერ შეფკეტილის (შეკვეთილის — პ. გ.) ანუ წმ. ნიკოლოზის ფორტის დაკავების შემდეგ, მათ არ აუღიათ არც ერთი პუნქტი, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა ქონდეს“**... შეკვეთილის მცირე ციხე-სიმაგრე მდებარეობდა იმ დროს თურქეთისა და რუსეთის საზღვარზე; აქვე მდ. ნატანების შესართავიდან, ზემოთკენ გაყოლებით გადიოდა გურიისა და აჭარის საზღვარი.

ეს მიდამოები დავათვალიერე 1977 წ. 26 ნოემბერს: მდ. ნატანებისა და ჩოლოქის შესართავის ჩრდილოეთით სანაპიროს საკმაოდ გრძელი ზოლი 1930-იან წლებამდე მთლიანად უკაცრიელი საყანეები და ტყე-ბუჩქები ყოფილა. ზღვის ამ სანაპირო ზოლზე დასახლებულან დონიდან (სალსკის ოკრუგის მეჩეტინის რაიონის სტანიცა იაგორლიცკიდან, ს. პოკროვსკოედან) გადმოხვეწილი გლეხები, რომლებიც, როგორც თვითონ აცხადებენ. ფოთამდე ჩამოსულან მატარებლით ეშელონებად. ერთი ხანი დარჩენილან ფოთის შემოგარენში, ხოლო მერმე ერთ-ერთი მათგანის (მეთევზის) რჩევით აქ გადმოსახლებულან. ესენი არიან სტაროვერები. წამოსულან თავიანთი შინაური პირუტყვითა და საოჯახო ნივთებით, რის წამოღებაც მოახერხეს. ახლა 75 კომლამდე არიან... მაშინ მეტი ყოფილან, მაგრამ... ვინ საითკენ... გაბნეულან... ომში

ლი ადგილი“. იგი აცხადებს: „ლაზების ბევრ ნავს ამ მდინარის აღმა, აღმოსაელეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიაქვს მარილი, რკინეული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი. მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლის სანთელზე, ტყვე გოგონებსა და ბიჭებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ...“ ამ მიდამოებში „მთები მთლიანად ბზის ტყითაა დაფარული. დასახლებული და კეთილნაშენი, კაკლის ხეებიანი და ბაღებიანი სოფლებია... ამის შემდეგ სამეგრელოს ქვეყანაში სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი დავათვალიერეთ და ისევ გონიოს ციხეში მოვხვედითო“ (ევლია ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობის წიგნი, თბ., 1971, I, გვ. 94—104).

* E. Т а р л е, Соч., т. IX, с. 476.

** К. М а р к с, Ф. Э н г е л ь с, Соч., т. 9, с. 572, 409.

დახოცილან... დაახლოებით, 1950 წ. შეკვეთილში დონიდან ჩამოსულა სტაროვერების კიდევ ერთი მოზრდილი ჯგუფი.

ახლა ს. შეკვეთილში ძველ ნაგებობათა ნაშთები არ ჩანს. ერთი მოსახლის ეზოში არის ამაღლებული ადგილი, სადაც შეიმჩნევა ჩანგრეულ-ჩაშლილი ქვითკირის საძირკველი. გვითხრეს: „წმ. ნიკოლოზის საყარაულო აქ ყოფილაო". ზემოთკენ ჩაუდის პატარა მდინარე (ღელე), რომელსაც სტაროვერები „წმ. ნიკოლოზის რუს" ეძახიან. სოფელი ზღვის მხარეს მიმავალი გზის გასწვრივაა დასახლებული, საიდანაც აქ, ამ რუმდე 150-200 მეტრია. ჩრდილოეთით ნახევარი კილომეტრის იქით არის კიდევ ერთი უფრო დიდი მაღლობი, სადაც ახლა, 1968 წლიდან თავისი ექსპერიმენტული ბაზით განლაგებულია სსრკ მეტეოროლოგიის ინსტიტუტის კოლხეთის კლიმატური გამოცდების მეცნიერულ-კვლევითი ცენტრი, სადაც 80-მდე კაცი მუშაობს. ამ ცენტრის მუშაკები, კერძოდ უფროსი ვაჟა რუსეიშვილი ფიქრობს, რომ შეკვეთილის (წმ. ნიკოლოზის) ფორტი სწორედ ამ მაღლობზე უნდა ყოფილიყო. აქ ახალ ნაგებობათა აშენებისას, სამწუხაროდ, არქეოლოგიური დაკვირვება არ უწარმოებიათ. სტაროვერებას (ისინი თავიანთ ვინაობას ახლაც ასე ასახელებენ) სოფელი შეკვეთილი, იმავე გზის გაყოლებით, ამ ცენტრის იქითაც გრძელდება.

3. საგარეო ვაჭრობის ბრუნვები და საბნები

პოზენის მიერ 1845 წ. 15 დეკემბერს კავკასიის კომიტეტისათვის მოხსენებული ცნობების მიხედვით, შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის აღკვეთის დროიდან, ე. ი. 1832 წლიდან მოყოლებული 1841 წ. ჩათვლით, ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულება უდრიდა 26.639.560 მან. ხოლო იმავე პერიოდში აქედან გატანილი საქონლისა — 8. 146.896 მან. ვერცხ.

ამგვარად, ამ ხანებში საშუალოწლიური იმპორტი შეადგენდა 2.663.000 მან., ხოლო ექსპორტი — 814.000 მან. მაშასადამე, შეღავათიანი ვაჭრობის პერიოდთან შედარებით საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვები, მართალია, გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა დაეტყო მხოლოდ იმპორტს, ხოლო რაც შეეხება საექსპორტო ვაჭრობას,

იგი თითქმის ძველებურ დონეზე დარჩა. როგორც ცნობილია, შეღავათების პერიოდში ამიერკავკასიის გზებით, ზოგიერთ წელს გატანილი (პლუს სატრანზიტო ვაჭრობა) საქონლის ღირებულება 1 მლნ. მან აღწევდა, თანაც შეღავათების აღკვეთის შემდეგ ამ ოპერაციების ღირებულების საერთო ჯამს არც ერთხელ არ გადაუჭარბებია 1 მლნ მანეთისათვის, ხოლო ზოგიერთ წელს კიდევ 0,5 მლნ მან. არ მიუღწევია[30].

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები საკმაოდ დეტალურად წარმოგვიდგენენ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ოპერაციებს 1832 — 1844 წწ.

რა თქმა უნდა, როგორც ადრე უკვე გექონდა საუბარი[31], ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები გამოხატავს არა მხოლოდ საკუთრად ამიერკავკასიის ნაწარმოებთა გატანისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარებისათვის შემოტანილი საქონლის ბრუნვებს, არამედ, და დიდი ზომითაც, სატრანზიტო ოპერაციებს.

საქმე ისაა, რომ იმპერიის ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიური ორგანო, «Виды внешней торговли», საიდანაც ამოკრებილია ქვემოთ მოყვანილი ცნობები რუსეთის საგარეო ვაჭრობის ოპერაციების შესახებ, მონაცემებს აქვეყნებდა საბაჟოებისა და საკარანტინოებისაგან მიღებული ცნობების შესაბამისად. ამავე დროს ეს უკანასკნელნი 1840-იანი წლების დასაწყისშიც ძირითადად მე-18 ს. ბოლოს ჩამოყალიბებული კავკასიის საკორდონო ლინიის სამხედრო გამგებლობის ყაიდაზე იყვნენ ორგანიზებული. ასე რომ, რუსული მრეწველობის საქონელი (რკინა, ტექსტილი და სხვა), რაც კასპიის ზღვით ირანში გაიტანებოდა, აღირიცხებოდა როგორც კავკასიის (ამიერკავკასიის) საგარეო ვაჭრობის ოპერაცია, ხოლო ეს ოპერაცია, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენდა საერთოდ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვების უდიდეს ნაწილს[32].

კასპიის ზღვის ნავსადგურთა სავაჭრო ოპერაციებიდან გამოყოფილ ამიერკავკასიაში შედიოდა ირან-თურქეთის სახმელეთო საზღვრებისა და შავი ზღვის ნავსადგურების გზით წარმოებული საგარეო ვაჭრობის ბრუნვები.

---

[30] ЛОЦИА, ф. КК, 1845, д. № 134, р. IV, лл. 412—414.

[31] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, 1949, თბ., ტ. I, გვ. 135—258.

[32] ЛОЦИА, ф. КК, д. № 134, ч. IV, сс. 406—411.

საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით, 1830 წელს გამოიცა ბრძანება, რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან მონეტის (უმთავრესად ვერცხლისა და ოქროს ფულის) თავისუფლად, უბაჟოდ, გატანის შესახებ. თავდაპირველად მონეტის ექსპორტი უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა, მაგრამ რაკი ბაჟისაგან თავისუფალი იყო, თავი იჩინა ამ ოპერაციის გაუთვალისწინებელმა სარფიანობამ. საქმე ისაა, რომ აზიაში, მაგალითად, თურქეთში მიმოქცევაში იყო უფრო ნაკლები სინჯის ვერცხლისა და ოქროს მონეტები... და, აი, 1835 წლიდან დაიწყო მონეტის გატანის სწრაფი ზრდა.

ცხრილი 1

ამერიკავკასიის საგარეო ვაჭრობა (ათას მანეთობით) 1832—1844 წწ.[33]

წლები	I—ექსპორტი			
	სურსათ-სანოვაგე	სამრეწველო ნედლეული და ნახევარფაბ.	მრეწვ. საქონელი (ნაკეთობ.)	სხვადასხვა საქონელი
1832	514	399	4353	316
1833	792	640	4200	367
1834	624	756	3538	457
1835	714	700	4243	409
1836	758	414	5676	414
1837	1440	602	5891	442
1838	1388	1208	6299	442
1839	1206	1437	6350	553
1840	1640	1016	7079	696
1841	987	1154	6597	628
1842	1443	1477	7290	772
1843	1509	1230	6782	680
1844	1375	1142	6720	780
1840[34]	469	299	2023	199
1841	282	330	1885	180
1842	412	422	2083	221
1843	431	351	1938	194
1844	393	326	1936	223

[33] ЛОЦИА, ф. КК, д. № 134, ч. IV, лл. 416—417.

[34] ამ და ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მონაცემები 1840 წლამდე ნაჩვენებია ასიგნაციის მანეთობით. 1840 წლიდან ანგარიში მიდიოდა ვერცხლის მანეთობით (რუსული ფულის აქ გავრცელების, კერძოდ ასიგნაციებისა და ვერცხლის მანეთების კურსის ურთიერთშედარების შესახებ იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 91—106). ცხრილებში ზემოთ, შედარების სიადვილისათვის, 1840—1844 წწ. სავაჭრო ბრუნვებიც გადაყვანილია ასიგნაციებზე. ქვემოთ იგივე მონაცემები, იმავე წლებისა, ნაჩვენებია ვერცხლის მანეთობით.

ცხრილი 2

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა (ათას მანეთობით) 1832—1844 წწ.

წლები	II—ექსპორტი			
	სურსათ-სანოვაგე	სამრეწველო ნედლეული და ნახევარფაბ-რიკატები	მრეწველობის საქონელი (ნაკეთობანი)	სხვადასხვა საქონელი
1832	141	621	1169	15
1833	248	547	966	26
1834	139	637	665	71
1835	248	961	808	164
1836	257	770	712	229
1837	206	1019	1249	424
1838	195	1069	1003	280
1849	259	1062	620	111
1840	355	1442	639	63
1841	850	1608	445	85
1842	667	1090	382	102
1843	344	895	410	179
1844	284	1524	318	270
1840	101	412	182	189
1841	243	459	127	24
1842	191	312	109	29
1843	98	256	117	51
1844	81	435	91	80

ცხრილი 3

კასპიის ზღვით და ამიერკავკასიიდან უცხოეთში გატანილი საქონელი (ათას მანეთობით). 1832—1844 წწ.

წლები	I სამრეწველო ნედლეული			
	მეტალები		ტყავეული და სამოვე	
	კასპიის ზღვით	ამიერკავ-კასიიდან	კასპიის ზღვით	ამიერკავკა-სიიდან
1832	274	17	122	35
1833	442	1	86	278
1834	966	4	61	217
1835	1155	47	45	334
1836	966	2	58	325
1837	1133	10	8	364
1838	1069	2	64	474
1839	633	3	373	113
1840	765	19	78	453
1841	345	6	92	161
1842	963	2	47	228

წლები	I სამრეწველო ნედლეული			
	მეტალები		ტყავეული და სამოგვე	
	კასპიის ზღვით	ამიერკავ-კასიიდან	კასპიის ზღვით	ამიერკავ-კასიიდან
1843	1035	—	58	181
1844	907	2	51	232
1840	219	5	22	130
1841	99	2	26	460
1842	275	1	13	65
1843	296	—	16	52
1844	259	1	15	66

ცხრილი 4

კასპიის ზღვის ნავსადგურებიდან და ამიერკავკასიიდან უცხოეთში გატანილი უმთავრესი საქონელი (ათას მანეთობით) 1832—1844 წწ.[35]

წლები	II მრეწველობის (მანუფაქტ.) ნაკეთობანი			
	ბამბაქსოვილი		რუსეთის ფაბრიკების მაუდი	
	კასპიის ზღვით	ამიერკავ-კასიიდან	კასპიის ზღვით	ამიერკავკა-სიიდან
1832	558	888	37	38
1833	447	765	46	23
1834	141	450	41	33
1835	350	516	48	87
1836	377	492	9	43
1837	271	835	59	27
1838	171	425	54	53
1839	181	255	82	49
1840	138	271	46	8
1841	117	89	66	25
1842	31	81	101	5
1843	61	136	75	27
1844	90	43	95	6
1840	40	78	13	2
1841	33	26	19	7
1842	9	23	29	1
1843	18	39	21	8
1844	26	12	27	2

წლები	II მრეწველობის (მანუფაქტ.) ნაკეთობანი			
	ტილო და თეთრი ნარმა		მეტალის ნაკეთობანი	
	კასპიის ზღვით	ამიერკავკასიიდან	კასპიის ზღვით	ამიერკავკასიიდან
1832	19	41	80	59
1833	14	15	130	41
1834	54	12	162	42
1835	51	16	209	43
1836	24	36	43	162
1837	36	27	142	131
1838	42	48	127	138
1839	46	61	102	64
1840	57	58	79	95
1841	38	62	115	55
1842	80	40	169	74
1843	60	20	112	45
1844	31	13	144	73
1840	16	17	23	27
1841	11	18	33	16
1842	23	11	48	.21
1843	17	6	32	13
1844	9	47	48	21

ცხრილი 5

ამიერკავკასიაში კასპიის ზღვით და უცხოეთიდან შემოტანილი უმთავრესი საქონელი (ათას მანეთობით). 1832—1844 წწ.[38]

წლები	I ნედლეული და ნახევარფაბრიკატი					
	ბამბა და ბამბის ნართი		აბრეშუმი		სალებავები	
	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან
1832	36	10	247	191	5	52
1833	630	1	656	330	9	26
1834	303	77	834	313	4	51
1835	317	23	828	268	3	67
1836	512	10	975	120	6	139
1837	559	12	333	249	13	128

[38] ЛОЦИА, ф. КК, д. 134, ч. IV, лл., 418—420.

[38] იქვე, ფურც. 421—422.

წლები	I ნედლეული და ნახევარფაბრიკატი					
	ბამბა და ბამბის ნართი		აბრეშუმი		საღებავები	
	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან
1838	312	4	747	676	16	103
1839	278	9	648	632	19	107
1840	410	7	589	578	15	155
1841	487	23	333	480	21	289
1842	282	21	466	907	20	264
1843	309	11	517	693	33	121
1844	288	3	132	500	46	331
1840	117	2	168	165	4	44
1841	139	6	95	138	61	83
1842	81	6	133	259	67	81
1843	88	3	148	198	9	35
1844	83	1	38	143	13	95

ცხრილი 6

ამიერკავკასიაში კასპიის ზღვის ნავსადგურებიდან და უცხოეთიდან შემოტანილი უმთავრესი საქონელი (ათას მანეთობით) 1832—1844 წწ. [37]

წლები	II მრეწველობის საქონელი			
	ბამბაქსოვილი		აბრეშუმი:	
	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან	კასპიის ზღვით	უცხოეთიდან
1832	584	3254	31	724
1833	1181	2879	104	934
1834	312	2423	56	657
1835	734	3358	50	596
1836	1507	4607	123	755
1837	1247	4592	114	906
1838	1541	5079	96	856
1839	818	5221	108	809
1840	1180	5622	1156	132
1841	1506	4892	183	1344
1842	1664	5295	238	1559
1843	1909	4836	342	1425
1844	1632	4456	241	16775
1840	340	1606	330	38
1841	430	1398	52	384
1842	475	1513	68	445
1843	545	1382	95	407
1844	466	1278	69	179

[37] ЛОЦИА, ф. КК. д. 134, ч. IV, лл. 418—420.

ცხრილი 7

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა (ათას მანეთობით) 1832—1844 წწ.[38]

წლები	იმპორტი		ექსპორტი	
	საქონელი	მონეტა	საქონელი	მონეტა
1832	5583	—	1946	455
1833	6020	—	1788	373
1834	5374	319	1532	340
1835	6067	477	2181	2446
1836	7261	80	1967	1990
1837	8384	266	2898	1266
1838	9336	161	2546	2206
1839	9545	37	2051	4311
1840	10461	97	2498	5261
1841	9367	159	2987	6224
1842	10982	33	2241	8546
1843	10201	134	1821	7801
1844	10072	322	2405	8633
1840	2989	3	714	1503
1841	2686	45	853	1778
1842	3733	9	787	2442
2843	3639	38	681	2229
1844	3425	92	943	2467

ცხრილი 8

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა (ათას მანეთობით) 1841—1860[39] წწ.

წლები		საერთო ბრუნვა	მათ შორის	
			ექსპორტი	იმპორტი
1841—1845		34656	16554	18113
საშუალოწლიური		6931	3311	3623
		100%	48%	52%
1846—1850		40530	19832	20699
საშუალოწლიური		8106	3986	4140
		100%	49%	51%
1851—1855		38402	18827	19567
საშუალოწლიური		7680	3765	3913
		100%	49%	61%
1856—1860		48933	24200	24744
საშუალოწლიური		9789	4840	4949
		100%	49%	51%

[38] ЛОЦИА, ф. КК, д. 134, ч. IV, лл. 416—417.

[39] КК на 1879 г., сс. 342—343.

ცხრილი 9

მონეტის მიმოქცევა ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობაში და საბაჟო შემოსავალი (ათას მანეთობით) 1841—1875 წწ.

წლები	მონეტის მიმოქცევა			საბაჟო შემოსავალი საერთოდ და შემოტანილ-გატანილ საქონელზე
	საერთო ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	
1841—1845	12546	12299	247	1332
საშუალოწლიური	2509	2400	49	266
	100%	98,1%	1.9%	
1846—1850	16122	15732	390	1879
საშუალოწლიური	3224	3146	78	374
	100%	97,6%	2.4%	
1851—1855	13808	13661	142	1959
საშუალოწლიური	2761	2732	28	392
	100%	98.9%	1,1%	
1856—1860	15450	14195	256	3218
საშუალოწლიური	3090	3039	51	614
	100%	98,3%	1,7%	
1861—1865	12358	11557	992	4543
საშუალოწლიური	2472	2311	198	909
	100%	92%	8%	
1866—1870	8019	3879	4142	6656
საშუალოწლიური	1604	776	828	1331
	100%	48,4%	51,6%	
1871—1875	6741	2554	4187	7176
საშუალოწლიური	1348	511	837	1435
	100%	379%	62,1%	

როგორც ქვემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, ამიერკავკასიიდან რუსული მონეტის ექსპორტმა 1840 წელს გადააჭარბა 1.5 მლნ. ხოლო 1844 წელს უკვე თითქმის 2,5 მლნ მან. მიაღწია.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ათას მანეთობით:

	იმპორტი		ექსპორტი	
წლები	საქონელი	მონეტა	საქონელი	მონეტა
1840	2989	2,6	714	1503,1
1843	3639	38,0	681	2228,8
1844	3425	92,2	943	2466,6
1854	3527	3,6	502	2962,1
1857	4775	90,6	1756	3666,3
1860	5050	82,2	2318	2006,5
1864	7467	181,3	4650	3609,6
1865	7438	376,1	5845	2897,6
1866	8156	645,1	5136	1360,7
1867	8518	411,8	3618	757,4

ასე რომ, ამიერკავკასიიდან რუსული მონეტების უბაჟოდ გატანამ უკვე მეტისმეტად ფართო ხასიათი მიიღო... სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა საკითხის მოწესრიგებას, რაც, ცხადია, ამ ექსპორტის თუ შეწყვეტით არა, ყოველ შემთხვევაში, შენელების სახით უნდა მომხდარიყო: და, აი, მალე დაწესდა შესაბამისად მაღალი საბაჟო საფასური მონეტის გატანაზე და 1866—1867 წლებიდან მონეტის ექსპორტი ერთბაშად შენელდა კიდეც.

საგარეო ვაჭრობაში სულ უფრო იზრდებოდა დას. ევროპის ქვეყნებთან საქონელბრუნვის ხვედრიწონა. გარდატეხის მომენტი აქ დაიწყო შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის ახალი პერიოდიდან, ე. ი. 1840-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან სულ ეცემა სპარსეთ-თურქეთთან კომერციული კავშირი, როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა
საქონელბრუნვის საერთო ღირებულების პროცენტული შეფარდებით

წლები	სპარსეთთან სახმელეთო და კასპიის ზღვით	თურქეთთან სახმელეთო გზით	დას. ევროპასთან შავი ზღვით
1848	77	14	8
1859	79	13	8
1850	74	11	15
1851	68	13	19
1852	64	13	23
1853	69	9	22

1853 წლიდან, ყირიმის ომის პერიოდში, დას. ევროპასთან შავი ზღვის ვაჭრობა, ცხადია, დაეცა, რასაც მოჰყვა ამიერკავკასიაში ევროპულ საქონელზე ფასების აწევა. მაგრამ მომდევნო წლებში ევროპასთან ვაჭრობა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება და მყარდება ფასების ნორმალიზაცია კერძოდ ისეთ საქონელზეც, როგორიცაა შაქარი და ტექსტილური ნაწარმი. შაქარი როგორც რაოდენობის, ისე საერთო ღირებულების მხრივ ევროპული და კოლონიური საქონლის იმპორტის მთავარი საგანი იყო და შეადგენდა ათას მანეთობით: 1845 წ. — 153 (22 ათასი ფუთი), 1847 წ. — 276 (34 ათასი ფუთი), 1850 წ. — 281 (41 ათასი ფუთი) და 1853 წ. — 414 (57 ათასი ფუთი), და მიუხედავად იმპორტის ასეთი სისწრაფით ზრდისა, თითქმის სულ იზრდებოდა მისი ფასიც. რაც 1853 წ. 1 ფუთზე 13 მანეთამდე ავიდა.

იზრდებოდა ევროპული ტექსტილური საქონლის, განსაკუთრებით ბამბაქსოვილის შემოტანა: 1850 წ. საბაჟო ტარიფში გატარე-

ბულმა ერთგვარმა შემსუბუქებამ გაადვილა მისი იმპორტი, რაც მანამდეც, კონტრაბანდული საქონლის სახით ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში. იმპორტულ თეთრი ბამბის ნარმას აქ „ამერიკას“ უწოდებდნენ.

შემოტანილი ბამბაქსოვილის საერთო ღირებულება, ათას მანეთობით, უდრიდა: 1849 წ. — 4; 1850 წ. — 10; 1851 წ. — 22; 1851 წ. — 78; ხოლო 1853 წ. — 84. უფრო ადრე ბამბაქსოვილი საქონელი შემოჰქონდათ თურქეთის გზით, ქ. ახალციხეში, სადაც 1850-იანი წლების დამდეგისათვის ეს ვაჭრობა უკვე სავსებით შეწყვეტილი იყო.

ამიერკავკასიაში შემოტანილი აზიური საქონლის ხვედრიწონა ამ დროიდან შესამჩნევად ეცემა. თუ, მაგალითად, აზიური ბამბაქსოვილის შემოტანამ 1849 წ. შეადგინა 2173 ათასი მან., 1853 წელს მისი იმპორტი დაეცა 1371 ათას მანეთამდე. ასევე იკლო აბრეშუმის ნაწარმის იმპორტმა, რაც 1848 წ. უდრიდა 598 ათას მან., ხოლო 1853 წ. — 336 ათას მან. მაგრამ განსაკუთრებით დაეცა ხამი აბრეშუმის შემოტანა, რისი ღირებულება 1847 წ. აღემატებოდა 0,5 მლნ მან., ხოლო 1852 წ. უდრიდა 118 და 1853 წ. კი მხოლოდ 8 ათას მანეთს, საქმე ისაა, რომ სპარსულ იმპორტს მთლიანად განსაზღვრავდა რუსეთის ფაბრიკების მოთხოვნა; საკუთრად ამიერკავკასია მოიხმარდა ადგილობრივი წარმოების აბრეშუმს; ხოლო 1840-იანი წლების მიწურულიდან რუსეთისათვის განკუთვნილი სპარსული აბრეშუმი უმთავრესად, და მერმე კი მხოლოდ, რეშტიდან პირდაპირ ასტრახანში იგზავნებოდა...

სპარსეთთან ვაჭრობის საქონელთა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, ჩირის (ხმელი ხილის) იმპორტის ზრდა, რაც ათას მანეთობით უდრიდა: 1848 წ. — 181; 1851 წ. — 252; 1852 წ. — 236 და 1853 წ. — 290. უნდა ითქვას, რომ ხეხილი კერძოდ თურქეთიდან უმნიშვნელო ზომით შემოჰქონდათ. ასე, მაგალითად, თურქული ხილის იმპორტი 1853 წ. შეადგენდა ამ საქონლის მთელი იმპორტის 5 პროცენტზე ნაკლებს.

ახლა უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობაში, კერძოდ საექსპორტო ოპერაციებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთიდან შემოტანილი საქონლის გატანა, რაც 1848-1853 წწ. ექსპორტის საერთო ღირებულების 10—35 % შორის მერყეობდა. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიიდან გატანილი იყო საქონელი (ათას მანეთობით):

წლები	ადგილობრივი ნაწარმი	რუსული ნაწარმი	სულ
1848	605	176	781
1849	568	157	725
1850	778	228	1006
1851	924	181	1105
1852	1355	262	1617
1853	1175	172	1347

ამიერკავკასიიდან გაჰქონდათ უმთავრესად რუსული მეტალი და მეტალის ნაკეთობა, ადგილობრივი საქონლიდან უმთავრესი იყო ხამი აბრეშუმის ექსპორტი, რაც უმთავრესად რედუტ-კალედან გაჰქონდათ ევროპაში (1850 წ. — 169, ხოლო 1852 წ. — 623 ათასი მანეთისა; 1850 წ. — 3 ათასი, ხოლო 1853 წ. — 9 ათასი ფუთი)[40].

4. საგარეო ვაჭრობის ტრანსპორტი

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა პრაქტიკულად ხორციელდებოდა სახმელეთო-საქარავნო და საზღვაო გზებით. პირველი, როგორც წესი, ისაზღვრებოდა აზიის ქვეყნებთან ვაჭრობით, ხოლო შავი და კასპიის ზღვების პორტების ვაჭრობა წარმოადგენდა როგორც აზიის, აგრეთვე ევროპის ქვეყნებთან კომერციულ ურთიერთობათა და კავშირის მთავარ არტერიას.

1840—1850-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებიდან ამიერკავკასიაში შემოჰქონდათ უმთავრესად ევროპული და კოლონიური საქონელი: თავი შაქარი, შაქრის ფხვნილი, ყავა, მიხაკი, დარიჩინი, სხვადასხვაგვარი მაგარი (ალკოჰოლიანი) სასმელი და ტექსტილური ნაწარმი, ჩითეული, აბრეშუმის ქსოვილები და შალეული.

აღმოსავლეთიდან, უმთავრესად ირანისა და თურქეთის სამფლობელოებიდან შემოჰქონდათ ბამბა, აბრეშუმის პარკი, ჩითი, შალი, აბრეშუმის ქსოვილები; სხვადასხვა წვრილმანი, პური, ფეტვი, ბრინჯი, ხილეული (ჩირი და სხვ.), ხე-ტყე, პირუტყვი.

ამიერკავკასიიდან გაჰქონდათ უმთავრესად შალი, აბრეშუმი, ბამბაქსოვილები, აბრეშუმის პარკი, მატყლი, ლითონის სხვადასხვა ნაკეთობანი (სატევრები, ხმლები, დანები), საღებავები (ენდრო და სხვ.), ფეტვი, თაფლის სანთელი, ნავთობი, მარილი, ტყავი, ხე-ტყე[41].

---

[40] АСКАК, X с. 213.
[41] АСКАК, IX, с. 609.

სახმელეთო გზებით ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა, როგორც ითქვა, საქარავნო ვაჭრობის ხასიათს ატარებდა. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი 1842—1844 წწ. და 1852—1853 წწ. ქარავანთა მოძრაობის შესახებ. ამ მოძრაობის რეგისტრაციას აწარმოებდნენ საბაჟოები, მათი საყარაულოები და საკარანტინო პუნქტები და, ამდენადვე, სავაჭრო ქარავანთა მოძრაობაც ხსენებულ ადგილებში მათი მისვლისა და იქიდან მათი წასვლის სახითაა ასახული. 1840-იან წლებში აწარმოებდნენ მხოლოდ ქარავანთა რეგისტრაციას, ხოლო 1850-იანი წლებიდან კი ხდებოდა როგორც ქარავანთა, ასევე მათი შედგენილობის (პირუტყვთა რაოდენობა: აქლემთა, ცხენთა, ვირთა) აღრიცხვა.

ცხრილი 10

ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგში ქარავანთა მოძრაობა: 1. 1842—1844 წწ.[43].

საბაჟოებისა და საყარაულოების დასახელება	მოვიდა			წავიდა		
	1842	1843	1844	1842	1843	1844
თბილისის საბაჟო	252	216	328	—	5	—
ახალციხის საყარაულო	177	140	182	117	161	24
ოზურგეთის საყარაულო	166	128	131	11	17	24
ალექსანდროპოლის საბაჟო	296	269	317	79	174	207
ოგდირის (ჰაჯი-ბაირამის) საყარაულო	64	62	91	169	86	93
ნახჭევანის (გიულისტანის) საბაჟო	76	79	80	122	78	119
ბაშნურაშენის საყარაულო	61	62	55	142	72	—
ორდუბადის საყარაულო	74	71	—	36	48	—
ახ-ოღლანის საბაჟო	90	59	58	81	85	91
ჯევათის საყარაულო	26	21	22	6	4	4
ლენქორანის საყარაულო	65	76	86	5	6	35
სალიანის საყარაულო	29	31	27	8	19	21
ახალქალაქის პოსტი	25	59	135	30	35	89
ჯამი	1401	1273	1412	806	790	894

[43] ЛОЦИА, ф. КК, д. № 75/575, лл. 12 и 34.

ცხრილი 10 (გაგრძელება)

2. 1852—1853 წწ.[43]

საბაჟოებისა და საკარაულოების დასახელება	1852 წ.				1853 წ.			
	მოვიდა		წავიდა		მოვიდა		წავიდა	
	ქარავანთა რიცხვი	პირუტყვის რაოდენ.	ქარავანთა რიცხვი.	პირუტყ. რაოდნ.	ქარავან. რიცხვი	პირუტყვ. რაოდ.	ქარავან. რიცხვი	პირუტ. რაოდ.
თბილისის საბაჟო	240	3232	—	—	350	3505	—	—
ალექსანდროპ. საბაჟო-საკარანტინო	415	7216	409	4777	249	4037	268	4201
ნახჭევანის „	118	7032	78	588	107	4203	270	692
საკარაულოები:								
ოზურგეთის	76	295	17	31	36	429	2	4
ნიკოლოზის	1	9	1	7	—	—	—	—
ჯაჯისმანის	176	4704	79	412	118	3633	78	274
ორგოვის	62	947	77	1982	45	420	59	1661
ქოზაპინის	314	2073	21	60	76	228	6	18
შარურის	145	8397	20	3337	141	8897	43	1839
ჭებრაილის	124	5280	90	1796	144	5166	140	1039
ბელიასუვარის	58	6975	28	518	40	4955	24	411
ორდუბათის პოსტი	55	875	21	223	787	2396	304	1227
ასტარის საკარაულო	93	3398	150	561	80	3376	95	1382
სულ	1877	50436	989	14292	2173	43245	1263	12745

[43] ЗКОИРТО, III, 1855. Тифлис, сс. 302—303.

საგარეო ვაჭრობის ინტენსივობის ერთ-ერთი მაჩვენებელია გაცვლის მიზნით უცხოეთში მიმოსვლის სიხშირე.

ცნობა 1834—1854 წწ. ამიერკავკასიიდან უცხოეთში სავაჭრო მიზნით გამგზავრებათა შესახებ[44].

გუბერნიების დასახელება	1834	1835	1836	1837	1838	1839	1840	1841	1842	1843
თბილისის	483	504	398	369	254	598	304	322	601	976
ქუთაისის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ერევნის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

(გაგრძელება)

გუბერნიების დასახელება	1845	1846	1847	1848	1849	1850	1851	1852	1853	1854
თბილისის	509	441	448	532	530	211	129	208	185	33
ქუთაისის	—	—	33	20	67	41	60	58	32	—
ერევნის	—	—	—	—	—	17	140	48	207	165

მთელი კავკასიის სანამესტნიკოდან სავაჭრო მიზნით უცხოეთში წასულან:

გუბერნიების დასახელება	1834—1844 წწ.	1845—1854 წწ.	
სტავროპოლის	2 კაცი	17 კაცი	
თბილისის	3842 „	3226 „	
შემახიას	7250 „	8687 „	უმთ. სპარსეთში
დერბენტის	—	1121	
ქუთაისის	—	1127 „	
ერევნის	—	577 „	
ს უ ლ	11044 კაცი	14749 კაცი	

5. საგარეო ვაჭრობა რეფორმის მერმინდელ პერიოდში

1876 წ. მოსკოვის უნივერსიტეტმა კავკასიისა და ამიერკავკასიის ეკონომიკის საკითხებს მიუძღვნა სპეციალური ნარკვევების წიგნი, რომლის ავტორები მოითხოვენ და ამასთანავე ურჩევენ მთავრობას, რაც შეიძლება ჩქარა განიდევნონ შავი ზღვის სანაპიროებიდან ოსმალო ვაჭრები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ რუს ვაჭრებს ხელიდან აცლიან დიდძალ მოგებას, ამასთანავე აქეზებენ ყირიმის თათრებს და აღვივებენ მათში კვლავ ოსმალეთთან შეერთების იმედს. ამ მიზნით აუცილებელია სოხუმისა და ნოვოროსიისკის

[44] АСКАК, XI, № 715, сс. 663—664.

ნავსადგურებში სამხედრო გემების გამრავლება, რათა შავი ზღვის ჩვენს სანაპიროებზე ალაგმონ ოსმალთა კაბოტაჟი, ე. ი. ოსმალთა კოჩერმების თავაშვებული თარეში[45].

ესაა რეფორმის მერმინდელი ხანების რუსეთის კაპიტალიზმის, კერძოდ სავაჭრო კაპიტალის ინტერესების გამოცხადება. მაგრამ ამ დროიდან, მრეწველობის სწრაფი განვითარების შეოხებით, სულ უფრო ძლიერდებოდა რუსეთის ფაბრიკანტების ხმა, რომელთა დიდი ნაწილი, ცხადია, ისევ ვაჭართა კლასის დიფერენციაციის გზებზე იყო აღმოცენებული.

იმდროინდელ ოფიციალურ წრეებში გავრცელებული შეხედულებით, ვაჭრობა კაპიტალების დაგროვების ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი საშუალებაა... და ამასთანავე ვაჭრობა ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა სხვა სახეობათაგან უფრო მეტად იწვევს მოსახლეობაში სიმდიდრის არათანაბარზომიერ განაწილებას. ამავე დროს, როგორც 1879 წლის „კავკაზსკი კალენდარის" რედაქტორი, თავის დროის ცნობილი ადმინისტრაციული მოღვაწე და კავკასიის მეურნეობრივი განვითარების საკითხების სპეციალისტი ნ. შავროვი წერს (1878), ვაჭრობა სრულებითაც არაა ხალხის კეთილდღეობისა და სახელმწიფოს ძლიერების ერთადერთი და თუნდაც მთავარი საშუალება.

მთავარია სახალხო შრომა, რაც უზრუნველყოფს საერთო კეთილდღეობასა და ხალხთა მასების განვითარებას, რომლის მორალურ და მატერიალურ ძალთა ერთობლიობაშია სახელმწიფოს მთელი ძლიერება. სწორედ ამიტომ ხალხთა მასების განვითარება, მოსახლეობის დაბალი კლასის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, არის დღეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა პირველი რიგის ამოცანა... და ვაჭრობის მეშვეობით, სიმდიდრის დაგროვების ღონისძიება გარდაიქმნა იმ ხალხის ინტერესების სამსახურად, რომელიც წინათ ბნელ ძალას წარმოადგენდა... მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ხელოსნური წარმოების ფაბრიკულ (მანქანურ) მრეწველობად გარდაქმნას და თვით მთავრობების ცდას, რათა გააუმჯობესონ საკუთარი ფაბრიკული მრეწველობა და, ამ გზით, გადამუშავებული თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქტები მიაწოდონ ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ბაზრებს. ასეთი პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს მრეწველთა

---

[45] Опыт экономического очерка Кавказского края, преимущественно Закавказья, М., 1876, с. 78—79.

და მუშათა დაწინაურებას და, მაშასადამე, სიმდიდრე არ დაგროვდება მარტოოდენ ვაჭართა წოდების ხელში... მაგრამ მრეწველობის მხრივ განვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ, ამ მხრივ, ხელი შეუშალონ სხვა სახელმწიფოთა განვითარებას, რადგან მათთვის უკეთესია მეზობლად ჰყავდეთ ჩამორჩენილი ქვეყნები, როგორც თავიანთი ფაბრიკატების გამსაღებელი ბაზრები და როგორც თავიანთი მრეწველობის სანედლეულო ბაზა.

ამგვარად, ნ. შავროვი, ამ დროს რუსეთში გავრცელებული ხალხოსნურ-უტოპიური იდეებისა და ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ზრახვების შეჯვარების გზით მიღებული, ვითომდა თავისი ორიგინალური პოზიციებიდან იხილავს ამიერკავკასიის ტრანზიტის მნიშვნელობას. ევროპული საქონლის ტრაპიზონის გზით სპარსეთში შეტანის და, მაშასადამე, ამ უკანასკნელ ბაზარზე ევროპული კონკურენციის აცილების, ანდა ტრანზიტის გზის რუსეთის (ამიერკავკასიის) ტერიტორიაზე გადმოტანის საკითხი, როგორც იგი წერს, ყოველთვის იყო რუსეთის ხელისუფლების მესვეურთა „კეთილშობილური მსჯელობისა და საგანგებო მზრუნველობის საგანი". ეს იყო „ერთ-ერთი მთავარი მოტივი ფოთის პორტის აშენების, ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის და თბილისიდან ერევნამდე და ჯულფამდე გზატკეცილის გაყვანისა, რამაც ფრიად დიდი დახმარება გაგვიწია უკანასკნელი ომის დროს ჯარების მიმოძრაობაში"...

ამ ხანებში და თვით 1840-იანი წლების მიწურულიდან, ევროპული საქონლის ტრანზიტი ძირითადად ამიერკავკასიაზე გადიოდა. ამ გზით ევროპული საქონლის რეალიზაცია სპარსეთში 1863 — 1876 წწ., ე. ი. 13 წლის განმავლობაში. ოცჯერ გაიზარდა, ხოლო სპარსეთიდან დას. ევროპაში გატანა—მხოლოდ ოთხჯერ... მაგრამ, ჩვენთვის მთავარია, რა მოიგო ამით ამიერკავკასიამ? — კითხულობს ნ. შავროვი.

მხოლოდ 1876 წ. ფოთი-თბილისი-ჯულფას და ფოთი-თბილისი-ბაქოს და პირუკუ გადატანილი იყო ნახევარ მილიონამდე ფუთი ტვირთი, რისი გადაზიდვისათვის ამიერკავკასიამ მიიღო დაახლოებით 1,2 მლნ მან. ამავე დროს იმავე 1876 წ. ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა დაახლოებით 14,5 მლნ მან და აქედან მხოლოდ საბაჟო საფასური იქნა მიღებული თითქმის 1,5 მლნ მან. მხოლოდ აბრეშუმი იქნა გატანილი ფოთიდან 2,2 მლნ მან., ხოლო ცხვრის მატყლი — 1,3 მლნ მან.

მოჰყავს რა ეს მონაცემები, ნ. შავროვი ასკვნის: „...ტრანზიტი ამიერკავკასიის ცხოვრებაში თამაშობს ფრიად არასახარბიელო როლს“[46]; რომ ამ მხარის მწარმოებლურობის ზრდა ყოველთვის წინმსწრები იქნება, ვინემ შემოსავალი, რასაც სატრანზიტო ოპერაციები იძლევა; რომ ტრანზიტის მსხვერპლად არ უნდა მივიტანოთ მთელი ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან და ნაწილობრივ შუა აზიასთან... საბოლოოდ, ამიერკავკასიაში მიწათმოქმედებისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარება ბევრად უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვინემ ტრანზიტი... სპარსეთის ბაზრების დაპყრობისათვის ამოძრავებულ ინგლისურ საქონელს შეუძლია ნაწილობრივ გააჯეროს ამიერკავკასიის ბაზარიც... სანამ ამიერკავკასია, არა აქვს რა თავისი მრეწველობა, იძულებულია იყოს შემოტანილი ფაბრიკატის ჭომხმარებელი... ამიერკავკასია რუსეთის პროვინციაა და ამიტომაც უფრო უპრიანია, რომ იგი მარაგდებოდეს რუსეთის სამრეწველო საქონლით, ხოლო, თავისი მხრივ, რუსეთს აწოდებდეს ადგილობრივ ნედლეულსო, ამთავრებს ნ. შავროვი[47], რომელიც, ცხადია, ამ დასკვნამდე მიჰყავს არა იმდენად მის მიერ შესწავლილ ფაქტიურ მონაცემებს, რამდენადაც, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, რუსეთის კაპიტალიზმის გავლენით ცენტრალურ ადმინისტრაციაში უკვე საბოლოოდ არჩეულ ამიერკავკასიის ეკონომიკური დაპყრობის ახალი პოლიტიკური კურსის გატარების აუცილებლობას, რაც მისთვის სავალდებულო დოგმას წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის აღებული 20 წლის საერთო ბრუნვამ შეადგინა 267 მლნ მან., მ. შ. ექსპორტმა — 105, ხოლო იმპორტმა 162 მლნ მან. ანუ 60,5 %. ამგვარად, ექსპორტის საერთო ღირებულებას იმპორტისა აღემატებოდა 57 მლნ მანეთით. 1867—1871 წწ. განსაკუთრებით დიდი ზომით შემოჰქონდათ შავი მეტალურგიის ნაკეთობანი, რაც საჭირო იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობისათვის. შემდგომ წლებში თანდათანობით იზრდებოდა ექსპორტის საერთო ღირებულება და შესაბამისად მცირდებოდა საგარეო ვაჭრობის ბალანსის უარყოფითი სალდო. საექსპორტო ვაჭრობა უმთავრესად (69—81 %) შავი ზღვის პორტებზე მოდიოდა; კასპიის ზღვის მონაწილეობა საშუალოდ 15 % არ აღემატებოდა, ხოლო სახმელეთო ვაჭრობა (სპარსეთისა და თურქეთის

---

[46] КК на 1879 г., сс. 348—351.

[47] იქვე, გვ. 352—353.

საზღვრებზე) დაახლოებით 10 % შეადგენდა. ამასთანავე სახმელეთო საგარეო ვაჭრობა სისტემატურად მცირდებოდა.

ამ წლებში ამიერკავკასიიდან ექსპორტის მთავარი საგნები იყო: აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, პური, მეტალი, ტყავი, შალეული, ხე-ტყე, პირუტყვი, ბამბაქსოვილი, მოსკოტილური საქონელი, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, სელის ქსოვილები, თამბაქო, საღებავები, აბრეშუმქსოვილები, ჩაი, შაქარი და სხვ., რომელთაგან საერთოდ ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატზე მოდიოდა მთელი ექსპორტის 70—73 %, სურსათსანოვაგესა და პირუტყვზე — 10—20 %, სამრეწველო საქონელზე (ნაკეთობანი და ფაბრიკატები), მანუფაქტურაზე და რკინაკაველულზე — 6,5—13,0 %. სხვადასხვა საქონელზე — 5—10 %. დას. საქართველოდან ხე-ტყის, კერძოდ მაქნისი მერქნის ექსპორტმა ერთხანს ფართო ხასიათი მიიღო. 1883 წ. ე. ტიხოცკი წერდა, რომ „კავკასიური პალმის მშვენიერი ტყეები შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე რომ იყო, მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად ამჟამად სავსებით განადგურებულია, ანდა შემორჩენილია სადმე მიუდგომელ ადგილებშიო“.

ცხრილი 11

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა[48]
1862—1881 წწ. (ათას მანეთობით, ხუთწლედობით)

წლები	საერთო ბრუნვა	მათ შორის		
		ექსპორტი	იმპორტი	განსხვავება + —
1862—1866	59079	23826	35253	—11427
საშუალოწლიური	11816	4765	7051	— 2285
	100%	40,3%	59,7%	
1867—1871	70153	21760	48393	—26634
საშუალოწლიური	14031	4252	9679	— 5327
	100,0	31,0%	69,0%	
1872—1876	70696	28842	41854	—13012
საშუალოწლიური	14139	5768	8371	— 2602
	100%	40,8%	59,2%	
1877—1881	67135	31058	38078	— 5020
საშუალოწლიური	13427	6212	7216	— 1004
	100%	46,3%	53,7%	
1877—1881 წწ. მეტი იყო 1862—1866 წწ. შედარებით	13,6%	30,4%	2,3%	

[48] ე. ტიხოცკი, დასახ. წიგნი. გვ. 28.

როგორც ქვემომოყვანილი ცხრილები გვიჩვენებენ, 1862 — 1881 წწ. პერიოდში საიმპორტო ვაჭრობის ძირითადი საქონელი იყო (მათი ხვედრიწონის თანმიმდევრობით): ბამბაქსოვილი, შაქარი, მეტალის ნაკეთობანი, ხეხილი და ბოსტნეული, პური, ბამბა, აბრეშუმის ტექსტილური ნაწარმი, შალეული, თამბაქო, რკინაკავეული, პირუტყვი, საღებავი, ჩაი, ტყავი, ჭურჭლეული, მანქანები, სასმელები, შუშის ნაკეთობანი, თევზი, ტყავის ნაკეთობანი, სელის ქსოვილები, კანაფი და სხვ.

ხუთწლედების მიხედვით მთელი იმპორტის საერთო ღირებულების 36—62 % შეადგენდა სამრეწველო საქონელი (ფაბრიკულ-ქარხნული ნაკეთობანი), 21—36 % — ნედლეული და ნახევარ-ფაბრიკატი და 8—16 % სხვადასხვა საქონელი.

თუ საექსპორტო ვაჭრობის საქონლის საერთო ღირებულებაში სამრეწველო საქონელს უკანასკნელი ადგილი ეჭირა, იმპორტში იგი პირველ ადგილზე გამოდის. ამიერკავკასიაში უმთავრესად შემოჰქონდათ ბამბის, მატყლისა და აბრეშუმის ტექსტილური ნაწარმი, საოჯახო ჭურჭლეული, მანქანები, მეტალისა და შუშის ნაკეთობანი. ამ პერიოდიდან მაინც აქ აშკარად ეტყობა რუსული და პოლონური მანუფაქტურის გავრცელება, და, აგრეთვე, სურსათსანოვაგიდან იზრდება პურის, ჩაისა და შაქრის ხვედრიწონა იმპორტის საერთო მასაში. პურეულთაგან სულ უფრო მატულობდა ბრინჯის შემოტანა.

რუსული (სამამულო) საქონლის ამიერკავკასიაში შემოტანა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაიზარდა მას მერმეც, როდესაც 1877 წლიდან, როგორც ზემოთა გვაქვს აღნიშნული, ევროპული საქონლის აქ შემოტანა იბეგრებოდა იმპერიაში „მოქმედი ტარიფის კვალობაზე", რამაც ერთნახევარჯერ უფრო გაადიდა გადასახდელი საბაჟო საფასური. უცხოელი ვაჭრები არა თუ არ დააფრთხო მათს საქონელზე ოქროს საბაჟო საფასურის დაწესებამ, არამედ მათ კიდევ უფრო გაადიდეს საიმპორტო ოპერაციები.

აღსანიშნავია, რომ საგარეო გაცვლაში უმნიშვნელო როლს თამაშობდა ინტელექტუალური (სულიერი) მოთხოვნილების საგნებით (წიგნი, მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო იარაღ-ინვენტარი) ვაჭრობა. მთელი 1862—1881 წლების მანძილზე საბაჟოებში გატარებული ასეთი საქონელის საშუალოწლიური ექსპორტის ღირებულება არ აღემატებოდა 300 მან, ხოლო იმპორტისა — 46 ათას მან,

ცხრილი 12

რუსული (ადგილობრივი) საქონლის ექსპორტი საარსეთში 1862—1881 წწ. (ათას მანეთობით)[49]

წლები	ბუმბერი	ბამბა	ბამბა ქსოვილი	სელის ქსოვილი	ვალის (მაუდი) ტექსტილი	მეტალი და მეტალის ნაკეთ.	სტეარინის სანთელი	სხვადასხვა საქონელი
1862—1865	363	33	396	244	491	3352		2217
საშუალოწლიური	73	7	79	49	98	670		415
%-ობით	5,1	0,5	5,6	3,4	6,9	47,2		31,3
1867—1871	646	117	788	216	800	2364		2064
საშუალოწლიური	129	29	158	43	160	473		405
%-ობით	8,9	1,6	10,9	3,0	11,0	32,6		32,0
1872—1876	590	25	1852	249	880	2399	310	2512
საშუალოწლიური	118	5	370	50	176	480	77	533
%-ობით	6,6	0,3	20,8	2,8	9,9	26,9	3,5	29,2
1877—1881	72	2788	4706	717	1191	3207	471	3990
საშუალოწლიური	14	558	941	143	238	641	94	749
%-ობით	0,4	16,4	27,7	4,2	7,0	18,8	2,8	22,7

როგორც მე-15 ცხრილი გვიჩვენებს (გვ. 192), აღებული 20 წლის მანძილზე გემების საერთო ბრუნვა რაოდენობრივად კი არ გაზრდილა, არამედ შემცირდა კიდეეაც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ გემთა საერთო რაოდენობაში სულ იზრდებოდა ორთქლისა და, მაშასადამე, დიდი, იალქნიან გემებთან შედარებით 25—30-ჯერ მეტი ტონაჟის გემთა რიცხვი. ეს მომენტი წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით იმით ვლინდება, რომ აღებულ პერიოდში გემთა (ხომალდთა) რიცხვის შემცირების პირობებში სულ იზრდება ტვირთის საერთო ბრუნვა, რაც 1877—1881 წწ. 129 პროცენტით უფრო მეტი იყო, ვიდრე 1862—1866 წწ.

[49] ე. ტიხოცკი, დასახ. თხზ. გვ. 14—15

ცხრილი 13

ამიერკავკასიიდან გატანილი უმთავრესი საქონლის ღირებულება 1862—1881 წწ. (ათას მანეთ ობით)[60]

წლები	პური	შაქარი	ბამბა	მატყლი	აბრეშუმი	ტყავი	ხე-ტყე	მეტალი ზოდებით	ბამბა ქსოვილი	შალის (მაუდის) ტექსტილი	სხვადასხვა საქონელი
1862—1866	1877	20	2692	3400	8048	476	709	1451	243	403	4506
საშუალოწლიური	375	4	538	680	1610	95	142	290	49	81	901
%-ობით	7,9	0,1	11,3	14,3	33,8	2,0	3,0	6,1	1,0	1,7	18,8
1867—1871	2500	74	5436	2775	4481	797	572	1422	408	466	2828
საშუალოწლიური	500	15	1087	555	896	159	114	284	82	93	1563
%-ობით	11,5	0,3	25,0	12,8	20,6	3,7	2,6	6,5	1,9	2,1	3,0
1872—1876	5567	23	901	4933	9949	1001	1519	842	557	640	2910
საშუალოწლიური	1116	5	180	987	1990	200	304	168	111	128	582
%-ობით	19,3	0,1	3,1	17,1	34,5	3,5	5,3	2,9	1,9	2,2	10,1
1877—1881	3190	2357	51	4421	8484	1122	931	1217	1480	2032	5823
საშუალოწლიური	638	471	10	884	1697	224	186	243	286	406	1165
%-ობით	10,3	7,6	0,2	14,2	27,3	3,6	3,0	3,9	4,6	6,5	18,8

[60] ე. ტიხოცკი, დასახ. თხზ. გვ. 32—33.

ცხრილი 14

ამიერკავკასიაში შემოტანილი უმთავრესი საქონლის ღირებულება 1862—1881 წწ. (ათას მანეთობით)

წლები	პური	ხილ-ბოსტ-ნეული	ჩაი	შაქარი	თამბაქო	პირუ-ტყეი	ტყავი	ბამბა-ქსოვილი	შალის (მა-უდის) ტექსტილი	აბრეშუმის ტექს-ტილი	მეტალის ნაკეთობანი	მანქანები და აპარატები	სხვადასხვა საქონელი
1862—1886	2759	2759	460	2973	1492	4ᴳ5	363	13580	732	1992	237	298	9294
საშუალოწლიური	552	552	92	595	298	99	73	2716	146	398	47	60	1859
№-ობით	7,8	7,8	1,3	8,9	4,2	1,4	1,0	38,5	1,1	5,7	0,7	0,9	26,3
1867—1871	3488	3488	996	1873	1719	012	524	18008	1236	1931	6851	210	9646
საშუალოწლიური	698	698	199	375	344	112	105	8602	447	386	1370	42	1927
№-ობით	7,2	7,2	2,1	3,9	3,6	1,2	1,1	87,2	5,3	4,0	14,2	0,4	19,8
1872—1876	464	4464	1120	1556	1549	997	833	13303	2671	1619	809	461	10573
წაშუალოწლიური	893	893	224	311	310	189	167	2661	534	324	162	92	2114
№-ობით	0,7	10,7	2,7	3,7	3,7	2,4	2,0	31,8	7,4	3,9	1,9	1,1	25,2
1877—1881	7156	7156	552	84	276	1246	1123	4124	2671	2211	1750	766	11504
საშუალოწლიური	1431	1431	110	17	55	249	225	825	534	442	270	153	2300
№-ობით	19,8	14,8	1,5	0,2	0,8	3,5	3,1	11,4	7,4	6,1	3,7	2,1	32,0

ცხრილი 15

ამიერკავკასიის შავი ზღვის პორტების საკაპრო ნაოსნობა 1862—1881 წწ.

წლები	საერთო ბრუნვა ხომალდთა (ტონა)	მათ შორის	
		გავიდა	მოვიდა
1862—1866	7912	4550	3362
საშუალოწლიური	1528	910	672
	100%	57,5%	42,5%
1867—1871	7313	3897	3416
საშუალოწლიური	1462	779	683
	100%	53,3%	46,7%
1872—1876	8134	4882	3252
საშუალოწლიური	1627	976	651
	100%	60,0%	40,0%
1877—1881	7032	4569	2463
საშუალოწლიური	1406	914	492
	100%	65,0%	35,0%

ცხრილი 16

ამიერკავკასიის შავი ზღვის პორტების საგარეო ვაჭრობა 1862—1881 წწ.

წლები საშუალოწლიური	საერთო ბრუნვა ათას მანეთობით	მათ შორის		განსხვავება +—
		ექსპორტი	იმპორტი	
1862—1866	23135	17419	5716	+11703
საშუალოწლიური	4627	3484	1143	+ 2341
	100%	75,3	24,7	
1868—1871	32105	15098	17008	— 1910
საშუალოწლიური	6421	3020	3402	— 382
	100%	47,0	53,0	
1872—1876	29914	23352	6562	+16791
საშუალოწლიური	5983	4670	1312	+ 3358
	100%	78,1	29,9	
1877—1881	29066	22582	6485	+16097
საშუალოწლიური	5813	4616	1297	+ 3219
	100%	77,7	22,3	
1878—1881 წწ. მეტი იყო 1862—1866 წწ. შედარებით	25,6%	29,6%	13,4%	

ცხრილი 17

შავი ზღვის ამიერკავკასიის პორტებიდან გატანილ უმთავრეს საქონელთა ღირებულება (ათას მანეთობით) 1862—1881 წწ.

წლები	პური	ბამბა	მატყლი	აბრეშუმი	ხე-ტყე	სხვადასხვა საქონელი
1862—1866	1117	2477	3282	7728	7076	2109
საშუალოწლიური	223	495	656	1545	141	422
1867—1871	1527	5139	2740	4215	570	906
საშუალოწლიური	305	1028	548	843	114	181
1872—1876	4656	631	4922	9840	1575	1788
საშუალოწლიური	931	126	984	1968	303	358
1877—1881	2981	36	4405	8418	923	5818
საშუალოწლიური	596	7	881	1684	185	1164
1877—1881 წწ. მეტი იყო 1869—1866 წწ. შედარებით	167,0%	—98,5%	34,2%	8,9%	30,7%	175,0%

შავი ზღვის პორტებით გაჰქონდათ როგორც ადგილობრივი (რუსული, კავკასიური), ისე სპარსული (სატრანზიტო) საქონელი, რაც, გასაგებია, იწვევდა მათ შორის კონკურენციას. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ბამბის ექსპორტი შეუჩერებლად მცირდება, მაგრამ უფრო მცირდება სატრანზიტო ბამბის გატანა, რაც ღირებულების მიხედვით 1862—1866 წწ. შეადგენდა მთელი ექსპორტის დაახლოებით ათ პროცენტს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ სატრანზიტო საქონლის საერთოდ და კერძოდ ბამბის ღირებულება (ფასი) აღირიცხებოდა თვით მეტრანზიტის განცხადების საფუძველზე. ხოლო როგორც აუთენტური საბუთები მოწმობენ, გასაგები მიზეზებისა გამო, „ბატონი ვაჭრები თავიანთი საქონლის ღირებულებას ფრიად შემცირებულად აცხადებდნენ". მეორე მხრივ, როლს თამაშობდა ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში მსოფლიო ბაზრებზე ბამბის ფასები კლებულობდა[52] — ეგვიპტური, ინდური და ამერიკული პროდუქტის კონკურენციის შედეგად.

---

[52] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, 1965, თბ. ტ. IV, წიგნი I, გვ. 233—483.

აბრეშუმი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანზიტო საქონელი იყო და მისი ექსპორტის 30—18 პროცენტს იმპორტული (ირანული) პროდუქტი შეადგენდა; გატანილი მატყლის 99—97 პროცენტი ადგილობრივი იყო.

შედარებით ნაკლები ზომით, ხანაც ეპიზოდურად, გაჰქონდათ ისეთი საქონელი როგორიცაა პური, ხე-ტყე, აბრეშუმის თესლი (1862—1871 წწ.), თამბაქო, ოპიუმი, საღებავები და სხვა.

V. შინაგანი ვაჭრობა

1. კომერციული თაოსნობის ფორმები (ვაჭრობა, იჯარები)

შელავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის ბოლო წლებში საერთოდ ამიერკავკასიაში, კერძოდ თბილისსა და სხვა ქალაქებშიც, როგორც იყვნენ, მაგალითად, განჯა, ბაქო, შემახია, ქუთაისი აშკარად შეიმჩნეოდა კომერციული ცხოვრების ერთგვარი აღორძინება. ეს ეტყობოდა როგორც შინაგანი და საგარეო ვაჭრობის, საოჯახო მრეწველობის, ხელოსნობის, შინამრეწველობის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის, ისე თვით სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებს.

მაგალითად, სახაზინო ექსპედიციის მიერ მხოლოდ 1828 წელს დადებული კონტრაქტების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ დროს აქ მსხვილი მეიჯარეები, მეიჯარე-ჩამბარებლები, -მიმწოდებლები და შემსყიდველები საკმაოდ მოიპოვებოდნენ.

ასეთები იყვნენ, მაგალითად:

1. გ. გურგინბეგოვი და დავით იასამანოვი (საპნის წარმოების მონოპოლია) . . .	კონტრაქტის თანხა მანეთობით . 20.000—250.000
2. ივ. ბეგთაბეგიშვილი და აღა ზარქარბეგოვი (ბარგის გადაზიდვა, ტრანსპორტი)	1.000—4.000
3. თავადი გლახა არღუთაშვილი (შეშის მიწოდება)	7.000—10.000
4. მოქალაქე გედეონ თანდილაშვილი (ჯარის ნაწილებისათვის 11 ათასი თუნგი ძმრის და შეშის მიწოდება) .	. 40.000—50.000
5. ივგორა შადინოვი (განჯაში ტყავის წარმოების მონოპოლია)	1.000—3.000

6. ივანე მანდენაშვილი (დუშელი)
(ქ. დუშეთში გასაყიდად შეტანილ საქონელზე
ბაქის აკრეფა) 2.000—3.000
7. აფრიამ ევანგულაშვილი
(განჯის პროვინციის საბალახოების იჯარა) 3.000—5.000
8. ალაბეგ პატრიარქოვი (განჯელი)
(განჯისა და სამუხის სამღებროების მეიჯარე-
შემსყიდველი; განჯის საფეიქრო სარეწავებიდან
საფასურის აკრეფა) . . . . 40.000—75.000
9. ივანე მანდენაშვილი და ა. ოქოევი
(ბორჩალოში თევზაობის მონოპოლია) 2.000—3.000
10. აღა ზაქარბეგოვი
(თბილისის საშტემპელოს მეიჯარე-შემსყიდველი 40.000—50.000
11. ნიანია ბასარულაშვილი (ი. ორბელიანის ყმა)
(თევზაობა, მდ. ხრამზე, ბორჩალოს დისტანციაში) . . 2.000—3.000
12. არუთინ კუკუჯანაშვილი (სამხედრო ამუნიციის გადაზიდვა) 2.000—3.000
13. თბილისელი მოქალაქე დავით ტატევოსოვი (სამხედრო
ამუნიციის გადაზიდვა) . . 3.000—5.000
14. პოდპორუჩიკი დიმ. კალატოზიშვილი
(სახაზინო უწყებისათვის ცხენებისა და
ჩაფარხანების — გამყოლების — მიწოდება) 20.000—25.000
15. თბილისელი მოქალაქე სტეფანე ანანოვი
(სამხედრო უწყებისათვის ტრანსპორტისა და
ჩაფარხანების მიწოდება) 30.000—40.000
16. აზნაური კონა ყორღანაშვილი
(საფოსტო სადგურების შენება და თავლების
შენახვა) . . 25.000—30.000
17. თბილისელი მოქალაქე გიგო აბაზაშვილი
(ირანიდან კონტრიბუციის სახით მიღებული 3.000 ფუთი
ვერცხლის გადმოზიდვა. ეს იყო ა. გრიბოედოვის სისხლის საფასურად
და საერთოდ რუსეთისათვის მიყენებული „ზარალის“ საზღაურად
გადახდილი 20 მლნ. მან. ხარკის ნაწილი). 3.000—5.000
18. ივანე ისარლიშვილი
(განჯის მაზრის სახაზინო მიწების იჯარა). . 6.000—7.000

ასეთ ვაჭართა და მეიჯარეთა მდგომარეობის განმტკიცებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ზოგიერთი მათგანი, რამდენადაც კონტრაქტის დროულად და სისრულით განაღდებას ხშირად აღწევდა, თანდათანობით ხელთ იგდებდა ამა თუ იმ კომერციული ოპერაციის მონოპოლიას. ასეთ მონოპოლიას ადრე, მით უფრო ადვილად, ანიჭებდა მათ ადგილობრივი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფლება, რომ უკანასკნელთა მეთაურები უმეტესწილად „შეხმატკბილებულად მუშაობდნენ“ ამ გათავისიანებულ კომერ-

ციულ აგენტებთან. ორივე ესენი მოხერხებულად მდიდრდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისა და ბაზინის ხარჯზე.

მაგალითად, 1824 წლის აპრილს საქართველოს გუბერნატორი გენ. ხოვენი სახაზინო ექსპედიციისადმი გაცემული ბრძანებით მოითხოვდა, რომ ქ. თბილისში ხორცით ვაჭრობის პრივილეგია იჯარით გაეცათ კერძო პირზე, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქალაქის მოსახლეობის ხორცით მომარაგების უზრუნველყოფა. გენ. ხოვენი ამასთანავე ასახელებს თბილისელ ვაჭრებს, რომელთაც თურმე ამ იჯარის აღების კეთილი სურვილი განუცხადებიათ. ესენი არიან ავთანდილ ზარაფიშვილი, ტ. ულანცოვი და აპრიამ ევანგულაშვილი, რომლებიც თანხმდებოდნენ ქალაქში ხორცი გაეყიდათ წინასწარ დადგენილი ნიხრების მიხედვით[1].

ამ საკითხთან დაკავშირებით, სახაზინო ექსპედიციის (Казенная эксп. Верх. грузинского правительства) მიერ მოპოვებული ცნობებით გამოირკვა, რომ თბილისში ხორცით ვაჭრობა იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე გაიცემოდა 1808 წლამდე. ცხადია, თვით ეს წესი დადგენილი იქნებოდა არა უადრეს 1801 წლისა. ხოლო 1809 წლიდან იმპერატორის მიერ გაცემული ბრძანებით გაუქმებულა აქ ხორცით ვაჭრობის პრივილეგია (მონოპოლია). ამ უკანასკნელი მომენტის საფუძველზე სახაზინო ექსპედიცია თავდაპირველად არ ეთანხმებოდა საქართველოს გუბერნატორის განკარგულებას; მაინც, მალე იგი იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა საჯარო ვაჭრობა ამ იჯარის გაცემის შესახებ. მაგრამ ეს კომერციული ხრიკი საბოლოოდ მაინც ვერ გავიდა.

იმპერიის ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა გენ. ერმოლოვის, საქართველოს მთავარსარდლის, დასკვნას, რომ „ვაჭრობაში ასეთი განსაკუთრებული წესები (ე. ი. ხორცით ვაჭრობის მონოპოლიის გაცემა) უფრო ავიწროებს მეწარმეობას და არც საზოგადოებისათვის აჩრის სასარგებლო; და რომ იმპერატორის ბრძანებით უკვე დიდი ხნის წინათ გაუქმებული ხორცით ვაჭრობის იჯარით გაცემის წესი სარგებლობას არ მოუტანდა ხაზინას, ხოლო მეტად დაამძიმებდა მცხოვრებთა მდგომარეობას“[2].

ჩვეულებრივ სახაზინო ექსპედიციის მოხელეები ყველაზე ხელსაყრელ საჯარო ობიექტებს თავიანთ ახლობელ პირებს აძლევდნენ, ანდა თვითონ იღებდნენ. ასე, მაგალითად, 1804 წ. სტატსკი სო-

---

[1] ЦАУ ГССР, ф. 5[3], ВГПКЭ. 1924, д. № 313, лл. 1—15.

[2] იქვე, ფურც. 17—18.

ვეტნიკმა ტარასოვმა (სახაზინო ექსპედიციის უფროსმა) ყოფილი სამეფო ზვრებიდან, რაც ამ დროს რუსეთის ხაზინის საკუთრება იყო, ყველაზე საუკეთესო და შემოსავლიანი ზვარი იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე მისცა... თავის ცოლს. ცხადია, ფრიად მცირე გამოსასყიდელით.

აღშფოთებული პ. ციციანოვი ამის შესახებ მოახსენებს თვით იმპერატორს[3], რომელსაც ამასთანავე ატყობინებს, თუ რაოდენ შაცდური ხერხებით კადრულობენ მოსყიდვას, მოქრთამვას, ქურდობას და მითვისებას თვით სახაზინო შემოსავლისა, რომ არა ვთქვათ რა კერძო პირთა და ეკლესია-მონასტრების აშკარა ძარცვის შესახებ, რასაც ესოდენ უდრტვინველად და მეთოდურად აკეთებდნენ ისინი, რომლებიც ამ ქვეყნად მშვიდობის, პიროვნების ხელუხლებლობის, მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და მფარველობისათვის იყვნენ მოვლენილნი.

საერთოდ, სხვადასხვა სახის სამხედრო თუ სამოქალაქო იჯარები როგორც სახელმწიფოს შემოსავალთა მითვისების, ასევე მოსახლეობისაგან მრავალგვარი ძალსაბოჭის ამოქაჩვის გზით ათასგვარი მაქინაციებისა და, მაშასადამე, გამდიდრების უაღრესად გავრცელებული ფორმა იყო.

კერძო პირზე იჯარით გაცემული სახელმწიფოს შემოსავლის ესა თუ ის წყარო ფაქტიურად მეიჯარის მესარეწეობას წარმოადგენდა. მეიჯარეს მრავალგვარი საშუალება შეეძლო გამოეძებნა (მოქრთამეა, მოტყუება, ქურდობა, მუქარა) იმისათვის, რათა საიჯარო თანხა ხაზინაში ან სულ არ შეეტანა, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ გადაეცა, ოფიციალურად იმ მოტივით, რომ მან იზარალა, არა თუ რაიმე სარგებლობა ვერ ნახა; ანდა ნავარაუდევი რაოდენობით შემოსავალი ვერ მიიღო; მაშინ, როდესაც, რიგ შემთხვევაში, როგორც სამხილები მოწმობენ, ბევრად მეტი ჩაიჯიბა, ვინემ კონტრაქტით შეიძლება ყოფილიყო გათვალისწინებული.

მრავალთაგან ერთი ფაქტიური მაგალითი. 1820-იანი წლების გასულს გახმაურდა საქმე პენზის ვიცე-გუბერნატორისა, რომელიც ითხოვდა მისგან ჩამოეწერათ დაახლოებით 35 ათასი მანეთი ვალი, რაც მასზე ირიცხებოდა საქართველოს სახაზინო ექსპედიციის უფროსად ყოფნის დროიდან. აქ მას 1822—1826 წწ. იჯარით გაუცია შაქის პროვინციის საშემოსავლო წყაროები.: 1. დალალხანის ანუ პირუტყვის (ჯოგის) გაყიდვის; 2. რახტარის ანუ საბაჟოსი; 3.

---

[3] АСКАК, II, № 96, с. 57—58.

სპასაკლაოსი; 4. მდ. მტკვარზე მგზავრთა გადაყვანის და თევზის ჭერისა და 5. ქარვასლებისა და დუქნების ქირის აკრების უფლება. მეიჯარე-გამომსყიდველი ამ ობიექტებისა ადრე ყოფილა თავ. დავით აბხაზი, რომელსაც ეს იჯარები, თავის მხრივ, სხვისთვის გადაუცია. ჩვეულებრივ არისტოკრატიული მეწარმეები ასეთ ოპერაციებს თავიანთი ბიუების, ყმების ანდა ე. წ. უგვარო ვაჭრების ხელით აკეთებდნენ. იმ სხვას, თავის მხრივ, საქმე კიდევ სხვისთვის გადაუბარებია და, ამ ხეულებში... საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ხაზინაში საიჯარო შემოსავალი არავის არ შეუტანია. სახელმწიფომ დიდძალი თანხები დაკარგა. საქმე ვალების ჩამოწერით დაიხურა[4].

2. ADMINISTRATIVE REFORMS

შელავათების აღკვეთის შემდეგ ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, 1830-იანი წლებიდან ტარდებოდა რიგი ღონისძიება მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის (ფოსტის) საშუალებათა გაუმჯობესებისათვის[5], შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებს შორის რეგულარული ნაოსნობისათვის[6]; კრედიტისა და კერძოდ სარგებლის (პროცენტის) ნორმალიზაციისათვის; უძრავი ქონების გირავნობით კერძო პირთაგან გლეხების მიერ სესხის აღებისათვის[8]; ფულის ტრიალის მოწესრიგებისათვის[9]; საბაჟო კანონმდებლობისა და ბაჟის ტარიფების დარგში „აუცილებელ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის სახით"[10] და სხვ.

ამ ღონისძიებათა შორის, ცხადია, წინაპლანზე იყო ამ მხარის ადმინისტრაციული, არსებითად ყოველთვის ბიუროკრატიული მმართველობის გაუმჯობესების (დაუსრულებელი გაუმჯობესების და მაინც ყოველთვის მახინჯი), გამგებლობის მოწესრიგების საკითხი.

1841 წ. იანვრიდან გატარდა ამიერკავკასიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. წარმოიქმნა: საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელშიც თავდაპირველად შევიდა შავი და კასპიის ზღვებს

---

[4] ЛОЦИА, ф. АНХ, д. № 12571, фонд. лит . «А».
[5] II ПСЗРИ, СПБ, 1837, т. XI, отд. II, № 9798, с. 303—305.
[6] АСКАК, т. VII, № 5209, с. 123—124.
[7] II ПСЗРИ, т. X, отд. I, № 8198, с. 683—684, № 8698. с. 1238—1240.
[8] Там же, № 8501, с. 1045—1047.
[9] Там же, отд. II, № 8375, с. 933—934.
[10] II ПСЗРИ, т. XI, № 8739, с. 1—2, № 9250, с. 648—651.

შორის რუსეთის იმპერიის მიწები, სახელდობრ, სტავროპოლის რაიონი, შავი ზღვის კაზაკების სამფლობელოები, თითქმის მთელი ტერიტორია სპარსეთ-თურქეთის საზღვრებამდე. საკუთრად საქართველო-იმერეთის გუბერნიის მაზრები იყო: თბილისის (საგუბერნიო ცენტრი), გორის, თელავის, ბელაქნის, ნახჭევანის, განჯის (ელისავეტპოლის), ალექსანდროპოლის (გუმბრის), ერევნის, ახალციხის, ქუთაისისა და გურიის, სულ 11 მაზრა, რაც კიდევ, თავის მხრივ იყოფოდა 44 რაიონად. ცალკე გამოეყო კასპიის ოკრუგი, შემდეგში ბაქოს გუბერნია, რომელშიც შედიოდა დერბენდიც.

შემდეგში, 1847 წელს ქუთაისის მაზრა (იმერეთი) გადაკეთდა ქუთაისის გუბერნიად, რაც იყოფოდა ქუთაისის, გურიისა და ახალციხის მაზრებად. 1850 წ. ცალკე გამოეყო ერევნის გუბერნია — ერევნის, ნახჭევანისა და ალექსანდროპოლის მაზრებით. საქართველო-იმერეთის გუბერნიის დანარჩენი ნაწილისაგან წარმოიქმნა თბილისის გუბერნია, რომელშიც შედიოდა — თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და ელისავეტპოლის მაზრები და მთიულეთის, ოსეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ოკრუგები. 1867 წელს თბილისის გუბერნიას გამოეყო ელისავეტპოლის მაზრა, რომელიც გადაკეთდა ამავე სახელწოდების გუბერნიად[11].

გენ. გოლოვინი და სენატორი განი 1841 წ. 2 აპრილის თარიღით წარდგენილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში თავიანთ აღტაცებას გამოთქვამდნენ მათთვის დავალებული საქმის — ამიერკავკასიაში ადმინისტრაციული და ფინანსური მმართველობის ახალი სისტემის შემუშავების — წარმატებით დაგვირგვინების გამო და აღნიშნავენ თითქოს უდიდეს მიღწევებს, რამაც, ვითომ, ეს მხარე პირდაპირ ააყვავა და აქ დაამკვიდრა მშვიდობიანი შრომისა და მესარეწეობის ეპოქა.

ისინი აცხადებენ: რომ აქ ახლა, მას მერმე რაც „ახალმა ფინანსურმა სისტემამ უზრუნველყო საკუთრება, მოწესრიგებულია ნატურით გადასახდელი ბეგარები და ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის დამზადება, ისღა დარჩა გასაკეთებელი, რომ ვასწავლოთ სოფლელს უკეთესი ხელოვნებით ფლობდეს მიწათმოქმედების იარაღებს, რათა უკეთესად მოიპოვოს მიწიდან მრავალგვარი ნაწარმოები; რომ მივსცეთ მას პირველდაწყებითი სწავლა, რასაც ესოდენ დახარბე-

---

[11] С. Есадзе, Историческая записка об управлении Кавказом, тт. I. II, 1907. Тифлис; В. И. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, 1901, Тифлис.

ბული არიან ისინი; ამიერკავკასიელთა, მოქალაქეობრივ ყოფიერებაში ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხალხის, სწავლა-აღზრდისათვის საჭირო არაა ნახტომები, აქ საჭირო არაა უნივერსიტეტები, არც ფაბრიკები, არც ძვირად ღირებული დაწესებულებები; აქ საჭიროა კომერციული გზები[12], რათა ეს მხარე დაუახლოვდეს სამშობლო რუსეთს, იქ თავის ნედლეულ ნაწარმოებთა გასაღებისა და მისსამაგიეროდ იქიდან მანუფაქტურულ (მრეწველობის — პ. გ.) ნაკეთობათა მისაღებად"[13].

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

3. ზომა-წონის ერთეულები

მართალია, თბილისში წვრილ ვაჭრობაში ოფიციალურად 1803 წლიდან შემოღებული იყო რუსული ზომა-წონის ერთეულები, ხოლო 1818 წლიდან შემოვიდა დიდი საწონებიც, მაგრამ ქალაქში და მით უფრო პროვინციულ სავაჭრო ადგილებში მთელი რიგი ათეული წლების მანძილზე გაბატონებული იყო ძველებური, ქართული ზომა-წონის ერთეულები. ასე, მაგალითად, 1835 წ., როგორც ერთი დამკვირვებელი აგვიწერს, თბილისელი ვაჭარი მანუფაქტურას (ტექსტილურ ნაწარმს) რუს ხელზე ჰყიდდა არშინობით, ხოლო ადგილობრივ მკვიდრზე ქართული ალაბით, რაც მეოთხედი არშინით მეტი იყო სიგრძის რუსულ საზომზე[14].

სითხეთა საწყავშიც, თვით მეოცე საუკუნემდე, მაგალითად, ღვინის ვაჭრობაში, გავრცელებული რჩებოდა საპალნე და თუნგი, კოკა და ხელადა; ასევე მოცულობითს საზომებში — კოდი, ლიტრა და სხვ.

შინაგანი ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად ადმინისტრაციის მიერ მიჩნეული იყო საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში მრავალგვარი ადგილობრივი ზომა-წონის ერთეულების ნაცვლად შემოეღოთ და დაეკანონებინათ რუსული ზომა-წონის სისტემა.

---

[12] შეადარე: Н. Шавров, О постройке гаваней в Поти («Морск. сборник», 1863, № 11, СПБ); А. Соколов, Путешествие мое в Имеретию, 1874, М.

[13] АСКАК, XI, № 33, с. 28—29; კურსივი ჩვენია — პ. გ.

[14] ОРВЗ, I, 261.

სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს მოხსენებით ბარათში 1831 წ. აღნიშნავენ:

„სხვადასხვაობა წონისა და ზომის ერთეულებისა ამიერკავკასიაში ისე უთვალავია, რომ არა მხოლოდ ყოველ ოლქში, არამედ ყოველ პროვინციაში ყოველ რაიონში (მაჰალში) ისინი სულ სხვანაირია. ხშირად ერთსა და იმავე პროვინციაში არსებობს განსხვავებული საწონი სურსათ-სანოვაგისათვის და კიდევ სხვანაირი აბრეშუმისათვის. არშინები, რომლებიც ახლა მრავალ პროვინციაში გამოიყენება, სხვა არაფერია თუ არა ხის ჯოხები, რაც არაა დაყოფილი ვერშოკებად და რასაც არა აქვს დაღი. საწონებად იყენებენ სხვადასხვა სიდიდის ქვებს, ანდა ძველი რკინის ნატეხებს, რომელთა რაობა (წონადობა) ცნობილია მხოლოდღა მათი პატრონისათვის“[15].

ისინი მოითხოვდნენ, რათა გადამწყვეტი ზომები ყოფილიყო მიღებული ამიერკავკასიაში რუსული ზომა-წონის ერთეულების შემოღებისათვის. რიგი ამგვარი აქციის შემდეგ 1832 წლის 2 აგვისტოს გამოიცა კანონი, რითაც საქართველოსა და ამიერკავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას ევალებოდა, რათა აქ „ყოველი წესიერი ღონისძიებით, იძულების გარეშე და თანდათანობით შემოეღოთ მოსაკრებელთა ნატურით აღებასა და სხვა შემთხვევებშიც რუსული საწონები და საზომები“.

ამ ღონისძიების გატარებისათვის უნდა შეედგინათ ცხრილები, მაგალითად, რუსულ და ქართულ ენებზე რუსული და ქართული ზომა-წონის ერთეულების შეფარდებათა ჩვენებით და ეს ცხრილები გამოეკრათ სათანადო ადგილებში, სოფლად და ქალაქად. ამასთანავე ადგილობრივ ხელოსნებს ნება ეძლეოდათ ეკეთებინათ სპილენძის სასწორები და საწონები, რომელთაც უნდა ჰქონოდა ადმინისტრაციისაგან დადებული დაღი[16].

მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ამ დროს თვით შიგა რუსეთის გუბერნიებშიც ბევრგან არ იყო ეს „საყოველთაოდ მიღებული“ რუსული ზომა-წონის ერთეულები დამკვიდრებული და გაბატონებული, რასაც უწინარეს ყოვლისა აფერხებდა ის გარემოება, რომ რუსეთში არ იყო სათანადო ქარხნები, რომელთაც შეძლებოდათ ამ ზომა-წონის იარაღების მასობრივად დამზადება და, მაშასადამე, გავრცელება[17]. ამას ემატებოდა აგრეთვე ადგილებზე განმტკიცებუ-

---

[15] АСКАК, т. VIII, с. 12.
[16] იქვე, გვ. 539.
[17] II ПСЗРИ, т. VII, № 5535, с. 538.

ლი რუტინა, ტრადიციის ძალა და, საბოლოოდ, ამიერკავკასიაში კიდევ დიდი დრო უნდა გასულიყო, სანამ ზომა-წონის სასურველი მოწესრიგება იქნებოდა მიღწეული; რაც ზოგიერთ შემთხვევაში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულშიც კი სანატრელ ოცნებას წარმოადგენდა.

საერთოდ მე-19 საუკუნეში აქ ზომა-წონის ერთეულთა ევოლუციისა და მოწესრიგების საკითხს ჩვენ დეტალურად გავაშუქებთ სპეციალურ გამოკვლევაში.

4. შეცვლილი ვითარება

1821—1831 წწ. ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთის შემდეგ, ტრაპიზონში შეიქმნა „ინგლისელ ვაჭართა მდიდარი, ძლიერი და თაოსნიანი კომპანია. მისი აზრია ხელში ჩაიგდოს მცირე აზიისა და სპარსეთის მთელი ვაჭრობა. მსგავსად ყველა სხვა ინგლისური კომპანიისა იგი ცდილობს გავლენა მოიპოვოს ამ ქვეყნების პოლიტიკურ საქმეებშიც. ნაწილობრივ მან უკვე მიაღწია ამ მიზანს იმით, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა და უფროსთა სარფიანობის ინტერესები შეუხამა საკუთარ სარგებლიანობას და მრავალმხრივ ხელს უშლის სულთანის ჩვენდამი სასარგებლო ღონისძიებებს, მაგალითად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე კონტრაბანდის შეწყვეტისათვის“...

ამ კომპანიას ხელს არ აძლევს „ჩვენს მიერ დაპყრობები და ჩვენი საბაჟო დებულება. მაგრამ მან იცის, რომ დღემდე ამიერკავკასიაში ჩვენი საბაჟო ლინია მოჩვენებითი დაბრკოლებაა და ამის გამოც მან თურქეთიდან და სპარსეთიდან ინგლისური ნაკეთობებით გაავსო მთელი ამიერკავკასია“. ეს კომპანია ცდილობს თავისი საქონლის რეალიზაციას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე იმ მიზნითაც, რათა შეძლებისამებრ განამტკიცოს მთიელთა ჩვენდამი მტრული განწყობილება. ცნობილი ბელი იყო ამ კომპანიის აგენტი. „ყიდის რა იაფად და დიდი ვადით ნისიად, ინგლისური კომპანია აბორიგენებს სთავაზობს წვრილი და გაცვლითი ვაჭრობის ყოველგვარ სარფიანობას. ამ კომპანიამ მოიპოვა სახალხოობა და თავის ინტერესებს გადაიბა, როგორც ისინი, რომლებიც მათგან ყიდულობენ საქონელს, ისე ისინიც, რომლებიც მათზე ჰყიდიან თავისას, ე. ი. ამ ქვეყნის ყველა მცხოვრებიო — აცხადებს ოფიციალური მიმომხილველი[18].

[18] ЛОЦИА, ф. КК, 1841, д. 134, ч. IV, лл. 7—8.

მართალია, ტრანზიტის აკრძალვის შემდეგ მთავრობა ცდილობდა აქ გაეძლიერებინა რუსულ ნაკეთობათა რეალიზაცია, მაგრამ, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ გარემოებათა გარდა, ეს მისწრაფება განუხორციელებელი რჩებოდა იმიტომაც, რომ „ჩვენმა ვაჭრებმა ამით ვერ ისარგებლეს. ყოველგვარი რუსული საქონელი მიმოაქვთ ბორბლებზე — მაკარიის იარმარქტიდან თბილისში, საქართველოს სამხედრო გზით. ჩვენი ვაჭრები კიდევ ვერ მიხვდნენ, რომ ამიერკავკასიის მომარაგება რუსეთის მრეწველობის ცენტრიდან, მოსკოვიდან, შეიძლება ვოლგითა და კასპიის ზღვით. რუსული ნაკეთობებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების მომარაგება კიდევ უფრო საოცარია... ჩვენი საქონელი, რაც კი იმერეთს, სამეგრელოს, გურიასა და აბხაზეთს აღწევს, ეს ისაა, რაც მაკარიის იარმარქტიდან ბორბლებზე იგზავნება თბილისში, ხოლო აქედან უკვე საპალნეებით მიაქვთ ძნელად გადასავლელი გზებით დასახელებულ ქვეყნებში. რუსი ვაჭრებისათვის არ არსებობს სოხუმი, ასევე როგორც კასპიის ზღვის პორტები... სომხებისა და ბერძნების რამდენიმე ხომალდს ყირიმიდან აბხაზეთსა და სამეგრელოში ჩააქვთ ფრიად მცირე რაოდენობით რუსული მარილი და რკინა: ასტრახანელ სპარსელთა რამდენიმე ხომალდს იქიდან საქონელი ჩააქვს კასპიის პორტებში. აი, საცოდავი სურათი რუსული ვაჭრობისა კასპიის ზღვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებზე!“, — ასკვნის გენ. რაევსკი.

კავკასიის მთავარმართებელი გენერალი გოლოვინი სპეციალურ ღონისძიებებს სახავს სამხრეთ რუსეთსა და შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისათვის[19].

1842 წ. 28 მაისს იგი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს, სამხედრო მინისტრს თავად ა. ჩერნიშევს სწერდა: „ოდესღაც ბერძენთა და გენუელთა კოლონიებით მოფენილი შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროები ვაჭრობის მხრივ წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ქვეყანას... ამ სანაპიროებზე ჩვენი ბატონობის სასწრაფოდ განმტკიცებისათვისაც აუცილებელია დაწესდეს მასსა და სამხრეთ რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა. საეჭვო არაა, რომ ასეთი ურთიერთობა ამასთანავე დიდად შეუწყობს ხელს როგორც ამიერკავკასიის, ასევე სამხრეთ რუსეთის გამდიდრებას“.

მერმე იგი აღნიშნავს, რომ სამხრეთ რუსეთში გაუსაღებელი რჩება დიდძალი პირველი მოთხოვნილების პროდუქტები (სურსათ-

[19] ЛОЦИА, ф. КК, 1841, д. № 134, ч. IV, лл. 9—10.

სანოვაგე და სხვ.) და მრავალგვარი ნაკეთობანი, რომელთა საქართველოს სამხედრო გზით ამიერკავკასიაში შეზიდვა მეტად გაძნელებულია, ხოლო საზღვაო გზით ამის გაკეთება ადვილია და სხვ. მეორე მხრივ, აქედან, მაგალითად, გურიიდან ბევრი მომგებიანი საქონლის (ხე-ტყის) გატანა შეიძლება. გურულმა თავადებმა ხელშეკრულებები დადვეს თურქეთის ქვეშევრდომ სარდინიელ ბოზოსთან და ინგლისელ ვაჭრებთან (მართან) 40 ათასი მან. მუხის მერქნის მიწოდებაზე[20]; მათთვის „ახლანდელ ნახევრადველურ მდგომარეობაშიც უცხო არაა ვაჭრობისა და იჯარებისადმიც კი მისწრაფება"; — რომ ხე-ტყის აქედან გატანის ოპერაციები ფრიად პერსპექტიულია.

„ამ ნაწარმოებებით ვაჭრობა აბორიგენებს აიძულებს გაკაფონ ტყე, რასაც მოჰყვება ჭაობების ამოშრობა და ჰაერიც თანდათანობით გაიწმინდება და აღარ იქნება დამღუპველი. ჩვენს გაცვლის პუნქტებთან ხე-ტყისა და შეშის მიტანა მთიულებს აიძულებს გაჭრან ტყეები და გაიყვანონ გზები. ჰიღებული სარფიანობის მეოხებით ისინი უფრო ხშირად მოვლენ გაცვლის პუნქტებში და დაუახლოვდებიან რუსებს და, ბოლოს, ექნებათ რა მტაცებლობის გარდა გამდიდრების სხვა საშუალება, ნელ-ნელა თავს დაანებებენ თავიანთ მხედრულ მიდრეკილებებს"[21].

ასეთ ღონისძიებათა რეალიზაციის მიზნით გენ. გოლოვინი უკავშირდება უახლოეს მეზობელს, დიდ სახელმწიფოებრივ მოხელეს, ნოვოროსიისკის გენ.-გუბ., გენ.-ად., გრაფ მ. ვორონცოვს (ბომავალ კავკასიის ნამესტნიკს), როგორც ამ ორივე მხარეს შორის კომერციული ურთიერთობის საკითხით დაინტერესებულს და წინადადებას აყენებს შავი ზღვის ამიერკავკასიის, ე. ი. საქართველოს სანაპიროებზე ვაჭრობის გაჩაღებისათვის შეიქმნას სავაჭრო კომპანია. მ. ვორონცოვმა, ამ საკითხის შესწავლისათვის, ოდესელ ყველაზე გამოცდილ და საპატიო ნეგოციანტებისაგან შეადგინა „დროებითი კომიტეტი".

---

[20] ამიერკავკასიის ადმინისტრაციამ 1842 წ. წამოაყენა საკითხი ხე-ტყის ექსპორტის აკრძალვისა, მაგრამ იმპერატორმა ნება დართო როგორც გურიის, ასევე სამეგრელოსა და აბხაზეთის მთავრებს თავისუფლად ევაჭრათ უცხოელებთან მათი საექსპორტო ხე-ტყით (П. Гугушвили. СХАО, т. II, с. 347—348; ЛОЦИА, ф. КК, 1841—1844, д. № 134, ч. IV, лл. 55—57); 1846 წლიდან უკვე საბაჟო საფასურით დაიბეგრა ხე-ტყის (მუხის, კაკლის, ძელქვის, ბზისა და სხვ.) ექსპორტი.

[21] ЛОЦИА, ф. КК, д. № 134, ч. IV, лл. 26—30.

ოდესელი ნეგოციანტების აზრით, მოსალოდნელი სარფიანობა გაურკვეველი იყო. მაინც, ისინი, რიგ საბაჟო შემსუბუქებათა გარდა, ითხოვდნენ განსაკუთრებულ პრივილეგიებს 25, 30 და 50 წლითაც კი; ზოგიერთს კიდევ სასურველად მიაჩნდა „შავი ზღვის აღმ. სანაპიროებზე არსებული რუსული სიმაგრეების ისეთ ფაქტორიებად გადაკეთება, როგორიც ჰქონდათ ინგლისელებს ოსტინდოეთში“.

ეს უკანასკნელი წინადადება გენ. გოლოვინს ყოვლად მიუღებლად მიაჩნდა, ხოლო რაც შეეხება ვაჭრებისათვის პრივილეგიების მიცემას, იგი გრაფ ვორონცოვთან ერთად იმ აზრისა იყო, რომ პრივილეგიებით მინიჭებული უპირატესობა ხელს შეუშლიდა კონკურენციას და საერთოდ ვაჭრობის განვითარებას. ამიტომაც ვორონცოვის შეხედულებით მიზანშეწონილი იყო რამდენიმე თავისუფალი კომპანიის შედგენა. ოღონდ ამ შემთხვევაში იგი აუცილებლად თვლიდა:

1. რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად წოდებისა და საგილდიო გადასახდელის გარეშე, მიენიჭოს ვაჭრობის სრული თავისუფლება შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ყველა პორტსა და ნავმისადგომზე. მათ აეკრძალოთ აქ მოტანა მხოლოდ თოფის წამლის, ტყვიის, ცეცხლმსროლელი იარაღის, საერთოდ აღჭურვილობისა, რასაც სამხედრო კონტრაბანდა ეწოდება; 2. ამ პორტებში საქონლით მოსული გემები გაეთავისუფლებინათ ღუზისა და ტვირთის მოსაკრებლისაგან; 3. — გაეთავისუფლებინათ საბაჟო საფასურებისაგან, ან შეემცირებინათ ისინი; 4. ყოველგვარი საქონელი, რაც სამხრეთ რუსეთის პორტებიდან გაიგზავნება აღმ. სანაპიროებში გაეთავისუფლებინათ სააქციზო მოსაკრებელისაგან, ისე რიგორც 1842 წ. დამტკიცებული ტარიფით თავისუფლდება აქ მოტანილი მარილი; 5. გაეთავისუფლებინათ ბაჟისაგან აღმ. სანაპიროს ყოველგვარი ნაწარმი, რაც შეეტანება რუსეთის შავი და აზოვის ზღვების პორტებში და გაიგზავნება საზღვარგარეთ; 6. გარკვეული დროით დაეწესებინათ გურიიდან მუხისა და კაკლის ხეების თავისუფალი ექსპორტი, რაც ახლა აკრძალულია; 7. ადგილობრივ უფროსებს ვაჭრებისათვის ხელი შეეწყოთ ტვირთის გადაზიდვის, ვაჭრობის, საქონლის დაცვის, საწყობთა გამოყოფისა და სხვა სახით; 8. სააქციზო მოსაკრებლისაგან გაეთავისუფლებინათ ყველა სორტის ყურძნის ღვინის და, თუ შესაძლებელი იქნება, არაყის გაყიდვა და 9. თუ ადმინისტრაცია საჭიროდ დაინახავს, შეამციროს, შესცვალოს ან სავსებითაც მოსპოს ჩამოთვლილი უპირატესობანი, იგი ვალდებუ-

ლია ამის შესახებ ერთი წლით მაინც ადრე შეატყობინოს ვაჭრებს, რომ მათ შეეძლოთ მათთვის საჭირო თადარიგის დროულად დაჭერა, რათა არ დაზარალდნენ.

მთიელებთან ვაჭრობის მთავარ პუნქტად მიჩნეული იყო სოხუმი „მანამ, სანამ მთიელები კიდევ არ არიან მთლიანად დამორჩილებულნი". ამასთანავე საჭიროა შეძლებისამებრ გაუმჯობესდეს სოხუმსა და თბილისს, ყულევსა და ქუთაისს შორის სამიმოსვლო გზები. ამავე პროექტით ნავარაუდევი იყო სატრანზიტო ვაჭრობის აღდგენა ოდესასა და სპარსეთს შორის[22].

5. ვაჭრობის პირობები

1843 წ. 23 ნოემბერს ფინანსთა მინისტრი კანკრინი გენ. ნეიდგარდტს სწერდა: „ჩვენს ამიერკავკასიაში ვაჭრობის შესამჩნევი დაცემის შემთხვევის გამო" იქ მივლინებულია ფინანსთა სამინისტროს აგენტი ბერლინში გაგემეისტერი, იმ დავალებით, რომ იგი ადგილზე უშუალოდ გაეცნოს ამიერკავკასიის ვაჭრობის მდგომარეობას, შეისწავლოს სათანადო მასალა და ამ საკითხზე მან თავისი მოსაზრებები თქვენ წარმოგიდგინოთ. თანაც ატყობინებს, რომ მისი ასეთი ღონისძიება მოიწონა იმპერატორმა[23].

1843 წ. შედგენილ საქართველო-იმერეთის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ამიერკავკასიაში შინაგანი ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნიათ დაწვრილებითი ცნობები. „აქამდე ასეთი ცნობების მოგროვება არ ხდებოდა" და ამიტომ „მოგვეპოვება მხოლოდ სხვადასხვა დროის ნაწილობრივი ინფორმაცია და მიმოხილვა". ვაჭრობის განვითარებას აბრკოლებენ: გზების მოუწყობლობა და ამ გზებზე მიმოსვლის საშიშროება, აგრეთვე „ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ვაჭრული თაოსნობისა და კომერციული ცოდნის არასაკმარისობა, კრედიტის მერყეობა და საერთოდ უნდობლობა და შურიანობა, რაც ვაჭართა წოდებაში არსებობს"[24].

ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „იარმარკეტები, რაც უადვილებს სოფლის მცხოვრებთ გასაღებისა და შესყიდვის საშუალებებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გორის, ქუთაისისა და

---

[22] ЛОЦИА ф. КК, д. № 134. ч. IV, лл. 60 63.
[23] АСКАК, IX, № 556, с. 659.
[24] იქვე, გვ. 608.

ვურიის მაზრების რამდენსამე სოფელს, სრულებითაც არ არის, რის ვამოც მოსახლეობა იძულებულია ხშირად მოსწყდეს თავის საქმიანობას და წავიდეს ქალაქებში, რომლებიც ზოგჯერ დიდად დაშორებულია მათი საცხოვრებელი ადგილიდან... თუმცა მათ ზოგიერთი საქონლით თავიანთ სახლში ამარაგებენ დატარებით ვაჭრობაში ჩაბმული (ხელზემოვაჭრე) ადგილობრივი და საზღვარგარეთელი ებრაელები. სოფლის მცხოვრებთა გასაყიდ საგნებს შეადგენენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტები და საოჯახო ჭონჭარების სხვადასხვა წვრილი ნაკეთობანი".

ამიერკავკასიაში ვაჭრობის მთავარი ცენტრი, ცხადია, იყო თბილისი. „მხარის საავაჭრო მოღვაწეობის ცენტრად, სრულის სამართლიანობით, შეიძლება დავასახელოთ თბილისი" — ნათქვამია ხსენებულ მიმოხილვაში. ამ დროს აქ ითვლებოდა 400-მდე ვაჭარი, თანაც ყველა მათი საავაჭრო ბრუნვა წლიურად არ აღემატებოდა 4.000.000 მან. ვერცხ. ვაჭრობის უმთავრესი საგანი იყო რუსული მანუფაქტურული (ტექსტილური) ნაწარმი და კოლონიური საქონელი; მთელი ამ საქონლით თბილისიდანვე მარაგდებოდა ამიერკავკასიის თითქმის ყველა ქალაქი.

თბილისის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა ძვ. შემახიას, განსაკუთრებით მას მერმე, რაც ის გადაიქცა საოლქო ქალაქად[25].

სამაზრო ქალაქებიდან, ამ მხრივ, სხვებზე უფრო იყო დაწინაურებული ნუხა, რაც ამიერკავკასიაში აბრეშუმის ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. ამ ვაჭრობიდან სახელმწიფო ხაზინა მხოლოდ სააქციზო მოსაკრებლის სახით ღებულობდა წლიურად 16.000 მან. აბრეშუმის ვაჭრობის მხრივ ცნობილი იყო აგრეთვე ნახჭევანის მაზრის ორი სოფელი: ზემო და ქვემო აკულისი.

ი. შოპენი, ეხება რა სომხეთის ოლქში 1830-იანი წლების მეორე ნახევარში ვაჭრობის მდგომარეობას, წერს, რომ აქ, ისევე როგორც მთელ სპარსეთში, ვაჭრები იყოფიან ოთხ კატეგორიად: 1. სოვდაგრები, რომლებიც ვაჭრობენ ბითუმად. მათ არა აქვთ დუქნები; 2. ბინახთარები, რომლებიც ვაჭრობენ ბითუმად და დუქნებშიაც (ცალობითაც); 3. ბაზაზები; ესენია წვრილი მედუქნეები და 4. ჩარჩები, ხელზე მოვაჭრენი, რომლებიც კარდაკარ დადიან სოფლებში[26]. ადგილობრივთა შორის ყველაზე მდიდრებია აკული-

---

[25] Дюкруаси-Даспик, Обзор торговых пунктов Закавказского края, 1848, Тифлис.

[26] И. Шопен, Исторический памятник... состояния Армянской области, 1852, с. 875—876.

სელი ვაჭრები, რომელთაგან ზოგიერთს აქვს 20 ათასამდე ჩერვონეცი. სპარსეთიდან გადმოსახლებულნი ღარიბებია, ხოლო თურქეთიდან გადმოსულთაგან არიან სოლიდური კაპიტალების მფლობელნი. მათ შორის მიკირტიჩ-აღა არწრუნი, ქ. ბაიაზიდიდან, რომელიც გეოქჩაის მაჰალში დასახლდა, როგორც ირწმუნებიან 10 ათას ოუმანზე მეტს ფლობს[27].

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სომეხ ვაჭრებს უკვე მე-17-18 სს. ჰქონდათ კავშირი ევროპისა და აზიის კომერციულ ცენტრებთან, რომელთაგან ზოგიერთში იყვნენ სომხური კოლონიები, რაც აადვილებდა მათს სავაჭრო კავშირებს, რაშიაც ეკლესიაც აქტიურ როლს თამაშობდა[28]. ამ კავშირებს საჭიროების დროს ცარიზმის ხელისუფლებაც იყენებდა.

სახელმწიფო მოხელეების დაკვირვებით, ამიერკავკასიის საიმპერიო სავაჭრო სისტემისათვის დაქვემდებარებამ, რაც 1831 წლის შემდეგ დაიწყო და რამაც გადაკეტა უცხოეთთან თავისუფალი ვაჭრობა, გამოიწვია მთელი გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ა ამ მხარის კომერციულ და, მაშასადამე, ეკონომიკურ ცხოვრებაში. მართალია, ამ დროიდან ვაჭრობა საერთოდ ყველგან დაეცა, მაგრამ კომერციული ცხოვრება თითქმის სულ ჩაკვდა სასაზღვრო ქალაქებში, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ერევანი, ნახჭევანი, ახალციხე და ყულევი (ნავსადგური). „გაწყდა ამხანაგური, ნათესაური, კომერციული კავშირები, რაც ამ ქალაქთა ვაჭრებს ჰქონდათ თურქეთისა და სპარსეთის მეზობელ პროვინციებთან, მას მერმე რაც შეუძლებელი გახდა ძველებური წარმატებით ევაჭრათ, ევაჭრათ კერძოდ, რუსული მანუფაქტურული ნაკეთობითაც, რასაც ძირს უთხრის კონტრაბანდის სახით შემოტანილი (უცხოური) საქონელი და რაც, მიუხედავად მთავრობის ყოველგვარი ღონისძიებისა, დღემდე გრძელდება; — ბევრი მსხვილი ვაჭარი საზღვარგარეთ წავიდა; ხოლო ვაჭართა ახალი წოდება ჯერ კიდევ არ წარმოშობილა და არც უნდა მოველოდეთ მის წარმოშობას, სანამ არ გადიდდება ქალაქთა მოსახლეობა და მცხოვრებნი არ მიეჩვევიან ჩვენი ფაბრიკების ნაწარმოებთა“ მოხმარებასო, აღნიშნავდა დამწუხრებული ოფიციალური მიმომხილველი[29].

---

[27] И. Ш о п е н, назв. соч., с. 877.

[28] Б. А р у т ю н я н, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., 1940, Ереван; А. И о а н и с и а н и, Иосиф Эмин, 1945, Ереван.

[29] Д ю к р у а с и, назв. соч. с. 78.

1840-იან წლებშიაც, როგორც ადრე, იმპერიის შინაგან ოლქებთან ამიერკავკასიის ვაჭრობა მიდიოდა ორი ქალაქის — მოსკოვისა და ნიჟნინოვგოროდის — მეშვეობით. მთავარი მაინც უკანასკნელი იყო, ამიერკავკასიელი ვაჭრები უმთავრესად ნიჟნინოვგოროდში იძენდნენ მთელი წლისათვის საჭირო რუსულ მანუფაქტურას. ეს საქონელი აქ ორი გზით მოდიოდა: 1. საქართველო — იმერეთის გუბერნიისათვის თბილისისაკენ; საიდანაც მერმე ნაწილდებოდა სხვა ქალაქებში; ხოლო 2. კასპიის ოლქისათვის — სახმელეთო გზით დერბენტისაკენ და ზღვით — ასტრახანიდან ბაქოსაკენ.

რუსეთის სხვა ქალაქებთან, გარდა იმიერკავკასიის ოლქის ქალაქებისა, როგორიც იყვნენ სტავროპოლი, პიატიგორსკი და ყიზლარი, აგრეთვე ასტრახანი და დონის ნახჭევანი, სადაც გასაყიდად გაჰქონდათ აბრეშუმისა და შალის აზიურ ნაკეთობანი, ამიერკავკასიას არავითარი კავშირი არ ჰქონდა[29]. ამიერკავკასიაში შემოჰქონდათ უმთავრესად მდარე ხარისხის, იაფი რუსული ტექსტილური ნაწარმი, რაც თბილისში „ზომიერ ფასად", ხოლო სამაზრო ქალაქებში „უზომოდ მაღალ ფასად" იყიდებოდა. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის 1843—1844 წწ. ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ აქ ადგილობრივი ვაჭრობის ცენტრებია სამაზრო ქალაქები. ვაჭართა კაპიტალები არ ცხადდება, რამდენადაც არაა შემოღებული გილდიური წყობილება. საერთოდ კი დიდი კაპიტალის პატრონი ვაჭრები ახლა აქ უკვე ნაკლებად არიან. ბევრმა მათვანმა, 1831 წლის მერმე შექმნილ სიტუაციაში, თავი მიანება ვაჭრობას და უფრო ეტანებიან სხვადასხვა იჯარებს. 1843 წ. გაკოტრებულად გამოცხადდა 2 ვაჭარი (რომელთა ვალმა 57 ათას მან. გადააჭარბა)[30].

თბილისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის გამგებელიც გენ.-მაიორი კაპგერი თავისი მოღვაწეობის 1857 წლის ანგარიშგებაში აღნიშნავს, რომ ამ წელს თბილისში ბანკროტად გამოცხადდა 10 ვაჭარი. ამათგან 8 ვაჭრის კომერციული შეუძლობა ნამდვილად დადასტურდა. ამასთანავე იგი წერს, რომ თბილისის გუბერნიიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვთ ისეთი საქონელი, როგორიცაა კახური ღვინო, აბრეშუმი, ბამბა და სხვ. და რომ

---

[29] АСКАК, IX, с. 608—609.

[30] ЛОЦИА, ф. КК, 1845—1846, д. № 744, лл. 20—22.

სამიმოსვლო გზათა მოუწყობლობა ისევ რჩება ძლიერ დაბრკოლებად ვაჭრობის განვითარებისათვის[31].

***

მიხეილ სელეზნევის ნაშრომი, რომლის სახელწოდება ქვემოთ სქოლიოშია დასახელებული, ხელნაწერის სახით განიხილა თვით იმპერატორმა და გამოიცა ხაზინის ხარჯზე.[32] ეს წიგნი 1840 — 1860 წწ. რუსეთში ითვლებოდა ერთ-ერთ აღიარებულ დამხმარე სახელმძღვანელოდ კავკასიის მცოდნეობაში, თუმცა არსებითად იგი მარტოოდენ კომპილაციური ნაწარმოებია.

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა აქ აღწერილი კერძოდ გაცვლის მდგომარეობა 1840-იანი წლების დას. საქართველოში: „მრეწველობის საქონელზე არსებული თითქმის მთელი მოთხოვნილება კმაყოფილდება საოჯახო მრეწველობის ნაკეთობით. ოჯახში ცხვრისა და თხის მატყლისაგან ამზადებენ შალს, ბამბისაგან ბამბაქსოვილებს, ნარმას; ამუშავებენ ტყავს და კერავენ სხვადასხვა ფეხსაცმელს, უნაგირს, სარტყელს; ჭილისაგან ქსოვენ სხვადასხვა ჭილოფებს; მატყლისა, ბამბისა და აბრეშუმის ნართისაგან ქსოვენ ტანისამოსს, ქუდებს, წინდებს; კერავენ ტანსაცმელს, ბაშლაყს,— ესენი უფრო ქალების საქმეა. ვაჟები კი ამუშავებენ მიწას, ბაღვენახს, ეწევიან ვაჭრობას, ხელოსნობას; — ისინი არიან მჭედლები, ზეინკლები, მეუნაგირეები, ოქრომჭედლები, რომლებიც საკმაოდ ხელოვნურად ამზადებენ სევადიან ვერცხლის ნაკეთობებს...

ცხოვრებისათვის სხვა აუცილებელი საქონელი სომხებს „მოაქვთ მაკარიის იარმარკეტიდან, მაგრამ სხვადასხვა მანუფაქტურული ნაწარმი შემოაქვთ ტრაპიზონიდან და კონსტანტინეპოლიდან, რისთვისაც წინათ იმერლები აძლევდნენ თავიანთ ბიჭებს, გოგონებსა და დებს სულთნებისა და თურქ დიდებულთა ჰარამხანებისათვის, რითაც დიდად გაუმჯობესეს მათი ნაშიერნი. ტყვეებით ეს ვაჭრობა სომეხი, ებრაელი და თურქი ვაჭრების ხელში იყო"[33].

აქედან გააქვთ უმთავრესად: თაფლი, სანთელი, ღვინო, სიმინდი, კაკალი (ნიგოზი), ბეწვი, ტყავეული, თამბაქო, კაკლის ხე და

---

31 ЛОЦИА, ф. КК, 1858, д. № 311, лл. 5—6.

32 ЛОЦИА, ф. КК, 1847, д. № 477.

33 М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, ч. II, 1847, СПБ, с. 86—87.

აბრეშუმი. შემოაქვთ, მეტადრე აქ მცხოვრები რუსებისათვისაც: ჩაი, შაქარი, ყავა; აგრეთვე მარილი, რკინა, სპილენძი, მაუდი, ფარჩა სხვადასხვანაირი აბრეშუმისა და ბამბაქსოვილები, აგრეთვე ევროპული ღვინო. ეს ვაჭრობაც სომხების ხელშია. რუსი ვაჭრები აქ არ არიან.

ებრაელები ვაჭრობენ უფრო მთიულეთში, სხვადასხვა მთიელ ტომთან, დამოუკიდებელ მთიელთა ჩათვლით და მათგან მოაქვთ: თექა, ნაბადი, ჩერქეზული ნაცრისფერი და შავი მაუდი (შალი); აუცილებელი საოჯახო ჭურჭლეული შემოაქვთ რუსეთიდან და თბილისიდან[34].

***

იმპერატორის ბრძანებით ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე დასახლება. ამასთან დაკავშირებით 1844 წ. 15 სექტემბერს იმპერატორის კანცელარიის ამიერკავკასიის საქმეთა დროებითი განყოფილების უფროსი პოზენი თავ. ა. ჩერნიშევს (სამხედრო მინისტრს) ატყობინებს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებზე ერთადერთი ოსტატები არიან ებრაელები და რომ მათს გარეშე „იმ ლინიის მცხოვრებნი, განსაკუთრებით ოფიცრები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებიან“, რის გამოც შავი ზღვის სანაპირო ლინიის უფროსი შუამდგომლობს, რათა ებრაელებს ნება მიეცეთ დროებით აქ იცხოვრონო. ამ შუამდგომლობას მხარს უჭერს თვით პოზენი: „ჩემს მხრივ მე მიმაჩნია არა მხოლოდ სასარგებლოდ, არამედ სავსებით აუცილებელია ნება დაერთოთ ებრაელ ოსტატებს დროებით იცხოვრონ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების გამაგრებულ ადგილებში, ე. ი. იქ სადაც დაბანაკებულნი არიან ჯარის ნაწილები“[35].

ცარიზმის ბიუროკრატია ასხვავებდა ადგილობრივ და უცხო (ჩამოსულ) ებრაელებს. შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროებზე მოვაჭრე ებრაელთა შორის ადგილობრივ, ქართველ, ებრაელებს არა თუ საერთოდ არ ავიწროებდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, იმათ ვერც ასხვავებდნენ ქართველებისაგან. იმ როლს, რასაც თბილისის და საერთოდ აღმ. საქართვე-

---

[34] М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, ч. II, с. 87—88.

[35] ЛОЦИА, ф. Комитета по устройству Закавказского края, 1841—1844, д. № 134, ч. II, лл. 96—97.

ლოს კომერციულ ცხოვრებაში სომხები თამაშობდნენ დას. საქართველოში, კერძოდ ქუთაისში ძირულებდნენ ებრაელები. ოფიციალური მიმომხილველის სიტყვებით (1852): „მათ ხელთ ეპყრათ მთელი იმერეთის ვაჭრობა და მათ შორის არიან საკმაოდ შეძლებულნი. და იყო მაგალითები, რომ თავისი ოჯახის (ყმობისაგან) გამოსასყიდათ, განთავისუფლებისათვის, ისინი მებატონეს (მემამულეს) უხდიდნენ 10 ათას მანეთამდე ვერცხ., ხოლო იმისათვის, რათა ისინი არ გადაესახლებინათ ახალ ადგილას, იხდიდნენ ათას მანეთსა და მეტსაც. მაგრამ სამაგიეროდ მათ აქ არავინ და არაფოდეს არ ავიწროებს თავის სარწმუნოებისათვის, არ ცდილობს გააქრისტიანონ ისინი და არ ქირდავს მათ თავიანთი რელიგიისათვის, როგორც ეს ხდება უფრო განათლებულ ქვეყნებში. ებრაელთა შორის არიან მონასტრების ყმებიც და ზოგიერთი მათგანი ეკლესიას, როგორც გამოსაღებს, უხდის საკმეველსა და სანთელს“.

ქუთაისში 1852 წ. ირიცხებოდა ებრაელთა 1103 სული (ქალაქის მთელი მოსახლეობის რაოდენობა კი შეადგენდა დაახლოებით 3500). ებრაელებს ქუთაისში „უჭირავთ ქალაქის ცალკე და ყველაზე ლამაზი ნაწილი, მაგრამ უსუფთაოდ და ჭუჭყიანად ცხოვრობენ“[36].

საერთოდ ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში ბოლომდე, მეტ-ნაკლები სიმტკიცით, ძალაში რჩებოდა ჯერ კიდევ 1837 წ. გამოცემული კანონი, რომლის თანახმად ძველიდანვე საქართველოში მცხოვრები ებრაელები, რომლებიც მისდევდნენ ხელოსნობას, ვაჭრობას, მიწათმოქმედებას აქ არავის არ უნდა შეევიწროებინა და აქვე რჩებოდნენ; იზღუდებოდა მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან ებრაელთა აქ, საქართველოში შემოსვლა და დასახლება[37].

***

1850 წელს მოსკოველმა სომეხმა ვაჭარმა სტეფანე ავეტის ძე ეზოვმა ითხოვა მისთვის ნება მიეცათ სააქციზო მოსაკრებელის გადაუხდელად მოსკოვსა და პეტერბურგს ევაჭრა ქართული ღვინით. ამასთანავე ის აცხადებდა, რომ ქართული ღვინოები თავისი ხარისხით ისეთია, რომ „მათ შეუძლიათ წარმატებით გაუწიონ მეტოქეობა ყველაზე საუკეთესო ევროპულ ღვინოებს“, ხოლო ახლა თუ

---

[36] КК на 1853, с. 332—333.

[37] II ПСЗРИ, т. XII, ч. I, № 10255, с. 330—331.

მივიწყებულია, ეს იმის გამო, რომ მას არ იცნობს ბაზარი (მომხმარებელი) და არც გამოცდილი პატრონი ყავსო“.

ფინანსთა მინისტრი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს მოლბა (ღვინოს თვითონ შეუძლია ადამიანის თავის სასარგებლოდ განწყობა!) და 1851 წ. 22 იანვარს ს. ეზოვს, იმპერატორის მიერ დამტკიცებული კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ნება დაერთო მოსკოვსა და პეტერბურგს გაეხსნა „თითო მარანი ანუ დუქანი კავკასიური და ამიერკავკასიური ღვინოების გასაყიდად, ისე რომ ეს მარნები და დუქნები გაანთავისუფლეს გამომსყიდველის (ე. ი. სახელმწიფო მონოპოლიის) სასარგებლოდ აქციზის გადასახდელისაგან; — ამასთანავე იმ პირობით დართეს ნება, რომ მის მარანში გარდა დასახელებული ღვინოებისა სხვა არავითარი სასმელი არ იყიდებოდეს“[38].

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის 1845 წლის ანგარიშგებით მოხსენებაში, კერძოდ შინაგანი ვაჭრობის მიმოხილვის ასპექტში, ვკითხულობთ, რომ აქ ბევრად უფრო მეტი შემოაქვთ კოლონიური და ევროპული საქონელი, მეტადრე ფუფუნების საგნები, ვინემ რაიმე აქედან გააქვთ. ასე რომ, შემოტანილ საქონელზე ეს გუბერნია ნაკლებად პასუხობს თავის ნაკეთობათა გატანით. შეიძლება ითქვას, რომ საექსპორტო ვაჭრობა აქ სრულებით არაა. ამის მიზეზია არა მხოლოდ მეზობელ ადგილებთან, არამედ თვით გუბერნიის შიგნით, მის ნაწილებს შორის მიმოსვლის სიძნელე... „სწორედ ეს ზღუდავს ადგილობრივი მესარეწეობის განვითარებას და საშუალებას არ იძლევა რაიმე გაიტანონ გუბერნიიდან, რის გამოც ადგილობრივი წარმოების უმთავრესი, უმდიდრესი და უხვი პროდუქტები აბრეშუმის პარკი, პურეული (მარცვლეული), ღვინო, ბამბა, ბრინჯი, პირუტყვი შეზღუდულია მხოლოდ ადგილობრივი რეალიზაციით და ამათგან დრო და დრო მარტოოდენ პური თუ გაიტანება სპარსეთსა და თურქეთის მოსაზღვრე პროვინციებში და რუსეთში კი — აბრეშუმი და ბამბა“[39].

***

ყირიმის ომის ვითარებაში, როდესაც აქ ევროპული და კოლონიური საქონელი ძლიერ გაძვირდა, „სტეფანოვიჩი და კომპ.“ სა-

---

[38] ЛОЦИЯ, АВПКБ, ф. КК, 1850, д. № 168, лл. 1—21.
[39] ЛОЦИА, АВПКБ, ф. КК, д. № 744, л. 286.

ვაჭრო სახლის თბილისური კანტორის გამგე ვერნუდაკი, დიუკრუასის მეშვეობით, გენ. რეადისაგან ცდილობს მიიღოს ნებართვა ბაიაზეთისა და ერევნის გზით თბილისში შემოიტანოს ევროპული საქონელი, რომელიც მის სახელზე გამოიგზავნება ტრაპიზონიდან.

საქმე ისაა, რომ ტრანზიტის შესახებ 1852 წ. 17 დეკემბრის კანონით და საერთოდ ამიერკავკასიაში ვაჭრობის არსებული წესებით ევროპული საქონელი აქ, თბილისის საბაჟოს საწყობში უნდა შემოეტანათ შავი ზღვის პორტებიდან — ყულევისა და სუხუმიდან. მაგრამ ამ დროს, 1854 წ., ეს პორტები მტრის ხელში იყო, რის გამოც შავი ზღვის ვაჭრობა საგსებით შეწყდა. ქვეყანას კი „სჭირდება მრავალი საყოველთაო მოთხოვნილების საქონელი", და ამიტომაც დიუკრუასი იმ აზრისაა, რომ „ვაჭრების ყოველგვარ წარმოწყებას, რაც მიზნად ისახავს ამ საქონლით ჩვენს მომარაგებას შეძლებისამებრ უნდა ვაქეზებდეთ". მით უფრო, რომ ეს გაზრდის ჩვენს საბაჟო შემოსავალს, ხოლო ბაიაზეთ-ერევნით საქონლის თბილისში შემოტანა მოხსნის მის გრძელ გზას: ბაიაზეთ-თავრიზი და მერმე ქიდან ჯულფა-ნახჭევან-ერევნით თბილისისაკენ.[40]

1854 წ. 7 მაისს ინგლის-საფრანგეთის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა რედუტ-კალეს და, იმავდროულად, პეტერს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, გენ.-ლეიტ. ანდრონიკაშვილმა ცეცხლს მისცა ქალაქი, ხოლო „ჩვენი ჯარები მშვიდობით გამოიყვანა იქიდან ნაჯიხევის საყარაულოსაკენ"[41]. ყულევი სულ მთლიანად ხისგან იყო აშენებული. მას „ხის ქალაქსაც" ეძახდნენ. ხსენებულმა ხანძარმა ის თითქმის მთლიანადაც გადაბუგა.

ამ ომის დროს შეწყდა ყირიმიდან მარილის შემოტანა ყულევში, საიდანაც ის შემდეგ იგზავნებოდა დას. საქართველოს რაიონებში. 1853—1855 წწ. სამეგრელოს, გურიასა და იმერეთში როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე სამხედრო ნაწილები დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ... ამიერკავკასიის სახაზინო პალატამ ხელშეკრულების საფუძველზე თბილისელ ვაჭარ-მეიჯარეს გაბრიელ მელქუმოვს დაავალა ალექსანდროპოლის (გუმბრის) საწყობიდან ქუთაისში ჩაეტანა ყულფის ქვამარილი 15 ათასი ფუთი, ერთი ფუთი 1 მანეთად. 1855 წლის 1 მარტისათვის მარილის გადაზიდვა უკვე დამთავრებული იყო[42].

---

[40] АСКАК, XI, № 823, с. 835.
[41] АСКАК, XI, с. 967.
[42] АСКАК, XI, № 624, с. 611.

***

რეფორმის პერიოდისათვის, როგორც საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება, ისე კერძოდ ვაჭრობაც შესამჩნევად განვითარებული იყო და იგი სულ უფრო ფართოდ ებმებოდა საერთაშორისო გაცვლის ორომტრიალში, მაგრამ ამ მხრივ ამიერკავკასია კიდევ არ იყო გამოსული ძველი სიძნელეებიდან. მართალია, უკვე სპორადულად, მაგრამ მაინც ხან აქ, ხან იქ თავს იჩენდა ვაჭრობის ყველაზე საზიზღარი სახეობა, ტ ყ ვ ე ე ბ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა, რაც წინათ უდიდეს ზიანს აყენებდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა აღორძინების საქმეს. ტყვეებით ვაჭრობაზე ჩვენ სპეციალური მონოგრაფია გვაქვს გამოქვეყნებული[43] და ამიტომ ამ საკითხს აქ არ შევეხებით.

აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მე-19 ს. პირველივე ათეული წლებიდან, რაც უფრო მყარდებოდა ქვეყნის მოწესრიგებული მოქალაქეობრივი გამგებლობა, ვითარდებოდა მრეწველობა და ვაჭრობა. ადმინისტრაცია, რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება სულ უფრო ეფექტურად ებრძოდა ამ საშინელ ვაჭრობას, რაც თანდათანობით ილაგმებოდა.

1868 წელს გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი გადმოგვცემს ბათუმში, რომელიც ჯერ კიდევ თურქეთის სამფლობელოებში შედიოდა, გაყიდული გურიიდან გატაცებული აზნაურის ასულის მარიამის შემაძრწუნებელ თავგადასავალს. იგი 5000 პიასტრად და ერთ ცხენზე გაუცვლია (უყიდია) თურქ პოლკოვნიკ ალიბეის... და მერმე, საბოლოოდ, რუსეთის ბათუმელი ვიცე-კონსულის დახმარებით იგი თავის მშობლებს დაუბრუნდა[44].

6. ვაჭრობა ავტონომიურ სამთავროებში

აღებულ პერიოდში ცარიზმის ბიუროკრატია გაბატონებული იყო მთელს ამიერკავკასიაში, მაგრამ კერძოდ სამეგრელოსა და აბხაზეთის მთავრებს თვით 60-იანი წლების ბოლომდე შენარჩუნებული ჰქონდათ ერთგვარი ავტონომიური უფლებები და, გასაგებია, ამიტომაც როგორც საერთოდ კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე კერძოდ ვაჭრობის პოლიტიკაც ამ სამთავროების მიმართ რამდენადმე განსხვავებულ ელფერს ატარებდა.

---

[43] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 258—350.

[44] «Кавказ», 1868, № 18.

კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის ოფიცრის მიერ 1832 წ. შედგენილ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი უმთავრესად მომთაბარე (მოხეტიალე) ცხოვრებას ეწევა, უზრუნველად ცხოვრობს. მისი ცოლი დედოფალი მარია (წერეთლის ასული) მტკიცე ხასიათის, მოხერხებული, გამოცდილი, ანგარიშიანი, ძუნწი და ფრიად ანგარებიანია. მემკვიდრე დადიანისა უპირატესად დედასა და მიტროპოლიტს (მართას ძმას, დავითს) ემხრობა და ეს სამეული შეადგენენ ძლიერ პარტიას.

დედოფლისა და მიტროპოლიტის „უმთავრესი და მუდმივი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფულის დაგროვება...“ ამ მიზნით მათ პარტიას სამეგრელოში შრომისა და მესარეწეობის ყველა ხელსაყრელ ნაწარმზე შემოაქვთ სულ უფრო და უფრო დამამძიმებელი იჯარა-გამოსყიდვის სისტემა, რომლის „მთელი შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი ეძლევა დადიანს, ხოლო ყველა დანარჩენს ითვისებენ დედოფალი და მიტროპოლიტი“.

✓სიმინდი და სამეგრელოში საყოველთაოდ გავრცელებული და მთავარი სარეწავები — „თევზის ჭერა, ღვინის დაყენება, ტილოს შეღებვა, ჭაჭის და ხილის არაყის გამოხდა, დაფნის ფოთოლი, თაფლი და სანთელი, კაკლის ხე, თამბაქო, მაქნისი მერქანი (საავეჯო ხე — ურთხელა, ძელქვა, კოპიტი), შინაგანი ვაჭრობის მოსაკრებელი, მდ. რიონზე დიდი ნავების (კაიუკების) შენებაზე დაწესებული მოსაკრებელი, ცალკე ამ ნავების საძირეზე დადებული გადასახდელი, რიონზე ნავებით გადატანილ საქონელზე დაწესებული მოსაკრებელი, თვით ამ საქონლის გადაზიდვის, ჩატვირთვის და გადატვირთვის უფლებისათვის, მერმე იმავე საქონლის ყულევის ნავსადგურში მდგარ გემებზე გადატანისათვის — ყველა ამ შემოსავალთა აკრეფისა და სასარეწო საქმიანობის უფლება სხვადასხვა დროს გაიცემოდა და ახლაც გაიცემა განსაკუთრებული იჯარა-გამოსყიდვის წესით“[45].

შემდეგ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ მოსახლეობისათვის ესოდენ მძიმე იჯარა-გამოსყიდვის სისტემით, განსაკუთრებით სიმინდსა და მდ. რიონის ნაოსნობაზე რომ ვრცელდება, შემდეგ ამათთან დაკავშირებული მარილის მონოპოლიის მეოხებით უზომოდ მდიდრდებიან მტაცებელი სპეკულანტები[46], რომლებიც სწრაფი

---

[45] П. Гугушвили, СХАО, II, 428—429.

[46] ადრე სიტყვა სპეკულაცია (ლათ. speculatio) მკვრეტელობას, ღრმად დაფიქრებას, ჩაკვირვებას ნიშნავდა. მაგრამ უკვე 1774 წ. გამოცემულ „ოქსფორდის

ვამდიდრების მიზნით აქეთკენ მოეშურებიან იმერეთიდან, ქართლიდან, თვით თბილისიდანაც. ეს სპეკულანტები „აშკარად მავნებელნი არიან, რამდენადაც მაღლა სწევენ ფასებს და ხელს უშლიან ბაზარზე პროდუქტთა სიუხვესაო", — აცხადებს ეს ოფიცერი, რომელიც, როგორც მომხმარებელი (მყიდველი), სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეების წარმომადგენელი, დაინტერესებულა „აქაური ბაზრების სიუხვითა და სიიაფით".

მაგრამ იჯარა-გამოსყიდვის ეს სისტემაც მიტროპოლიტს არ ჰყოფნის და მან მოიგონა კიდევ ახალი საშუალებები ფულის დაგროვებისა. მან თავის მთავარ მარტვილის მონასტრის მახლობლად დაბაში (1831 წელს) გახსნა დუქნები, „სადაც საქონელს ყიდიან მხოლოდ მისგან პრივილეგირებული ვაჭრები". ამიერიდან მეგრელებს ეკრძალებათ ჩვეულებისამებრ წავიდნენ იმერეთის დაბა ხონში, მთავარ ბაზარში. იმათ თავიანთი მცირეოდენი ჭარბი პროდუქტები უნდა გადაცვალონ ამ ახალ დუქნებში. ცხენისწყალზე ხიდი, რითაც გადიოდნენ იმერეთში, გატეხილია, როგორც ამბობენ... განზრახ ჩატეხეს და არ არემონტებენო...

ამგვარად, იჯარა-გამოსყიდვის სისტემის მეოხებით გაღატაკებულ და ფრიად შევიწროებულ მოსახლეობას დაკარგული აქვს მუშაობის ინტერესიო — ასკვნის მიმომხილველი, რომელიც განსაკუთრებით განაწყენებულია იმის გამო, რომ აქ ჯერ კიდევ არ იგრძნობა რუსული მმართველობა და არც ქვეყნის გარუსების ნიშნები, რაც უკვე განვლილი დროის მიხედვით, საგრძნობი უნდა იყოსო. ის ძლიერ კრიტიკულად აფასებს თვით დადიანის მმართველობას, რომელიც იმის მეოხებით, რომ უკვე რუსეთის მფარველობაშია, განთავისუფლებულია თავისი ქვეყნის ცვა-ფარვის ფუნქციებისაგან და ნაცვლად იმისა, რომ ხელს უწყობდეს აქ რუსული მმართველობის განმტკიცებას, სულ იმის ცდაშია, რომ თავი დაიცვას რუსული გავლენისაგან და მარტოოდენ შინაგანი წესრიგის მეთვალყურეობისა და ბეგარა-გადასახადთა აკრეფის ცდაშია გართულიო[47].

ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგის უფროსის მიერ 1830-იანი წლების შუაში შეკრებილი ცნობებით, სამეგრელოში ზემოხსენებული იჯარა-გამოსყიდვის სისტემა არსებითად არაპირდაპირი გა-

---

ლექსიკონში", და საერთოდ მერმინდელ ლექსიკონებში, განმარტებულია, როგორც ავანტურისტული, ყალთაბანდური წამოწყება; დიდი სარფის მიღების, იოლი გამდიდრების კომერციული (ვაჭრული) საქმიანობა.

[47] СХАО, II, 428—429.

დასახადის ხასიათს ატარებდა და იმაში მდგომარეობდა, რომ მეიჯარე-გამომსყიდველი დადიანისაგან ღებულობდა „განსაკუთრებულ უფლებას, რათა მისი ქვეშევრდომებისაგან შეესყიდა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტები თვითნებურად დადგენილ, ზოგჯერ საგნის ნამდვილი ღირებულების ნახევარზე ნაკლებ ფასად", ამასთანავე გამოსყიდვის ადგილებში, ფულადი ჯარიმის გადახდევინების მუქარით, მოსახლეობას ეკრძალებოდა თავისი ნაწარმი მიეყიდა სხვა ვისმეზე, თუ არა მეიჯარეზე.

იჯარა-გამოსყიდვის წესი არ ვრცელდებოდა მთელ სამეგრელოზე, ხოლო დადგენილ ადგილებში იმყოფებოდა სათანადო ვაჭარი-შემსყიდველი. რუსეთის სახელმწიფო მოხელეები ამაოდ ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რამდენს ღებულობდა დადიანი საერთოდ იჯარა-გამოსყიდვის სხვადასხვა სტატიიდან. მათ ისღა გაიგეს, რომ რედუტ-კალეს საბაჟოსაგან, რაც იჯარით ჰქონდა აღებული „იმერელ თავად მიქელაძეს", დადიანი 1836 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში აიღებდა 9 500 მან. ვერცხ. და რომ აქ იბეგრებოდა ძირითადად: სიმინდი და ყველა სხვა პურეული, თაფლი, თხილი და კაკლის ხე[48].

ხსენებული მოხელის აზრით, ეს მონოპოლია ხელს უშლიდა არა მხოლოდ საექსპორტო ვაჭრობის გაფართოებას, არამედ ამ მხარეში თვით მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარებასაც, რამდენადაც მოსახლეობა თავისი შრომისათვის არ ღებულობდა დამაკმაყოფილებელ საზღაურს[49]. ამიტომაც მოსახლეობა აწარმოებდა მხოლოდ იმდენს, რაც აუცილებელი იყო საკუთრად მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რასაც „არ შეუძლია ხალხი არ მიაჩვიოს სიზარმაცეს და უქნარობასო", ასკვნიდა იგი.

***

✓თურქეთის ხელში მყოფი აბხაზეთის ვაჭრობა საერთოდ მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო. აქ თვით სოფლის მეურნეობაც დაბალ დონეზე იდგა. მარცვლეულიდან ყველაზე გავრცელებული სიმინდიც უპირატესად საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოჰყავდათ. ეწეოდნენ მონადირეობას, მეხეურ მეფუტკრეობას. აწარმოებდნენ უხეშ შალსა და ნაბადს.

---

[48] СХАО, II, 435.
[49] ЛОЦИА, ф. КК, 1837, д. № 7, лл. 61—62.

გურია-სამეგრელოს მოსაზღვრე თურქეთის სამფლობელოებს, თვით ტრაპიზონამდე და მის იქითაც საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, ხშირად უხდებოდა საქართველოდან პურის (სიმინდის) გატანა, თურქ ვაჭრებს აბხაზეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე კვერნისა და სხვ. ბეწვეული... მაგრამ, როგორც რუსეთის სამხედრო უწყების მიმომხილველი აღნიშნავს, „ყველაზე მიმზიდველი და ყველაზე მომგებიანი ვაჭრობის საგანი იყო ტყვე ორივე სქესისა, ყოველთვის ყმაწვილები, უფრო კიდევ ბავშვის ასაკისა. მათი გასაღება ხდებოდა უმთავრესად კონსტანტინეპოლსა და ეგვიპტეში. ამიტომაც მამლუქთა შორის ბევრი იყო კავკასიაში დაბადებულთაგან.“

„ტყვეებით ვაჭრობა ყოველთვის იყო ყველაზე მთავარი და ხშირი მიზეზი არეულობათა და შურისძიებისა. მისი ფრიად დიდი სარფიანობა, მით უფრო მეტია რაც უფრო მცირდება ადგილები, სადაც ის წარმოებს, რადგან დანარჩენი უკვე დაკავებულია ჩვენს მიერ, უბიძგებს მრავალს, განსაკუთრებით თავადებს, მოაწყონ სახიფათო თავდასხმები უბრალო ადამიანებზე და გაიტაცონ ტყვეებად მათი ბავშვები, ხოლო ზოგჯერ თვითონ უფროსებიც. ისინი იმწამსვე მიჰყავთ ზღვის სანაპიროზე და ჰყიდიან თურქებზე. ასევე ექცევიან ჩვენს გაქცეულ და ტყვე ჯარისკაცებსაც“. გაქცეული მაშინვე ხდება დავლად პირველშეხვედრილი მტაცებლისა, რომელიც მას ჰყიდის თურქ ვაჭარზე. „ასე, უკანასკნელ ხანებში აბხაზთაგან დაბრუნებულ რუს ტყვეთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ჩვენი საზღვრებიდან თურქეთში გაქცევის შემდეგ იქ მრავალგზის იყვნენ გადაყიდულნი, ხოლო შემდეგ ზღვით მოყვანილნი კავკასიის სანაპიროებზე, აქ საქონელზე გადაცვლილნი და კვლავ გადაყიდულნი. მათგან მრავალი ცოლიანია და თითქმის ყველანი უაღრესად ღატაკურ და მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთი ტყვეები ბევრია ჩვენგან დაუპყრობელ მთებში და იქ ისინი არიან საუკეთესო მუშაკნი და კარგადაც ფასობენ. ამიტომაც აბხაზები ახლაც დიდი უკმაყოფილებით გვაძლევენ ჩვენ თავიანთ წინანდელ რუს ტყვეებს და ამასთანავე მხოლოდ მოხუცებულთა და დავარდნილთ, იმ ვარაუდით, რომ მიიღონ ჯილდო, ხოლო ახალგაზრდები ცდილობენ გაყიდონ, თუ არა თურქებზე, მაშინ იქითა მთებშიო“[50].

შემდეგ იმ საქონელთა შორის, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილება იყო საერთოდ მთიანეთში, აღსანიშნავია მარილი. „რამდენა-

[50] ЛОЦИА, ф. КК, д. № 7, 1837, лл. 16—17.

დაც ბუნებამ კავკასიონის მთელი მთიანეთი უმარილოდ, ამ აუცილებელი პროდუქტის გარეშე, დატოვა", — რუსეთის სამხედრო უწყების წარმომადგენელს მიაჩნია, რომ „მარილი ყოველთვის ჩვენს ხელთ უნდა იყოს მათთვის სასტიკი ლაგამის ამოსადებად" — «Соль всегда должна быть в руках наших страшной для него (народов кавказского хребта) уздой».

ამ რაიონშიც, ცხადია, დიდი იყო მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიცაა თოფის წამალი; აგრეთვე შინამრეწველური თოფისწამლის საკეთებლად საჭირო გოგირდი; — ხოლო „გვარჯილას, ისინი ხარშავენ საგანგებოდ, ხშირად პურზე უფრო მონდომებით, ბოსტანში დათესილი ბალახისაგან; ტყვია, თოფი, პისტოლეტი, სატევარი, ზოგჯერ ხმალი, ცხენის მოსართავ-მოკაზმულობა, მატყლი, რკინა, სპილენძი, ტექსტილი ქალის ტანისამოსისათვის — ბამბაქსოვილი და აბრეშუმი, ნაწილობრივ, მცირე რაოდენობით, ფუფუნების საგნებიც, მაგ., შაქარი, ყავა და სხვ. საერთოდ შემოქვთ თურქეთიდან"[51].

როგორც მიმომხილველი წერს, აბხაზეთის, როგორც ზღვისპირა ქვეყნის მდებარეობა ძველი დროიდანვე ხელს უწყობდა საკაბოტაჟო ზღვაოსნობას, ხოლო მთელი სანაპიროს თავთხელი, რაც თურქეთის ბათუმიდან თვით სოხუმ-კალემდე გრძელდება, შეუძლებელს ხდიდა დიდი გემების ხმელეთზე ახლო მიდგომას და, ამგვარად, განსაზღვრავდა სიდიდესა და თვით კონსტრუქციას გემებისა, რომელთაც აქ უნდა ეცურათ, ამავე ბუნებრივმა პირობებმა მიუთითეს საბაზრო ადგილები: თითქმის მთელი სანაპირო, განსაკუთრებით კი თუნდაც პატარა მდინარის შესართავი, ანდა ზღვის ჭაობიანი და ტყიანი უბე ხელსაყრელი მისადგომია ბრტყელძირიანი ხომალდებისათვის, კოჩერმებისათვის და სწორედ ასეთი ადგილებია თვით კოჩერმებთან ვაჭრობისათვის ხელსაყრელი.

ყოველი აბხაზი პირდაპირ სახლიდან, ან თვისი ხელოსნობის ადგილიდან მიდის ზღვისაკენ, უახლოეს კოჩერმასთან და თან მიაქვს „სიმინდი, ბეწვეული და სხვა თავისი საქონელი და ნაჭარბი, ზოგჯერ კიდევ მას მიჰყავდა ტყვე, ყმაწვილი, ბიჭუნა თუ გოგონა და რაიმეზე უცვლიდა თურქს. თავის მხრივ, თურქები ეცნობოდნენ და უნათესავდებოდნენ" აქაურებს, უშიშრად შედიოდნენ სოფლებში და ვაჭრობდნენ[52].

---

[51] ЛОЦИА, ф. КК, 1837, д. № 7, л. 21.

[52] იქვე, ფურც. 23.

აბხაზეთში რუსების მოსვლის დროიდან, განაგრძობს მიმომხილველი, აქაურ მცხოვრებთ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მიეცათ გაყიდონ პირუტყვი, შინაური ფრინველი და ცოტაოდენი ბოსტნეულიც, რაც მოჰყავთ. ყველა ამ პროდუქტზე „ფასები ძლიერ იზრდება“, რამდენადაც ჯარის ნაწილები იძულებულნი არიან შეისყიდონ ისინი.

ცხადია, მშვიდობიანობის დამყარების შესაბამისად აბხაზეთში აღორძინების გზას დაადგა მიწათმოქმედება (მემცენარეობა და მეცხოველეობა) და ამის კვალობაზე მოსახლეობის „ზნე-ჩვეულება უფრო თვინიერი ხდება“ და ბევრნი უკვე ხედავენ „თუ რამდენად უკეთესია და უფრო სასარგებლოა ეს, ვინემ უწინდელი თავდასხმები. გარდა თურქებისა აბხაზეთში მისვლა დაიწყეს „რუსეთის ქვეშევრდომმა ვაჭრებმა იმერეთიდან და რედუტ-კალედან (ყულევიდან), მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ იჩენენ გამბედაობას შევიდნენ ქვეყნის სიღრმეში და ივაჭრონ ჩვენი ჯარების ბანაკთა ახლომახლო ადგილებში“.

როგორც ჩანს, „ჯერ კიდევ დიდხანს ან იქნებ მუდამჟამ უნდა ვითმენდეთ თურქების ვაჭრობას, როგორც ყველაზე ბუნებრივს ჩვენი კავკასიის ზღვის სანაპიროების ადგილებში, რასაც ხელს უწყობს მისი სიახლოვე, სიადვილე და ხალხის ჩვეულება, რუსული პორტების სიშორე და კიდევ უფრო ისიც, რომ მრავალი კავკასიური და მათ შორის აბხაზური ნაწარმოები, როგორიცაა, მაგალითად, სიმინდი, ნაბადი, შაშხი, თაფლის სანთელი არ სჭირდება ახლა და არც თუ ოდესმე დასჭირდება რუსეთს, მაშინ როდესაც მთელი აქაური ვაჭრობა შეიძლება იყოს მხოლოდ გაცვლითი (ნატურალური), იმის გამო, რომ ხალხში სრულებით არაა ფულის ტრიალი“...

ამ ოფიციალურ მიმომხილველს აბხაზეთში საბაჟო საქმის მოწესრიგებისათვის საჭიროდ მიაჩნდა ზღვის სანაპიროზე სახმელეთო გზის გაყვანა და მაშინ მთელი აბხაზეთისა და სამურზაყანოსათვის საკმარისი იქნებოდა ერთი საბაჟო სოხუმში. უცხოეთის დიდ ხომალდებსაც უფლება უნდა ჰქონდეთ მიადგნენ მხოლოდ ამ პორტს, სადაც უნდა გახსნილიყო აგრეთვე საზარაფო სახლი.

7. ვაჭრობის ზოგიერთი საბნისათვის (ენდრო, აბრეშუმი, მარილი)

ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ ვერ შევჩერდებით შინაგანი თუ საგარეო ვაჭრობის ცალკეულ საქონელთა კონკრეტულ დახასიათებაზე, და არა თუ საერთოდ, არამედ თვით ადგილობრივი პროდუქციის, როგორც საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებზე.

მაგრამ ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთს, რომლებიც ადგილობრივი თუ საექსპორტო ვაჭრობის ძირითად საქონელს და მასობრივი მოხმარების საგნებს წარმოადგენენ, გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ. ამათ შორის, ცხადია, არ იგულისხმება ისეთი დარგები, როგორიცაა მარცვლეული კულტურები, მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, ბუბამბეობა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, აგრეთვე მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობის ისეთი დარგები, რომელთა საერთო განვითარება და კერძოდ საქონლური წარმოების მიმართულებით ევოლუცია, ჩვენ სპეციალური მონოგრაფიების სახით გვაქვს შესწავლილი.

ახლა, ქვემოთ, შევჩერდებით ენდროს, აბრეშუმისა და მარილის, როგორც ადგილობრივი წარმოებისა და, თანაც, ვაჭრობის დიდმნიშვნელოვანი საგნების რეალიზაციის საკითხებზე.

***

ენდროს კულტურა ამიერკავკასიაში ცნობილია უკვე შუა საუკუნეებიდან. ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია გაცახვილებული ყურადღებით სწავლობდა რუსეთის საფეიქრო მრეწველობისათვის ამ ესოდენ საჭირო სამღებრო მცენარის აქ გავრცელების საკითხს, რამდენადაც საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან შემოტანილი სამღებრო საქონელი ძვირი ჯდებოდა.

ენდრო განსაკუთრებით ბევრი მოჰყავდათ ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში, აგრეთვე საკმაო ზომით კახეთში. 1840-იანი წლების შუაში მთელ კავკასიაში მზადდებოდა 50—60 ათასი ფუთი ენდრო. აქედან 40 ათას ფუთამდე საქონელს იძლეოდა მხოლოდ დერბენტის რაიონი[53].

ა. ჰაქსტჰაუზენი 1843 წ. წერდა, რომ კახეთში ენდრო ველური სახით, მაგრამ უხვად ხარობსო[54]. დას. საქართველოში ენდრო უმნიშვნელო ზომით ხარობდა, ხოლო ყუბის, ბაქოსა და ლენქორანის მაზრებში ამ დროს ენდროს ნამდვილი პლანტაციები ჰქონდათ, ისე როგორც დერბენტის რაიონში. ამავე ხანებში ენდროს შედარებით წვრილი პლანტაციები ჩნდება თბილისის, თელავისა და განჯის მაზ-

---

[53] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения (Источники и материалы — СХАО), I, с. 156.

[54] А. Гакстгаузен, Закавказье, II, с. 52.

[55] П. Гугушвили, СХАО, I, с. 461—462.

რებში[55]. ასტრახანის გზით მოსკოვის ბაზარზე ჩატანილი პროდუქტის 1 ფუთი 11 მანეთად იყიდებოდა.

ენდროს კულტურამ იმდენად გაიტაცა ხელისუფლება და ადგილობრივი თაოსნიანი მოსახლეობა, რომ მისი გაშენება დაიწყეს ქუთაისის გუბერნიაშიც, მეტადრე შავი ზღვის სანაპიროებზე. ენდროს თესლი თბილისიდან ეგზავნებათ სამეგრელოსა და აბხაზეთის მთავრებს[56]. 1850-იან წლებში ამიერკავკასიიდან რუსეთში გაჰქონდათ საშუალოწლიურად 140 ათას ფუთამდე ენდრო. კიდევ უფრო გაფართოვდა და მომგებიანი შეიქნა ეს კულტურა 60-70-იან წლებში, როდესაც მისი პლანტაციის 1 დესეტინა იძლეოდა 600—700 მან. საერთო შემოსავალს.

ამ ხანებში აქ არც ერთი კულტურა არ იყო ისე მაღალ რენტაბელური როგორც ენდრო. ამან ის გამოიწვია, რომ ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე თბილისის გუბერნიაში ჩნდება ენდროს წმინდა კაპიტალისტური პლანტაციები — დამყარებული დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე. ასეთი იყო, მაგალითად, ბარონ ნიკოლაის პლანტაცია სოფ. ლოქინში[57].

მოსკოველი ქიმიკოსების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ აქაური ენდრო უფრო მეტ და მაღალი ხარისხის სამღებრო პიგმენტებს შეიცავს, ვინემ ჰოლანდიური და ფრანგული, რის გამოც მოსკოვში აქაურ ენდროს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ, ვინემ უცხოურს, რისთვისაც უფრო მეტსაც იძლეოდნენ[58].

ამიერკავკასიაში ენდროს კულტურა შეიქნა ფრიად მიმზიდველი სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში, ის ვრცელდება წვრილმწარმოებელთა მინდვრებზედაც[59] და, გასაგებია, რომ ფრიად გაიზარდა ენდროს დამზადება. საქმე ისე წავიდა, რომ მისი საზღვარგარეთ გატანაც დაიწყეს. 1865 წ. მხოლოდ ბაქოს გუბერნიაში დამზადდა 207 ათასი ფუთი (929 ათასი მან.)[60], 1867 წ. — 103 ათას ფ. (613 ათასი მან.)[61], ხოლო 1868 წ. — 153 ათასი ფ. (1153 ათასი მან.)[62]. ბაქოს გუბერნიაში ამ მხრივ წამყვან როლს თამაშობდა

---

[56] ОДНК, с. 37—38.

[57] П. Гугушвили, СХАО, т. I, с. 469—470.

[59] Опыт экономического очерка Кавказского края, преимущественно Закавказья, 1876, М.

[60] ЛОЦИА, ф. КК, 1866, д. № 142, л. 327.

[61] იქვე, 1869, საქმე № 1, ფურც. 309.

[62] იქვე, საქმე № 153, ფურც. 382.

ყუბის მაზრა, სადაც ღებულობდნენ მთელ გუბერნიაში მოპოვებული ენდროს 95 % მეტს. აქედან ენდრო ამ ხანებში თითქმის მთლიანად მიჰქონდათ და საღებოდა ნიჟეგოროდის იარმარკტაზე და მოსკოვში.

მაგრამ 1860-იანი წლების მიწურულიდან ერთბაშად დაეცა ენდროზე მოთხოვნილება და მისი დამზადებაც. ეს იყო ქიმიური საღებავის ალიზარინის წარმოების გაუმჯობესებისა და, მაშასადამე, ძლიერი გაიაფების შედეგი... 1873 წ. 1 ფუთი ენდრო უკვე 5 მანეთადაც არ იყიდებოდა. ფასების ესოდენმა დიდმა რყევადობამ (11—5—4 მან.) გამოიწვია კრიზისი. ენდროს მეურნეობა დაეცა. მისი პლანტაციების პატრონებმა დიდი ზარალი განიცადეს. ამიერიდან, ენდროს კულტურით დაკავებულ მიწებზე მემცენარეობის სხვა სახეებმა უნდა გაიხარონ. დერბენტის რაიონსა და აზერბაიჯანში დაიწყო ნაწილობრივ მევენახეობაზე გადასვლა[63]...

ენდრო დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთში აგრეთვე დერბენტიდან, სადაც 1 ფუთი ენდროს ფასი, 1840—1860-იან წლებში, 4—9 მან. შორის მერყეობდა. აქედან გატანილ იქნა ენდრო (ათას ფუთობით): 1848 წ. — 45; 1851 წ. — 79; 1854 წ. — 130; 1857 წ. — 181; 1861 წ. — 197; 1863 წ. — 207; ხოლო 1865 წ. — 304[64].

ე. ნინოშვილი სტატიაში „წერილი დაღესტნიდგან" (1891) წერს: „1840 წლებში მოსკოველმა ვაჭრებმა დაიწყეს დარუბანდიდან ენდროს გატანა... ამან ისე წააქეზა დარუბანდელები, რომ თითქმის ყოველივე სხვა მრეწველობა-ოჯახობას დაანებეს თავი და შეუდგნენ მხოლოდ ენდროს მოყვანას. გაჩნდა ასობით მსხვილმანი კაპიტალისტები. უბრალო მუშაც არა რჩებოდა ხელცარიელი. რაღაც ოცდა-ათის წლის განმავლობაში დარუბანდი კარგა გვარიანად გამდიდრდა, მაგრამ 1870 წელში ენდროს გამოუჩნდა თავზარდამცემი მეტოქე: დასავლეთ ევროპაში გამოიგონეს კარგი და იაფ-ფასიანი საღებავი (ალიზარინი), რომელმაც უცბად მოუღო ბოლო ენდროს მრეწველობას. დაზიანებულმა ენდროს მოვაჭრეებმა პეტერბურგს დეპუტაცია გაჰგზავნეს და სთხოვეს, სადაც ჯერ იყო, რომ საზღვარს-გარეთიდან შემოტანილს საღებავზე ოთხი-ხუთის წლის განმავლობაში დიდი ბაჟი ახდევინოს მთავრობამ და ამით საშვალება მოგვეცეს, რომ უდიდ-ზიანოდ გავიცალოთ ხელიდგან ენდროს

---

[63] ე. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. თხზ. გვ. 102.

[64] СССК, т. I, отд. II, Д. с. 106.

მრეწველობაო, მაგრამ მაშინდელმა ფინანსთა სამინისტრომ უარი უთხრა დარუბანდის დეპუტაციას და იმათი თხოვნა არ შეიწყნარა.

დაეცა ენდროს მრეწველობა და მასთან ერთად დაიღუპა დიდძალი ფული, რომელიც ამ მრეწველობის საწარმოებლად იყო გაცემული. ამ საშინელის ზიანით შეშინებულმა ხალხმა ყოველსავე სამრეწველო საქმეს იშვის თვალით დაუწყო ყურება, არავითარს ამგვარ საქმეზე გულს აღარ ანდობდა. ამას მოჰყვა დარუბანდის ეკონომიურად დაცემა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთებმა ხელ-ახლავ მოჰკიდეს ხელი ბაღოსნობას, განსაკუთრებით ვენახის გაშენებას. ის ადგილები, რომლებიც ერთ დროს ენდროთი იყო მოფენილი, ეხლა ვენახმა დაიჭირა"[65].

***

აბრეშუმი, როგორც დავინახეთ, აქ ვაჭრობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საგანი იყო. მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის საკითხებზე ჩვენ უკვე გამოქვეყნებული გვაქვს მონოგრაფია[66]. რის გამოც აქ მხოლოდ ორიოდე ახალ მასალას მოვიყვან.

ამიერკავკასიაში აბრეშუმის მთავარი მწარმოებელი იყო აზერბაიჯანი, განსაკუთრებით ნუხის, აგრეთვე შემახიას, შუშის, ყუბისა და განჯის მაზრები, რომლებზედაც 1840—50-იან წლებში მოდიოდა აბრეშუმის პარკის მთელი ადგილობრივი მოსავლის 75—85 პროცენტი; (ზოგჯერ მხოლოდ ნუხის მაზრა იძლეოდა ამიერკავკასიის პროდუქციის 40—45%). დახარჩენი საქართველოს რაიონებში იწარმოებოდა[67].

ბაქოს გუბერნატორის მოღვაწეობის ყოველწლიურ ანგარიშგებებში მოყვანილი მონაცემები — ამიერკავკასიაში აბრეშუმის ამ მთავარი მწარმოებელი რაიონის პროდუქციის შესახებ (იხ. 227 გვ.):

---

[65] ე. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1935, გვ. 37.

[66] П. В. Гугушвили, Шелководство в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., 1960, Тб.; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრ., ტ. III, გვ. 652—765.

[67] Одна из наших окраин. Закавказье, журн. «Слово», 1880, № 7; Палашковский, Закавказский транзит в Персию, 1876, СПБ; დას. ევროპაში აბრეშუმის მთავარი მწარმოებელი ქვეყნები იყვნენ იტალია და საფრანგეთი (Е. Тарле, Соч. т. III—IV, შესაბამისი თავები — XXII და VIII).

აბრეშუმის პარკის მოსავალი (ფუთობით) და ღირებულება (მანეთობით)[68]

			მ ა თ შ ო რ ი ს		
წლები	მთელი მოსავალი	მოხმარება ადგილობრივ ფაბრიკებში	გატანა რუსეთში	გატანა საზ-ღვარგარეთ	მთელი ღირებულება
1865	19343	2241	3605	1785	1.053.312
1867	1346	...	...		298.774
1868	1399	277	1122		261.980

ბაქოს გუბერნიაში აბრეშუმის მოსავლის უდიდესი ნაწილი მოდიოდა ნუხის მაზრაზე. ასე, მაგალითად, 1865 წ. მთელი მოსავლის (19 ათასი ფუთი) 75 % მეტი (14,8 ათასი ფუთი) მოიყვანა ნუხის მაზრამ. 1 ფუთი აბრეშუმის საშუალო ფასი უდრიდა 200 მან. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, 1860-იანი წლების მეორე ნახევრიდან, აბრეშუმის ჭიის. ავადმყოფობის (პებრინის) გავრცელების შედეგად, მეაბრეშუმეობა ერთბაშად ძლიერ დაეცა და ერთხნობით თითქმის განადგურდა მთელს ამიერკავკასიაში.

ამგვარად, აბრეშუმი, პებრინის გავრცელებამდე (1864—1867), იყო ამიერკავკასიის შინაგანი და საგარეო ვაჭრობის მთავარი საგანი. მხოლოდ ევროპის ბაზრებზე გატანილი აბრეშუმის საერთო ღირებულება 4 მლნ მანეთს აღწევდა. 1860-იან წლებშიც აბრეშუმის მთავარი მწარმოებლები იყვნენ ნუხისა და ყუბის მაზრები, სადაც, ევროპაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გავრცელების დროიდან, მიაწყდნენ იტალიისა და საფრანგეთის აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობის აგენტები. აქედან 1859 წელს დაიწყო აგრეთვე აბრეშუმის თესლის გატანა, რამაც თავის კულმინაციურ პუნქტს მიაღწია 1863 წელს, როდესაც გაიტანეს დაახლოებით 3 000 ფუთი თესლი, რომლის 1 გირვანქა აქ იყიდება 5—10 მანეთად, ასე რომ ამ წელს უცხოელმა გრენერებმა აქ დატოვეს დაახლოებით ერთი მლნ. მან[69]. გრენის წარმოების მომგებიანობამ გაიტაცა ადგილობრივი მოსახლეობა. მანვე შემოსავლის ახალი და მნიშვნელოვანი წყარო გაუჩინა საბაჟო უწყებას. 1864 წლიდან 1 გირვანქა საექსპორტო გრენა დაიბეგრა 2 მან. საბაჟო საფასურით. მაგრამ... ამავე წლიდან აქაც გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა... მალე გრენის ექსპორტიორი ქვეყანა გადაიქცა იმპორტიორად. დაიწყო აბრეშუმის

---

[68] ЛОЦИА, ф. КК, 1866—1867, д. № 142, л. 396; —д. № 1, л. 310; — д № 153, л. 381.

[69] Газ. «Кавказ», 1869, № 100.

თესლის დიდი რაოდენობით შემოტანა იაპონიიდან, რათა შეენარჩუნებინათ მეაბრეშუმეობა — სავაჭრო მიწათმოქმედების ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დარგი[70].

1840—1850-იან წლებში ამიერკავკასიიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ რუსეთში 18—25 ათასი ფუთი, უმთავრესად ადგილობრივი და ნაწილობრივ აგრეთვე სპარსული აბრეშუმის პარკი (ყაჭი), რომლის საერთო ღირებულება 1,5—2,0 მლნ. მან. აღწევდა. მაგრამ აქედან რუსეთში მნიშვნელოვანი ზომით გაჰქონდათ აბრეშუმქსოვილები და აბრეშუმის ნართიც. ამიერკავკასიასა და მთელ რუსეთშიც იყიდებოდა აბრეშუმის მოვი (წმინდა საპერანგე ტექსტილი), რაც უფრო შემახიელ ფეიქართა ნაკეთობის სახით იყო ცნობილი.

როგორც ნედლი აბრეშუმი, ისე მისი ნაკეთობანი აქედან რუსეთში იგზავნებოდა საქართველოს სამხედრო გზით[71].

დასასრულ, აქ ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ აბრეშუმი, ანტიკური ეპოქიდანვე მოყოლებული, საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქონელი იყო. ზოგიერთ ქვეყანაში იგი საქონელთა საყოველთაო ექვივალენტის როლშიც გამოდიოდა. აბრეშუმით იხდიდნენ გამოსაღებსა და ხარკებს. შეკერილი ტანისამოსის თუ შესაკერავი მასალის (ლარის) სახით ოქრო-ვერცხლის პურპლეულობასთან ერთად აბრეშუმი ძვირფასი საჩუქარი და განძიც იყო უმაღლესი არისტოკრატიის, თვით მეფეებისა და იმპერატორების, შაჰინშაჰებისა, სულთნებისა და ყაენების, მათი ოჯახებისა და ელჩებისათვის[72].

სწორედ ამ ასპექტში „ვეფხისტყაოსანში“ არაერთგზის იხსენიება „ლართა კერულთა და უკერულთა“ „ზარქაშთა განაზიდართა“, ისევე როგორც თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ოქროთა ჭედილთა და უჭედელთაჲ“-ს მიმოქცევა[73].

---

[70] М. Эксельбирт, О промышленной и торговой деятельности Закавказского края (КК на 1869, с. 37—39).

[71] КК на 1849 г., с. 52—53.

[72] W. Hegel, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, I—II, 1879; O. Falke, Geschichte der Seidenweberei, 1927, B. I—II; A. Hermann, Die alten Seidenstrassen zwischen China und Syriens, 1910; E. Pariset, Histoire de la soie, 1866—1868, I—II; A. Beer, Geschichte des Welthandels, B. I—II; Hobson, International Trede, 1930.

[73] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, თბ., გვ. 60; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, 1962, გვ. 165—200.

მარილი უძველესი დროიდანვე იყო ვაჭრობის საგანი და ზოგიერთ ქვეყანაში კიდევ საყოველთაო ექვივალენტის (ფულის) როლსაც კი თამაშობდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოიხმარდნენ თვითნალექსა და ქვამარილს. გასაგები მიზეზების გამო ჩვენი კვლევის საგნად აღებულ პერიოდში აქ უფრო გავრცელებული იყო ქვამარილის მოხმარება და, მაშასადამე, ვაჭრობა.

თვითნალექი მარილი აქ უპირატესად აზერბაიჯანის ტბებიდან (ბაქოსა და შირვანის რაიონებიდან), ხოლო ქვამარილი სპარსეთ-თურქეთის პროვინციებიდან, სომხეთის რაიონიდან მიიღებოდა. სომხეთის ოლქის წარმოქმნის, ე. ი. ერევნის სახანოს რუსეთის ამიერკავკასიისათვის შემოერთების შემდეგ, იქ მარილის სარეწების შესწავლის მიზნით მიავლინეს სპეციალისტი — ვოსკ-ბოიანიკოვი, რომელმაც დაგვიტოვა ყულფისა და საერთოდ მისი ახლო რაიონების ქვამარილის მდიდარი საბადოების საკმაოდ დეტალური აღწერა[74].

ყულფის (სოფ. ყულფის მახლობლად . მდებარე) ქვამარილის საბადოები მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზეა და სარდარაბადის ციხე-სიმაგრეს დაშორებულია 30 ვერსით, ერევნიდან — 60-ით, ხოლო სარდარაბადის გზით — 70 ვერსით. აქ ქვამარილიანი მთის სიგრძე უდრის თითქმის 2 ვერსს, სიგანე — 1 ვერსსა და 200 საჟენს, ხოლო წრეწირი — 8,5 ვერსს. სომხეთის რუსეთთან შეერთებამდე (1827), ერევნის სარდარს ჰუსეინ-ხანს, ქვამარილის ეს საბადო იჯარით ჰქონდა გაცემული და მისი წლიური შემოსავალი უდრიდა 10—16 ათას მან. ვერცხ.

ყულფის მარილით მარაგდებოდა საქართველოს დიდი ნაწილი, სომხეთი და ბაიაზეთის რაიონი. ყულფთან ახლოს (65 ვერსზე) იყო კალაზვნის (აღზევნის) დიდი საბადო თურქეთში, სადაც მარილი თოფისწამლით ქანების აფეთქებით მიწისქვეშა გვირაბებიდან გამოჰქონდათ.

ამ მარილის შორეული და ხიფათიანი გზით მოტანაზე ხალხმა შექმნა ცნობილი ლექსი და სიმღერა:

> აღზევანს წავალ მარილზე,
> მარილს მოვიტან ბროლსაო,
> ჯერ დედას გადავეხვევი,
> მერმე შვილსა და ცოლსაო...[75]

---

[74] Описания горы содержащей в себе каменную соль, в Армянской области, в бывшей Эриванской провинции („Горный журнал", 1828, кн. XI, с. 3—16).

[75] იხ. აკრეთვე ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 1934, ქუთაისი, გვ. 225—227.

1883 წ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის კოლორიტული ლექსი „აღზევანს მოვლა“, რაც მთლიანად მოგვყავს[76]:

„მარილზედ მიელენ ბიჭები, დარდი არა აქვსთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა, შოლტების ტყლაშა-ტყლუშია!..
ნაცადი ბიჭი მიუძღვის, ტკბილათ დაჰღერის ხარებსა,
ჰფიქრობს, მოიკლის აღზევანს და ცოლ-შვილს გაახარებსა:
„აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო...
გაუწი შინდავ გიშერას, რათა ჰლალატობ ტოლსაო?..
გაუწი, ქედის ჭირიმე! გიშერა ცოდო ხარია,
უშველე, ნუ რას ცუღლუტობ, ტოლს დაუჭირე მხარია...
ურემი, ჩემი ურემი, გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე-ღრისა, აღზევნის მთა და ბარისა...
ღერძი უდგია წიფლისა, გასაპნულ-გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ-გაქედილია;
უბე გავაწყე ლართხებით, დანდლებით გადაბმულია,
ისე გაუძლებს ასს ქვასა, არსად დასჭირდეს ცულია;
თვლები დაკვერცხე, რა თვლები, გრგოლივით ჩამოსხმულია,
ჯაგკრცხილის ფესვებს მოვკიდე სოლებათ იფნის გულია...
გინდ გავატარებ თოკზედა, არ მოკვდეს ჩემი თავია!..
გაუწი შინდავ გიშერას, ნუ ცრუობ ნუ ხარ ავია!..
აღზევანს მივალთ და მე შენ, როგორ არ გაგიხარდება,
ლოკე და ლოკე მარილი, არავინ გაგიჯავრდება...
შენ რაღას ხვნეში ნიკორავ?.. ღონე თუ გამოგლევია?
ეშმაკობ, თორემ ჯერ ირმას შენთვის არ დაუძლევია...
აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო!...»

სომხეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნით აღზევნის საბადოებიდან მარილის შემოტანა შეწყდა.

ყულფში მარილს ამზადებდნენ ამ სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც 1 ურემი, ე. ი. 32 ქვამარილისათვის იღებდნენ 1 მან. ვერცხ. 1 საპალნე, ე. ი. 4 ქვა ღირდა 16 კაპ., ხოლო დაშლილი (დაფშვნილი) კი — 4 კაპ. მარილის დამამზადებელ გლეხებს ხაზინა 3 წელიწადში ერთხელ აძლევდა 30 ხერხსა და 10 ბათმან (3 ფუთ) ფოლადს — ეს იყო მარილის დასამტვრევად საჭირო შრომის იარაღები.

ყულფი, სადაც 1820-იანი წლების ბოლოს 120 მოსახლე (კომლი) ცხოვრობდა, ერთ-ერთი უმდიდრესი სოფელი იყო ერევნის

---

[76] „ივერია“, 1883, № 7/8, გვ. 137—138.

ოლქში. სპარსეთის ხელისუფლების დროს ერევნის სარდარი ყულფის სარეწების გამგებლად ნიშნავდა სულთანს, რომელსაც ჰყავდა სამი მწერალი: 1 თურქი და 2 სომეხი, მოპოვებული მარილი, ჩვეულებრივ, ადგილზევე იყიდებოდა. „საქართველოს სხვადასხვა ადგილიდან აქ მოდიოდნენ ზაფხულის მიწურულს,—ჩვეულებრივ ურმების დიდი ქარავნებით. მათ მიერ არჩეული მამასახლისი, კაცი, რომელიც სპარსეთის მთავრობის ნდობით სარგებლობდა, ჩამოდიოდა ქარავანზე ადრე და ამზადებდა საჭირო რაოდენობის მარილს. მას (ქარავან-ბაშს — პ. გ.) საერთოდ ევალებოდა მეურმეების დაცვა, სპარსთა მხრივ შევიწროებისაგან. ამის სანაცვალგებოდ იგი ყოველ ურემზე ღებულობდა 1 მან. მესაპალნეებზე მარილი თითქმის მთელი წლის განმავლობაში იყიდებოდა, გარდა არაქსის ყველაზე ძლიერი წყალდიდობის შემთხვევისა. საპალნეებით მარილი მიჰქონდათ ბორჩალოსა და ყაზახის დისტანციებში, ელისავეტპოლისა და ერევნის რაიონებში. დაშლილ მარილს მხოლოდ მესაზღვრე ქურთები ყიდულობდნენ[77].

სპარსეთის მფლობელობისას ყულფის მარილზე დიფერენციული ფასები იყო დაწესებული. რამდენადაც მარილის ყველაზე დიდი მომხმარებელი საქართველო იყო, სარდარმა, „რათა ამ სარეწებისადმი მიეზიდა მისი მცხოვრებნი, მათთვის დაუკლო ფასები. რადგან სხვა შემთხვევაში მაგ. შეეძლოთ მარილი წაეღოთ თურქეთიდან, სახელდობრ აღზევნის სარეწებიდან (ყარსის საფაშოდან), სადაც მარილი უფრო მდარე ხარისხისაა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრად იაფად იყიდებოდა.

დაშლილი მარილის ფასი უფრო დაბალი იყო, რადგან იგი გარდა ბაიაზეთის საფაშოსი, არსად არ მიჰქონდათ და იმიტომაც, რომ მაღალი ფასის შემთხვევაში ქურთებს შეეძლოთ მარილის მოპოვება ყულფიდან 32 ვერსით დაშორებულ ქოროღლის მთის მახლობელი საბადოდან; 1816 წ. ქურთებმა დაიწყეს კიდევაც აქ მარილის მოპოვება და მისი გაყიდვა, რაც მის ინიციატორს სიცოცხლის ფასად დაუჯდა: ერევნის სარდარს, ცხადია, არ შეეძლო შერიგებოდა მარილის ვაჭრობაში მისი მონოპოლიური მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გაუფასურებას.

1830-იანი წლებიდან ყულფსა და საქართველოს შორის გზა რამდენადმე უმჯობესდება. მას სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. მაინც ყველაზე ხელსაყრელად მიჩნეული იყო ბეზობდალის უღელტეხილზე გამავალი გზა[78].

---

[77] «Горный журнал», 1828, кн. XI, сс. 14 — 15.

[78] იქვე, გვ. 13 — 16.

ყულფის მარილის სარეწები ცარიზმის ხელისუფლებამ სახაზინოდ გამოაცხადა და იგი იჯარით გაიცემოდა. აქ 1843 წ., საქართველო-იმერეთის გუბერნატორის ანგარიშგებითი მოხსენების მიხედვით, დაამზადეს 115.818 ცალი ქვა, თითოეული დაახლოებით 2 ფუთი და 10 გირვ., სულ 260. 583 ფუთი; და 10 395,5 საპალნე დაშლილი მარილი. თითოეული საპალნე იანგარიშებოდა 9 ფუთი 24 გირ., ე. ი. სულ 99796 ფუთი და 32 გირ., რაც მთლიანად შეადგენდა 360. 379 ფ. და 32 გირ. ხოლო წინა წელს დამზადებული მარილის ჩათვლით ხსენებულ 1843 წ. გაიყიდა სულ 408. 814 ფუთი მარილი და ხაზინამ მიიღო 31.520 მან.

ყულფის საბადოებში 1845 წელს მოიპოვეს 797,4 ათასი ფუთი ქვამარილი, ნახჭევანში — 139,3 ათასი ფუთი[79].

ამავე წელს შირვანსა და ბაქოს მაზრების ტბებზე დამზადდა 395,2 ათასი ფუთი თვითნალექი მარილი, 1845 წ. ამიერკავკასიაში სულ მოპოვებულ იქნა 1932 ათასი ფუთი მარილი, ხოლო ერთი წლით ადრე, 1844 წ. კი — 970 ათასი ფუთი[80].

ქვამარილის მოპოვება ერევნის გუბერნიაში ფუთობით[81]

წლები	ყულფში	ნახჭევანში	ს უ ლ
1852	530 072	203 331	733 403
1853	354 522	262 331	616 853
1854	128 300	349 293	477 593
1855	736 577	428 261	1164 738
1856	650 846	159 455	810 301
1857	846 698	154 671	1001 369
1858	617 281	248 261	865 542
1862		.	1267 257
1863	1 215 570	168 816	1384 188
1866	1 104 675	161 456	1266 131

1866 წ. ყულფის სახაზინო სარეწებში მოპოვებული იყო სულ 770 675 ფუთი ქვა და 334 000 ფუთი დაშლილი მარილი; ნახჭევანში 158 456 ფ. ქვა — და 3 000 ფ. დაშლილი. ამას გარდა, იმავე 1866 წ. ამიერკავკასიაში დამზადებული იყო ტბების თვითნალექი მარილი 592.776 ფუთი; სულ ქვა და თვითნალექი მარილი, 1858 907 ფუთი[82].

[79] ЛОЦИА, ф. КК, 1844, д. 274.

[80] АСКАК, X, с. 837; — XII, с. 1345.

[81] СССК, т. I, отд. II, Д, с. 94.

[82] იქვე, გვ. 20.

ყულფის საბადოების საიჯარო ექსპლოატაცია გრძელდებოდა... 1882 წ. იგი იჯარით აიღო ვაჭარმა ზაქარია ჯანდალადოვმა — 20.000 მანეთად. კონტრაქტის თანახმად მეიჯარეს ქვამარილი ადგილზე უნდა გაეყიდა 1 ფუთი 10 კაპ. ხოლო დაშლილი — 5 კაპ[83]. 1893 წელს აქ მოიპოვეს და ადგილზევე გაიყიდა დაახლოებით 600 ათასი ფუთი, რომლის 25 % გაიყიდა ერევანს, ახალციხეზეთსა და თბილისში, სადაც ამ დროს უკვე ფართოდ მოიხმარებოდა აგრეთვე შავი ზღვითა და რკინიგზით ყირიმიდან შემოტანილი მარილი, რაც 1870-იან წლებამდე რედუტ-კალეს (ყულევის) საწყობიდან მხოლოდ სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის ფარგლებში ვრცელდებოდა[84]. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ეს რაიონები მარილს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაშიც ყირიმიდან ღებულობდნენ[85].

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სამშვიდობო ხელშეკრულებით ყულფის, აღზევნისა და ოლთისის ქვამარილის მდიდარი საბადოები თურქეთის ხელში გადავიდა, ამიერკავკასიაში ერთხნობით ქვამარილის ნაკლებობა იგრძნობოდა[86].

8. დაგროვების პირობები

ვაჭრობაში, მევახშეობაში, სხვადასხვა სახის საიჯარო მეწარმეობაში დაგროვებული კაპიტალების თავდაპირველი საფეხურები, როგორც დავინახეთ, არ იყო მტკიცე, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის მონარქიული მთავრობა არსებითად ხელს უწყობდა ბურჟუაზიული თაოსნობის განვითარებას. ერთი იყო იმ დროინდელ რუსეთის ცენტრალიზაციური მონარქიის ზოგადი მისწრაფება და მეორე — განაპირა ქვეყნებში, კოლონიებში, ამ მიმართულების რეალიზაციის ის პირობები, რასაც ცარიზმის ადგილობრივი ბიუროკრატიის ფაქტიურად უკონტროლო ხელისუფლება ამყარებდა[87].

ვაჭრობაში (გაცვლაში) დაგროვილი კაპიტალების წარმოების, კერძოდ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის სფე-

---

[83] Н. Барбот де-Марна, Очерк Кульпинской месторождения соли (Материалы геологии Кавказа, СПБ, 1888, т. II).

[84] РТКЭЖД, 737 — 745.

[85] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 1935, გვ. 43.

[86] «Заря Востока», 1922, № 160.

[87] О влиянии транзита через Кавказ на нашу среднеазиатскую торговлю, 1869, СПБ; «Северная пчела», 1869 № 66.

როში გადასვლას აქ ძლიერ, ზოგჯერ პირდაპირ გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა ცარიზმის ბიუროკრატიული, ე. ი. მტაცებლური ფისკალური პოლიტიკა, მძარცველური გამგებლობა და, მაშასადამე, ექსპლოატაციის მძიმე პირობები. ჩვენ უკვე გავეცანით ამ მხრივ გადამუშავებითი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვ. დარგებში არსებულ ვითარებას. აქ კიდევ ახლა შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები კერძოდ მშენებლობის, ბინათმშენებლობის და საერთოდ საქალაქო მშენებლობის სფეროდან.

საქალაქო ცხოვრების ოფიციალური მიმომხილველი 1831 წ. წერდა: „ქალაქებს ამიერკავკასიაში აქამდეც შენარჩუნებული აქვთ ის სახე, რაც მათ ჰქონდათ წინანდელ მფლობელთა დროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სახაზინო შენობას, რომელიც აშენებულია რუსეთის მთავრობის მიერ. იგივე სივიწროვე და იგივე უსუფთაობა ბაზრებზე და სხვ. საჯარო ადგილებში, სახლებთან, ქუჩებსა და თხრილებში (რუებში). ქალაქთა მცხოვრებნი დამძიმებულნი არიან ჩაყენების ბეგარით (повинность постоя). ასე რომ, სახლების ნახევარი ანუ მათი ორი მესამედი დაკავებულია მათგან“, ე. ი. ჩაყენებულ (ჩასახლებულ) სამოქალაქო თუ სამხედრო მდგმურთაგან და ამიტომაც, აცხადებს მიმომხილველი, სახლებს არ აშენებენო[88].

ბინაში ჩაყენება საერთოდ ყველგან იყო ამა თუ იმ ფორმით ცნობილი და გავრცელებული, მაგრამ იგი განსაკუთრებით მძიმე ხასიათს ღებულობდა ომების დროს, უფრო მეტად კიდევ, როდესაც დამპყრობლის სამხედრო ადმინისტრაცია ახორციელებდა ამ ღონისძიებას.

კერძოდ, თბილისის მიმდებარე სოფლებსა და თვით ქალაქშიც მეფისა და საერთოდ ხელისუფალთა ბრძანებით, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ბინაში ჩაყენება სავალდებულო ბეგარის ფორმას ატარებდა[89]. მაგალითად, ვახტანგ VI „დასტურლამალში“ დიღმის გამოსაღებთა შორის აღნიშნულია: „ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგმურის დაყენება“[90].

ამასთანავე ვახტანგ VI მიერ 1712 წ. სიონის მხატვრის გიორგისათვის ბოძებული წყალობისა და სითარხნის წიგნით, მას არ მო-

---

[88] ACKAK, VIII, c. 18.

[89] იხ. ჯ. სონღულაშვილი (კრებული: მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964, თბ., გვ. 216 — 223).

[90] ვახტანგ VI, დასტურლამალი, 1886, ტფ., გვ. 26.

ეთხოვება „...არა საკვამლო და სამოხელო და მდგმური“...[91], ე. ი. თავისუფალი იყო სახლში (ბინაში) ჩაყენების ბეგარისაგან.

1768 წ. ერეკლე II-ისადმი მირთმეულ არზაში უმიკაანთ ოსეფა ჩივის:

„...ასერ შვიდი წელიწადია შიხ-მაჰმადა ჩემს სახლში დააყენეს, შიხ-მაჰმადამაც თავისი სიმამრი თავისთან მოიყვანა. მე ჩემი შვილებით ეზოში გამოგვყარეს... თორმეტი აბაზი იმის სიმამრმა მომცა, ეს სახლის ქირათ აიღეო. თუ დავდგები კიდევ მოგცემო. ახლა თქვენის ბრძანებით გადიან... ის თავის თორმეტს აბაზს მთხოვს, არ გადის. ამის სამართალი მაღირსეთო“... მეფე ბრძანებს: ახლა ზამთარია და სად გააგდებ, ცოტახანს კიდევ ქირით დააყენე... ამას ბრძანებით კი არ გიბრძანებ, შუამავლობასავით გეუბნებით, რომ ჩვენის გულისათვის ასე ჰქნაო“[92].

მაინც, როგორც ჩანს, წინათ მეფის სტუმრის მიღება არც ისე ხშირი იყო და არც ისე მძიმე ტვირთს წარმოადგენდა. ისეც ხდებოდა, რომ მდგმურსა და სახლის პატრონს შორის მეგობრული და ზოგჯერ კიდევ მოყვრული დამოკიდებულებაც მყარდებოდა ხოლმე[93].

მაგრამ სულ სხვა იყო ბინაში ჩაყენების ის სისტემა და მეთოდები, რასაც აქ თვითმპყრობელობის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია ახორციელებდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გენ. პ. ციციანოვი თბილისის კომენდანტს სააკაძეს წერილობით დარიგებას უგზავნის (1803), თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რათა მოსახლეობას დაანახოს, რომ აქ რუსეთის მმართველობა შემოსულია სამართლიანობისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად და საერთოდ კერძო საკუთრების დაცვის მიზნით:

...თქვენი უპირველესი მოვალეობა იქნება დაიცვათ ობივატელები (ქალაქის მცხოვრებნი) სამხედრო მოსამსახურეებისაგან და საერთოდ ქალაქში ჩასახლებულთაგან. აბანოებში უწესრიგოდ და მთვრალი ჯარისკაცები დადიან, შიგ ქვებზე ცულებს ლესავენ... აბანოს პატრონებს შემოსავალი ეკარგებათ... მეაბანოეებმა კვირაში ერთი დღე გამოყონ სპეციალურად ჯარისკაცებისათვის, რომლებიც უნტეროფიცერთა თანხლებით მივლენ და წესიერად ისარგებლე-

---

[91] საქ. სიძვ. II, 451.

[92] საქ. სიძვ., III, გვ. 7.

[93] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. თხზ., გვ. 219 — 222.

ბენ აბანოებით ...გამოეცხადოს ვაჭრებს, რომ ჯარისნაწილები უნდა იყვნენ ქალაქში, ხოლო მათ ბინა სჭირდებათ. ამიტომ, როგორც ღარიბი, ისე მდიდარი ბოქალაქე (ვაჭარი) და თავადიც, რომელთაც ქალაქში სახლები აქვთ, ვალდებულია მისცენ ბინა ჯარისკაცებს ჩასახლებისათვის. ხოლო თუ ამისაგან განთავისუფლება სურთ... საჭიროა ორი ბატალიონისათვის ყაზარმის აგება, რაც 15.000 მან. დაჯდება და ვინც თავის წილ ფულს შეიტანს, რამდენადაც ხარჯები მთელ ქალაქზე გაიწერება, მას არ ჩაუყენებენ მდგმურებათ ჯარისკაცებს[94]. ცარიზმის ადმინისტრაცია ათეული წლების მანძილზე აგრძელებდა ანექსიის პირველ წლებში შემოღებულ საალყო მდგომარეობის ამ ერთ-ერთ უმძიმეს ნატურალურ ბეგარას, რითაც ოჯახის მთელი ბედი ჩაყენებული სამოქალაქო თუ სამხედრო მოხელეთა ფაქტიურად განუსაზღვრელ თვითნებობაზე იყო მიგდებული.

საქმე ისაა, რომ ეს იმდენად მძიმე და არსებითად აუტანელი ბეგარა იყო, რომ არა თუ სახლის აშენების სტიმულს არ იძლეოდა, არამედ სახლის პატრონი ხშირად ნატრობდა და ხელს იღებდა კიდევაც საკუთრებისაგან, რომელიც მისი და მისი ოჯახის აბუჩად აგდებისა და დამცირების საშუალებად იყო გადაქცეული, განსაკუთრებით მოკლე დროით ჩასახლებულ სამხედრო მდგმურებისაგან, რომელთა ჩაყენება არსებითად არა მხოლოდ ბეგარის, არამედ დაპყრობილი მოსახლეობის სასჯელის აშკარა ფორმას მოასწავებდა და ამას, ზოგჯერ, თვით ოფიციალური დამკვირვებლებიც დაუფარავად აღნიშნავდნენ[95].

როგორც ითქვა, მოსახლეობა ქალაქებსა და დიდ სამხედრო (—საავაჭრო) გზების გასწვრივ იხდიდა სახლში (ბინაში) ჩაყენების ნატურალურ ბეგარას. ამ სახით საცხოვრებელი სახლის, მთელი კარმიდამოს მესამედი, ზოგჯერ ორი მესამედი ნაწილი მთავრობის განკარგულებაში იყო და უკანასკნელი თავის შეხედულებისამებრ შიგ ასახლებდა ადმინისტრაციისა თუ ჯარის ნაწილთა მოსამსახურეებსა და თვით ჯარისკაცებს, თავიანთი ოჯახებითურთ. ასახლებდა მაშინაც, როდესაც სახლი (ბინა) ერთოთახიანი იყო და ბინის პატრონის მთელი ოჯახი ამ ერთ ოთახში ცხოვრობდა. მაგრამ ჩაყენებული

[94] АСКАК, II, № 28, с. 25 — 26.

[95] АСКАК, УШ, с. 18; ქართ. წიგნი (ბიბლ.), I, ლ. 98.

იძულებითი ჩაყენების (ჩასახლების) მიზნით ქალაქის ბინათმშენებლობის და თვით ბინების (ნაგებობათა) მოვლა-პატრონობის უნუგეშო მდგომარეობა აღნიშნულია თბილისის სამხედრო გუბერნატორის, გენ.-ად. სიპიაგინის ხელმოწერით 1827 წ. თბილისში გავრცელებულ, სტამბურად დაბეჭდილ განცხადებაში.

სარგებლობდა აგრეთვე ბინის პატრონის ყოველგვარი საოჯახო ნივთებით, მოწყობილობით, ჯამეურეულებიდან დაწყებული თვით ლოგინით გათავებული...

ეს ფრიად მძიმე ბეგარა იყო, და ოფიციალური მიმომხილველის აზრით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავისთავად „უაღრესად მძიმე ტვირთია“, არამედ იმის გამო, რომ „აქაური მცხოვრებნი მიჩვეულნი არიან განკერძოებულ ოჯახურ ცხოვრებას, სადაც არ სურთ ჰყავდეთ გარეშე მოწმეები“[96].

ცარიზმის ბიუროკრატია აქ ფეხქვეშ თელავდა საუკუნეობრივად განმტკიცებული ოჯახის შეუვალობის პრინციპს, ოჯახური ცხოვრების ინტიმურობას, ოჯახურ დამოუკიდებლობასა და, მაშასადამე, ჩაურევლობის ეთიკურ, მორალურ ნორმებს, ოჯახური თავმოყვარეობისა და ღირსების მაღალ გრძნობებს, ბინის (სახლის) კედლებით დაცულ-დაფარულ ადამიანთა ადამიანური ყოფიერების — სიხარულის, სიყვარულის, სიმძიმილის, ტანჯვის, სიტკბოების და სიმწარის, უბედობისა და ბედნიერების განცდების — მოკრძალებულობისა და, ბოლოს, ოჯახური მეურნეობის ყოველგვარ წესებსა და ფორმებს.

როდესაც 1840 წ. განაწამებ მცხოვრებთა „ერთსულოვანი სურვილის შესაბამისად“ ქალაქის თავმა ამიერკავკასიის მთავარმართებლისა და სახელმწიფო საბჭოს წევრ ბარონ პ. ვ. განის წინაშე აღძრა საკითხი ამ ნატურალური ბეგარის შესაბამის ფულადი მოსაკრებლით შეცვლის შესახებ, მაშინ ბიუროკრატიამ არსებითად არანაკლებ მუხანათური ზრახვები გამოავლინა. შეაფასეს თბილისის მთელი უძრავი ქონება და არა თუ მხოლოდ სახლები, არამედ ბაღები, ბოსტნები, დუქნები, სავაჭრო ფარდულები, თვით ტიალი, საერთოდ აუთვისებელი მიწებიც (1841 წ. — 5,6 მლნ მან. ვერცხ.) და, ჩასახლების ნატურალური ბეგარის ზომის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მთელი ამ ქონების ერთი მესამედი ფაქტიურად, დაპყრობის ძალით, ხელისუფლებას ეკუთვნის. და, მაშასადამე, ხსენებული ბეგარის ფულზე გადაყვანაც ქალაქის მთელი უძრავი ქონების ერთიმესამედის ღირებულების კაპიტალიზაციის გზით შეიძლება განხორციელდესო...[78]

საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ნატურალური ბეგარის ასეთი კომუტაცია აბორიგენი მოსახლეობის კიდევ ახალი ძარცვის ფორმას ატარებდა. მაშინ ქალაქის მოსახლეობისადმი „მთავრობისაგან მამობრივ მზრუნველობაში“ დარწმუნებული ქალაქის მმართველობა

[96] ЛОЦИА, ф. Времен. отд. еив канцелярии, 1842, д. № 255, лл. 1—2.

[97] იქვე, ფურც. 2 — 4

თხოულობს, რათა როგორმე ისე გაკეთდეს, რომ ნატურალური ბეგარების ფულადზე გადაყვანისას მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ საცხოვრებელი სახლების ღირებულება, თორემ მოქალაქეებს ისედაც არა აქვთ სტიმული ააშენონ ახალი სახლები, გამართონ დუქნები, განავითარონ ვაჭრობა, გააშენონ ბაღები და სხვ. და ასეთი კომუტაცია ძირშივე ჩაკლავს მათს ყოველგვარ თაოსნობას ბინამშენებლობისა და საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეშიო. მაინც... ჩაყენების ნატურალური ბეგარა 1850-იანი წლების შუამდე გრძელდებოდა.

ქ. ქუთაისის მოსახლეობა 1841 წ. თხოულობდა, რომ ქალაქში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული შეღავათები ბინამშენებლობაში და რომ საჭიროა ქვის შენობები 12 წლით განთავისუფლდეს საბინაო ბეგარისაგან[98]...

ადგილობრივ გადაუდებელ საჭიროებათა შესახებ ისევ ბარონ ჰ. განისთვის გადაცემულ ბარათში კახეთის რაიონებში ვაჭრობის განუვითარებლობის მიზეზად დასახელებულია თბილისთან დამაკავშირებელი გზების სიმძიმე და ქ. თელავის მცხოვრებთა ორმაგი დაბეგვრა: საქალაქო და საერობო ფულადი გადასახდელით. ბინებში ჩაყენების პირდაპირ აუტანელი ბეგარის გამანადგურებელ გავლენაზე სისტემატურად ჩიოდა საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებაზე მცხოვრები მოსახლეობა, ვაჭრები და თვით ადგილობრივი ადმინისტრაცია.

***

თბილისის გუბერნატორი 1867 წ. თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში აღნიშნავს, რომ ბატონყმობის გაუქმებამ დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე. „ახალი ეპოქის მომასწავებელ ნიშნეულობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აქამდე უჩინარი ენერგია, რამაც გაიღვიძა მიწათმფლობელის მწარმოებლურ ძალაში; ეს ენერგია, როგორც ჩანს, აიხსნება მუშაკის შეგნებით, რომ ის შრომობს თავისთვის და თავისი ოჯახისათვის და რომ ის მიიღებს თავისი შრომის ჯილდოს. ანდაზად ქცეული აზიური სიზარმაცე, მეპატრონე გლეხთა მიმართ, თამამად შეიძლება ითქვას, მალე ანაქრონიზმად იქცევა. მაგრამ მიწათმოქმედის საქმიანობის გაძლიერებასთან ერთად დგება უალ-

[98] ЛОЦИА, ф. ф. Времен. отд. ени канцелярии, 1842, д. № 255, л. 5.
[99] ქ. ქეკვ. ფურც. 16.

რესად მნიშვნელოვანი საკითხი — ამ მოღვაწეობისათვის გასაქანის მიცემის შესახებ"...[100]

როგორც ვხედავთ, ცარიზმის ხელისუფლება ამჩნევს სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში დაწყებულ დიდმნიშვნელოვან ცვლილებებს, ის მზადაა ისიც გაიგოს, რომ აქაური გლეხის ე. წ. აზიური სიზარმაცე თურმე მოჩმახული ყოფილა და ნაწილობრივ კიდევ გამოწვეული მისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, სახელდობრ იმით, რომ ის აქამდე სხვისთვის შრომობდა, რომ მისი შრომის ნაყოფი მას არ ეკუთვნოდა, რაც მისგან თიშავდა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ყოველგვარ სტიმულს და ახლა კი, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საოცარი ძალით თავი იჩინა მასში მთვლემარე ენერგიამ და თაოსნობის ნიჭმა.

გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ ენერგიას გასაქანი მიეცეს. ამისათვის კი საჭიროა სოფლის მმართველობის გაუმჯობესება. ირიგაციის მოწყობა, მიწათმოქმედების პროდუქტების რეალიზაციის, ე. ი. ვაჭრობის გზების, კრედიტის და სხვ. განვითარება.

9. ახალი ტრანსპორტი კომერციის ასპექტებში

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებაში მომხდარმა აღმოჩენებმა, მართალია, შეგვიანებით, მაგრამ მაინც შემოაღწია რუსეთს და, მაშასადამე, ამიერკავკასიაშიც. ორთქლის გემები, რკინიგზა, ტელეგრაფი, იმთავითვე მოასწავებდა მთელ გადატრიალებას კერძოდ კომერციულ ურთიერთობაშიც. ამიერიდან ძველი, ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი საქარავნო-სატრანზიტო გზები ან ახალ მიმართულებებს ღებულობენ, ანდა ბევრად უფრო კეთილმოწყობილნი ხდებიან და შეუდარებლად აჩქარებენ, აადვილებენ და, მაშასადამე, აიაფებენ ტვირთზიდვას, საქონელბრუნვას. ამ დროიდან საერთაშორისო ვაჭრობის და საერთოდ საგარეო ვაჭრობის საქონელი ხდება ისეთი საგნები, რომელთა შორ მანძილზე გადაზიდვა წინათ ძნელი იყო და ძვირი ჯდებოდა, რის გამოც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მცირე რაოდენობით გაიტანებოდა ხოლმე.

ამიერიდან წყლებზე ორთქლის გემებმა, ხოლო ხმელეთზე რკინიგზამ თითქოს ერთმანეთს დაუახლოვა შორეული ქვეყნები და დიდი მანძილები, რასაც წინათ კვირეები და თვეები, ზოგჯერ კიდევ

---

[100] ЦГИАЛ, ф. КК, 1869. д. № I, лл. 71 — 73.

წლები სჭირდებოდა ახლა სულ რამდენიმე საათის, დღისა და კვირის საკალი გახადა. ტვირთის გადაზიდვის დაჩქარებამ და გაიაფებამ კომერციულ ბრუნვაში ჩართო აუარებელი ახალი პროდუქტი და გააფართოვა საქონლური წარმოების მასშტაბები[101].

აღებულ პერიოდში და საერთოდ მე-19 ს. მეორე ნახევარში როგორც შინაგანი, ისე საგარეო ვაჭრობის, კერძოდ ამიერკავკასიის შიგა რუსეთის გუბერნიებთან გაცვლის განვითარებას გარდა ბატონყმობის გაუქმებისა, დიდად შეუწყო ხელი ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო შავ ზღვაზე ორთქლის გემების გამრავლება და საერთოდ ნაოსნობის აღმავლობა (რაც „ნაოსნობის და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“ — დაარსების დროიდან დაიწყო), ამასთანავე ვოლგასა და კასპიის ზღვაზე, მტკვარსა და რიონზე მიმოსვლის და ტვირთზიდვის მკვეთრი გაუმჯობესება.

1868 წ. კასპიის ზღვაზე უკვე 12 ორთქლის გემი დაცურავდა. გაზ. „კავკაზის“ ბაქოელი კორესპონდენტი იწერებოდა: „ამგვარი გემების აქ შემოსვლა ესაა ჩვენში საკაბოტაჟო ნაოსნობის სასიკეთილო განაჩენი... ნავები, რომლებითაც დადიოდა სტენკა რაზინი და რომელთა მსგავსი ახლაც ბევრნი არიან და საცოდავად დაცურავენ სანაპიროებზე და ასტრახანსა და პირუკუ გადააქვთ ტვირთი[102],— გადიან ხმარებიდან.

ამ უკანასკნელ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერძოდ ბაქოს განვითარებისათვის. 1855 წ. ბარონ მეიენდორფი გენ. მურავიოვს სწერდა: ამიერკავკასიის სამრეწველო და კომერციულ ძალთა ადგილზევე დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ მხარის პირველი საჭიროება, რათა ის მრეწველობის მხრივ შეუერთდეს რუსეთს, — ესაა წყლის ტრანსპორტის მოწესრიგება და ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია კასპიის ზღვა და მტკვარი, რომლებთან ვოლგის დაკავშირების შედეგად შეიძლება იმპერიის ცენტრი (მოსკოვი) უწყვეტელი წყლის გზით დაუკავშირდეს ამიერკავკასიის ცენტრს (თბილისს)[103].

[101] К. Базилевич, О черноморских проливах, 1946; И. и В. Магидович, История открытия и исследования Европы, 1970; Э. Вакс, Экономика жел.-дор. транспорта; В. Яцунский, Транспорт. Ист. его развития..., 1926; Головачев, Ист. ж.-дор. дела в России, 1881; К. Опенгейм, Россия в дорожном отношении, 1920; Э. Закс, Экономика морского транспорта, 1924; К. Загорский, Экономика транспорта, 1930.

[102] Газ. «Кавказ», 1868, № 6.

[103] Томашевский, Внутр. водяные и шоссейные пути Кавказа, 1888, СПБ.

აქ მეიენდორფი აკეთებს საკმაოდ გრძელ ისტორიულ ექსკურსს, რომ ეს იდეა წამოყენებულია ჯერ კიდევ პეტრე დიდის მიერ, რომ ამ ხელმწიფის აზრი იყო ბაქოს იქით მდ. მტკვრით თბილისამდე გზის გაყვანა... საქართველოში ქრისტიანობის აღდგენა... მდინარე მტკვრის შესართავთან დიდი სავაჭრო ქალაქის დაფუძნება, სადაც, როგორც ცენტრში, თავს შეიყრიდა ქართველთა, სომეხთა და სპარსელთა ვაჭრობა, რაც იქიდან გაგრძელდებოდა ასტრახანამდე..., რომ ხელმწიფე აქებდა წყლის გზას თბილისიდან მტკვრით კასპიის ზღვისკენ... რომ იქ უნდა იყოს მთელი აღმოსავლეთის ვაჭართა შესაკრები ადგილი..., სადაც მოვა ყველა ვაჭარი საქართველოდან და შირვანიდან და ეს ადგილი იქნებოდა პირველი სავაჭრო ქალაქი კასპიის ზღვის მთელი დასავლეთის სანაპიროებზე. ამ ხელმწიფის მიერ დასახული მიზნის განხორციელების შესაძლებლობა შეიქნა ახლა, 1850-იან წლებში, თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ, ახლა როდესაც იმპერიის ცენტრსა და ამიერკავკასიის ცენტრს შორის წყლის პირდაპირი ტრანსპორტის მოწყობის შესაძლებლობა სავსებით რეალურიაო, არწმუნებდა იგი გენ. მურავიოვს.

იმპერატორის 1851 წ. ბრძანებით შეიქმნა მდ. მ ტ კ ვ ა რ ზ ე ნ ა ო ს ნ ო ბ ი ს მომწყობი კომიტეტი, რომლის შეკვეთით ნიჟნი-ნოვგოროდში, ვოლგის ნაოსნობის კომპანიის ქარხანაში, ააშენეს რკინის ორთქლის გემი და ორი კარჭაპი. ეს გემი 1852 წ. უკვე ჩაუშვეს ვოლგაში და იქიდან წამოსული 8 ათასი ფუთი ტვირთით ჩავიდა სოფელ. მინგეჩაურს[104]; ასე დაიწყო ახალი ნაოსნობა მდ. მტკვარზე. თუმცა უფრო ადრე, 1846 წ. მ. ვორონცოვის ბრძანებით, კასპიის ზღვიდან წამოსული ორთქლის გემი „ვოლგაც“ მდ. მტკვარზე ამოვიდა მინგეჩაურამდე. მეიენდორფის ცნობით, მტკვარზე მხოლოდ ბორჯომს ქვემოთ შეიძლებოდა ტივების დაცურება, ხოლო ნაოსნობისათვის ის ვარგოდა მხოლოდ მდ. ხრამის შესართავის ქვემოთ. ამ დროს, 1855 წ., მინგეჩაურიდან ზღვამდე გემის მიმოსვლა უკვე სავსებით აწყობილი იყო[105].

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ნაოსნობა მტკვარზე მომგებიანი იქნებოდა რკინიგზის ბაქომდე გაყვანის შემდეგაც, სინამდვილეში ეს ნაოსნობა უფრო ადრე შეწყდა. ამავე დროს ვოლგისპირეთის გუბერნიებიდან, 1860-იან წლებში, ამიერკავკასიაში ყოველწლიურად შემოჰქონდათ 300 ათას ფუთამ-

---

[104] ACKAK, XI, c. 793 — 794.

[105] იქვე, გვ. 795 — 798.

დე რკინა, ხოლო ქედაბექიდან რუსეთში გაჰქონდათ 40 ათასი ფუთი სპილენძი; აქედან ბაქომდე აქლემებით 1 ფუთის გადატანა ჯდებოდა 50—75 კაპ.[106]. საბოლოოდ ტრანსპორტის ეს საკითხი რკინიგზის გაყვანის მეთხებით გადაიჭრა...

სწორედ ამავე ხანებში დაიწყო რეგულარული ნაოსნობის ორგანიზაცია მდ. რ ი ო ნ ზ ე. ინჟ.-პოდპოლკ. იოგელის მიერ 1855 წ. შედგენილ ბარათში, მდ. რიონზე ორთქლის გემის მიმოსვლის შესახებ, ნათქვამია, რომ ნაოსნობა ფრიად გააადვილებს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების (სიმინდის, ლობიოსა და სხვ.) ზღვამდე გატანას, ხოლო იქიდან უცხოური და რუსული პროდუქტების შემოტანას..., რომ სამდინარო ნაოსნობამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის კეთილდღეობის ამაღლებას..., რომ „ყველაზე საქმიანი კომერციული ხალხი — ამერიკელები მიმოსვლის მოწყობას ყოველთვის იწყებდნენ ნაოსნობის მოწყობით...", რომ რიონი სანაოსნოა გუბისწყლის შესართავიდან თვით ფოთამდე, 100 ვერსზე..., რომ ორთქლის გემის მიმოსვლა რიონზე ხელს შეუწყობს „ინერეთ-სამეგრელო-გურიის სავაჭრო-ეკონომიკურ აღმავლობას...", რომ აქ დიდია ტვირთზიდვა[107] და არსებულის ნახევარფასზე გადატანის პირობებშიც ნაოსნობა ფრიად მომგებიანი იქნება[108].

1858 წ. როპიტ-ის კომპანიამ რიონზე დააარსა „საბუქსირო ნაოსნობა"[109]. გრ. ორბელიანი დ. ჯორჯაძეს სწერდა (1858.6.28): „რიონზედ დაიწყო პარახოდმა სიარული; ფოთის გარშემო გაიკაფა დიდი ადგილი, სადაც ახლავე ჰსახლდებიან მრავალნი და იმედია, რომ მოკლეს ხანს გადაიქცეს ქალაქად. მრავალნი სომეხნი და ბერძენნი გადმოდიან ოსმალოდან საცხოვრებლად..."[110]

ცხადია, ორთქლის გემებმა ფრიად გააიაფეს, თანაც დააჩქარეს მიმოსვლა, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ვაჭრობის განვითარებისათვის. 1865 წ. ქუთაისის გუბერნატორი გენ. ოგოლინი წერდა, რომ ქუთაისიდან ოზურგეთამდე, 100-მდე ვერსს, ფოსტა 10 დღეში გადიოდა... ამავე ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზა; მაგრამ, რაც განსაკუთრებით

---

[106] М. К о р г а н о в, Ист. очерк пароходства на р. Куре (ССК, т. II, 1872, Т., с, 68 — 79).

[107] АСКАК, XI, с. 815—817.

[108] ამ დროს ერთი ფუთი ტვირთის გადაზიდვა ყულევიდან ქუთაისამდე ღირდა: ურმით — 30 კაპ., საპანლით — 50 კაპ.; ხოლო რიონზე ორთქლის გემით ფოთიდან გუბისწყლის შესართავამდე — 10 კაპ. ანგარიშობდნენ.

[109] ЛОЦИА, ф. КК, 1858, д. № 196.

[110] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, II, გვ. 246.

აღსანიშნავია, დასრულდა ფოთი — თბილისის (1872) და ბათუმ—ბაქოს (1883) რკინიგზის გაყვანა, რის შემდეგაც, რა თქმა უნდა, მტკვარსა და რიონზე ხსენებულმა ნაოსნობამ უკვე თითქმის ყოველგვარი აზრი დაკარგა[111].

ხსენებულ მოვლენებთან ერთად, ვაჭრობის ისტორიის თვალსაზრისით, დიდმნიშვნელოვანია სავაჭრო მიწათმოქმედების, სამთომადნო (ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობის, სპილენძის) და გადამუშავებითი მრეწველობის დარგებში მიმდინარე სიღრმისეული ძვრები, რომლებმაც განაპირობეს საერთოდ იმპერიისა და კერძოდ ამიერკავკასიის ეკონომიკური აღმავლობის ახალი ეტაპი.

მართალია, სწორედ ამ დროიდან ვაუქმდა ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტი, მაგრამ სულ მალე ნათელი გახდა, რომ ახალ ვითარებაში ამან არსებითი ზიანი ვერ მიაყენა აქ კომერციულ ურთიერთობათა განვითარებას. პირიქით, მალე, როგორც მომდევნო მონოგრაფიაში დავინახავთ, რკინიგზის გაყვანის შემდეგ დიდად გაფართოვდა საერთოდ კომერციული თაოსნობა.

საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ აბორიგენთა თაოსნობას, არამედ ცარიზმის ადგილობრივ ადმინისტრაციასაც ჰქონდა წარმოდგენილი შავი და კასპიის ზღვების რკინიგზის მაგისტრალით შეერთების როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა. ჯერ კიდევ ამ რკინიგზის მშენებლობის დაწყების ათიოდე წლით ადრე

---

111 გაზ. „დროების“ ფოთელი კორესპონდენტი 1883 წ. იწერებოდა: „ბათუმ-ბაქოს რკინიგზით შეერთებამ ფოთის მნიშვნელობა დასცა. მაგრამ ფოთის პატრიოტები მაინც არ იტეხდნენ იხტიბარს. მართალია, ფოთითგან ზოგი ვაჭარი და კომისიონერი ბათუმში გადაბარგდა, მაგრამ „ხუთი კომისიონერი თავის მუშით და მენაველებით, სამი სასტუმრის მქონე და ხუთი ფაეტონი, სადაც უნდა იყვნენ—ფოთს ამითი არა დაუშავდება რა. ფოთის ბედნიერება და უბედურება არის მთელი სამეგრელო, მდ. რიონი და ნახევარი გურია. თუ ესენი მოისპობიან, ფოთიც მაშინ ჩაბარდება პატრონს. რასაც კი ეზიდებიან საზღვარგარეთ, თუ რუსეთში, მაგალითად: სიმინდს, კაკლის კუნძს /მორებს/, ბზის ხეს, ბოჩკის ფიცარს /საკასრე ტკეცს/, შენობის მასალას და სხვ. ყოველივე ეს გამოდის სამეგრელოდან და გურიიდან და ზამთარ-ზაფხულ ნავებით თუ ცეცხლის გემებით დიდის პარტიობით მიდის უცხო ქვეყნებში. ამ საქონლისა ასზედ ოთხმოცდაათი ნაწილი რიონით და პალიასტომით მიდის 90 — 100 ვერსის მანძილიდან“;ამასთანავე ბათუმში საწყობი ძვირია და რკინიგზას მოშორებული. ფოთში — იაფი და რკინიგზასა და რიონს ზედმიკრული. ფოთის ნავსაადგურში გარდა „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“ (—როპიტ) გემებისა, მიდიოდნენ როდოკონაკის, ნოვოსელსკისა და პალაშკოვსკის გემები („დროება“, 1883, № 153, 222).

კავკასიის ნამესტნიკი ა. ბარიატინსკი იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა (1857)[112]:

მიმოსვლის ფრიად დიდი სიძნელეებით და უზარმაზარი მანძილით იმ პუნქტებს შორის, რომლებშიც თავმოყრილია სახელმწიფოს მთავარი ძალები, ამიერკავკასია როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური მხრივ მთლიანად გამოყოფილია იმპერიისაგან და ასეთ პირობებში ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანა სავსებით აუცილებელია, რამდენადაც „ახლანდელი გზა, დარიალზე რომ გადის, ერთრიგად აბრკოლებს როგორც სავაჭრო კავშირურთიერთობას, ასევე ჯარის მოძრაობას". ამიერკავკასიის ნაწარმთა ამ მთებზე რუსეთში გატანა ისე ამაღლებს მათს ფასებს, რომ სავაჭრო ბრუნვიდან გამორიცხავს მათს დიდ ნაწილს, მაგალითად, ადგილობრივ ღვინოს, რომელიც შეადგენს და რომელსაც შეუძლია შეადგენდეს დიდი სიმდიდრის წყაროს ამ მხარისათვის, მაგრამ ტრანსპორტირების ახლანდელ პირობებში თავისი ფასით მიუწვდომელია შიგა იმპერიაში. ამიტომაც ვაჭრობა შეზღუდულია რამდენიმე საქონლით, რომლებიც იტანენ გადაზიდვის ღირებულებას. რკინიგზა გააფართოებს ადგილობრივ ნაწარმთა რეალიზაციის ბაზარს, ხელს შეუწყობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ რკინიგზა გამოიწვევს წინა აზიასთან მთელი ევროპული ვაჭრობის ამიერკავკასიაში გადმოტანას. ამიერკავკასია ორი ქვეყნის, აზიისა და ევროპის, შეერაყარზეა როგორც თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობის ადგილი[113]. თუ აქამდე ამიერკავკასიას სახელმწიფოსათვის უმთავრესად მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, თავისი ადგილობრივი მწარმოებლურობით, ის შეიძლება გახდეს იმპერიის უმდიდრესი ნაწილი, რომ არა ვთქვათ რა საერთაშორისო კავშირურთიერთობათა თაობაზე...

მრავალგან ეტყობა, რომ ეს მხარე ძველად ყოფილა მჭიდროდ დასახლებული და ცივილიზებული... ჩანს მიტოვებული ირიგაციის ნაშთები... ახლა „ამ ქვეყნის აღორძინება არ შეიძლება გარეშე ვაჭრობისა, რაც მთელ მის გეოგრაფიულ აზრს შეადგენს. ნაცვლად იმისა, რომ შეაკავოს ის ამკრძალავი ტარიფით, რუსეთმა მისთვის

---

[112] А. Аргутинский-Долгоруков, История... Закавказской жел. дорог..., 1896, Тифлис.

[113] Документы по истории Грузии, т. I, ч. I, под ред. Ш. Чхетия, 1954, Тб., с. 716 — 728.

და თავისთვისაც კავკასიის ყელი უნდა გადააქციოს მსოფლიო ვაჭრობის დიდ გზად, გზად, რომელიც შეესატყვისება XIX საუკუნეს: გადასეროს ის შავ და კასპიის ზღვებს შორის (830 ვერსზე) რელსებით და გაათავისუფლოს შემავიწროებელი ტარიფებისაგან".

კავკასიის ნამესტნიკი თავის მოხსენებაში, ცხადია, დიდ ადგილს უთმობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო და ადმინისტრაციულ მნიშვნელობას, მაგრამ აქ როგორც ამ საკითხს, ისე საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ასევე ტელეგრაფის გაყვანისა და ამ დროიდან საზოგადოდ მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის გაუმჯობესების თაობაზე ჩვენ სპეციალურ მონოგრაფიაში გვაქვს მსჯელობა[114].

***

შინაგანი ვაჭრობის განვითარების პრობლემებიდან ჩვენ ცალკე გვაქვს გამოყოფილი ისეთი საკითხები, როგორიცაა: ბაზრები და იარმარკეტები, ვაჭრობა მთიულეთთან, ვაჭართა კომპანიები და ბოლოს თვით ვაჭართა კლასის ფორმირება, როგორც ვაჭრობის და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სფერო.

---

114 ანალოგიური ხასიათისა იყო იმავე 1857 წ. შედგენილი სამხედრო ინჟინრის ჩერევინის პროექტიც და ამ დროიდან ამ საკითხის შესახებ შემუშავებული ყიდევ მრავალი მოხსენება და რეკომენდაცია.

VI. ვაჭრობა კავკასიონის მთიელებთან

XIX ს. პირველ ნახევარში და კარგა ხანს მერმეც „განაპირა ქვეყნებში“ რუსეთის იმპერიის ვაჭრობის პოლიტიკა უმეტეს წილად ეყრდნობოდა და თითქმის ყოველთვის გულისხმობდა ბაზრის (და, მაშასადამე, ქვეყნის) პოლიტიკურ დაპყრობას. ასე რომ, საერთოდ, ტერიტორიული და ეკონომიკური ექსპანსია, როგორც წესი, პოლიტიკური ექსპანსიის კვალდაკვალ მიდიოდა. სწორედ ანალოგიური იყო მდგომარეობა კავკასიაშიც, რომელიც ცარიზმმა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, უწინარეს დაიპყრო პოლიტიკურად და არსებითად მხოლოდ მერმე დაიწყო მისი ეკონომიკური დაპყრობა.

თავის ადგილას უკვე გვქონდა საუბარი მთის, კერძოდ კავკასიის მთიულეთში და, განსაკუთრებით, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებთა შორის 1801—1830 წწ. ვაჭრობის განვითარებისათვის ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებათა შესახებ.

ამ ცდებს, თავისი პოლიტიკური მეთოდების გამო, ცხადია, ნავარაუდევი შედეგი არ მოჰყოლია[1]. მაინც ყაჩაღთა (ლეკთა და სხვა ბანდების) თარეშების აღკვეთისა და საერთოდ, მშვიდობიანი წარმოებისა და გაცვლის განვითარების შესაბამისად, თუმცა ნელა-ნელა, ვაჭრობა თავის გზას იკაფავდა[2].

საქართველოს სამხედრო გზაზე განლაგებულ დუქნებში საქონელზე ნიხრს მთიელთა ოლქის უფროსი აწესებდა და იგივე უფროსი საერთო მეთვალყურეობა-მფარველობას უწევდა ამ ვაჭრობას. ასეთ დუქნებთან ყაზბეგში, კაიშაურში, ფასანაურში, დუშეთსა და სხვა შედარებით მსხვილ პუნქტებში იყო აგრეთვე გასაჩერებელი ეზოები და სასტუმრო ოთახები მგზავრებისათვის.

---

[1] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, 1887, СПБ, т. V, с. 410 — 412.

[2] Е Циляев, О торговле по Военно-грузинской дороге в горах. АСКАК, VII, № 299, с. 352 — 353.

1820-იან წლებში მთელ საქართველოს სამხედრო გზაზე ვაჭრობის მონოპოლია უკვე ხელში ჩაიგდო ექვსმა დუშელმა ვაჭარმა, რის გამოც სხვები „მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ივაჭრონ მთიელ ხალხებთან". ასეთ ვითარებაში 1826 წ. გენ. ველიამინოვმა განკარგულება გასცა, რათა მთიელთა ოლქის უფროსს პოლკ. კანანოვს „არავისთვის არ აეკრძალა აქ ვაჭრობა"[3]. ასეთი თავისუფლების დაწესების შემდეგ, თანდათანობით, მთელ საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისიდან ეკატერინოგრადამდე, ყოველ სადგურსა და საყარაულო ადგილებზე გაჩნდნენ ე. წ. მარკიტანტების[4] დუქნები.

როგორც სამხედრო ადმინისტრაცია ირწმუნებოდა, ვითომდა „კარგად აწყობილი საქმე" მალე კვლავ აიბურდა. დუშელმა ვაჭრებმა, რაკი მონოპოლიური მდგომარეობა და, მაშასადამე, დიდი მოგების მიღების საშუალება დაჰკარგეს, ხელი აიღეს ამ საქმიანობაზე. ხოლო მარკიტანტებმა, რომელთაც არც გამოცდილება და არც საკმარისი სახსრები არ გააჩნდათ, მოსალოდნელ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი დუქნები განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი სავაჭრო გადასახდელისაგან.

მგზავრები, რომლებიც აქ უპირატესად ცარიზმის ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებისაგან შედგებოდა, სიძნელეებსა და დაბრკოლებებს განიცდიდნენ. ეტყობა ეს უხერხულობანი და „კრიზისი" ხელოვნურად იყო გამოწვეული. ადმინისტრაციამ კვლავ ლმობიერება და შემწყნარებლობა გამოიჩინა დუშელი ვაჭრების მიმართ, რომლებიც ახალი კონსტრუქტიული წინადადებით გამოვიდნენ:

მთელ საქართველოს სამხედრო გზაზე, როგორც მგზავრთა, ისე „ადგილობრივ მთიელთა საუკეთესოდ მომარაგებისა და მომსახურების მიზნით, ისინი თავიანთ დუქნებში ამიერიდან საკმაო რაოდენობით იქონიებდნენ მგზავრთათვის საჭირო და თვით მთიელთა მოთხოვნილების საქონელს", როგორიცაა მარილი, ნარმა, ჩითი, სხვადასხვა ბამბაქსოვილი, ლეინი (შეღებილი ნარმა), ტილო და სხვ., ცხადია, გარდა თოფისწამლისა, გულასი (თოფის მზა ტყვიისა), ტყვიისა და გვარჯილასი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში

---

[3] АСКАК, VII, с. 353.

[4] მარკიტანტი (გერმ. Marketender) თავდაპირველი აზრით სურსათ-სანოვაგის ვაჭარი ჯარის /არმიის/ ნაწილებთან; — ამ ხანებში სამხედრო გზებზე განლაგებული მედუქნეებიც მარკიტანტებად იწოდებოდნენ.

არ უნდა მიეყიდოს მცხოვრებლებს, ე. ი. მთის მოსახლეობასო, — გადაჭრით მოითხოვდნენ თვითონ ეს ვაჭრებიც.

ცხადია, შეიარაღებული ადგილობრივი მოსახლეობა საშიში იყო არა მხოლოდ ვაჭრებისათვის, არამედ, და არანაკლები ზომით, არასასურველი თვით ცარიზმის ხელისუფლებისათვის.

ამავე დროს „ასეთი კეთილმდგომარეობის“ დამყარებისათვის, ვაჭრები მოითხოვდნენ ნება მიეცათ მათთვის შეექმნათ კომპანია, ე. ი. არსებითად მიენიჭებინათ მათთვის ლეგალიზებული და აღიარებული მონოპოლია. ისინი პირდაპირ მოითხოვდნენ, რომ „სხვას არავის, გარდა ამ კომპანიისა არ მიეცეს ნება მთებში, ე. ი. ანანურს ზემოთ დარიალამდე, იქონიოს ანალოგიური დუქნები და ეწეოდეს იქ ვაჭრობას მსგავსი საქონლით“.

ვაჭართა ეს კომპანია, ამასთანავე, შესაძლებლად თვლიდა, ცხადია, უპირატესად ისევ თავისი სარგებლობისათვის, რათა ადგილობრივ მცხოვრებთ ჰქონოდათ უფლება თავიანთსავე სოფლებში გაეყიდათ საკუთარი ნაწარმები, პროდუქტები — აქ გამვლელ მგზავრთათვისაც[5].

იმპერიის ფინანსთა მინისტრი კანკრინი ერთ მიმართვაში ბარონ როზენს სწერს, რომ მან მისდა განსაცვიფრებლად გაიგო, რომ „ქ. ყიზლარის მცხოვრებნი არამცთუ აწოდებენ საქონელს ანდიელებს, რომლებიც ჩვენ არ გვემორჩილებიან, არამედ იქიდან სამაგიეროდ ღებულობენ ნაბდებს, — რაც უაღრესად საზიანოა სამხედრო ლინიაზე მყუდროებისათვის, რადგან თუ ჩვენდამი მტრული მთიელი ხალხები ყველა მათთვის საჭიროს მიიღებენ და დაუბრკოლებლად გაასაღებენ თავიანთ ნაკეთობებსა და ნაჭარბ პროდუქტებს, მაშინ არც იქნებიან ისინი იძულებულნი დაგვემორჩილონ ჩვენ“; რის გამოც მინისტრი მოითხოვს „არ იქნას დაშვებული ვაჭრობა ჩვენდამი მტრულ ხალხებთან და განსაკუთრებით შესყიდვა ან გადაცვლა ანდიელთა ნაბდებისა, რაც მათი მესარეწეობის ერთადერთი და მთავარი დარგია“[6].

იმავე 1833 წელს, საპასუხო ბარათში გენ. როზენი კანკრინს სწერდა, რომ „მთიელებთან ჩვენი ვაჭრობა აქამდე იმდენად უმნიშვნელოა და... გამოიხატება მხოლოდღა მცირეოდენი ნაჭარბისა და ზოგიერთი მათი უხეში ნაკეთობის გაცვლაში, რომ ჩვენდამი დაუმორჩილებელ მთიელებს კიდევაც რომ მივსცეთ თავისუფალი

---

[5] ACKAK, VII, c. 353.

[6] ACKAK, VIII, № 84, c. 135.

ვაჭრობის უფლება, ესეც არავითარ გავლენას არ მოახდენს კავკასიის ვაჭრობის საერთო მსვლელობაზე; მით უფრო, რომ ახლაც დამორჩილებულნი მეტს ყიდულობენ, ვინემ საკუთრად მათ სჭირდებათ, ხოლო ზედმეტ ნაწილს აძლევენ (უცვლიან) დაუმორჩილებელთ; პირველნი ამით ღებულობენ სარგებლობას, რაც მათ აიძულებთ დარჩნენ ჩვენს მორჩილებაში, ანდა ყოველ შემთხვევაში აშკარად არ მიდიოდნენ მთავრობის წინააღმდეგ"[7].

აღსანიშნავია, რომ ასეთი ხასიათის მიმოწერას რუსეთის იმპერიის ცენტრალურ და კავკასიის ადგილობრივ ხელისუფალთა შორის თითქმის შეუწყვეტელი ტრადიცია აქვს, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა მოეპოვება.

შავი ზღვის სანაპირო ლინიის უფროსი' გენ.-ლეიტ. რაევსკი 1841.1.9 იმპერიის სამხედრო მინისტრ გენ.-ად. ჩერნიშევს მოახსენებს თავის მოსაზრებებს ზღვის სანაპიროს მთიელებთან ვაჭრობის თაობაზე. ასეთი დოკუმენტის შედგენა მას დაავალა კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალმა გენ. გოლოვინმა. გენ.-ლეიტ. რაევსკიმ თავისი აზრები გაუზიარა და რჩევაც სთხოვა ბესარაბიის გენ.-გუბ. ვორონცოვს. უკანასკნელს, კავკასიის მომავალ ნამესტნიკს, ამ დროს ცალი თვალი უკვე აქეთკენ ეჭირა.

მ. ვორონცოვი საკუთარ და აგრეთვე დსს მარინის წინადადებებს უგზავნის რაევსკის. ამავე მხრივ დაინტერესებას იჩენს კაპიტალისტი, ბერძნული წარმოშობის რუსი მემამულე, სტავრო ვალიანო. ეს ტაგანროგელი პირველი გილდიის ვაჭარი შავი ზღვის სანაპირო ლინიის უმსხვილესი მეიჯარე იყო. რაევსკის ცნობით, აქ მან წარმატებით შეასრულა 2 მლნ მან. მეტის საიჯარო სამუშაოები. მას საკაბოტაჟო და საგარეო ვაჭრობისათვის ჰყავდა საკუთარი გემები. 1841 წ. სანაპირო ლინიაზე მას დაფრახტულთა[8] ჩათვლით ჰყავდა 200-ზე მეტი გემი. რაევსკი მისგანაც მოელოდა მნიშვნელოვან წინადადებებს მთიელებთან ვაჭრობის განვითარების საკითხზე.

გენ.-ლეიტ. რაევსკი დარწმუნებულია, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ლინიაზე ვაჭრობის განვითარება შეუძლებელია, თუ არ დაწესდა უცხოური საქონლის უბაჟო შემოტანა და ეს უფლება არ მიეცა ყველას ვინც აქ დასახლდება. „ეს არ იქნება

---

[7] АСКАК, VIII, № 85, с. 136.

[8] ფრახტი /გერმ./ ტვირთის გადაზიდვის საფასური. გემის დაფრახტეა — დაქირავება ტვირთის, საქონლის გადატანის მიზნით.

აღდგენა საქართველოს ტრანზიტისა..., რომლის აღკვეთამ ჩვენ დიდი პოლიტიკური ზიანი მოგვიტანა“ და გამოიწვია ტრაპიზონში ინგლისური კომპანიის დაარსება და შავ ზღვაზე და სპარსეთში რუსეთის საწინააღმდეგო ინგლისის გავლენის ზრდა.

რაევსკის გეგმით შავი ზღვის პორტებში უცხოური საქონლის უშუალოდ შემოტანა უნდა დაწესდეს მხოლოდ ყუბანსა და ენგურს შორის მდებარე სანაპიროზე. ასე რომ, ის არ ვრცელდება ენგურის სამხრეთით მდებარე საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაზე. ამგვარად კი ვაჭრობის თავისუფლება დაშვებული იქნება მხოლოდ მთიელებთან. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურმა პრივილეგიამ დიდად შეუწყო ხელი ბესარაბიის „ბრწყინვალე განვითარებას“. ეს პრივილეგია, ისე როგორც იყო ოდესისათვის, უნდა დაწესდეს 30 წლით. „თუ არა ამდენი დრო, ოდესა არ იქნებოდა ის რაც ახლა არის“.

შავი ზღვის ამ სანაპიროს პორტები: ნოვოროსიისკი, გელენჯიკი და სოხუმი საიმედო თავშესაფარი იქნება გემებისათვის — „ეს პორტები არ ჩამოუვარდებიან საფრანგეთისას ხმელთაშუა ზღვაზე. აღმოსავლეთის სანაპიროთა ველები ისეთსავე თბილი ცის ქვეშ მდებარეობენ და უხვად ირწყვებიან ყინულოვანი მთებიდან ჩამომავალი მდინარეებით და შეიცავენ ვრცელ საძოვრებსა და მდელოებს, გარშემო მდებარე მთები დაფარულია საანძო და სამშენებლო ტყეებით და, ძველთა მოწმობით, იქ, მიწის წიაღში, მოიპოვება სიმდიდრის სხვა წყაროები“ — პათეტიკურად მსჯელობს გენ. რაევსკი[9].

ამ ასპექტში შავი ზღვის საქართველოს პორტებიდან უპირატეს ყურადღებას იმსახურებდა სოხუმი, სადაც, „თურქთა მფლობელობის დროს, გალავანშემოვლებულ ქალაქში ცხოვრობდა სამი ათასი ოჯახი. აქ იყო ნაყოფიერი ბაღები და ხალხმრავალი ბაზრები. თურქების დროს სოხუმი იყო მდიდარი, ჯანსაღი, მხიარული სავაჭრო ქალაქი, ამიერკავკასიის საუკეთესო ყურეზე. პატარა მდინარე განდარი, ქვებში მიმავალი რუებით, ყველგან იძლეოდა ანკარა წყალს ბაღების მოსარწყავად და მცხოვრებთა სხვა საჭიროებისათვის. ზღვის ნაპირთან ეს პატარა რუები ერთდებოდნენ ერთ დიდ, აგურის კალაპოტში ჩამჯდარ არხად, რომელშიც დასატვირთგადმოსატვირთავად შედიოდნენ პატარა თურქული ხომალდები“.[10].

---

[9] ЛОЦИА, ф. КК, 1841, д. № 134, ч. III, лл. 1 — 3.

[10] იქვე, ფურც. 5 — 6.

მაგრამ რას წარმოადგენს სოხუმი ახლა?: „მოსახლეობა გაიფანტა, ბაღები აკაფულია, შენობები სულ ინგრევა, ციხის კედლები გაბზარულ-დახეთქილია და სადაცაა ჩამოიქცევიან. პატარა მდინარე, რომელიც ხეობიდან გამოდის, ჩასილულია და თოვლის დნობისას ადიდებული გადადის კალაპოტიდან და ტბორავს ციხესიმაგრის მიდამოებს. დამპალ წყალს, რომელშიც იხრწნება სახლების ნანგრევები, არა აქვს დასაწრეტი და შრება მხოლოდ აორთქლებით, დიდი სიცხეების დროს... ციხესიმაგრის გარეთხრილი, რაც სოხუმის ჩვენს მიერ დაკავების შემდეგ საეჭვოა ვინმეს გაეწმინდოს, სავსეა ყოველგვარი სიბინძურით... რისგანაც აშმორებული ანაორთქლით გავსებულია ჰაერი... თურქების დროს სოხუმი იყო უბიხებთან, ჯიქებთან, აფხაზებთან, წებელდელებთან, სამურზაყანოელებთან და სხვ. ვაჭრობის ცენტრი... ამჟამად კი იგი მშვენიერი და ერთადერთი პორტია დასავლეთ რუსეთის ამიერკავკასიასთან, სპარსეთთან და აზიური თურქეთის აღმოსავლეთის ნაწილებთან კავშირისათვის. ამის მეოხებით კი, მომავალში სოხუმში ვაჭრობის განვითარება აუცილებლად გაუსწრებს ნოვოროსიისკსა და გელენჯიკს“

ამგვარად, მისი აღებიდან 30 წლის შემდეგ, ბოლოს, სოხუმს მიაქციეს ყურადღება. „იმპერატორის ბრძანებით უნდა დაიწყოს აქაური ჭაობების დაშრობა... აფხაზეთი დამორჩილებულია... მშვიდობიანმა ცხოვრებამ გაუმჯობესა მხარის მდგომარეობა და დაახლოვა მისი მცხოვრებნი რუსებთან. გადმოსახლებულნი იქნებიან მშვიდად და მათ ექნებათ შესაძლებლობა შეიძინონ მიწები. მხარეში უხვად იწევენ ყურძენს, აბრეშუმს, ზეთისხილს, ბრინჯს, ბამბას, ზოგიერთი ცდა იმედს იძლევა, რომ იქ გაიხარებს კორპის ხე, ფორთოხალი, ჩაი, კამფორის ხე, ინდიგო და ახალი ზელანდიის სელი“[11].

სოხუმის ასეთი გულმოდგინე აღწერის შემდეგ, ნამდვილად კეთილგანწყობილი გენ. რაევსკი ცენტრალური ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობს სოხუმზედაც გაავრცელონ კოლონიზაციისა და ვაჭრობის შეღავათები, რაც განზრახულია მიენიჭოს ნოვოროსიისკის პორტს; რომ აქ ჩამოსახლებული ვაჭრები, მეშჩანები და ხელოსნები 25 წლით გაანთავისუფლონ ყოველგვარი ბეგარა-გამოსაღებისაგან; რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად შეიძინონ მიწები ადგილობრივ მთიელთაგან; რომ მათ ჰქონდეთ საერთოდ, ყოველ-

---

[11] ЛОЦИА, ф. КК, 1841; д. № 134, ч. III, лл. 6—7.

გვარი მეურნეობრივი თაოსნობის და გარიგებათა გაფორმების უფლება, — პირველი და მეორე გილდიის ვაჭრების დონეზე და სხვ.

საბოლოოდ, გენ.-ლეიტ. რაევსკის ამ და სხვა კიდევ რიგმა წინადადებებმა და პროექტებმა თავისი ასახვა ჰპოვეს 1846 წლის 14 და 15 დეკემბერს და 1847 წ. 4 მაისს გამოცემულ კანონებში, რომელთა შინაარსი ჩვენ ზემოთ, ვაჭრობისა და ბაჟის პოლიტიკის განხილვისას, გვაქვს გადმოცემული.

მთიელებთან ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი იყო მარილი[12]. საერთოდ ამიერკავკასიაში, უწინარეს მის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ შავი ზღვის სანაპიროებზე, მე-19 ს. მეორე ათეული წლებიდანვე იწყება ყირიმისა და ბესარაბიის ტბების მარილის შემოტანის გაძლიერება.

პირველ ხანებში ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროებზე რუსეთიდან მარილის შემოტანა თავისუფალი იყო საბაჟო საფასურისაგან. ამ სანაპიროთა ციხე-სიმაგრეებში სამხედრო უწყებას ჰქონდა მარილის მარაგები, რითაც ვაჭრობდნენ მთიელებთან. შავი ზღვის სანაპიროთა ლინიის უფროსი გენ. შ. ა. ბუდბერგი გენ. ნეიდგარდტისადმი მიმართვაში (1844) აღნიშნავს, რომ მთიელებთან მარილით ვაჭრობამ იმთავითვე ხელი შეუწყო აქ რუსთა სამხედრო გარნიზონების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, რამდენადაც ისინი „მარილისათვის მთიელთაგან ღებულობდნენ ახალ ხორცს, შინაურ ფრინველს, სხვადასხვა ხილსა და ბოსტნეულს, რძესა და სხვ. მსგავს“ პროდუქტებს[13].

ამასთანავე, როგორც გენ. ბუდბერგი აღნიშნავს, მთიელებთან მარილის ვაჭრობას და საერთოდ სავაჭრო ურთიერთობას შედეგად მოჰყვა გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობა. მახლობელმა მთიელებმა დაარღვიეს ფიცი, რომელიც აკავშირებდა შავი ზღვის აღმოსავლეთის ყველა მთიელ ტომს, რომ არ ჰქონოდათ მიმოსვლა რუსების ციხე-სიმაგრეებთან და თავი აერიდებინათ ამ გარნიზონებთან ყოველგვარი ურთიერთობისაგან. მაგრამ, მთიელებთან მარილით ვაჭრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთის სამხედრო უწყებას არა მხოლოდ ამ მხრივ, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ის შეიქნა ძლიერი იარაღი მთიელებთან უცხოელთა და პირველ რიგში თურქეთის ქვეშევრდომთა მხრივ კონტრაბანდული ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[12] Н. Дубровин, История войны..., т. V, с. 412.
[13] АСКАК, IX, № 547, с. 642.

სწორედ ამიტომ იყო, რომ გენ. ა. ბუდბერგი „სასარგებლოდ და აუცილებლადაც“ კი თვლიდა შავი ზღვის სანაპიროთა ლინიის მარაგებიდან მთიელებისათვის მარილის მიწოდებას და ამ ოპერაციების ისევე გაგრძელებას „როგორც ახლა არსებობს“.

1842 წლიდან გაუქმდა შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროებთან მარილის უბაჟო შემოტანა და დაწესდა ყულევსა (რედუტ-კალეს) და წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში (შეკვეთილში) შემოტანილ მარილზე სააქციზო მოსაკრებელი. იმ დროს ამ გზებით შემოტანილი მარილით მარაგდებოდა აფხაზეთი, სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია, ხოლო ამ პროვინციების მეშვეობით კიდევ შიგა კავკასიონის მთიულეთი.

გენ. ა. ბუდბერგს ხსენებული ღონისძიების გატარება საზიანო მოვლენად მიაჩნდა, შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ ხალხებთან ვაჭრობისა და, საერთოდ, ეკონომიკური და, მაშასადამე, პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერების მსურველი რუსეთის იმპერიის საერთო ინტერესების თვალსაზრისით. კერძოდ, არა ფინანსური ხაჟიათის, არამედ საკუთრად პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო.

საქმე ისაა, რომ მარილზე სააქციზო მოსაკრებელის დადება გააძვირებდა მარილს, ამასთანავე მთიელთათვის ამ საქონლის მიწოდების გაძნელება გამოიწვევდა თურქული და საერთოდ უცხოური კონტრაბანდის გაფართოებას და, მაშასადამე, ჯერ ერთი, მთიელთა შორის თურქეთის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას, მეორე, იმავე კონტრაბანდული ვაჭრობის მეოხებით, მთიულეთში უცხოური სამხედრო იარაღის შეტანის გახშირებას, და მერმე, გააძნელებდა კარანტინის წესების დაცვას, რითაც უფრო შესაძლებელს გახდიდა თურქეთიდან შავი ჭირის და სხვა ავადმყოფობათა შემოსვლას.

გენ. ნეიდგარდტი 1844 წ. შავი ზღვის სანაპირო ლინიის უფროსს გენ. ა. ბუდბერგს სთხოვს შეატყობინოს თავისი მოსაზრებანი ზღვის სანაპიროებზე მარილის თავისუფალი ვაჭრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. იმავე წლის 22 აგვისტოს ა. ბუდბერგი ქერჩიდან იწერება, რომ თავისუფალი მესარეწეებისათვის ასეთი ნებართვის მიცემა მას შესაძლებლად მიაჩნია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ მთიელებს მარილი გაუცვალონ „მხოლოდ იმ საქონელზე, რომელიც ჩვენს გარნიზონს არ სჭირდება“.

ამგვარად, იმისათვის, რათა თავისუფალ მესარეწეთაგან აქ მარილის მოტანა და რეალიზაცია „საზიანო არ იყოს ჩვენი გარნი-

ზონებისა და მთიელებთან ვაჭრობის განვითარების საერთო მიზნებისათვის, აუცილებელია შავი ზღვის სანაპირო ლინიის უფროსს შეეძლოს თავისუფალ მესარეწეთა რაოდენობის განსაზღვრა, შეარჩიოს პუნქტები, სადაც მათ ნება ექნებათ აწარმოონ მთიელებთან გაცვლა, დააწესოს თუ რა საგნებზე შეეძლებათ მათ (კერძო ვაჭრებს) გაუცვალონ მთიელებს მარილი, რათა ამით ზიანი არ მიაყენონ ჩვენს გარნიზონებს"[14].

ამასთანავე ა. ბუდბერგს საჭიროდ მიაჩნდა, რათა თავისუფალი მესარეწენი გაეთავისუფლებინათ სააქციზო მოსაკრებლისაგან იმ მარილისათვის, რასაც ისინი აქეთ წამოიღებდნენ ყირიმისა და, საერთოდ, შავი ზღვის რუსეთის პორტებიდან; მით უფრო, რომ „რამდენადაც მე ვიცი მთიელებთან ვაჭრობის კავშირის განვითარების ასპექტში მთავრობას არასოდეს არ ჰქონდა მხედველობაში ფინანსური სარფიანობა" და თვით ფინანსთა სამინისტროს მმართველი სტატ-სეკრეტარი ერონჩენკო, აქ ვაჭრობის განვითარების ინტერესებისათვის, შესაძლებლად თვლიდა შავი ზღვის სანაპირო ლინიის მარაგებიდან მარილი გაეყიდათ ახლანდელზე (1 ფუთზე 15 კაპ. ვერცხ.) უფრო დაბალ ფასად.

როგორც თავის ადგილას დავინახეთ, მთიელებთან ვაჭრობის განვითარების საკითხში დაახლოებით იმავე მოსაზრებებს ავითარებდა შავი ზღვის სანაპირო ლინიის წინანდელი უფროსი გენ. ი. ანრეპიც, რომელსაც კავკასიონის მთიელებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი გამოცდილება ჰქონდა, კიდევ უფრო ადრე იგი ჭარ-ბელაქნის მმართველი იყო.

მთიელებთან მარილით ვაჭრობის პოლიტიკის თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი. 1842 წ. ქერჩის ქალაქის უფროსი გენ. ხერხეულიძე კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალს გენ. გოლოვინს ატყობინებდა, რომ ქერჩელი ვაჭრები კესარევი და ყსარხაკი (ბერძნები?), რომლებიც დიდი ხანია რაც მთიულებთან ეწევიან გაცვლით ვაჭრობას, მისგან თხოულობენ, რომ მათ ასეთი ვაჭრობისათვის მიეცეს 50 ათასი ფუთი მარილი, და ეკითხებოდა: შეიძლება თუ არა ამჟამად კერძო პირებს მიეცეს უფლება მარილით ივაჭრონ მთიელებთან.

მაგრამ გენ. ა ნ რ ე პ მ ა, მთიელებთან ვაჭრობის პოლიტიკური მიზნების თვალსაზრისით, დაუშვებლად მიიჩნია ხსენებული, ცუდი ყოფაქცევის ვაჭრებისათვის ასეთი უფლების მიცემა, რადგან

---

[14] АСКАК, IX, № 547, с. 643.

მათ შეუძლიათ ჩაშალონ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მთიელებთან ჩვენი მშვიდობიანი ურთიერთობა, რაც მიღწეულია დიდი ხნის ნაყოფიერი და გულმოდგინე ღონისძიებათა გატარებით და, ამასთანავე, ხელი შეუწყონ კონტრაბანდულ ვაჭრობასაცო. კიდევ მეტი. სანაპიროების ლინიის უფროსს ნება უნდა მიეცეს „ვაჭრები და სხვა სახის მესარეწენი, რომლებიც ამ მხარისათვის შეიძლება საზიანო იყვნენ, სავსებით მოაცილონ იქაურობას“.

გენ. ანრეპის ეს აზრი გოლოვინმა სავსებით გაიზიარა და იმპერატორმაც იგი დაამტკიცა[15].

***

კავკასიონის მთიელებთან სავაჭრო კავშირების გაფართოების საკითხით დიდად იყო დაინტერესებული არა მხოლოდ რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის პროცესებში უშუალოდ მონაწილე ძალთა ინიციატივა და მთავრობის სათანადო ორგანოები, არამედ უწინარეს, სამხედრო უწყებაც, რომლის მესვეურებს მთიელ ხალხთა დამორჩილების, მოთვინიერების და თვით დაპყრობის გაადვილების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად მიაჩნდათ მათთან კომერციული ურთიერთობის დამყარება და განვითარება.

ამ მიზნით აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ მთიელთა ყოფიერებას, წარმოების სხვადასხვა დარგებს, საოჯახო და შინამრეწველობის მდგომარეობას. ამ მხრივ ფრიად საინტერესო მასალაა თავმოყრილი ისეთ მრავალტომიან კრებულებში, როგორიცაა — «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», განსაკუთრებით, «Сборник сведений о Северном Кавказе» და სხვ.

რაც უფრო ვიწროვდებოდა სამხედრო გარნიზონების რკალი კავკასიონის მთაგრეხილთა სისტემის გარშემო, ცხადია, მით უფრო ვიწროვდებოდა მთიელ ხალხთა მიწათმოქმედების არეალი, მათ სულ უფრო ნაკლებად შეეძლოთ ეწარმოებინათ მემცენარეობის პროდუქტები და ბოლოს იკვეცებოდა თვით მეცხოველეობის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობაც. მაღალი მთების ხეობებში მომწყვდეული მთიელები უფრო და უფრო ავითარებდნენ საოჯახო მრეწველობას, ხელოსნობას, შინამრეწველობას, რომელ-

---

[15] ЛОЦИА, ф. КК, 1841 — 1844, д. № 134, ч. II, лл. 47 — 48.

თა ნაკეთობის სულ უფრო დიდი ნაწილი იქცევა საქონლად. ამ საქონელთა გაცვლის გზით მათ უნდა მიიღონ მათთვის აუცილებელი მემცენარეობის პროდუქტების, განსაკუთრებით პურეულის სულ უფრო დიდი ნაწილი.

სხვა ხალხებთან მთიელები, მე-19 ს. დამდეგს, ვაჭრობდნენ უმთავრესად შუამავალ-შემსყიდველთა მეშვეობით. შემსყიდველთა როლში აქ გამოდიოდნენ ყუბანის ჩერქეზთა შორის მცხოვრები სომხები, ხოლო აღმ. კავკასიაში მთიულეთის ებრაელები, სომხები და ქართველები.

ეს ვაჭარი-შემსყიდველები, როგორც აკად. ნ. დუბროვინი წერს, „დადიოდნენ აულებში და სხვადასხვა ტექსტილური საქონლით ამარაგებდნენ მთიელებს. ისინი ბარში ასაღებდნენ ამავე აულებში ნაწარმ თიხის ჭურჭლეულს, რისთვისაც მათ ფულს კი არ უხდიდნენ, არამედ აძლევდნენ თვით ჭურჭლით სავსე მარცვალს. მარცვალი გამყიდველს, ხოლო ჭურჭელი მყიდველს რჩებოდა“[16].

მთიელი ჩაჩნები ბარში მცხოვრებ თავიანთ თანატომელებს ამარაგებდნენ იარაღითა და მეტალის სხვადასხვა ნაკეთობით, რასაც ცვლიდნენ მარცვალსა და პირუტყვზე. მე-19 ს. პირველ ნახევარში „მთელი ეს ვაჭრობა უპირატესად გაცვლითი ვაჭრობა იყო და საქონელი იშვიათად იყიდებოდა ფულზე. სიგრძის ზომად იხმარებოდა წყრთა, ხოლო მარცვლეულის ყველაზე დიდი საზომი იყო საწყაო, რომელშიც ხუთი მათლაფა ჩადიოდა“[17].

მოხეტიალე ვაჭრებს ჩრდ. კავკასიის მთიულეთში უწოდებდნენ „შ ა ბ ა ი“-ს; მათ, ჩვეულებრივად, „დუქნები არა აქვთ, არამედ გამუდმებულად გზაზე იმყოფებიან და გზა და გზა ეწევიან ყოველგვარ ვაჭრობას, ყოველგვარი შემთხვევითი საქონლით, ყოველგვარი სპეციალიზაციის გარეშე... შაბაის საქმე აქვს მოსახლეობასთან საქონლის წარმოების ადგილზე და ვაჭრებთან ქალაქებში“[18].

კავკასიელ მთიელთა რუსულ პურსა და სხვ. საქონელზე მოთხოვნილებისა და ამის საფუძველზე გაცვლითი ვაჭრობის განვითარების საკითხებს თავიანთ ნაშრომებში საკმაოდ აშუქებენ მ. პ ო კ-

---

[16] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПБ, с. 514.

[17] იქვე, გვ. 287.

[18] О. Маркграф, Очерк кустарных промыслов Северного Кавказа, М., 1882. с. 1286.

როვსკი[19], ა. ფადეევი[20], რ. მაჰომეტოვი[21] და სხვ. საბჭოთა ისტორიკოსები.

რა თქმა უნდა, დაღისტნისა და სხვა მთიელ ხალხთა დიდ სოფლებში ჯერ კიდევ ძველი დროიდანვე განმტკიცებული ტრადიციით იმართებოდა ყოველკვირეული ბაზრობა, სადაც გამოჰქონდათ როგორც სოფლისმეურნეობრივი წარმოების, ასევე საოჯახოდა შინამრეწველობის, ხელოსნობის ნაკეთობანი. მაგრამ მე-18 საუკუნეში, განსაკუთრებით მე-19 ს. დასაწყისიდან, ადრიდანვე დადგენილი ეკონომიკური კავშირების ფორმები დიდ და ღრმა ცვლილებებს განიცდის, განსაკუთრებით, „კავკასიის ომების" დაწყების დროიდან მოყოლებული.

ერთი მხრით, მთიელ ტომთა თვით ეთნიკური შედგენილობის სიჭრელე, მრავალენიანობა, რელიგიური მტრობა, პატრიარქალურ-ფეოდალური განკერძოებულობა და, მეორე მხრით, ცარიზმის შეუნელებელი საშხედრო-პოლიტიკური და, მაშასადამე, ტერიტორიული ექსპანსია, თვით დაპყრობილ-შემოერთებულ თემებში სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიის, საერთოდ, კოლონიზატორული ელემენტების თავაშვებული პარპაში, რასაკვირველია უდიდეს დაბრკოლებებს ქმნიდა, როგორც თვით მთიელ ტომთა შორის, ისე მთის თემთა და გარშემომდებარე ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებისა და გაფართოების გზაზე. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ გრძელი ზამთრის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე მთის ხეობები ურთიერთისაგანაც მოწყვეტილნი იყვნენ. თვით მე-19 ს. მეორე ნახევარშიც კი, როგორც ცნობილი ოსი მწერალი და საზოგადოებრივი მოღვაწე კ. ხეთაგუროვი წერს — „მთის ოსეთში არის აულები, რომელთა მცხოვრებნი ზამთრის თვეებში სავსებით არ სცილდებიან თავიანთ საცხოვრებელს"[22].

ჟურნ. „რუსსკიი ვესტნიკ"-ში 1860 წ. დაიბეჭდა სტატია „კავკასიის დაპყრობა", რომლის ავტორი (ა. ვ.) აცხადებს, რომ „ამ მხარის შინაგანი ვაჭრობა საგარეოზე უფრო გვიან უნდა განვითარე-

---

[19] М. Покровский, Русско-адыгейские торговые связи, Махачкала, 1957.

[20] А. Фадеев, К вопросу об уровне экономического развития Кавказских горцев в середине XIX в. («Исторические науки», 1952, № I).

[21] Р. Магометов, Общественно-экономический и политический строй Дагестана в XVIII — начале XIX в., Махачкала, 1957.

[22] К. Хетагуров, Собр. соч., Дзауджикау, 1951, т. III, с. 200.

ბულიყო, რამდენადაც კავკასიას შეუძლია მდიდარი იყოს ისეთი ნაწარმებით, რომლებიც სჭირდება რუსეთსა და მთელ ევროპას. ასეთებია: აბრეშუმი, ღვინო, ენდრო, მატყლი და სხვ., რომელთა წარმოების გაძლიერებისას მყიდველები მოვლენ შორეული ქვეყნებიდან"[23].

ავტორი თვლის, რომ „კავკასიის დამშვიდებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ უნდა მივიჩნიოთ ვაჭრობის განვითარება მთებში. აქ ვაჭრობა, როგორც მესარეწეობა, უფრო ადვილი და მიმზიდველია და ხელს შეუწყობდა სამრეწველო მოღვაწეობას, აიძულებდა მთიელებს ეშრომათ, მათ ბევრ რამეზე გაუხელდა თვალებს და მათ შორის ჩასთესავდა დიდ კეთილდღეობას"[24].

ამასთანავე ავტორი მოითხოვს მთიელებთან შეღავათიანი ვაჭრობის დაწესებას, რაც აიძულებდა სომეხ ვაჭრებს თავიანთი საქონელი წაეღოთ მთებში და რაც ყველაზე მეტად შეუწყობდა ხელს მთიულეთში ვაჭრობის განვითარებას[25].

ამგვარად, ჟურნ. „რუსსკიი ვესტნიკი", იმ დროის ერთ-ერთი წამყვანი პერიოდული ორგანო იმპერიაში, მოითხოვს, რათა ცარიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიისათვის ქართულ ხმალთან ერთად მას ემსახურებოდეს სომხური არშინიც, რომელთა დახმარებით, ირწმუნება იგი, უფრო ადვილად იქნება მიღწეული ურჩი მთიელების მოთვინიერება და კულტურული განვითარების, ე. ი. ევროპეიზაციის გზაზე მათი დაყენება. ევროპეიზაცია კი ამ მხარეში, როგორც ეს ცარიზმის ადმინისტრაციას მიაჩნდა, მხოლოდ რუსეთის იმპერიის ტერიტორიული ექსპანსიის წინმსწრებ ღონისძიებათა გზით უნდა ყოფილიყო მიღწეული.

ლიბერალური განწყობილების ცნობილი ოსი პუბლიცისტი ა. ა რ დ ა ს ე ნ ო ვ ი 1896 წელს წერდა: „ორმოცდაათი წლის წინათ გმირობად ითვლებოდა თუ ოსს შეეძლებოდა ემოგზაურა (თუნდაც მშვიდობიანი ურმით) მ/ცირე ყაბარდოში", რადგან გზები ძნელად სავალი და თანაც ფათერაკიანი იყო. ამის გამო მთიელებს ურთიერთობა და მიმოსვლა ჰქონდათ თითქმის მათივე გარშემო მცხოვრებ ახლობელ ტომებთან[26].

---

[23] А. В., Покорение Кавказа («Русский вестник», 1860, т. 27, сс. 346—382).

[24] იქვე, გვ. 378.

[25] იქვე, გვ. 379.

[26] А. А р д а с е н о в, Переходное состояние горцев Северного Кавказа, Тифлис, 1896, с. 8.

საერთოდ, ვაჭრულ კაპიტალს ახასიათებს დაგროვების ისეთი ფორმა, რაც ხელს უწყობს ჩამორჩენილი ეკონომიკური წყობილების და, მაშასადამე, ექსპლუატაციის ძველი ფორმების არსებობის გახანგრძლივებას. საბჭოთა ისტორიკოსი, პროფ. ა. ფ ა დ ე ე ვ ი სამართლიანად შენიშნავს, რომ „სომეხი ვაჭარი-შუამავლები ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ მთიელთა მიერ წინაკავკასიის რუს მოსახლეობასთან პირდაპირი სავაჭრო კავშირის დამყარებას“. რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებიც ჩიოდნენ, რომ „სომეხი ვაჭრები აკმაყოფილებენ რა ამა თუ იმ საქონლით მთიელთა საჭიროებას, აბრკოლებენ ამ უკანასკნელთა მოსვლას ჩვენს გაცვლის პუნქტებში, სადაც მათ შეეძლოთ ხელსაყრელ ფასებში შეეძინათ საქონელი და მის მეოხებით გაგვცნობოდნენ ჩვენ“[27].

---

[27] Журн. «Исторические науки», 1959, № I, с. 69.

VII. ვაჭართა კომპანიები

შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღმავლობის წლებში ამიერკავკასია ბლომად იზიდავს სწრაფი გამდიდრების წყურვილით ამოძრავებულ დას. ევროპელ მეწარმეებსაც. ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ 1829 წლის დასაწყისის გენ.-ად. ე ო მ ი ნ ი ს მეშვეობით ფრანგმა ნეგოციანტმა მ ო რ ე ნ ა ს მ ა იმპერატორს წარუდგინა: ნდინარეების — რიონისა (ფაზისის) და მტკვრის ნაპირებზე ინდიგოს, კაშენილის, შაქრის ლერწმის, თუთის ხის, ბამბის, ჩაის, ყავის, ფორთოხლის, ზეთისხილის და ცხელი და ტროპიკული კლიმატის კიდევ სხვა მცენარეთა გაშენების პროექტი, რაც იმპერატორმა სასარგებლო წამოწყებად მიიჩნია. მორენასი თხოულობდა საჭირო მიწებს და მონოპოლიას. იგი ფიქრობდა ერთგვარი კომპანიის ორგანიზაციას.

დაიწყო მორენასის, როგორც ნეგოციანტის კეთილსაიმედოობის საკითხის შესწავლა. საქართველოდან პეტერბურგს მალე მოვიდა გენ. ს ი პ ი ა გ ი ნ ი ს აზრი, რომ პროექტი „ფრიად სასარგებლოა", განსაკუთრებით... ერევნის პროვინციისათვის, მდ. არაქსის სანაპიროებისათვის. პარიზიდან რუსეთის ელჩი იტყობინება, რომ მორენასი შეძლებული, განათლებული, შრომისმოყვარე, მრავალი უცხო ენის მცოდნე და საიმედო პიროვნებაა, რომ ის მონაწილეობდა საფრანგეთის კოლონიების ათვისების საქმეებშიც და, ამგვარად, ამ გამოცდილებითაც რუსეთისათვის გამოსადეგი კაცია.

ყოველივე ამის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ პარიზიდან გამოიწვია მორენასი, რათა ის პირადად გასცნობოდა აქაურ, კერძოდ, საქართველოს ბუნებრივ პირობებს. ამ მიზნით, მას შემდეგ რაც იგი ჩამოსვლაზე დათანხმდა, მორენასს რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა თვიურად 500 მან., მოგზაურობისა და სხვა ყოველგვარი ხარჯებისათვის. ამას გარდა, მას ეძლევა 3 ათასი მან. საჭირო თესლების შესაძენად, ჩამოსატანად და პირველდაწყებითი ცდების ორგანიზაციისათვის. მორენასი ჩამოვიდა და შეუდგა მდ. რიონის სანაპიროთა გაცნობას. მაგრამ მალე გარდაიცვალა[1].

[1] II ПСЗРИ, т. IV, № 2706, с. 136 — 137.

1830-იანი წლების დამდეგს ამიერკავკასიაში ვაჭრობა-მრეწველობის, საერთოდ, „კომერციული მეწარმეობის“ განვითარებისათვის განზრახულ კომპანიებს შორის აღსანიშნავია, მაგალითად, „კავკასიის სავაჭრო დეპო“ (Кавказское торговое депо)[3].

ამიერკავკასიის სავაჭრო კომპანია უნდა შემდგარიყო, როგორც აქციონერული საზოგადოება, რომლის დამფუძნებლები ადგილობრივ ვაჭრებთან და მემამულეებთან ერთად იქნებოდნენ უმთავრესად სახელმწიფო, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები. დასაწყისში საქმე ვითომ კარგად მიდიოდა. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ კოლონიური ვაჭრობით მალე გამდიდრებას მოწადინებული მსხვილი სახელმწიფო მოხელეები.

თბილისში შემდგარი აქციონერთა კომპანია ააგებდა „კომერციულ სახლს“ (Коммерческий дом) „ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს“ ფირმით, რის შესახებაც 1830 წ. 5 დეკემბერს წარდგენილი ფინანსთა მინისტრის მოხსენებითი ბარათი იმპერიის მინისტრთა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა 16 დეკემბრის სხდომაზე. მინისტრთა კომიტეტის დადგენილება იმპერატორმა დაამტკიცა 1831 წ. 3 იანვარს[3].

ამიერკავკასიაში რუსეთის „ფაბრიკების ნაწარმთა ფართო რეალიზაციისათვის, იქ სავაჭრო ბრუნვების გაადვილებისათვის, ადგილობრივი ყველაზე ცნობილი თავადაზნაურობისა და ვაჭრებისაგან“ შემდგარი დეპოს მიზანი იყო, რათა „ფაბრიკანტებს შეეძლებოდათ თავიანთი საქონელი თბილისში გაეგზავნათ საკომისიოდ, როგორც სასაწყობო პუნქტში“.

დეპო სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ადგილობრივი ვაჭრებისათვის, რამდენადაც ამათ თავიანთი მცირე კაპიტალებით ადგილზევე შეეძლებათ გააჩაღონ გამუდმებული ბრუნვები, ისე რომ არ მოუხდებათ ნიჟეგოროდის იარმარკეტაში ყოველწლიური მგზავრობა; ამასთანავე დეპო, ცხადია, ხელს შეუწყობს რუსული საქონლის გასაღებას აზიის მეზობელ ოლქებში.

ადგილობრივ ვაჭრებს არ დასჭირდებათ თბილისში მათი ვაჭრობისათვის აუცილებელი საქონლის მოსატანად ლაიპციგში გამგზავრება, ამისათვის დიდი ხარჯების გაწევა, არც დროის დაკარგვა, რამდენადაც საქონლის შეძენა შეეძლებათ თბილისშივე.

ირანელი ვაჭრები, რომელთაც უცხოური საქონელი თავის ქვეყანაში შეაქვთ კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის გზით, შე-

---

[3] Свод законов, XI. Уставы и уложения торг., прилож. IX, с. 524.

[3] II ПСЗРИ, т. VI, отд. I, № 41238, с. 4 — 6.

საძლებლობა ექნებათ რა იგივე საქონელი სასურველი რაოდენობით შეიძინონ თბილისში, სულ უფრო ხშირად ჩამოვლენ ამ ქალაქში, და, ბოლოს, ევროპული ვაჭრობა ირანში, რაც ფასების კონკურენციას ემყარება, დაჰკარგავს თავის ძალას, რამდენადაც თბილისიდან გაზიდული საქონელი ირანში უფრო იაფი იქნება.

საქმე ისაა, რომ მოსკოველ ვაჭრებს უძნელდებოდათ აქ თავიანთი საქონლის გასაღება იმიტომაც, რომ ადგილობრივი ვაჭრები, რომლებიც თავიანთ კომერციულ ოპერაციებს უმეტეს წილად კრედიტზე ამყარებდნენ, არ (ვერ) სარგებლობდნენ სათანადო ნდობით, რის გამოც რისკის სიდიდის შესაბამისად უმატებდნენ ფასებს. ამის შედეგად კი რუსული საქონლის ფასები თბილისში ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვინემ ნიჟნეგოროდის იარმარკეტაზე. ამიერიდან კი, რაკი თვით რუსი ვაჭრები კისრულობდნენ თბილისში, როგორც სასაწყობო პუნქტში (დეპოში) თავიანთი საქონლის სისტემატურ მიწოდებას, ცხადია, ხსენებული რისკიც იხსნებოდა და, მაშასადამე, „ფასებიც შეიძლებოდა ზომიერი ყოფილიყო“.

— ასეთი იყო ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილ მოხსენებაში მოყვანილი მოტივები, რასაც მხარს უჭერდა საქართველოს მთავარმართებელიც. ამასთანავე მინისტრი აღნიშნავდა, რომ 1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებამ, რამაც ამიერკავკასიაში დააწესა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი, ამ მხარეს, ბრძანებულების მეხუთე პუნქტით, ის უპირატესობაც მიანიჭა, რომ ყოველგვარი საქონელი, რაც უცხო მიწებიდან შემოიტანებოდა საქართველოში, იბეგრებოდა მხოლოდ გამოცხადებული ფასის 5 % საბაჟო საფასურით. უცხოეთის ვაჭრებმა, ფართოდ ისარგებლეს რა ამ შეღავათით, ჩვენი მანუფაქტურული მრეწველობის საზიანოდ, ფრიად გაადიდეს ოდესიდან ყულევის გზით თავიანთი საქონლის, განსაკუთრებით სატრანზიტო საქონლის იმპორტი საქართველოში, საიდანაც ეს საქონელი შედიოდა აზიის სიღრმეში და ამარაგებდა იქაურ მოსახლეობას.

სწორედ ასეთ სიტუაციაში „დარწმუნებული ვართ რა, — განაგრძობს იმპერიის ფინანსთა მინისტრი, — რომ ჩ ვ ე ნ ი ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ი ა ხ ლ ი ს გ ა მ ო ჯ ე რ კ ი დ ე ვ ს ა ჭ ი რ ო ე ბ ე ნ დ ა ც ვ ა ს, მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა ს დ ა დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს დ ა რ ო მ ნ ი ჟ ნ ე გ ო რ ო დ ი ს ი ა რ მ ა რ ქ ტ ა ა მ ჟ ა მ ა დ ა რ ა მ ა რ ა გ ე ბ ს ი რ ა ნ ს დ ა თ ვ ი თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ც კ ი რ უ ს უ ლ ი ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი ს ს ა ქ ო ნ ლ ი თ“[4] და სხვ.. სწო-

[4] Ii ПСЗРИ, т. VI, отд. I, № 41238, с. 5.

რედ ამიტომ აუცილებელია მხარი დავუჭიროთ თბილისში ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს დაარსებასო, — დაასკვნის იგი.

როგორც ითქვა, ამიერკავკასიის სავაჭრო დეპო, რომლის მიზანი იყო ამიერკავკასიასა და ირანში რუსული საქონლით ვაჭრობის გაჩაღება, ეწყობოდა როგორც აქციონერთა კომპანია. განზრახული იყო თავდაპირველად გამოეშვათ სულ 300 აქცია, თითოეული 1000 მან. ნომინალით[5].

ასე, დიდ ზარზეიმურ ვითარებაში დაიწყო ამ კომპანიის ფრიად ხანმოკლე ისტორია...

უფრო ადრე, სანამ საქმე გაიშლებოდა, რუს სამხედრო და საქალაქო მოხელეთა დიდი ნაწილის სამსახურებრივი მდგომარეობა შეიცვალა. — ისინი გადაიყვანეს იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში, ან სხვა განაპირა ქვეყნებში. როდესაც ერთ-ერთმა ასეთმა მოხელემ, მსხვილმა აქციონერმა, უკანვე გაიტანა აქციების შესაძენად შეტანილი დიდი თანხა, ამ გარემოებამ ფრიად უარყოფითად იმოქმედა: განსაკუთრებით ადგილობრივ ვაჭრებზე, რომელთაც პერსპექტივების თვალსაზრისით „კომპანიაში" გავლენიანი სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობის დიდი იმედები ჰქონდათ.

1834 წ. 14 ივნისს ბარონ როზენი ფინანსთა მინისტრს გრაფ კანკრინს სწერდა, რომ ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს მხოლოდ ადგილობრივი საშუალებებით (სახსრებით) რუსეთის ვაჭრებისა და ფაბრიკანტების მხრივ განსაკუთრებული მხარდაჭერისა და მუდმივი მონაწილეობის გარეშე წარმოქმნა-ჩამოყალიბება და არსებობა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. რადგანაც გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, გარდა კაპიტალების ნაკლებობისა, აქაური სომხების მიდრეკილება ფრიად დაშორებულია იმისაგან, რათა შეთანხმებულად იმოქმედონ საერთო საქმისათვის, რაც მოითხოვს ურთიერთნდობას, რაც ამიერკავკასიელ ვაჭართა შორის თითქმის არ არსებობს და რაც შეუხამებელია ვაჭრობის შესახებ მათს წარმოდგენასთან; ვაჭრობას ისინი ეწევიან ყოველგვარი შორსმჭვრეტელობისა და საზოგადო სარგებლობისადმი მისწრაფებათა გარეშე; სავაჭრო ბრუნვაში ყოველი მათი მოქმედება ემყარება ცალკეული მათგანის კერძო ანგარიშიანობას, ანგარებას, სწრაფი და აუცილებელი მოგების წადილს და იმათთვის კიდევ უცხოა მართებული (სწორი) კომერციის ინსტიტუტის ცნებები, რომლის მთავარი მი-

[5] II ПСЗРИ, т. VI, отд. I, № 41238, с. 6.

ზანი რუსეთისათვის ამ მხარეში უნდა იყოს ირანთან ევროპული ვაჭრობის კონკურენცია[6].

ბარონ როზენი ამავე წერილში ეხება საკითხს ადგილობრივი ქართველი თავადაზნაურობისა, რომელსაც წინასწარი ვარაუდით მონაწილეობა უნდა მიეღო ამიერკავკასიის სავაჭრო კომპანიის დაარსებაში, როგორც „წოდებას, რომელიც ფლობს კაპიტალებს და, მაშასადამე, შეუძლია ხელი შეუწყოს“ ამ კომპანიის ორგანიზაციას. მაგრამ ამ წოდების შესახებ, აცხადებს ბარონი, — „მე არ შემიძლია ვთქვა რაიმე, გარდა იმისა, რომ ქართველი ნაციის თავადაზნაურობა მეტად ღარიბია კაპიტალებით და მას გადაჭრით არავითარი მიდრეკილება არა აქვს სავაჭრო ოპერაციებისადმი“[7].

ამათ გარდა, ერთ-ერთი მთავარი მომენტი, რაც აძნელებდა ამ კომპანიის ორგანიზაციას, ისიც იყო, რომ მისი წესდების § 19 კომპანიის (დეპოს) მმართველს ავალდებულებდა თავისი მოქმედებისათვის პასუხი ეგო როგორც თავისი პიროვნებით, ისე თავისი ქონებითაც, თუ კომპანიისათვის მიყენებული ზარალი აიხსნებოდა (გამოწვეული იქნებოდა) მისი უთაურობით და უმოქმედობით; ამავე დროს მას არ უნდა ჰქონოდა არავითარი სხვა (პირადი) კომერციული საქმე.

კომპანიისათვის იმისთანა მეთაური, რომელსაც მისი მოქმედების საწინდრად საკმარისი კაპიტალი (ქონება) რომ სახეზე ჰქონოდა, აკი ვერც გამოინახა. სწორედ ამის გამო ბარონ როზენი აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში ასეთი სავაჭრო კომპანია არ შეიძლება წარმოიშვას იმ დრომდე, „სანამ რუსეთის კაპიტალისტებიდან ვინმე არ მოისურვებს განაახლოს და სისრულეში მოიყვანოს“ ვარაუდები ამ კომპანიის შესახებ[8].

როგორც მანამდე, ისე მის მერმეც ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაცია არაერთხელ გამოთქვამდა ანალოგიურ მოსაზრებას ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საკითხში, მაგრამ ამ მხრივ ეს „ახალ-ახალი იდეები“ განუხორციელებელი რჩებოდა.

ასეთ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია, კერძოდ, 1833 წელს თბილისში დაარსებული «Общество поощрения сельской и мануфактурной промышленности и торговли».

---

[6] АСКАК, VIII, № 86, с. 136.

[7] იქვე, გვ. 137.

[8] იქვე, გვ. 138.

ფინანსთა მინისტრის წარდგინების საფუძველზე ამ „საზოგადოების“ დაარსების საკითხი განიხილა სახელმწიფო საბჭოს ეკონომიის დეპარტამენტმა და მერმე საერთო კრებამ, რომელთაც, ეს წამოწყება მიიჩნიეს რა სასარგებლოდ, დაადგინეს გამოეცათ ამ „საზოგადოების“ წესდება.

ამ წესდების მეორე პარაგრაფის თანახმად „სოფლის და მანუფაქტურული მეწარმეობისა და ვაჭრობის წამქეზებელი თბილისური საზოგადოება“ ემორჩილება ადგილობრივი მთავარმართებლობის უშუალო ხელმძღვანელობას, ეს „საზოგადოება“ იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ მფარველობაში; ამასთანავე „უშუალო ურთიერთობაში ფინანსთა სამინისტროსთან“.

„საზოგადოება“ შედგება „პრეზიდენტისა და განუსაზღვრელი რაოდენობის წევრებისაგან, რომელთაც ირჩევს თვით საზოგადოება და რომლებიც შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ნაციის, წოდებისა და სარწმუნოების პირნი“. პირველი შემთხვევისათვის კი, რათა „საზოგადოება“ გაიხსნას, თავმჯდომარეს (4 წლით) და ოთხ წევრს, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ნიშნავს ადგილობრივი მთავარმართველობა და ამტკიცებს იმპერატორი[9].

წესდების მესამე პარაგრაფის შესაბამისად „საზოგადოებას“ თავისი განყოფილებები შეუძლია იქონიოს ამიერკავკასიის ყველა ოლქში „მუსლიმანურთა გამოუკლებლად“ და იყოლიოს კორესპონდენტები როგორც ამ მხარეში, ისე იმპერიის სხვა ადგილებშიც.

„საზოგადოების“ მთავარი მიზანია გაფართოება და გაუმჯობესება სახალხო მეწარმეობის ადგილობრივი დარგებისა და ვაჭრობისა, რისთვისაც ის გაავრცელებს საჭირო ინფორმაციას, მცხოვრებთა ყურადღებას მიაქცევს სასარგებლო საგნებსა და წამოწყებათ, იზრუნებს საამისო საშუალებათა გამონახვისა და საჭირო დახმარების გაწევისათვის (§ 4).

მეხუთე პარაგრაფის მიხედვით „საზოგადოება“ ხელს შეუწყობს:

ა. სოფლის მეურნეობაში სავაჭრო მრწეთმოქმედების განვითარებისათვის მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოეობის, მეგამბეობის, მევენახეობა-მელვინეობის განვითარებას; აგრეთვე, ბრინჯის, შაფრანის, ენდროს და სხვ. მოყვანის გავრცელებას, თვით მარცე-

---

[9] II ПСЗРИ, VIII, отд. I, 1834, № 6197, с. 264.

ლეულის წარმოების გადიდებას და დანერგვას თბილი ქვეყნების ისეთი მცენარეებისა, როგორიცაა ეთერზეთოვანები, ინდიგო, კაშენილი, შაქრის ლერწამი და სხვ., რომლებიც ამიერკავკასიაში ან სულ უცნობია, ანდა უმნიშვნელო ზომითაა წარმოდგენილი, და რამდენადაც ეს სახეები მემცენარეობისა ადგილობრივ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში შეიძლება გადაიქცნენ მეურნეობის ხელსაყრელ დარგებად. ამასთანავე ხსენებული მიზნებისათვის „საზოგადოება" ითვალისწინებდა საირიგაციო არხების აღდგენასა და გამრავლებას, „რაც ესოდენ აუცილებელია ამიერკავკასიაში".

ბ. ხ ე ლ ს ა ქ მ ი ს, ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს და სხვ. დარგებში აბრეშუმის, ბამბის, სამღებრო მცენარეების გადამუშავების გაუმჯობესებას და ამ მხარისათვის დამახასიათებელ მანუფაქტურულ ნაკეთობათა, აგრეთვე კასრებისა და შუშის (მინის) წარმოების (რაც ესოდენ საჭიროა ამ მხარისათვის) გავრცელებას, ერბო-კარაქის წარმოებისა და საერთოდ სოფლის ნაწარმოებთა პირველადი გადამუშავების გაძლიერებას. აქვე საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „საზოგადოება" თავს აარიდებს აზრებს აქ შემოიღოს (მოაწყოს) ისეთ ნაკეთობათა წარმოება, რაც აქ ხალხის სიმცირისა და თვით ქვეყნის მდგომარეობის ვითარებით ჯერ კიდევ ნაადრევია და რაც უფრო სარფიანად შეიძლება შემოტანილ იქნას შიგა რუსეთიდან, — ადგილობრივ პროდუქტებზე გაცვლის გზითო.

წესდების ეს პუნქტი, რა თქმა უნდა, მიმართულია იქითკენ, რათა ამიერკავკასიაში როგორც კოლონიაში არ უნდა განვითარებულიყო მსხვილი გადამუშავებითი მრეწველობა, რის რიგი პროექტი (მაგალითად, შალეულისა და აბრეშუმის საფეიქრო საწარმოთა ორგანიზაციის სახით), როგორც ცნობილია, ადრე იყო წამოყენებული[10].

გ. ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ს ფ ე რ ო შ ი „საზოგადოების" მიზანი იყო კომერციული კავშირები დაემყარებინა იმპერიის სხვა ნაწილებთან და მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, გაეძლიერებინა ამიერკავკასიური საქონლის გასაღება, ისე, რომ მხედველობაში ჰქონოდა „არა მხოლოდ ამ მხარის, არამედ საერთოდ მთელი იმპერიის სარგებლიანობა". ეს უკანასკნელი მომენტიც, ცხადია, ისევ კოლონიური სავაჭრო პოლიტიკის მოთხოვნათა ცხოვრებაში განუხრელი გატა-

---

[10] იხ. ბ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს., ტ. V.

რების მოძღვრებაა, რაც უფრო დაკონკრეტებულია მეექვსე პარაგრაფში, რომ „საზოგადოებამ“ აქ უნდა აწარმოოს ცდები სასარგებლო წამოწყებათა ორგანიზაციის სფეროში, ოღონდ თავი უნდა აარიდოს „დიდი საკუთარი საწარმოების დაარსებას“.

თავისი მიზნების განხორციელებისათვის „საზოგადოებას“ შეეძლო ჰყოლოდა მექანიკოსი, აგრონომი, მებაღე და ტექნიკური საკითხების მცოდნე სხვა ადამიანები (§ 10)[11].

ამ „საზოგადოების“ საქმიანობა სინამდვილეში იმთავითვე შემოიფარგლა: 1. სოღანლუღის საცდელი ფერმის, 2. თბილისის სანიმუშო (სახაზინო ბოტანიკური) ბაღის, რაც მას გადაეცა 1835 წ. იანვარს და 3. კახეთში გახსნილი კასრების წარმოების პატარა სახელოსნოს პატრონობით[12].

მერმე, 40-იანი წლების დამდეგს, მან განიზრახა ხსენებულ ფერმასთან მიწათმოქმედების სკოლის გახსნა, მასთან სამხედრო დასახლების მოწყობა და სხვა, ხოლო კერძოდ ვაჭრობის სფეროში მისი მიზნები იმთავითვე მივიწყებას მიეცა. მაგრამ თვით სოფლის მეურნეობაში სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების დარგშიც, მისი ცდები უპერსპექტივო და უდღეური აღმოჩნდა, უმთავრესად, იმის გამოც, რომ ამ „საზოგადოების“ ორგანიზაცია იმთავითვე პოლიციურ ხასიათს ატარებდა, მოწყვეტილი იყო მოსახლეობის ძირითადი მასებისაგან და მარტოოდენ ღორმუცელა ბიუროკრატიული აპარატის „საქმოსნურ“ ინიციატივაზე იყო მინდობილი.

1845 წლის ბოლოს კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით ეს „საზოგადოება“ დაიხურა, ხოლო ქონება და საწარმოები ფინანსთა სამინისტროს უწყებიდან გადაეცა ახლადდაარსებულ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს[13]. თვით ნამესტნიკის 1845—1846 წწ. მოღვაწეობის ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ ამ „საზოგადოებამ“ თავისი 11 წლის განმავლობაში არსებობის მანძილზე დახარჯა 70.000 მან (ვერცხ.) ისე, რომ „სამწუხაროდ, არ მოიტანა მისგან მოსალოდნელი სარგებლობა“[14].

მე-19 ს. მესამე ათეული წლების მეორე ნახევრიდან, „ადგილობრივი მდგომარეობის უფრო საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ“, ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად დაინახა უკვე დარგობრივი კომ-

---

[11] ПСЗРИ, VIII, отд. I, с. 265.
[12] П. Гугушвили, СХАО, I, сс. 144 — 147.
[13] იქვე, გვ. 148 — 153.
[14] АСКАК, X, 834.

პანიების შექმნა, რამდენადაც ასეთი სპეციალური წამოწყების გაძღოლა და, მაშასადამე, მისი აქტიურობა უფრო ადვილად განსახორციელებელ საქმიანობად წარმოუდგებოდათ.

ასეთ სიტუაციაში, 1836 წ. 12 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწონებული, საქართველოს მთავარმართებლის ბარონ როზენისაგან წარდგენილი[15], „ქართული ღვინის კომპანიის“ შექმნის პროექტი[16]. «Грузинская винная компания» თავისი წესდებით წარმოადგენდა სავაჭრო საზოგადოებას (торговое общество), რომელიც არ სარგებლობდა არავითარი მონოპოლიური და პრივილეგიური უფლებით. ეს იყო აქციონერული გაერთიანება, რომლის კაპიტალს შეადგენდა ოცდახუთმანეთიანი (ვერცხ.) 1540 აქცია,—სულ 38.500 მან. კომპანიის არსებობა განსაზღვრული იყო 10 წლით, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც რეალიზებული იქნებოდა აქციათა არანაკლებ მესამედი ნაწილისა და, მაშასადამე, მოქმედებას დაიწყებდა თვით კომპანია.

კომპანიის მიზანს შეადგენდა იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე გაცემულ ვენახებში (ზვრებში) ყურძნის კრეფა და მისგან ღვინის დაყენება, მისი რაოდენობის გადიდება, ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება და მისი გაყიდვის ორგანიზაცია იმპერიის ყველა ადგილსა და ქალაქში, რასაც ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებაც (წესდების § 6).

კომპანიის კანტორა იმყოფებოდა თბილისში, ხოლო სარდაფები (ბარნები) და მაღაზიები როგორც თბილისში, ასევე სხვა ადგილებში. საჭიროებისამებრ (§ 7). „საზოგადოების“ სათავეში იდგა აქციონერთაგან არჩეული ოთხი დირექტორი და მთავრობის მიერ დანიშნული „ნამდვილი დირექტორი“ კეკსჰოლმელი ვაჭარი ივ. ლ ე ნ ც ი, რომელიც „ცნობილია მებაღეობისა და მეღვინეობის დარგში თავისი გამოცდილებით“ (§ 8). „ნამდვილი დირექტორი“ წარმოადგენდა მთავარ ხელმძღვანელს, რომელსაც მხარს უჭერენებდნენ და ეხმარებოდნენ დანარჩენი დირექტორები (§ 10), რომლებიც ერთად შეადგენდნენ საბჭოს (§ 14)[17].

დიდის პომპით დაწყებული ეს საქმეც მალე არსებითად უშედეგოდ ჩაიშალა.

---

[15] П. Г у г у ш в и л и, СХАО, I, 82 83.
[16] II ПСЗРИ, XI, отд. I, № 9171, с. 515.
[17] იქვე, გვ. 516 — 519.

საერთო ასპექტში დაახლოებით ანალოგიური იყო იმავე 1836 წ. გამოქვეყნებული ბრძანებულება სენატისადმი «Об учреждении частного общества на акциях, для распространения за Кавказом шелководства и торговой промышеленности»[18].

კერძო პირთა თხოვნის შესაბამისად ფინანსთა მინისტრის მიერ სახელმწიფო საბჭოში განხილული წარდგინების საფუძველზე, იმპერატორი ბრძანებდა, რომ ნებას იძლევა ამიერკავკასიაში დაარსდეს კერძო აქციონერული საზოგადოება, რათა ამ მხარეში გაშენდეს თუთის ხისა და სხვა მცენარეთა პლანტაციები, დაარსდეს აბრეშუმსახვევი სახელოსნოები ანუ სხვა სასარგებლო საწარმოები, საერთო წესის მიხედვით. მაგრამ საბოლოოდ კომპანიას მაინც მნიშვნელოვანი პრივილეგიები ეძლეოდა. მისი ოპერაციები თავისუფლდებოდა რახტარისაგან, ე. ი. მიზნისაგან, რითაც, როგორც ბაჟით, იბეგრებოდა ამიერკავკასიაში აბრეშუმის აწონვა და გადატანა ერთიდან მეორე პროვინციაში და, საერთოდ, ამიერკავკასიის საზღვრებიდან გატანა; მას ეძლეოდა სახელმწიფო მამულებიდან შესაბამისი სახმარი მიწები სამუდამო და სრული საკუთრების სახით; მის მიერ გამოწვეული უცხოელი სპეციალისტები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ნატურალური და ფულადი ბეგარისაგან, ხოლო მედიკოსები, აფთიაქარები და გეზელები[19], რომლებიც „საზოგადოების“ მოწვევით ამიერკავკასიაში მის აპარატში იმუშავებდნენ, ჩაითვლებიან სახელმწიფო სამსახურში, იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვთ კერძო ფაბრიკებსა და მამულებში მომუშავე ჰედიკოსებს. „საზოგადოება“ 30 წლის განმავლობაში თავისუფლდებოდა ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისაგან და ამასთანავე მას და მის ერთ პირველდამფუძნებელს მანუფაქტურ-სოვეტნიკს ტრიბოდინოს ამავე პერიოდის მანძილზე ენიჭებოდა პირველი გილდიის ვაჭრის პრივილეგიები, შესაბამისი გადასახდელის გარეშე[20].

„საზოგადოების“ კაპიტალი უდრიდა 2 000.000 მან. ასიგნაციისა, რაც ნაწილდებოდა აქციების სახით. პირველ რიგში აქციათა რაოდენობა განსაზღვრული იყო 4.000, თითოეული 500 მან.. აქციათა საერთო რაოდენობის მეხუთედი ნაწილი ეთმობოდა ადგი-

---

[18] II ПСЗРИ, т. XI, отд. I, № 9094, с. 432.

[19] გეზელი (გერმ.—Gesell) აქ ქარგლის, კერძოდ ექთანის, პროვიზორის თანაშემწის გაგებითაა ნახმარი.

[20] II ПСЗРИ, т. XI, с. 433 — 434.

ლობრივ მცხოვრებთ და აქ მომუშავე სახელმწიფო მოხელეებს. „საზოგადოების“ დამფუძნებელი ხუთი წევრი თავისთვის იტოვებდა არაუმეტეს 1500 აქციისა[21].

ამ „საზოგადოებამაც“ ვერ გაამართლა მის ინიციატორთა იმედები და ფიასკო განიცადა.

1838 წ. ჟურნ. „გორნი ჟურნალში“ მოთავსებულ განცხადებაში ეკითხულობთ: „ჩვენმა მთავრობამ დიდი ხანია რაც სასარგებლოდ მიიჩნია ამიერკავკასიაში სავაჭრო სახლის დაარსება, რომელსაც ექნება საქონელთა მნიშვნელოვანი საწყობი და რომელიც ხელს შეუწყობდა სამამულო მანუფაქტურული ნაწარმების გასაღებას ჩვენს მოსაზღვრე აზიაში“. ამ მიზნით იყო, რომ 1831 წლის იანვარს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი დებულება — „ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს“ დაარსების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მზად იყო პირობები ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო რიგ სოლიდურ პიროვნებას, ამ წამოწყებამ, ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოების გამო, წარმატებას ვერ მიაღწია.

რამდენადაც „აქამდე ამიერკავკასიაში არ არსებობს არც ერთი კომერციული სახლი“, რომელიც დაფუძნებული იყოს მტკიცე ევროპულ საწყისებზე და ამასთანავე აუცილებლადაა აღიარებული ასეთი წამოწყების საჭიროება, ხსენებული კომპანიის დამაარსებელმა კვლავ აღძრა ამიერკავკასიასა და სპარსეთთან საქართველოს მეშვეობით ვაჭრობის გაჩაღებისათვის კომპანიის აღდგენის საკითხი, რამდენადაც ახლა გადალახულია ის დაბრკოლებები, რამაც ამ საქმის წარმატება თავის დროზე დაამუხრუჭა.

და აი, 1836 წ. 11 აგვისტოს თარიღით მიღებული მთავრობის დადგენილებით ნებადართულია ამ კომპანიამ კვლავ განაახლოს თავისი საქმიანობა და... წარმოიქმნა კიდევაც ამ კომპანიის ახალი შემადგენლობა. დადგინდა პირველ რიგში გამოეშვათ თითოეული 1000 მანეთიანი აქცია, სულ 2000000 მანეთისა. კომპანია არსდება 10 წლით «Закавказское торговое депо» -ს სახელწოდებით. თუ ხსენებული ვადის გასვლის დროისათვის აღმოჩნდება,რომ მისი არსებობა სასარგებლოა, აქციონერთა სურვილის შესაბამისად იმთავითვე ნებადართული იყო ვადის გაგრძელება[22].

---

[21] П. Гугушвили, СХАО, I, 124 — 129.

[22] «Горный журнал», 1838, СПБ, ч. III, кн. IX, с. 506 — 508.

ამ განახლებული კომპანიის მთავარი მიზანდასახულება არსებითად იგივე იყო, რასაც ზემოთ უკვე გავეცანით. ახლა კომპანიის მესვეურები ირწმუნებიან, რომ მათი ზრუნვის ძირითადი ამოცანა იქნება გააფართოონ რუსეთის მანუფაქტურული ნაწარმითა და, საერთოდ, რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაკეთობებით ვაჭრობა როგორც თვით საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც, ისე სპარსეთთან და თურქეთის სამფლობელოებთან. კომპანია აიმედებს ფაბრიკანტებსა და მექარხნეებს, აგრეთვე ვაჭრებს, რომ იგი ხელს შეუწყობს განსაკუთრებით იმათი საქონელბრუნვათა გაფართოებას, რომელთაც არა აქვთ საკმარისი საკუთარი კაპიტალები, რათა ნიჟეგოროდის იარმარკტაში წელიწადში ერთხელ და ერთბაშად შეისყიდონ მათთვის მთელი წლის განმავლობაში საჭირო რაოდენობით, იმპერიის შორეული კუთხეებიდან და საზღვარგარეთიდან აქ მოტანილი საქონელი.

კომპანია თბილისს გარდა საწყობის გახსნას აპირებს ბაქოში და მიზნად ისახავს „ჩვენს მანუფაქტურულ ნაკეთობებზე შეძლებისამებრ ფასების დაწევის მეოხებით რუსული საქონლის სასარგებლოდ აიტანოს კონკურენცია უცხოეთის საქონელთან, რომელთა შეტანა სპარსეთსა და თურქეთში სულ უფრო ძლიერდება და ხელს უშლის იქ ჩვენს მანუფაქტურულ ნაკეთობათა გასაღებას («...и через возможное понижение цен на наши мануфактурные изделия — успеть в Азии выдерживать в пользу Российских изделий соперничество с товарами иностранными, коих привоз в Персию и Турцию, усиливаясь более и более, противодействует сбыту туда наших мануфактурных произведений»).

რუსი ვაჭრების ეს განცხადება განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმ მხრივაც, რომ ასე იწყებოდა შემდგომში განვითარებული რუსული კაპიტალიზმის დემპინგის პირველი ნაბიჯები ირან-თურქეთში, რამაც თავისი განმტკიცების მაღალ დონეს მიაღწია XIX ს. ბოლოსა და XX ს. დამდეგს. ჩ ვ ე ნ ა რ გ ვ ე გ უ ლ ებ ა უ ფ რ ო ა დ რ ი ნ დ ე ლ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ი, ს ა დ ა ც რ უ ს ე თ ი ს ვ ა ჭ ა რ თ ა მ ი ე რ გ ა ნ ც ხ ა დ ებ უ ლ ი ი ყ ო ს დ ე მ პ ი ნ გ უ რ ი, ე. ი. ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ დ ა წ ე უ ლ ი ფ ა ს ებ ი ს გ ზ ი თ უ ც ხ ო ე თ ი ს ბ ა ზ რ ებ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ი ს პ რ ე ტ ე ნ ზ ი ებ ი.

„ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს“ მმართველად გამოცხადებული იყო აქციონერი ნეგოციანტი ავგუსტ გერშინგი, „რო-

---

[29] „Горный журнал“, 1838, СПБ, ч. III, кн. IX, с. 509—511.

მელიც 12 წლის განმავლობაში ეწევა კომერციას იმ მხარეში, რომელსაც კარგად იცნობენ. იგი აქამდე ეწევა თბილისში საკმაოდ მნიშვნელოვან ვაჭრობას და ნდობით სარგებლობს".

დასასრულ, კომპანიის დამფუძნებლები ორიენტაციას აკეთებენ რუსი ვაჭრებისა და ფაბრიკანტების პატრიოტულ გრძნობებზე და მოუწოდებენ მათ ცხოველი მონაწილეობა მიიღონ კომპანიის საქმიანობაში „როგორც სამამულო საქმეში", რომელშიც მათს მონაწილეობას შედეგად უნდა მოჰყვეს სარგებლობა მრეწველობის წარმატების სახით[23].

ამ განახლებული, მეორედ აღმდგარი კომპანიის მოღვაწეობაც საბოლოოდ უდღეური აღმოჩნდა.

1840-იანი წლების შუადან, კავკასიის ნამესტნიკობის დაწესებისა და ამ დიდი პროვინციის სათავეში იმპერიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის თავ. მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს დანიშვნის დროიდან, ე. ი. მას მერმე რაც ამ ქვეყნის „დამშუშავების", ეკონომიკური აღორძინებისა და ადმინისტრაციული გამგებლობის სფეროში „საგრძნობი წარმატებები" იყო მიღწეული, უმსხვილესმა მოსკოველმა ფაბრიკანტებმა მჯარი დაუჭირეს იდეას დაეარსებინათ ამიერკავკასიაში „რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა დეპო".

კავკასიის ნამესტნიკმა „გულწრფელად უსურვა წარმატება ამ სასარგებლო და ჭეშმარიტად პატრიოტულ წამოწყებას და ბარონ ბეიენდორფს (მანუფაქტურული და კომერციული საბჭოს მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარეს) დაავალა, რათა გამოეცხადებინა მოსკოველი ფაბრიკანტებისათვის, რომ „ყოველივე, რაც მისგან იქნება დამოკიდებული, გაკეთდება მოწადინებითა და სიამოვნებით"[24]. მ. ს. ვორონცოვი დასძენდა, რომ „ამ ღონისძიებისათვის მოსკოველ ფაბრიკანტებს დიდი ხნით ადრევე უნდა მოეკიდათ ხელი, რამდენადაც „ამიერკავკასიაში მოვაჭრე სომხები, ყიდულობენ რა მოსკოვსა და ნიჟეგოროდის იარმარკეტაზე საშუალო ხარისხის რუსულ საქონელს და მასაც უმეტესწილად ნისიად, ყიდიან მას იმ მხარეში, როგორც საუკეთესოს და მაღალ ფასად; ასე, რომ ამჟამად თბილისის დუქნებში არ იშოვნება არავითარი კეთილხარისხოვანი რუსული საქონელი"[25].

ბარონ მეიენდორფმა ფინანსთა მინისტრს ფ. ვორონჩენკოს წარუდგინა „საბოლოო აქტი" ამიერკავკასიაში რუსულ მანუფაქ-

---

[24] ЛОЦИА, ф. КК, 1846, д. № 405, лл. 1 — 6.

[25] იქვე, ფურც. 4; АСКАК, X, № 190, с. 188.

ტურულ ნაკეთობათა დეპოს დაარსების შესახებ. ამ აქტს ხელს აწერდა შვიდი მოსკოველი ნეგოციანტი, რომელთა მდგომარეობა აკმაყოფილებდა ხსენებული წამოწყების ყველა მოთხოვნას, როგორიცაა საქმის ცოდნა, საჭირო გამოცდილება, კეთილსინდისიერება და დიდი კაპიტალები, რაც ერთად აღებული შეადგენდა 12.000.000 მან. (ვერცხლით).

ეს ფაბრიკანტები მიზნად ისახავდნენ, როგორც თვითონ აცხადებენ, ამიერკავკასიის არა მხოლოდ ზომიერი ფასებით მაღალხარისხოვანი რუსული საქონლით მომარაგებას, არამედ მათი განზრახვაა ამასთანავე შეისყიდონ ადგილობრივი ნაწარმი პროდუქტები. იმის მეოხებით, რომ ამ საქმეში მონაწილე ადამიანები ფლობენ დიდძალ კაპიტალს, მათ შეუძლიათ ამიერკავკასიური პროდუქტებისათვის გადაიხადონ მაღალი ფასები იმასთან შედარებით, რასაც ახლა იქაური მწარმოებლები ღებულობენ წვრილი ჩარჩებისაგან. მათ ისიც შეუძლიათ, რომ კიდევ უფრო გაადიდონ ეს ფასები, პროდუქტების ღირსების შემდგომი გაუმჯობესების შესაბამისად, და, ამგვარად, წააქეზონ ამიერკავკასიის მოსახლეობა, რათა მიაღწიონ აბრეშუმის, ბამბის, ენდროსა და სხვა სამღებრო მცენარეების ხარისხის გაუმჯობესებას.

ბარონ მეიენდორფის მეშვეობით ეს ფაბრიკანტები კიდევ მოითხოვენ, რომ ფრიად სასარგებლო იქნება, თუ რუს ნეგოციანტთა ამ ვაზნრახულობის შესახებ სახალხოდ გამოცხადდება ამიერკავკასიაში, რათა ადგილობრივმა მწარმოებლებმა თბილისში ჩამოიტანონ თავიანთ ნაწარმთა ნიმუშები და მაშინ თბილისში ერთდროულად გაიხსნებოდა ორი დეპო: ერთი—რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა, ხოლო მეორე — ამიერკავკასიის ნაწარმთა და, ამგვარად, დამყარდებოდა ორმხრივი კომერციული ურთიერთკავშირი[26].

იმპერიის ფინანსთა მინისტრმა კავკასიის ნამესტნიკისა და მოსკოველ ფაბრიკანტთა (ნეგოციანტთა) ამ ინიციატივის შესახებ მოახსენა თვით იმპერატორს, რომელმაც ინება მოხსენებით ბარათზე საკუთარი ხელით წაეწერა: „წაიკითხე 22 იანვარს 1847. ღმერთმა წარმატება მისცეს ამ წამოწყებას“.

ფინანსთა მინისტრი თავის მხრივ „დიდი სიამოვნების გრძნობით“ ატყობინებს მერმე ყოველივე ამას გენ.-ად. თავ. ვორონცოვსა და თავ. ა. ჩერნიშევს[27].

---

[26] ЛОЦИА, ф. КК, д. № 405, л. 5; АСКАК, X, № 191, с. 189.
[27] ЛОЦИА, ф. КК, 1846, д. № 405, л. 6.

მალე კავკასიის ოფიციალურ საცნობარო წელიწდეულში, როგორიც იყო «Кавказский календарь», ქვეყნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში დაარსდა — Кавказское первоначальное торговое депо и магазин мануфактурных товаров. ეს დეპო თბილისში დაარსდა 1847 წ. დამდეგს და, როგორც რეკლამა აცხადებს, „მიზნად ისახავს სისტემატურად მოამარაგოს ამიერკავკასია რუსული და საზღვარგარეთული საქონლით... და ამასთანავე ამ მხარის ვაჭრები და მომხმარებლები გააცნოს რუსეთში წარმოებულ საქონელთა ნამდვილ ხარისხსა და ღირებულებას“.

ამ მიზნის მისაღწევად ბითუმად ვაჭრობასთან ერთად იხსნება ცალობრივი ვაჭრობის მაღაზია, სადაც გაიყიდება ადგილობრივი მოთხოვნილების ყოველგვარი საქონელი. „ეს იქნება ისეთივე, როგორიცაა ორსავე სატახტო ქალაქში (პეტერბურგსა და მოსკოვს) არსებული მაღაზია“[28].

ამ ფირმის კანტორას ქ. მოსკოვში განაგებდნენ ცნობილი ნეგოციანტები, იმდროინდელი რუსეთის უმსხვილესი კაპიტალისტები ე. გუჩკოვი და ნ. ჩეტვერიკოვი, ხოლო თბილისის დეპოსა და მაღაზიის მმართველი იყო ფ. ბობილევი. ამათ გარდა, დეპოს ვაჭრობაში მონაწილეობდა ოცდაათზე მეტი „ყველაზე გამოჩენილი ფაბრიკანტი, მექარხნე და ოსტატი“: მოსკოვის ქალაქის თავი, პირველი გილდიის ვაჭარი ს. ლოგინოვი-ლეპეშკინი, პირველი გილდიის ვაჭარი ი. მალცევი, ვაჭარი და ფაბრიკანტი ი. ბარანოვი, მოსკოვის საპატიო მოქალაქე მანუფაქტური-სოვეტნიკი ე. გუჩკოვი, საპატიო მოქალაქენი, მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭრები ნ., კ., და ი. პროხოროვები. საპატიო მოქალაქე ნ. ჩეტვერიკოვი, მანუფაქტურ-სოვეტნიკი ვ. უსაჩევი, საპატიო მოქალაქე და ფაბრიკანტი მ. ზოლოგინი და სხვ.[29]

როგორც ჩანდა საქმე იმთავითვე ფართო ნიადაგზე უნდა გაშლილიყო. რეკლამაში ვკითხულობთ: „სათანადო ბეს შეტანის პირობით კანტორა შეკვეთებს ღებულობს იმ ნივთებსა და საქონელზედაც, რაც სახეზე არაა დეპოში... ხოლო ისეთ საქონელზე როგორიცაა — მანქანა, ავეჯი, ეკიპაჟი, მუსიკალური ინსტრუმენტი, თუჯის სხმული და საერთოდ, ნივთებზე, რომელთაც სპეციალური დანიშნულება აქვთ საზოგადოდ არსებული წესისამებრ, მსგავსად ყველა სხვა საკომისიო კანტორისა, იძულებულია წინასწარ მოით-

---

[28] Кавказский календарь на 1849, Тифлис, 1848, с. 69.

[29] იქვე, გვ. 70.

ხოვოს მთელი თანხა". ამასთანავე კანტორა მოსკოვსა და ნიჟეგოროდის იარმარკეტაზე გასასაღებლად საკომისიოდ ღებულობდა ადგილობრივ საქონელს; იგი ასრულებდა მსურველთა შეკვეთით მოსკოვიდან თბილისში და პირუკუ სხვადასხვა საქონლისა და ნივთის გაზიდვის ოპერაციასაც, რამდენადაც „მოსკოვიდან თბილისში თვეში ორჯერ ისედაც აგზავნიდა თავის საქონელს". გარდა ამისა კანტორა კისრულობდა ყველა ევროპულ ენაზე გამომავალი წიგნების, გაზეთების და ჟურნალების გამოწერას; აგრეთვე ნოტების, გეოგრაფიული რუკების, ყოველგვარი სახელმძღვანელოების, სურათების და ესტამპების, სხვადასხვა მცენარეების, ყვავილების თესლის და სხვ. გამოწერას[30].

ეს დეპო და მაღაზია თბილისის ცენტრში, გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე, პოლკ. არწრუნის სახლში იმყოფებოდა.

სულ მალე წარმოიშვა კიდევ ახალი, მეორე, «Общество Закавказской оптовой торговли». ესაა რუსი მანუფაქტურისტების მიერ 1847 წ. დაარსებული „საზოგადოება", რომლის მიზანი იყო: „ამიერკავკასიის მომარაგება რუსეთის ფაბრიკების ნაწარმებით, ამასთანავე მოეწყო რუსულ ნაკეთობათა გაცვლა ადგილობრივ პროდუქტებზე და შეესყიდა ამ მხარის ნედლეული მასალა რუსეთში გასაგზავნად".

ამ „საზოგადოებამ" თავისი საავჭრო თბილისში გახსნა 1848 წლის აპრილს. „საზოგადოების" დამფუძნებლები იყვნენ ასევე ცნობილი რუსი დიდვაჭრები მოსკოველები — ლეპეშკინი, ლობკოვი და კოტოვები; ივანოვოელები — გარპლინი და ბაბურინი. „საზოგადოების" მთავარი კანტორა იმყოფებოდა მოსკოვში, ხოლო თბილისში მისი საქმეთა მმართველი იყო პ. რ ო გ ო ჟ ი ნ ი — სიონის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში[31].

გასაგებია, მოსკოველ ვაჭართა ესოდენ ფართო ფრონტით შემოჭრის მისწრაფებას არ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა არ მოეხდინა ადგილობრივ ვაჭართა მდგომარეობაზე და, მაშასადამე, მათგან სათანადო რეაქცია არ მოჰყოლოდა ამ მოვლენებს.

უკვე 1847 წ. 26 მაისს „თბილისელ ვაჭართა კლასის საზოგადოება" თხოვნით მიმართავს ჰ. ვორონცოვს:

1. „...საეჭვო არაა, რომ საქონლის ყოველი შემძენი, ბითუმად

---

[30] Кавказский календарь на 1849. Тифлис, 1848, с. 70; იხ. აგრ. გაზ. «Кавказ», 1847, № 18.

[31] КК на 1849 г., с. 71.

იქნება ეს თუ ცალობით“, ამიერიდან ამ მიზნით მიმართავს მხოლოდ დეპოს. აქედან გასაგებია, რომ „ჩვენი საქონელი საერთოდ გაუსაღებელი დარჩება“. ამას ამტკიცებს ის, რომ მას შერმე რაც აქ საჯაროდ გამოცხადდა, თუ რა ხარისხისა იქნება და რაოდენ სასარგებლო მოსკოველ ვაჭართა დეპოში „საქონლის პირველი ხელიდან შეძენა“, მეზობელი მაზრებიდან და პროვინციებიდან ვაჭრები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ბითუმად წაეღოთ ჩვენგან საქონელი, ახლა უცდიან „რუსულ საქონელთა დეპოს გახსნას“, რომლის მომავალი ოპერაციების შესახებ მათ უკვე აქვთ ცნობები[32].

2. ასეთ ვითარებაში ჩვენ ჩვენი საქონელი ან უნდა დავთმოთ მნიშვნელოვანი ზარალის მიღებით, ანდა შევინახოთ ჩვენთანვე, რაც სავსებით გაგვანადგურებს, რამდენადაც ყოველ ჩვენს ვაჭარს აქვს 10-დან 80 ათას მანეთამდე ღირებული საქონელი. ხოლო აქ რუსულ საქონელთა დეპოს გახსნით, ცხადია, ჩვენი საქონლის რეალიზაცია გაძნელდება და ჩვენ საშუალება არ გვექნება ახალი საქონელი შევისყიდოთ რუსეთში...

3. ასეთ გამოუვალ პირობებში ისინი თხოულობენ დეპო გახსნან ორი წლის შემდეგ, რა ხნის განმავლობაში „გასაღდება ჩვენი საქონელი და, ამრიგად, გადავრჩებით გაღატაკებას...“.

4. იმ დროიდან, რაც რუს ვაჭართა კომპანია დაიწყებს აქ თავის მაღაზიაში საცალო ვაჭრობას, დაზარალდებიან და გაჩანაგდებიან არა მხოლოდ ადგილობრივი ვაჭრები, არამედ აგრეთვე დუქნებისა და ქარვასლების პატრონებიც, რამდენადაც ადგილობრივი საცალო ვაჭრობის მოშლის შედეგად მათი დუქნები და სარდაფები დაცარიელდებიან, დაუკავებელი დარჩებიან. ამით დაზარალდება თბილისის საქალაქო გამგეობაც, რომელიც მათგან მნიშვნელოვან ფულად მოსაკრებლებს ღებულობს და ამ შემოსავლით ინახავს პოლიციას, ფარავს ქალაქის სხვადასხვა ხარჯებს, იხდის ქალაქში ჩასახლებულ სამხედრო მოხელეთა ბინის ქირას და სხვ.

5. რუსულ საქონელთა დეპოს დამფუძნებლები ჩვენ გვპირდებიან იმ სარგებლიანობას, რომ ნაცვლად რუსული საქონლისა, რასაც აქამდე ვყიდულობდით, შეგვეძლება ხელი მივყოთ რეალიზაციას ადგილობრივ ნაკეთობათა, როგორიცაა აბრეშუმი, ბამბა, ენდრო, მატყლი და სხვ., მაგრამ ამ ნაწარმოებთა გაყიდვა ჩვენთვის არაა ვაჭრობის ახალი დარგი. ჩვენ ამ პროდუქტებს დიდი ხანია ვა-

---

[32] АСКАК, X, № 190, с. 191.

საღებთ და ეს ყოველთვის ხელს უწყობდა ადგილობრივი ვაჭრობისა და ვაჭართა კლასის გამოცოცხლებას, „რამდენადაც აქაური ვაჭრები თავის სახლებში კი არ ისხდნენ და მხოლოდ ერთ ველურ მთიელებთან ვაჭრობით ისაზღვრებოდნენ თავიანთ ბრუნვებში, არამედ მიემართებოდნენ რუსეთსა და სხვადასხვა ქვეყანაში აქაურ ნაწარმოებთა რეალიზაციისათვის, რის შედეგადაც იწაფებოდნენ და ვითარდებოდნენ ვაჭრობაში და ამის მრავალი ისეთი მაგალითი არსებობს, რომელთაც მთავრობის ყურადღება მიუქცევიათო"[33].—აცხადებენ თბილისელი ვაჭრები, რომლებიც ახლა საჭიროდ თვლიან ხაზი გაუსვან მთავრობისა და ქვეყნის წინაშე თავიანთ დამსახურებას; და თუ ყოველივე ზემოხსენებული ამაო იქნება, რათა შეიწყნარონ მათი თხოვნა, ე. ი. რუს ვაჭართა დეპომ არ დაიწყოს აქ საცალო ვაჭრობა, მაშინ მათი გადარჩენის უკიდურესი ღონისძიება ისღა იქნება, რომ დეპომ „მათგან მიიღოს რუსული ნაკეთობის ყველა საქონელი, რაც ნაყიდია რუსივე ფაბრიკანტებისაგან, რომელთაგან ზოგიერთი უფრო ცნობილია, ვინემ ის ფაბრიკანტები, რომლებიც მონაწილეობდნენ დეპოს გახსნაში". ისინი ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მზად არიან ხსენებული საქონელი დეპოს დაუთმონ „იმ ფასებით, რაც ჩვენ თვითონ დაგვიჯდა, არა თუ ყოველგვარი მოგების გარეშე, არამედ ზოგიერთი ზარალის მიღებითაც, ოღონდ მან დაუგვიანებლად ახლავე ჩაიბაროს ეს საქონელი"[34].

თბილისელ ვაჭართა ამ თხოვნის საპასუხოდ ამიერკავკასიის პირველი სავაჭრო დეპოს დირექტორი ჩეტვერიკოვი აღნიშნავს: უმთავრესი, რის გამოც შეშფოთებულნი არიან და ჩივიან თბილისელი ვაჭრები, ეს ისაა, რომ რაკი დეპო საცალო ვაჭრობას დაიწყებს ადგილობრივი ვაჭრები უსაქმოდ დარჩებიან, რამდენადაც ყველა მყიდველი დეპოს მიმართავს, მაგრამ ჩვენ „ამის იმედი არა გვაქვს, რადგანაც გამოცდილებით ვიცით და ორსავე სატახტო ქალაქში, პეტერბურგსა და მოსკოვს მაღაზიების გახსნით დადასტურებულია, რომ იქ საცალო ვაჭრობა არ დაცემულა, არამედ კიდევ უფრო განვითარდა, სწორედ იმიტომ, რომ რუსმა ფაბრიკანტებმა, დაიწყეს რა თავიანთ საქონელთა ცალობრივი გაყიდვა საბითუმოზე ფასების ზომიერი წამატებით, თავიანთი მაღაზიები, ასე ვთქვათ, გადააქციეს მუდმივ გამოფენებად, თვალები გაუხილეს ყველა მომხმარებელს და ამით უზომო მოგების მიღების საშუალება წაართვეს წვრილ ვაჭრებს.

[33] АСКАК, X, № 190, с. 191.

[34] იქვე, გვ. 192.

მაგრამ, განაგრძობს ჩეტვერიკოვი, ამის შედეგად არაეინ გაღატაკებულა, არავის არ დაუკეტია თავისი საცალო ვაჭრობის მაღაზია და არ შეუწყვეტია იმ ფაბრიკანტებისაგან საქონლის ბითუმად შეძენა. საბოლოოდ ის გამოვიდა, რომ შეწყდა რუსულ საქონელთა სამგზის უფრო ძვირად გაყიდვა, მომხმარებელთა მოტყუილება... და გაიზარდა მყიდველთა რიცხვი. თბილისელ ვაჭართა კლასს კიდევ უფრო ნაკლებად უნდა ეშინოდეს ჩვენი მაღაზიის მეტოქეობისა იმის მეოხებით, რომ, ერთი მხრით, ჩვენ განზრახული გვაქვს საქონლის ბითუმად მყიდველებს მივსცეთ იგი საცალო ვაჭრობასთან შედარებით მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ შესამჩნევი სარგებლობა მიიღონ ჩვენი საქონლისაგან და, მეორე მხრით, იმიტომ, რომ, თვით მთხოვნელთა სიტყვებით, აქაურ სომხებს უკვე ახლა აქვთ ნაყიდი საქონელი ისეთი რუსი ფაბრიკანტებისაგან, რომლებიც ბევრად უფრო არიან ცნობილი, ვინემ ისინი, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენს დეპოში. ბუნებრივია, ასეთი მეტოქეობისა უფრო ჩვენ უნდა გვეშინოდეს და არა მათ[35].

კორპორაციულად ამოძრავებულ თბილისელ ვაჭართა მიერ აღძრულ საკითხთა ასპექტში 1848 წ. 20 მარტს მ. ვორონცოვი დეპოს დამაარსებელთა მიმართ ბარათში აცხადებს: რომ რუს ვაჭართა დეპო, თუ სისტემატურად გააგრძელებს მის მიერ არჩეულ გზას, მიაღწევს დასახულ მიზანს: ვაჭრობის მხრივ რუსეთის შინაგანი ვუბერნიები დაუახლოვოს ამიერკავკასიას და ამით სარგებლობა მოუტანოს ამ უკანასკნელს. საეჭვო არაა, რომ აქაური ვაჭრები დაინახავენ სარგებლობას საქონელი შეიძინონ დეპოსაგან, ისეთ ფასებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ საკმაო მოგება ცალობრივი ვაჭრობით. საჭიროა, რათა დეპომ აქაური ვაჭრებისათვის დაიკავოს ნიჟეგოროდის იარმარკტისა და მოსკოვის ადგილი; აი მიზანი, რომლისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს რუს ვაჭართა დეპო[36].

ზემომოყვანილ თბილისელ ვაჭართა თხოვნაზე ჩეტვერიკოვისეულ შენიშვნებს თავისი კომენტარები გაუკეთა თბილისელ ვაჭართა ერთ-ერთმა მეთაურმა თავ. ბებუთოვმა. 1848 წ. 29 მაისს იგი წერდა: მოსკოველ ფაბრიკანტთა ამხანაგობა არა თუ არაა გამსჭვალული სურვილით თბილისელ ვაჭართა ინტერესები დაუახლოოს

---

[35] АСКАК, X, № 190, с. 192—193.

[36] იქვე, № 199, გვ. 197.

ღავისას, არამედ, პირიქით, ყველგან ამჟღავნებს თავის მტრულ გრძნობებს, რაც თავისთავად ამართლებს აქაურ ვაჭართა შიშს... ფაბრიკანტები თავიანთ თავს ნებას აძლევენ არა თუ შეურაცხყოფა მიაყენონ ვაჭართა მთელ წოდებას, არამედ უჩვენებენ უყოყმანო განზრახვას მათდამი ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე განაგრძონ ბრძოლა, მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა. მუქარა, რომ შესწყვეტენ ვაჭრობას და უკანვე გაიტანენ საქონელს, თუ მათ აეკრძალებათ ცალობრივი ვაჭრობა, აშკარად მიუთითებს მათს ამ განზრახვას[37].

მართალია, მოსკოველი ფაბრიკანტები ირწმუნებიან, რომ აქაურ ვაჭრებსაც დაუნარჩუნებენ არსებობის საშუალებას, იმით რომ საბითუმო ვაჭრობაში მათ საქონელს მისცემენ ფასდაკლებით: 5% იაფი სორტისა და 10% უმაღლესი სორტის საქონელზე, მაგრამ საეჭვოა. რომ ეს სარფიანი იყოს ადგილობრივი ვაჭრებისათვის იმიტომ, რომ: ერთი მხრივ, დეპოში არასოდეს არ ყოფილა იმდენი საქონელი, რამდენიც საჭიროა საბითუმო ვაჭრობისათვის და ახლა თვით ფაბრიკანტები წერენ, რომ იფარგლებიან უპირატესად მხოლოდღა საცალო ვაჭრობისათვის საკმაო საქონლის გამოგზავნით ღა, მეორე მხრით, 5% ფასდაკლება იაფი სორტის საქონელზე, რაც აქ შეადგენს გაყიდვის უმთავრეს სფეროს, არ შეიძლება იყოს საკმარისი სავაჭრო ხარჯების დაფარვისა და თანაც ვაჭრისათვის მოგების მიცემისათვის, ურომლისოდ არავითარ ვაჭრობას არ შეუძლია იარსებოს.

ბებუთოვი ამთავრებს: მთავრობის მოქმედების მთავარი აზრი აქ ისაა, რომ ერთმანეთს დაუახლოოს ადგილობრივი მკვიდრნი და რუსები, ხოლო თბილისში მოსკოვური დეპოს გაჩენა არა თუ არ ემსახურება ამ მიზანს, არამედ აღვივებს მათ შორის „გაუთავებელ ბრძოლას და წინააღმდეგობას“, რაც იწვევს „არამდიდარ ამიერკავკასიელ მესარეწეთა გაღარიბებას და თავისდაუნებლიეთ შეუძლია მათ შორის გამოიწვიოს არამეგობრული გრძნობები მთავრობის განსაკუთრებული მფარველობით მოსულ რუსეთის ვაჭრების წარმომადგენლებისადმი“[38]

იმავე დღეს, 1848 წ. 29 მაისს, კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი ღებულობს ბარონ მეიენდორფის წერილს, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისელ სომეხ ვაჭართა ცნობა მათ მიერ მიღებუ-

---

[37] АСКАК, X, № 200, с. 197.

[38] იქვე, № 200, გვ. 198.

ლი ზარალის შესახებ „დიდად გადაჭარბებული იყო“. საქმე ისაა, რომ დეპოს მაღაზიის მიერ საქონლის წლიურ რეალიზაციას (400 ათასი მან. ვერცხ.) არც შეეძლო ესოდენი ზიანი მიეყენებინა საერთოდ რუსული ნაწარმებით მოვაჭრეებისადმი, რამდენადაც ამიერკავკასიაში იყიდება არანაკლებ 4 მლნ მან. რუს. საქონელი. ხოლო დეპოს მაღაზიის ვაჭრობა, რაც მთელი ამ ვაჭრობის ათიოდე პროცენტს უდრის, მხოლოდ „ფასთა საზომად მსახურებს“.

საბოლოოდ მეიენდორფი ცდილობს ნამესტნიკს შთააგონოს, რომ „სომეხთა 30 სახლის ჩივილი“ არ შეიძლება დავუპირისპიროთ ამიერკავკასიელ მომხმარებელთა და, მაშასადამე, მყიდველთა სარგებლიანობას და რუსულ ნაკეთობათა დეპოს გახსნამდე ამიერკავკასიაში ვაჭრობის არსებული მდგომარეობა ნათლად უჩვენებს თუ „როგორ ესმოდათ სომეხ ვაჭრებს ამ მხარის ვაჭრობის საერთო ინტერესები“[39].

ახლა აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. მოსკოველი ფაბრიკანტები და ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება მართებულად თელიდნენ, რომ თბილისის კომერციული ცხოვრება უმთავრესად სომეხ ვაჭართა ხელში იყო. 1840-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ადმინისტრაციის მხრივ წაქეზებულმა რუსმა ვაჭრებმა გადაწყვიტეს ხელთ ეგდოთ აქ წამყვანი როლი და, მაშასადამე, შეეიწროებინათ სომეხ ვაჭართა მოქმედების სარბიელი, დამოკიდებულება ამ ორ „ბანაკს“ შორის, როგორც ჩანს, ძლიერ გაიწვავდა. იბადება კითხვა: როგორი პოზიცია ეჭირა ამ ბრძოლაში თბილისელ ქართველ ვაჭრებს, რომელთა შორის, როგორც ვიცით, იყვნენ ფრიად გავლენიანი ადამიანები, რომლებიც მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის მთელ კომერციულ ცხოვრებაში.

იმ ეპოქის ამსახველ საარქივო მასალებში, ლიტერატურულ წყაროებში, ჩვენ არ შეგვხვედრია დოკუმენტები, რომლებიც ნათელ შუქს ფენდნენ ამ საკითხს. მაგრამ ის გარემოება, რომ თბილისელ ვაჭართა სახელით და მათი ინტერესების დამცველის როლში ახლა გამოდის ბებუთოვი და არა, ვთქვათ, ზუბალოვი და ის მომენტიც, რომ რუს ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს აქ თავიანთ მეტოქეებად მიაჩნიათ არა საერთოდ ადგილობრივი ვაჭრები, არამედ „სომეხთა 30 სახლი“, უკვე თავისთავად გარკვეულ ვითარებას ავლენს...

მ. ვორონცოვისადმი 1848 წ. მაისის წერილში ბარონ მეიენდორფი უკვე საეჭვოდ მიიჩნევდა თბილისში, ამიერკავკასიაში რუს

---

[39] АСКАК, X, № 201, с. 198 — 199.

ვაჭართა ორი კომპანიის ერთდროულად მოღვაწეობის მიზანშეწონილობას[40]. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მ. ვორონცოვი (1849. 2.25) ფინანსთა მინისტრს ვრონჩენკოს სწერს, რომ თბილისში რუს ვაჭართა მეორე დეპოს წარმომადგენელი როგოჟინი „ბევრს შეგვპირდა, მაგრამ თითქმის არაფერი არ გააკეთა და მისი ყველა წინადადება მხოლოდღა სიტყვებად დარჩა და არა საქმედ"[41]. ამასთანავე მ. ვორონცოვი სიტყვებს არ იშურებს ქება შეასხას პირველი დეპოს საქმიანობას, რომელიც გამუდმებულად აგრძელებს თავის სავაჭრო ბრუნვებს და უკვე მოაქვს სარგებლობა იმით, რომ „შემოაქვს საუკეთესო ხარისხის საქონელი და მათი ფასებიც შეამცირა". ხოლო მეორე დეპოს შეპირებათა რეალიზაცია მით უფრო სასურველია, რომ იგი უმთავრესად მონდომებულია „რუსეთში გასაგზავნად შეისყიდოს ადგილობრივი ნაწარმოებნი"[42].

1846—1848 წწ. თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი აღნიშნავდა თბილისში რუს ვაჭართა ორი დეპოს გახსნის დადებით მნიშვნელობას..., რომ მან გააქარწყლა ადგილობრივ ვაჭართა სრული მონოპოლია ვაჭრობაში, რომ თუ წინათ ნიჟეგოროდის იარმარკიდან სომხებს აქ უფრო მიჰქონდათ უხეში და წუნდებული საქონელი, ახლა გაჩნდა ბევრი და კარგი ნაკეთობანი და საქონლის ფასებიც შესამჩნევად შემცირდა და ყოველივე ამან საბოლოოდ დადებითად უნდა იმოქმედოს აქაურ ვაჭრობასა და ვაჭრებზედაც[43].

მ. ვორონცოვი ოცნებობდა, რომ თუ რუსი ვაჭრები შეძლებენ საქონელზე საერთოდ შეამცირონ ფასები, განსაკუთრებით პირველი მოთხოვნილების ისეთ ნაკეთობებზე, როგორიცაა ბამბაქსოვილები, ჩითი, ფლანელი, შალეული, მაშინ ისინი, გარდა იმისა, რომ გაადიდებდნენ სავაჭრო ბრუნვებს, დაგვეხმარებოდნენ „მოგვესპო ევროპელ ვაჭართა მეტოქეობა და ნაკლები მიზეზები იქნებოდა კონტრაბანდის" გავრცელებისაო[44].

მაგრამ დიდი დრო არ შეიქმნა საჭირო იმისათვის, რათა კავკასიის ნამესტნიკს თავისი აზრი შეეცვალა პირველი დეპოს საქმიანობის თაობაზედაც. 1850 წ. 25 მაისს იგი ამ დეპოს დამფუძნებლებს ჩეტვერიკოვს, გუჩკოვს, პროხოროვსა და კომპ. სწერდა:

---

[40] АСКАК, X, № 201, с. 198—199.

[41] იქვე, № 203, გვ. 200.

[42] იქვე.

[43] იქვე, გვ. 864.

[44] იქვე.

1847 წელს თბილისელ ვაჭრებს მოეჩვენა, რომ დეპოს საქმიანობა მათთვის საზიანო და საშიში იქნებოდა. მაშინ მე ძლიერ მთხოვდნენ, რომ მიმეღო ზომები თბილისელ ვაჭართა საშველად. გარკვეული ზომით ვიზიარებდი რა მათს აზრს და საშიშროებას, მე მაინც უარი ვუთხარი მათ ყველა თხოვნაზე, რადგან კანონიერი უფლება არ მქონდა დამეკმაყოფილებინა ისინი და გარდა ამისა ყოველთვის მქონდა ჭეშმარიტი სურვილი, რათა თქვენს დაწესებულებასაც არ მოკლებოდა აქ საკმარისი სარფიანობა... მიუხედავად ყოველივე ამისა, მე არც მაშინ შემეძლო და არც ახლა შემიძლია დაგიმალოთ თქვენ, რომ თქვენი დაწესებულებისაგან ორმხრივი სარგებლობის მოლოდინი უდიდეს ნაწილში არ გამართლდა. ჩვენ იმთავითვე გვწამდა და მოველოდით თქვენს მხრივ მრავალგზის შეპირების მიხედვით, რომ თქვენ თბილისში გაყიდდით მოსკოვურ ქანუფაქტურულ ნაკეთობებს არა იმდენად ცალობრივად, რამდენადაც ბითუმად და, ამასთანავე, შეისყიდდით აქაურ ნაწარმოებთ და მათ გააცნობდით მოსკოვსა და მთელს რუსეთს. სხვა მხრივ თქვენმა მოქმედებამ, რაც სასარგებლო იყო აქაური მომხმარებლისათვის იმით, რომ მოსპო სომეხ ვაჭართა მონოპოლია, მხოლოდ ზიანი მიაყენა ამ უკანასკნელთ ისე, რომ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა არც მწარმოებლებს, არც ფაბრიკანტებს და არც აქაურ ხელოსნებს[45]...

1850 წ. დამდეგს თბილისში დაარსდა სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოება (სმკს). სმკს-მ მეორე სხდომაზე დაადგინა: თავისი მცირეოდენი ფულადი სახსრებიდან გამოეყო ცოტაოდენი თანხა, რათა აქ შეესყიდა ზოგიერთი ადგილობრივი ნაწარმი, რომლებიც რუსეთში უცნობნი არიან და გაეგზავნა ისინი მოსკოვს. ამ სხდომაზე თურმე ბარონ მეიენდორფმა წაიკითხა წერილი სავაჭრო დეპოს მესვეურებისა, რომლებიც, გაუგიათ რა სმკს ხსენებული განზრახვა, აცხადებენ, რომ ისინიც ყოველწლიურად შეისყიდიან ადგილობრივ ნაკეთობათ იმდენივე თანხისას, რამდენსაც სმკს... საქმე ისაა, რომ სმკს ამისათვის შეეძლო გამოეყო სულ რამდენიმე ასეული მანეთი, და ახლა მოსკოველ კაპიტალისტთა დეპო, რომლისგანაც აქ მილიონების დატრიალებას მოელოდნენ, ისე ჩამოხურდავდა, რომ ასეულ მანეთობით თანხის გამოყოფაზე დროს იმეტებს ვრცელი მოხსენება შეადგინოს...[46]

---

[45] АСКАК, X, № 207, с. 203.

[46] ადგილობრივი „ოფიციოზის", გაზ. „კავკაზის" რედაქცია, ეხებოდა რა იმხანად ცენტრალური ადგილობრივი ადმინისტრაციის მსჯელობის ამ საგანს, წერდა:

მ. ვორონცოვი მათ სწერს: „არ შემიძლია და არც უნდა დაგიმალოთ ის ცუდი წარმოდგენა, რაც თვითონ ჩემზე და ასევე ყველა სხვა დამსწრეზე მოახდინა თქვენი ასეთი განზრახვის გამოცხადებამ... ყოველგვარი იმედი, რაც ზოგიერთ ჩვენთაგანს ჰქონდა თქვენი მომავალი საქმიანობის ამ ქვეყნის სარგებლიანობაზე, სავსებით გაქრა... მე თქვენ უნდა გითხრათ, რომ საერთო აზრი და ხმა თქვენს წინააღმდეგ ახლა აქ გაძლიერდა და რომ უკვე არავის არ შეუძლია რაიმე თქვას თქვენს დასაცავად. ეს ჭეშმარიტება შეიძლება თქვენთვის არასასიამოვნო იყოს, მაგრამ მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია არ დაგიმალოთ თქვენ იგი"[47].

არსებითად, მ. ვორონცოვი ყველაფერს კიდევ არ წერდა. საქმე ისაა, რომ ოთხი წელიწადი ისე გავიდა, რომ პირველმა დეპომ დაპირებათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეასრულა. ასევე მოიქცა მეორე დეპოც, რომელმაც ერთხელ შეისყიდა საკმაო რაოდენობით კახური ღვინო და კიდევ ერთხელ — რამდენიმე ასეული ფუთი აქაური სალალო აბრეშუმი. ამიტომაც, ახლა მ. ვორონცოვი მათ უცხადებს· „რა უნდა ვიფიქროთ თქვენს მომავალ მოქმედებაზე... განზრახული გაქვთ იმოქმედოთ ორმხრივი სახელმწიფოებრივი სარგებლობისათვის, თუ ისე, როგორც ახლა, გინდათ დარჩეთ წვრილ ვაჭრებად და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდეთ ადგილობრივ ვაჭრებს?"[48]

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ მოსკოველ ვაჭართა დეპოები ხელს ეიპყოფდნენ ადგილობრივი ნაწარმოების ფართო მასშტაბით შესყიდვას, ამას, გარდა იმისა, რომ მოჰყვებოდა აქ სოფლის მეურნეობის აღორძინება, თვით ადგილობრივი ვაჭრები ჩაერთობოდნენ,

---

რუსეთიდან და უცხოეთიდან ამიერკავკასიაში კაპიტალების მოზიდვა და აქ დას. ევროპული ნაკეთობის საქონლის გავრცელება მიზნად უნდა ისახავდეს ამ საქონელზე მოთხოვნილების და საერთოდ კომერციული თაოსნობის განვითარებას, რისთვისაც: „იმპორტული საქონლის ქვეყნის შიგნით რეალიზაცია, ადგილობრივი ნაწარმის შესყიდვა გასატანად და აზიის სახელმწიფოებთან ურთიერთობა ყოველთვის უნდა რჩებოდეს ამიერკავკასიის აბორიგენთა საქმიანობის სფეროში, ხოლო შინაგანი ვაჭრობა კი ყველა სახელმწიფოში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჭინემ საგარეო" (Сб. газ. «Кавказ», ч. I, 1848, с. 15). ცხადია, ეს იდეა ნასაზრდოებია იმ მდგომარეობით, გამოცდილებით და ინტერესებით, რაც იმ დროს ადგილობრივი სომეხი ვაჭრების საქმიანობის სფეროს შეესაბამებოდა... ისინი, ჯერჯერობით, დას. ევროპასთან კომერციულ ურთიერთობაში უცხოელი ნეგოციანტების უპირატესობას აღიარებდნენ, რომელთაც და არც რუს ვაჭრებს, აქ საცალო ვაჭრობის პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდათ (АСКАК, X, № 207, с. 203 — 204).

[47] АСКАК, X, № 207, с. 203 — 204.

[48] იქვე.

რ:ოგორც შემსყიდველები და მომწოდებლები საშუამავლო ვაჭრობაში და ეს მათ, უკიდურეს შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სარფიანობით აიმედებდა. მაგრამ დეპოების ეს ოპერაციებიც უპერსპექტივო გამოდგა და ადგილობრივ ვაჭრებს ხსენებული იმედებიც გაუცრუვდათ.

1857 წელს არსდება «Московская компания для торговли с Азией». იგი გამოხატავდა მოსკოველ ვაჭართა მისწრაფებას ხელში ჩაეგდო მონოპოლიური მდგომარეობა რუსეთის იმპერიის მიმდებარე აზიის ქვეყნებთან ვაჭრობაში[49]. იმპერატორის მიერ დამტკიცებული ამ კომპანიის წესდების პირველ პარაგრაფში ვკითხულობთ: „ეს კომპანია არსდება მთავრობის მფარველობით კასპიის ზღვის მიღმა ირანთან და შუა აზიასთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებისათვის"[50].

ამ კომპანიის დამფუძნებელები იყვნენ მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭრები და საპატიო მოქალაქენი—ივანე ანანოვი, ევგრაფი მოლჩანოვი და პავლე მილიუტინი. იმავე 1857 წელს წარმოიშვა მეორე ანალოგიური კომპანია «Закавказское торговое товарищество», რომლის ინიციატორები იყვნენ მოსკოვის საპატიო მოქალაქე კოკორევი, სტატ. სოვეტნიკი ბარონ ტორნაუ და კოლეჟ. სოვეტნიკი ნოვოსელსკი. სულ მალე, მთავრობამ ორი ასეთი პარალელური კომპანიის არსებობა არამიზანშეწონილად მიიჩნია და მათ შორის მოსალოდნელი კონკურენციის აცილების მიზნით საბოლოოდ დასტოვა მხოლოდ უკანასკნელი — 2 მლნ. კაპიტალით[51].

საერთოდ, რუსეთსა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში უცხოური კაპიტალის მიზიდვის პოლიტიკის რეალიზაციის ასპექტში საინტერესოა 1866 წ. 6 დეკემბერს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული კონცესია: „ამიერკავკასიის მრეწველობის კომპანია". ეს კონცესია ეძლეოდა ბარონ ტორნაუს და მიასკოვსკის. კომპანია არსდებოდა 65 წლის ვადით, მისი ძირითადი კაპიტალი ისაზღვრებოდა 12,5 მლნ მან., ხოლო მიზნებში გათვალისწინებული იყო: სარწყავი არხების გაყვანა, მარცვლეულისა და ბამბის კულტურების გავრცელება, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისათვის ფაბრიკებისა და ქარხნების აშენება — ადგილობრივ

---

[49] М. Феодоров, Соперничество торговых интересов на Востоке, 1903, СПБ.

[50] ЛОЦИА, ф. КК, 1857, д. № 256.

[51] იქვე, ფურც. 61 — 64.

სოფლისმეურნეობრივ და მინერალური ნედლეულის ბაზაზე, ბაზრების შექმნა და გაფართოება, კოლონიზაციის გაძლიერება[52].

ეს იქნებოდა «Англо-Русская промышленная компания в Закавказье», რომელიც ითვალისწინებდა ინგლისური და თვით ამერიკული კაპიტალის მოზიდვას. მაგრამ ფართო მასშტაბით ჩაფიქრებული „დიდი კომპანია“, რომლის ორგანიზაციას ჩვეულებრივ თან ახლდა ქრთამები, კორუპცია და სხვ... ბოლოს საპნის ბუშტივით გაქრა. ტორნაუმ ოპერაციების პრაქტიკულად დაწყების ვადა მრავალგზის დაარღვია... იმპერატორმა უკანასკნელად 1873 წელს დაამტკიცა მის მიერ წარმოდგენილი ახალი პროექტი..., მაგრამ რამდენადმე მნიშვნელოვანი კაპიტალების არამქონე ინიციატორთა აგიტაციამ საბოლოოდ ვერ გაჭრა, ინგლისელი კაპიტალისტები თავს იკავებდნენ... წამოწყება არასაიმედოდ მიაჩნდათ და ასეთიც აღმოჩნდა[53]...

---

[52] ЛОЦИА, ф. КК, 1866 — 1873, д. № 92, лл. 15 — 19.

[53] იქვე, ფურც. 65.

VIII. ვაჭართა კლასის ფორმირებისათვის

1. ვაჭართა წოდების ევოლუცია

გაცვლისა და საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების ევოლუციის თანმიმდევრული საფეხურების დეტალური გაშუქება დიდ შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ საზოგადოების წოდებრივი, კლასობრივი სტრუქტურა, რაც საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს აზრსა და მიზანს წარმოადგენს; — რამდენადაც, საბოლოოდ, ის უნდა დაგვეხმაროს, რათა თვალნათლივ წარმოვაჩინოთ საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი მექანიზმი და, მაშასადამე, ის გზაც, რომელზედაც შემდგარია ეს ცხოვრება; — სახელდობრ უჩვენოთ თუ საითკენ, როგორ, რა ტემპით მიდის და რა ცვლილებების, რა სიახლეთა მომასწავებელია აღებული სადემარკაციო მიმართულება.

აქ ჩვენ ახლა განვიხილავთ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ახალი კლასის, კერძოდ ვაჭართა კლასის ევოლუციის საკითხებს, სახელდობრ ვაჭართა წოდების ვაჭართა კლასად გადაქცევის ზოგიერთ ძირითად მომენტს.

როგორც საერთოდ, ასევე ამიერკავკასიაში ვაჭართა წოდება გამოეყოფა თვით ქალაქისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებასთან ერთად. აქ ჯერ კიდევ ანტიკურ ქალაქებში, მაგალითად, საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში ვაჭართა და ხელოსანთა წოდების არსებობა დასტურდება ლიტერატურული დოკუმენტებით.

შუასაუკუნეობრივ ქალაქებში, მაგალითად, თბილისს, ყარსს, ანისს, ბარდასა და სხვ., უკვე საქმე გვაქვს ქალაქისა და თვით სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ვაჭართა წოდებასთან[1]. კიდევ მეტი. ამ ეპოქაში, მაგალითად მე-11—13 სს.

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, II, ტფ., 1929; მისივე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III — IV, თბ., 1962.

აქ მოქმედებენ ვაჭართა ძლიერი კორპორაციები (ასოციაციები), რომელთაც ხელთ უპყრიათ ქვეყნის კომერციული თაოსნობის საქმეები და რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი და, საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რთულ და დიდ საქმეებშიც[2].

ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში ვაჭართა წოდება პრივილეგიური საზოგადოების ქვემო საფეხურზე იდგა. ფეოდალური არისტოკრატია მას ზემოდან და ქედმაღლურად დაჰყურებდა, ამ ზედაფენას ვაჭრობა საერთოდ სათაკილო საქმიანობად მიაჩნდა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოების ბრწყინვალე წოდების თვალსაზრისით ვაჭრები ჯაბანნი და „ომისაცა უმეცარნი“ არიან. მეომრობა კი, როგორც ცნობილია, ყველაზე სავაჟკაცო და, მაშასადამე, საპატიო საქმედ ითვლებოდა.

ვაჭრები მოქალაქეებად, ე. ი. უპირატესად ქალაქთა მცხოვრებლებად ითვლებიან. მოქალაქე არსებითად იგივე ვაჭარია. ფრიდონისაგან მომავალი ავთანდილის სანახავად „მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ ჰყიდდა, თუ ხილსა“[3]. მოქალაქენი იგივე ქალაქის ერია. გულანშაროს, ზღვისპირა სავაჭრო ქალაქში ჩასული ავთანდილის საპვრეტად „შემოკრფეს ქალაქისა ერნი სრულად“[4]. „ქალაქის ერნი“, ცხადია, იგივე „სავაჭრო ერია“, ფეოდალური ეპოქის იგივე „ბიურგერი“ და „ბურჟუაა“.

ცხადია, ვაჭართა წოდება თავის შიგნით იყოფოდა ფენებად. ზედაფენას ქმნიდნენ „დიდ ვაჭარნი“, რომლებიც ბითუმად და უპირატესად უცხო ქვეყნებთან საქარავნო ვაჭრობას, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს ეწეოდნენ. ეს ზედაფენა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც. ისინი დაახლოებულნი იყვნენ მეფის კართანაც და ხშირად ამა თუ იმ სახით მონაწილეობდნენ სასახლის ინტრიგებშიაც; — გამოდიოდნენ როგორც მეფემთავართა ელჩები, მრჩევლები, საზოგადოებრივ მშენებლობათა

---

[2] იხ. პ. გუგუშვილი, ნარკვევები შუასაუკუნეებრივი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიიდან. I, საკრედიტო ასოციაციების ისტორიისათვის (ეკონ. ინსტ. შრომები, ტ. VI, გვ. 305 — 336).

[3] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი 1937, ტფ., გვ. 212, სტრ. 1021/2.

[4] იქვე, გვ. 222, სტრ. 1075/1.

(ციხე-სიმაგრეთა, გზების, ხიდების, ეკლესიების და სხვ.), საბაჟოებისა და სახელმწიფოებრივ შემოსავალთა სხვადასხვა წყაროების (გადასახადების, ხარკების აკრების), სავაჭრო მონოპოლიების და სხვ. მეიჯარეები თუ გამომსყიდველნი[5].

მართებულია, ვფიქრობ, რომ თავის ქალაქში დაბრუნებული ავთანდილის სანახავად მოსული „ყოველი მის ქალაქისა კრებული“[6] — უნდა იყოს ქალაქის ბერთაგან შემდგარი ქალაქის მეთაურთა ჯგუფი, რამდენადაც „კრებული“ ბერძ. „სინედრიონ“ და გერმანულ „რატ“-ს უნდა უდრიდეს და საბჭოს, სათათბიროს უნდა აღნიშნავდეს, საბჭოს, სადაც, ცხადია, საპატიო ადგილი ეჭირათ დიდვაჭრებს.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დას. ევროპის ხალხთა უმრავლესობის ეკონომიკურ ცხოვრებაში რენესანსის ეპოქა კაპიტალიზმის გენეზისის ელემენტების სახით ვლინდებოდა და მსოფლიო ისტორიაში ახალი, უფრო მაღალი ცივილიზაციის მაუწყებელი ნიშნები ისახებოდა, ამიერკავკასიის ხალხებს ჭონგოლთა განმანადგურებელი შემოსევები და მერმე კიდევ, მთელი საუკუნეების მანძილზე, თურქთა, სპარსელთა და სხვ. განუწყვეტელი თავდასხმები, ლაშქრობანი, ძარცვანი და წარტყვევნანი და მათ მოყოლილი გაუთავებელი შინაგანი ომები, ნგრევა და თარეშები უნდა აეტანა.

ამ ეპოქაში სახალხომეურნეობრივი და, მაშასადამე, კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება-გამოცოცხლების პერიოდები ხანმოკლე და ხშირად ეპიზოდური იყო და ახლად ჩასახულ-აღმოცენებული კომერციული თაოსნობა და დაგროვების ტენდენციები ისევ და ისევ იშლებოდა და, ამ მხრივ, ახალი აღორძინებისათვის ყოველივე ყოველთვის თითქმის თავიდან უნდა დაწყებულიყო.

ისიც საოცარია, თუ როგორ შეძლეს ამ ხალხებმა მეტ-ნაკლები ზომით შეენარჩუნებინათ სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური წარმოების საუკუნეებრივად განვითარებული ჩვევები და ტრადიციები და გადაეცათ ის თაობიდან თაობამდე, რათა ეს მიღწევები ხელსაყრელ პირობებში ახალ აღორძინებას ღირსებოდნენ.

რუსეთთან შეერთების ხანებში საქართველოსა და ამიერკავკასიის შინაგან და საგარეო საქონელბრუნვაში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იყვნენ რამდენადმე მნიშვნელოვანი

---

[5] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შ. რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის (სოციოლოგიური ეტიუდები, 1971, ტ. II, გვ. 370 — 400).

[6] ვეფხისტყაოსანი, სტრ. 676/2.

შეძლების მქონე ვაჭრები. ვაჭართა წოდება აქ საესებით გარკვეული, ფეოდალურ ურთიერთობათა შესაბამისი კანონმდებლობით მოწესრიგებული უფლებებით სარგებლობდა კომერციული თავისნობისა და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში.

ვახტანგ VI კანონების მიხედვით დიდებული დიდვაჭარი მოქალაქე თავისი წოდებრივი მდგომარეობით „ზუა აზნაურის" ტოლი იყო, ე. ი. მისი სისხლი იმდენივე ფასობდა, რამდენიც მეორე ხარისხის აზნაურისა; ამ თვალსაზრისით მეორე კატეგორიის ვაჭარი ეტოლებოდა ცალმოგვის, ანუ მესამე ხარისხის აზნაურს, მესამე კატეგორიის ვაჭარი — მსახურს, ხოლო მეოთხე კატეგორიის, ე. ი. წვრილი ვაჭარი კი — გლეხკაცს[7].

ქალაქელი დიდვაჭრები ზოგან კორპორაციულ გაერთიანებებს ადგენდნენ და ამგვარად თუ ცალკეულად ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ თვით მეფე-მთავართა და მსხვილ ფეოდალთა კარზე; — გამოდიოდნენ მათი არა მხოლოდ კომერციულ აგენტებად, არამედ ასრულებდნენ აგრეთვე პოლიტიკურ, დიპლომატიურ დავალებებს, და, ამგვარად, მსხვილი იჯარების ხელში ჩაგდებით, ფულების სესხებით, მეფეთა და ხანიორთა დავალიანების მეოხებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე.

მე-18 ს. მიწურულისათვის, მაგალითად, თბილისელ ვაჭრებს საკმაოდ მოწესრიგებული კომერციული კავშირები ჰქონდათ როგორც რუსეთის, აგრეთვე ირან-თურქეთისა და თვით ინდოეთის მსხვილ ქალაქებთან. ასე რომ, საგარეო ვაჭრობაც. თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენდა აქ ვაჭართა წოდებრივი მდგომარეობის ფორმირებაში.

მდგომარეობა არსებითად უნდა შეცვლილიყო მე-19 ს. დასაწყისიდანვე, მას მერმე, რაც აქ გაბატონდა რუსული სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია...

რუსეთში ქალაქის მცხოვრებნი ოდითგანვე იწოდებოდნენ „მოქალაქეებად" (граждане), ხოლო სოფლისა—სოფლელებად (поселяне—გლეხებად). მე-17 ს. ასეთი წოდებულება გატარდა კანონმდებლობაშიაც. მაგრამ შემდეგში თვითმპყრობელობის ბურჯებს მოეჩვენათ, რომ ტერმ. „მოქალაქე" დიდი ნებიერობის გამომხატველია და 1785 წ. საქალაქო დებულებით სრულუფლებიან მოქალაქეებს მიენიჭათ «городские обыватели»-ს წოდება, რაც ძალაში დარ-

---

[7] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, 1955, თბ., გვ. 58, მუხ 31 და 32.

ჩა სიუკუნის მანძილზე, თუმცა ქალაქელები თავიანთ თავს მერმეც სულ იხსენიებენ როგორც „მოქალაქეებს“. ოფიციალური გაგებით ქალაქელ ობივატელთა (და მეშჩანთა — мещане) წოდებაში იმთავითვე შედიოდნენ ვაჭრები და ხელოსნები; მერმე საერთოდ ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული ფენები.

ვაჭართა წოდებრივი კორპორაციები (გილდიები) დას. ევროპის ქალაქებში მიზნად ისახავდა ვაჭართა ინტერესების დაცვას, — ფეოდალური იურისდიქციის, ხელოსნებისა (ამქრებისა) და გლეხების (სოფლის თემების) წინააღმდეგ, ბაზრებზე ვაჭართა მონოპოლიური მდგომარეობის განმტკიცებას და სხვა ქალაქთა ვაჭრების კონკურენციის აცილებას[8]. ვაჭართა კლასის ჩამოყალიბების, ე. ი. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შემდეგ გილდიები ჰკარგავენ წინანდელ მნიშვნელობას, თუმცა მაინც ინარჩუნებენ ზოგიერთ წოდებრივ პრივილეგიას, განსაკუთრებით ვაჭრობაში ჩართული გლეხების წინააღმდეგ.

ბატონყმური რუსეთის ვაჭართა გილდიების მოქმედებაში ეს უკანასკნელი (მონოპოლიის) მომენტი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, რამდენადაც იგი გამიზნული იყო, რათა შეეზღუდა გლეხების წასვლა მებატონური მამულებიდან. რუსეთის იმპერიაში როგორც საქალაქო მმართველობა, ასევე ვაჭართა კავშირები (გილდიები) წარმოიშვნენ უმთავრესად არა ქვემოდან, ე. ი. არა თვით საქალაქო ცხოვრების განვითარების საფუძველზე, თვით თავისუფალი მოსახლეობისაგან აღძრული ინტერესებისა და საერთოდ მოძრაობისა და მისწრაფებათა შესაბამისად, არამედ ზემოდან, ე. ი. საკუთრად ადმინისტრაციის ღონისძიებათა სახით[9]; რაც მიზნად ისახავდა მოეწესრიგებინა გაზომღებელი მოსახლეობის ცხოვრება და მისი ეკონომიკური თაოსნობა, ისე რომ ცარიზმის ადმინისტრაციისათვის უფრო ადვილი ყოფილიყო ამ მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა, მისგან ბეგარა-გამოსაღებთა და გადასახადების ამოქაჩვა, სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა, ხაზინის შემოსავალთა

---

[8] K. Hegel, Städte und Gilden, 1892; H. Gross, The Gild merchant, 1960; G. Umvin, The Gilds and companions of London, 1958.

[9] П. Рудченко, Исторический очерк обложения торговли и промыслов в России, 1893; И. Кулишер, История русской торговли до XIX в. включительно, 1923; М. Вебер, Город, 1923; П. Мельгунов, Очерки по истории русской торговли..., 1905; А. Штраух, Торговый капитал в Московском государстве, 1931; История торговли и промышленности в России, под ред. Спасского, 1910.

გადიდება, პრივილეგიურ წოდებათა — თავადაზნაურობის — ქონებრივ და პოლიტიკურ უპირატესობათა შენარჩუნება და განვითარება, რაც იმავდროულად თვითმპყრობელობის რეჟიმის უშიშროების განმტკიცებას მოასწავებდა.

ეტყობა, უმთავრესად ასეთმა ვითარებამ რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოიწვია ი. განის (1860), ი. დიტიატინის და სხვ. მეცნიერულად იმ მცდარი კონცეფციის გავრცელება, რომ განსხვავებით დას. ევროპული ქალაქისაგან, სადაც თვითმმართველობა „ხალხის მიერ განცდილი ცხოვრების შედეგად“ ყალიბდებოდა, რუსული ქალაქი წარმოადგენს მხოლოდღა „ხელისუფლების ადმინისტრაციულ დაწესებულებას“, ანდა თითქოს აქაური ქალაქის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა რეგლამენტაციებისა და უმაღლესი ხელისუფლების მიერ „ვაჭარ-მრეწველი მოსახლეობის გარდაქმნის რეორგანიზაციის ისტორია“ და რომ აქ ქალაქებს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდათ საერთოდ ქვეყნის ცხოვრებაში და ეს შეხედულება თითქმის გაბატონებული იყო მთელი მე-19 ს. განმავლობაში[10].

ცხადია, ცარიზმის ადმინისტრაციაც საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეტ-ნაკლები შესაძლებლობით ცხოვრებაში ახორციელებდა იმ იდეებს, რისი მატარებელიც იგი იყო თავისი მდგომარეობითა და განათლებულობით.

მიუხედავად ბარიერებისა, ვაჭრობა, ცხადია, ვითარდებოდა და თანდათანობით ვაჭართა წოდება, ხოლო მერმე, მე-18 საუკუნიდან, ვაჭართა კლასი ყალიბდება როგორც ძლიერი ძალა, რომელიც თავისი გილდიური ორგანიზაციით აღწევს სრულ ბატონობას ბაზარზე[11], იმ ზომამდე, რომ თვით თავადაზნაურობა იზღუდება ვაჭრობის სფეროში... და ისიც მოხდა, რომ 1790 წ. ბრძანებულებით აზნაურობა გაირიცხა გილდიებიდან[12] და მათ უფლება ჰქონდათ ევაჭრათ მხოლოდ იმ პროდუქტებით, რაც მათს სოფლებში (მამულებ-

---

[10] М. Мулов, Историческое обозрение правительственных мер по устройству городского общественного управления, 1864; И. Дитятин, Устройство и управление городов России, тт. I — II, 1875 — 1877; А. Кизсветер, Городовое положение Экатерины II, 1785 г., 1909; В. Яковцевский, Купеческий капитал в феодально-крепостнической России, 1953; П. Рындзюнский, Городское гражданство дореформенной России, 1958.

[11] В. Яковцевский, назв. соч., с. 48 — 57.

[12] I ПСЗРИ, т. XXIII, № 16914, с. 181.

ში) და მათი გლეხების მიერ იწარმოებოდა. ასე რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. იაკოვცევსკი, „ვაჭრებს ჰქონდათ ვაჭრობის განსაკუთრებული უფლება“[13].

***

თბილისელი მოქალაქენი, იმის მიხედვით თუ ვის ეკუთვნოდნენ, ე. ი. სენიორული დამოკიდებულების (პოლიტიკური მდგომარეობის) კვალობაზე ცარიზმის ბიუროკრატიის ოფიციალური ცნობით იყოფოდნენ: სამეფო (სახელმწიფო), სადედოფლო, საეკლესიო მოქალაქეებად... ესენი იყვნენ უმთავრესად ვაჭრები და ხელოსნები. ამ გაგებით ტერმინი მ ო ქ ა ლ ა ქ ე მარტოოდენ ქალაქელს (ქალაქში მცხოვრებს) არ ნიშნავდა: იგი ადამიანის წოდებრივ მდგომარეობას უჩვენებდა. მოქალაქეს ჩვეულებრივ ქალაქში ჰქონდა სახლკარი, ეკუთვნოდა უძრავ-მოძრავი ქონება; იგი უმთავრესად ვაჭარი, მეიჯარე, ხელოსანი იყო და იბეგრებოდა გარკვეული გადასახდელებით.

მოქალაქენი ქონებრივი შეძლებულობის (ეკონომიკური მდგომარეობის) მიხედვით იყოფოდნენ: 1. პირველხარისხოვან (საპატიო) მოქალაქეებად, რაც ვახტანგ VI „სამართლის წიგნში“ იხსენიება „დიდებულ დიდ-ვაჭარ მოქალაქედ“[14]. ზოგიერთ მათგანს, განსაკუთრებული დამსახურებისა და, მაშასადამე, დიდი ქონების (კაპიტალის) მფლობელობის საფუძველზე მეფე ანიჭებდა აზნაურობის წოდებასაც. ესენი სხვებზე მეტ გამოსაღებს იხდიდნენ მეფის სასარგებლოდ და თავისუფალნი იყვნენ ფიზიკური სასჯელისაგან: და 2. მოქალაქეებად, რომელთა რიგებში ირიცხებოდნენ დანარჩენი ვაჭრები, მევახშეები და მეიჯარადრეები, აგრეთვე სხვადასხვა ხელობის ოსტატები.

როგორც ითქვა, ვახტანგ VI თავის „სამართლის წიგნში“ სისხლის სამართლის ასპექტში („თუ რასაც ფერს სისხლში, რომელს გვარს და რა რიგ კაცს რას საქონლიდამ მიეცემის“, § 17) ვაჭართა ოთხ კატეგორიას ასხვავებს: „დიდვაჭარს“, მის შერმე „მცირეს“, შემდეგ „შუა ვაჭარს“ და ბოლოს „მეოთხეს—ვაჭრის სისხლს“[15]. ეს დაყოფა, ცხადია, ამ ვაჭართა უძრავ-მოძრავი ქონების სიდიდეზეა

---

[13] В. Я к о в ц е в с к и й, назв. соч., с. 44.

[14] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, გვ. 58, § 30.

[15] იქვე, გვ. 54.

დამოკიდებული. საგრამ მე-19 საუკუნიდან ვაჭართა ამგვარი დაყოფა მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ურთიერთობათა ასპექტში პრაქტიკულად თითქმის არ გამოიყენებოდა. მით უფრო, რომ საერთოდ კომერციული საქმეები და ოპერაციები ამ დროიდან სულ უფრო მეტად ეწყობოდა შესაბამისი რუსული კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვალობაზე.

ვაჭართა წოდებრივი და უფლებრივი მდგომარეობის, მათი თანასწორობის, მესარეწეობის ეკონომიკური და პოლიტიკური ფარგლების მოწესრიგებისა და ხელისუფლების ორგანოებთან ყველა ამ ასპექტში მათი დამოკიდებულების საკითხთა გარკვევის აუცილებლობა აქ ახალი რეჟიმის დამყარების პირველსავე დღიდან წარმოიშვა.

1802 წ. თბილისელმა მოქალაქეებმა არზა მიართვეს გენ. კ. კნორინგს, საქართველოს პირველ მთავარსარდალს, რათა მათ დაუმტკიცონ პრივილეგიები და უპირატესობანი, რაც ქართველი მეფეების დროს ჰქონდათ. ამ არზაზე პუნქტობრივი პასუხი გასცა პ. კოვალენსკიმ, საქართველოს მმართველმა.

ამ დოკუმენტის შინაარსი ასეთია;

1. არზა: ვახტანგ მეფის მიერ ჩვენთვის ბოძებული პრივილეგიის ჩვენი პატივი და უპირატესობანი ეთანაბრებოდა აზნაურობისას და, როგორც ესენი, იყოფოდა სამ ხარისხად, ჩვენ გვქონდა უძრავი ქონებისა და ასევე ყმათა ფლობისა და ყიდვის უფლება;

პასუხი: 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველოს ყველა მდგომარეობის ხალხებს მინიჭებული აქვთ მთელი მათი ქონებრივი უფლება და უპირატესობანი. მაშასადამე, თბილისელ მოქალაქეებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ მათი უპირატესობებით.

2. არზა: ჩვენ თავისუფალი ვიყავით პირადი სამსახურისგან თვით ომის დროსაც კი, თუ თვითონ ამას არ მოვისურვებდით.

პასუხი: ეს ძველებურადვე ძალაში დარჩება.

3. არზა: ჩვენს შორის სამოქალაქო საქმეებზე სადავო საკითხებს ჩვენვე ვიხილავდით ჩვენი ძველი ადათების მიხედვით, ამიტომ გთხოვთ, რაც აქ საჭიროა შეავსოთ საგანგებო დადგენილებით, და ჩვენ შეგვინარჩუნოთ უფლება გვქონდეს ცალკე სასამართლო, რომლის წევრებს ჩვენი საზოგადოება აირჩევს და დაამტკიცებს მთავარმართებლობა. ამასთანავე ამ სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილოს ჰქონდეს უფლება შეიტანოს აპელაცია საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციაში. სისხლის სამართლის საქმეებში კი ჩვენ ვემორჩილებოდით საქართველოს საერთო კანონმდებლობას, აზნაურობის უპირატესობათა ფარგლებში;

პასუხი: განზრახულია თბილისში დაწესდეს მაგისტრატი[16], ადგილობრივ მოქალაქეთაგან, რომლებიც, როგორც წესი, გაითვალისწინებენ თქვენს კანონიერ პრივილეგიებს.

---

[16] სინამდვილეში არ დაწესებულა—პ. ბ.

4. არზა: ჩვენ მეფის ხაზინის სასარგებლოდ ვიხდიდით გამოსაღებს. ცოლიანი 1 მან და 20 კაპ., უცოლო 60 კაპ. ამას გარდა, მთელი ჩვენი საზოგადოება ყოველწლიურად იხდიდა 4000 მან., მახტის სახელწოდებით. მაგრამ სპარსელთა შემოსევის (1795) დროიდან გაჩანაგებულნი ვართ, ვაჭრობა და მესარეწეობა ძლიერ დაცემულია, თვით მოსახლეობის ნაწილი წარტყვეულია, რომელთა ეამოსყიდვაზე დიდი ფულები გვეხარჯება, თანაც მოსახლეობა მიმოფანტულია და სხვ., რის გამოც გთხოვთ ხსენებული გამოსაღები მდგომარეობის გამოსწორებამდე მოგვიხსნათ;

პასუხი: ცნობილია, რომ გიორგი მეფის დროს თბილისელ მოქალაქეთაგან ხაზინა ღებულობდა 10 000 მანეთამდე... ყოველი მოქალაქე ვალდებულია იკისროს გარკვეული ბეგარა როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებისათვის. თბილისელმა მოქალაქეებმა შეძლებისამებრ უნდა იხადონ მახტა და, აგრეთვე, სულობრივი მოსაკრებელი მთლიანად.

5. არზა: სხვადასხვა ადგილიდან მოტანილ სხვადასხვა საქონელზე სხვადასხვა სახელწოდების ბაჟი, გარდა ხაზინისა, აიკრიფება კიდევ კერძო პირთა სასარგებლოდ, რაც ავიწროებს და აბრკოლებს ვაჭრობას და რასაც უნდა მიექცეს ყურადღება;

პასუხი: რამდენადაც ხელისუფლება საქართველოს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს, ცხადია, სბაჟო საფასურების საკითხიც იქნება მოწესრიგებული.

6. არზა: რუსეთის სახელმწიფო ჩინოსანთა ჩვენს სახლებში მდგმურებათ ჩასახლება, ერთი მხრით, უკიდურესად ავიწროებს ჩვენს, საკუთარ, ისედაც გაჩანაგებულ ცხოვრებას; ხოლო, მეორე მხრით, აუტანელია ჩვენი ყოფიერებისა და ჩვეულებათა განსხვავებულობის გამო, რისთვისაც ვბედავთ გთხოვოთ, რომ გაგვათავისუფლოთ ამისაგან, რათა ჩვენ საესებით არ გავნადგურდეთ, ხოლო მანამდე ქალაქ თბილისის სახლებში ჩაყენება, ამ ბეგარის ჩვენთვის შემსუბუქების მიზნით, დაეკისროს ყველა აქ მცხოვრებთ, გამონაკლისს გარეშე, განურჩეელად მათი მდგომარეობისა და წოდებისა;

პასუხი: ობივატელი (ადგილობრივი მცხოვრები) ყველა ვალდებულია მისცეს ბინა სამხედრო ჩინოსანთა ჩასასახლებლად, მიუხედავად ამისა, აქაც შეიძლება ზოგიერთების განთავისუფლება; ამასთანავე ქვეყნიდან შემოსავალი საკმარისი რომ იყოს, მაშინ შეიძლებოდა ჯარისათვის ყაზარმების აშენება.

7. არზა: ჩვენ მოწოდებული ვართ ყოველმხრივ ხელს ეუწყობდეთ ვაჭრობის, ხელოსნობის და ხელსაქმეთა გაერცელებას, მაგრამ ჩვენს მიერ განცდილი გაჩანაგებისა გამო ვბედავთ ვთხოვოთ, რათა იმპერატორმა, საერთო პასუხისმგებლობის საფუძველზე, სესხის სახით საკმაო თანხა (ფული) გამოგვიყოს, ანალოგიურად იმისა, როგორც მიეცა ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც გადასახლდნენ რუსეთში;

პასუხი: ამაზე პასუხის გაცემა მით უფრო არ შემიძლია, რომ ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია აქაურ მოქალაქეთა შეძლება (ქონებრივი მდგომარეობა).

8. არზა: რუსეთთან შეერთების მანიფესტისათვის მადლობის გამოსაცხადებლად თავადაზნაურთაგან იმპერატორთან გასაგზავნ დელეგაციასთან ერთად წავიდეს მოქალაქეთა წარმომადგენელიც.

პასუხი: როდესაც დეპუტატების გაგზავნის ნებართვაც პეტერბურგიდან მო-

ვა, ეს საკითხი მაშინ გადაწყდება... (მეფემ არ დაამტკიცა იმ დელეგაციის მიღება, რადგან ეს ამ ხალხს დიდ ხარჯად დაუჯდებაო — ა. გ.)[17].

1810 წ. 2 თებერვლის მანიფესტის საქართველოში რეალიზაციის საკითხთან დაკავშირებით სახაზინო ექსპედიცია იმავე წლის 28 თებერვალს გენ. ა. ტორმასოვს, საქართველოს მთავარსარდალს, სწერდა, რომ საქართველოში მესარეწე მეშჩანებისათვის გამოსაღებთა ნავარაუდევი გადიდება მოუხერხებელია იმიტომ, რომ „საქართველოში ქალაქის ობივატელები თავიანთი შეძლებისა და მესარეწეობის მიხედვით არ არიან დაყოფილი და ირიცხებიან მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა საერთო სახელწოდებით, განურჩევლად იმისა, არიან ისინი ვაჭრები, მრეწველები (მეიჯარენი) თუ ხელოსნები“. ასევე შეუძლებელია გამოსაღებთა ცალკე გაწერა მოვაჭრე გლეხებზე, რამდენადაც აქაურ ქალაქებში ჯერ კიდევ არაა შემოღებული (დაწესებული) ის პრივილეგიები, რაც რუსეთის ქალაქებს ამ მხრივ აქვთ სოფლებთან შედარებით[18].

ამ დროს თბილისში, ოფიციალური ცნობით, ირიცხებოდა 600-მდე მოქალაქე (ე. ი. პირადად თავისუფალი) — ვაჭარი და ხელოსანი; 4000-მდე საბატონო და სახელმწიფო გლეხი (ყმა), რომლებიც ეწეოდნენ ვაჭრობას და ხელოსნობას; სხვადასხვა დროს ერევნის სახანოდან მოსული 1000-მდე სომეხი, რომლებიც აგრეთვე ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ, სულ დაახლოებით 5800 სული[19]. აქ არ შედის სახელმწიფო ბიუროკრატია, არც ფეოდალური არისტოკრატია, როგორც არა გამომღებელი წოდება, და სამხედრო ნაწილები.

თბილისის ეს მოსახლეობა, გარდა გამოსაღებისა, საქალაქო მმართველობის ხარჯების დასაფარავად იხდიდა საერობო და კიდევ სხვადასხვა მოსაკრებელს, რომლის რაოდენობა და პერიოდულობა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული არ იყო. რუსეთთან შეერთებამდე ამ გადასახდელებისაგან თავისუფალნი იყვნენ სტუმრები (უცხოეთის ქვეშევრდომი), ვაჭრები და ხელოსნები, მაგრამ თუ ისინი აქ სამ წელიწადზე მეტხანს დარჩებოდნენ, — იბეგრებოდნენ ჩვეულებრივი წესით. 1816 წელს გენ. რტიშჩევმა ეს შეღავათი გაავრცელა ერევნის სახანოდან გადმოსულ ვაჭრებსა და ხელოსნებზე[20].

[17] АСКАК, I, № 593, сс. 492—493.
[18] იქვე, ტ. IV, № 34, გვ. 35—36.
[19] იქვე, IV, № 37, გვ. 36—39.
[20] იქვე, V, № 323, გვ. 262—263.

1812 წ. საქართველოს გუბერნიის მმართველმა გენ.-მ. ახვერდოვმა წამოაყენა მოსაზრება, აქ ვაჭრობის განვითარების წაქეზების მიზნით „ყველა მდგომარეობის კაცს შეეძლოს თავისუფალი ვაჭრობა". ხოლო გენ. მარკიზ ფ. პაულუჩი (საქართველოს ^ თავარსარდალი) იმ აზრისა იყო, რომ: 1. უფრო შეძლებული თბილისელი ვაჭრებისათვის მიენიჭებინათ აზნაურობის წოდება და პრივილეგიები; 2. მეორეხარისხოვანთათვის — მოქალაქის უფლებები; 3. მეწვრილმანე ვაჭრებისათვის — მეშჩანთა უფლებები...

ასეთი პროექტები და მოსაზრებანი ბიუროკრატიის ერთი თაობიდან მეორეს გადაცემოდა, როგორც თავისებური „ნედლი მასალა", რაც შემდეგ კიდევ უნდა „დამუშავებულიყო", სანამ საკითხი საბოლოოდ, კანონის მიღების სახით, არ გადაიჭრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში თბილისში ბევრი იყო წვრილი, როგორც იტყვიან, „ზომაზე წვრილი" ვაჭარი, რომელთა მთელი შეძლება ხშირად ხუთიოდე მანეთს არ აღემატებოდა. ამათში იყვნენ უმთავრესად სომხები და საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გამოქცეული ქართველი გლეხები, რომლებიც უფრო მეტად დღიურ ქირაზე ცხოვრობდნენ; რომელთაც ზოგჯერ ახლობელი ტყეებიდან ზურგით შემოჰქონდათ შეშა, ნახშირი, სოკო..., და რომელნიც ვაჭრობდნენ... „საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით"; რომლებიც დღეს შავი მუშები იყვნენ, ხვალ ვაჭრები, ზეგ ხელოსნები და, ამგვარად, ფრიად მობილური საზოგადოებრივი სტატუსის ადამიანებს წარმოადგენენ; რომელთაც, მომრავლებულ მათხოვრებთან ერთად, ადმინისტრაცია, დრო და დრო, საერთოდ ქალაქიდან გასახლებითაც კი ემუქრებოდა...

***

მე-19 ს. დამდეგს, ე. ი. ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში, დიდი პოლიტიკური ძვრების პირობებში, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობის ვითარებაში, ვაჭართა ცხოვრებაშიაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ი ს ძ ი ე ბ ა შ ი ვლინდებოდა.

გასაგები მიზეზებისა გამო ახალ მართველობასთან, ცარიზმის ბიუროკრატიასთან საერთო ენას, ფეოდალური საზოგადოების ყველა წოდებათაგან ყველაზე ადრე და ადვილად, უპირატესად ვა-

ჭართა წოდება გამონახავს. კიდევ მეტი. იგი ცდილობს ითამაშოს ერთგვარი შუამავლის როლი აქ შემოქრილ თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივ აპარატსა და საერთოდ ადგილობრივ მოსახლეობას შორის და, ამ მიმართულებით, თვით თარჯიმნობის მეოხებითაც, უნდა ითქვას, დიდ წარმატებასაც აღწევს, რაც საბოლოო ანგარიშში, რა თქმა უნდა, კომერციულ წარმატებებში აისახებოდა და მით უფრო მკვეთრად და სწრაფად, რაც უფრო მალე გაიშლებოდა აქ მოსახლეობის ძირითადი მასების, ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა კოლონიური ძარცვისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა ხერხები და მაქინაციები, რაშიც ცარიზმის სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეებს ყოველთვის გვერდს უმშვენებდნენ წვრილი და მსხვილი ვაჭრები, შუამავლები, მეიჯარადრენი[21].

ვაჭართა წოდება, უწინარეს, ცხადია, მათი ყველაზე დაწინაურებული ფენა, დიდვაჭრები ყოველი ღონით ცდილობენ შეაღწიონ და გაშინაურდნენ ახალ სახელმწიფოებრივ აპარატში, მოიპოვონ აქ სხვადასხვა სამსახურებრივი თანამდებობანი და, მაშასადამე, პატივი და ჯილდოები.

აქ უნდა მოვიყვანოთ ერთი ამ მხრივ უაღრესად ნიშანდობლივი ფაქტი.

1815 წელს გენ.-მაიორმა სიმონოვიჩმა კავკასიის ჯარების მთავარსარდალს ინფანტერიის გენერალს ნ. რტიშჩევს სთხოვა, რათა საქართველოს საზოგადოებრივი საგანგიოს („პრიკაზის") წევრად შეეყვანათ ერთ-ერთი თბილისელი მოქალაქე დიდვაჭარი. საპასუხო წერილში გენ. რტიშჩევი აცხადებს:

„უნდა გაცნობოთ, რომ შეუსაბამო იქნებოდა მოქალაქე ესწრებოდეს ისეთ საპატიო კრებულს, სადაც მონაწილეობენ გუბერნიის უპირველესი ჩინოსნები, როგორც მათი წოდებისა და ღირსების, ასევე კაცობრიობაზე მათი მზრუნველობის გრძნობების (შეგნების) მიხედვით; ასეთ შემთხვევაში მოქალაქე (ე. ი. ვაჭარი — პ. გ.) შეიძლება გამოყენებულ იქნას პრიკაზის დაწესებულებათა საშინაო საქმეებში, როგორიც შეიძლება იყოს ბრძანებათა შემსრულებელი კომისიონერი ანუ მეთვალყურე და არა განმკარგულებელი. და ამ თანამდებობაზედაც შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ პატიოსანი და თანაც ისეთი შეძლების მოქალაქე, რომელსაც შეეძლება უზრუნველყოს დაკავებული ადგილი და ამას გარდა ეცდე-

---

[21] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს., მონოგრაფიები, ტ. 1, 1949.

ბა განამტკიცოს პრიკაზის საზოგადოებრივი მზრუნველობის დაწესებულებანი — ტანჯულ-ყამებულ ადამიანთა სარგებლობისათვის"[22].

ამგვარად, ისეთ „თავისუფალ" ორგანიზაციაშიც კი როგორიც იყო „პრიკაზი", — „საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო, — რომელიც „სანახევროდ მაინც" კომერციულ დაწესებულებას წარმოადგენდა[23], ხელისუფალმა დაუშვებლად მიიჩნია დიდვაჭრის, თბილისელი მოქალაქის, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიწვევა. ვაჭართა წოდებას, ე. წ. „მეშჩანობას" ოფიციალურ წრეებში ჯერ კიდევ არ თვლიდნენ იმდენად მომწიფებულ და გაკეთილშობილებულ ადამიანებად, რომელთაც ჰუმანური გრძნობებით ამოძრავებულთ შეეძლებოდათ საზოგადოებრივი საქმეებისათვის პატიოსან მზრუნველთა როლში გამოსვლა და მით უფრო გუბერნიის უპირველეს ჩინოსანთა შორის ღირსეულად თავის დაჭერა.

ჩვენ სხვაგან ნაჩვენები გვაქვს, რომ ბევრად უფრო ადრე, აღმოსავლური რენესანსის პერიოდის საქართველოში ვაჭართა წოდება, კერძოდ დიდვაჭრები, შეუდარებლად უფრო მეტი პატივისცემითა და პრესტიჟით სარგებლობდნენ საგვარეულო და სამხედრო არისტოკრატიულ წრეებში, ვიდრე ეს მე-19 ს. დასაწყისში კავკასიის ჯარების მთავარსარდალს გენ. ნ. რტიშჩევს მიაჩნდა შესაძლებლად.

ეს მომენტი ნათლად გვიჩვენებს საზოგადოებრივი განვითარების ორ სხვადასხვა გზაზე ჩამოყალიბებულ ორ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას — ფეოდალური არისტოკრატიისა და პლუტოკრატიის წარმომადგენელთა შორის.

„ვაჭრული მოგების სახით დაგროვილი მოძრავი სიმდიდრე" (კ. მარქსი) ყოველთვის „ყელზე ადგებოდა", ანდა როგორც პადაგ-

---

[22] დოკუმენტის ორიგინალში ეკითხულობთ; «Даю знать, что несовместно было-бы присутствовать гражданину или мокалаку в таком почетном месте, где заседают первейшие в губернии чины, как по званиям и достоинствам их, так и по чувствованиям о призрении человечества, и в сем случаемокалак или гражданин употреблен быть может по внутренности в заведениях Приказа, как-то быть комиссаром или смотрителем для исполнения приказаний, а не для распоряжения, да и в сии должности помещен должен быть гражданин честных правил и такого состояния, который бы мог занимаемое место обеспечить и с сверх того стараться для пользы страждущаго человечества поддержать заведения Приказа общественного призрения» (АСКАК, У, № 304, с. 249).

[23] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს., ტ. II, 244 — 264.

რა, ფეხს უშეშებდა უძრავი ქონების (სიმდიდრის) არისტოკრატიულ მფლობელს და მისი ძლიერების დიდმნიშვნელოვანი ნაწილის ეს უძრაობა შთააგონებდა მოძრავი სიმდიდრის მფლობელთა საქმიანობა—ვაჭრობა და თვით ხელოსნობაც —სამარცხვინო საქმიანობად მიეჩნია, ხოლო თვით ვაჭარი და ხელოსანი მისი მაღალი შთამომავლობითი გვარეულობის კეთილშობილებასთან შედარებით მდაბიოდ, ყმად, დაბალი ღირსებისა და საკაცობრიო იდეების მხრივ ნაკლებად სანდო ადამიანებად ჩაეთვალა[24].

ვაჭართა წოდების მიმართ სამხედრო-არისტოკრატიული დამოკიდებულება საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში მით უფრო უნდა დარჩენილიყო ძალაში, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში ვაჭრების ნაწილი ჯერ კიდევ ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. მაგალითად, ქუთათურ ვაჭართა შორის საკმაოდ იყვნენ თავადების ყმები. კიდევ მეტი. თავ. ზ. წერეთელი გენ. სიმონოვიჩისაგან მოითხოვდა, რათა მისთვის, როგორც ყმები, მიეცათ ის ვაჭრებიც-კი, რომლებიც წინათ არც მას და არც მისი გვარის სხვა წარმომადგენელს არასოდეს არ ეკუთვნოდა, როგორც ყმები[25].

2. ვაჭარ-მოქალაქეთა წოდებრივი უპირატესობანი

ამ მხრივ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს კერძოდ საეკლესიო-სამონასტრო ყმა-ვაჭართა მდგომარეობა. საქართველოში როგორც რუსეთთან შეერთებამდე, ისე მის მერმეც ქალაქებში, კერძოდ თბილისში მცხოვრები საეკლესიო გლეხები ეწეოდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას. ცარიზმის ხელისუფალთაგან უფლებრივად ისინი, როგორც „საეკლესიო მოქალაქენი“ (мокалаки церковные), ე. ი. საეკლესიო ვაჭრები გათანაბრებულნი იყვნენ სახაზინო (мокалаки казенные) მოქალაქეებთან (ე. ი. ქალაქელ ვაჭრებთან).

ეკლესიისადმი მთელი მათი დამოკიდებულება (ყმობა) გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი სასულიერო სენიორს აძლევდნენ „სანთლისა და ფულის გარკვეულ რაოდენობას“ (некоторое количество воска и денег). სხვა მხრივ ისინი თავისუფლად განაგებდნენ თავიანთ და მათი წინაპრების მიერ კეთილშენაძენ მამულებს და თავისუფლებით სარგებლობდნენ თავიანთ კომერციულ ოპერაციებში; აგირავებდნენ

[24] შეად. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.

[25] АСКАК, IV, № 481, с. 362.

ან ჰყიდდ-ენ საკუთარ უძრავ-მოძრავ ქონებას, სასულიერო უფროსთა ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

ქართული კანონები და ადათობრივი სამართალიც ამ მხრივ მათ სრულ თავისუფლებას აძლევდა. 1815 წ. რუსული ეკლესიის წარმომადგენელმა საეკლესიო ყმების მიერ ასეთი ოპერაციები ანუ „თვითნებური მოქმედება“ იუცხოვა, მაგრამ გენ. რტიშჩევმა მას განუმარტა, რომ „საქართველოში წინათ მიღებული და ამჟამადაც მოქმედი წესისამებრ люди церковного ведомства („კაცნი საეკლესიო უწყებისანი“) საკუთარ მამულებს ფლობენ თავიანთი შეხედულებისამებრ[26].

გენ. რტიშჩევის ამ მოსაზრებათა საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ 1816 წ. 8 ნოემბერს მიიღო დადგენილება: ვახტანგ მეფის სამართლის 160-ე მუხლის შესაბამისად აქაურ მოქალაქეებს ნება აქვთ მათ მიერ სყიდვის თუ სხვა საშუალებით შეძენილი მამული გაყიდონ ან დააგირაონ, გარდა იმისა, რაც მათ მიღებული აქვთ ეკლესიისაგან, ანდა ნაყიდი საეკლესიო ყმისაგან[27].

მაგრამ თურმე რუსეთის უწმინდესი სინოდის ყოფილმა ეგზარხოსმა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ, რომელიც მონდომებული იყო გაემრავლებინა საეკლესიო შემოსავალი და „ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა“, — როგორც ამას 1824 წ. 17 დეკემბრის თარიღით გაგზავნილ მიმართვაში გენ.-ლეიტ. ველიამინოვი ატყობინებდა საქართველოს ახალ ეგზარხოსს, — უკვე მოასწრო თბილისელი მოქალაქეებისაგან მიეღო ხელწერილი, რითაც ისინი ეკლესიის სასარგებლოდ კისრულობდნენ, ნაცვლად მცირეოდენი სანთლისა და ფულისა, შეეტანათ 300 მან. ვერცხ... მოქალაქეთა უსიტყვო მორჩილებამ განამტკიცა ეს ახალი გადასახდელი, წინააღმდეგ სიგელებისა, რომლებიც განსაზღვრავდნენ მათს ბეგარას.

ამას გარდა, ეგზარხოსის განკარგულებით მათ, მსგავსად საეკლესიო მიწებზე მოსახლე მიწის მუშა გლეხებისა, უფლება ერთმეოდათ თავისუფლად, ე. ი. საეკლესიო ხელისუფალთა ნებართვის გარეშე, გაეყიდათ, ან დაეგირავებინათ თავიანთი ადგილ-მამული.

---

[26] АСКАК, VI, с. 437.

[27] შეად. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, 1955, თბ., გვ. 90, — კარი ნასყიდობისა, მუხ. 160, და შემდ.; Сборник Законов... Вахтанга VI, 1887, с. 47 — — 48.

გენ.-ლეიტ. ველიამინოვი თვლიდა, რომ ამ ვაჭრებისათვის უნდა მიეცათ „თავიანთი კაპიტალების გამრავლების საშუალება, იმისათვის, რათა ეკლესიასაც უფრო უზრუნველყოფილი ჰქონდეს მისი კუთვნილი თანხის მიღება. მაგრამ ამის აუცილებელი საშუალება ვაჭრობაა, რასაც საეკლესიო მოქალაქენი წარმატებით ეწეოდნენ, მაგრამ ახლა იმათ ყოვლად გაუთვალისწინებელი ვითარებით, მათი კაპიტალების თავისუფალი მოძრაობის გზაზე გადაეღობათ ძლიერი დაბრკოლება, სახელდობრ:

საეკლესიო მოქალაქე-ვაჭრები ვალდებული გახადეს მათი საკუთარი ქონების დაგირავების ან გაყიდვის შემთხვევაში ამის ნება წინასწარ მიიღონ სასულიერო ხელისუფლებისაგან და მხოლოდ ამათგან მიღებული მოწმობის შემდეგ აფორმებენ მათი ოპერაციის აქტებს სახელმწიფო ორგანოები.

ვაჭრობაში ხშირად ერთ დღეს მოაქვს ვაჭრისათვის დიდი მოგება ან ზარალი. ხსენებული მოწმობების მიღებას კი დიდი დრო სჭირდება. აქ იბადება კითხვა: რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთ მოწმობას? საეკლესიო ქონების (საკუთრების) არც დაგირავება და არც გაყიდვა არ შეიძლება უმაღლესობის ნებართვის გარეშე. ხოლო თავისი საკუთარი ქონების განკარგულების უფლება ყველა ადამიანს გააჩნია. ამგვარად, პირველ შემთხვევაში ხსენებული მოწმობები კანონის საწინააღმდეგოა, ხოლო მეორეში — საჭირონი აღარ არიან[28].

ასეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილმა „საეკლესიო მოქალაქე-

---

[28] გენ.-ლეიტ. ველიამინოვის მიმართვის ორიგინალში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: «Надлежало-бы, кажется, людям сим (церковным мокалакам — П. Г.) дать более средств к умножению своих капиталов для того чтобы и церковь с большею верностью могла получить следующую ей сумму, а ближайшее средство к сему есть торговля, которую церковные мокалаки с успехом занимались, но по непостежимым расчетам поставлены сильные преграды к свободному обращению их капиталов, а именно: мокалаков церковных обязали, в случае надобности заложить или продать собственное их имущество, просить предварительно дозволения от духовной власти, которая выдает им свидетельства и тогда только присутственные места совершают акты. В торговле часто один день приносит много выгод или убытка купцу, выдача-же таковых свидетельств требует много времени. Тут рождается вопрос: какую цель могут иметь подобные свидетельства? Собственности церковной нельзя ни заложить, ни продать без Высочайшего разрешения, собственным-же своим имуществом распоряжаться всяк вправе; следовательно, в первом случае означенные свидетельства нарушили-бы законы, а во втором оказываются ненужными» (АСКАК, VI, с. 437—438).

ებმა“ სათანადო დოკუმენტები წარუდგინეს ადგილობრივ ხელისუფლებას, სახელდობრ გენ.-ლეიტ. ველიამინოვს. ამ საბუთებით მტკიცდებოდა, რომ მათ ადრიდგანვე ჰქონდათ უფლებები საკუთარი ადგილ-მამულის, საერთოდ უძრავ-მოძრავი ქონების თავიანთი სავაჭრო ოპერაციების საჭიროებისათვის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, საეკლესიო ხელისუფლება მაინც ჭირვეულობდა. ახალი ეგზარხოსი ცდილობდა ძველის მომგებიან გზას გაჰყოლოდა.

„თბილისელ საეკლესიო მოქალაქეთა“ მიერ წარდგენილი სიგელ-გუჯრებით ირკვეოდა, რომ, მიწის მუშა საეკლესიო გლეხებისაგან განსხვავებით, ისინი არ ცხოვრობდნენ საეკლესიო მიწებზე და რომ მთელი მათი უძრავი საკუთრება თვით მათ მიერაა შეძენილი; — რომ ისინი მსგავსად „სახაზინო მოქალაქეებისა“ იხდიან სახელმწიფო გამოსაღებს და სარგებლობენ სახაზინო მოქალაქეთა ყველა უფლებით.

1817 წ. მოსახლეობის კამერალური აღწერის დროს თბილისში მცხოვრებ „საეკლესიო მოქალაქეთა“ 27 კომლი აღრიცხული იყო, როგორც სრულუფლებიანი „სახელმწიფო მოქალაქენი“, რომლებიც, ცხადია, უფლებამოსილნი არიან თავისუფლად განაგებდნენ თავიანთ საკუთრებას.

ადგილობრივ საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფალთა შორის ამ გაჭიანურებულ დავასთან დაკავშირებით მათთვის ისიც გამოირკვა, რომ ქალაქებში — თელავს, სიღნაღს, გორსა და დუშეთს კიდევ ცხოვრობენ საეკლესიო უწყების კაცები და ისინიც, როგორც თბილისელი „საეკლესიო მოქალაქენი“, „სარგებლობენ რუსეთის ვაჭრებისათვის მინიჭებული უფლებებით და მიწათმოქმედთა კლასს არასოდეს არ ეკუთვნოდნენ“[29].

სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება დიდად იყო დაინტერესებული საეკლესიო გლეხთა ბედით, რადგან ეგზარხოსის პრეტენზიების ცხოვრებაში გატარებით ამ მხარის მესარეწეობა, რომლის „განვითარებას ყოველმხრივ ცდილობს და ხელს უწყობს მთავრობა“, ფრიად მნიშვნელოვანად დაზარალდება და საჭიროების გარეშე აიძულებს საეკლესიო მოქალაქეებს ხელი აიღონ ვაჭრობაზე, მხოლოდ და მხოლოდ იმის მიზეზით, რომ „ისინი კარგავენ უფლებებს სახელმწიფო მოქალაქეთა მსგავსად თავისუფლად განაგებდნენ თავიანთ საკუთრებას“[30].

---

[29] АСКАК, VI, с. 438.

[30] იქვე, გვ. 439.

მართალია, ეკლესიის საკეთმპყრობელი მალე იძულებული შეიქნა უკან დაეხია და, ბოლოს... საერთოდ, საეკლესიო-სამონასტრო ყმები და ქონებაც ხაზინის ხელში გადავიდა, მაგრამ აღნიშნული ფაქტი იმის ნათელი მაჩვენებელია, თუ რამდენად გაძნელებული იყო თვითმპყრობელობის ხელისუფლების აქ განმტკიცების პერიოდში საეკლესიო გლეხთა ფეოდალური სასულიერო სენიორის იურისდიქციისაგან განთავისუფლება და, მაშასადამე, გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რამდენად უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდნენ ამ მხრივ საბატონო გლეხები (ყმები), რომლებიც ქალაქის მოსახლეობისა და კერძოდ ვაჭართა წოდების ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.

ამგვარად, ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება თავის მფარველობას არ აკლებდა ვაჭრებს და ამას მოითხოვდა როგორც საერთოდ მისი ექსპანსიანისტური პოლიტიკა, ისე კერძოდ რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების ინტერესები[31].

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ვაჭრებიც, თავის მხრივ, დიდ დახმარებას უწევდნენ თვითმპყრობელობის ჯარებსა და ადმინისტრაციას, რომლებიც მათ თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ. ვაჭრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რუსეთის მიერ საერთოდ კავკასიის დაპყრობის საქმეში.

იმის მეოხებით, რომ ამ ვაჭრებს კომერციული ოპერაციები აკავშირებდათ კავკასიის ყველა მეზობელ ქვეყანასთან, მათ შეეძლოთ საჭირო ინფორმაციების მიწოდება და კიდევაც ატყობინებდნენ რუსეთის ხელისუფალთ, თუ როგორაა მათ მიმართ განწყობილი იმერეთის მეფე, თუ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და აზერბაიჯანელი ხანები და სხვ.

მაგალითად, სარქის ჯამუევი გენ. პ. ციციანოვს ატყობინებს, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II ახალციხის ფაშას ხიმშიაშვილს წერილით სთხოვდა, რათა უკანასკნელი დახმარებოდა მეფეს ძე კონსტანტინესა და მის მხლებელ თავადებს, რომლებიც კონსტანტინოპოლში მიდიან; — ამ დახმარებისათვის სოლომონ II ახალციხის ფაშას 100 ქისა ფულს ჰპირდება და იგი ცდილობს ამ გზით რუსების წინააღმდეგ კავშირი შეკრას სულთანთანო[32].

---

[31] А. Семенов, Изучение исторических сведений о Российской внешней торговле и промышленности с половины 17 столетия по 1858 г., СПБ, 1859, с. 164—169.

[32] АСКАК, II, № 833, с. 425.

თბილისელი ვაჭრები დავით ზარგაროვი და დავით მანანოვი ყოველმხრივ ეხმარებიან მეფის ჯარებს აჯანყებულ თუშ-ფშავ-ხევსურთა „დამშვიდების“ საქმეში. მათ ამ თემებთან წინათაც ჰქონდათ ნავაჭრო კავშირები, ჰყავდათ იქ „თავიანთი კაცები“ და ყველაფერი ეს ახლა, 1812 წ., „კეთილად გამოიყენეს იმპერატორის სასამსახუროდ“[33].

სწორედ ამ, 1812, წელს კახეთის აჯანყების ჩაქრობის ღონისძიებათა გატარებაში სამხედრო ნაწილებს ეხმარებოდნენ სიღნაღელი ვაჭრები ამირან და არტემ შავერდოვები[34].

ამავე მიმართულებით დიდად გამოიჩინა თავი „სახელოვანმა თბილისელმა მოქალაქემ“ დავით სარაჯიშვილმა.

აი, როგორ ახასიათებს მის საქმიანობას თვით გენ. რტიშჩევი: დ. სარაჯიშვილმა, როგორც უპირველესმა თბილისელმა დიდებაჭარმა, ფრიად თვალსაჩინო როლი ითამაშა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის ვაჭრობის განვითარებაში, მაგრამ „მან რუსეთის მთავრობისადმი მეტადრე ჭეშმარიტი ერთგულება გამოიჩინა საქართველოში მომხდარი პირველი არეულობის დროს, როდესაც აჯანყებულებმა გასწყვიტეს კავკასიის ლინიასთან კომუნიკაციები და ყველა გზა გადაჭრეს, მაშინ მან თვითონ მიმართა ადმინისტრაციას, რომ გამონახავდა ერთგულ კაცებს ელადიკავკაზში გაჟაგზავნად და შესატყობინებლად და ასეთი დავალება წარმატებით შეასრულა კიდევაც და როგორც ამისათვის ისე სხვა დაზვერვისათვის, თუ რის აპირებდნენ აჯანყებულნი, დახარჯა 500 ვერცხ. მან. მეტი თავისი საკუთარი ფული. იმავე დროს, როდესაც თბილისში ხურსათ-სანოვაგის შემოტანა საერთოდ აღკვეთილი იყო და პურის ფასი, მარაგების უქონლობის გამო, აიწია 25 მანეთამდე, რამაც მღელვარება გამოიწვია და მოსახლეობის ბრბოები მთავრობისაგან დახმარებას მოითხოვდნენ, მაშინ მან იკისრა შეძლებისამებრ მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილება და ამით ყველაზე კრიტიკულ დროს ფრიად შეუწყო ხელი მთავრობას ხალხის დაშოშმინებაში...“[35].

---

[33] АСКАК, V, № 139, გვ. 106.

[34] იქვე, VIII, № 927, გვ. 909.

[35] «...Наипаче он показал истинную преданность свою к Русскому правительству во время первого бунта, открывшегося в Грузии, когда мятежениками пресечена была коммуникация с Кавказской с линией и дороги все отрезаны, то он вызвался сам начальству отыскать верных людей для отправления во Владикавказ с сим уведомлением и исполнил таковую порученность с успехом, употребя как на сие, так и на другие разведывания о намерениях

შესაბამისად ბურჟუაზიული მეწარმეობის განვითარებისა, როგორც საერთოდ რუსეთში, ისე კერძოდ ამიერკავკასიაშიც, თანდათანობით იზრდება ვაჭართა კლასის, მეშჩანობის, „მოქალაქეთა“ როგორც ეკონომიკური, ისე კერძოდ საზოგადოებრივი და პოლიტიკური წონა. თავის მხრივ გამდიდრებული ვაჭრები არაფერს ზოგავენ იმისათვის, რათა დაუახლოვდნენ, ერთი მხრით, სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიას და, მეორე მხრით, ადგილობრივ არისტოკრატიას.

ეს დაახლოება უწინარეს, ისევ კომერციული საქმიანობის სფეროში იწყება. გავლენიანი სახელმწიფოებრივი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები, რომლებიც, როგორც წესი, თავადაზნაურული წრეებიდან იყვნენ, ჯარის ნაწილების ამუნიციით, სურსათსანოვაგით მომარაგების, გზების გაყვანის, ხიდების აშენების, ადმინისტრაციული სახლებისა და საერთოდ სახაზინო იჯარების, იჯარა-მიწოდებათა, საბაჟოებისა და სხვადასხვა საწარმოთა იჯარაგამოსყიდვის საქმეში ადვილად თანხვდებოდნენ უშეალო შემსრულებლებად. არსებითად კომერციულ აგენტებად ჰყოლოდათ უგვარო და ამდენადვე მორჩილი, მაგრამ ამასთანავე ასეთ საქმეებში დახელოვნებული მსხვილი თუ წვრილი ვაჭრები, რომლებიც ზოგჯერ მათივე ყმებიც იყვნენ.

მფლანგველ სამხედრო და სამოქალაქო არისტოკრატსა და დაგროვების უდრეკი ნებისყოფით ამოძრავებულ ვაჭარს შორის ასეთ ნიადაგზე წარმოქმნილი „საერთო ოპერაციების“ სოციალური ბუნება დროთა მსვლელობაში სულ უფრო ბურჟუაზიულ ხასიათს ღებულობდა და როგორც თვით მეწარმეობის შინაარსი, ისე დრო ვაჭრის სასარგებლოდ ვითარდებოდა. „საქმეში“ სულ უფრო იზრდებოდა ვაჭრის (ყმის) კაპიტალის ხვედრიწონა და, საბოლოოდ, ადრე თუ გვიან, უმრავლეს შემთხვევაში მთელი წამოწყება უკანასკნელის ხელში გადადიოდა.

„პირველი“ პარტნიორი ამიერიდან თანდათან ტოვებდა სცენას და ხშირად კიდევ უბრალოდ „ფარდის ამწევის“ როლშიდა

мятежников более 500 р. с. своих собственных денег. В тоже время когда привоз в Тифлис сестных припасов был вовсе пресечен и цена хлебу возвысилась до 25 руб. с., по неимению хлебных припасов, от чего произошел ропот между жителями, которые толпами требовали от правительства вспомощения, то он принял на себя удовлетворение по возможности народных нужд и тем в самое критическое время весьма много содействовал правительству к успокоению народа» (АСКАК, V, № 295, с. 237).

უნდა გამოსულიყო; — ეს მაშინ, როდესაც სახაზინო იჯარებისა და სხვ. კონტრაქტების ვადის გასვლის გამო საჭირო იყო მათი განახლება და ამასთანავე შესაძლებელი უფრო ხელსაყრელი პირობების მოპოვება, რისთვისაც „საქმის მონაწილე“ არისტოკრატს უნდა გამოეყენებინა სახელმწიფო აპარატის მაღალი თანამდებობის პირთა შორის თავისი გავლენა, ნაცნობობა და კავშირები, რაც, ცხადია, საბოლოოდ ფულში ხურდავდებოდა, ფული ღირდა.

3. ვაჭართა კლასი ფორმირების საფეხურებზე

1821—1831 წწ. ამიერკავკასიაში შეღავათიანმა ტრანზიტმა და ვაჭრობამ ხელი შეუწყო ვაჭართა კლასის ხელში მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალების დაგროვებას და, მაშასადამე, სოვდაგართა, დიდვაჭართა, გავლენის შემდგომ ზრდას.

1832 წ. 25 თებერვალს კავკასიის მთავარსარდალი ბარონ როზენი, იმპერიის იუსტიციის მინისტრს დ. დაშკოვს სწერდა:

„1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიის მხარისათვის ბოძებულ უპირატესობათა დროიდან თბილისში გაჩნდნენ მნიშვნელოვანი სახლები და სავაჭრო შენობები; მოქალაქეები არა თუ არ ღარიბდებიან, არამედ მათი კაპიტალები ბევრად უფრო გაიზარდნენ და არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ მეწვრილმანე მეწარმეები და გლეხი-ვაჭრები გამდიდრდნენ; ასევე სხვა ქალაქებშიც და სოფლებშიც კი ვაჭრობა და მეწარმოება ფრიად შესამჩნევი გახდა: ყველგან შენდება სახლები და დუქნები, თავადაზნაურობა ხელს კიდებს სახაზინო იჯარებსა და ვაჭრობას და ამისათვის აფართოებს მინდვრების დამუშავებას და მევენახეობა-მეღვინეობას... და წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს თვით სახაზინო შემოსავალი“[36].

მდიდარი მოქალაქე-ვაჭრები, ბუნებრივია, უფრო ადრე იმსახურებენ ოფიციალური წრეების ყურადღებასა და პატივისცემას. ეს გამორჩევა თავდაპირველად, ცხადია, უფრო პერსონალურ ხასიათს ატარებს და ამა თუ იმ უმდიდრეს ვაჭარს შეეხება.

ჯერ კიდევ 1812 წ. გენ. რტიშჩევი ასე ახასიათებდა თბილისელ „სახელოვან მოქალაქეს“ დავით სარაჯიშვილს (სარაჯევს):

„საქართველოში რუსეთის მთავრობის დამყარების დროიდან იგი გულმოდგინეობდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო

[36] АСКАК. VIII, № 12, с. 32.

ჩინოსნებისათვის მიეწოდებინა სხვადასხვა საპირო საქონელი, რაც აქ უკიდურესად ძნელად საშოვნელი იყო, მან პირველმა, შეიძლება ითქვას, გახსნა ვაჭრობა რუსეთთან და მოჰქონდა საქონელი მოსკოვიდან ფრიად ძნელი გზებით, კავკასიონის მთებზე გავლით, სადაც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი გზები. ამით მან ბევრს მისცა მაგალითი დაეწყო რუსეთთან ვაჭრობა, რაც ახლა ისე გაიზარდა, რომ მილიონ მანეთს აღემატება. ამასთანავე ეჭირა რა პირველი ადგილი და ხმა მოქალაქეთა შორის, სხვადასხვა შემთხვევაში მთავრობის ყოველი მოთხოვნისთანავე იგი ყოველთვის გულმოდგინეობდა იმპერატორის სასარგებლო სამსახურში"[37].

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ როგორ ეხმარებოდნენ ადგილობრივი ვაჭრები ცარიზმის სახელმწიფო აპარატს საერთოდ კავკასიის დაპყრობის, აჯანყებული ტომებისა თუ თემების „დამშვიდების", ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

ვაჭრებს არ შეეძლოთ არ დაენახათ ფეოდალური იურისდიქციითა და შეუვალობებით შებორკილი თემებისა და მთელი პროვინციების, ხშირი საბაჟო ზღუდეებისა და საყარაულოების, ადგილობრივი მრავალგვარი და მოუწესრიგებელი ზომა-წონის ერთეულების, ასევე აკრძალული ფულის სისტემის და სხვა მრავალგვარი პარტიკულარული, „უწესო წესებისა და ადათ-ჩვეულებათა" პირობებში მანამდე მიმდინარე კომერციულ ოპერაციებთან შედარებით, ახლა შექმნილი მრავალმხრივ უკეთესი და მშვიდობიანი პირობები.

წინათ ადგილობრივი ვაჭრის საქონელი, ბურჟუაზიული საკუთრება, ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი თვითგამგებელი ფეოდალისა და მისი თვალხარბი დამქაშების მხრივ მიტაცებისაგან. ვაჭარი ხშირად ვერ პოულობდა აუცილებელ მფარველს და გამკითხველს. ახლა თვითმპყრობელობის ცენტრალისტური სახელმწიფოებრივი აპარატის ბიუროკრატია იცავდა როგორც უცხოელი ნეგოციანტისა[38] და ადგილობრივი სოვდაგრის, ისე საერთოდ ვაჭრის ქონებასა და პიროვნებას; უშიშროებას ამყარებდა სავაჭრო გზებზე, სადაც მანამდე თითქმის თავისუფლად დაძრწოდნენ მეკობრეები, ყაჩაღები.

---

[37] АСКАК, V. № 295, с. 237.

[38] ნეგოციანტი (ლათ. negotians — negotiatis, ფრ. negociant) ბითუმად მოვაჭრე, მსხვილი ვაჭარი, უცხოეთთან (უცხოური საქონლით) მოვაჭრე, კომერსანტი (ლათ. commercium; ფრ. commerçant) — სოვდაგარი (— ნ. ჩუბინაშვილს განმარტებისა და რუს. შესატყვისის გარეშე აქვს მოყვანილი).

კიდევ მეტი: თვითმპყრობელობა პრემიებსაც კი აძლევდა ვაჭრებს, რომლებიც შეძლებდნენ რამდენადმე მნიშვნელოვანი ზომით რუსული წარმოების საქონელი გაესაღებინათ ამიერკავკასიასა და ირან-თურქეთის სამფლობელოებში და ჯერ კიდევ დაუპყრობელ კავკასიელ მთიელებში. ხელისუფლება ზრუნავდა გზების კეთილმოწყობაზე, უფასოდ კირსულობდა ვაჭართა ქარავნების დაცვას (ქარავანბაშობას) და ა. შ.

ვაჭართა წოდებას ყველა საფუძველი ჰქონდა თავისი პატრონი და მოკავშირე ეცნო რუსეთის ხელისუფალთა სახით და ამდენადვე ეზრუნა ამ გამგებლობის სფეროების გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

1838 წელს ბარონ როზენი შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ბლუდოვს სთხოვს, რათა 14 კლასის ჩინებით დააჯილდოონ ჩვენ მიერ ზემოხსენებული სიღნაღელი ვაჭრები ამირან და არტემ შაგერდოვები, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩაქრობის საქმეში ცარიზმის სამხედრო ნაწილებს და რომელთაც შემდგომ წლებში სიღნაღში:

1. ააშენეს ბამბის ნართის წარმოებისათვის დიდი ევროპული ფაბრიკა, რის მოწყობაზედაც დახარჯეს 40 ათას ვერცხ. მანეთზე მეტი და რაც უკვე მწყობრშია ჩამდგარი;

2. ქალაქში გამოიყვანეს წყალსადენი;

3. 1833 წელს, მოუსავლობის დროს, „მარტოოდენ კაცთმოყვარეობისათვის“ საკუთარი მარაგებიდან აძლევდნენ პურსა და ფულს მის შესაძენად თავიანთ ღარიბ თანამოქალაქეებს და გარდა ამისა კიდევ: —

4. საოლქო სასამართლოსათვის, ჰაუპტვახტისა და სატუსაღოსათვის თავის ხარჯზე ააშენეს ორსართულიანი ქვის სახლი; რომელშიც 1825 წლიდან დღემდე მოთავსებულია სასამართლო და ჰაუპტვახტი[39]...

ამგვარად, თანდათანობით ხდება „დაახლოება და ურთიერთგაგება“ ადგილობრივ ვაჭრებსა და მეტროპოლიის სახელმწიფოებრივ აპარატს შორის. ვაჭართა წარმომადგენლები გზას იკაფავენ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო მეტი და ფართო მონაწილეობის მიღებისაკენ.[40] თუ მე-19 ს. პირ-

[39] АСКАК, VIII, № 927, с. 909.

[40] Закавказская торговля. Журн. «Библиотека для чтения», 1848, № 86; А. Вышеславцев, Заметки русского о современной Грузии. Журн. «Пастырь», 1855, № 7.

ველ ათეულ წელს თბილისელი მდიდარი ვაჭრის, როგორც სახელმწიფო მოხელის გუბერნიის მაღალი თანამდებობის პირთა შორისაც კი დაშვება შეუძლებლად მიაჩნდათ, სულ სამიოდე ათეული წლის შემდეგ უკვე საჭიროდ თვლიან, და ისიც თვით იმპერატორს, კავკასიის მოსახლეობის უფლებამოსილ წარმომადგენელთა შორის ვაჭრებიც წარუდგინონ.

1841 წელს იმპერატორთან, კავკასიელთა სახელით, „ყოველად უქვეშევრდომილესი მადლიერების გრძნობათა“ გამოსაცხადებლად, დეპუტატებად იგზავნებიან საქართველო-იმერეთის გუბერნიიდან თავადი დავით აბხაზი, აზნ. სტეფანე ლორისმელიქოვი და თბილისელი მოქალაქენი, დიდვაჭრები, მიხეილ სარაჯიშვილი და სოლომონ აბესალომოვი[41].

***

საქართველო-იმერეთის გუბერნიის 1843 წ. ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ „ამიერკავკასიის ქალაქებში ცალკე, ოფიციალურად ორგანიზებული, ვაჭართა წოდება არაა, ხოლო ვაჭრობას შეუზღუდავად ეწევა ყველა, ვისაც მოესურვება მოახმაროს მას თავისი ენერგია და კაპიტალი, როგორც საკუთრად ქალაქის, ასევე სოფლის მცხოვრები და თვით მუდმივად თუ დროებით ქალაქებში მცხოვრები საზღვარგარეთელი ვაჭრებიც. ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდი მასშტაბის სავაჭრო ბრუნებს აკეთებდნენ, საერთოდ არაა. ამის მიზეზია კაპიტალების არასაკმარისობა და ნაწილობრივ ისიც, რომ გამდიდრებული ვაჭრები ძალიან ხშირად ტოვებენ ხოლმე წმინდა-სავაჭრო საქმიანობას და ხელს ჰკიდებენ სხვადასხვაგვარ იჯარებს — გამოსყიდვას (откуп), მიწოდებას (подряд), საიდანაც უფრო სწრაფად და ადვილად მისაღებ მოგებას მოელიან[42]. ასეთი სპეკულაცია ვაჭრობისთვის იწვევს იმ არახელსაყრელ შედეგს, რომ იგი (ვაჭრობა) გადადის წვრილ მოვაჭრეთა ხელში, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებლობა და ვაჭრობენ სხვისი კაპიტალებით, რისთვისაც იხდიან დიდ სარგებელს“, რასაც ისინი მიჰყავს გაკოტრებისაკენ და რაც იწვევს კრედიტის მოშლას[43].

---

[41] АСКАК, X, № 30, с. 28.

[42] АСКАК, IX, с. 607.

[43] ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ საქართველოში წინათ ბანკროტობა უცნობი იყო. 1801—1828 წწ. კი გაკოტრდა ექვსი კაცი; ამ დროიდან 1832

1840-იან წლებში, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვითი ხასიათის ადმინისტრაციულ დოკუმენტებში აღნიშნულია აქ კომერციული ცხოვრების საერთო დაქვეითების ფაქტები[44]. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის 1844 წ. ანგარიშგებით მოხსენებაში ნათქვამია: ირანში გატანა რუსული ნაკეთობებისა, რითაც აქაური ვაჭრები ვაჭრობენ, თითქმის სულ შეწყდა იქ სატრანზიტო ვაჭრობის გაძლიერების გამო (იგულისხმება თურქეთის ტერიტორიით ევროპული საქონლის შეტანა ირანში). სოლო ჩვენი ჩხრიალა მონეტის ირანში გატანა დღითი დღე უფრო საგრძნობი ხდება, რაც ცხადია ზიანს აყენებს ჩვენს ვაჭრობას. ამასთანავე მრავალმა უმთავრესმა აქაურმა კაპიტალისტმა ხელი აიღო ვაჭრობაზე, რაც გადაიქცა უმნიშვნელო ვაჭართა საქმედ, რომელთაც საკუთარი კაპიტალები არ გააჩნიათ და უმთავრესად სესხად აღებული ფულით ვაჭრობენ[45].

ანალოგიურია ამ მხრივ იმავე გუბერნატორის 1845 წ. ანგარიშგებითი მოხსენება, სადაც ამასთანავე აღნიშნულია, რომ „იჯარები და სხვა მსგავსი მესარეწეობა გადაიქცა უპირატესად ვაჭართა წოდების საქმიანობადო". საქმე ისაა, რომ საბითუმო და საერთოდ ნსხვილი ვაჭრობის დაცემამ გამოიწვია ვაჭართა მისწრაფება ჩართულიყვნენ სამხედრო და სხვა სახელმწიფოებრივი იჯარების ოპერაციებში, რაც აქამდე უპირატესად სამხედრო-არისტოკრატიული წარმომავლობის, ანდა მსხვილ ვაჭართა, საპატიო მოქალაქეთა, ხელში იყო. ვაჭრები ახლა გამოვიდნენ მათ კონკურენტებად, რამდენადაც ხაზინას უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ, ე. ი. თვითონ ნაკლებ წმინდა შემოსავალს სჯერდებიან.

თბილისელ პირველ ვაჭართა მდგომარეობაზე, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1844 წ. დიდმა ხანძარმა, რამაც საქონლით სავსე რამდენიმე ქარვასლა გაანადგურა. გუბერნატორი აცხადებს, რომ ამ ხანძარმა „ძლიერი ზიანი მიაყენა ვაჭრობას და მრავალი ვაჭარი ნამდვილად გააუბედურაო"[46].

წლამდე—ექვსი კაცი, ხოლო მერმინდელ 3 წელიწადში (1832—1835)—თორმეტი; ამასთანავე რიგი ვაჭრის მიმართ აღიძრა საქმე, რომ გადაიხადონ ვალები, რაც მხოლოდ მათმა მცირე ნაწილმა შესძლო (ОРВЗ, I, 1836, с. 261).

[44] იხ. მაგ., Дело по ревизии Закавказского края: ЦГИАЛ, АВПКБ, ф. КК, д. № 199, 1842—1843, л. 183.

[45] ЦГИАЛ, АВПКБ, КК, д. № 744, л. 183.

[46] იქვე, ფურც. 285.

1842 წ. იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრ პ. განისათვის წარსადგენად შედგა თბილისის სტატისტიკური მიმოხილვა, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ვაჭრობისა და ვაჭრების მდგომარეობას[47]. აქ 1821 წ. 8 ოქტომბრის კანონის შედეგები, შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის განვითარების დარგში დადებით მოელენადაა მიჩნეული და ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ნათქვამია:

„თითქმის მთელი ვაჭრობა არა ქართველების, არამედ სომხების ხელშია, რომელთაც არა აქვთ უნარი თავი გაართვან მსხვილ ბრუნვებს და რომლებიც კმაყოფილდებიან აქაური ჩვეულებისამებრ მცირე ოპერაციებით, რაც მათ მნიშვნელოვან მოგებას აძლევს. საერთოდ ვაჭართა კლასში არ შეიმჩნევა თაოსნობა, არ მიდიან კომერციულ რისკზე, არაა ჯეროვანი მოღვაწეობა, რომ აცხოველებდეს კომერციას. «რითაც მამა ვაჭრობდა, რასაკვირველია, იმითვე ვაჭრობს შვილიც, სრულებით დარწმუნებული რომ ეს სხვარიგად არც უნდა იყოს». ქართველები კი საკუთარი უზრუნველები არიან. მთელი ამ ნაციიდან მხოლოდ ერთი სახლი ეწევა ვაჭრობას. აქაურ ვაჭრობაში არაა არც კანტორები (გარდა ერთი ავგუსტ გირშინგისა, რომლის ფირმას ეწოდება „ამიერკავკასიის სასაწყობო დეპო“—«Закавказское складочное депо»), არც ზონარგაყრილი დავთრები და არც ერთი ისეთი ვაჭარი, რომელსაც შეეძლოს დაიქადნოს კომერციის საქმეთა დადებითი ცოდნა»[48].

ამ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ აქაურ ვაჭრებს არა აქვთ მნიშვნელოვანი კაპიტალები (საქონელი, ფულები). „მხოლოდ მცირე ნაწილს, უნდა ვიფიქროთ, აქვს თვითეულს 50 000 მან. ვერცხლით“. უკანასკნელ წლებში სავაჭრო ბრუნვები დაეცა. „აქაურ ვაჭართა გაუთავებელმა გაკოტრებამ და მათგან ვალების გადაუხდელობამ გამოიწვია მათი საზოგადოებრივი კრედიტის (ნდობის) დაცემა მოსკოვსა და ნოვგოროდის იარმარკეტაში და იმ ზომითაც, რომ მრავალი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ვაჭრობა“. მიმომხილველის აზრით, ბანკროტობის მიზეზია საკუთარი კაპიტალების უქონლობა ან სიმცირე და ვაჭრობა მაღალ %%-ებზე აღებული ნასესხები ფულებით[49].

---

[47] იხ. მაგ., ЦГИАЛ, АВПКБ, ф. КК, 1842, д. № 194, л. 103.

[48] შეადარე О. Евецкий, Стат. описание Закавказского края, 1835, СПБ, с. 81—82.

[49] ЦГИАЛ, АВПКБ, ф. КК, д. № 194, л. 103.

რამდენადაც ხელოსნები ხშირად ვაჭრებიც იყვნენ და ხელოსანთა ამქრებში ვაჭრებიც შედიოდნენ და ყველანი ერთად ქალაქის მოსახლეობის ყოფიერებას ქმნიდნენ, ორიოდე ცნობა უნდა მოვიყვანო იმავე მიმოხილვიდან ამქრის ხელოსანთა და საერთოდ ქალაქის ყოფაცხოვრების შესახებ.

„ხელოსანთა შორის მხატვრები, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, აქ არაა". ხუროები და დურგლები მნიშვნელოვან ხელფასს ღებულობენ (დღეში 1 მან. და მეტს). წყალსადენის გაყვანაც შემოსავლიანი ხელობაა, მაგრამ ამას უფრო სპარსელი და თათარი ხელოსნები ეტანებიან. მაღალია შეშის მხერხავთა ხელფასი... მეჩექმეები, მექუდეები, მეუნაგირეები, თერძები (მკერავები) „თავიანთ ნაკეთობებს ფრიად ძვირად ყიდიან". ამასთანავე, მცხოვრებთა განათლების შესაბამისად, შეიმჩნევა მისწრაფება მიბაძონ რუსებს და ამიტომაც საკუთრად ქართველთა ხელობები ეცემიან. კლოკმა და სალოფმა (ქალის წამოსასხამი — პ. გ.) გამოდევნეს ჩადრები, ბაშმაკებმა შესცვალეს ქოშები, ჩოხები თავის ადგილს უთმობენ ფრაკებს, სერთუკებსა და მუნდირებს და იქაც კი, სადაც ახლო წარსულში გაისმოდა დაირის, ზურნის, თარის, საზისა და ჭიანურის გამყივანი ხმა, იქ უკვე არის ფორტეპიანო. ცეკვა ლეკური (ქართული — პ. გ.) აღაფრთოვანებს მხოლოდ რუსებს, ხოლო ქართველი ქალები უპირატესად მაზურკას ცეკვავენ"[50].

***

მცირეოდენი დელიკატური გადახვევა: როგორც ცნობილია, ალექსანდრე ბატონიშვილს (ერეკლე II ძეს) ცოლად ჰყავდა ერევნის მელიქის სააკ აღამალიშვილის (აგამალოვის) ასული მარიამი. როდესაც რუსის ჯარმა ერევნის სახანო აიღო, მარიამი ქმარს გაჰყვა ირანში. 1827 წ. ალექსანდრე თურქეთს გადავიდა. ხოლო მარიამი მცირეწლოვანი ვაჟით, ირაკლი ალექსანდრეს ძით,

---

[50] ორიგინალში ვკითხულობთ: «...С образованием жителей, заметно стремление их подражать русским и поэтому ремесла, собственно грузин приходят в упадок: клоки и салопы изгнали чадры, башмаки заменили коши, чохи уступают свое место фракам, сюртукам и мундирам и даже там, где в недавнее время раздавались звуки пронзительного бубна, зурны, тар, саз и чианури, там уже есть фортепиано. Танец лезгинка восхищает только русских, грузинки же преимущественно танцуют мазурку» (УЦГАЛ, АВПКБ, ф. КК, 1842, д. № 194, л.л. 104—105).

თავის მამასთან დაბრუნდა ერევანში. ალექსანდრე ბატონიშვილმა მოინდომა ცოლშვილის წაყვანა, მაგრამ გენ. ბარონ როზენმა პეტერბურგთან შეთანხმებით, მარიამსა და მის მამას „შთააგონა რუსეთში (ე. ი. ამიერკავკასიაში — პ. გ.) დარჩენის უფრო მეტი ხელსაყრელობა“. შემდეგში, მარიამს მოსთხოვეს, რათა ირაკლი სასწავლებლად გაეგზავნა პეტერბურგს...

ამ ხანებში „მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ გენ. ფელდმარშალმა პასკევიჩმა (ვითომ 1827 — 30 წწ. ?—პ. გ.) ნება დართო თავისუფლად წასულიყო ირანში და მიუხედავად იმისა, რომ თვით ა. ბატონიშვილმა და ასევე სპარსეთის მთავრობამ არა ერთხელ მიიწვიეს იგი სპარსეთში, მან მოისურვა თვითონაცა და ალექსანდრეს ძეც დარჩენილიყვნენ დიდი იმპერატორის მფარველობაში“. — ასეთია ოფიციალური დოკუმენტის სიტყვები[51].

მარიამი ცდილობდა თვით თავისი ქმრის, ალექსანდრე ბატონიშვილის, რუსეთის მთავრობასთან შერიგებას, მაგრამ რაკი ეს ცდა უნაყოფოდ დამთავრდა, მან „თავისი და შვილის ბედი მიანდო რუსეთის იმპერატორს“, რომელმაც ის „მიიღო, მიუალერსა და ნება მისცა ეცხოვრა თბილისში“[52].

...კარგა ხნის შემდეგ, უკვე 1870 წ. მარიამი ითხოვს, რათა სანაცვლოდ მისი სახლისა, რომელშიც თბილისის საგუბერნიო მმართველობა იდგა, მისთვის მიეცათ მინერალური (გოგირდის) აბანოები, რომელიც წინათ სიონის ტაძარს ეკუთვნოდა, ხოლო ახლა ხაზინისა იყო და საჯარო წესით გაიცემოდა. აბანოების შემოსავალი ბევრად აღემატებოდა მარიამის სახლისას. ადრე ეს აბანო ხაზინის მიერ, როგორც საშემოსავლო წყარო, კერძო პირზე იყო გაცემული და ამ წესით, მაგალითად, 1827 წელს ხაზინა ყოველთვიურად ღებულობდა 2 000 — 2 500 მანეთ შემოსავალს[53].

ახლა კავკასიის ნამესტნიკის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის შუამდგომლობით, იმპერატორმა 1870.8.22 აბანოები მიმდებარე მიწებითურთ მარიამს უბოძა[54].... 1877 წლის გასულს მარიამი თხოულობს: მისი სახლი მას დაუბრუნონ, ხოლო აბანო ხაზინამ უკან წაიღოს, რადგან მოსალოდნელი სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზარალი მიიღო[55].

---

[51] ЦГИАЛ, АВПКБ, ф. КК. д. № 110, 1870—1874, лл. 4—5.
[52] იქვე, ფურც. 6.
[53] ЛОЦИА, АНХ. д. № 12552,... ფონდი Лит. «А».
[54] ЦГИАЛ, ф. КК, д. № 110, л.л. 18—19.
[55] იქვე, ფურც. 25—26, 31—35.

კავკასიის ნამესტნიკი შუამდგომლობს იმპერატორის წინაშე და უკანასკნელიც ბრძანებს, უკანვე დაუბრუნონ მთხოვნელს თავისი, აწ უკვე შეკეთებული, სახლი. ახლა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერევნის მელიქის, საკ აღამალაშვილის (აგამალოვის) ასულს მარიამს ქართული ლიტერატურული განათლება ჰქონდა და მან მხოლოდ ქართული წერა-კითხვა იცოდა.

ამ „საქმეში", 1870—1874 წწ. წარმოდგენილ დოკუმენტებს ხელს აწერს: „საქართველოს მეფის რძალი მარიამ"..., ხოლო ხსენებულმა აბანოებმა „ირაკლის აბანოების" სახელწოდებით ჩვენს დრომდე მოაღწია...

***

ახლა სამი ათეული წლით ისევ უკან დავიხიოთ. საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორი იმპერატორისადმი წარდგენილ თავის 1844 წლის მოღვაწეობის ანგარიშგებით მოხსენებაში აცხადებს:

„თბილისის საქალაქო მმართველობის საქმის წარმოებასა და (ბუღალტრული) ანგარიშგების წარმოებაში აქამდე ისეთი ვითარება იყო, რომ ქალაქის მმართველობის ყოფილმა წევრებმა არ იცოდნენ რუსული ენა, რის გამოც იმათ უჭირდათ ზუსტად ედეკნებინათ თვალი საქმეთა მიმდინარეობასა და წესივრობისათვის. მაგრამ ამჯერად თბილისელი ვაჭრები კეთილგონივრულად მოიქცნენ (კურსივი ჩვენია — პ. გ.) და 1845 წელს ქალაქის თავად და ქალაქის მმართველობის წევრებად აირჩიეს მოქალაქენი, რომელთაც საკმაოდ კარგად იციან რუსული ენა და ესმით ქალაქის სამსახურის წესრიგი"[56].

აქამდე თბილისის ქალაქისთავებმა, მაგალითად, ხატისოვმა, უფრო ადრე კიდევ ტერ-გრიქუროვმა რუსული ენა არ იცოდნენ და ყოველგვარ მიმოწერასა და ქალაქის მმართველობის სხვადასხვა დოკუმენტებზე, როგორც ქალაქისთავები, ასევე მმართველობის წევრები ხელს აწერდნენ ქართულად. მაგალითად: „გალავა ტერ-გრიქუროვი", „კანდიდატი ფრიდონოვი", „ჩლენი გრიქუროვი" და ა. შ[57].

მაგრამ უფრო გვიანაც, 1860-80-იან წლებში, თბილისელმა სოფხებმა ბებუთაშვილებმა (ბებუთოვები), ლორის-მელიქოვებმა, მანთაშევებმა, ხატისოვებმა, მანდენოვებმა, ხუდადოვებმა, ჩითა-

---

[56] ЦГИАЛ, АВПКБ, ф. КК, д. № 744, лл. 181—182.

[57] იქვე, სხვადასხვა ფურც. 19—350.

ხოვებმა კარგად იცოდნენ ქართული. ნინო დიმიტრის ასული ყიფიანი 1894 წ. დაწერილ მოგონებაში, „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“, აღნიშნავს, რომ ცნობილმა ვ. ი. ბებუთოვმა არა თუ კარგად იცოდა ქართული, არამედ მას „ქართულად მშვენიერი ლექსებიც“ უწერია[58].

თბილისის სამხედრო გუბერნატორის 1847 წ. მოღვაწეობის ანგარიშგებაში ვკითხულობთ: „მრავალი თბილისელი ვაჭარი წარმოშობილია არარაობიდან და გამდიდრებული გამუდმებული ვაჭრობით და ევროპაში მოგზაურობით, სადაც მათ ისწავლეს პრაქტიკულად საქმის წარმოება საგარეო და საშინაო ვაჭრობის დარგებში. კიდევ მეტი. ბევრ მათგანს მტკიცე მდგომარეობა (შეძლება) მოუპოვა სახელმწიფო იჯარამ, იჯარა-მიწოდებამ და იჯარა-გამოსყიდვამ, რასაც ისინი ეწევიან თაოსნიანად და მეწარმეობრივი გაქანებით“[59].

***

1840-იანი წლების მეორე ნახევრიდან, კომერციული და საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების განვითარების პირობებში, სულ უფრო რთული და ძნელად მოსაწესრიგებელი ხდებოდა თბილისის ბაზრებზე სხვადასხვა საქონლისა და განსაკუთრებით სურსათ-საზოვაგის ფასები.

ქალაქის მომხმარებელი მოსახლეობა, რომელთა შორის, ამ შემთხვევაში, ყველაზე აქტიურ და, რაც მთავარია, გავლენიან ელემენტს სახელმწიფო სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები შეადგენდნენ, ცხადია, დაინტერესებულნი იყვნენ საერთოდ და კერძოდ სასურსათო საქონელზე ფასების მოწესრიგების საკითხით. მაგრამ „ფასების მოწესრიგება“, ქალაქის ბაზრებზე მოქმედ სხვადასხვა სოციალურ ძალებს, სხვადასხვანაირად ჰქონდა წარდგენილი. აქ მყიდველი (მომხმარებელი) და გადამყიდველი (ვაჭარი, სპეკულანტი) ურთიერთშორის ყველაზე ანტაგონისტურად განწყობილნი იყვნენ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ყოველთვის მიისწრაფოდნენ გამოსულიყვნენ შუამავლის როლში უშუალო მწარმოებელსა (სოფლის გლეხობასა) და უშუალო მომხმარებელს (ქალაქელ მოსახლეობას) შორის.

ბოლოს, საქმე ისე მიდის, რომ თბილისის ბაზრების მოწესრიგების, ე. ი. საკუთრად ფასების დადგენის საკითხი ხდება სა-

---

[58] ნინო ყიფიანის ეს მოგონება (ავტოგრაფი) ინახება ჩვენს არქივში.

[59] ЦГИАЛ, ф. КК, 1848, д. № 1072, с. 23—26.

ქართველოსა და ამიერკავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის სპეციალური მსჯელობის საგანი და, თანაც, არა ერთხელ და ორჯერ.

საკითხის განხილვისა და სათანადო ღონისძიებათა დასახვის პროცესი განსაკუთრებით მწვავე ფორმით წარიმართა 1850-იანი წლების შუაში. ამ დროს მთელი შესაძლებელი საფუძვლიანობით იქნა შესწავლილი შესაბამისი მოვლენები და, მაშასადამე, დაგროვდა კიდევაც ანალიზისათვის აუცილებელი მასალა.

ქ. თბილისისა და საერთოდ ამიერკავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით კი 40—50-იან წლებში, ქალაქში არსებულ ხელოსანთა ამქრების მსგავსად, ჯერ ჩუმად, საიდუმლოდ. მერმე კი სულ უფრო აშკარად გაერთიანდნენ ვაჭრები, იმის შესაბამისად თუ „რამდენად ხდებოდა, რომელიმე სასურსათო საგანი საყურადღებო (ე. ი. უფრო მომგებიანი!) ქალაქის ვაჭრობაში".

თავდაპირველად, როგორც თბილისის სამხედრო გუბერნატორის მ. შ. პოლკ. კოლიუბაკინი გენ.-ად. ნ. რეადს ატყობინებდა (24.10.1854), ვაჭართა ამქრებში გაერთიანების მიზანი იყო ამ თემისწევრთა შორის კეთილი მორალის დაცვა, ეს იყო რაღაც მსგავსი საავაჭრო პოლიციისა. მაგრამ მერმე მათი გავლენა გავრცელდა თვით ვაჭრობაზე, რაც თანდათანობით მთლიანად ჩაიგდეს კიდევაც ხელში.

პოლკ. კოლიუბაკინისადმი თბილისის ქალაქის მმართველობის მიერ წარდგენილი მოხსენებიდან (22.10.1854) ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1842 წელს, კავკასიის ნამესტნიკის მ. ვორონცოვის მოხსენების საფუძველზე გაცემული იმპერატორის ბრძანებით, თბილისში უნდა დაეარსებინათ საგანგებო ს ა ვ ა ჭ რ ო პ ო ლ ი ც ი ა. შემდეგ ამ პოლიციას და ქალაქის მმართველობას დაევალა ყოველთვიურად დაედგინათ ქალაქში სასურსათო პროდუქტების ნიხრი; ფასები უნდა განესაზღვრა ქალაქის მმართველობას. ამის შესაბამისად 1852 წ. ფასები წესდებოდა მხოლოდ ხორცზე, პურზე, მარილზე, საპონსა და სანთელზე. ადმინისტრაციის მითითებით ნიხრი თევზზე მოიხსნა.

ქალაქის მმართველობას, ხედავდა რა სურსათის მაღალი ფასების გამო განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბი ფენების მძიმე მდგომარეობას, საჭიროდ მიუჩნევია აღენიშნა ქვემოთ მოყვანილი ვითარება, როგორც ფაქტიური მდგომარეობა:

ყველა ვინც თბილისში ეწევა სურსათ-სანოვაგით ვაჭრობას,

კერძოდ: მებაყლეები (ხილ-ბოსტნეულისა და სხვა გამყიდველები), ალაფები (ფქვილის, ქერის, ფეტვის, ბრინჯისა და მარილის გამყიდველები), მექათმეები (ბატის, ინდაურის, იხვის, ქათმის, ვარიის გამყიდველები), მეთევზეები, თივის გამყიდველნი და სხვები „გაერთიანებულნი არიან ამქრებში, რაც თავისი მნიშვნელობით უახლოვდება ხელოსანთა ამქარსა და ვაჭართა კომპანიას“.

ამქრის წევრი ვაჭრობს არა თავისი ანგარიშითა და შეხედულებით; მთელი ამქარი ვაჭრობს როგორც ერთი პიროვნება, უსტაბაშის მეთაურობით. და ამის მეოხებით, სურსათ-სანოვაგით ვაჭრობა არსებითად ერთ ხელშია მოქცეული და „წარმოადგენს მონოპოლიას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“.

ქვემოთ ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „ეს ვაჭრები ემორჩილებიან გაერთიანებულ უსტაბაშებს, რომლებიც ბავშობიდანვე მიჩვეულნი არიან მოტყუებასა და ანგარებას, რაც გამჯდარია მათს მთელ არსებაში და ამიტომაც ამისათვის ისინი სინდისის ქენჯნასაც არა გრძნობენ; მათ ეშინიათ, რომ დაჯარიმებს და ვაჭრობის უფლებას წაართმევს მკაცრი უსტაბაში; ამასთანავე ისინი სარგებლობას ხედავენ ამ მორჩილებაში და, ცხადია, უსიტყვოდ ემორჩილებიან მის ბრძანებას“.

უსტაბაშები, ნიხრების არ არსებობის პირობებში, „თვითნებურად ნიშნავენ მაღალ ფასებს მათი ამქრის ვაჭრობის საგნებზე“ და ამას თავიანთი თანაშემწეების პირით საიდუმლოდ ატყობინებენ ამქრის ყველა წევრს. ეს უკანასკნელნი „წმინდათ ასრულებენ ბრძანებას და ვერ ბედავენ გადაუხვიონ მას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი საქონელი არ საღდება, ლპება და იძულებულნი არიან გაანადგურონ ის, ანდა ღამით გადაყარონ მტკვარში“.

ასეთ ვითარებაში მომხმარებლები იძულებულნი არიან „სურსათისათვის იხადონ მანამდე არასოდეს არ არსებული მაღალი ფასები“. სწორედ ამიტომ ქალაქის მმართველობას, რამდენადაც ვაჭართა მონოპოლიის არსებობისას სხვა საშუალება არაა, აუცილებლად მიაჩნია ნიხრის დაწესება და, ამასთანავე, ვაჭართა ამქრების გაუქმება და მხოლოდ ხელოსანთა ამქრების დატოვება, რუსეთში არსებული წესების შესაბამისად.

მერმე, ცხადია, როდესაც „ამ ვაჭრებში შეაღწევს განათლების შუქი და მათი მიზანი იქნება არა ბოროტეული და ხარბი ანგარებიანი, არამედ კეთილსინდისიერი და პატიოსანი ვაჭრობის გზით გამდიდრება“, მაშინ საჭიროც არ იქნება ასეთი ღონისძიება. მაგრამ ახლა აქ ფესვგადგმული „ბნელი ვაჭრობის“ დროს აუცილებელია

ნიხრები, რაც ხსენებულ ბოროტებათა ალაგმვის ერთადერთი საშუალებაა და რაც ძველად სწორედ ამიტომ იყო შემოღებული თბილისის ბაზრებში, ხოლო რამდენიმე ხნის წინათ მოხსნილი სავსებით უსაფუძვლოდ".

ნიხრების მოხსნის შემდეგ სურსათ-სანოვაგით მოვაჭრენი, ამქრული მონოპოლიით ზურგგამაგრებულნი, ქალაქიდან გადიან და შემოსასვლელ გზებზე, სოფლებში და გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში შეისყიდიან ხოლმე თითქმის მთელ პროდუქტებს, დარწმუნებულნი არიან რა, რომ ამისათვის არ მოელით არავითარი სასჯელი და მიიღებენ კი დიდ მოგებას. ამით კი ისინი საშუალებას ართმევენ ქალაქის მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგე იყიდონ პირველი ხელიდან, სოფელი მწარმოებელთაგან, როგორც ეს კეთდებოდა წინათ, როდესაც არსებობდა ნიხრები, რაც ანელებდა გადამყიდველთა ამ საქმოსნობას.

ალაფები წინათ ყიდულობდნენ სხვადასხვა პურეულს და მარილს შედარებით მცირე რაოდენობით, მათი ბრუნვები არ აღემატებოდა 50 მან. მათ პურეული წვრილ-წვრილად უნდა გაეყიდათ — ათი გირვანქიდან ორ ფუთამდე იმ მომხმარებლებზე, რომელთაც სიღარიბისა თუ სხვა მიზეზით, არ შეეძლოთ ან არ სურდათ მოედანზე მთელი ტომრობით შეეძინათ ეს საქონელი. მათ არ შეეძლოთ შეეზღუდათ სოფლიდან შემოტანილი პურის რეალიზაცია, არც დიდი რაოდენობით ამ საქონლის შესყიდვა, რათა მერმე აეწიათ ფასები. ახლა კი მეალაფენი პურს ყიდულობენ არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა მაზრებსა და გუბერნიებში და აგრეთვე დიდ მარაგებს. ისინი ყოველგვარ ხერხებს კადრულობენ, მიჩენილი პირების დახმარებით, შემოტანილ პურს დადგენილ ვადაზე ადრე ყიდულობენ, ხოლო ნებადართულ დროს შეისყიდიან მოედნებზე გამოტანილ მთელ პურსა და ქერს, რასაც მერმე ტომრობით, ბითუმად მომატებულ ფასებზე ყიდიან... და ასე, ფრიად უხვმოსავლიან წლებშიაც კი, თბილისში თითქმის არასოდეს არ კლებულობს ფასები. ასეთი ვითარება საზიანოა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებთათვის. ესაა ვაჭართა ამქრების მიერ შექმნილი მონოპოლიის ყველაზე მავნებლური მხარე.

ხმელი და დამარილებული თევზი, ხიზილალა და წელა ერთი პიროვნების მონოპოლიური ვაჭრობის საგანია და ნიხრების მოხსნის შემდეგ გაუგონარ ფასად იყიდება, რაც ორჯერ, სამჯერ უფრო დიდია, ვინემ თელავში, სადაც ეს პროდუქტი ახლაც იყიდება ნიხრის მიხედვით. თბილისში თევზეულზე ნიხრის კვლავ დაწესება მით

უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ სალიანის თევზის სარეწების ახალმა მეიჯარე-შემსყიდველებმა, კისრულობენ რა თბილისში მშრალი თევზი გაყიდონ ერთი გირვანქა 6—10 კაპიკად, წლიური გამოსასყიდელი თანხა 312 ათასი მან. (ვერც.) გამოაცხადეს, ხოლო ახლანდელ მეიჯარეებს, რომლებიც 1 გირვანქას 15—30 კაპიკად ყიდიან, ხაზინაში წლიურად შეაქვთ მხოლოდ 170 ათასი მან... ასეთივე მდგომარეობაა ახალი თევზისა და კალმახის გაყიდვის საქმეშიო.

აქაურ მეპურეებს ერთი ხანია მიეცათ ნება გამოაცხონ გაურკვეველი წონის პური და ჰყიდონ ის აწონით და ნიხრის კვალობაზე. ამავე დროს საწონები მათ მხოლოდ შესახედავად აქვთ, ხოლო პურს აუწონავად ყიდიან — სამ-მეოთხედ გირვანქას, როგორც ერთ გირვანქას; სარგებლობენ რა იმით, რომ მათი მეწარმეობა ფრიად ვრცელია და პოლიციას არა აქვს შესაძლებლობა სისტემატური კონტროლი გაუწიოს მათ, განსაკუთრებით დილაადრიან და გვიანსაღამოს. ეს გარემოება მეტად მძიმეა ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის. რის გამოც აუცილებლად საჭიროა დაევალოს მეპურეებს, რომ მათ, როგორც ეს წინათ იყო, გამოაცხონ ნახევარ, ერთ და ორგირვანქიანი პურები.

საერთოდ სურსათ-სანოვაგით, როგორც პირველი მოთხოვნილებისა და მასობრივი მოხმარების საგნებით ვაჭრობაში ბოროტმოქმედებას ფრიად მძიმე ზიანი მოაქვს ქალაქის მთელი მოსახლეობისათვის და ამიტომ აქ აუცილებელია კანონების ზუსტი გატარებისა და დამნაშავეთა მკაცრი დასჯის გზით წესრიგის დამყარებაო, — აცხადებენ ქალაქის გამგეობის მესვეურები, რომელთაც ამასთანავე შეადგინეს შედარებითი უწყისი სურსათ-სანოვაგეზე ნიხრების არსებობის დროინდელი და მერმინდელი ფასებისა. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ნიხრის მოხსნის შემდეგ ქალაქის ბაზრებზე პროდუქტების ფასები მართლაც სულ ფატულობდა.

როგორც ცნობილია, აღებულ პერიოდში და ზოგჯერ საზოგადოდაც, ვაჭრობა მეურნეობრივი თაოსნობის ისეთი დარგია, სადაც ყველაზე ადვილად და სწრაფად შეიძლება გამდიდრება „კანონიერი გზით“. თუმცა ამ კანონიერებაში ფართო გასაქანს ჰპოულობენ ათასგვარი მაქინაციები და არაეთიკური მოქმედებანი, რომელთა აღწერა და განხილვა ისევე პირობითია, როგორც თვით რეგლამენტაცია კეთილმოქმედური და უაღრესად მორალური ნორმებით შემკული სავაჭრო ოპერაციებისა და თვით ეპოქის ეაჭრული მორალისა.

ქართული ფეოდალური სამართალი ვაჭართა წოდებას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. მაგალითად, თბილისელი საპატიო მოქალაქენი, სოვდაგრები და საერთოდ დიდვაჭრები დანაშაულობის შემთხვევაში როზგის დარტყმითა და სხვ. ფიზიკური სასჯელით არ ისჯებოდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან საერთოდ არათავადაზნაურული წარმომავლობის ვაჭრები აქ ჩაითვალნენ გამომღებელთა წოდებაში, როგორც სახელმწიფო გლეხები, და, ამგვარად, დანაშაულობის შემთხვევაში ემორჩილებოდნენ ფიზიკური დასჯის შესახებ არსებულ რუსულ წესებს.

1809 წელს იმპერიის იუსტიციის მინისტრმა თავ. ლოპუხინმა იშუამდგომლა ალექსანდრე I წინაშე, რათა თბილისელი მოქალაქე მანდენოვი, რომელსაც სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა გამათრახება, ძველად აქ არსებული კანონის საფუძველზე, გაეთავისუფლებინათ ამ ფიზიკური სასჯელისაგან. იმპერატორმა ბრძანა:

„მანდენოვი განთავისუფლდეს ფიზიკური სასჯელისაგან და ამიერიდან თბილისის პირველი ვაჭრები, რომელთაც მოქალაქეები ეწოდებათ, ვახტანგ მეფის სამართლის შესაბამისად, დანაშაულის შემთხვევაში, ნუ დაისჯებიან ფიზიკურად“[60].

სწორედ ამ განკარგულების მიღებამ და განხორციელების საჭიროებამ ადგილზე წარმოშვა სიძნელე იმ მხრივ, თუ სახელდობრ ვინ, რომელი მოქალაქენი (ვაჭრები) უნდა ჩაეთვალათ „თბილისის მოქალაქეთა წოდების“ მატარებლად.

ასეთს ვითარებაში, 1814 წელს, საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოს განკარგულებით, სახელმწიფო მოხელეთა და საპატიო მოქალაქეთაგან თბილისში შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეედგინა სახელობითი სია იმ თბილისელ ვაჭარ-მოქალაქეთა, რომლებიც ადგილობრივი კანონმდებლობით, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ნამდვილად ეკუთვნოდნენ პირველხარისხოვან (საპატიო) მოქალაქეთა წოდებას და, მაშასადამე, სარგებლობდნენ შესაბამისი პრივილეგიებით.

ორ წელზე მეტი ხნის მუშაობის შემდეგ კომისიამ, 1816 წელს, წარადგინა თბილისელ მოქალაქეთა სახელობითი სია. აქ მოქალაქენი დაყოფილნი იყვნენ სამი ხარისხის კვალობაზე. კომისიამ ამას-

---

[60] АСКАК, XII, с. 232.

თანავე წარადგინა ამ დაყოფისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ განმარტებები.

ამ მასალათა მიხედვით:

1. მოქალაქეთა უპირველესობის საფუძველი იყო გვარის სიძველე, უძრავი ქონება ანუ კაპიტალი. მაგრამ კომისიამ ვერ მიაკვლია ცნობას თუ სახელდობრ, რა რაოდენობისა უნდა ყოფილიყო ეს კაპიტალი.

2. მოქალაქენი, რომლებიც რაიმე მიზეზით კარგავენ თავიანთ შეძლებას (ქონებას), არ კარგავდნენ თავიანთ ღირსებას. ამასთანავე მოქალაქის სიკვდილის შემდეგ მისი შვილი და შვილიშვილი, სრულწლოვანებამდე, ინარჩუნებდა გვარის ღირსებას. თუ მოქალაქეს შეეყრებოდა რაიმე უბედური შემთხვევა, რის გამოც ის ამოირიცხებოდა მოქალაქეთა დავთრიდან (სიიდან), მაშინ ის კარგავდა მოქალაქის ღირსებას.

3. საქართველოს უმაღლესი მთავრობის შექმნამდე გარკვევით არსად იყო აღნიშნული, მოქალაქეთაგან თუ სახელდობრ ვინ არიან პირველი, მეორე და მესამე ხარისხისა. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფის კანონი, რომელიც მიყენებული ზიანისაღვის სახდელს განსაზღვრავდა, იმ დროს ძალაში იყო და სრულდებოდა.

4. მეფეთა დროინდელი ადათების მიხედვით[81], თბილისში დასახლებული სახაზინო (სამეფო) გლეხი, ანუ საზღვარგარეთიდან გადმოსული, რომელიც სახაზინო უწყებისა ხდებოდა, სურვილისამებრ, თუ იკისრებდა მოქალაქეთა ვალდებულებებს, შეიძლებოდა ჩაწერილიყო ამათ რიცხვში და მაშინ იგი ითვლებოდა მოქალაქედ.

კომისიის მიერ შედგენილ ამ წოდების მქონე თბილისის მოქალაქეთა სიაში შესულია:

1. პირველი ხარისხის მოქალაქეთა — 53 ოჯახი; 2. მეორე ხარისხის მოქალაქეთა — 91 ოჯახი; 3. მესამე ხარისხის მოქალაქეთა— 97 ოჯახი, სულ 241 ოჯახი და ამას გარდა კიდევ 4 ოჯახი, რომლებიც თუმცა მეფეების მიერ შეწირულნი იყვნენ მცხეთის. სვეტიცხოველის ტაძრისათვის (მონასტრისათვის), მაინც ყოველთვის სარგებლობდნენ თბილისის მოქალაქეთა უფლებებით.

მთელი მასალა გენ. პ. ერმოლოვმა განსახილველად გადასცა

---

[81] საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰჯულნი, პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს პუბლიკაცია (იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1938, ნაკვ. 3).

ახალ კომისიას, რომელმაც ახლა თვით მოქალაქეებს მოსთხოვა, რათა ყოველ მათგანს წარედგინა ცნობები თავიანთ უპირატესობათა თუ უფლებათა შესახებ. ამ კომისიამ თავისი მუშაობა დაამთავრა 1818 წ. თებერვალს და მთელი მასალა გადასცა საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოს.

მოქალაქეებმა ზურაბ მელიქიშვილმა, გაბრიელ ცურინოვმა და მირზა გულასპოვმა წერილობით წარდგენილი ცნობით უჩვენეს, რომ 1. ქართველ მეფეთა დროს არ იყო საერთო დავთარი, სადაც შეიძლებოდა ჩაწერილიყო მოქალაქეთა წოდებაში ჩარიცხული და ასეთი რამ რუსეთის მთავრობის დროსაც არ არის. მაგრამ არის გამოსაღებთა გაწერის სიები, რომლის მიხედვითაც მოქალაქენი და სახაზინო გლეხები ყოველწლიურად ხაზინას უხდიდნენ გამოსაღებთ: მალის, მახატისა და მასრაპის სახელწოდებით. კომისიას წარედგინა ეს სიები, საიდანაც ჩანს, რომ პირველ მოქალაქეთაგან ზოგიერთი, შეუძლობისა გამო, შემდგომ წელს ჩაწერილია მეორე ხარისხისად, ხოლო ზოგიერთები მეორე ხარისხიდან გადადიან პირველში.

2. სახაზინო გამოსაღებთა გადახდის მოქალაქეთა გაწერის სიებში შეუძლიათ ჩაეწერონ: სახაზინო (სახელმწიფო) გლეხებს, საბატონო გლეხებს, რომელთაც თავიანთი ბატონისაგან მიიღეს თავისუფლება, და აგრეთვე იმათ, რომლებიც საზღვარგარეთიდან პირდაპირ თბილისში მოვიდნენ და გადაწყვიტეს აქ დარჩნენ სამუდამოდ საცხოვრებლად და იხადონ მოქალაქეებთან ერთად საერთო ბეგარები. მოქალაქის წოდებას ღებულობენ მაშინ, როდესაც სამუდამოდ დასახლდებიან თბილისში, შეიძენენ სახლს ანუ მამულს, ანდა ცოლად შეირთავენ მოქალაქეს და ამასთანავე კისრულობენ (იხდიან) სახელმწიფო ბეგარებს.

3. პირველი მოქალაქეები ისინია, რომლებიც სხვებზე მეტ ბეგარებს იხდიან და ამიტომაც მეტი უპირატესობითაც სარგებლობენ, ვინემ მეორე ხარისხის მოქალაქენი. ანალოგიურადვე, მეორე ხარისხისას უფრო მეტი უპირატესობები აქვს, ვინემ მესამეს და ა. შ... საქმე ისაა, რომ ნაკრებ სიაში ნაჩვენებია არა სამი ხარისხის მოქალაქენი, არამედ სულ... ჩვიდმეტამდე... ერთი სიტყვით, მოქალაქე რაც მეტს იხდის მით უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობს.

4. რუსეთის ხელისუფლების დამყარებიდან მოქალაქეთა საზოგადოებაში შედიოდნენ ახალი მოქალაქენი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო, წავიდნენ რუსეთს, ან

საქართველოს სხვა ადგილებში და გამოსაღებთა გაწერის სიაში აღარ არიან, და

5. სისხლისათვის ყველა თბილისელ მოქალაქეს ნამდვილად ასამართლებდნენ ვახტანგ მეფის კანონების შესაბამისად და ყველა სარგებლობდა ამ კანონით მინიჭებული უპირატესობებით.

ამ მასალათა და საერთოდ თბილისელ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის განხილვისას, ბუნებრივია, ხშირად ხდებოდა მსჯელობის საგანი აქ ვაჭართა გილდიური წყობილების შემოღების საკითხი. გენ. ერმოლოვს მიაჩნდა, რომ რუსეთში არსებულის მსგავსი გილდიური წყობილების აქ შემოღება „არა თუ ოდნავ სარგებლობასაც არ მოუტანდა მთავრობას, არამედ პირიქით, შეიძლება გადაიქცეს ვაჭრობის განვითარების დიდად დამაბრკოლებელ და ეროსახლეობის შემავიწროებელ მოვლენად; რამდენადაც ძველიდანვე, როგორც ქართველ მეფეთა დროს, ასევე რუსეთის ხელისუფლებისას, საქართველოს მცხოვრებთაგან არავის, ვინც სავაჭრო მესარეწეობას ეწეოდა, არავინ არ აბრკოლებდა თავისი სავაჭრო ბრუნვებისათვის გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ და რუსეთის იმპერიის ქალაქებში, რაც იძლევა ერთადერთ შესაძლებლობას მიუხედავად გზის დიდი სიძნელეებისა, მოიტანონ ცხოვრებისათვის ყოველივე აუცილებელი სახმარი საგნები და თანაც საკმაოდ ზომიერ ფასებშიც.

საქართველოს უზენაესი მთავრობის საერთო საკრებულოსაც მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ საქართველოში ვაჭრობა დარჩენილიყო წინანდელ ვითარებაში. მაინც, გენ. პ. ერმოლოვი (1821 წ.) ფიქრობდა, რომ ვაჭართა და საერთოდ ვაჭრობის წაქეზებისათვის დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა მოქალაქეთა ხარისხობრივი (წოდებრივი) გრადაციების ასე თუ ისე შენარჩუნებას.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ადმინისტრაციას მისაღებად მიაჩნდა, რომ თბილისში და საერთოდ საქართველოში სავაჭრო მესარეწეობის მიმდევარი მოსახლეობა დაეყოთ 4 ხარისხად; ამა თუ იმ ხარისხის მოქალაქედ ჩაწერის მსურველთაგან განცხადებისა და აგრეთვე ამისათვის საჭირო ფულის მიღებისათვის უნდა დაეარსებინათ საქალაქო სათათბირო (городская дума)[62], მაგრამ მხოლოდ თბილისში, რამდე-

[62] ...1827 წელს ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაცია იხილავდა თბილისსა და აგრეთვე სამაზრო ქალაქებში городская дума-ს დაარსების საკითხს. საქმის განხილვაში თბილისელ მოქალაქეთაგან მონაწილეობდა ცნობილი დიდვაჭარი ზაქარბეგოვი, რომელმაც ერთ სხდომაზე ითხოვა, რომ: «на их языке дума (დუმა) означает курдючное сало...». ამ უტაქტო ხუმრობისათვის ზაქარბეგოვი სასამართლოში მისცეს... როგორ თუ дума ცხვრის დუმაა... და არა საპატიო საბჭოო (АСКАК, VII, № 914, с. 953).

ნადაც საქართველოს სხვა ქალაქებში ვაჭრობა იმდენად მნიშვნელოვანი არაა და მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა წ ო დ ე ბ ა ც ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ა რ ს ე ბ უ ლ ა; ყველა მსურველს ოჯახითურთ, ბავშვებიანად, ანდა მასთან ერთად ერთ სახლში მცხოვრებ გაუყრელი ძმებიანად, პირველი სამი ხარისხის მოქალაქეთა შორის სასურველში ჩაწერის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შეეტანათ: პირველი ხარისხისა — 200 მან., მეორისას — 100 მან. და მესამისას — 25 მან., მეოთხე ხარისხის მოქალაქეთ კი ერთი ოჯახის შემადგენლობის მამრობითი სქესის ყოველ სულზე უნდა ეხადათ 1 მან. და 50 კაპ.

ამასთანავე ნავარაუდევი იყო, რომ, გარდა საერთო პრივილეგიებისა, პირველი ხარისხის მოქალაქეებს მისცემოდათ ფაბრიკა-ქარხნების გახსნის უპირატესი უფლება, მეორეს — მხოლოდ სახაზინო იჯარათა აღების, ხოლო მესამეს — რუსეთს, საქართველოსა და საზღვარგარეთ ვაჭრობის უფლება; ამათ შეეძლოთ აგრეთვე ყოფილიყვნენ პოლკების მარკიტანტები; მაგრამ ესენი არ დაიშვებოდნენ სამხედრო იჯარებისა და ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელებად და დანაშაულის შემთხვევაში არც ფიზიკური სასჯელისაგან თავისუფლდებოდნენ. მეოთხე ხარისხის მოქალაქეებს შეეძლოთ ეწარმოებინათ მხოლოდ ვაჭრობა და სხვადასხვა ხელსაქმე მხოლოდ საქართველოს (ქართლის, კახეთისა და სომხითის) ფარგლებში, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე.

ვინც ამ ოთხი ხარისხის მოქალაქეთა არც ერთ ჯგუფში არ იყო ჩაწერილი, მას სავაჭრო მესარეწეობის უფლება არ უნდა ქონოდა. ქართველ თავადებსა და აზნაურებს, თუ ისინი მოისურვებდნენ სავაჭრო მესარეწეობას, უფლება ჰქონდათ ჩაწერილიყვნენ, მაგრამ მხოლოდ პირველ ან მეორე ხარისხის მოქალაქეთა სიაში.

თბილისის მოქალაქეთა წოდებრივი და, მაშასადამე, უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ მთელი ეს მასალა და გენ. პ. ერმოლოვის მოსაზრებანი წარედგინა იმპერიის ფინანსთა მინისტრს, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად უნდა გამოემუშავებინათ ერთობლივი დასკვნა. მაგრამ პეტერბურგში ამ ხანებში სხვა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის უფრო დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა იჩინეს თავი და... თბილისელ მოქალაქეთა საქმე კარგა ხნით მივიწყებას მიეცა.

კავკასიის პირველმა ნამესტნიკმა მ. ვორონცოვმა შედარებით მალე მიაქცია მას ყურადღება და 1846 წ. ბრძანა შექმნილიყო საგანგებო კომისია — საქმის განხილვისათვის... ამასობაში თავი წა-

მოყო თბილისელ მოქალაქეთა კიდევ ახალმა ჯგუფმა, რომელთაც თავიანთი ახალი პრეტენზიები წარადგინეს... ამათი გარჩევაც აუცილებელი იყო.

საკითხს გაცნობილი მ. ვორონცოვის აზრით, აქ უხსოვარი დროიდან არსებულ პირველხარისხოვან მოქალაქეთა წოდება, რომელიც ქართველ მეფეთა დროს საგანგებო უფლებებითა და პატივით სარგებლობდა, ყველაზე უფრო უახლოვდება იმპერიაში არსებულ „მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქეთა“ წოდებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ვაჭართა გილდიები[63]. ამიტომაც, ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას ცალკე ახალი პრივილეგიური წოდება, უფრო მიზანშეწონილია თბილისელ პირველხარისხოვან მოქალაქეებს, რომელთა რაოდენობა ახლა უკვე დაზუსტებულია და 79 ოჯახს (გვარს) შეადგენს, მიენიჭოთ მემკვიდრეობითი საპატიო მოქალაქეთა უფლებები. ამასთანავე მ. ვორონცოვი აღნიშნავდა, რომ ამ 79 ოჯახიდან ზოგიერთი უკვე ამოწყდა, ხოლო ზოგიერთმა ამ ხნის მანძილზე უკვე აზნაურის წოდება დაიმსახურა...

1853 წ. 27 დეკემბერს კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართებლობის საბჭომ მიიჩნია, რომ 1816 წ. შედგენილი პირველი ხარისხის მოქალაქეთა პირველი სია, რომელშიც შესულია 53 ოჯახი და კიდევ მცხეთის ტაძრის 7 ოჯახი (სამი შერმე მიემატა!) შეიძლება საბოლოოდ დამტკიცდეს, ხოლო დანარჩენი დარჩეს „არსებულ მდგომარეობაში, სანამ მთავრობა საჭიროდ არ დაინახავს გაავრცელოს ამიერკავკასიაზე შესაბამისი საერთო საიმპერიო კანონები“.

მაგრამ არამცთუ მ. ვორონცოვი ვერ მოესწრო საკითხის გადაჭრას... მის შემდეგ გენ.-ად. ნ. მურავიოვმა 1856 წ. 9 ივლისს, ამ საქმეზე გენ.-ლეიტ. თავად ბებუთოვის მიერ წარდგენილ ვრცელ მოხსენებით ბარათზე დაადვა რეზოლუცია: «Un temps plus propice». ამ რეზოლუციის თაობაზე კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე, აქტების მთ. რედაქტორი დ. კობიაკოვი შენიშნავს: გენ. მურავიოვმა, ეტყობა, უკვე იცოდა, რომ მას მალე უნდა დაეტოვებინა ეს მხარე და ამიტომაც საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემა საჭიროდ აღარ მიიჩნიაო.[64]

საბოლოოდ, 1816 წელს შედგენილ პირველხარისხოვან მოქალაქეთა სიაში დარჩა 79 ოჯახი. ეს სია წარედგინა იმპერატორ

---

[63] შად. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დავით ფურცელაძის პუბლიკაცია, 1964, გვ. 201—2.

[64] ACKAK, XI, № 742, cc. 612—615.

ალექსანდრე II, რომელმაც 1859 წელს დაამტკიცა იგი, ხოლო 1861 წ. ბრძანა, რათა სიაში შეტანილ პირთათვის მიენიჭებინათ მემკვიდრეობითი საპატიო მოქალაქეთა წოდება.

იმპერატორის ბრძანებაში ამასთანავე ნათქვამი იყო:

„ეს წყალობა არ გავრცელდეს მათ შორის იმათზე, რომელთაც ცუდი ყოფაქცევით ანუ საერთოდ ცხოვრებით დაჰკარგეს თავიანთი წოდების ღირსება, სახელდობრ:

ა. ვისაც სასამართლო განაჩენით წართმეული აქვს პირადი და მისი მდგომარეობით მისთვის მინიჭებული ყველა უფლება და უპირატესობა;

ბ. ვინც მხილებულია ბოროტ განზრახულ ბანკროტად (კოტრად) (ვაჭრობის შესახებ წესდების 2 003 მუხ. შესაბამისად) ანუ უბრალო ბანკროტად, მაგრამ ვისაც მისჯილი აქვს პატიმრობა და წართმეული ვაჭრობის უფლება (იმავე წესდების 2 000 მუხ. შესაბამისად) და

გ. ვინც მუშაობს შინამოსამსახურედ ანუ წინათ იყო ასეთ მდგომარეობაში, თუ მას მერმე არ აღუდგენია თავისი წოდების ღირსება საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავებით, ანდა არ მიუღწევია საპატიო მდგომარეობამდე თავისი სავაჭრო ბრუნვების მნიშვნელობით“.

ამასთანავე ამ ბრძანების შესაბამისად კავკასიის ნამესტნიკს. თბილისში უნდა შეექმნა დროებითი კომისია, რათა გამოეკვლინებინათ საერთოდ ყველა პიროვნება, რომელსაც ზემოთქმულის საფუძველზე აქვს მემკვიდრეობითი საპატიო მოქალაქეობის უფლება და შეედგინათ მათი საგანგებო სახელობითი სია.

საპატიო მოქალაქეთა ეს სია მერმე უნდა დაემტკიცებინა იმპერატორს და, ბოლოს, ამ ვაჭარ-მოქალაქეთ უმართებულესი სენატისაგან უნდა მიეღოთ სათანადო მოწმობა: „მემკვიდრეობითი საპატიო მოქალაქის სიგელი“[65].

ამ სიაში შეტანილია იმათი გვარები, რომლებიც მათი ნაშიერებითურთ ამორიცხულნი იყვნენ დანაშაულისას ფიზიკურ სასჯელს დაქვემდებარებულთა წოდებიდან, ე. ი. გამომღებელთა წოდებიდან.

ამგვარად, ამიერიდან ამ სიაში შეტანილი გვარები უკვე არ ეკუთვნიან გამომღებელთა, ე. ი. გლეხთა წოდებას. კიდევ მეტი.

---

[65] АСКАК, XII, сс. 237—238.

არსებითად ისინი გამოვიდნენ საერთოდ ფეოდალური (სენიორული) იურისდიქციის სფეროდან.

ქვემოთ მოგვყავს ამ სიაში შეტანილი 79 ოჯახის გვარების დასახელება: 1. აბესალომოვები: სტეფანე ასრატის ძე და არუთინ გასპარის ძე; 2. აბესალომოვები: სტეფანე და სოლომონ შაქროს ძეები, 3. ამინაშვილი, 4. ახნაზაროვი, 5. ბაისოღოლოვი, 6. ბასტამოვი, 7. ბეზირგანაშვილი, 8. ბუზღულაშვილი, 9. გარსიშვილი, 10. გზირბეჟაშვილი, 11. ღულავაშვილი, 12. გულიფაშოვი, 13. გელულაშვილი, 14. გურგენბეგაშვილი, 15. დალაქბეროვი, 16. ევანგულაშვილი, 17. ეჯიბიშვილი, 18. ზაქარბეგოვი, 19. ზაქარბეგოვი, 20. იზანშადინოვი, 21. იზდანოვი, 22. იზმიროვი, 23. იფრუმოვი, 24. კალინაშვილი, 25. კამაზოვი, 26. კაძბაროვი. (ღამბარაშვილი), 27. ქაპანაკოვი, 28. ქეპინოვი, 29. ქეთხედაშვილი; 30. ქიშმიშოვი, 31. ყუზანაშვილები: დავით, კარაპეტ და მიხეილ გეურქისძენი, ოსეფა და სოლომონ სანველისძენი და სხვ. 32. ყუზანაშვილი სტეფანე, 33. კუკუჯანოვი, 34. მალაკოვი, 35. მანანოვი, 36. მანგოშვილი, 37. მანდეხოვი, 38. მატინოვი, 39. მელიქ-ზურაბიშვილი 40. მელიქ-საკაშვილი, 41. მელიქ-შარმაზანიშვილი, 42. მესანთლიშვილი, 43. მირზამოვილი, 44. მირიმანოვი, 45. მუნტოევი, 46. მუშრიბოვი, 47. ნაზარბეგაშვილი, 48. ოქუაშვილი, 49. პარეუზატოვი, 50. პირადაშვილი, 51. პიტოევი, 52. ფორაქიშვილი, 53. ფრიდონაშვილი, 54. პუგიევი, 55. როტინოვი, 56. სარაჯიშვილი, 57. თავლადაროვი, 58. ტაკოევი, 59. თამამშევი, 60. ტიტოევი, 61. ტერ-ასატუროვი, 62. ტერ-კაზაროვი, 63. ტერშმოან ტერ-ისაევი, 64. იუზბაშევები სოლომონ და მიკირტუმა. 65. იუზბაშევი ისაია და გეურკა. 66. იუზბაშევი გაბრიელ, 67. უსტასიასოვი, 68. ხაკამალოვი, 69. ხარაზიშვილი, 70. ხატისოვი, 71. ხახუტაშვილი, 72. ხუდადოკი, 73. ცუგადუხოვი, 74. ცურინოვი, 75. ჩალოან-ბაბანოსოვი, 76. ჩიფახოვი, 77. შაბუდაგოვი, 78. შერგილოვი და 79. შიოშვილი.

ამ სიაში, როგორც მაშინ ეს საერთოდ იყო მიღებული, ქართული და სომხური გვარები გარუსულებულია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ადრე, ისე მე-19 ს. პირველ ათეულ წლებშიც აქაური სომხები გაქართველებული გვარებით იწერებოდნენ. კიდევ მეტი. მათმა უდიდესმა უმრავლესობამ, გარდა ქართული წერა-კითხვისა, სხვა ენა ნაკლებად თუ იცოდა.

რა თქმა უნდა, ამ სიაში[66] არ შედის ყველა თბილისელი დიდვაჭარი, რომელთა შორის მრავლად იყო თავადაზნაურული წოდების ქართული ოჯახები, რომელთაც, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთ, ცხადია, არ ეხებოდათ ფიზიკური სასჯელის შესახებ არსებული კანონები და, მაშასადამე, არც ის ღონისძიება, რისთვისაც იყო შედგენილი ზემომოყვანილი სია და მასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება-განკარგულებანი.

თვით XIX ს. პირველ ათეულ წლებში არა მხოლოდ თბილისში და საერთოდ საქართველოს ქალაქებში, არამედ განჯასა და

---

[66] АСКАК, XII, сс. 226—227.

ერევანში და ამიერკავკასიის რიგ სხვა ადგილებში თამასუქები ჯერ კიდევ ქართულად იწერებოდა და თამასუქებსა და ხარჯთა სხვადასხვა ნუსხებში ფულის ანგარიშიც ხშირად ქართული ფულით — თეთრით (თბილისის ზარაფხანებში 1832 წლამდე რომ იჭრებოდა) იწერებოდა[67].

თბილისელ ვაჭართა წოდებაში 1816 წლის შემდეგ მომხდარი დიფერენციაციის ერთგვარ სურათს წარმოადგენს კავკასიის არმიის ცალკე კორპუსის საინტენდატოს მიერ 1854 წელს შედგენილი სია: „თბილისელი კაპიტალისტებისა და მეიჯარეთა, რომელნიც ამარაგებდნენ, ანდა რომელთაც შეუძლიათ მოამარაგონ კავკასიის ცალკე კორპუსი", ე. ი. მისი ჯარის ნაწილები საჭირო სურსათ-სანოვაგითა და ამუნიციით.

ამ სიაში შედიან: 1. თავ. ყარამან არღუთაშვილი (არგუტინსკი). 2. პროპ. თავ. ქაიხოსრო მუხრან-ბატონი (მუხრანსკი), 3. კოლეგიის ასესორი შმიდტი, 4. ტიტულ. სოვეტნიკი დუბენსკი, 5. ტიტ. სოვ. ეფენდიევი, 6. გუბ. სეკრ. ივანე მირზოევი, 7. გუბ. სეკრ. იაგორა პიტოევი, 8. კოლ. სეკრ. აივაზაშვილი (აივაზოვი), 9. XII კლასის სოვდაგარი იაკობ ზუბალაშვილი, 10. პროპ. მანდენოვი, 11. XII კლასის სოვდაგარი ტერ-გუკასოვი. 12. XVI კლასის იაგორა თამამშევი, 13. კოლ. რეგ. ნაზარბეგოვი, 14. კოლ. ას. სოლომონ აბესალომოვი, 15. ტიტ. ს. ალექსანდრე თაიროვი, 16. ექიმი გრიგოლ ზუბალაშვილი, 17. პრაპ. იაგორა ტერ-დავიდოვი, 18. კოლ. ას. იაკობ კარასაშვილი, 19. აზნ. გრიგოლ ყორღანაშვილი, 20. მემკვ. საპატიო მოქალაქე იოსებ მირიმანაშვილი, 21. საპატიო მოქალაქე გაბრიელ თამამშევი, 22. ანდრია მანანოვი, 23. გაბრიელ შადინოვი, 24. ალექსი შადინოვი, 25. სოლომონ სარაჯიშვილი, 26. მირო-მირომანოვი, 27. ავთანდილ კუკუჯანაშვილი (კუკუჯანოვი), 28. იაგორა ამირალოვი, 29. სტეფანე ჩიგინოვი, 30. იოსებ ქიშმიშოვი, 31. ივანე ალადაშვილი (ალადოვი), 32. გაბრიელ მელქუმოვი, 33. ავეტიქ კაზაროვი, 34. უსტა-მუსტი-ჰუსეინ-ოღლი, 35. ადამ ფორაქიშვილი 36. ფაშა კვეზერელი, 37. ზაქარია ნარიმანოვი, 38. არტემ ტერ-სარქისოვი, 39. მიხო იოშანოვი, 40. პოღოსა პეტროსოვი, 41. ავთანდილ ახვერდოვი, 42, სოლომონ რევაზიშვილი, 43. ფრიდრიხ ზალცმანი, 44. სოლომონ ქეთხუდაშვილი, 45. პოღოსა ბადალოვი.

ამ უკანასკნელ სიაში ვერ მოხვდებოდა ყველა დიდვაჭარი, როგორც გინდ ძლიერი სოვდაგარი ის არ ყოფილიყო, უკეთუ სახელმწიფოებრივ სამხედრო აპარატში მას არ ეყოლებოდა გავლენიანი მომხრეები.

ახლა აქ ამ სიასთან დაკავშირებით საჭიროა ისიც დავძინოთ,

---

[67] პ. გუგუშვილი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში (თსუ შრომები, ტ. VI, 1937).

რომ საერთოდ სხვადასხვა სახის სამხედრო იჯარა იყო ვაჭართა და მეიჯარეთა გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

გრ. ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაშიც არაერთგზისაა აღნიშნული სამხედრო იჯარების დიდი მნიშვნელობა ღაგროვებასა და მსხვილ ვაჭართა ფორმირებაში. აქ პირდაპირ დასახელებულია, რომ ამ გზით გამდიდრდნენ სოლომონ სარაჯიშვილი, ყარამან არღუთაშვილი, ეფენდიევი, გრიგოლ შადინოვი[68]. თვით ორბელიანთა შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ სამხედრო იჯარები იყო.

გრ. ორბელიანი წერს, რომ კაკაბა ბეზირგანი (ბეზირგანაშვილი, ბეზირგანოვი), ორბელიანთა ყოფილი ბიჭი (მსახური) ახლა სამხედრო იჯარა-მიწოდებათა მეოხებით „დიდი ბერიზგანი, რომლის ხელში ჰტრიალებს ვაჭრობა ასტრახანისა, მაზანდერანისა და გილანისა. მარტო წლეულს მოუვიდა ჩვიდმეტი გემით საქონელი“[69].

მაგრამ როგორც ვხედავთ, ამ სიაში არ შესულა ბევრი გვარი 1816 წელს შედგენილი სიიდან, ე. ი. „მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ი, ს ა პ ა ტ ი ო მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა გ ა ნ“. აქ, გარდა იმისა, რომ მოხსენებულია რიგი ფეოდალური წოდების დიდვაჭარი, შესულია კიდევ არა ადგილობრივი წარმომავლობის კაპიტალისტები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ დიდვაჭართა გვარს ახლა უკვე ამშვენებს რუსული სახელმწიფოებრივ სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურის ტიტულატურა...

ყოველივე ეს უკვე აშკარად მიუთითებს იმ დიდ ძვრებს, რაც 1816—1854 წლების მანძილზე მოხდა თბილისელ ვაჭართა წოდებაში.

ამ ასპექტში საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ქალაქელი ვაჭრები, ისე როგორც ხელოსნები, გაერთიანებულნი იყვნენ კ ო რ პ ო რ ა ც ი ე ბ შ ი, რათა დაეცვათ თავიანთი ინტერესები. ვაჭართა

---

[68] შადინოვები საერთოდ იმ დროს ერთ-ერთი „უმდიდრესი სავაჭრო სახლი“ იყო თბილისში. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი 1847. 4. 10. დაღესტნიდან ილია ორბელიანს სწერს: „გრიგოლ შადინოვიც მოვიდა; ღმერთო, რით ვერ გაძღა ფულებითა ეს ხალხი? მაშ რისთვის მოვიდა აქა, თუ არა ფულისათვისა? — უანგარო სამსახურისათვის?...“ (წერილები, ტ. I, გვ. 150). შადინოვი დაღესტანში, ცხადია, სამხედრო იჯარების ასაღებად იყო ჩასული.

[69] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, გვ. 51, იხ. აგრ. გვ. 69, 102, 115, 133, 141, 150, 165, 196, 204.

ასეთი გაერთიანება უწინარეს თვით ვაჭრობის საგნის (საქონლის სახეობის) კვალობაზე წარმოიშობოდა ხოლმე.

მაგალითად, თბილისელი თ ე ვ ზ ი ს ვ ა ჭ რ ე ბ ი ს გ ა ე რ-თ ი ა ნ ე ბ ა მ (რომლის არსებობა ადმინისტრაციისათვის სწორედ ამ ინციდენტის დროიდან გახდა ცნობილი) გენ. ერმოლოვს მიმართა თხოვნით, რომ თევზით ვაჭრობას და საერთოდ ქალაქის თევზით მომარაგებას ართულებს მრავალგვარი ბაჟები, რასაც მათ ახდევინებენ. გენ. ერმოლოვმა გამოიძია ეს საკითხი, და, როგორც თვით იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავს (1819.5.20), აღმოჩნდა, რომ: ბატონიშვილი სოფიო, გიორგი XIII ასული, კოლ. ას. თავ. ზურაბ ორბელიანთან ერთად ელისავეტპოლიდან (განჯიდან) თბილისში გასაყიდად შემოტანილ ყოველ ურემ თევზზე ახდევინებდნენ 1 მან. ვერცხ. აგრეთვე ასას-ბაში, ე. ი. დუქნების ღამის ყარაულთა მამასახლისი და მებაყლეთა უსტაბაში, ანუ სურსათ-სანოვაგით მოვაჭრეთა მამასახლისი თავიანთ სასარგებლოდ ღებულობდნენ რამდენსამე თევზს ყოველ საპალნე კალმახზე, რაც საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ.

ვაჭართა თაბუნებად (კორპორაციებად) გაერთიანება თვით ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა წოდებრივი მდგომარეობისა და სოციალური პრესტიჟის განვითარების კვალობაზე ჩნდებოდა და მრავლდებოდა. საბოლოოდ კი იგი გ ი ლ დ ი ურ გაერთიანებათა სახით ყალიბდებოდა.

თბილისელ ვაჭართა შემდგომი სოციალური დიფერენციაცია კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარების შესაბამისად მიდიოდა ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებელი ძალით. გაცვლასა და მრეწველობაში, თვით სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში ბურჟუაზიული თანსნობა სულ უფრო წამყვან როლს თამაშობდა, ხოლო ფეოდალურ ურთიერთობათა დამახასიათებელი ნორმები. და ფორმები სწრაფად ირღვეოდა როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და, მაშასადამე, წოდებრივი წყობილების სფეროშიც.

ფეოდალური საზოგადოების რღვევის პროცესში ბურჟუაზიულ წარმოებრივ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების შესაბამისად მოდიფიკაციას განიცდის წოდებრივი საზოგადოების სტრუქტურა.

ცვლილებას უწინარეს ყოვლისა იხამებს და ღებულობს მოძრავი ქონების, საქონლის, საქონელთა-საქონლის ფულადი კაპიტალის მფლობელთა სოციალური ფენები, გაცვლის სფეროში და-

საქმებული და განვითარებული ვაჭარ-ხელოსანთა, მეტადრე კი საკუთრად ვაჭართა წოდება.

წარმოებისა და გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში მიმდინარე ცვლილებები ვერ ეტევიან ფეოდალური ფორმაციის ფარგლებში. ბატონყმური საზოგადოება, როგორც წოდებრივ ურთიერთობათა ფორმა, ადრე თუ გვიან უნდა!დაიშალოს და აქ ყველაზე აქტიური აგენტის როლს გაცვლის დარგებში წარმოშობილი ფერმენტები თამაშობენ. ისინი გამოდიან ფაქტორებად, რომელთა თანმიმდევრული გავლენით სხვა შესაბამის პირობათა არსებობის ვითარებაში ვაჭრული კაპიტალი (купеческий капитал—kaufmanskapital) თანდათანობით გართულებული, გაცხელებული და გაფართოებული გაცვლის ზეაღმავალ საფეხურებზე წარმოქმნილ ბრძმედებში დალბილებისა და გამაგრების პროცესებში გავლით თითქოს შეუმჩნეველად და უმტკივნეულოდ მოგვეევლინება როგორც სავაჭრო კაპიტალი (торговый капитал—handelskapital).

ვაჭრული კაპიტალი წოდებრივი კაპიტალია და ფეოდალური ეპოქის ვაჭარიც ამ ეპოქის წოდებრივი სტრუქტურის ნაშიერია. მის საფუძველზე ვითარდება სავაჭრო კაპიტალი. მართალია, იგი კაპიტალისტური წარმოების წესზე უფრო ხნიერია და კაპიტალის არსებობის უფრო ადრინდელ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ის გამოდის წოდებრივი საზოგადოების ფორმიდან და, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განმტკიცების შესაბამისად, კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელ თვისებებს ღებულობს.

სწორედ ამ მეტამორფოზის პროცესში, რამდენადაც ვაჭრული კაპიტალი სავაჭრო კაპიტალად იქცევა, ვაჭართა წოდება ყალიბდება როგორც ვაჭართა კლასი. იგი, შეიძლება ითქვას, ყველა სხვა წოდებაზე ადრე გამოდის წოდებრივი (ბატონყმური) ფორმაციის წიაღიდან და კლასობრივი ბურჟუაზიული საზოგადოების ფორმირების პირველ საფეხურებზევე ყალიბდება როგორც კლასი — ვაჭართა კლასი.

კავკასიაში ეს მოვლენები ყველაზე ადრე და შესამჩნევად მომწიფდა თბილისში, როგორც ამ ქვეყნის კომერციული, ვაჭრობა-მრეწველობის, საერთოდ ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში.

***

ჩვენ სწორედ ამიტომ განვიხილეთ ამ მოვლენათა ევოლუცია სახელდობრ თბილისის მაგალითზე. თბილისელ ვაჭართა წოდების

სოციალური დიფერენციაციის პროცესში კაპიტალისტური მეწარმეობის ჩასახვა-განვითარების შესაბამისად აქ სხვა რაიონებზე ადრე გამოეყოფა ვაჭართა კლასი, რომელიც რეფორმის მერმინდელ პერიოდში უკვე საბოლოოდ ყალიბდება გილდიური წყობის სტრუქტურაში.

თბილისში, საერთოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი გილდიის ვაჭრის პრივილეგია ჯერ კიდევ 1820-იან წლებში ფრანგმა ნეგოციანტმა კასტელამ მიიღო.

1830-იანი წლების შუაში ო. ევეცკი წერდა, რომ თბილისში სულ რამდენიმე მდიდარი კომერსანტი იყო და მათ შორის მხოლოდ ერთი ერია რუსი — პოსილინი, მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭარი.

მაინც, ვაჭრობა და სავაჭრო კაპიტალი, ცხადია, თვით ვაჭართა კლასიც ვითარდებოდა. ვაჭართა შორის კონკურენციაც ძლიერდებოდა და ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციის სიახლოვეს ყოფნას, უკანასკნელისაგან მიღებულ წამქეზებელ და მდგომარეობაში განმამტკიცებელ ნიშნებს, ტიტულებს.

თბილისის გუბერნატორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე კავკასიის ნამესტნიკი 1856 წ. პეტერბურგში კავკასიის კომიტეტის წინაშე შუამდგომლობს, რათა თბილისელ მოქალაქეს ალექსანდრე თამამშევს მიენიჭოს: „პირადად საპატიო მოქალაქის“ წოდება. ვინაა ა. თამამშევი? ნამესტნიკს საჭიროდ მიაჩნია ცოტა შორიდან დაიწყოს:

თბილისში 1854 წ. იანვრიდან, კომერციული სასამართლოს გახსნის დროიდან, 2,5 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე სავაჭრო ბრუნვების თაობაზე განხილულია 600-მდე საჩივრის საქმე. მათგან ორასამდე მორიგებით დამთავრდა, რომელთა შორის იყო რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი, რომელთაგან: ერთი ეხებოდა თბილისელ მოქალაქეთა ვართანოვების გაკოტრების საკითხს და გამოიხატებოდა 95 ათას მან ვერცხ. თანხაში, ხოლო მეორე — მოქალაქე მელვინოვისას (მელვინეთუხუცესის) — 106 ათას მან. ვერცხ. ასეთ რთულ საქმეებში მორიგების ბედნიერ შემთხვევას კომერციული სასამართლო უნდა უმადლოდეს თბილისელ ვაჭართაგან არჩეულ თავისი წევრის მოქალაქე ალექსანდრე თამამშევის ობიექტურ მოღვაწეობას, საქმის საფუძვლიან ცოდნას და განსაკუთრებულ გულმოდგინებას, და წარმოიდგინეთ, უანგარობასაც[70].

---

[70] შეად. ო. ევეცკი, დასახ. თხზ., გვ. 82.

და, აი, ასეთი მისი მოღვაწეობა კომერციულ სასამართლოში, სადაც ის არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობს, ხოლო მისგან კი ხშირად მოწყვეტილია თავის სავაჭრო საქმიანობას და თანაც თავისი მიუდგომლობისა და ობიექტურობის გამო მტრებსაც კი იჩენს, სამართლიანი არ იქნება ადმინისტრაციის მხრივ დარჩეს უყურადღებოდ... თანაც თუ მას ხელისუფლება რაიმე მხრივ არ წააქეზებს, მაშინ მოსალოდნელი არ იქნება, რომ სხვა დროს, სხვა მდიდარი ვაჭარი ჩადგება მთავრობის ანალოგიურ სამსახურში...

ნამესტნიკს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს თბილისის გუბერნატორ გენ.-მაიორ ლუკაშის თხოვნას; და, აი, ახლა, თავის მხრივ, სთხოვს გენ.-ად. თავ. ჩერნიშევს, რათა მან იმპერატორისაგან გამოითხოვოს, რომ: თბილისელ მოქალაქე ა. თამამშევს, დამსახურებისამებრ, მიენიჭოს პირადად საპატიო მოქალაქის წოდება. და ეს მით უფრო იქნება მართებული, რომ ა. თამამშევი 1842 წელს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში (Закавказский девичий институт) ეკლესიის აშენებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს მედლით[71].

ესოდენ დიდი იყო დიდვაჭართა წადილი და ჭისწრაფება მიეღოთ მთავრობის ჯილდოები. ერთი ოქრო ეკლესიისაათვის, რაც ათი ათასობით ოქრო დაჯდებოდა. მაგრამ ეს ოქროს მედალი გასაღები იყო „პირადად საპატიო მოქალაქის წოდებისა", რაც, თავის მხრივ, კიდევ ბევრად უფრო სარფიანი საქმეების გასაღებს იძლეოდა...

5. ვაჭართა კლასი ნაციონალურ ფარვატერში

ახლა, სანამ ამიერკავკასიაში გილდიური წყობილების შემოღების საკითხს გავაშუქებდეთ, საჭიროა ძლიერ მოკლედ მაინც შევჩერდეთ ადგილობრივ ვაჭართა კლასის ევოლუციის, ასე ვთქვათ, ნაციონალურ ფარვატერზე.

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი, ა. მარკოვი, რომელმაც ადმინისტრაციის დავალებით სპეციალურად შეისწავლა ამიერკავკასიაში ვაჭრობის მდგომარეობა, რათა, აქ ფესვგადგმული სომეხი ვაჭრების შევიწროებისა და გამოდევნის გზით, კონკრეტული ღონისძიებები დაესახათ ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული საქონლისა და რუსული ვაჭრობის საბოლოოდ გაბატონებისათვის, აცხადებს[72]:

---

[71] ЦГИАЛ, ф. КК, 1856, д. № 463, л. 1—2.

[72] А. Марков, Закавказье в торговом отношении (журн. «Русский Вестник», 1884, № 1).

„საერთო დასკვნა, რაც ამიერკავკასიის თანამედროვე მდგომარეობის ყურადღებით განხილვისაგან მე მივიღე, მდგომარეობს იმის ღრმა რწმენაში, რომ ეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრით უხვი მხარე ჩაყენებულია განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში იმის შედეგად, რომ ქვეყნის მთელი მწარმოებლურობის ექსპლოატაციას ეწევიან სომხები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს თითქმის მთელი ვაჭრობა და რომლებიც ამჟამად მიისწრაფვიან მიისაკუთრონ აქ პოლიტიკური ბატონობაც, ცდილობენ რა დაიპირონ ადმინისტრაციული პოსტები. ამავე დროს საეჭვოა ვივარაუდოთ, რომ ისინი ჯეროვნად ემსახურებოდნენ რუსულ ნაციონალურ ინტერესებს. ეს ჩემი რწმენა, ამიერკავკასიაში მოგზაურობით რომ შემექმნა, ემყარება მრავალ ფაქტს, რომელთა აქ წარმოდგენა მე უხერხულად მიმაჩნია“. ქვემოთ ის ამტკიცებს, რომ ასეთი აზრი გავრცელებულია საერთოდ და რომ ასეთივე შეხედულებისაა თვით გარუსებული ზოგიერთი სომეხი, მაგალითად, ისეთი გამოჩენილი მცოდნე ამიერკავკასიის ეკონომიკისა, როგორიცაა „ნახევრადსომხური წარმოშობის“ ს. ზელინსკი...

და რომ ს. ზელინსკის ამიერკავკასიელი ვაჭრების ცხოვრების შესწავლამ ათქმევინა: სხვა (უცხო) ხალხთა შორის ცხოვრებამ შესცვალა სომეხი ვაჭრების ხასიათის ყველა თავისებურება. „შეასუსტა მათი მხედრული სული, განავითარა მათში ფარულობითობა და სიეშმაკე, დაგროვების (გამდიდრების) წადილი, რაც გადაიქცა უსაფრთხო არსებობის ერთადერთ საშუალებათ“[73].

მართალია, ა. მარკოვი ერთგან აღნიშნავს მიწათმოქმედების მიმდევარ სომეხთა დადებით თვისებებს, მაგრამ, მისი აზრით, ვაჭრების მასა ისეთია როგორც მან ზემოთ საერთოდ დაახასიათა და განაგრძობს: ამიერკავკასიაში სომეხ ვაჭრებს ხელში უპირავთ ყველა მსხვილი კაპიტალი, რაც დაგროვილია თითქმის მხოლოდ საინტენდენტოების იჯარების მეშვეობით. ხმები დადის, რომ ზოგიერთი ასეთი კაპიტალი (სიმდიდრე) წარმოშობილია ბოროტეული ბანკროტობის, კონტრაბანდისა და თვით ყალბი ფულების რეალიზაციის გზით... ამბობენ ჩამოსულ სომეხ ვაჭართათვის უცხოა ინტერესები ქვეყნისა, რომელშიც ისინი დასახლდნენ, მათთვის ფულია ყველაზე მთავარი და ფულის შეძენისათვის ისინი თითქმის ყველა საშუალებას შიმართავენ... საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული სომეხი ხშირად თავს ვერ იკავებს და დაბალი ხარისხის საქონელს ურევს ძვირფას საქონელში და ამით მოთხოვნასა და ფასს უკარგავს

[73] შეად. CCK, III, c. 241.

მას (ადგილობრივ ნაწარმს) საზღვარგარეთ[74] და იმავე დროს თავისი აგენტი-შემსყიდველების დახმარებით ავიწროებს სოფლის მოსახლეობას და აბრკოლებს ჰხარის კეთილდღეობის განვითარებას... სომეხი-შემსყიდველი ამიერკავკასიაში ეს იგივეა რაც ებრაელი — შინკარი (მიკიტანი) დასავლეთის გუბერნიებში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შინკარისაგან გაფცქვნილი გლეხი უკანასკნელ გროშებს ხარჯავს ლოთობაში, ხოლო სომეხი ვაჭრის მიერ გაფცქვნილი თათარი უაჩაღი ხდება...“[75].

ამავე დროს „...შეადგენენ რა საქალაქო მოსახლეობის ძირითად ბირთვს და ხელში უპყრიათ რა მთელი ვაჭრობა, უფრო მეტსაც ვიტყვი, მხარის მთელი ეკონომიკური ბედი, სომხები გულმოდგინედ იკავებენ თავიანთ პოზიციებს, ცდილობენ განიმტკიცონ არსებული მდგომარეობა... სომეხი ვაჭრები მსახურობენ რა შუამავლებათ ამიერკავკასიაში რუსული საქონლის გასაღებაში, შიგა რუსეთის მაზრებში ცდილობენ შეისყიდონ დაბალი ხარისხის საქონელი, ოღონდ როგორმე იაფად იყიდონ და გრძელვადიანი კრედიტით...“[76] ამის შედეგად ამიერკავკასიაში იქმნება შთაბეჭდილება რომ „კარგი რუსული საქონელი ან არ არის, ანდა ძლიერ მცირეა“ და ამიტომ კონტრაბანდაც ბუნებრივად მიაჩნიათ....

ამიერკავკასიაში ვაჭრების, ვაჭარ-შემსყიდველთა კლასის ევოლუციისა და წვრილმწარმოებელთა და თვით არისტოკრატიულ მემამულეთა მათი ვალაუვალ მევალეებად გადაქცევის რიგი საკითხი ჩვენ გაშუქებული გვაქვს კიდევ სხვა სპეციალურ მონოგრაფიებში[77], რის გამოც მათ აქ არ შეეხებით.

---

[74] ს. მ ე ს ხ ი, 1874 წ. გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენებური ვაჭარი და ვაჭრობა“, წერდა: „მეცნიერები ამბობენ, რომ ვაჭრობას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვსო; რომ ვაჭრობა თითქმის ყველგან და მუდამ მომეტებულ ნაწილათ მოტყუება არის... „რაც შეიძლება იაფათ იშოვნე და რაც შეიძლება ძვირად გაასაღე!“ — ეს არის ვაჭრობის სწავლა-ჭეშმარიტებაო... ევროპელ, განათლებულ ქვეყნების ვაჭრებზე ამის თქმა ისე თამამათ არ შეიძლება, როგორც ჩვენებურებზე... თავის გამდიდრებისათვის ჩვენებური ვაჭარი არაფერს არ დაზოგავს, ყველა სახსარი კარგია, ყველა გამოსადეკათ მიაჩნია, ნათესავის, ტოლ-ამხანაგის, ნაცნობისა და უცნობის მოტყუება—ყველა გამოდგება. მაკარი მაუდის მაგივრად—დამპალის შეტყუილება, კარგი ფქვილის მაგივრად — ბეფუკებულის გასაღება, მანეთში მანეთის სარგებელის აღება, ყველა ვაჭრობათ, კარგ, მოხერხებულ ვაჭრობათ მიაჩნია!“ (ს. მ ე ს ხ.ი, ნაწერები, 1903, გვ. 219—222).

[75] ა. მ ა რ კ ო ვ ი, დასახ. თხზ., გვ. 176.

[76] ა. მ ა რ კ ო ვ ი, იქვე, გვ. 176—178.

[77] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX სს., მონოგრაფიები, 1949—1965, ტომები I—V.

მართალია, ა. მარკოვს რუსეთის ვაჭრობის ინტერესები ამოძრავებდა და ამდენადვე მის მიერ სომეხ ვაჭართა საქმიანობის შეფასება არ შეიძლება ტენდენციური არ ყოფილიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამიერკავკასიის ვაჭართა კლასში სომეხ ვაჭრებს მართლაც ეჭირათ გაბატონებული მდგომარეობა და ეს გარემოება ასახულია იმდროინდელ როგორც ოფიციალურ დოკუმენტთა არქივებში, ასევე ეპისტოლარულ[78], თვით პუბლიცისტურ, მხატვრულ და საერთოდ ლიტერატურულ წყაროებში.

აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვან. ჩვენი ცხოვრების ისეთი ნიჭიერი დამკვირვებელი, როგორიც იყო გამოჩენილი პუბლიცისტი სერგეი მესხი, 1873 წ. გაზ. „დროების“ ფურცლებზე წერდა:

„თითქმის ყველა კავკასიის ქალაქში ვაჭრები მეფობენ. ყოველის უძრავი და მოძრავი ქონების პატრონები ისინი არიან. ქალაქები რა(ა)? აიღეთ რომელიმე პატარა სოფელი: თქვენ დარწმუნდებით, რომ თითქმის ყველა ამ სოფლის მცხოვრებლების სული და ქონება ერთის ან ორის წვრილი ვაჭრისა ანუ ფულის მასესხებლის ხელშია, რომელიც აქ ჩასახლებულა (ხაზი ჩვენი — პ. გ.), ან რომელსაც ახლა ქალაქიდან გადმოუწვდია ხელი და მუხრუჭივით წაუჭირებია სოფლელების ყელში. ჩვენი გლეხის მამულები, განსაკუთრებით კახეთში და ქართლში, სანახევროდ იმათ აქვთ დაგირავებულები“[79].

მაგრამ კავკასიის ქალაქთა შორის, როგორც ს. მესხი აღნიშნავს, სომეხი ვაჭრები გაბატონებულნი იყვნენ განსაკუთრებით თბილისში.

„...ჩვენი ქალაქის ვაჭრობა სამი თუ ოთხი კაცის ხელშია“, წერდა იგი 1875 წ., ...ყველა სხვა ვაჭარი ამ სამ კაცზეა დამოკიდებული... უამათოთ ქალაქის ვაჭრობას ამჟამად ფეხის გადადგმაც

---

[78] ჰგოდებდა რუსეთის მხედრობის გამოჩენილი სარდალი, ცნობილი ქართველი პოეტი გრ. ორბელიანი: „... სახსენებელი ჩვენის ოჯახისა განჰქრა, ეითარცა სიზმარი!... ჩვენ ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლენ პოღოსოვები, ამოვიანები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპაების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!.... ჩვენ ყაფლანიანი, ვიღუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდად გაჩქარებულნი სოლაღიაანნი, ბარათაანნი, ერისთავნი...“, სწერდა სწორედ ამ ხანებში, ვაჭართა და მევაჭშეთა კლასის გამოუვალ ვალებში გახლართული ქართველი თავადაზნაურობის წოდებრივი დეგრადაციის დიდი მოწმე და ქამთააღმწერელი (ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, 1941, გვ. 112—114).

[79] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, 1903, თბ. ტ. I, გვ. 149.

არ შეუძლია... თუ ისინი შემოსწყრებიან და კრედიტს მოუსპობენ, წვრილი ვაჭრების მომეტებული ნაწილი ერთ წელიწადსაც ვერ გასძლებს... რას მიქვიან ბანკები! ნამდვილი ბანკები ესენი არიან და ეს ჩვენი „სავაჭრო და ურთიერთკრედიტის ბანკები“ იმათვე ხელშია და როგორც უნდათ ისე ატრიალებენ. ყველა საქონლის ფასების აწევ-დაწევა, ჩვენი ბირჟის მდგომარეობა თითქმის მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული...“

„აბა ერთიც ვნახოთ და მაკარიობის დროს ჩ-მა (ჩითახოვმა — პ. გ.) მაგრად მოუჭიროს ხელი თავის ჯიბეებს, ნურავის მისცემს ფულებს; აბა ერთი მ-მა (მანთაშევმა! — პ. გ.) მოინდომოს დაცარიელება თავის უანგარიშო მაღაზიებისა და მიღება ყველა გასესხებული ფულებისა; აბა ო—მ გამოიტანოს თავის ფულები აქაურ ბანკებიდამ და კიდევ ორმა-სამმა ჩასუქებულმა ვაჭარმა შეჰკრან პირი და ერთად იმოქმედონ — და მაშინ ნახავთ, რა მდგომარეობაშიაც იქნება ყველა წვრილი ვაჭრები..., და არა თუ მარტო ვაჭრები და ვაჭრობა, თითქმის ქალაქის გამგეობაზედაც გავლენა აქვთ. ვინც სურთ, იმას ამოირჩევენ ხოლმე ქალაქის წარმომადგენლებად, რაღგან ამომრჩეველები ისეთის ჯაჭვით არიან დაკავშირებულნი, რომ იმათ ბრძანებას ვერ გადავლენ...“[80]

ერთი წლით უფრო ადრე (1874) კიდევ ს. მესხი გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, „ქალაქის ახალი გამგეობა“, წერდა:

ახლანდელი თბილისის კომერციულ ცხოვრებაში წამყვან როლს სომეხი ვაჭრები თამაშობენ; მათ ეკუთვნით უძრავ-მოძრავი ქონების დიდი ნაწილი.

თითო-ოროლა იმერელს, ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მეპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება ჩვენი ქალაქისა სულ სომხების ხელშია. „ერთი სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქსა, და ჯერჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეს...“ ქალაქის 72 დეპუტატიდგან „მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია, ... ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანელი, დანარჩენი სულ სომხები არიან“[81].

---

[80] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, 1903, თბ., ტ. I, გვ. 269—270.

[81] იქვე, გვ. 222—223.

ალსანიშნავია, რომ ქართველი კათოლიკე ვაჭრები, იმთავითვე გამოდიან რა სომეხ ვაჭართა კონკურენტებად, ამასთანავე ქადაგებენ თავიანთი ქართველობისათვის: რომ ისინი მართლა ფრანგები კი არ არიან — ასე უძახიან ჯვაროსნობის დროიდან მცირეაზიაში, კერძოდ მთელს თურქეთში, საერთოდ ევროპელებს. ჩვენ კი კათოლიკური სარწმუნოებისა გამო გვიძახიან ფრანგებს, თორემ ნამდვილად ქართველები ვართო[83].

სწორედ ამ ვითარებამ აიძულა ცნობილი ალ. ორბელიანი საჯაროდ განეცხადებინა (1859 წ.); „ვაჭრობა თუ არ ვისწავლეთ ულუკმოდ დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდევაც გავწყდეთ... მართალია... გვიყვარს მამაპაპური ქცევა, იმათებურად ხელგაშლით ცხოვრება, მაგრამ ის კი არ ვიცით, რომ მაშინდელი დრო სხვა იყო და ეხლანდელი დრო სხვა არის. მაშასადამე, დროის მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოდ"[84].

ანალოგიური ამონაწერები ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა. მაგრამ ქვეყნის კომერციულ და საერთოდ ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ტენდენციები, კერძოდ ვაჭართა კლასის ფორმირებისა და ამ კლასის ნაციონალური შედგენილობის შესახებ, უკვე მოყვანილი ფაქტობრივი მონაცემებითაც ნათელია. ის რაც ადგილობრივი განჭვრეტაუნარიანი ძალებისათვის, მაგალითად, ქართველი პუბლიცისტისათვის ჯერ კიდევ 60—70-იან წლებში ცნობილი და უდავო იყო, ორიოდე ათეული წლის შემდეგ აშკარა ხდება უფრო ფართო წრეებისათვის.

1880-იან წლებში, მას მერმე რაც კარგა დრო გავიდა რეფორმის გატარებიდან, ამასთანავე საფინანსო-საკრედიტო, სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანოების და სხვ. რეფორმის, ე. ი. საერთოდ ქვეყნის მმართველობის უფრო ბურჟუაზიულ ყაიდაზე აწყობის დროიდან; — მას მერმე რაც დამთავრდა თითქმის ას წელს გაგრძელებული და მთელ მსოფლიოში გახმაურებული კავკასიის ომები; — მას მერმე რაც გაძლიერდა შიგა რუსეთის მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობა, გაყვანილ იქნა რკინიგზები და სხვ., გასაგებია, რომ გაძლიერდა რუსული ვაჭრობის პრეტენზიები იმპერიის განაპირა ქვეყნებში.

---

[83] იხ. გაზ. „დროება", 1883, № 153.

[84] ალ. ორბელიანი, ჩვენი საქართველოს საზოგადოება („ცისკარი", 1859. № 10, გვ. 175—176).

სწორედ ამ პრეტენზიების ერთ-ერთი დეკლარაცია იყო ზემოხსენებული ა. მარკოვის სტატია, საიდანაც ჩვენ რამდენიმე ამონაწერი მოვიყვანეთ და სადაც ესოდენ იმპერატიულად არის უკვე გამოცხადებული, რომ ამიერიდან, თურმე უკვე საჭირო აღარაა ამიერკავკასიაში ფეხმოდგმული სომხური ვაჭრობა, რასაც მე-19 ს. დასაწყისიდან მოყოლებული მთელი კავკასიის ომების განმავლობაში, მეტ-ნაკლები ზომით, ყოველთვის აქეზებდა ცარიზმის ადმინისტრაცია: აძლევდა მათ პრივილეგიებს, მონოპოლიებს, სამხედრო იჯარებს, სესხებს, ანიჭებდა საპატიო ვაჭრის, მემკვიდრეობითი მოქალაქის, გილდიურ უპირატესობებსა და სხვ. წოდებებს... ამიერიდან, 1870—1880-იანი წლებიდან მაინც, რაც უკვე მაგრად გრძნობდა საკუთარ ფეხებზე თავს რუსული კაპიტალი საერთოდ და რუსული ვაჭრობა კერძოდ, მით უფრო თავის შეურიგებელ მტრად თვლის იგი სომეხ ვაჭრებს, რომელთაც ხელში ჩაუგდიათ ამიერკავკასიის ეკონომიკური მოძრაობის სადავეები, რაც ამიერიდან უნდა გადავიდეს რუს ვაჭართა ხელში, რომელმაც მას სულ სხვა, „ჰეშმარიტად რუსული" მიმართულება უნდა მისცეს. სწორედ ამიტომაა, რომ ახლა იმპერიის საკავშირო კაპიტალის აგენტები არა თუ სომეხ ვაჭრებს ემუქრებიან, არამედ სტუმრავენ თვით კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს მოხელეებსაც კი, რომელთა უმრავლესობას რეფორმამდელ პერიოდში ადგილობრივი (უპირატესად, ცხადია, სომხური) ვაჭრობის მატერიალური და მორალური წაქეზება თანამდებობრივ მოვალეობად მიაჩნდა. ხოლო საერთოდ ადგილობრივი ბიუროკრატიის მეთაურები ადვილად ურიგდებოდნენ, ეგუებოდნენ და ნაძალადევი ღიმილით ითმენდნენ აქაური ვაჭართა კლასის წარმატებებს.

ასეთი იყო ერთი ასპექტი იმ ნაციონალური და კლასობრივი წინააღმდეგობებისა და ბრძოლებისა რაც აქ ვაჭართა წოდების ვაჭართა კლასად ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარეობდა. მაინც, ვაჭრობა და ვაჭრებიც, როგორც ვაჭრები, ნაციონალური ფარგლებით ნაკლებად იზღუდებოდნენ. ასე იყო ყველგან და ყოველთვის: მოძრავი ქონება ყველა მიმართულებით მოძრაობდა, ჩამოყალიბებული მონეტა მრგვალი, ხოლო ქაღალდის ფული მსუბუქი იყო, რაც მიმოქცევის პროცესს შეესაბამებოდა...

ყირიმის ომის შემდეგ იმპერიაში დაბერილი „განახლებისა და აღორძინების" სიო სულ ძლიერდებოდა... დაიწყო „დიდი რეფორმების" ეპოქა... ბოლოს, 1863 წლის 1 იანვარს გამოქვეყნდა კანონი, რომელიც მოასწავებდა მთელს იმპერიაში ვაჭრობის (უფლები-

სათვის) საფასურის სისტემისა და კერძოდ თვით საფასურის აკრეფის რეორგანიზაციას. კანონში ამასთანავე მითითებული იყო, რომ ამ მხრივ უნდა გაეთვალისწინებინათ იმპერიის სხვადასხვა განაპირა ქვეყნებში არსებული სპეციფიკური პირობები და ადრე მიღებული განსხვავებული კანონები[85].

1863 წ. 1 იანვრის კანონის შესაბამისად კავკასიის ნამესტნიკმა მ. რომანოვმა ბრძანა: გილდიაში ჩაწერის მსურველებს ვაჭრობის (ნებართვის, უფლების) მოწმობა მიეცემათ: პირველი გილდიის ვაჭრებს — 265 მან., ხოლო მეორე გილდიისას — 65 მან. გადახდის შემდეგ ერთი წლის ვადით. ნამესტნიკის ეს ბრძანება იმპერატორმა დამტკიცა 1865 წლის 29 იანვარს.

ამასობაში ვაჭრობისა და მესარეწეობის საფასურთა შესახებ 1865 წ. 9 თებერვალს გამოიცა ახალი საიმპერიო კანონი... კავკასიის ნამესტნიკმა თავის მმართველობაში მხოლოდ 1872 წ. დასვა საკითხი ამ კანონის ამიერკავკასიაზე გავრცელების შესახებ, რაც „დროულად" და სასარგებლოდ მიიჩნიეს... 1874 წ. 22 თებერვალს მიხ. რომანოვი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს სთხოვს ეს საქმე შეათანხმოს იმპერატორთან[86].

6. გილდიური წყობილება

1824 წ. 11 ნოემბრის რუსეთის იმპერატორის მანიფესტით დამტკიცებული გილდიური წყობილება არ გავრცელდა: რუსეთ-ამერიკის კომპანიის სოფლებზე, კამჩატკაზე, ბესარაბიაზე, საქართველოსა და იმპერიის ზოგიერთ სხვა ტერიტორიაზე[87].

ამ საკანონმდებლო აქტის შემქმნელთა რწმენით, იმ ხანებში საქართველოში მოქმედი 1821—1831 წწ. შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი ისედაც ფრიად მავნებელი იყო შიგა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის თვალსაზრისით[88] და ამიტომ გილდიური წყობილების საქართველოზე გავრცელება მით უფრო დაუშვებლად მიაჩნდათ, რომ მას შეეძლო ხელი შეეწყო ადგილობრივი კომერციული თაოსნობის უფრო გაძლიერებისათვის. ამ ძალებმა საბოლოოდ მართლაც მიაღწიეს იმას, რომ ხსენებული შეღავათიანი ვაჭრო-

---

[85] ЛОЦИА, ф. КК, 1874, д. № 60, лл. 5—6.
[86] ЛОЦИА, ф. КК, д. № 637, л. 7.
[87] ЛОЦИА, ф. КК, д. № 60, 1874—1875. лл. 1—24.
[88] იქვე, ფურც. 6.

ბა და ტრანზიტი ვადაზე ადრე, სახელდობრ 1831 წ. 3 ივნისის კანონით აიკრძალა[89]. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში აღორძინების გზაზე შემდგარი ახალი მეურნეობრივი თაობნობის ფრიად შესამჩნევი შეზღუდვა-შეფერხება... უცხოელი და ადგილობრივი კომერსანტების ნაწილი აქედან წავიდა...

ბოლოს, 1839 წ. 7 თებერვალს გამოვიდა ახალი კანონი: იგი ამიერკავკასიაში მოწვეულ უცხოელ ნეგოციანტებს ზოგიერთ შეღავათს ანიჭებდა[90]. ამ კანონში ვკითხულობთ: „თუმცა გილდიური დებულება ამიერკავკასიის მხარეზე ჯერ კიდევ არ გაკრცელებულა, მაგრამ მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით ამქრებს და გილდიებში ჩაწერის მხრივ უცხოელებს ენიჭებათ შეღავათები“.

მაგრამ ეს არსებითად მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის დადგენილება იყო. საქმე ისაა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ მთელი 1821—1839 წწ. მანძილზე გაგრძელებული ვაჭრობის პოლიტიკა არსებითად ეხებოდა მხოლოდ რუსეთის უცხოეთთან ვაჭრობის საკითხებს, ისე რომ სავსებით უყურადღებოდ ტოვებდა „ამიერკავკასიაში ვაჭართა წოდების უფლებრივ მდგომარეობას“.

***

მას მერმე, როდესაც ამიერკავკასიაში მოსახლეობის ძირითადი მასების უზომო ძარცვისა და ექსპლოატაციის, სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატიის სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე განუკითხველი და უკონტროლო პარპაშის პირობებში დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, და საიდუმლო დამკვირვებელთა ინფორმაციით საქმე ისე მიდიოდა, რომ ხიშტებითაც კი შეუძლებელი იქნებოდა ხალხის მორჩილებაში ყოლა, იმპერატორმა აქ ვითარების შესასწავლად მოავლინა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ბარონი პ. განი.

მისი დაკვირვების ერთ-ერთი საგანი იყო მოსახლეობის ფეულად და ნატურალურ გადასახდელთა, ე. ი. ქვეყნის ფინანსური მმართველობის საკითხების შესწავლა. საქმე ისაა, რომ ბეგარების,

---

[89] II, ПСЗРИ, 1831, № 9868.
[90] II, ПСЗРИ, 1839, № 12002.

გამოსაღებების, საფასურების, გადასახადების გაწერისა და აკრეფის კოლონიური სისტემა იყო ერთ-ერთი ყველაზე მუხანათური და აუტანელი ტვირთი, რაც ზოგჯერ უშუალო მწარმოებელთა მასებს ხელიდან აცლიდა აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც კი.

ბ. განს უნდა მოეგროვებინა ცნობები საერთოდ გამომღებელი წოდებისა და მ. შ. ქალაქის მცხოვრებთა დაბეგვრის ხასიათის შესახებ. ამ მონაცემთა მიხედვით (1842) ქალაქში მცხოვრებნი (ობივატელები), რომლებიც გამომღებელთა წოდებას ეკუთვნოდნენ, გამოსაღებთა გადახდის მხრივ იყოფოდნენ: 1. ვაჭრებად, 2. ხელოსნებად, 3. ნოქრებად და 4. მიწათმოქმედება-მებაღეობას მიმდევარ გლეხებად. თავის მხრივ ვაჭრები, ვაჭრობის ხასიათისა და მოცულობის მიხედვით, იყოფოდნენ სამ კლასად, რომლებშიც ჩაიწერებოდნენ აგრეთვე სხვა ქალაქელი სტუმრები და უცხოელები, რომელთაც ქალაქში სურდათ ეწარმოებინათ გაცვლის ოპერაციები.

ვაჭრები და ხელოსნები (ესენი იყოფოდნენ ორ კლასად: 1. ოსტატები, რომელთაც ჰყავდათ ქარგლები ან მუშები და 2. რომელნიც მხოლოდღა თვითონ მუშაობდნენ), იმის მიხედვით თუ რომელ კლასს ეკუთვნოდნენ, ღებულობდნენ შესაბამის ბილეთებს. ვაჭრის თანაშემწეები (ბ/მგ. ნოქრები — „სიდელცები“), ნოქრები და გამყიდველები („ბიჭები“) გამოსაღებს იხდიდნენ თავიანთი წოდებრივი კუთვნილების მიხედვით და გარდა ამისა მეპატრონეები მათზე იხდიდნენ ვაჭრობის თავიანთი თანრიგის (კლასის) შესაბამისად[91].

გენ. გოლოვინს მიაჩნდა (1842), რომ თბილისში ტრადიციულად არსებული მოქალაქეთა წოდება და საქალაქო კორპორაციული ორგანიზაციები „თავიანთი არსებით გამოხატავენ გილდიებსა და ამქრებს და სავსებით მისაღებია მთავრობის მიზნებისათვის“... აქ გილდიური წყობილების შემოღება მთავარმართებელს „მით უფრო ნაადრევად მიაჩნია, რომ საქალაქო წოდება კიდევ ჩამოუყალიბებელია, რამდენადაც აქამდე ყველა ქალაქელი, რომლებიც გამოსაღებთაგან თავისუფალი არაა, ითვლება ამა თუ იმ უწყების გლეხად...“ ამასთანავე მას შესაძლებლად მიაჩნია გილდიაში შესვლის ნება მიეცეს იმას, ვინც ამას თვითონ მოისურვებს.

ფინანსთა მინისტრის ბეზაკის აზრით, ამიერკავკასიის ქალაქები საქალაქო წოდებათა დაბეგვრის თვალსაზრისით უნდა დაე-

---

[91] ЛОЦИА, ф. КК, 1842, д. № 104, лл. 5—6.

ყოთ სათანადო ნიშნის მიხედვით, ხოლო გილდიაში შესვლის მსურველნი უნდა დაეყოთ სამ კლასად (თანრიგად): 1. უცხოეთთან და რუსეთთან ბითუმად მოვაჭრენი; 2. რამდენიმე მაღაზიის ან დუქნის მქონებელნი და 3. 1 დუქნის პატრონები. ამასთანავე თურქმენჩაის ტრაქტატის (1813) შესაბამისად ამიერკავკასიაში დროებით მოვაჭრე სპარსელები თავისუფლდებოდნენ უცხოელ ვაჭრებზე დაწესებული გადასახდელისაგან.

ამ პროექტით, ფულადი გამოსაღები დაბა-ქალაქად და სოფლად მოვაჭრე პირველი თანრიგის ვაჭრისა უდრიდა 50 მან., ნოქრისა — 8 მან., ვაჭრის თანაშემწისა — 5 მან., მეორე თანრიგისა, თანმიმდევრობით: 25, 4 და 2 მან; მესამე თანრიგისა: 12 და 1 (აქ ნოქარი არ იგულისხმება). პირველი თანრიგის ხელოსანი იხდიღა 6 მან., მისი ქარგალი თუ მუშა — 1 მან., ხოლო მეორე თანრიგის ხელოსანი 3 მან. (აქ ნოქარი და მუშა არ ივარაუდება)[92].

***

1845 წ. მ. ვორონცოვმა დასპიკ-დიუკრუასს დააკალა შეედგინა ამიერკავკასიაში ვაჭართა წოდების შემოღების პროექტი. დიუკრუასი 1845 წლის 25 ოქტომბერს წერდა, რომ ეს წამოწყება ადგილობრივ ვაჭართა მიერ ადრე სიამოვნებით იქნებოდა მიღებული, რამდენადაც იგი მათ პირდებოდა რიგ უპირატესობებს და, ამასთანავე, გააძლიერებდა ჩვენს სახაზინო შემოსავალსაც; „მაგრამ ახლა საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს მისი განხორციელებაო“.

საქმე ისაა, რომ სწორედ იმ ხანებში მოსკოველ ვაჭართა კომპანიამ თბილისში გააჩაღა საცალო ვაჭრობა. დიუკრუასი წერს: „რუსული კომპანიის საცალო ვაჭრობამ ისე ჩაშალა ადგილობრივ ვაჭართა საქმეები, რომ ესენი ახლა მხოლოდ თავიანთი ვაჭრობის შეწყვეტაზე ფიქრობენ და მათ შეაძრწუნებს იმის გაგება, რომ განზრახულია მათი დაბეგვრა ახალი გადასახდელით“. ასეთ ვითარებაში დიუკრუასი იმედოვნებს: ეს „საქმე აქამდე საიდუმლოდ რჩება და საეჭვოა ადგილობრივ მცხოვრებთაგან იგი ვინმემ გაიგოსო“[93].

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ჩინოსანთა ნაწილი, მათ შორის დიუკრუასი წინააღმდეგი ყოფილა, რუს ვაჭართა კომპანიას აქ დაეწყო საცალო ვაჭრობა: „მე რაც ღონე შემსწევდა პროტესტს

---

[92] ЛОГИА. ф. КК. 1842, д. № 104, лл. 9—11.
[93] ЦГИАЛ АВПКБ, ф. КК, д. № 673, 1847—1849, лл. 1—2.

ვაცხადებდი რუსული მაღაზიის წინააღმდეგ. მაგრამ უშედეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი რწმენით, თვით კომპანიამ, ხელი შეუკიდა რა საცალო ვაჭრობას, უჩვენა, რომ არ იცის თავისი საკუთარი სარფიანობის საქმე და ნაცვლად დიდი და საყოველთაოდ სასარგებლო წამოწყებისა, რაც მისგან იყო მოსალოდნელი, მთელი თაოსნობა ჩამოახურდავა დუქნის ვაჭრობამდე, რაც საქმეს უფუჭებს ყველა ვაჭარს, ხოლო თვითონ მას მცირე სარგებლობას მოუტანს"[94].

იგი ამასთანავე აღნიშნავს, რომ ამ ხანებში აქ. რუსეთის მთავრობის მოწვევით, ყოფილა რამდენიმე უცხოელი. მათ შორის პრუსიის მთავრობისაგან გამოგზავნილი ლევენგაგენი, აქაური ვაჭრობის მდგომარეობის შესასწავლად, აგრეთვე ვინმე გრაფი კურტიე, რომელსაც, ეტყობა, საფრანგეთის მთავრობისაგან დავალება აქვს შეისწავლოს ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დასახლებანი, — „ამ გამოცდილების ალჟირში გამოყენების მიზნით". დიუკრუასს მიაჩნია, რომ ლევენგაგენი კომერციის საქმის კარგი მცოდნეა და იგი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ფიქრობს, რომ აქაური საბაჟო ტარიფისა და სხვა კანონთა პირობებში გერმანელ ვაჭრებს არ შეეძლებათ აქ ხელი მიჰყონ ვაჭრობას ან სატრანზიტო ოპერაციებს[95]. დასასრულ, იგი შენიშნავს, რომ აკადემიკოსი მ. ბროსე აქ ეწევა დიდ კვლევა-ძიებას და იგი შეიყვარეს კიდევაც, როგორც კეთილი და სწავლული ადამიანი.

ადგილობრივი ადმინისტრაციის აპარატში საბოლოოდ დაზუსტებული, „ამიერკავკასიაში ვაჭართა წოდების" უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების, დიუკრუასისეული პროექტი 1847 წელს უკვე დაადგა ინსტანციების გზას. ამ პროექტის მიხედვით აქ უნდა შემოეტანათ იმ დროს შიგა რუსეთის გუბერნიებში მოქმედი „ვაჭრობის საერთო დებულება" — ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით.

მაგრამ, სანამ ეს პროექტი ბიუროკრატიულ აპარატში ბოლომდე გააღწევდა, „მალე" დაიწყო ყირიმის ომი და, ამგვარად. ამიერკავკასიაში გილდიური წყობილების შემოღების საქმე ერთხნობით დავიწყებას მიეცა...

ამ ასპექტში საჭიროა აღინიშნოს ადგილობრივ ვაჭართა კლასის მიერ კორპორაციულობის, საკუთარი, სახელდობრ კომერცი-

---

[94] ЦГИАЛ АВПКБ, ф. КК, д. № 673, 1847—1849, лл. 1 2.

[95] იქვე, ფურც. 3.

ული, ე. ი. კლასობრივი ინტერესებისათვის მათი შეკავშირების მიმართულებით გადადგმული ერთი ნაბიჯი.

1855 წ. 7 იანვარს გაიხსნა თბილისის კომერციული საკრებულო (Тифлисское коммерческое собрание), სადაც საკრებულოს წევრები იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ თავიანთ საქმეებზე. ამ ორგანიზაციასთან გაერთიანდა 1839 წ. დაარსებული „კეთილშობილთა“ საკრებულო. კომერციული საკრებულოს ახალი წესდება 1861 წ. დაამტკიცა კავკასიის ნამესტნიკმა. საკრებულო ღებულობდა პერიოდულ გამოცემებს, მ. შ. უცხოურსაც. აქ ყოველდღე იყო სადილი და ვახშამი „ზომიერ ფასებზე“. თვეში ერთხელ იმართებოდა „საღამო ადგილობრივი ქალბატონებისათვის“. ხუთშაბათობით იმართებოდა ბაზარი და ადგილობრივი და იმპორტული საქონლის გამოფენა. 10 იანვარს საკრებულომ აირჩია პირველი მამასახლისები: საპატიო მამასახლისი შეიქნა თბილისის ქალაქისთავი ა. შ. სვეჩნიკოვი, ხოლო მამასახლისები გახდნენ ი. გ. თამამშევი, ს. ზ. სარაჯიშვილი, ე. გ. ეჯუბოვი, მ. გ. ქეთხუდაშვილი, დ. ი. იზმიროვი, გ. ს. სარქისოვი, ა. დ. მანანოვი და ი. ს. შადინოვი. უფრო იკრიბებოდნენ საღამოობით. როგორც ჩანს, მთავარი გასართობი იყო ნარდის თამაში და სხვ[96].

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ათიოდე წლის შემდეგ, 1866 წ., წამოიჭრა საკითხი „კავკასიის მრეწველთა საზოგადოების“ დაარსების შესახებ. მაგრამ ეს საზოგადოება, როგორც ჩანს, უპირატესად ისევ ვაჭართა საკრებულოს ანალოგიური რამ უნდა ყოფილიყო...[97].

***

თბილისის გუბერნატორის 1862 წლის მოღვაწეობის ანგარიშგებით მოხსენებაში აღნიშნულია, და ეს ცნობა ტრაფარეტულად მიდიოდა რიგი წინა ათეული წლების მანძილზე შედგენილ ყველა ანალოგიურ დოკუმენტში, რომ ამ გუბერნიის ქალაქთა მოსახლეობა შედგება მოქალაქეებისაგან (ეს ტერმინი სწორედ ასე რუსული ანბანით და ქართული გამოთქმით იწერებოდა), ე. ი. ქალაქელთა და გლეხთაგან. ეს უკანასკნელნი იყვნენ ქალაქზე მიწერილი სახელმწიფო (სახაზინო), საბატონო და საეკლესიო გლეხები. ქ. თბილისში არსებობდნენ ამქრები და ამქრული წყობილების

[96] АСКАК, XI, с. 968; XII, с. 1358.
[97] ЛОЦИА, ф. КК, 1866, д. № 134.

ჩამოყალიბებულობის მხრივ თბილისს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა, არა თუ კავკასიაში, არამედ მთელს იმპერიაშიც. „ყოველი ხელობა ანუ მესარეწეობის დარგი შეადგენს განცალკევებულ ამქარს, რომელსაც ჰყავს თავისი უსტაბაში (მამასახლისი) და მისი მოადგილეები, შინაგანი მეურნეობრივი გამგებლობისათვის“[98].

ქვემოთ აღნიშნულია, რომ „მეთუნეუხჩეთა ამქარს თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია თბილისში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნაცვალგებოდ მიიტანოს წყალი და სანიმუშო კეთილსინდისიერებით ასრულებდეს ამ ვალდებულებას“. ამქრული კორპორაციების არსებობას, ასეთ დადებით ხასიათთან ერთად, ნათქვამია ანგარიშგებაში, აქვს თავისი კაპიტალური ნაკლოვანებანი, რომელთაგან უმთავრესია ურთიერთშორის და საერთო შეთანხმება ფასების აწევის დროს[99]. „ამასთანავე ამქრის არცერთი წევრი, დასჯის შიშით, ვერ გაბედავს არ დაემორჩილოს უსტაბაშის განკარგულებას. მაგრამ მრავალ შემთხვევაში ეს დაწესებულება სასარგებლოა, განსაკუთრებით ქ. თბილისის 15-ათასიან ხელოსნურ მოსახლეობაში პროლეტარიატის მოსპობის თვალსაზრისით, რამდენადაც ყველა ამქარი საკუთარ ხარჯზე ინახავს თავის უღარიბეს წევრთა ქვრივ-ობლებს, და, რაიმე პოლიციური განკარგულების შესრულებისას, რამდენადაც ამ დროს ნაცვლად იმისა, რომ საქმე გვქონდეს ხალხის მასასთან, გამოიძახებენ მხოლოდ უსტაბაშებს“.

გუბერნატორის ანგარიშგებაში მინიშნებულია, რომ თბილისში მოქალაქეთა შორის არიან კიდევ „უმაღლესი თანრიგის პირველხარისხოვანი მოქალაქენი“ (Высший разряд первостатейных мокалаков). — ესენია ძველად, ჯერ კიდევ ქართველ მეფეთა დროს თბილისში, საქართველოს დედაქალაქში დასახლებულ მოქალაქეთა ნაშიერნი (შთამომავალნი). ისინი სარგებლობდნენ რიგი უპირატესობით, და, როგორც ვიცით, თავისუფალნი იყვნენ ფიზიკური სასჯელისაგან.

თბილისში ქალაქის მუდმივი მოსახლეობის ნაწილი, ობივატელები (обыватели), რომლებიც ეწეოდნენ ვაჭრობას, იხდიდნენ გამოსაღებს (подать), რასაც მასრაპი[100] ეწოდებოდა და ამას

[98] ЛОЦИА, ф. КК, 1863, д. № 108, лл. 4—6.

[99] იქვე, ფურც. 6.

[100] მასრაპი (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არაა). როგორც ჩანს, შეზოლებული იყო ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე და უმთავრესად წარმოადგენდა გამომღებელი წოდების ქალაქელ ვაჭრებზე, ვაჭრობის უფლებისათვის, დაწესებულ მოსაკრებელს. ვრცლად იხ. ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864 წწ.), 1975, თბ. გვ. 393—398.

გარდა იხდიდნენ კიდევ სავაჭრო ბილეთისათვის, რაც სავაჭრო საწარმოს განსხვავებულობათა (სიდიდის) მიხედვით ხუთი თანრიგისა იყო. მაგრამ ეს აქამდე არსებული დაყოფა მიჩნეულ იქნა ფრიად დაწვრილებულად, რაც ნაკლებად აღწევდა თავის მიზანს და ამიტომაც 1862 წლიდან სავაჭრო საწარმოს (დაწესებულების) გახსნის ბილეთები იყოფოდა ოთხ თანრიგად და ეძლეოდა ვაჭრებს მათი სავაჭრო ოპერაციების მოცულობის შესაბამისად.

ქალაქელ ხელოსანთა ამქრულ კორპორაციას ჩვენ სპეციალური მონოგრაფია მივუძღვენით[101] და აქ ამაზე გაკვრითაც არ შეეჩერდებოდით, რომ მას უშუალო კავშირი არ ჰქონდეს ვაჭართა კლასის სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის პროცესთან. კიდევ მეტიც. როგორც თავის ადგილას ნაჩვენები მაქვს, ხშირად ვაჭრები, განსაკუთრებით ხელოსანთა წრიდან გამოსული ვაჭრები, რჩებოდნენ ამქრის წევრებად და, რაც მთავარია, ამქრულ კორპორაციებს, ქალაქის მმართველობაში თავიანთი დიდი გავლენის მეოხებით, ადვილად იყენებდნენ საკუთარი, ე. ი. ვაჭართა კლასის ინტერესებისათვის, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული.

ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარავდება 1850-იანი წლებიდან, რა დროიდანაც სახელმწიფო გამოსაღებთა გადამხდელ ქალაქელ ხელოსანთა შორის ვაჭარ-ხელოსნების გავლენა ყოველდღიურად ძლიერდებოდა, მით უფრო რაც ხელოსანი-ვაჭარი თუ ვაჭარი-ხელოსანი უპირატესად ან სავსებით ვაჭარი ხდებოდა, რომელშიც დაბუდებული ბურჟუაზიული თაოსნობის ჭია მას როგორც ვაჭარს, როგორც მეიჯარეს უკვე ამქრისწევრ ხელოსანთა და ქარგალთა ექსპლოატაციის ხარჯზე გამდიდრების მადას უღიზიანებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ გილდიური წყობილების შემოღების დაგვიანებაც, ცხადია, აძლიერებდა ვაჭართა მონდომებას, რათა მათ ფეხები რაც შეიძლება მაგრად ჰქონოდათ მოდგმული ხელოსანთა ამქრულ კორპორაციებში.

1865 წ. 9 თებერვლის კანონის ამიერკავკასიაზე გავრცელება[102] მხოლოდ ათი წლის შემდეგ, სახელდობრ 1875 წ. თებერვალს, უმართებულესი სენატის წარდგინებით, დაამტკიცა იმპერატორმა[103]. ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით შედგენილი ინსტრუქციის თა-

---

101 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. V, გვ. 162—337.

102 ЛОЦИА, ф. КК. 1863, д. № 108, лл 21 -27

103 იქვე, იგივე ფონდი, საქმე № 83, 1870—1873, ფურც. 153.

ნახმად, ამიერიდან, საერთოდ ეს საქმე შედიოდა ნამესტნიკის კომპენტენციაში[104].

7. გილდიის ვაჭრები

უკვე 1880 წელს, ვაჭრობის ნებართვის გაცემის დავთრის მიხედვით, თბილისში იყო პირველი გილდიის 49 ვაჭარი; მ. შ. 19 ეწეოდა მხოლოდ მოიჯარეობას; 7 — იყო მანუფაქტურის ვაჭარი და მეტრანზიტე; 6 — მეტრანზიტე; 4 — კოლონიური საქონლის ვაჭარი: 3 — ბანკირი; 2 — შაქრის ვაჭარი; 2 — მეტალის ნაკეთობათა, რკინაკავეულისა და 7 — სხვადასხვა საქონლის ვაჭარი.

მეორე გილდიისა იყო 1003; მ. შ. ვაჭრობდნენ: მანუფაქტურით — 180; გალანტერეით — 117; საბაკალეო და კოლონიური საქონლით — 72; ღვინით — 62; რკინაკავეულით — 26; მაუდით —26; შაქრითა და ჩაით — 20; მეიჯარე იყო —35; თამბაქოს ფაბრიკანტი და ვაჭარი — 27, დანარჩენი — სხვადასხვა საქონლის რეალიზაციას ეწეოდა.

პირველ ხანებში გილდიებში ჩაწერას, როგორც ჩანს, არც თუ ისე ხალისით ეტანებოდნენ. მაგრამ თანდათანობით გილდიის ვაჭრად ყოფნა, როგორც საპატიო ტიტული, მიმზიდველი ხდება, რომ არა ვთქვათ რა იმის შესახებ, რომ იგი იძლეოდა საესებით გარკვეულ უფლებებს ყოველგვარ კომერციულ საქმიანობაში.

1883 წ. თბილისელი გ ი ლ დ ი ის ვ ა ჭ ა რ თ ა დ ა ვ თ ა რ შ ი ირიცხებოდა პირველი გილდიის ვაჭარი და მეიჯარე სულ 61 კაცი:

1. ალელოვი ი. დ. (შაქრის ვაჭარი — შ. ვ), 2. ალიბეგოვი გ. ბ. (ჩაის ვაჭარი), 3. ალიბეგოვი ა. ი. (მეიჯარე — იჯ.), 4. ადამოვი ა. ა. (იჯ.), 5. ალექსანიანცი ს. გ. (ტრანზიტ. ვაჭარი — ტრ. ვ.), 6. აივაზოვი ა. გ. (იჯ.), 7. არამიანცი მ. ო. (მაუდის ვაჭარი—მდ. ვ.), 8. აჯი-აბულ-ზოგრაშზადე (მდ. ვ.), 9. ბაგრატიონ-მუხრანსკი ი. ბ. (ბანკირი — ბ.), 10. ბაინდუროვი ი. ი. (იჯ.), 11. ბუნგე ა. ი. (იჯ.), 12. ბეგთაბეგოვი ნ. ი. (იჯ.), 13. ბეკხანოვი ბ. ნ. (ბ.), 14. განჯუნცოვი მ. გ. (კოლონ. საქონ. ვაჭარი — კსვ), 15. გურგენოვი ი. ი. (კსვ), 16. გურგენოვი ა. ი. (კსვ), 17. დოჩარი ი. ი. (იჯ.), 18. ჯიმშეროვი ი. ბ. (ბ.), 19. ეჯუბოვი ე. გ. (ტრ. ვ.), 20. ზამიატინი ბ.(იჯ.), 21. ზეინალოვი ა. კ. (იჯ.), 22. კოკჩაკოვი ბ. ი. (კსვ), 23. ქართველოვი გ. დ. (იჯ., თევზ. ვაჭ.), 24. კევორკოვი ს. მ. (იჯ.), 25. კასუმოვი გ. მ. (იჯ.), 26. კილიტჩევი ქრ. (ტრ. ვ.), 27. მანთაშევი ა. ი. (მანუფაქტ. საქონ. ვაჭ — მნფ.), 28. მელიქ-ყაზარიანი ა. ა. (შ. ვ.), 29. მატაფოვი კ. ა. (მნფ), 30. მამედ -აღა ფ. ბ. (იჯ.), 31. მნაცაკანოვი გ. გ. (შ. ვ.), 32. მარქაროვი ო. გ. (მდ. ვ.), 33. მელიქოვი ი. ი. (იჯ.),

---

[104] Свод законов устава о пошлинах, V, стр. 464.

34. მირიმანოვი დ. ი. (იჯ.), 35. მელვინოვი გ. ი. (იჯ.), 36. მირზოიანი მ. ი.(მნფ), 37. პიტოლეევი ი. ი. (იჯ.), 38. პონდოლევი ს. გ. (მნფ), 39. ფრიდონოვი ნ. ფ. (იჯ.), 40. ფრიდონოვი ი. გრ. (იჯ.), 41. ფრიდონოვი ა. ფ. (ბ), 42. როსტომიანი მ. (შ ვ.), 43. რიშარი ი. ვ. (მნფ), 44. როტინოვი ი. ს. (მნფ), 45. ტაიროვი ა.ლ. (იჯ.), 46. ტაიროვი ა. ნ. (შ. ვ.), 47. ტერ-მიქელოვი ბ. (იჯ.), 48. ტერ-აკოპოვი ა. პ. (შ. ვ.), 49. ტერ-თგანესოვი ს. პ. (იჯ.), 50. ტელიაფური ი. (სოვდაგარი), 51. ტერ-გუკასოვი ბ. (ნეგოციანტი), 52. ხუბაცურიანცი კ. (მნფ), 53. ცოვიანოვი ა. (მნფ), 54. ცოვიანოვი ი. მ. (მნფ), 55. ცოვიანოვი ე. მ. (ბ), 56. ჩითახოვი ი. ა. (ბ.), 57. შახნაზაროვი ნ. ფ. (შ. ვ.)., 58. შოთევი გრ. (სოვდაგარი), 59. ემინოვი ი. ა. (ბ), 60. ერევე ი. ი. (ბ), 61. ბარალოვი ნ. გ. (კსვ).[105]

1883 წელს სიაში არ არიან, ხოლო 1882 წ. სიაში იყვნენ (გამოაქვეყნა თბილისელ ვაჭართა გამგეობამ — Тифлисская купеческая управа):

ადამოვი ა. ა. (მეიჯარე), ალექსანიანცი ს. გ. (ვაჭარი, არწრუნის ქარვასლაში), ალელოვი ი. დ. (შ. ვ.—თამამშვილის ქარვასლაში), ახვერდოვი გ. ა. (ფქვილის ვაჭ., — თამამშ. ქარვ.), ბაბანოვი ა. ა. (კსვ, — ანანოვის ქარვ.), ბარუტჩევი გ. გ. (ბ), ვართანოვი ვ. პ. (მნფ), ვახანიანცი ვ. პ. (თამბაქოსა და შაქრის ვაჭ., — არწრ ქარვ.), ვა[illegible]ცოვი ა. (იჯ.), გეორქოვი ქ. ბ. (კომერც. კანტ.,—ზუბალაშვილის ქარვ.) გურ[illegible]ინ ბეგოვი ი. ო. (იჯ.), ჯიშეროვი ი. პ. (თამბ. ფაბრ.), ჯანჯუგაზოვი ა. ი. (შუშეულის ვაჭ.), ძიძიგური ი. რ. (მარცელეულის ვაჭ.), დოდჩარი ე. ი. (მეიჯარე — ქალაქის განათებისა), იზმიროვი ს. ი. (მდ. ვ.), კანჯუნცევი მ. გ. (ტრ. ვ.), კაზაროვი ს. ა. (დაზღ. კანტორა), ყორღანოვი ა. ს. (იჯ.), მამედ-ალი (იჯ. — პარუნ-ბეგოვის ქარვასლა), მაკაროვი პ. მ. (ღვინის სარდაფი), მამედალი-ბეკ ი. (იჯ.), მელიქაზარიანცი ა. ა. (შ. ვ. — შადინოვის ქარვ.), მელქუმი ი. გ. (საკერ. კანტ.), სამი ძმა მირზოევები (ვაკრ.), მირზოევი მ. მ., (იჯ.), მოსესოვი ს. მ. (იჯ.), ფორაქოვი ი ა. (იჯ.), პოლიაკი (შ. ვ.), ფრიდონოვი ნ. პ. (ტრ. ვ.), კაისოვი ქ. ა. (იჯ.), ტერ-ოგანოვი ს. (ტრ. ვ.), ხოსროევი ბ. ა. (მდ. ვ.).

ამათ გარდა პირველი გილდიის ვაჭრების უფლებით სარგებლობდნენ უცხოელი ვაჭრები: ვახანიანცი ვ. პ. (თამბ. ვაჭ. თურქ. ქვეშევრდომი), გელდერი ე. (საათის ვაჭარი), სიმენსი კ. გ. (კომერც. კანტორა), სტოკეი გ. დ. (ბ.), რიშარი ი. ბ. (უცხ. საქ. ვაჭ. საფრანგეთის ქვეშევრდ.), ექსელბირტი ა. გ. (დაზღ. საზ. აგენტი), სულ 1882 წ. სიაში შესულია 83 პირველი გილდიისა და უცხოელი ვაჭარი, რომელთაც თბილისში ბიღეს ვაჭრობის მოწმობა.[106]

***

1857 წელს თბილისელმა სოვდაგრებმა ნიკოლოზ იაგორასძე ზუბალაშვილმა და ნიკო იოსებისძე მირიმანოვმა კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი და პროექტი, რომ თბილისში დაეარსებინათ «Закавказское страховое от огня общество» — 250000 მან. კაპიტალით. ნამესტნიკის წინადადებით ეს თანხა შემდეგ

---

[105] КК на 1884, с. 184—185.

[106] КК на 1882, отд. II, с. 233—235.

გადიდდა 300 000 მანეთამდე და ადგილობრივმა მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი „საზოგადოების“ დაარსება. მაგრამ იმპერიის ცენტრალურ ორგანოებში საქმე ძლიერ გაჭიანურდა. პეტერბურგში დაინახეს, რომ ანალოგიური „საზოგადოებისათვის“ ჯ ე რ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ა დ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები... ბოლოს 1870 წელს ზუბალოვმა და მირიმანოვმა თვით განაცხადეს უარი თავიანთ წამოწყებაზე[107].

მაინც, მეწარმეობის ამ და სხვა მსგავს, თუნდაც განუხორციელებელ ცდებში (ხოლო თავის ადგილას ჩვენ ვნახავთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხორცს ისხამდა და ფაბრიკებისა და ქარხნების სახით გვევლინებოდა) თავს იჩენს ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა. გაძლიერების, ე. ი. დაგროვების გარკვეული საფეხურების მიღწევის შემდეგ სავაჭრო კაპიტალი მიისწრაფვის შეაღწიოს, გადავიდეს, შეეზარდოს საკრედიტო (საბანკო) და სადაზღვევო ოპერაციებს, ბოლოს, ჩაერთოს მრეწველობაში და, ამგვარად, სამრეწველო კაპიტალად იქცეს. სწორედ ამ მოვლენათა კონტურებს მიანიშნებს ნ. ზუბალაშვილისა და კომპ. ზემოხსენებული პროექტიც.

ამასთანავე დაკვირვებული მკითხველი, ცხადია, უკვე შეამჩნევდა, რომ ზემოთ რამდენიმე ადგილას მოყვანილ ცნობილ და შეძლებულ ვაჭართა, სოვდაგართა და მეიჯარეთა გვარების სიებს შედგენილობა თანდათანობით შესამჩნევად იცვლება... ზოგიერთი სავაჭრო სახლი დაეცა, ზოგიერთი კი სავსებით ჩაიძირა, გაკოტრდა, და ამავე პროცესში, ვაჭართა კლასის ფორმირების პროცესში, წამოიწია და ამაღლდა რიგი მანამდე უცნობი სავაჭრო სახლი. ესენია ახალი ფორმაციის ვაჭრები, რომლებიც საბითუმო, საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაში, სხვადასხვა სახის სამხედრო იჯარებში, თვით სამხედრო და სამოქალაქო მაღალი თანამდებობის ჩინოსნებთან დაკავშირებულნი, იმდენად გამდიდრდნენ და გაძლიერდნენ, რომ შექმნეს პირველი თანრიგის საპატიო მოქალაქეთა, ე. ი. დიდვაჭართა, სოვდაგართა, ნეგოციანტთა ახალი კლასი, რომლებიც ადრე თუ გვიან ხელს კიდებენ სამრეწველო საწარმოთა და მსხვილი კაპიტალისტური (ფერმერული) მამულების, ხშირად თვით ფეოდალური მამულების ბაზაზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების ყველაზე მომგებიანი დარგების ორგანიზაციას — რაც ამასთანავე,

---

[107] რადგან დარწმუნდნენ, რომ ანალოგიურ ცენტრალურ „საზოგადოებასთან“ კონკურენციას ისინი ვერ გაუძლებდნენ (ЛОЦИА, АВПКБ, ф. КК, д. № 379).

მათი, სისხლის გაკეთილშობილების საუკეთესო გზად იყო მიჩნეული.

8. ვაჭართა სახლები (სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვ.)

ახლა შევჩერდეთ საქართველოს ვაჭართა კლასის წარმომადგენელ ორიოდე ცნობილი გვარის, სავაჭრო სახლის, კომერციულ ევოლუციაზე (ამიერკავკასიის და საერთოდ რუსეთის სომეხ ვაჭართა შესახებ შედარებით მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რის გამოც მე ამ საკითხს სპეციალურად არ ვეხები).

სარაჯიშვილები „თბილისში ძველიდანვე გამოჩენილი ვაჭრები იყვნენ, მემაუდეები ანუ ბაზაზები"[108]. მე-19 საუკუნის დამდეგიდან ისინი ხელს ჰკიდებენ საშხედრო იჯარა-მიწოდებისა და გამოსყიდვის ოპერაციებსაც. სარაჯიშვილების სავაჭრო სახლს ფართო კომერციული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდ. კავკასიის თემებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ირანისა და თურქეთის სამფლობელოების ქალაქებთან; ზოგიერთ ასეთ ქალაქში მათ საკუთარი აგენტები ჰყავდათ.

1823 წელს აშენებულ სარაჯიშვილების ქარვასლაში 14 სასტუმრო ოთახი, 9 საწყობი და მაღაზიები იყო. ამ ქარვასლაში მოდიოდნენ შორეული ინდოეთისა და ირანის პროვინციების საქონლით დატვირთული ქარავნები[109]. 40-იან წლებში თბილისში სარაჯიშვილების სავაჭრო სახლი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფირმას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ დავით სარაჯიშვილი ღებულობს „ღუბერსკი სეკრეტარის" საპატიო წოდებას, რაც იმ დროს ვაჭართა წოდებიდან გამოსული კაცისათვის დიდი წარმატების მომასწავებელ ნიშნად იყო მიჩნეული.

ზ. ჭიჭინაძე თავის მოგონებაში წერს: ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილს „მეც მოვესწარი შუა ბაზარში, თავის ქარვასლაში ვაჭრობდა, იქა ჰქონდა აღებ-მიცემის ბინა, ანუ ბაზაზის — მაუდის სავაჭრო. ზაქარია დავითის ძეს ვაჭრობა პატარაობიდანვე შეუსწავლია და შეუთვისებია... ნელ-ნელა საქმე ისე წასულა, რომ მამაპაპეული მონაგრისათვის მას უფრო მრავლად მოუმატებია თავის ნაშოვარ-მონაგარი და მით ერთიათად უფრო დაწინაურებულა. წინ წასულა და მთელს თბილისში სახელოვან მოქალაქედ გამოცხადებულა"[110].

---

108 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში (დ. ზ. სარაჯიშვილი), 1911, თბ., გვ. 54.

109 ЗКОИРГО, 1852, Тифлис, т. I, 170—171.

110 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მრეწველობა..., გვ. 55.

ზაქარიას ძმა სოლომონი კიდევ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს. მისი სიმდიდრე და გავლენა იქამდე მიდის, რომ მას თბილისის ქალაქის თავად ირჩევენ და რამდენიმე წლის მანძილზე ასრულებს ამ საპატიო თანამდებობას.

სარაჯიშვილები კომერციული ურთიერთობის სფეროში მოპოვებულ წარმატებებს მოხერხებულად იყენებენ საზოგადოებრივი და წოდებრივი ცხოვრების საფეხურებზე ამაღლებისათვის. ისინი იძენენ ადგილ-მამულებს, უნათესავდებიან თავადებსა და აზნაურებს, ეწევიან ქველმოქმედებას, იბრძვიან სახელისათვის.

ზ. დ. სარაჯიშვილმა დიღომში, სადაც მას ჰქონდა დიდი მამული, ბაღ-ვენახები, 1863 წ. ააშენა ეკლესია. სარაჯიშვილები თავიანთ ქალიშვილებს დიდი მზითვით ათხოვებენ თავადებსა და აზნაურებზე. თვითონაც ირთავენ არისტოკრატიული წარმოშობის ქალებს. შვილებს უნათლავდნენ და ანათლვინებდნენ მაღალი თანამდებობის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს და, როგორც მეცენატები, ინახავენ სტიპენდიანტებს, ეხმარებიან კულტურის მოღვაწეებს.

სარაჯიშვილთა ნაშიერები ღებულობენ ევროპულ განათლებას სწავლობენ რუსეთისა და დას. ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, დ. ზ. სარაჯიშვილმა 1871 წ. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. იგი იყო ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი. მან მიიღო აგრეთვე ეკონომიკური განათლება, დაემოწაფა გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტს პროფ. ადოლფ ვაგნერს, რომელმაც, შემდეგში, თავისი წიგნი «Agrar-und Industriestaat...» (1902) მიუძღვნა მას[111].

თბილისში და კავკასიის სხვადასხვა ადგილას დ. სარაჯიშვილმა ტექნიკის იმდროინდელ უახლეს მიღწევათა საფუძველზე მოაწყო არყისა და კონიაკის წარმოება, რაშიაც შალე დიდ წარმატებას მიაღწია კიდევაც. იგი შეიქნა კავკასიაში და რუსეთშიაც ამ დარგის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მრეწველი. 1901 წ. „წლიური ვაჭრობა დ. სარაჯიშვილის ნაწარმოებისა ორ მილიონ მან. მეტია“[112].

---

111 სადედიკაციო მინაბეჭდი ასე იკითხება: „თავის პატივცემულ ქართველ მეგობარსა და ნამოწაფარს, საყვარელ და მრჩეველ თანამგზავრს, სწორედ ძველებურ სტუმართმოყვარეს და აზრ-გონების აღმძღვრელ პრაქტიკულ ამხანაგს სპეციალობაში, ბ-ნ დ-რ დავით სარაჯიშვილს, თბილისში, მადლობით უძღვნის ავტორი ადოლფ ვაგნერი“. შემდეგ წიგნის წინასიტყვაობის ბოლოს კიდევ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებს მას (იხ. „კვალი“, 1902, № 11, გვ. 178).

112 საქართველოს კალენდარი 1903 წლისა, 1902, თბ., გვ. 458.

ზუბალაშვილები უკვე მე-17—18 სს. ცნობილი თბილისელი და გორელი ვაჭრები არიან. სტეფანე ზუბალაშვილი ფართო ეაჭრობას ეწეოდა მთელს კავკასიაში. იგი მონაწილეობდა საგარეო ვაჭრობაში. აქაური ნაკეთობანი გაჰქონდა ირანის, თურქეთის, ინდოეთის შორეულ პროვინციებში, საიდანაც აქეთ ეზიდებოდა უცხოურ საქონელს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მან კიდევ უფრო გაშალა როგორც შინაგანი, ისე საგარეო კომერციული ოპერაციები. მაგალითად, 1808 წ. იგი მიემგზავრება ირანს, მერმე აქედან მიდის ინდოეთში (კალკუტას, მადრასს), ხოლო მერმე, ხიფათიანი თავგადასავლის შემდეგ, ირანისავე გზით ბრუნდება თბილისში. 1815 წელს იგი გადასახლდა ირანს, ხოლო მერმე ინდოეთს — კალკუტას, სადაც, და აგრეთვე, მადრასშიაც, იმ დროს უკვე, როგორც ჩანს, კარგად იყვნენ მოკალათებული ადრევე წასული სომეხი და ქართველი კათოლიკე ვაჭრები[113].

აქ დარჩენილი ზუბალაშვილები ებმებიან რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის ვაჭრობაში. ხელს კიდებენ ჯარის ნაწილების სურსათ-სანოვაგით მომარაგების, იჯარა-მიწოდების საქმეს. 1820-იანი წლებიდან ი. ზუბალაშვილი, რომელიც ადრე სამხედრო ნაწილებს არაყით ამარაგებდა, ახლა თვითონ კიდებს ხელს არაყის წარმოებას. ამიერიდან ის არაყით (სპირტით) ამარაგებს არა მხოლოდ კავკასიის ცალკე კორპუსის, არამედ აზოვისა და შავი ზღვის, უკრაინის, ყირიმის სანაპიროებზე დაბანაკებულ ჯარებსაც[114].

1820-30-იან წლებში დაწინაურდნენ დავითი, გიორგი და მიქელ ზუბალაშვილები, რომლებიც მალე ირან-ინდოეთის ნაცვლად მჭიდრო სავაჭრო კავშირებს აბამენ რუსეთთან. ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი თავის მოგონებაში წერს: „მე პატარა ვიყავი, და ჩემთან სხვა ჩვენი გვარის ზუბალაშვილებიც, როცა ჩვენმა მამა-პაპებმა „მაკარიის ბარმუკაზე" წაგვიყვანეს და სპარსეთისა და ინდოეთის საქონლის მაგიერ რუსეთის საქონელი შემოვიტანეთო"[115].

---

[113] ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად. გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ზუბალაშვილი ინდოეთში, 1905, თბ., გვ. 27—29; მისივე, სახსოვრად. მოგონება სტ. ზუბალაშვილისა, 1905, თბ.

[114] I ПСЗРИ, II, № 1518, сс. 952—954.

[115] ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ვაჭრობა..., გვ. 32.

რუსეთთან იმდროინდელი საქარავნო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ — ზუბალაშვილთა ნაამბობიდან — საინტერესო ჩანაწერი შემოგვინახა ზ. ჭიჭინაძემ: ჩვეულებრივ „ხუთი ვაჭარი ერთად უნდა შეკრებილიყო; თითო ვაჭარს თავისთვის საკმარისი ნაღდი ფული უნდა ჰქონოდა. ფულს გარდა საქართველოდან მათ მიჰქონდათ დიდძალი ისეთი საქონელი, რომელსაც გასავალი ჰქონდა რუსეთში. იქ ზოგს ჰყიდდენ, ზოგს სცვლიდნენ სხვადასხვა საქონელზედ. თითო ვაჭარს თავისთვის უნდა ეშოვნა ათი კაცი კიდევ სხვადასხვა ვაჭრების სახით. ასე და ამგვარად სულ 50 კაცი იქნებოდა და ხუთიც მეთაურნი, სულ 55 კაცი უნდა ყოფილიყოს. ყველა ესენი გაიყოფოდა 5 წყობად, ხუთ გუნდათ. ყოველ გუნდს აქვნდა თავისი ფული, საქონელი, სახმარი იარაღი, თოფის წამალი, ცხენები და სხვ. ყოველი წყობა ფხიზელი იყო მგზავრობაში, მტერთა თავდასხმასა და ბრძოლაში. ყოველ ჯგუფს თან მიჰქონდა სხვადასხვა ვაჭართა დავალებაც. ამისათვის მათ ფულს ატანდნენ თანა — საქონლის სყიდვის დავალებით.. ამათვე მიჰქონდათ სხვადასხვა პირთა წერილებიც. იქიდამაც შემოჰქონდათ მათ სახელმწიფო წერილები და ცნობები...“[116].

საერთოდ ამ დროიდან მოყოლებული ქართველი და სომეხი ვაჭრები ინდოეთსა და ირანშიაც კი სავაჭროდ სულ უფრო ნაკლებად მიდიან. ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ, მსოფლიოს ქვეყნებს შორის მიმოსვლისა და მიმოზიდვის საშუალებებში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა, ევროპაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა სწრაფმა განვითარებამ და სხვ. მალე ძირფესვიანად შესცვალა ამიერკავკასიისა და საერთოდ აღმოსავლეთის კომერციულ ცხოვრებაში დადგენილი ნორმები და ფორმები. ირანიდან და ინდოეთიდან ზოგიერთი ამიერკავკასიელი ვაჭარი უკანვე გადმოსახლდა და მხოლოდ უფრო შეძლებული და „ფეხმოდგმული“ ვაჭრები, რომელთაც საკუთარი ქარვასლები და სხვა უძრავი ქონება ჰქონდათ, დარჩნენ იქ.

1843 წელს იაკობ ზუბალაშვილმა თბილისში ააშენა დიდი ქარვასლა, რომელშიც იყო 10 სავაჭრო მაღაზია, საწყობები, ღვინის სარდაფები და სასტუმრო 71 ოთახით[117]. ამავე ხანებში ზუბალაშვილთა ერთი შტო იმერეთშია. აქ მათ იმდენად გააფართოეს კომერციული ოპერაციები, რომ თავიანთ ვალაუვალ მევალეებად გა-

---

[116] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, 1905, თბ., გვ. 41.
[117] И. Е в л а х о в, Тифлисские караван-сараи (ЗКОИРГО, I, 170).

იხადეს ადგილობრივი თავადები. მაგალითად, 1846 წ. ქეთევან და ბერი წერეთლები ჩივიან, რომ მათი მთელი შემოსავალი ვერ აუდის ზუბალაშვილთა ვალების დაფარვას[118].

აქ საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას იმის შესახებ, თუ რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიაში, და განსაკუთრებით თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში, მცხოვრები ქართველები და სომხები, განსაკუთრებით ვაჭრები და ხელოსნები ღებულობდნენ კათოლიკობას, ე. ი. ფრანგდებოდნენ.

საქმე ისაა, რომ საფრანგეთი იყო პირველი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელმაც ჯერ კიდევ 1536 წელს თურქეთის სულთანთან დადო ხელსაყრელი ხელშეკრულება. ლევანტის ზღვებზე მხოლოდ ფრანგულ და ვენეციურ გემებს შეეძლოთ ცურვა. ეს ხელშეკრულება განახლებულ იქნა 1581 წ. და ამიერიდან საფრანგეთი აღიარებული იყო თურქეთის იმპერიაში მოვაჭრე (და აგრეთვე მცხოვრები) ყველა ქრისტიანის ოფიციალურ მფარველად. თვით გენუელებს, ინგლისელებს, ესპანელთ, პორტუგალიელთ, სიცილიელთ მხოლოდ ფრანგული ალმით შეეძლოთ გაეწიათ ზღვაოსნობა თურქეთის წყლებში და. მაშასადამე, ვაჭრობაც თურქეთის სამფლობელოებში. უკვე 1610 წ. საფრანგეთს ხუთი საკონსულო ჰქონდა ლევანტის ქვეყნებში და თურქეთის ზღვები, როგორც მასონი წერს, „საცსე იყო ფრანგული ხომალდებით". მართალია, ორმოციოდე წლის მერმე ჰოლანდიამ და ინგლისმაც მოიპოვა უფლება საკუთარი ალმით ეცურათ მათ გემებს თურქეთის იმპერიის ზღვებზე, მაგრამ ფრანგებს ამ დროისათვის უკვე იმდენად ძლიერი პოზიციები ეჭირათ და ადგილობრივ მოსახლეობასთანაც ისე ჰქონდათ „გამონახული საერთო ენა", რომ ისინი უპირატესობას დიდხანს ადვილად ინარჩუნებდნენ[119].

სწორედ საფრანგეთისა და აგრეთვე, ცხადია, იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების როლით, რასაც ისინი თურქეთის სამფლობელოებში თამაშობდნენ, უნდა აიხსნას მუსლიმანთა დესპოტური წყობილების ვითარებაში თურქეთის სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანთა, განსაკუთრებით ქალაქელთა მიდრეკილება კათოლიციზმისადმი. ცხადია, ფრანგები უწინარეს კათოლიკეთა მფარველის როლში გამოდიოდნენ და, ამდენადვე, გასაგებიცაა ის სარფიანობა,

---

[118] საქართველოს სსრ ცენტრ. საარქივო სამმართველო, ფონდი 30- Канц. наместника Кавказского, д. № 15147/40, 1846 г.

[119] Masson, Histoire du commerce Français dans Lévant..., tt I—II, 1896, 1911; Э. Бааш, Ист. экон. разв. Голландии в 16—18 вв., 1949.

რაც კომერციულ ცხოვრებაში ჩაბმულ ქართველ და სომეხ მართლმადიდებლებსა და გრიგორიანელთ ესახებოდათ კათოლიკობის შიღების შემთხვევაში. ამიტომაც ისინი შედარებით ადვილად ფრანგდებოდნენ, ე. ი. კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადადიოდნენ[120].

* * *

ნიკოლაძეები წარმომავლობით ეკუთვნიან ახალი ფორმაციის ვაჭართა ჯატეგორიას. მამუკა ნიკოლაძე თავად აბაშიძეთა ყმა იყო. 1770-იან წლებში ის თავისი სოფლიდან (სკანდე, ზემო იმერეთში) გაქცეულა და ქართლს გადავარდნილა. აქ ცხინვალის არემარეში უცხოვრია და ჩარჩობითა და ვაჭრობით საკმაო ქონება შეუძენია.

იმერეთში ცარიზმის გაბატონების შემდეგ თურქეთს გაქცეულ სოლომონ II თან გაჰყვნენ მისი ერთგული აბაშიძეები, რომელთაც როგორც ემიგრანტებს ახალმა ხელისუფლებამ მამული და ყმები ჩამოართვა. 1820-იან წლებში, როდესაც ნიკოლაძეების ყოფილი მებატონე აბაშიძეები უკვე დახოცილებიც იყვნენ, მამუკა დაბრუნდა იმერეთს. იგი როგორც დიდი ხნის გადაკარგული აქ არც არავის ახსოვდა და რაკი, ამრიგად, ყმობას საბოლოოდ თავი დააღწია, ქუთაისელ მოქალაქეებში ჩაერიცხა. ქუთაისი ამ დროს პატარა ქალაქი იყო. აქ უმთავრესად ხელმოკლე იმერელი აზნაურობა და „უცხოური" (კათოლიკე ქართველი, ებრაელი და სომეხი) ვაჭრები და ხელოსნები სახლობდნენ. მამუკა ნიკოლაძის ოჯახი აქ ბალე დაწინაურებულა. „მის წევრებს ქართლიდან ბევრი ისეთი ცოდნა, ხელსაქმე, იარაღი და ჩვეულება ჩამოეტანათ, რაც იმ დროს სრულიად უცნობი ყოფილა იმერეთში." დიდი ხნის განმავლობაში ეს ოჯახი იმერეთში ქართლელებად მიაჩნდათ თურმე. მამუკას ოჯახს ქართლში თავის მეგობრებთან „ნიადაგი მიმოწერა და მისვლა-მოსვლა შეენახა, რის გამო იქიდან ხშირად უცნობი სასმელ-საჭელი თუ საქონელი მოდიოდა".

მამუკა იმერეთში უფრო აფართოებს გაცვლას, მევახშეობას. ასე რომ 30—40-იან წლებში იგი მთელ დას. საქართველოში ცნობილია როგორც შეძლებული ადამიანი. ამ დროიდან ეს ოჯახი უკვე უმოყვრდება და უნათესავდება იმერეთის თავადაზნაურობას: მამუკას ერთი ვაჟი ირთავს მდიდარი აზნაურის ბაქრაძის ასულს, მეორე (იაკობი — ნიკოს მამა) ლორთქიფანიძისას, ხოლო თავისი ასული მამუკამ გურულ თავადს შალიკაშვილს მიათხოვა. როგორც თვით ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწე და გამოჩენი-

[120] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 ჭ.; ზუბალაშვილები მერმე ხდებიან ნავთობის მსხვილი მრეწველები.

ლი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, მამუკას შვილიშვილი, წერს, „სრულიად უბრალო, უსწავლელი გლეხისათვის ასეთი მიღწევები მამუკას იშვიათი მეცადინეობის და გონიერების“ (— ე. ი. დიდი სიმდიდრის) მაჩვენებელიც იყო. ამ თავადაზნაურობასთან ნათესაობით, ცხადია, მამუკა მოხერხებულად სარგებლობდა.

აი, რას წერს თვით ნ. ნიკოლაძე: „ჩვენს ოჯახს მათთან დაახლოებული მეგობრობა და საქმიანობა ჰქონდა: მამა ჩემი (იაკობი) მენახევრე იყო ივანე ავალიანის წისქვილში, ლორთქიფანიძეების ქვების სამტვრევში, აბულაძეებს შვილებს უნათლავდა. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ვინმე მათგანი ჩვენსა არ მოსულიყო ჯორზე შემჯდარი, რამე მოსაკითხით, და სამაგიეროდ ჩვენი ნათლისდედისთვის არ წაეღო ან საკაბე, ან საჩოხე, ანდა სხვა რამე, რაც სოფელში ძნელი საშოვარია“[121].

ნიკოლაძეების მოქმედების სარბიელი სულ ფართოვდებოდა. „ოცდაათიანი წლების ნახევარში მამუკა და მამუკას შვილები ეაჭრობისათვის მარტო ტფილისს კი არა, რუსეთშიაც დაიარებოდნენ. მამუკას უფროსი შვილი, გრიგოლი და მამაჩემი (იაკობი) იმ ხანებში საქსონიაშიც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან რუსეთში საქონლის შემოტანა“[122].

„იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში საეაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა. გორიდან გადმოსახლებული სომეხი პეტრე მღებროვი, აგრეთვე გორელი ფრანგი გაბრიელ ენდრონიკაშვილი და მამაჩემი: გაზაფხულზე ისინი შეკაზმავდნენ ცხენებს, დაიბარებდნენ შინ მღებროვი — ტერტერას, ენდრონიკაშვილი — პატრს, მამაჩემი — დეკანოზს, გადაახდევინებდნენ მთელი ნათესაობის თანდასწრებით პარაკლისს, ტირილით დაჰკოცნიდნენ ცოლშვილს და მიდიოდნენ რუსეთში ტფილისის და კავკავის გზით. დაქანცულ ცხენებს ჰყიდდენ კავკაეში, საიდანაც დაქირავებული ფურგონით მიდიოდნენ როსტოვით მაკარიის (ნიჟნი-ნოვგოროდის) ბაზრობაზე. იქიდან ნაყიდ საქონელს ცხენებით გზავნიდნენ ჯერ როსტოვს, სადაც რკინეულობას და თევზეულობას ჰყიდულობდნენ და მერმე ყველაფერს ერთად ჩალვადრებით კავკავის ქედით ქუთაისს აგზავნიდნენ. უჯდებოდათ ეს გზა მამასისხლის ფასად: არანაკლებ ხუთი

---

121 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, წარსულიდან (ამ ასი წლის წინეთ), იხ. რჩ. ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 5—6.

122 იქვე, გვ. 76.

მანეთისა ფუთი... ვაჭრების მგზავრობა თითქმის ნახევარი წელიწადი გრძელდებოდა"[123].

იაკობ ნიკოლაძის თაოსნობაში სიახლის ელემენტები იჭრება. მამას „როსტოვში რომ გემები ენახა და გაეგო, რომ ისენი საქონელს ზღვით ზიდავდნენ. ეკითხა — შავ ზღვაზედაც შეუძლიათ ამათ სიარულიო? ყულევშიც მიიტანენ საქონელსო, რა ფასათ? და სხვ". როცა ეს ყველაფერი გამოიკვლია, ი. ნიკოლაძე წინადადებას აძლევს თავის ქუთაისელ თანამგზავრებს „საერთოდ ვიქირავოთ დიდი გემი და ზღვით წავიღოთ საქონელიო. ხუმრობაა, ფუთი საქონლის ყულევში მიტანა ხუთი მანეთის მაგიერ ათ შაურად დაგვიჯდებაო". მაგრამ ამ უკანასკნელთ „უსვრიათ ქვა და თავი შეუშვერიათ... ამ ქირას ხომ მყიდველი იხდის, ზღვას როგორ ვანდობთ ჩვენს ქონებას და სიცოცხლესო?" მართალია, იმ წელიწადს ი. ნიკოლაძესაც ვერ გაუბედია ზღვით საქონლის გამოგზავნა, მაგრამ შემდეგ იგი არ დარიდებია ამ საშუალებას. მთელი საქონელი წამოუღია და წამოსულა გემით ყულევისაკენ. ყულევიდან მას საქონელი ნავებით აქონდა ორპირამდე, ხოლო აქედან ქუთაისამდე ურემი ერთ დღეში ჩადიოდა. ი. ნიკოლაძემ, გარდა იმისა, რომ საქონლის მიტანა ერთი ათად ნაკლები დაუჯდა, დროშიაც დაასწრო ქუთაისელ სხვა ვაჭრებს: მათზე ადრე მიიტანა საქონელი. „ამ მიზეზით მან შესაფერად გააიაფა ყველაფერი, რითაც კი ვაჭრობდა. მეწვრილმანე ვაჭრებმა იმწამსვე დააფასეს ეს ფასებში განსხვავება მას და მის მოცილეებს [კონკურენტებს] შუა. ამის შემდეგ მამაჩემს ტოლი აღარ ჰყავდა ვაჭრობაში" — გადმოგვცემს ნიკო ნიკოლაძე[124]. აღსანიშნავია, რომ სხვა ვაჭრებმა ისიც ვერ მოახერხეს, რომ მათთვის დროზე მიეგზავნათ.

იაკობ ნიკოლაძე მოხერხებულად სარგებლობს ხელსაყრელი კონიუნქტურული პირობებით. ყირიმის ომის დროს როკორც უცხოეთის, ისე რუსული საქონლით ამიერკავკასიის მომარაგება ძლიერ შეფერხდა. შავი ზღვით უკვე შეუძლებელი იყო საქონლის მოტანა, რაც რუსეთიდან, ძველებურად, კვლავ სახმელეთო გზით შემოჰქონდათ. ახლა ამ გზით „ფუთი საქონლის მიტანა თუმანზე მეტი ჯდებოდა". საქონელი ძლიერ გაძვირდა და მოთხოვნილებაც გაიზარდა. ომი რომ შეწყდა 1856 წლის გაზაფხულზე ი. ნიკოლაძემ „მაკარიის იარმუკას აღარ უცადა". იგი საჩქაროდ გაემგზავრა

---

[123] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, წარსულიდან (ამ ასი წლის წინეთ), იხ. ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 17—18.

[124] იქვე, გვ. 18.

მოსკოვს. აქეთობას მოსკოვს და „როსტოვს ნაყიდი საქონელი მან დიდ გემში ჩააწყო და გაემგზავრა ყულევს... ვის შემდეგ წასული ვაჭრებიც დაბრუნდნენ. წელიწადიც მიიწურა და იაკობი აღარსად ჩანდა. ყველა დარწმუნდა „იაკობ მამუკაშვილი თავის საქონლით შემოდგომის ქარიშხალში დაიღუპებოდაო... მას მართლაც დიდი განსაცდელი გადახდომია. აღელვებულ ზღვას მისი გემი „სამი თვის განმავლობაში ბურთივით უთრევია ერთი კუთხიდან მეორისაკენ, ხან სინოპთან გაურიყავს, ხან ყირიმის ნაპირებზე, სანამდე ყულევს მიუყვანია“. იგი მაინც უვნებლად დაბრუნდა და კონკურენტებს, რომლებიც მას დასცინოდნენ, კოზი ნაცარში ჩაუვარდათ — „მისმა მოტანილმა აუარებელმა საქონელმა შესამჩნევად გააიაფა იმერეთის ცხოვრება, რაშიაც მისი მეტოქეები ხალხს მანეთს ახდეინებდნენ, მამაჩემის საწყობები ამ ფასის ნახევარს. ან მესამედს იღებდნენ. გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარიყო (იაკობი შობის კვირას დაბრუნდა), რომ მთელი ეს საქონელი ხალხმა დაიტაცა და მამაჩემს ხელახლად დასჭირდა კაცის გაგზავნა რუსეთში ახალი სავაჭრო მასალის დასაბარებლად“[115].

იაკობ ნიკოლაძე შეიქნა დიდვაჭარი, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობის ფულსა და საქონელს ატრიალებდა. მაგრამ უკვე 50-იანი წლებიდან მან, „ვაჭრობაში რომ ფეხი მოიმაგრა... ახალ ხელობასაც მოჰკიდა ხელი: ყველაზე უფრო სახეირო საქმე, მისი დაკვირვებით, იყო მთავრობისაგან შენობების, ან გზის კეთების ნარდათ აღება“ და იაკობმაც მიჰყო ხელი, როგორც მსხვილმა მეიჯარემ, საზოგადოებრივი შენობების აგებას, ხიდების აშენებას და სხვ. ცხადია, იგი არც ბითუმად ვაჭრობას სტოვებდა და ამგვარადაც აგროვებდა.

თაოსნიანი ვაჭრისა და მეიჯარის ხელში დაგროვილი კაპიტალი უკვე მრეწველობისაკენ მიისწრაფვის, ე. ი. მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში უნდა გადავიდეს. სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში ხელსაყრელი პირობა შეექმნა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

ყოველსავე ამას მშვენივრად ხედავს იაკობ ნიკოლაძე და იგი ფაბრიკის გახსნისათვისაც ფიქრობს. აი, რას სწერდა იგი 1865 წ. 22 იანვარს პარიზში თავის შვილს ნიკოს:

---

[115] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. წარსულიდან (ამ ასი წლის წინეთ), იხ. რჩ. ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 20.

„...ჩვენი ქარვასლა გავათავე, იმედი მაქვს ღვთისაგან ფულს ბლომად გამოვიტან პრიკაზიდან იმის გირაობით, მაგრამ მინდა ერთი ფაბრიკა გავმართო. ბანბა აქ ბევრი მოდის, ადგილები, წყალი და შეშა ბევრი გვაქვს. ერთი სახელოვანი საქმე ვქნათ შვილო, რომ იმერეთში ჩვენი სახელი დარჩეს, არათუ ჩემი, მე მინდა ის ფაბრიკა შენი სახელით იყოს, თუ გსურს, თუ არადა ჩემი სახელით მაინც. მანდ შემიტყეთ რა ფასად შეიძლება ამერიკის მომქსოვი მაშინა გამართოს კაცმა, ან ოსტატი რა ფასად დადგება წლით, რომ იქირაოს. ერთი სიტყვით, ერთი შუათანა ფაბრიკა დაუნიშნე ყოვლის გამართულობით. რა ფასად დაჯდება, რასაკვირველია, იანგარიშებენ. ბანბას უნდა პენტდეს, ართავდეს და სამოსელს ქსოვდეს: იმისთანა ფაბრიკა უნდა იქნეს გათეთრებაც რომ შეეძლოს. გონიერად გამოიკითხე და საჩქაროდ მომწერე. შენს აზრს შევამსგავსებ ჩემს აზრზედ, და თუ მოვახერხე და დიდი სუმმა არ მოუნდა ხომ საქმეს შევუდგები; თუ ვერ შევსწვდი და გავჩუმდები (პაპიტკა ნი უბიტკა!) აბა ვნახოთ შენი აზრი როგორ შემეწევა“[126].

ეს წამოწყება არ განხორციელებულა. ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში კარგად გარკვეულმა შვილმა, იქნებ, ურჩია კიდეკაც მამას ხელი აეღო ამ განზრახვისაგან. როგორც ვიცით, ხუთიოდე წლის შემდეგ მსხვილმა კაპიტალისტმა მირზოევმა გახსნა თბილისში მსგავსი ფაბრიკა, მაგრამ ის საბოლოოდ დაამარცხა შიგა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკების კონკურენციამ, რასაც ასე აქეზებდა ცარიზმიც.

დაახლოებით ანალოგიურია **გოკიელების** კომერციული დაწინაურების ისტორია. ისინი წარმოშობით ეჯიბიები ყოფილან (სოფ. ციციდან — სამეგრელო). აქედან მათი წინაპარი გადასულა ახალციხეს, რომელიც მაშინ თურქეთის სამფლობელოებში შედიოდა. ეჯიბიას აქ კათოლიკობა მიუღია. ახალციხიდან ის გადასახლებულა სოფ. გოკიას (ჯავახეთში). ს. გოკიიდან მერმე მისმა ნაშიერებმა მიიღეს ახალი გვარი — გოკიელი. ხელოსნობით (ოქრომჭედლობით), შევახშეობითა და ჩარჩ-ვაჭრობით გოკიელები გამდიდრებულან[127].

მას მერმე რაც 1828 წ. სამცხე-საათაბაგო თურქეთის ბატონო-

---

[126] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. XXX.

[127] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ეკგრობა, 1905, თბ., გვ. 31.

ბისაგან განთავისუფლდა, და ახალციხე ქუთაისის გუბერნიის საბაზრო ქალაქი შეიქნა, გოკიელები გადასახლდნენ ქუთაისს. აქ ისინი (გოკიელოვები) ვაჭრობენ უმეტესწილად თამბაქოთი (თუთუნით), რაც შემოაქვთ სამსუნიდან, ტრაპიზონიდან და თვით კონსტანტინოპოლიდანაც[128]. 1860-იანი წლებიდან, როდესაც თურქეთის მთავრობამ დააწესა თამბაქოს სახელმწიფო მონოპოლია, ხოლო რუსეთისამ უცხოური, ე. ი. უმთავრესად თურქული თამბაქოს იმპორტზე 5 % ბაჟი დაადო, ამ საქონლით ვაჭრობა ნაკლებ მომგებიანი ვახდა. 1872 წ. კი „მშობლიური მეთამბაქეობის ინტერესებისათვის“ რუსეთმა ერთბაშად თითქმის ათჯერ გაადიდა საიმპორტო თამბაქოს საბაჟო საფასური. ამიერიდან არსებითად სავსებით შეწყდა თურქული თამბაქოს შემოტანა და გოკიელებმაც, ცხადია, არჩიეს ადგილობრივი მეთამბაქეობის ნედლეულის გადამუშავებასა და ოეალიზაციაზე გადასულიყვნენ, მით უფრო, რომ ამ დროისათვის საუკეთესო ჯიშის თურქული თამბაქოები: „სამსუნ“ და „ტრაპიზონდი“ უკვე საკმაოდ იყო გავრცელებულ-აკლიმატიზებული საქართველოს შავი ზღვის სანაპირეებზე[129].

---

[128] ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, 1965, ტ. IV, წ. I, გვ. 30—230.

[129] იქვე, გვ. 45—61; 137—191, 218—230.

IX. ვაჭრობის ზოგიერთი ზოგადი საკითხისათვის

1. ადრინდელი კომერციული კავშირები

ცნობილია, რომ ძველი ბერძნები და რომაელები დიდ ინტერესს იჩენდნენ სპარსეთის ტერიტორიით, კასპიის ზღვის, მტკვარ-რიონის გაყოლებითა და შავი ზღვის გზებით ინდური და თვით ჩინური საქონლის მიღების საკითხისადმი. პლინიუსი, ვარონის ცნობაზე დაყრდნობით, თვლიდა, რომ ასეთი იდეის რეალიზაცია საესებით ნათელჰყო პომპეუსის ლაშქრობებმა. ამიერკავკასიის, როგორც მსოფლიო სატრანზიტო ტერიტორიის შესახებ, უფრო ვრცელი ცნობები შემოგვინახა სტრაბონმა. მერმე, ამ მხრივ, კიდევ უფრო დეტალურ ცნობებს იძლევიან შუასაუკუნეთა არაბი და სხვ. მწერლები, გეოგრაფები და ისტორიკოსები[1].

[1] მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში (კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, 1962, II); ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით (მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 1963); ს. ჯანაშია, შრომები, I—III, 1949—1959; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I—II, 1930—1934; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმ. კეკელიძისა, 1961; A. Mez, Мусульманский ренесанс, 1966, М.. Г. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье (ТИИ АН ГССР, т. II, 1956, с. 153—160); З. Ямпольский, К изучению древн. пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю (Там-же, стр. 161—180); Томсон, История древней географии, 1953, М.; Я. Маканд я н, О торговле и городах Армении..., 1930, Эревань; Н. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII вв., 1946; Византия на путях в Индию, 1951. М.-Л; С. Еремян. Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов (ВДИ, 1939, № 1); М. Хвостов, Восточная торговля..., 1908; В. Бартольд, Сочинения, т. I—III, 1963—1965, М; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959; F. de la Primode. Histoire du Commerce de la Mer Noire, 1848, Paris; Hobson, International Trade, 1930; Taussig. International Trade, 1927; D. Lang, Studies in the numismatic history of Georgien in Transcaucasica. N. Y., 1955.

იუსტინიანე II დროს (569 წ.) შუა აზიის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო და საქარავნო ცენტრიდან, სოგდიადან კონსტანტინოპოლში მოვიდა თურქთა ყაენის დიძიბულის ელჩები; ეს იყო ფეოდალი-სოგდაგრის მანიახის ქარავანი. საქმე ისაა, რომ შაჰინშაჰი ებრძოდა ბიზანტიას და ამასთანავე დიდ ბაჟებს ახდევინებდა უცხოელ მეტრანზიტე ვაჭრებს. ასეთ ვითარებაში მანიახის ექსპედიციის მიზანი იყო გვერდი აეცლო სასანაიდების ირანისათვის და პირდაპირი (უშუალო) აბრეშუმის ვაჭრობა გაება ბიზანტიასთან... საპასუხოდ, კეთილგანწყობილმა იმპერატორმა აღმოსავლეთის პროვინციების სტრატეგოსის ზიმარხის მეთაურობით, თავისი ელჩები გაუგზავნა თურქებს. ბერძენი ისტორიკოსის მენანდრეს გადმოცემით, ეს მისია ტრაპეზუნდიდან მიდის ამიერკავკასიაში, აქედან მდ. რიონის ხეობით გადადის კავკასიონის მთაგრეხილზე და მდ. ყუბანიდან შემდეგ კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთი სანაპიროებით სირდარიისაკენ მიემართება... სტეპების მფლობელის, დიძიბულის, სიმდიდრემ გააოცა თვით ბიზანტიელები... ზიმარხი დაახლოებით იმავე გზით (ოღონდ. ახლა, ეტყობა, ჩრდილოეთ კავკასიიდან დარიალის ხეობით გადმოვიდა საქართველოში) ბრუნდება კონსტანტინოპოლს... ამგვარად, კვლავ ცოცხლდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ანტიკურ საბერძნეთ-რომსა და ძველი აზიის ქვეყნებს შორის დიდი ხნის წინათ ჩამქრალი სახმელეთო ვაჭრობა, რათა, საბოლოოდ, დიდი აბრეშუმის გზა კვლავ გაჭიმულიყო დას. ევროპასა და ირან-არაბეთ-ინდოეთ-ჩინეთს შორის.

საერთაშორისო ვაჭრობამ ახალი აღმავლობა პოვა არაბთა ხალიფატის სამყაროში, რომელიც მე-8—12 სს. მოიცავდა აზიისა და ევროპის უზარმაზარ ტერიტორიას საფრანგეთის საზღვრებიდან მოყოლებული ჩინეთამდე, აფრიკის ჩათვლით.

მუჰამადი წვრილი ვაჭრის შვილი იყო და ერთ დროს თვითონაც ვაჭრობდა... მის საბრძანებელში ვაჭრები ჯეროვანი პატივისცემით სარგებლობდნენ და ეს ტრადიცია სუფევდა მთელ ხალიფატში. არაბულმა ცივილიზაციამ და კომერციამ მოიცვა თითქმის მთელი იმდროინდელი მსოფლიო. გამოჩენილი არაბი მწერლის ალ-ჰარირის (1054-1122), აბრეშუმის ვაჭრის შვილის, მთავარი გმირები მოგზაურები და ვაჭრებია, რომლებიც ზოგჯერ დერვიშის სახითაც დაეხეტებიან მექადან, დამასკოდან და ბაღდადიდან მოყოლებული ქაირომდე, გრანადამდე და კორდოვამდე, ერაყის, ირანის, შუა აზიის, ამიერკავკასიის და სხვა ქვეყნებში. ალ-ჰამაზანის (959-1007) გმირებიც ვაჭრებია, რომლებიც, სადაც არ უნდა მოგზაურობდნენ „ერაყ-

სა, ირანსა თუ კავკასიაში“ ეცნობიან მრავალგვარი ხალხის ყოფიერებას. თაოსნიანი, ნიჭიერი, განათლებული, მოხერხებული, ჭკუიანი, ცუღლუტი და თავგადასავალთა მაძიებელი თავქარიანი ვაჭრები, ბედუინები, დერვიშები, სხვადასხვა ხელობის ოსტატები მოდებულნი იყვნენ მთელ მუჰამადიანურ მსოფლიოს და მათ კარგად იცოდნენ ოქროს ფასიცა და სიმუხთლენიც.

.ალ-ჰარირი მექარავნე ვაჭრის მხლებლის, განათლებული, ავარა, თაოსნიანი ავანტურისტის, აბუ საიდის პირით აცხადებს:

„დიდება შენ, ყვითელო,მშვენიერო ბრწყინვალეო“.
ცისქვეშეთის ქვეყნების შორეულო მოხეტიალეო!...
შენ ყველას გულსრულად უყვარხარ ტიალო...
შორს თუ ხარ მაცდურათ ანათებ მზიერო...
ყველა ქვეყნის და საუკუნის მბრძანებელო, მრავალსაიერო...
დაიღუპე, წყეულო, მლიქვნელო, ცბიერო!
დინარო ყვითელპირო, მოღალატეო და ორპირო..“

შუასაუკუნეთა აღმოსავლეთის მუსლიმანურ მსოფლიოში გავრცელებული შეხედულებით ვაჭარი არ უნდა ესწრაფოდეს ადგილმამულის შეძენას: „ვერცხლია მისთვის მიწაც, წყალიცა და ვენახიც“. — ფულით მას შეუძლია ყველაფრის შეძენა. ვაჭრის გულის მოგებას, გაშინაურებას, გათავისებას ცდილობდნენ უძლიერესი ფეოდალები. „მოგზაურობამ ვაჭრებს თვალები გაუხილა; ესენი იყვნენ ცივილიზაციის მატარებელნი — კულტურტრეგერები, რომლებიც ავრცელებდნენ კულტურის მიღწევებს; მათს წინაშე ვალდებულია მუსლიმანური აღმოსავლეთის გეოგრაფიული მეცნიერებაც“[2]. ვაჭრებს მოჰქონდათ შორეული ქვეყნების ყოფა-ცხოვრების, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების, ომებისა და მბრძანებლების შესახებ ამბები. როგორც აკად. ვ. გორდლევსკი წერს, აღმოსავლეთში ხელმწიფეები, ხშირად, როდესაც სურდათ რაიმე გაეგოთ ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, „ვაჭარს აკისრებდნენ ელჩის მოვალეობას; და ეს კარგად ესმოდათ ქართველებს: მემატიანე პირდაპირ შენიშნავს, რომ ეს „ე. წ. სულთნის ელჩები მხოლოდ შპიონაჟზე ფიქრობდნენო“[3]. და ეს მით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ვაჭარი-ელჩის პიროვნება ხელშეუხებლობით სარგებლობდა, უმრავლეს შემთხვევაში საბაჟო საფასურსაც არ იხდიდა და სხვ. მეფეები შურს იძიებდნენ, დიდ გამოსასყიდელს ახდევინებდნენ და ლაშქრობასაც კი აწ-

---

[2] В. Гордлевский, Избр. соч., т. I, 1960, с. 143—144.
[3] იქვე, 145.

ყობდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათს ვაჭრებსა თუ ელჩებზე ძალადომრეობას იხმარდა, გაძარცავდა.

* * *

მე-11—13 სს. საქართველო არსებითად მთელ ამიერკავკასიასა და იმიერკავკასიის ნაწილსაც შეიცავდა და მისი სახელმწიფოებრივი ტერიტორია გადაჭიმული იყო „ნიკოფსიით დარუბანდამდის"[4]; იგი ჩართული იყო იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის უდიდეს ცენტრებთან უშუალო ურთიერთობაში. აქ გაყავდათ კეთილმოწყობილი გზები, აშენებდნენ ხიდებს, ქარვასლებს (ფუნდუკებს) და საშინაო თუ საგარეო ვაჭრობის გზებზე დასასვენებელი, შესაჩერებელი ნაგებობანი იყო აგებული. საერთოდ კი „...ქარავანსა ვერვინ ძარცვავდა ამერი და იმერი..."[5]

დასავლეთის, შავ და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან კავშირი ტრაპიზონისა და ფოთის (მტკვარ-რიონის, ფაზისის) გზით მყარდებოდა. თბილისიდან ქარავნები აღმოსავლეთისაკენ ჯერ მტკვრის გაყოლებით ბარდავს მიდიოდა, ხოლო აქედან კი დარუბანდისაკენ, საიდანაც გზა ხაზარეთისა და რუსეთისაკენ მიემართებოდა... თბილისიდან სპარსეთისაკენ — ჯულფა, არდებილი, თვით ქერმანამდე და აქედან შორს მიმავალი ქარავნები ინდოეთის ქალაქებისაკენ მიემართებოდნენ. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით მექადან თბილისამდე მანძილი 501 ფარსახს უდრიდა, ხოლო თბილისიდან ქერმანამდე 17 დღის გზა იყო... თბილისიდან დიდი საავაჭრო გზა დმანისით სამხრეთისაკენ, ერევნისაკენ და მერმე იქიდან კიდევ ჯულფის გზით თაურიზისაკენ და სპარსეთის სიღრმეში მიემართებოდა[6].

სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობის ისტორია მე-15 ს. იწყება და

---

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 132.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

[6] ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ისთახარი, ალ-ალემი, ყაზვინი, 1937, გვ. 19, 35; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1966, თბ.; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1973, VI; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, 1966; კ. კ უ ტ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს., 1976; ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, 1973, I—II.

სავსეა დრამატული ეპიზოდებით[7]. მე-16 ს. მეორე ნახევრიდან, რუსეთის მიერ ასტრახანის დაპყრობის დროიდან, მოსკოვის სახელმწიფოში სულ უფრო ვრცელდება ინდოეთიდან, სპარსეთიდან და ამიერკავკასიიდან შეტანილი საქონელი[8].

ამავე დროიდან ინგლისელი ვაჭრები ჩნდებიან არხანგელსკში და მალე ღებულობენ რუსეთის ტერიტორიით და კასპიის ზღვით სპარსეთთან ვაჭრობის ნებართვას. შემდეგ ინგლისელებმა თავიანთი ფაქტორიები გაიჩინეს რეშტსა და გილიანში... 1746 წ. ელისაბედ პეტრეს ასულმა პოლიტიკური მოსაზრებით აკრძალა ამ გზით ინგლისელთა ვაჭრობა... სპარსეთის ბაზრებისათვის და რუსი ვაჭრების წინააღმდეგ იბრძოდა დას. ევროპის ქვეყნების კაპიტალისტური მეწარმოება; — ეს უკანასკნელნი, ამ მხრივ, ერთმანეთსაც დიდად ეცილებოდნენ. ჯერ კიდევ ჰოლშტინიის ჰერცოგმა ჰამბურგიდან სპარსეთს თავისი ელჩი, ოლეარიუსი, მიავლინა. იგი შემახიაშიც იყო. ჟ. შარდენი სწორად ფიქრობს, რომ ოლეარიუსის ელჩობის მიზანი იყო შეეფერხებინა ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანიის ვაჭრობა, რათა სპარსული საქონელი (უმთავრესად აბრეშუმი) რუსეთის ან ამიერკავკასიის ტერიტორიით ჰამბურგში გატანილიყო[9].

---

[7] А.-К. Али-Заде, Соц.-экон. и полит. история Азербаиджана XIII—XIV вв., 1956, Баку; Б. Заходер. Каспинский свод сведении о Восточной Европе, 1962, М.; В. Минорский. История Ширвана и Дербента X—XI вв., 1963, М.; П. Коковцев. Еврейско-хазарская переписка в X в., 1932, Л.; С Тер-Аветисян. Город Джульфа..., 1937, Тб.; Я. Манандян, О торговле и городах Армений..., 1930, Эривань; Ш. Месхиа Города и городской строй феодальной Грузии, 1959, Тб.; Г. Абдулаев Из истории С.-В. Азербаиджана XVIII в., 1958, Баку; Ф. Алиев. Место Азербаиджана международной транзитной торговле в XVIII в. (Материалы по экон. истории Азербайджана..., 1970, Баку); Л. Тер-Мкртичян, Армения под властью Надир-шаха, 1963, М.

[8] Ж. Шарден. Путешествие по Закавказью, 1901, Тифлис; М. Федоров. Соперничество торговых интерессов на Востоке, 1903; С. Броневский Новейшие географ. и исторические известия о Кавказе, 1823, М., с. 194—195; О. Марков, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, 1966, М.; В. Горделевский, Избр. соч., т. I, 1960, М.

[9] Т. Юзефович. Договоры России с Востоком..., 1869, СПБ; М. Фехнер Торговля Русского государства со странами Востока в XVI в., 1956, М.; М. Чулков Историческое описание российской комерции.... т. I—IV, 1784—1876, М.; А. Семенов Изучение исторических сведений о российской внешней торговле и промышленности, ч. I—III; Н. Бан-

მე-18 ს. რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრში იყო თურქეთ-სპარსეთისა და კასპია-შავი ზღვის საკითხი. 1762 წ. სახელმწიფო კანცლერი მ. ი. ვორონცოვი წერდა: „თურქეთს შეუძლია ზიანი მიაყენოს რუსეთს პოლონეთისა და სპარსეთის საქმეებში, განსაკუთრებით კასპიის ზღვაზე, ყირიმში და ყირიმელთა მეშვეობით. ამიტომაც საჭიროა ხელში ჩავიგდოთ ყირიმი და დონის შესართავი და გვყავდეს ფლოტი შავ ზღვაზე, რათა თურქები და თათრები შიშში და კანონთა ფარგლებში რჩებოდნენ, ხოლო იქაური კომერცია ჩვენს სასარგებლოდ აეწყოს"[10].

უფრო გვიან, როდესაც მოსკოვში პ. რიაბუშინსკისთან ეკონომიკურ თათბირზე მსჯელობის საგანი იყო ინდო-ევროპული რკინიგზის პროექტისადმი რუსეთის მრეწველობის დამოკიდებულების საკითხი, ყველამ მხარი დაუჭირა რიაბუშინსკის მოხსენების იმ აზრს, რომ სპარსეთში რუსეთის ვაჭრობის ყოველგვარი კონკურენციისაგან დაცვის საუკეთესო საშუალება იყო „უგზოობის სტიქიური მონოპოლია". მაგრამ ასეთი „მონოპოლია" არახელსაყრელი იყო თვით სპარსეთისათვის, რომელსაც არსებულ ვითარებაში იაფად უნდა მიეყიდა უცხოელთათვის თავისი ნედლეული და ძვირად ეყიდა მათი მზანაწარმი. მართალია, ოდესღაც სპარსეთი მსოფლიო ვაჭრობის ცენტრში იყო. ჩინეთი და ინდოეთი სპარსეთის მეშვეობით უკავშირდებოდნენ ევროპას და პირუკუ — ევროპა აღმოსავლეთს. იმ დროს გაძლიერდა კიდევაც სპარსეთის სახელმწიფო და ამაღლდა ფარსისტანის ცივილიზაცია... მაგრამ გეოგრაფიული აღმოჩენების, მსოფლიო ვაჭრობის, დიდ სახმელეთო-საზღვაო გზათა გადაადგილების, და, მაშასადამე, საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის შეცვლის შედეგად, თანდათანობით, უნდა დაცემულიყო სპარსეთის როლი და მნიშვნელობა...

ასურეთის, ბაბილონის, მიდიის, მესოპოტამიის ოდესღაც აყვავებული სახელმწიფოები, კეთილმოწყობილი საქარავნო გზები, ბრწყინვალე ქალაქები ნანგრევებად იქცა და, ბოლოს, მათი ცივილიზაცია უდაბნოების ქვიშამ დაფარა... ახალ ვითარებაში, განსაკუ-

---

ты ш-Каменский, Обзор внешних сношений России, ч. I—VI, 1900—1904, М.; Белокуров, Исторический обзор связей Кавказа политическими образованиями Восточно-Европейской равнины и с Московским государством до начала XVII в., შესავალი; В. Мавродин, Начало мореходства на Руси, 1949, Л.

[10] Архив князья Воронцова, кн. 25, с. 302; М. Фехнер, Торговля Русского государства со странами Востока, 1852.

ურებით მე-18 ს. ბოლოდან და მე-19 ს. დასაწყისიდან რომ ყალიბდება, ჩრდილოეთიდან კასპიის ზღვის, სამხრეთიდან არაბეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის საზღვრებში მოქცეული სპარსეთი დიდი ზომით გამოეთიშა მსოფლიო საზღვაო ტრანზიტის ახალ დიდ მაგისტრალს. კასპიის ზღვა ამიერიდან უმთავრესად რუსეთ-სპარსეთის კომერციული კავშირის არტერიად გადაიქცა. ხოლო თვით სპარსეთის ტერიტორიაზე საქონელბრუნვა, როგორც ათასი წლების წინათ, ისე თვით მე-19—20 საუკ. მიჯნაზეც, აქლემების საქარავნო გზით ხორციელდებოდა, რაც ამ პერიოდში უკვე მეტისმეტად ძვირ „სიამოვნებას" წარმოადგენდა... ყველაზე უფრო გატკეპნილ საქარავნო გზაზე, მეშხედიდან ქირმანამდე (924 ვერსზე), 1 ფუთი ტვირთის 100 ვერსზე გადაზიდვა ზაფხულში 7-13 კაპ. (აქლემის, ვირის, ჯორის საპალნით), ხოლო ზამთარში 11-20 კაპ. ჯდებოდა. ამ გზაზე აქლემი (10—15 ფუთი საპალნით) დღე-ღამეში 25—30 ვერსს, ხოლო ვირი და ჯორი (4—5 ფ. და 6—7 ფ.) 45 ვერსს გადიოდა, — უფრო მეტად სავსებით უკაცრიელ ტერიტორიაზე... დიდი საქარავნო გზების მაგისტრალი, გასაგები მიზეზებისა გამო, მოსახლეობას საცხოვრებლად ნაკლებად იზიდავდა... დაახლოებით, ანალოგიური იყო ჯულფა-თავრიზ-ყაზვინ-თეირანის საქარავნო გზის ვითარება[11].

საქართველოსა და ამიერკავკასიის კომერციული კავშირების გეოგრაფიას კარგად მიანიშნებენ ნუმიზმატიკური ფაქტები — იმდროინდელი ადგილობრივი ჭედის მონეტების განძები საზღვრებს გარეთა ტერიტორიებზე, ხოლო უცხოური ჭედის მონეტები საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებს შიგნით რომ არიან ნაპოვნი. ისინი მეტყველებენ იმ ფართო და განშტოებულ სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ, რაც ამიერკავკასიის ხალხებს მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან ჰქონიათ[12]. საერთოდ ფულის, მონეტის მიმოქცევის გავრცელების მაჩვენებლები ნუმიზმატიკური ფაქტები იმავდროულად ვაჭრობის, კომერციული კავშირებისა და თვით საქარავნო გზების, ქარვასლების, ბაზრებისა და საერთოდ სიმდიდრეთა კონცენტრაციის და, ბოლოს, თვით მათი დროის თავისებური ინდიკატორებია[13].

---

[11] Л. Собоцинский Персия. Стат.-экон. очерк, 1913.

[12] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955; Е. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, 1926, Баку; В. Бартольд, Соч., т. I—III.

[13] ა. ფაქიძე, დიდი პიტიუნტი (დიდი პიტიუნტი, I, 1975, თბ., გვ. 15—17, 30—33, 119—123); გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკო-

ქარავანი ჩვეულებრივ იყო სახმელეთო (სასაპალნე და თელიანი ტრანსპორტით) თუ საზღვაო-სამდინარო გზით (ნავით, ხომალდით) მიმომავალ შორეულ ქვეყნებთან მოვაჭრეთა თავისებური, უფრო ხშირად დროებითი ამხანაგობა. ეს კავშირი ნავარაუდევ კომერციულ ცენტრებში მისვლისა, იქ ვაჭრობისა და მერმე უკან დაბრუნების პერიოდით განისაზღვრებოდა. ქარავანს, როგორც წესი, ახლდა დაცვა, რაც აუცილებელი იყო ფათერაკიან ტერიტორიებზე გავლისას, როდესაც გარდა საკუთარი შეიარაღებული ძალებისა, მეკობრეთაგან თავდაცვისათვის, ქარავანს ხშირად დროებით დაქირავებული რაზმიც მიჰყვებოდა. პატარა ქარავნები, ერთეული ვაჭრები თუ მოგზაურები უცდიდნენ თანამგზავრ დიდ ქარავანს.

კეთილმოწყობილ საქარავნო გზებზე ყოველ ერთი დღის სავალზე გაადგილებული იყო გალავანშემოვლებული დასაბანაკებელი თავშესაფრები, ქარვასლები, ფუნდუკები, გასაჩერებელი სადგომები, ტავერნები. შორეული ქვეყნის ქარავნის მოსვლა დიდ ქალაქებშიც კი მთელი მოვლენა იყო. მას არა თუ მხოლოდ სხვადასხვა უცხოური საქონელი არამედ, ამასთანავე გაუგონარი, სენსაციური ამბებიც, წერილებიც მოჰქონდა, მას მოჰყვებოდა სხვადასხვა ერისა და კულტურის ადამიანები. ამიტომაც ქალაქში შემოსულ და ქარვასლისაკენ (ბაზრისაკენ) მიმავალ ქარავანს აედევნებოდა ხოლმე ინფორმაციებს მოწყურებული, და თვით უცხოურ ნაკეთობათა ხილვას და ყიდვას მონატრებული როგორც ადგილობრივი ხალხი ასევე ტურისტები.

მაგრამ შუასაუკუნეების ვაჭართა ქარავნობა თავისებური „ლაშქრობაც“ იყო. საქმე ისაა, რომ ვაჭრობა იმთავითვე დაკავშირებულია მოტყუებასა, ძალმომრეობასა და ძარცვასთან[14]. „ვაჭრები, რომ-

---

ნომიკური ურთიერთობანი ბიზანტიაში ნაპოვნი ნუმიზმ. მასალ. მიხედვით (იქვე, გვ. 280—430); მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები I—III, 1954—1961, თბ.; M. Максимов, Очерк о серебре, 1974; K. Kiesselbach. Der Gang des Welthandels, 1890; A. V. Luschin. Allgemeine Münzkunde und Geldgeschichte des Mittelalters und der noueren Zeit 1904; N. Shaw, The History of Currency, 1896.

[14] A. Beer. Geschichte des Welthandels, რუს. თარგმანი: А. Бэр, История всемирной торговли, ч. I—II, 1876—1877; W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mitelalter, B. I—II, 1879; Roelmann. Die Wirtschaftspolitik der Florentier Renaissanse, 1878.

ლებიც აღმოსავლეთიდან აბრეშუმსა და სხვა საგნებს ეზიდებოდნენ, არა მარტო ჭკვიანნი და მოხერხებულნი, არამედ კარგად შეიარაღებულნიც იყვნენ და არავითარ ძალმომრეობას არ ერიდებოდნენ. სხვისი ქარავნების ძარცვა, ზღვის მეკობრეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჭრობასთან" (ვ. რეიმესი)[15].

ასე რომ, ტყუილად როდი ამბობს გოეთე:

„ვაჭრობა, ყაჩაღობა და მეკობრეობა
არის სამება განუყოფელი".

შორეულ ქვეყანაში, ანდა ქვეყნებში მიმავალი ქარავანი ხშირად ძლიერ მიაგავდა სამხედრო ექსპედიციას. საქმე ისაა, რომ მეკობრეობაც ზოგჯერ ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. მეკობრეობას ეწეოდნენ მრავალრიცხოვანი დაჯგუფებანი, ხანაც კიდევ მთელი ტომები, თემები, რომლებიც გაბატონებულნი იყვნენ ხელსაყრელ ტერიტორიაზე; სადაც გამვლელ ქარავნებს, ხშირი იყო შემთხვევები, გამოსასყიდელს (ბაჟს) ახდევინებდნენ.

დიდი ქარავანი, შეამხანაგებულ ვაჭრებთან, ანდა მსხვილი სოვდაგრის კაცებთან ერთად შედგებოდა თვით სასაპალნე პირუტყვის — აქლემების, ცხენებისა და ვირების მომვლელ მსახურთაგან, რომელთა შორის ხშირად პირუტყვის პატრონიც იყო, შეიარაღებულ ცხენოსან გამყოლ-მცველთაგან, რომელთა და საერთოდ ქარავნის სათავეში იდგა უხუცესი, ქარავანბაში. ქარავანბაში ზოგჯერ ერთმანეთს უთავსებდა დიდვაჭრისა და რაინდის ფუნქციებს. ასეთ შემთხვევაში იგი კარგად შეიარაღებული სოვდაგარი იყო. ზოგჯერ ქარავანის უხუცესი არისტოკრატიული წარმომავლობისა იყო და მაშინ ქარავნის მცველად მას თავისი ყმებისაგან, ვასალებისაგან, შერჩეული ბებრძოლთა რაზმი ახლდა, ქარავანს, თუ ის შორეულ ქვეყნებში მიდიოდა, გარდა სასაპალნე პირუტყვისა, თან მიჰყავდა საკლავი პირუტყვი, უფრო მსხვილრქიანი, როგორც თვითმოძრავი საშმლის მარაგი და სხვ.

ქარავანთან ერთად ხშირად შორეულ და ხიფათიან გზებს ადგებოდნენ სხვადასხვა დარგის მოხეტიალე ხელოსნები, თავიანთი იარაღ-ინსტრუმენტებით, აგრეთვე კომენდიანტების ჯგუფი და კიდევ, არაიშვიათად, რელიგიურ ცენტრებში სალოცავად მიმავალი მართლმორწმუნენი, — მით უმეტეს თუ ქარავანი მიდიოდა ან გზად გაივ-

---

[15] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება (ქრესტომათია), ტ. II, წიგნი I, 1934, გვ. 360.

ლიდა საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს, სადაც დღესასწაულებს ჩვეულებრივ უკავშირდებოდა ბაზრობა, იარმარკეტები... ამგვარი ქარავანი ერთგვარი მოძრავი კოლონია იყო, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი სახე („სამყარო") გააჩნდა[16].

ამასთანავე მგზავრობა და გზა არ იყო მხოლოდ გზა და მარტოოდენ მგზავრობა. ის, გრძელდებოდა რა თვეობით და წლობითაც, იყო დიდი ცხოვრება, იძლეოდა ფართო გამოცდილებას და ათასგვარ ინფორმაციას; — იგი თავისებურ სკოლასაც წარმოადგენდა. ის იყო ცხოვრებისეული სარბიელი იმათთვის, რომლებიც როგორც ვაჭრები, მხედრები, ტურისტი-მოგზაურები, მხლებლები, მსახურები, გამყოლები, მცველები, ხელოსნები, ოსტატები, მსახიობები სისტემატურად მოგზაურობდნენ სხვადასხვა შორეულ, თუ ახლობელ უცხო ქვეყანაში. მათ იცოდნენ უცხო ენები. ზოგჯერ კიდევაც მსახურებად, მთარგმნელებად, საელჩოების მრჩეველებად, ელჩებად უდგებოდნენ ადგილობრივ მეფე-მთავრებს და მაშინ შედარებით დიდი ხნით რჩებოდნენ ერთ ადგილზე. მგზავრობისას თან მიჰქონდათ წიგნები. ზოგჯერ მთელი ბიბლიოთეკები. კითხულობდნენ. წერდნენ შთაბეჭდილებებს. აღწერდნენ ღირსშესანიშნავ მოვლენებს.

საქარავნო ვაჭრობის მეოხებით ფრიად შორეულ ქვეყნებს შორის მყარდებოდა კავშირები. ერთ-ერთი დიდ საქარავნო გზა შუა საუკუნეებში იყო, მაგალითად, ინდოეთსა და ეგვიპტეს შორის, რაც ასახულია „ვეფხის ტყაოსანში"; „ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა უგრძესიო"... ეს იყო ნივთიერ დოვლათთა, მატერიალურ ღირებულებათა, კულტურულ ფასეულობათა გაცვლა და, აგვარად, იმავდროულად ურთიერთგამდიდრება — არა მხოლოდ საქონელგაცვლით, არამედ ამასთანავე ცოდნით, ინფორმაციით, როგორც საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელი პირობებით. სხვადასხვა ტრადიციისა და განსხვავებული რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და სხვ. წარმომავლობის ადამიანურ მოვლენათა — ნაკეთობათა, ნახელავთა — ერთ ფარვატერში მშვიდობიანი მდინარება, როგორც ურთიერთშეპირობებული პროცესი ადვილდებოდა იმითაც, რომ ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ნაციონალური განკერძოებულობის, გაუცხოურების და მით უფრო ნაციონალური ანტაგონიზმის ფერმენტები, რის მეოხებითაც კომერციული თუ კულტურული კავშირის დამყარების გზაზე არსებული ერთსულოვნება (საყოველთაო საჭიროება) ერთენოვანობაზე უფრო ძვირფასი (ძლიერი) ფაქტორის სახით მოჩანდა...

---

[16] H o b s o n. International Trede, 1930.

საერთაშორისო ვაჭრობაში დიდ როლს თამაშობდნენ ებრაელები. ჯერ კიდევ IX-X სს. მათი, მაგალითად, პროვანსალელი ებრაელების ოპერაციები დას. ევროპიდან, კერძოდ საფრანგეთიდან მოყოლებული სახმელეთო თუ საზღვაო გზებით, აფრიკის, ეგვიპტის ტერიტორიით, მედინასა და მექას ნავსადგურებით, მერმე სპარსეთის ყურეთი აღწევდა ინდოეთისა და ჩინეთის სავაჭრო ცენტრებს. ისინი ვაჭრობდნენ: ძვირფასი შესამოსელით, აბრეშუმქსოვილებით, იარაღ-საჭურველით, ბეწვეულით, საჭურისებით, მონებით, მხევალი ქალებით, სანელებლებით. ძვირფასი თვლებით, ოქრო-ვერცხლის ნატიფი ნაკეთობებით... ხშირად მათი გზები სპარსეთის ყურედან მიემართებოდა კასპიის ზღვისა, კავკასიისა და კონსტანტინოპოლისაკენ და მაშინ მათ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ.

ამ პერიოდში აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული იყო უპირატესად ვერცხლის, ხოლო დასავლეთისაში — ოქროს მონეტის მიმოქცევა. ბიზანტიასა და სასანიდების იმპერიას შორის სპეციალური ხელშეკრულებაც იყო დადებული, რომლის თანახმადაც სპარსეთში ვერცხლის, ხოლო ბიზანტიაში ოქროს მონეტები იჭრებოდა. მე-10 ს. 1 ოქროს დინარი 14 ვერცხლის დიჰრემს უდრიდა. რა თქმა უნდა, იცოდნენ და კარგადაც ახერხებდნენ ოფიციალურად დადგენილზე ბევრად უფრო დაბალი სინჯის მონეტების გამოშვებას. საერთაშორისო ვაჭრობაში უკვე ჩნდება თამასუქები და ჩეკები, ზარაფები და ბანკები... ვაჭართა კავშირები, ორტაღლები, გილდიები...[17].

უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი ადგილობრივი მოხმარების საგანი ხდებოდა და, ადრე თუ გვიან, ადგილობრივი მოთხოვნილებისა და წარმოების შემოქმედებით ბრძმედში გამონაწრთობი ახალ თვისებასა და სახეს ღებულობდა, — სხვა მასალისგან კეთდებოდა, სხვა ფერისა იყო, სხვა გემოვნებას შეეხამებოდა და ასეთ ვითარებაში უნდა გაევლო არა მხოლოდ ნივთიერ, არამედ ყოველგვარ სულიერ, კულტურულ სიმდიდრეს. ვითომდა ზეეთნიკური ფორმით მოვლენილი საკუთარი თვითმყოფური არსებობის შენარჩუნებაუნარიანი ფენომენი ავტოქტონურ იერსა და სამოსელში იკაზმებოდა და ამიერიდან თავის მიმოქცევის არეალში მით უფრო გარსედინი ფორმით მოძრაობდა.

საერთოდ მიმოქცევის სფეროში დასაქმებული ადამიანები, ვაჭ-

---

[17] H. Graetz. Geschichte der Iuden, 1909, Leipzig; I. Goldziher. Vorlesungen über den Islam, 1925, Heidelberg; W. Heyd. Geschichte des Levantehandels im Mittelalter, Bd. I—II, Stuttgart.

რები მოსახლეობის ძირითად მასებზე უფრო განათლებულნი და წიგნიერნი იყვნენ; მათ, ასე თუ ისე, იცოდნენ უცხო ენები, კერძოდ ენები იმ ხალხებისა, რომელთა ქვეყნებში დადიოდნენ. ამასთანავე შორ და ხიფათიან გზებზე მგზავრობის, მიმოძრაობის სიმძიმე და სირთულე მათ ადრითგანვე აიძულებდა შეკავშირებასა და ურთიერთმხარდაჭერის ინტერესის სარფიანობის გაგებას, რაც ვაჭართა კავშირების, გილდიების, ქარავანთა შედგენისა და სხვ. ინსტიტუტის სახით ყალიბდებოდა.

როგორც ფრ. ენგელსი წერს, შუასაუკუნეებრივ ურთიერთობათა პირობებში ვაჭარი მარევოლუციონირებელ ელემენტს წარმოადგენდა; იგი არ იყო ინდივიდუალისტი და, შესაბამისად მისი თანამედროვე ადამიანთა საერთო განწყობილებისა, თვნურობის საწყისებზე იდგა.[18] ეს მომენტი მით უფრო მეტი ზომით გამოსჭვივოდა მათს ყოფიერებაში, რაც უფრო მეტად მიმოდიოდნენ ვაჭართა ქარავნებთან ერთად ხელოსნები, მეცნიერები, ხუროთმოძღვრები, პოეტები, მსახიობები, ჯამბაზები, საერთოდ მოგზაურობისა და საშოვრთა უშრეტი წყურვილით, ტურიზმის ინტერესებით ამოძრავებული ხალხი, რომელთა შორის, ცხადია, იოლი გამდიდრების მოწადინე არისტოკრატიული თუ მეკობრული წრის ადამიანებიც არ იყო უცხო.

მართალია, თითქმის ყველა რელიგიური სისტემა მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის იდეებთან ერთად ქადაგებდა დაპირისპირებული სარწმუნოების აღმსარებელთადმი მტრობასა და შეურიგებლობას და ამიტომაც ყველა მოპირდაპირეს ურწმუნოს ეძახდა, მაგრამ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, თვით სახელმწიფოებრივი წყობილებები არასოდეს არ საზრდოობდნენ და არ იზღუდებოდნენ მარტოოდენ რელიგიური დოგმებით.

მაგალითად, საკუთრად მუსლიმანური რელიგია და თვით სახელმწიფოებრივი კანონები მეტყველებენ უცხოელთადმი, მოგზაურთადმი საერთოდ და ვაჭრებისა და დერვიშებისადმი შემწყნარებლური და უპირატესად კიდევ სტუმართმოყვრული დამოკიდებულებისათვის, მათთვის გზახსნილისა, ხელუხლებლობისა და მშვიდობიანი მიმოძრაობის უზრუნველყოფისათვის, რაც შეესაბამებოდა თვით ხელისუფლების, ქვეყნის ადმინისტრაციის ინტერესებს. საქმე ისაა, რომ იმპორტულ თუ ტრანზიტულ საქონელზე დაწესებული საბაჟო საფასური შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, რომ არა ვთქვათ რა, თვით მეფე-მთავართა და საერთოდ არის-

---

[18] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 25, ч. II, с. 475—476.

ტოკრატიისათვის ესოდენ საჭირო უცხოური, უპირატესად ფუფუნების საგნების, მ. შ. იარაღ-საჭურველის მიღების აუცილებლობაზე.

მუსლიმანურ მსოფლგაგებასაც მიაჩნდა, რომ ამ ქვეყნად ხეტიალი, ნოგზაურობა სამყაროს მშვენიერების შეგრძნობისა და თვითშეცნების განვითარების უძლიერეს საშუალებას წარმოადგენდა[19]. ნოგზაურობის წყურვილისა და მისწრაფების რეალიზაციას ადამიანი გამოყავდა თემობრივი კარჩაკეტილობისა და უძრაობის, რუტინიზმისა და დამყაყებულობის მდგომარეობიდან, რათა ის მთელი მსოფლიოს მრავალფეროვანობას, სილამაზეს, სიმდიდრეს და, რაც მთავარია, ცოდნასა და გამოცდილებას, სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზიარებოდა.

უკვე ძვ. საბერძნეთში იყვნენ მოგზაურობის, ტურიზმის, უცხო. ქვეყნების ნახვის, ოიკუმენის გაცნობის წყურვილით ამოძრავებული ადამიანები. დემოკრიტე გაასამართლეს, როგორც შეშლილი, რადგან მოგზაურობაში დახარჯა მთელი თავისი ქონება. ძვ. წ. ა. მე-4 ს. უცხო მიწების ნახვით გატაცებული პითეას ხომალდი მიადგა ნორვეგიის ნაპირებს, ხმელეთს, რომლის იქით, მისივე სიტყვებით, უკვე არ იყო „არც ზღვა, არც მიწა, არც ჰაერი". ჰეროდოტეს მიაჩნდა, რომ ყველაზე უფრო კეთილმოწყობილი გზები ჰქონდა სპარსეთს. მათს გზებზე იყო ქარვასლები, სასტუმროები[20]... ძვ. წ. ა. 45 წელს ათენიდან რომისკენ მიმავალი ციცერონის ერთი მეგობარი გზებზე ათვალიერებდა რომაელთა ლაშქრობების შედეგად დანგრეულ ქალაქებს. იგი წერდა: ჩვენ ვდარდობთ, როდესაც ვინმე ახლობელი, მომაკვდავი ადამიანი გვეღუპება... ხოლო აქ ჰყრია ამდენი ქალაქის გვამები!... რომში ეს კულტურული ევოლუციის ის საფეხური იყო, როდესაც ადამიანს, თუ სურდა საზოგადოებაში განათლებულობით თავი გამოეჩინა, უნდა ნანახი ჰქონოდა ძვ. ბერძნული დიდებული ხუროთმოძღვრების და სკულპტურული ხელოვნების ძეგლები, უნდა ცოდნოდა ელინთა კლასიკური ლიტერატურა...

საადი (მე-13 ს.) — პოეტი, მეცნიერი, მოგზაური, „ჭეშმარიტების რაინდი", რომელმაც მრავალი ქვეყანა მოიარა, თვით ამიერკავკასიამდე მოალწია. აცხადებს: „თუ მოგზაურობ ახარებ გულს, მოიპოვებ სარფას, ხედავ მრავალგვარ უცხოელს, გესმის სასწაულები, ათვალიერებ ქალაქებს, საუბრობ მეგობრებთან, იფართოებ განათლებას და ცნობიერებას, იმრავლებ სიმდიდრეს და შეძლებულებას, ეცნობი ადამიანებს და სცდი შენს ბედს"[21].

---

[19] А. Мец. Мусульманский ренесанс, 1966, М.

[20] ჰეროდოტე, ისტორია, თ. უაუხჩიშვილის თარგმანი, I—II, 1975—1976, თბ.

[21] Мушрифаддин Саади. Гулистан, 1957, М., с. 168.

გადმოცემაა, რომ შუასაუკუნეთა სამარყანდის ვაჭრულ წრეებში ახლადშეძენილ ბიჟუნას ენაზე თაფლს წაესობდნენ, — „რათა იგი ტკბილმოუბარი ყოფილიყო“, ხოლო ხელის გულზე წვნოს, — რათა მას „მაგრად დაეჭირა ფული“ და ჩვეულებად იყო, რომ ოც წელს მიღწეულ ვაჟს უკვე მოვლილი უნდა ჰქონოდა მეზობელი ქვეყნები, სადაც კი რაიმე სარფა იყო სავარაუდებელი.[22]

შუა საუკუნეებში, — სამხედრო-პოლიტიკურ თუ რელიგიურ მისწრაფებათა საფუძველზე, შორეულ ქვეყნებში გამგზავრებული დიპლომატიური მისია ხშირად იმავე დროს სავაჭრო ქარავანი იყო, რომელსაც ძვირფას საჩუქრებთან ერთად თან მიჰქონდა სხვადასხვა საქონელი. ამ ასპექტში აღსანიშნავია, მაგალითად, 1258 წ. კახა თორელ-გამრეკელის, როგორც საქართველოს მეფის ელჩის, მგზავრობა ჰულაგუ ყაენთან, მონღოლთა მბრძანებელთან. დიპლომატიური მისიის შესრულებისას, თვითონ თორელი წერს, რომ „... ვიარებოდი და ვიყიდდი თუალსა მარგალიტსა და ზარქაშსაო“[23]...

საყოველთაოდ ცნობილია იმ პერიოდის დიდი და რთული ანალოგიური მოგზაურობა პლანო კარპინისა და გილიომ რუბრუკის (რუბრუკვისის). უკანასკნელმა, საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX ელჩის სახით, 1253-1255 წწ. იმოგზაურა მონღოლეთში. ეს უაღრესად განათლებული და დიდი ენერგიის ადამიანი, მეექვსე ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილე, დიპლომატი, ბერი, თავისი ორდენის (მინორიტების) წესჩვეულების შესაბამისად ყოველთვის და ყველგან ფეხშიშველი დადიოდა[24]. კიდევ უფრო დიდი და საოცარი იყო ვენეციელი მარკო პოლოს და მისი მამის ნიკოლოსა და ბიძის მათეოსის მოგზაურობა[25]. ვენეცია, კონსტანტინოპოლი, ყირიმი, ოქროს ურდო (ყივჩაყთა სამეფო), სადაც მათს ყოფნას (1262) დაემთხვა ბერქასა და ჰულაგუ ყაენს შორის ომი, — მონღოლთა დიდი იმპერიის ნანგრევებზე ჩინგისყაენის მემკვიდრეთა შორის ბრძოლა. აქედან ისინი მიდიან ბუხარაში, შემდეგ სამარყანდი-კაშგარი-იარკენდი; მერმე მონღოლთა იმპერიის ცენტრში — ყარაყორუმში[26], საიდანაც ჩინეთში ხუბილაი ყაენის სატახტოში ჩავიდნენ... 1271 წ.

---

[22] Н. Бичурин (Иакинф), Соб. свед. о народах, обитавших в Сред. Азии..., 1950, II, с. 310.

[23] ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, II, გვ. 919—926.

[24] Путешествия в Восточные страны П. Карпина и Рубрука, 1957, М.

[25] Марко Поло. Путешествие. 1940, Л.

[26] მონღოლთა სატახტოში, ყარაყორუმში, ბევრი იყო სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები და ხელოსნები. აქ მუშაობდნენ ტყვე ჩინელები, ტიბეტელები, სპარსელები, ალანები, რუსები, ქართველები, სომხები, უნგრელები და სხვ. (Д. Даркевич, Аргонавты средневековья, 1976, М., с. 144).

ისინი უკანასკნელმა ვენეციაში მიავლინა. მალე აქედან უკვე მეორეულ მიდიან აღმოსავლეთში, ოღონდ ახლა სხვა გზით: აკრადან (სეინ-ჟან დ'აკრ—ნავსადგური და ციხე-სიმაგრე სირიაში) კილიკიით ლიასის პორტიდან გასულნი გაივლიან ქალაქებს კაისერიას, სივასს, ერზინჯანს, არზრუმს, თავრიზს, ქერმანს, საიდანაც ჩადიან სპარსეთის ყურეს, ორმუზის ნავსადგურში. აქედან კი უკვე წავიდნენ არა ზღვით როგორც ადრე ვარაუდობდნენ, არამედ გეზი აიღეს ჩრდილოეთისაკენ და ნაქალაქარ ბალხაზე გავლით გადალახეს პამირი (ესენი იყვნენ პირველი ევროპელები, რომელთაც პამირი აღწერეს) და შუააზიიდან და სპარსეთიდან ჩინეთში მიმავალ აბრეშუმისა და ნეფრიტის ძველ სავაჭრო გზაზე გავიდნენ. მერმე ქალაქ — ოაზისებზე — როგორიც იყვნენ კაშგარი, იარკენდი, ხოტანი და შაჩეოუზი, — გავლით მიაღწიეს ხამამდე, საიდანაც გზა გააგრძელეს სამხრეთ-დასავლეთისაკენ და მიადგნენ ყვითელ მდინარეს და ასე ჩავიდნენ შანდუში, ხუბილაის საზაფხულო რეზიდენციაში. იმ პერიოდში აქლემების, ცხენების, ვირების სასაპალნე ქარავანი დღეში 20—25 კილომეტრს გადიოდა.

აქ შეიძლება ისიც ითქვას, რომ მარკო პოლოს „მოგზაურობაში" საინტერესო ცნობები მოიპოვება სომხეთსა და საქართველოზე. იგი წერს „... ქართველები ლამაზნი, ვაჟკაცურნი, საუცხოო მოსარნი და მეომრები არიან ბრძოლებში... აქ ბლომადაა აბრეშუმი... ამზადებენ აბრეშუმისა და ოქრონეშსურ ქსოვილებს, რომელთა უკეთესს ვერსად ვერ იხილავ... ხალხი ეწევა ვაჭრობასა და ხელოსნობას... საუკეთესო ქალაქია თბილისი, რომლის შემოგარენში მრავალი ციხე-სიმაგრე და სოფელია, სადაც ცხოვრობენ ქრისტეანი სომხები, ქართველები და აგრეთვე მცირე რაოდენობით არაბები და ებრაელები"...[27]

ასეთი იყო საქარავნო მგზავრობა ძველად... მაგრამ ქარავანი, როგორც ითქვა, მარტოოდენ ვაჭრებისაგან არ შედგებოდა... აი, როგორ გადმოგვცემს, მაგალითად, მე-14 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიფორე გრიგორა კონსტანტინოპოლში ჩასული მოქარავნე აკრობატების (და მეტნაკლები ზომით, აუცილებლად ვაჭრებისა და ხელოსან-ოსტატების) დიდი მოგზაურობის მარშრუტსა და შემდეგ ქალაქის ღია ცის ქვეშ გამოსვლას, სანახაობის ჩვენებას: „ისინი ფავდაპირველად გამოვიდნენ ეგვიპტიდან და ერთგვარი წრე გააკეთეს, გაიარეს რა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ ქალდეა,

[27] Марко Поло. Путешествие, с. 17—20.

არაბეთი, სპარსეთი, მიდია და ასურეთი, ხოლო დასავლეთისკენ ევერია, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთებთან, კოლხიდა, არმენია და სხვა სახელმწიფოები, თვით ბიზანტიამდე და ყველა ქვეყანასა და ქალაქში უჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას. ბიზანტიიდან ისინი წავიდნენ თრაკიისა და მაკედონიის მიმართულებით... და, ამგვარად, მთელი სამყარო გადააქციეს თავიანთი ხელოვნების მაყურებლად"[28]

როგორც ჩანს, ამ ქარავანს ისეთი გზით უმოგზაურია, რომ ის გვერდს ვერ აუვლიდა თბილისს...

ასეთი ქარავნები მოდიოდნენ მე-19 საუკუნის შუახანების თბილისშიც, თითქმის სავსებით იმგვარად, როგორაც შუა საუკუნეებში. ოღონდ ისაა, რომ ამ დროიდან აქ სულ უფრო ძლიერად შემოდიოდა ახალი ევროპული ცივილიზაციის და კერძოდ კომერციისა და მრეწველობის გავლენა[29], რაც თბილისს, როგორც იმდროინდელი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, აზიური და ევროპული, ევროპული და აზიური ქალაქის იერს აძლევდა[30].

---

[28] Византийские историки, т. I. Римская история Никифора Григоры 1862, СПБ, с. 342—344.

[29] ომიანობის ვითარებაში ქარავნები სდგებოდა სამხედრო ამუნიციების და ჯარებისათვის სურსათ-სანოვაგის გადასაზიდად. ე. წ. კავკასიის ომების პერიოდში ამ მიზნით სოფლებიდან მასობრივად გაყავდათ შეურმეები. მაგრამ სავაჭრო ქარავნებისაგან განსხვავებით ამ მექარავნეთა მდგომარეობა საერთოდ ძლიერ მძიმე იყო და არა მხოლოდ იმის გამო, რომ გასამრჯელოს ცოტას აძლევდნენ, და ზოგჯერ სრულებით არაფერს არ უხდიდნენ, არამედ იმის გამოც, რომ ესენი შეიძლებოდა თვით სამხედრო ოპერაციების ადგილზე აღმოჩენილიყვნენ, ანდა მოწინააღმდეგე ძალებს ჩაეგდოთ ხელში და სხვ. გრ. ორბელიანი თავის ძმას ილიას 1845 წ. სწერდა: „...აქ შურაში (თემირხანშურა, ჩრდ. კავკ. — პ. გ.) იყვნენ ქართველების ურმები, ქირაზე პური მოჰქონდათ პეტროვსკიდამ შურაში; ამას წინათ გზაზე დაესხა მტერი და თითქმის მთლიანად წაახდინა ეს საწყლები: 6 მოკლეს, 43 წაიყვანეს ტყვედ და მთლად ასის ურმის ხარები, ამათ რიცხვში ჩვენი კოდელებიც დაიღუპნენ... ეგების მანდ როგორმე მოაგროვებინო სამადლოთ ფული, რამდენიც შეიძლო და გამოგზავნო, რომ რამდენიმე გამოვიხსნათ" (გრ. ორ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, I, 117).

[30] საქართველოსა და ინდოეთს შორის ძველი კომერციული კავშირები მე-19 საუკუნეშიც გრძელდებოდა. თბილისელი ვაჭრების, მაგალითად, ზუბალაშვილების, შადინოვების, გურგინბეგაშვილების, სარაჯიშვილებისა და სხვ. სავაჭრო ოპერაციები სცილდებოდა ირან-თურქეთის საზღვრებს და აღწევდა თვით ინდოეთის ეკონომიკურ ცენტრებს, სადაც ადრითვანვე იყო სომხურ-ქართული კოლონიები. ამ მხრივ აღსანიშნავია კერძოდ რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში და მერმე რუსეთში, რაც თვითონ მის მიერვეა აღწერილი: რ. დ ა ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა ინდოეთში, 1950, თბ.; ეს წიგნი პირველად თვით ავტორმა გამოაქვეყნა რუსულად მოსკოვში 1815 წელს. იხ. აგრეთვე, მ ი ს ი ვ ე, ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, 1971, თბ.

, საერთოდ ვაჭრობის წაქეზების მიზნით ცარიზმის ხელისუფლება მიმართავდა მრავალგვარ ღონისძიებას, მათ შორის, კერძოდ საქარავნო ვაჭრობისა და თვით ქარვასლების გაფართოების ცდებს[31]; შესაბამის პუნქტებში ახალი იარმარკეტებისა და ბაზრობათა ორგანიზაციას, ძველთა განახლებას და სხვ.

1828 წელს უმართებულესი სენატისადმი ბრძანებულებით თბილისში დაწესდა იარმარკტა, „პოკროვსკის იარმარკეტის" სახელწოდებით. ამ ბრძანებულებაში მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ სენატმა მოისმინა ფინანსთა მინისტრის მოხსენება და თბილისის სამხედრო გუბერნატორის შუამდგომლობა:

„...საშუალებათა შორის, რომელთაც შეუძლიათ იმ მხარეში გააძლიერონ ვაჭრობა და მრეწველობა და გაადვილონ სავაჭრო ურთიერთობა სხვადასხვა ხალხთა შორის, რომლებიც საქართველოს გარშემო ცხოვრობენ, ამ ხალხთა მიერ თავიანთ ნაწარმოებთა ევროპულ საქონელსა და რუსულ ნაკეთობებზე გაცვლის გზით — შეიძლება მიზანშეწონილად მივიჩნიოთ თბილისში იარმარკეტის დაარსება, რაც მით უფრო სასარგებლო იქნება მთელი საქართველოსთვის, რომ ამჟამად ერევნისა და ნახჭევანის ოლქების დაკავებამ (შემოერთებამ)[32] უნდა გააძლიეროს სავაჭრო საქმიანობა. ამასთანავე გაცვლითი ვაჭრობა იქ სარფიანად შეიძლება წარიმართოს მხოლოდ გარკვეულ ვადებში, როდესაც მთიელებისა და სხვათა მიერ ბაზრებზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა ცნობილი გახდება ჩვენი მეწარმეებისათვის"...

ამიტომ იარმარკეტისათვის ყველაზე ხელსაყრელად ცნობილ იქნა ოქტომბრის თვე, „როდესაც ქართველი ვაჭრები საქონლით ბრუნდებიან საზღვარგარეთიდან, ხოლო სხვა იქაური მცხოვრებნი ამთავრებენ სოფლის საქმიანობას და თავიანთ ნაწარმოებს მოამზადებენ გასაყიდად"[33].

ამ გზით მოსალოდნელი სარფიანობა მადას უღიზიანებდა როგორც ცარიზმის ბიუროკრატიას, ისე, ცხადია, რუს ვაჭრებსაც. რადგან, როგორც სენატის მასალებშია აღნიშნული, ეს ბაზრობა ხელს

---

[31] ЦАУ ГССР, ф. 5а, КЭВГП, 1828, д. № 392, — Опись казенным каравансараям, лл. 1—50.

[32] II ПСЗРИ, т. III, № 1888, с. 272—273.

[33] II ПСЗРИ, т. III, № 1829, с. 190.

შეუწყობდა: რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ეკონომიკურ დაპყრობას, — თბილისში რუსი ვაჭრების მოზიდვას, აქაურ ბუნებრივ სიმდიდრეთა გაცნობას და სხვ. ამასთანავე პოკროვსკის იარმარკტას ირანელი ვაჭრებისთვის უფრო ახლოს უნდა გაეცნო რუსული ნაკეთობანი, ე. ი. ირანელ და ადგილობრივ, უპირატესად სომეხ ვაჭართა მეშვეობით, რუსული საქონლის ირანის ტევად ბაზრებში გატანას და საბოლოოდ აქედან, ე. ი. ირანის ბაზრებიდანაც ევროპული ვაჭრობისა და, მაშასადამე, ევროპული საქონლის გამოდევნას. სწორედ ამიტომ აცხადებდა ფინანსთა მინისტრი კანკრინი, რომ თბილისის იარმარკტა „ფრიად სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ამიერკავკასიისათვის, არამედ აზიური ვაჭრობისათვის საერთოდო"[34].

თბილისის პოკროვსკის იარმარკტა, ამგვარად, უნდა გამართულიყო ყოველწლიურად, ოქტომბრის თვეში. ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციას ევალებოდა ეს ინფორმაცია ფართოდ გავრცელებინა ევროპასა და აზიაში, აგრეთვე, განსაკუთრებით შიგა რუსეთის გუბერნიებში[35].

შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის პირობებში ყოველივე ასეთი ზრახვები საფუძვლიან წამოწყებად გამოიყურებოდა. იმავე 1828 წელს, ამიერკავკასიაში ვაჭრობის გაფართოების გამო თვით პეტერბურგის მიერ თბილისის საბაჟოს შტატი არასაკმაოდ იქნა ცნობილი და მას დამატებითი ერთეულები გამოეყო.[36]

იმის გამო, რომ ხშირი ომებისა და სხვ. მეზობებით საქართველოში, შიგა რუსეთთან შედარებით „ყველა სახმარი საგანი ძვირი იყო" იმპერიის ხაზინამ საჭიროდ დაინახა, რათა აქაურ ფოსტის მოხელეებს, რომელთა საქმიანობა სულ უფრო ფართოვდებოდა[37], ხელფასი ამიერიდან მისცემოდა არა ასიგნაციებით, როგორც შიგა რუსეთის გუბერნიებში ეძლეოდა სახელმწიფო მოხელეებს, არამედ ვერცხლით, რადგან ასიგნაციის კურსი გამუდმებულად ეცემოდა.[38]

შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში, როგორც განაპირა ქვეყანაში, თავისი მოხელეების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სისტემატურად ზრუნავდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება. ასე რომ, თანდათანობით შეიქმნა მთელი კანონმდებ-

---

[34] II ПСЗРИ, III, № 1829, с. 191.

[35] იხ. აგრეთვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. I, 1949, გვ. 217—221.

[36] II ПСЗРИ, т. III, № 1945, с. 381.

[37] II ПСЗРИ, т. III, № 2027, с. 536.

[38] II ПСЗРИ, т. III, № 1967, с. 446—447.

ლობა ამიერკავკასიაში ცარიზმის ბიუროკრატიის ეკონომიკური და წოდებრივი (პოლიტიკური) პრივილეგიების შესახებ...[39]

როდესაც 1830-იანი წლების შუაში იმპერიის სახელმწიფო საბჭომ უარყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მოთხოვნები სატრანზიტო ვაჭრობის შეღავათების აღდგენის თაობაზე, თანვე დასახა ახალი ღონისძიებანი აქ შინაგანი და საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. უკანასკნელ ასპექტში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ სავაჭრო პუნქტებს როგორიც იყო ლენქორანი და ახალციხე, აგრეთვე რეშტი და ასტრაბადი. მიღებულ იქნა დადგენილება: ლენქორანსა და რედუტ-კალეში დაეწესებინათ იარმარკეტები — აგრეთვე სპარსეთსა და ოსმალეთში საკონსულოებისა და სააგენტოების დაარსების, ხოლო ამიერკავკასიაში შინაგანი ბაჟების (რახტარების) საბოლოოდ ლიკვიდაციის შესახებ[40].

1836 წ. 7 სექტემბერს გენ. როზენი იმპერიის მინისტრს ბლუდოვს სწერდა რა ხსენებული დადგენილების რეალიზაციის, კერძოდ რედუტ-კალეში იარმარკეტის ორგანიზაციის შესახებ, თანვე აღნიშნავდა, რომ „სამწუხაროდ თბილისის პოკროვსკის იარმარკეტიამ ვერ იხეირა" და ვერც ბაქოში მოიდგა ფეხი საიარმარკეტო ვაჭრობამ, რომ ბაქოში საერთოდ კომერციული ურთიერთობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა გაყინულიო[47].

ამიერკავკასიაში ვაჭრობის ნელი ტემპით განვითარებას ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე პოდპოლკ. არწრუნი ხსნიდა, უწინარეს ყოვლისა, სამიმოსვლო გზების მოუწყობლობითა და სიმძიმით; რასაც ემატებოდა სოფლების დაშორიშორება და საერთო შესაკრებელი ადგილების უქონლობა, რაც აძნელებდა მცხოვრებთა და თვით ვაჭართა და მოხეტიალე მეწვრილმანეთა ურთიერთკავშირს ყიდვა-გაყიდვისათვის. რის გამოც ძლიერ ცოტაა ნამეტი პროდუქტები და ნატურალური მეურნეობის პირობებში მოსახლეობის უმრავლესობა აწარმოებს მხოლოდ თავისი პირადი, ოჯახური მოთხოვნილებისათვის აუცილებელ პროდუქტებს. ამასთანავე მებატონეთა ძალმომრეობით გაფცქვნილი გლეხობა სრულებით არაა დაინტერესებული, რომ გააფართოოს წარმოება, რამდენადაც მას არ სჯერა თავისი საკუთრების ხელუხლებლობა, რაც

---

[39] II ПСЗРИ, т. III, №№ 2445, 2448, с. 1011—1013; IV, № 2745, стр. 168—169; т. V, с, № 3512, с. 190, № 3514, с. 191, № 4126, с. 417.

[40] АСКАК, т. VIII, № 98, с. 180.

[41] იქვე, № 99, 182.

აფერხებს და აბრკოლებს ყოველგვარ სტიმულს მეურნეობრივ თანასწორობაშიო[42], — აცხადებს ოფიციალური მიმომხილველი.

ოცდაერთ წლის შემდეგ თბილისის საბაჟოდრო გუბერნატორი თავის 1857 წ. მოღვაწეობის ანგარიშგებაში წერდა, რომ „შინაგანი ვაჭრობა კარგ მდგომარეობაშია". გუბერნიის ერთ ნაწილს თავისი ნაკეთობათა მუდმივი საქონელგაცვლა აქვს მეორესთან. „ადგილობრივ ნაწარმთა რეალიზაციის უფრო მეტი წარმატებების მიზნით ადმინისტრაციის განკარგულებით ზოგ ადგილებში დაარსდა იარმაქტა, სახელდობრ: პეტრე-პავლეს სახელობისა დაბა ბორჯომში, რაც იწყება 29 ივნისს და გრძელდება 1 კვირას; პოკროვსკისა — ელისავეტპოლში 1—15 ოქტომბერს და სიღნაღში—1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდეო[43].

ჩვენი მკითხველისათვის ცხადია, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ასეთ განცხადებებს მნიშვნელოვანი ზომით დეკლარაციული ხასიათი აქვს, ვინემ სინამდვილის ზუსტი და მიუდგომელი აღწერისა[44].

როგორც დავინახეთ, იარმარქტების ორგანიზაციისათვის ხელისუფლების ღონისძიებები უმეტეს შემთხვევაში არ გამართლდა, მაგრამ სამაგიეროდ აღორძინდა, ასე ვთქვათ, გამოცოცხლდა და განვითარდა რიგი ძველიდანვე არსებული საეკლესიო-სამონასტრო დღესასწაულებთან დაკავშირებული ბაზრობა. 1851 წ. თბილისის გუბერნატორის ანგარიშგებით მოხსენებაში აღნიშნულია „...ხალხის მთელი კომერციული მოღვაწეობა თავს იყრის საეკლესიო დღესასწაულებზე: 15 აგვისტოს არბოში (გორის მაზრ.); იმავე რიცხვში შუამთის მონასტერში; 14 სექტემბერს ალავერდის ტაძარში (თელავის მაზრ.) და სხვ. განსაკუთრებით განთქმული იყო ალავერდობა, სადაც იყიდებოდა მრავალგვარი საქონელი — ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, მსხვილი და წვრილფეხა პირუტყვი, მრავალგვარი სპილენძისა და ხის, შალისა და აბრეშუმის საოჯახო და შინამრეწველობის ნაკეთობანი[45].

იარმარქტებისა და ბაზრობათა ორგანიზაციისა და გაფართოების გზით ცენტრალური ხელისუფლება მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო აქ რუსული ფაბრიკა-ქარხნების ნაკეთობათა რეალიზაციისა და აქედან კიდევ მათი აზიის მოსაზღვრე ქვეყნებში გატანისათვის[46].

[42] АСКАК, т. VIII, № 100, 182—184.
[43] ЦГИАЛ, ф. КК, 1858, д. № 311, л. 5—6.
[44] И. Кулишер, Очерк истории Русской торговли, 1923.
[45] ЛОЦИА, ф. КК, 1854, д. № 21, л. 23.
[46] Струве, Торговая политика России, 1913.

ინგლისი ინდოეთში,იყენებდა რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას, თავისი საქონლის დაბალი ფასით ანადგურებდა წვრილი მიწათმოქმედებისა და შინამრეწველობის ერთიანობას, სპობდა მრთველობას და ფეიქრობას და არღვევდა ადგილობრივ თემებსაც — პირიქით, რუსეთის ვაჭრობა, წერს კ. მარქსი, „ხელუხლებელს სტოვებს აზიური წარმოების ეკონომიკურ საფუძველს"[47]. მაგრამ ეს შეეხება მე-19 ს. პირველი ნახევრისა და უფრო ადრინდელ ვაჭრობას[47]. ხოლო რეფორმის მერმინდელ პერიოდში კი, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავს, „აქაც ცვლილება იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთი მთელი თავისი ძალღონის დაძაბვით ცდილობს განავითაროს საკუთარი კაპიტალისტური წარმოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი და მოსაზღვრე აზიის ბაზრების ამარა უნდა იყოს"[49].

4. ქალაქები — ბაზრები

აქ, ცხადია, საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველა ქალაქსა და ბაზარზე არ შევჩერდებით. მით უფრო რომ ქალაქები, საქალაქო ცხოვრება და მეურნეობა ცალკე მონოგრაფიის საგანია. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს, რაც გვიჩვენებს თუ რამდენად დაბალი საფეხურებიდან უნდა დაწყებულიყო ოდესღაც განვითარებულ საქალაქო და კომერციული ცხოვრების ქვეყანაში ახალ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა მშენებლობა, კერძოდ კაპიტალისტური სავაჭრო კავშირები, საქონელბრუნვა, ადგილობრივი ბაზრების გამოცოცხლება და მათს საფუძველზე ნაციონალური ბაზრის აღორძინება.

ქ უ თ ა ი ს ი ს, რომელსაც 2500 და იქნებ 3000 წლისა და მეტი ხნის ისტორია აქვს, საქალაქო ცხოვრების ახალი გამოცოცხლება მე-19 ს. დამდეგიდან იწყება, რამდენადაც მე-18 ს. მიწურულს ის არსებითად რამდენადმე შესამჩნევი ქალაქი უკვე აღარ იყო. მხოლოდ ზოგიერთი შემორჩენილი კულტურული ძეგლი მიანიშნებდა, რომ აქ ერთ დროს, ფეოდალური საქართველოს სატახტოში, სუ-

---

[47] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, I, 420.

[48] А. Ш и п о в. О значении внутренней и внешней торговли вообще и особенно в России, 1861, М.; Г. З и в е к и н г, Внешняя торговая политика, 1908, СПБ.

[49] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, I, 420—425.

ფევდა და ყვაოდა თავისი დროისათვის მაღალი ცივილიზაციაᲜ. უნებლიედ თხრობა და კალამი ისე მიდის, რომ ჩვენ ქუთაისს შევეხებით არა მხოლოდ, როგორც ბაზარს, არამედ ამასთანავე მისი როგორც ბურჟუაზიული ქალაქის წარმოქმნის ზოგიერთ სამანსაც მივანიშნებთ.

1830-იანი წლებიდან დაიწყო ამიერკავკასიაში შინაგანი ვაჭრობის განვითარების მიზნით, შესაფერის პუნქტებში, ბაზრობის ორგანიზაციის ცდები.

ასე, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელის პოდპოლკ. არწრუნის ვარაუდებით, ქ. ქუთაისში მოწყობილ ბაზრობაზე იმთავითვე შესაძლებელი იყო სამეგრელოდან, აბხაზეთიდან, გურიიდან და იმერეთიდან უცხოეთში გასატანი შემდეგი საქონლის მიზიდვა:

	ღირებულება ვერცხ. მანეთობით
1. თაფლის სანთლისა	.18 000
2. წაბლის	.5. 000
3. სიმინდის	.24.000
4. თაფლის . .	. 5.000
5. სხვადასხვა ნაკეთობის	.25.000
6. ბერძნული თხილის	.10.000
7. აბრეშუმის პარკის	.60.000
სუ ლ	.147.000

ხოლო ბაზრობის დაარსების რამდენიმე ხნის შემდეგ, მას მერმე რაც ამის მეოხებით გაიზრდება მოსახლეობის ეკონომიკური დაინტერესებულობა, უფრო გადიდდება ამ და სხვა ახალი პროდუქტების წარმოება და, ამგვარად, შესამჩნევად გაფართოვდება ბაზრობაზე მოსული საქონლის ასორტიმენტი და გაიზრდება მათი რაოდენობაო — ირწმუნებოდა იგი[51].

საქმე ისაა, რომ ქუთაისში ამ დროს, მე-19 ს. 30-იანი წლების ბეორე ნახევარში, ისედაც საკმაოდ განვითარებული იყო ბაზრობა. 1837 წ. ოფიციალური მიმოხილვიდან ჩანს, რომ ქუთაისის ბაზრობაზე „იყიდებოდა სხვადასხვაგვარი საქონელი, როგორც უცხოური, ასევე რუსული ნაკეთობისა. ამას გარდა აქ სავაჭროდ ყოველკვირეულად იკრიბებოდნენ იმერეთის ყველა ადგილიდან, ხშირად მოდიოდნენ სამეგრელოდან, გურიიდან და მოჰქონდათ მარცვლეული და

[50] იხ. ვლ. ჩაკვეტაძის შეგენიერი გამოკვლევა, — ქუთაისის ისტორიიდან, 1960, თბ.

[51] АСКАК, VIII, с. 182.

თავიანთი სხვადასხვა ნაწარმოები. მოჰყავდათ პირუტყვი, უფრო ცხენი და მსხვილრქიანები[52].

ქუთაისელ სოვდაგართაგან რუსეთთან ვაჭრობა უწინარეს დაიწყეს აქაურმა საპატიო მოქალაქეებმა ზუბალაშვილმა და სოღორაშვილმა, რომლებიც კომპანიონებიც იყვნენ. 1821-1831 წწ. შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის პერიოდში ვაჭრობა საკმაოდ გამომოცოცხლდა, ერთხანს საბაჟო კანტორაც აქ იყო (მერმე იგი გადაიტანეს ყულევში) და ზოგიერთი ქუთათური ვაჭარი ლაიპციგის იარმარკეტზედაც დადიოდა. შემდეგ, 1840-იანი წლებიდან ნიჟეგოროდის იარმარკეტას ეტანებიან, საიდანაც ზოგიერთს ერთდროულად რამდენიმე ათეული ათასი მანეთის საქონელი, უპირატესად ტექსტილური ნაწარმი ჩამოჰქონდა.

ქუთაისი უფრო აღორძინდა მას მერმე, რაც ის შეიქმნა საგუბერნიო ქალაქი (1847 წ.). აქ რუსეთიდან შემოჰქონდათ ბამბის, შალისა და აბრეშუმის ტექსტილური საქონელი. აგრეთვე ფაიფურის და შუშის (ბროლის) ჭურჭელი, ზანდუკები, რომლებშიც შემოტანილი საქონელი ეწყო და მერმე მას ცალკე და ადვილადაც ყიდულობდნენ „გლეხები, რამდენადაც ის იქცა მზითვის აუცილებელ კუთვნილებად". ბევრი საღდება ქოლგებიც, რადგან „ახლა არც ერთი წესიერი ქალი გზას არ დაადგება დიდი ქოლგის გარეშე". ფართო გასაყალი ჰქონდა კონტრაბანდულ ჩითეულობას, თეთრეულს.

ამერიკულ ბამბა-ქსოვილს, კერძოდ წმინდა ნარმას, იმერეთში, საერთოდ დას. საქართველოში, ისევე როგორც შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბალკანეთში, უწოდებდნენ „ამერიკას". „ნარმა-ამერიკა" მასობრივი მოხმარების თეთრეული იყო და 1840-იან წლებში სამეგრელოში ალაბი 10 კაპ. იყიდებოდა, ხოლო ქუთაისში 25 კაპ. ფასობდა[53].

თუ რამდენად დიდი იყო მოთხოვნილება ამერიკულ ნარმაზე იქიდანაც ჩანს, რომ 1863 წ. სარდინიელმა ვაჭარმა ჟან დ'იზიდორმა წინადადებით მიმართა კავკასიის ადმინისტრაციას, რომ იგი იმერეთში, ადგილობრივი ბამბის ბაზაზე, მოაწყობდა ამერიკული ნარმის ფაბრიკაციას და გარდა იმისა, რომ მოსახლეობას იაფფასად მოამარაგებდა ამ საქონლით, მათ სამუშაოსაც გაუჩენდა და თანაც ხელს შეუწყობდა აქ ბებამბეობის შემდგომ განვითარებას. მაგრამ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. კოლიუბაკინმა კავკასიის ნამესტნიკის მ. რომანოვის წინაშე მხარი არ დაუჭირა ამ წამო-

[52] АСКАК, VIII, с. 183.

[53] КК на 1953, с. 320—321.

წყებას, რამდენადაც ამჟამად „ბამბაქსოვილის წარმოების მდგომარეობა ევროპასა და ამერიკაში“ კრიზისულ ვითარებაში იმყოფებაო[54].

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციამ სწორედ 1862 წლის მეორე ნახევრიდან მკაცრად აუწია საბაჟო საფასური „ნარმა-ამერიკას“. აქამდე იგი შემოდიოდა, როგორც აზიური საქონელი, რამდენადაც შემოჰქონდათ თურქეთიდან, ხოლო ამიერიდან ის იბეგრებოდა როგორც ევროპული. ქუთაისის გენ.-გუბ., გენ.-ლეიტ. სვიატოპოლკ-მირსკი წერდა, რომ სწორედ ბაჟის გადიდებამ გამოიწვია აქ „ნარმის ადგილობრივი კრიზისი“ (1863). და რომ „ეს კრიზისი საკმაოდ მძიმე იყო როგორც ვაჭრებისა, ასევე მოსახლეობისათვის“ (1865)[55].

აღსანიშნავია, რომ თუ 1862 წ. ქუთაისის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგში შემოიტანეს 242 ათასი მან. ბამბაქსოვილი, ხოლო ბაჟის გადიდების შემდეგ 1863 წ. შემოიტანეს მხოლოდ 13 ათასი მანეთისა. ცხადია, შესაბამისად შემცირდა საბაჟო შემოსავალიც.

* * *

ქუთაისი კეთილმოუწყობელი ქალაქი იყო. შემდეგში ცნობილი ბულვარის ნაკვეთი გამოიყო 1848 წელს. ამ დროს აქ ქუჩებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელები. ეს ქუჩები „ჭუჭყიანი, უსწორ-მასწორო, მიხვეულ-მოხვეული იყო, ორიოდე ქუჩა იყო მოკირწყლული. 1852 წ. მხოლოდ გუბერნატორს ჰყავდა კარგი ეტლი. კერძო პირებს კიდევ რამდენიმე ეტლი ჰყავდათ. საკმაოდ ბევრი იყო ოთხთვალა ეტლი („დროჟკა“).

საერთოდ გზებსა და ქალაქის ქუჩებზე თვით ქალბატონებიც უფრო ცხენებით მიმოდიოდნენ. ქალაქის ქუჩებზე შინაური პირუტყვი თავისუფლად ბალახობდა. ბევრი იყო ღორები, რომლებიც „დიდი პატივისცემითა და პრივილეგიებით სარგებლობენ — ყველა ქუჩაზე ტალახებში გორავენ, ყველა ეზოში თავისუფლად შედიან და სეირნობენ, თვით ებრაელთა უბანშიც მათ არა თუ ახლოს არ იკარებენ, არამედ, წინააღმდეგ ებრაელთა ჩვეულებისა, ღებულობენ

---

[54] Документы по истории Грузии, т. I, ч. I—II, под ред. Ш. Чхетия, 1954—1960, Тб. (=ДИГ).

[55] იქვე, გვ. 494—499.

როგორც კეთილ ნაცნობებს"[56]. რაც გასაგებია რამდენადაც მაშინ აქ ღორები აღიარებული იყო როგორც ერთადერთი ასენიზატორები.

ქუთაისში 1852 წ. დაიწყო დიდი და განიერი ქუჩის, არსებითად კეთილმოწყობილი გზატკეცილის გაყვანა ქალაქის მთელ სიგრძეზე ქვემოხსენებულ ახალ ხიდამდე. ამ გზას თლილი ქვის ორი არშინის სიგანის ტროტუარი გასდევდა.

აქამდე აქ რიონზე ერთი ხიდი იყო, როგორც ჩანს მე-18 ს. ან უფრო ადრეც აშენებული. მეორე ხიდი აშენდა 1851 წელს, რამაც ამასთანავე გააადვილა მიმოსვლა-ტვირთზიდვა შავი ზღვის პორტებისაკენ მიმავალ გზაზე. ამ ხიდმა გამოიწვია მიმდებარე გარეუბნის მიწების გაძვირება და აქამდე საყანე ადგილები ქალაქის ახალ უბნად აქცია.

ამ დროს აქ სურსათ-სანოვაგე იაფი, ხოლო ყველა დანარჩენი საქონელი ძვირი იყო. შუშისა და ქაშანურის (ფაიანსის) ჭურჭელი მხოლოდ იმერეთის მმართველის სახლში ჰქონდათ. ღარიბი ოფიცრები ხის ჯამჭურჭელს ხმარობდნენ, ხოლო თავადების ოჯახებში ხმარებაში იყო იგივე ნივთები, რომლებიც მამიდან შვილს, შვილიშვილს და ა. შ. გადაეცემოდა. ჩაის მხოლოდ მდიდრები მიირთმევდნენ. იგი ღარიბი ოფიცრებისთვისაც უცხო ხილი იყო[57].

მაინც, ქუთაისი, როგორც საგუბერნიო ქალაქი, შესამჩნევად ვითარდებოდა. თავისი მოღვაწეობით აღფრთოვანებული მ. ვორონცოვი, რომელმაც ქუთაისში საგუბერნიო მმართველობის დაწესებით „თბილისის გუბერნიის უბრალო მაზრად გადაქცეული იმერეთის სამეფო" კვლავ „აამაღლა", — იმპერატორისათვის წარდგენილ ანგარიშგებაში აცხადებს:

„ქუთაისის გუბერნიის დაარსების შემდეგ ყოველივე ამაღლდა და გამოცოცხლდა ამ ღვთისგან კურთხეულ მხარეში. ქალაქი სწრაფად შენდება, თავადაზნაურობა ეცნობა მისთვის ახალ სამოქალაქო ცხოვრებას; გიმნაზიაში შესვლის მსურველთა რიცხვმა სამჯერ გადააჭარბა ვაკანსიას, ხოლო ქუთაისის გუბერნატორ თავად გაგარინის თავად ორბელიანის უმშვენიერეს ასულთან ბედნიერმა შეუღლებამ ისე იმოქმედა რუსული საზოგადოების ადგილობრივთან დაახლოებაზე, რომ უკეთ არ შეიძლებოდაო"[58].

ცხადია, ქუთაისი თბილისს შორს არ უნდა ჩამორჩენილიყო.

---

[56] КК на 1853, с. 306.

[57] იქვე, გვ. 324.

[58] В. Иваненко, назв. соч., с. 376.

აქაც დაიძრა წინ კომერციული ცხოვრება, რასაც ასეთნაირად აგვიწერს კორესპონდენტი ჟურ. „ცისკრის“ ფურცლებზე“:[59]

„მართებლობამ ინება ჩვენს ქალაქში იარმუკის დანიშვნა იმ აზრით, რომ გუბერნიის სულ ყველა ადგილებიდან მოიტანონ ადგილობრივი სავაჭროები, აქ გაყიდონ და იყიდონ და სხვ. საზოგადოთ იმერეთს აქვს სასარგებლო მდებარეობა, მხოლოდ გზები აკლია. აქ არის ბზა, კაკალი, წაბლი და სხვა სასარგებლო ხეები, რომელნიც სხვაგან იშვიათად იპოებიან. არის ბამბა და აბრეშუმი, რომლისაც ახლა გუბერნიაში ხუთი ფაბრიკა დაფუძნდა. ღვინოზედაც ვერავინ იჩივლებს: ოჯალეში, ცოლიკაური და საჯავახური ვერ ჩაგოუვა კახურს, ვერც სიმრავლით და ვერც სიკეთით“[60].

„...ქუთაისის ქუჩებზე შეიქმნა ჩოჩქოლი და გრიალი პოვოსკებისა და ურმებისა. ეს მოასწავებდა, რომ ქალაქიდან გადაქონდათ სავაჭრო იარმუკაში... 400 დუქანი არის დაფუძნებული რიონის კუნძულზე, რომელსაც ბალახოვანს ეძახიან... დუქნები იარმუკაში არიან დაყოფილნი შარებით: შუაში ხან უკრავს რუსული მუზიკა და ხან ზურნა საქართველოდან მოსული.. ადგილობრივი სავაჭრო თითქმის არა იყო რა, რადგან ხალხმა ვერ მოასწრო მოტანა იმ მიზეზით, რომ გვიან შეიტყეს იარმუკის დაფუძნება. სხვადასხვა ალაგებიდან მოვიდნენ, სახელდობრ, ორი ახალციხელი, რომელთაც მოიტანეს ნაკერი და ვერცხლეული ნივთები... მოვიდნენ აგრეთვე სამნი გორის მცხოვრებნი ევროპიულის სავაჭროთი. დანაშთენნი სულ ამ ქალაქის ვაჭრები იყვნენ, იმათაც სულ სამზღვარგარეთიდან მოაქვთ საქონელი[61]... ჩამოაქვთ აგრეთვე კარტოფილი, ჭარხალი, ღომი, ყურძენი, ქათმები, ინდაურები, ბატები, და კრიანოსნები, რომელთაც აკეთებენ გიშრისაგან, რაიც იმერეთის მთებში არის... კრიანოსნებს ძრავალს ყიდულობენ — თუმცა მკეთებელთ ის ძალიან დააკვირეს — არა თუ ქართველები, არამედ რუსებიცა, რომელნიცა გზაენიან რუსეთში... ყაბარდოველთა ჩამოიყვანეს იარმუკაზე გასასყიდად ცხენები, საქონელი და ცხვარი. იარმუკაზე ხალხი იმყოფებოდა სხვადასხვა ტომებათ. აქ იყვნენ: იმერლები, მეგრელები, გურულნი, აფხაზნი, ახალციხის სომეხნი, რუსები და ქუთაისის მცხოვრებნი ურიანი. ესენი ყველანი ირჩეოდენ სახით, ჩაცმულობით და ლაპარაკით... იარმუკის კურთხევის დროს თუმცა ძალიან სწვიმდა, მაგრამ ხალხი

---

[59] „ცისკარი“, 1860, № 1.
[60] იქვე, გვ. 131.
[61] იქვე, გვ. 132—133.

შეიყარა, რომელსაც დაესწრენ გენერალ-გუბერნატორი, ეპისკოპოზი და სხვა და სხვა სამხედრო-სამოქალაქო სამსახურის პირნი"[62].

საინტერესოა როგორ მიმართავს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იარმუკაზე შეკრებილ ხალხს:

„...მე ვგონებ რომ თქვენ კარგად ხედავთ, როგორ ზრუნავს იგი (მეფე—პ. გ.) თქვენის სიკეთისათვის! აი, ეხლა ჩემის თხოვნით ხელმწიფემ დაამტკიცა აქ იარმუკა, ორის კვირით. ამის შემდეგ თქვენზე იქნება დამოკიდებული ვაჭრობის გავრცელება. თქვენ უნდა გახდეთ შუამავლად შავის და კასპიის ზღვის (გაღმა) მცხოვრებლებთან". — გაათავა ეს სიტყვები, მიიღო ხელი ურიებისაკენ და გააგრძელა „იცხოვრეთ და იმუშავეთ ერთად, ძმურად, რადგან შთამომავლობით ერთის კაცისაგან ხართ... და ერთის დიდის მეფის ქვეშევრდომნიო"[63].

ქუთაისის სახლების დიდი უმრავლესობა თვით 1870-იან წლებშიც ხისა იყო. ერთი რუსი მოხელის დაკვირვებით, ხის სახლების „ადგილობრივი არქიტექტურა ფრიად ლამაზია. სახლების უმრავლესობა ერთნახევარ სართულიანია. კედლები კარგად გამოთლილი ფიცრებისაა, ჩუქურთმებით შემკული განიერი სვეტებიანი აივნები შენობის საუკეთესო და უმშვენიერეს ნაწილს შეადგენენ, განსაკუთრებით თუ ისინი გამშვენებულია ზედ შეშვებული ვაზის ლერწებით. ესაა დახურული აივანი, სადაც გამოყავთ სტუმრები და სადაც დროს ატარებს ოჯახი. აქვე ყოველთვის ნახავთ მომუშავე ქალებსა და მოთამაშე ბავშვებს და დღესასწაულების დროს კოხტად გამოწყობილ იმერელ ქალებს... სახლის შიგნითა ოთახებიც ფრიად ლამაზია. ძვირფასი ხის განიერი ტახტები, მოჩუქურთმებული კარფანჯრებით, ჭერითა და დიდი განიერი ბუხრებით, ისინი შუასაუკუნეებს გვაგონებენ. ბუხრები თლილი ქვისაა და ზედ ამოჭრილია სხვადასხვანაირი ლამაზი არაბესკები".

მე-19 ს. შუაში ქალაქში სახანძრო რაზმი კიდევ არ იყო. მთელ ქუთაისში 1852 წ. ჩხოლოდ ოთხი სახლი იყო ცეცხლისგან დაზღვეული. აქ ამ დროს ცხოვრობდა 3500 სული ორივე სქესისა. 1865 წ. — 11807; 1886 წ. — 22643.

ქუთაისსა და მისი გუბერნიის დაბა-სოფლებში იარმუკობა და ბაზრობა თანდათანობით ვითარდებოდა. ყირიმის ომამდე ქუთაისის

---

[62] „ცისკარი", 1860, № 1; — ზაქარია ერისთავის კორესპონდენცია: „ქუთაისის იარმუკა", გვ. 134.

[63] იქვე, გვ. 136.

ბაზრის შემდეგ სავაჭრო ბრუნვის მიხედვით მეორე ადგილი ეჭირა ყულევის (რედუტ-კალეს) ბაზარს.

ასე, მაგალითად, ყოველკვირეულ ბაზრობაზე სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა:

საქონლის საერთო ღირებულება, ათას მანეთობით:

	1847 წ.	1849 წ.	1850 წ.
ქუთაისში — მოტანილი საქონლის	170	200	210[64]
გაყიდული საქონლის	150	180	190[65]
ყულევში — მოტანილი საქონლის	110	116	118[66]
გაყიდული საქონლის	90	102	105

ქუთაისის ბაზარზე იყიდებოდა არა მხოლოდ ტექსტილური საწარმო, არამედ ჯამ-ჭურჭლეულობაც და საერთოდ მრავალგვარი ადგილობრივი თუ უცხოური ნაკეთობა.

ერთი ოფიციალური დამკვირვებლის ცნობით 1840-იანი წლებიდან ქუთაისის ბაზარზე უკვე ჩნდებიან მოხეტიალე რუსი ვაჭრები — რუსული ნაკეთობის საქონლით. 1851—1852 წწ. სხვათა შორის აქ იყო ერთი წიგნებისა და ე. წ. სახალხო სატრეების დამტარებელი გამყიდველი, და „არ შეიძლება ითქვას, რომ ის აქედან წავიდა მოგების გარეშე". მაგრამ მოხეტიალე რუსთა შორის ყველაზე „შესანიშნავი იყო ვიღაც მსახიობი სატარებელი პანორამით. მან გამოიარა მთელი იმერეთი და ქუთაისში დიდი ეფექტი მოახდინა. იმერლებს ძლიერ მოეწონათ მისი მკვირმეტყველებაც, თუმცა იგი მაყურებელთა ნახევრისათვის გაუგებარი იყო"[67], — ენის უცოდინარობის გამო.

* * *

ყოველკვირეული ბაზრობა უპირატესად კვირაობით და პარასკეობით იმართებოდა: ხონში, სადაც წელიწადში ერთხელ, სახელდობრ 25 ოქტომბერს ეწყობოდა იარმარკეტაც. ეს იყო ამ ი ერ კ ა ვ კ ა ს ი ა ში ერთადერთი სპ ე ც ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ი ა რ მ ა რ ქ ტ ა კერძოდ თ ა ძ ბ ა ქ ო ს რეალიზაციისათვის[68]. დას. საქართველოში ხონის ბაზრობას საქონელბრუნვის მიხედვით 1840-იან წლებში მესამე ადგილი ეჭირა ქუთაისისა და ყულევის შემდეგ.[69]

ჩონში სავაჭროდ მოდიოდნენ სამეგრელოდან, გურიიდან. ბაზრობა და იარმუკობა იმართებოდა აგრეთვე ისეთ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, როგორიც იყო: ახალციხე, ახალქალაქი, ჩხარი, საჩ-

---

[64] ЛОЦИА. ф. КК, 1842, д. № 1035, л. 53.
[65] იქვე, 1850, საქმე № 349, ფურც. 41.
[66] იქვე, 1851, საქმე № 316, ფურც. 59.
[67] КК на 1853 г., с. 321.
[68] ЛОЦИА, ф. КК, 1858, д. 311, л. 71.
[69] ЛОЦИА, ф. КК 1850, д. № 349, л. 41.

ხერე, წევა, კულაში, ხიდისთავი, ოზურგეთი, შეკვეთილი, ნაგომარი, ბასილეთი, ასკანა, ჯუმათი, შუხუთი, ერკეთი, ზუგდიდი, მარანი, მარტვილი, ორპირი, ლაილაში, ახალჭალა (ლეჩხუმი) და სხვ. რაჭის რაიონის მთავარი სავაჭრო პუნქტი იყო ონი, სადაც მიდიოდნენ აგრეთვე ოსები, ლეჩხუმელნი, მეგრელები.

შეკვეთილიდან და ოზურგეთიდან თურქეთში გაჰქონდათ სიმინდი (უხვმოსავლიან წლებში), აგრეთვე ძვირფასი ხე-ტყე (კაკალი, მუხა, ბზა). ოზურგეთში 1831 წლიდან არსებობდა საბაჟო საყარაულო და საკარანტინო პუნქტი. აქ უცხოური საქონელი შემოჰქონდათ თურქეთის პორტებიდან (კინტრიში და ბათუმი მაშინ თურქეთისა იყო) და მერმე ოზურგეთიდან იგი გაჰქონდათ გურიასა და იმერეთში.

ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში უმეტესად ვაჭრობდნენ სომხები და ებრაელები, რომელთაც გასაყიდად გამოჰქონდათ შაქარი, ჩაი, ყავა, რომი და სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელი, აბრეშუმისა და ბამბის სხვადასხვაგვარი ტექსტილური ნაწარმი, მაუდი და შალეული, მრავალგვარი ადგილობრივი ნაკეთობა, „ყველაფერი ამ მხარის მოთხოვნილებისათვის საკმაო რაოდენობით“.

ხსენებული ვაჭრები „გაცხოველებულ ვაჭრობას ეწევიან აგრეთვე სოფლებში, სადაც სარფიანად ცვლიან ჩითს, ნარმას და სხვა იაფფასიან საქონელს აბრეშუმსა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმზე. განსაკუთრებულ სარფას ისინი ღებულობენ ბეწვეულით ვაჭრობისგან: კვერნის, მელიის, წავის და სხვ. ბეწვეულს (ტყავს) სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთში ისინი ყიდულობენ მეტისმეტად მცირე ფასად“[70].

ოზურგეთის მაზრაში ყოველკვირეული ბაზრობა იმართებოდა ღვაბზუში, სადაც მოდიოდნენ გურულები, იმერლები, აჭარლები და თათრები ქობულეთიდან და ოსმალეთის სხვა მოსაზღვრე სოფლებიდან. ნაგომარსა და ლანჩხუთში იმართებოდა იარმარკეტები (წლიური ბაზრობა), რაც გრძელდებოდა 8 დღე, პირველში 17 ივლისიდან, ხოლო მეორეში 8 სექტემბრიდან; ასეთივე ბაზრობა იმართებოდა აგრეთვე სოფ. ვანისქედში — აღდგომის პირველ კვირას და ჯუმათის მონასტერში — 13 სექტემბერს[71].

---

[70] ОРВЗК, I; О. Евецкий, назв. соч., стр. 74—82; Стат. опис. губ. и областей Российской имп., т. XVI, ч. 5, стр. 107—110.

[71] ЛОЦИА, ф КК. 1863, д. 108, л. 149.

სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, გარდა ყულევისა (რედუტ-კალე), დაბა მურში ერთკვირიანი იარმარკტა („იარმუკა") „ძველი დროიდანვე" იმართებოდა 13 სექტემბრიდან. აქ მოდიოდნენ: მეგრელები, იმერლები, სვანები, ოსები და იყიდებოდა უპირატესად: ცხენი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი, მთიულური მაუდი, აბრეშუმის, ბამბისა და შალის ადგილობრივი ქსოვილები; სპილენძის, რკინის, თიხის, ხის სხვადასხვაგვარი იარაღ-ინსტრუმენტი და ჭურჭლეული, მარცელეული, განსაკუთრებით ღომი და სიმინდი.

დაბა სენაკში იარმუკობა იმართებოდა 25 მარტიდან — 4 დღით, 23 აპრილიდან — 2 დღით, 5 აგვისტოდან — 6 დღით, 13 აგვისტოდან — 10 დღით.[72] აქ გარდა სამეგრელოს რაიონებისა სავაჭროდ მიდიოდნენ იმერეთიდან, გურიიდან, აბხაზეთიდან და სვანეთიდან; გასაყიდად მოჰქონდათ იგივე პროდუქტები, რაც მურში, ხოლო უმთავრესად კი მოჰყავდათ ცხენები და რქიანი პირუტყვი. გარდა წლიური იარმარკტისა, ისევე როგორც ჯვარში, აქ იმართებოდა ყოველკვირეული ბაზრობაც. დაბა მარანსა და ლაილაშში იყო ბაზარი და დუქნები, სადაც გამუდმებული, ყოველდღიური ვაჭრობა მიმდინარეობდა[73].

ლეჩხუმში ბაზრობა ეწყობოდა 7 მაისს სოფ. ახალჭალაში, ხოლო 13 სექტემბერს — ცაგერში[74].

* * *

დას. საქართველოში ცნობილი იყო აგრეთვე ორპირის ბაზრობა (ცხენისწყლის შესართავთან), სადაც ყულევიდან რიონით მოჰქონდათ ყირიმული მარილი, დამარილებული თევზი და სხვა რუსული ნაკეთობის საქონელი[75]. ორპირში საკმაო რაოდენობით იყო დუქნები; აქედან საქონელი ვრცელდებოდა სამეგრელოსა და იმერეთში.

---

[72] ЛОЦИА. ф. КК, 1869, д. № 1, л. 419.

[73] АСКАК, VIII. № 101, с. 182—183.

[74] ЛОЦИА, ф. КК 1869, д. № 153, л. 571.

[75] მდ. რიონზე ორთქლის გემები 1858—1872 წწ. რეგულარულად მიმოდიოდნენ. სპეციალურად მოწყობილი ნავმისადგომები იყო: ფოთი-ქალდიდი-სირიანჩქონი, კოდორსა და ორპირში. აქ დადიოდნენ ორთქლის გემები: „აკერმან", „კნ. ბარიატინსკი", „ნოეოსელსკი", „ნადეჟდა" და სხვ. ხსენებული ნავმისადგომი სოფლები იმავე დროს სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ, სადაც გამოჰქონდათ ადგილობრივი საოჯახო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმოები (იხ. მ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, სამტრედიის ისტორიიდან, 1957, ქუთ.; ДИГ, т. I. ч. 1, с. 700—715).

დას. საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი სახმელეთო სავაჭრო მაგისტრალი იყო იმერეთის სამხედრო გზა. ამიერკავკასიაში ყულევიდან ამ გზით შემოჰქონდათ ევროპული, კოლონიური, აგრეთვე რუსული საქონელი: ამავე გზით გაჰქონდათ ამიერკავკასიური პროდუქტები შავი ზღვისა და, მაშასადამე, ევროპისაკენ.

* * *

1853 წ. შედგენილ ოფიციალურ მიმოხილვაში აღწერილია საერთოდ ამიერკავკასიის ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში მოქმედი იარმარკეტები. უწინარეს აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს რუსეთის ამიერკავკასიაში შედიოდნენ: 1. თბილისის გუბერნია, რომლის ნაწილი იყო განჯის მაზრა; 2. ერევნის გუბ.; 3. შემახიას გუბ.; 4. ქუთაისის გუბ., რომელშიც არ შედიოდნენ სამეგრელოსა და აბხაზეთის სამთავროები და შედიოდა ახალციხის მაზრა.

ხსენებული ცნობის მიხედვით იარმარკეტები იმართებოდა: განჯაში 1846 წლიდან, ორკვირიანი 1—15 ოქტომბერს: გორში, 1852 წლიდან — 10 ნოემბერს; ბორჯომში, იმავე წლიდან ერთი კვირით, 29 ივნისიდან მოყოლებული; ს. ალში, 25 დეკემბრიდან 1 კვირით; სიღნაღში, 1835 წლიდან 1 თვით, ოქტომბერში; ალექსანდროპოლში (ერევნის გუბ.) 1845 წ. სულიწმინდის მოფენის დღესასწაულიდან — 2 კვირით; ს. ბასხალში (შემახიას გუბ.) 1844 წ., 1—15 სექტემბერს; დაბა სალიანს (ლენქორანის მაზრ.) 1845 წლიდან 1-20 სექტემბერს[76].

ახალციხე, როგორც სასაზღვრო ქალაქი, მიუხედავად თურქეთთან ცუდი სამიმოსვლო გზისა, მნიშვნელოვან ვაჭრობას ეწეოდა შემოტანილი საქონლით, რის უდიდესი ნაწილიც ადგილზევე მოიხმარებოდა, ხოლო ნაწილი სარეალიზაციოდ მიდიოდა თბილისში. აქაური ვაჭრობა უმთავრესად ებრაელთა ხელში იყო, რომლებიც აქ ადრიდანვე იყვნენ მოკალათებულნი. თამბაქოზე თბილისის თითქმის მთელ მოთხოვნას აკმაყოფილებდა ახალციხიდან მოტანილი თურქული, უმთავრესად ტრაპიზონული პროდუქტი. ამას გარდა ახალციხიდან ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა თურქული ნახევრადაბრეშუმის ტექსტილური ნაწარმი.

ახალციხის მაზრა შემდეგ შევიდა თბილისის გუბერნიაში. ამ გუბერნიის უფროსის კ. ორლოვსკის 1862—1868 წწ. ანგარიშგებე-

---

[76] КК на 1854, с. 219—223.

ბისათვის დართულ უწყისებში ნაჩვენებია გუბერნიის ფარგლებში მოქმედი ბაზრები და იარმარქტები და მათი სავაჭრო ბრუნვების თანხები. ასეთები იმართებოდა: ს. სურამში — 10 აპრილსა და ამაღლების დღეს; ს. ცხინვალში — 3 მაისს; ს. არბოში — 25 აგვისტოს, ს. მეჯვრისხევში — სამების დღეს; ახალქალაქში — წმ. თომას დღესასწაულზე; ს. სოღლაშენში და ალევის მთაზე — ორივე 15 აგვისტოს; ერთაწმინდაში — 20 სექტემბერს; რუისში — 6 აგვისტოს; შუამთის მონასტერში — 8 სექტემბერს; ალავერდის ტაძარში — ალავერდობისას, 14 სექტემბერს[77].

ერევნის მაზრისა და საერთოდ ერევნის ყოფილი ოლქიდან სხვადასხვა საქონელი თურქეთშეა გაჰქონდათ ალექსანდროპოლიდან, როგორც, მაგალითად, ბამბა, ბრინჯი, ნედლი ტყავი, მატყლი; მიერეკებოდნენ საკმაოდ ბევრ პირუტყვს. საკმაო რაოდენობით გაჰქონდათ აგრეთვე რუსული ნაკეთობის რკინაკავეული და ტექსტილური ნაწარმი[78].

ნახჭევანი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მეოხებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიასა და სპარსეთს შორის ვაჭრობაში. თავრიზიდან, სადაც იყო სპარსული საქონლის დიდი საწყობები, ქარავნები ნახჭევანზე გავლით მოდიოდნენ თბილისს და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. თვით ნახჭევნის შინაგანი ვაჭრობა არც ისე შესამჩნევი იყო და ისიც უმთავრესად სატრანზიტო ქარავანთა მიღების, მისი დიდძალი სასაპალნე პირუტყვის ფურაჟით მომარაგების უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. ნახჭევნის გზით მოდიოდა უფრო უხეში ტექსტილი, რასაც მოსახლეობის ქვედაფენები მოიხმარდნენ, მოჰქონდათ აგრეთვე ძვირფასი ფუფუნების საქონელიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით.

ქ. ორდუბათისა და განსაკუთრებით მის მეზობელ სოფ. აკულისელი ვაჭრები, გარდა მნიშვნელოვანი საექსპორტო ოპერაციებისა, ფართო აღებმიცემობას ეწეოდნენ ამიერკავკასიაში. ჯებრაილის საყარაულოდან შემოსული უცხოური საქონელი უმთავრესად საღდებოდა ნუხასა და შუშაში და ამავე მაზრების სოფლებში. ჯებრაილიდან გზა განჯისა ან ნუხისკენ და შემდეგ თბილისამდე ადვილად სავალი იყო არა თუ სასაპალნე, არამედ თვლიანი ტრანსპორტისთვისაც. შუშელი მდიდარი ვაჭრების ოპერაციები ხშირად სცილდებოდა აზერბაიჯანის საზღვრებს. ამასთანავე ოფიციალური მიმომხილ-

---

[77] ЛОЦИА, ф. КК, 1863, д. № 108, л. 109; там же. 1869, д. № 153, л. 155.
[78] КК на 1849, с. 61.

ველი სწუხს, რომ ყარაბაღლები კანონიერი ვაჭრობით გამდიდრების ნაცვლად მიდრეკილნი არიან ევროპული საქონლის კონტრაბანდისტობაზე და ეს საგნები, მიუხედავად მესაზღვრეთა გულმოდგინე სამსახურისა, ყარაბაღიდან ვრცელდება მთელ ამიერკავკასიაშიო[79].

მართალია 1840-იანი წლების მიწურულს ლენქორანის შინაგანი ვაჭრობა უმნიშვნელოა, მაგრამ თვით ლენქორანს, ასევე სალიანს უჭირავთ ხელსაყრელი მდებარეობა. აქ ერთიანდებიან უცხოეთთან ვაჭრობის საზღვაო და სახმელეთო გზები. აქ ქარავნებით საქონელი მოაქვთ მახლობელი სპარსული ქალაქიდან, არდებილიდან, ხოლო ზღვით, თუმცა არც ისე ხშირად, საქონელი შემოაქვთ ენზელიდან და სპარსეთის სხვა პორტებიდან; თვით ლენქორანს ნავმისადგომი (პორტი) არა აქვს და ამიტომ აქ ხომალდები სანაპიროს ღია რეიდზე დგებიან. მცირე საზღვაო ნავები კი შედარებით ადვილად შედიან პატარა მდ. ლენქორანის შესართავში[80].

1848 წ. შედგენილი მიმოხილვის მიხედვით ამიერკავკასიელ მუსლიმანთა შორის „ჩვეულებებითა და ენით რუსებთან ყველაზე უფრო დაახლოებულნი არიან" ბაქოელები, რაც ასტრახანთან მათი განუწყვეტელი სავაჭრო ურთიერთობის შედეგია. ბაქოში ადგილობრივ მკვიდრთა შორის არიან საკმაო შეძლების ვაჭრები და მათგან ზოგიერთნი ვაჭრობენ მხოლოდ ასტრახანთან და რუსეთის სხვა პორტებთან, ხოლო სხვები ეწევიან ვაჭრობას უცხოეთთან, განსაკუთრებით სპარსეთის პორტებთან — ასტრაბადსა და ენზელთან. ამიერკავკასიიდან რუსული საქონელი საზღვარგარეთ ყველაზე მეტი გააქვთ ბაქოს პორტიდან[81].

მაინც 1850-იან და თვით 1860—70-იან წლებში ბაქო ჯერ კიდევ პატარა იყო; თუმცა, როგორც გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი 1868 წ. წერდა: „საითაც არ გაიხედავ ყველგან ვაჭრობაა — ყველა ყიდის, ყველა ყიდულობს. უნებლიე გაკვირვებას იწვევს აქაური ვაჭრების უმეტესი ნაწილის მცირე ბრუნვები... ვაჭრობენ მცირე თანხით და მაინც, ეტყობა, აქვთ სარფიანობა... ბაქოს აქვს ბეჭდვითი სიტყვა... არის მსურველიც გამოსცეს გაზეთი და არა იმდენად ლიტერატურული, რამდენადაც კომერციული ხასიათისა. მაგრამ რა მოგებას ნახავს გამომცემელი? დანამდვილებით შეიძლება ითქვას — არავითარს! ისეთ პატარა ქალაქში ყველა ისეთი ცნობა, რაც

---

[79] КК на 1849, с. 67.
[80] იქვე. გვ. 69.
[81] იქვე. გვ. 70.

საგაზეთო რეკლამას საჭიროებს, ზეპირად ვრცელდება ბაზრებზე, მოედნებზე, აბანოებში... აქ რეკლამის გავრცელებისათვის არავითარი ხარჯის გაწევა საჭირო არაა. ეძებ ბინას — გაჩვენებენ, იმასაც კი გეტყვიან თუ ვინ ცხოვრობდა შიგ 30 წლის წინათ... და სად რა იყიდება მალე ტყობილობენ მთელ ქალაქში"[82].

მაგრამ 1870-იანი და განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან ბაქო სწრაფად ვითარდება და სულ მალე ხდება დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამრეწველო ქალაქი[83]... ამ მხრივ ბაქოს ჩვენ სპეციალურ მონოგრაფიაში შევეხებით.

განჯის (ელისავეტპოლის) გუბერნატორის ო. ბულატოვის 1868 წლის ანგარიშგებითი მოხსენებისათვის დართულ გუბერნიის ბაზრების საერთაშორისო ბრუნვის უწყისის მიხედვით, თვით განჯაში ბაზარი ყოველდღე ღია იყო და მისი ბრუნვები მთელ გუბერნიაში მხოლოდ შუშისა და ნუხისას ჩამოუვარდებოდა, სადაც ავრეთვე ყოველდღე იყო ბაზრობა. განჯის მაზრის სოფლებში ბაზრობა იმართებოდა: ს. ბარდაში — პარასკეობით, ს. ლენბარანში — სამშაბათობით, მარალიანში — შაბათობით, გარდუტსა და აგდამში — კვირაობით. ნუხის მაზრის სოფლებში: ჯაფარაბადში, ვართაშენსა და სოლთან-ნუხაში — ორშაბათობით, ხაჩმასსა და ვანდამში — სამშაბათობით, პადარში — ხუთშაბათობით, ნიჯეში — ოთხშაბათობით, კუტკაშენსა და არეშში — პარასკეობით, ყარადაღში — კვირაობით[84].

* * *

საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რიგ მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრის იარმარკეტებისა და ბაზრების თაობაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

აქ მხოლოდ საკუთრად ბ ა ზ რ ი ს ასპექტში რამდენადმე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ თ ბ ი ლ ი ს ზ ე, როგორც საერთოდ ამიერკავკასიისა და კავკასიის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ამასთანავე სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვან ცენტრზე, რომელიც მე-19 ს. დასაწყისიდანვე სულ უფრო სოლიდურ როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიის როგორც

---

[82] Газ. «Кавказ», 1868, № 6.

[83] М. М у с и е в. Роль Баку в торговле между Европой и Азией, в XIX веке (Мат. по экон. ист. Азербайджана. К V Международн. Конгрессу экон. истории), Баку, 1970.

[84] ЛОЦИА, ф. КК, 1869, д. № 153, л. 240—241.

სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის პრობლემათა თვალსაზრისით[85]; — თბილისზე, სადაც ჩვენი კვლევის საგნად აღებულ პერიოდში თავის ამოსავალ საწყისებს იღებდა ამიერკავკასიაში როგორც კაპიტალისტური ეპოქის ვაჭრობის, ასევე სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის განვითარების გზები და, ამასთანავე სხვა ქალაქთა (ბაზართა) უფრო ადრე, ფართოდ და გამოკვეთილად ყალიბდებოდა და ვლინდებოდა ამ ფენომენთა როგორც ზოგადი, ასევე თავისებური (ადგილობრივი) სპეციფიკური ნიშნეულობანი.

5. თბილისი — ამიერკავკასიის კომერციული ცენტრი

ა. ბაზარი

თბილისი, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის დიდ საკაჭრო გზაზე მდებარე პუნქტი, აღნიშნულია IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილ Tabula Peutingeriana-ში[86]...

თბილისს, ვითარცა ქვეყნის კომერციული ცხოვრების ცენტრს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს[87]. ამ მხრივ, უფრო ადრინდელ ამბებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია აღინიშნოს ის ცნობები, რაც შუა საუკუნეთა არაბმა გეოგრაფებმა შემოგვინახეს. ასე, მაგალითად, ალ-ისტახარი (X ს.) აცხადებს:

„თბილისი... სიმდიდრით სავსე ადგილია... მრავალგვარი საქონელი (იყიდება)... მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდსა და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს". ორმოციოდე წლის შემდეგ სხვა არაბი გეოგრაფი, იბნ-ჰაუკალი, რომელსაც ალ-ისტახარის

---

[85] ამ ასპექტში დიდმნიშვნელოვანია, რომ 1856 წ. კ. მარქსი თბილისს ახასიათებდა, როგორც „აზიაში რუსეთის ბატონობის ცენტრს" (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. II, с. 639).

[86] ნ. ლომოური, უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ (თბილისი—1500), 1958, გვ. 23—28; ი. გრძელიშვილი და ო. ტუეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, 1961, თბ.

[87] შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, თბ.; თბილისი, საიუბილეო კრებული, 1946, თბ.; თბილისი — 1500, 1958, თბ.; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, 1962, თბ.; М. Полиевктов и Г. Натадзе, Старый Тифлис; Тбилиси — юбилейний сборник, 1946, Тбилиси.

თხზულებითაც უსარგებლია, ამბობს: „თბილისი... ნაყოფიერი, გამაგრებული, მრავალსიკეთიანი ქალაქია. აქ უხვად, იაფფასად მოიპოვება პროდუქტები. თავისი კეთილმდგომარეობით იგი აღემატება სხვა მდიდარ ქალაქებს... თბილისში უცხოელთათვის უზრუნველყოფილია უშიშროება და სტუმართმოყვარეობა; იქ ყველას, შემთხვევით მისულსაც კი მეგობრულად ღებულობენ“[88].

* * *

თბილისის ბაზარზე სურსათ-სანოვაგის ფასების მოწესრიგებისა და სპეკულაციის შეზღუდვის მიზნით, ქალაქის გამგებლობას ეკისრებოდა (1813) სოფლებიდან გლეხების მიერ მოტანილი პროდუქტების რეალიზაციის მეთვალყურეობა, რათა ეს საქონელი ხელში არ ჩაეგდო გადამყიდველებსა და მედუქნეებს, რომლებიც მერმე მას ორმაგ და სამმაგ ფასად ჰყიდნენ ქალაქის მცხოვრებლებზე.

ამ მიზნით შუადღემდე აკრძალული იყო შემოზიდული სანოვაგის ბაზარზე ბითუმად ყიდვა-გაყიდვა, რათა ყველა მომხმარებელს თავისუფლად შესძლებოდა ცალობით, მცირე რაოდენობით, შეეძინა მისთვის საჭირო პროდუქტები. ამ დრომდე ბაზრებზე აღმართული იყო გაშლილი ალამი (დროშა), ხოლო შუადღის შემდეგ ყველა მსურველს შეეძლო სანოვაგის ბითუმადაც შესყიდვა, ეს იმითაც მართლდებოდა, რომ პროდუქტების შემომტან გლეხს საბოლოოდ ხელიდან მოეცილებინა ისინი და სოფელში (სახლში) დროულად დაბრუნებულიყო.

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უმრავლეს შემთხვევაში მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის იდგა ვაჭარი (შუამავალი — შემსყიდველი). საქმე ისაა, რომ ქალაქს რამდენადმე დაშორებული სოფლებიდან ფრიად ძნელი იყო გლეხისათვის თავისი ნაწარმი თვითონვე გაეტანა ბაზარზე გასაყიდად და ასეთი ვითარება გრძელდებოდა მთელი აღებული პერიოდის მანძილზე.

აქ მაგალითისათვის, საჭიროა მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი. ინგილო-ჯანაშვილი ჟურ. „მნათობში“ 1869 წ. (№ 2) წერდა, რომ ქართლ-კახეთის სოფლისმეურნეობრივი წარმოება ჩამორჩენილია და მით უფრო მძიმეა ამ მხრივ მდგომარეობა, რომ სოფლად ბაზარი, გაცვლა, ვაჭრობა ჯერ კიდევ განუვითარებელია, რის გა-

---

[88] ეთერ სიხარულიძე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ (საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, I, 1976, გვ. 31—39).

მოც სავალალოა გლეხის მდგომარეობა: „თუ არ მოუვა საზრდო, იმან უნდა იყიდოს და ვალებით ყელამდის ამოივსეს... ერთი სიტყვით, მოუვა ვერას გაჰყიდის, რადგან გაიაფდება, არ მოუვა — გაღარიბდება. რა წყალში ჩავარდეს, რა ჰქნას გლეხმა კაცმა? გაჰყიდოს ჯაფის ფასი არ უჯდება, არ გაჰყიდოს და სახელმწიფო თავის ხარჯს ითხოვს, მოვალე თავის ვალს,მღვდელი თავის განწესებას, ბატონი კიდევ თავისას; რა ჰქნას? როგორ მოიქცეს? ის არჩევს გაყიდვას, მაგრამ ისე, რომ... ფასი გასყიდულისა მესამედს ფასს არ შეადგენს... ჩვენი ვაჭრების სასიხარულოდ იმას მოსავლის სხვაგან წაღების თავი არა აქვს, და არც გზები არიან რომ მოსავალი სხვაგან გაიტანოს და გაჰყიდოს, ამისათვის იმან ყოველიფერი შინ უნდა გაჰყიდოს, და ისიც ძრიელ იეფად“[90]...

„ჩვენი სიღარიბის გამო ჯერ მოსავალი არ მოგვიტანია მინდვრიდან და წინათვე გამოანგარიშებული გვაქვს რაში და რაში უნდა მივსცეთ, რომ როგორმე უმადურად ვიცხოვროთ. ჯერ რთველი არ დამდგარა, ტკბილი ქვევრში არ ჩაგვისხამს... და ჩვენის საჭიროებისა გამო ვაჭრებს კოკებით და ჩაფებით ღვინოსა ვპირდებით, რომ რა არის გაგვმართონ“[91]...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ თბილისს. საზეიმო დღეებსა და აგრეთვე სასიხარულო და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოვლენების აღსანიშნავად თბილისის სამხედრო გარნიზონი აწყობდა ქვემეხების ბათქს (გასროლას)[92]. ამ დღეებში ცდილობდნენ საგანგებოდ მიმზიდველი და ლამაზი ყოფილიყო ბაზარი, სადაც, ცხადია, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა და ქვემეხების დაცლის შემდეგ ნებიერი და ლაღი ვაჭრობა გაიშლებოდა ხოლმე[93].

1830-იანი წლების შუაში, ოფიციალური მიმოხილვის თანახმად: „ეწევიან რა არამნიშვნელოვან შინაგან ვაჭრობას ამ მხარის ნაწარმოებებით და შეტოაქვთ რა ფუფუნების და საერთო მოხმარების საგნები სპარსეთიდან და მახლობელი სახანოებიდან, სომეხმა ვაჭრებმა შეინარჩუნეს სავაჭრო ოპერაციების სავსებით აზიური სახე.

[90] ეურნ. „მნათობი“, 1869, № 2, გვ. 47.

[91] იქვე, გვ. 50—52.

[92] II ПСЗРИ, т. XVI, ч. I, 1841, № 14276, с. 121—122.

[93] საზეიმო ვითარებაში ბაზრის მორთვა თბილისი ადრინდელის ტრადიციაა; 1744 წ. მეფე თეიმურაზს თბილისში მოსვლისას „...გაუშალეს მოქალაქეთა ფიანდაზი მძიმე ლარითა, შეიქმნა სროლა ზარბაზანთა, რომე ყურთა ხმა ალარ იყო, ავლაბრის ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინეს ჩირახდანით...“ (ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 370).

მათ არა აქვთ კანტორები, არა აქვთ ფაქტორიები, არ აწარმოებენ ზონარგაყრილ დავთრებს და არ ფლობენ კომერციის დადებით ცოდნას, მათთვის ნაკლებადაა ცნობილი ევროპის მოვაჭრე სახელმწიფოთა ზომაწონისა და მონეტების ერთეულები, მათი მოთხოვნები ნაკეთობებზე, რომელთა მიწოდება წარმატებით შეიძლებოდა ამიერკავკასიიდან. ესენი ყველაფერს აკეთებენ ჩვევების, ყურმოკრული ამბებისა და გადმოცემათა მიხედვით. ამიტომაც ფრიად ძნელია ქალაქის საკაჭრო ბრუნვების მოცულობის გარკვევა"[94].

ოციოდე წლის შემდეგ ამ მხრივ მდგომარეობა ისევ თვით ოფიციალური მიმომხილველის ტენდენციური აზრითაც კი შესამჩნევად შეიცვალა. 1850-იანი წლების შუაში „თბილისელ ვაჭართა უმთავრესი საბითუმო ვაჭრობის ოპერაციები, როგორც ამიერკავკასიაში სარეალიზაციო საქონელს, ასევე სპარსეთში გასატანი საქონლის შესყიდვისა სწარმოებდა მოსკოვში. და ამ ოპერაციების მთელი წარმატება და მისი შემდგომი გაფართოება... თითქმის მთლიანად დამოკიდებულია კრედიტისაგან, რითაც ამიერკავკასიელი ვაჭრები სარგებლობენ მოსკოველი ვაჭრებისა და ფაბრიკანტებისაგან. უკანასკნელ ხანებში, საბწუხაროდ, აღნიშნავს გენ. რეადი, მოსკოვს გენ.-გუბ. ზაკრევსკისადმი წერილში (1854. 12. 15), აქაურ ვაჭრებისადმი ნდობა შესამჩნევად შეირყა, შედეგად იმისა, რომ არც ისე იშვიათია ამ ვაჭართა შეუძლობის (გაკოტრების — ბ. გ.) მაგალითები და ზოგიერთი მათგანისაგან მიცემულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და დროული დაკმაყოფილებისაგან თავის არიდება. ამ ბოროტების მოსპობისა და კომერციული კრედიტის აღდგენისათვის თბილისში დაარსდა კომერციული სასამართლო. მაგრამ, ამ მხარის სიშორისა და აქაურ დაწესებულებათა შესახებ ცნობათა ნაკლებად გავრცელებისა გამო, მოსკოველმა ვაჭრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს აეთვისებინათ მთავრობის ეს კეთილისმყოფელი საქმე"[95]...

და ასეთ პირობებშიც თბილისში ვაჭრობა თანდათანობით ეფითარდება. იხსნება ახალი მაღაზიები, სადაც იყიდება მოსკოვიდან, ვარშავიდან, ლაიპციგიდან, ტრიესტიდან, მარსელიდან, ლონდონიდან, პარიზიდან და სხვ. მოტანილი საქონელი, ,ასე რომ ქალაქი „...ევროპიულდება... ჩვენ ახლა გვაქვს კარგი, ჭეშმარიტად კარგი საქონელი და ისე უხვად, როგორც აქ არასოდეს არ ყოფილა; გვაქვს

---

[94] ОРВЗ. I, с. 250.

[95] АСКАК, XI, с. 835; 1851 წ. თბილისის გუბერნიაში გაკოტრებულად გამოცხადდა 14 ვაჭარი, მ. შ. 6 — თბილისში (ЛОЦИА, 1854, д. № 21, л. 24).

თეატრი, ერთ-ერთი საუკეთესო მთელ რუსეთში, სატახტოების თეატრების შემდეგ, თბილისში არის დოღი, ინგლისური და ადგილობრივი სხვადასხვა ჯიშის ცხენებისა, დოღი ჟოკეებითა და ნიძლავებით...; არის კლუბი, განთქმული თბილისური აბანოები და კრივი"[96].

თბილისის გუბერნატორის 1851 წ. ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ „ვაჭრობის გაფართოება განსაკუთრებით ეტყობა თბილისში, რომელიც წარმოადგენს საერთო პუნქტს და შეიძლება ითქვას, საერთო საზომია მთელი ამიერკავკასიისათვის. აქ მოაქვთ საქონელი ყოველი მხრიდან და აქედან გააქვთ ყოველგან მთელ მხარეში. მოსკოვისა და ნიჟეგოროდის იარმაქტები ამარაგებენ მას ყოველგვარი ნაკეთობით ხავერდიდან დაწყებული რკინეულობამდე, რის მაგიერ ღებულობენ აბრეშუმის ყაჭს, სხვადასხვა სპარსულ ნაკეთობებს, შემახიის აბრეშუმის ქსოვილებს (მოვს), ცივ იარაღს და მცირე რაოდენობით კახურ ღვინოს. ხოლო საზღვარგარეთული ქალაქები, პარიზი და ლონდონი, გვიგზავნიან მოდურ საქონელს და ყოველგვარ ნატიფ ნაკეთობებს; სპარსეთიდან და თურქეთიდან მოაქვთ: პირველიდან — აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ნოხები და სხვ.; მეორედან — სასმელები, შაქარი, ყავა, თამბაქო და სხვ. კოლონიური საქონელი[97]... უცხოური საქონლით მოვაჭრე მაღაზიების რიცხვი ამ წელს 3-4-დან გადიდდა 14-მდე და ეს საქონელიც უფრო გაიაფდა. ამათგან 6 მაღაზია ეკუთვნით თვით უცხოელ ვაჭრებს, რომელთა რაოდენობა თბილისში სულ უფრო მრავლდება[98]... თბილისში ე. წ. სალდათის ბაზარზე, ყოველკვირეულად, წირვის გათავების შემდეგ, იმართებოდა დიდი საკვირაო ბაზრობა, სადაც გასაყიდად გამოჰქონდათ მრავალგვარი ძველი თუ ახალი ნივთი, საქონელი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, ზოგჯერ ფრიად შორეული ქვეყნების ნაკეთობანი.

აქ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ უცხოელი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ვაჭრები: რა თქმა უნდა, მოვაჭრეთა დიდ უმრავლესობას ამიერკავკასიის და უწინარეს საქართველოს მკვიდრნი შეადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკვირაო ბაზრობა დიდი პოპულარო-

---

[96] Сб. газ. «Кавказ», 1848, II, с. 153.

[97] ინგლისელი ვაჭრების მსხვილი ფაქტორიები მოკალათებულნი იყვნენ სტამბოლში და მათი საქონელი აქედან შემოდიოდა ამიერკავკასიაში. იხ. Кулишер, Основные вопросы международной торговой политики, 1929; Taussend, International Trede, 1937.

[98] ЛОЦИА, ф. КК, 1854, д. № 21, л. 25.

ბით სარგებლობდა და, როგორც იმდროინდელი დამკვირვებლები მოწმობენ, გარკვეული გაგებით ითავსებდა იარმარკეტის ფუნქციებსაც.

1850 წ. თბილისში აღრიცხული იყო 1703 დუქანი (მაღაზია), ხოლო აქაურ ვაჭართა საბრუნავი საშუალებანი დაახლოებით 7 მლნ. მან. ივარაუდებოდა. საქალაქო შემოსავალი 1849 წ. უდრიდა 81 ათას მან., ხოლო ხარჯები — 85 ათას მან. ქალაქის მოსახლეობა 1850 წ. შეადგენდა 56 ათასს, მ. შ. ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი — 28 ათასს უდრიდა[99].

ხოლო სამიოდე წლით ადრე გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი წერდა: „...თუ გსურთ გაიჩინოთ მარაგი კარგი ნივთებისა და თავი მოიწონოთ ახალ-ახალი რამეებით, განსაკუთრებით იყიდოთ რაიმე გასასაჩუქრებლად, მაშ წადით ბლოტის მაღაზიაში, სადაც ნახავთ მთელი ქვეყნის ნაკეთობებს, პარიზისა და მარსელის ჩასაცმელ-მოსახურავებს, სტრასბურგის ნამცხვრებს, ჰავაიურ სიგარეტებს, სხვადასხვა ქალის ტუფლებს, ბრინჯაოს ფიგურებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რისთვისაც კი შეიძლება კაცმა ფული დახარჯოს მაღაზიაში"[100].

გაზ. „კავკაზის" თანამშრომელი, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე, ნ. დუნკელ-ველინგი, შემდეგი სიტყვებით აგვიწერს 1850-იანი წლების თბილისის კომერციულ ცხოვრებას:

თბილისი სულ უფრო ევროპულ სახეს ღებულობს... საღამოობით ხალხს იზიდავს გაზის ფარნებით განათებული პროსპექტი... რას არ ნახავს აქ ადამიანი... აგერ მოდის სავსებით იარაღში ჩამჯდარი ჩერქეზი თავისი ლამაზი კოსტიუმით, მსუბუქი ნაბიჯებითა და მოძრაობით... მის გვერდით მოაბიჯებს მაღალი სპარსელი... შემდეგ ხედავთ მხიარულ და უდარდელ ქართველს... აი, მშვენიერი ქართველი ქალი, სინატიფითა და გრაციით აღსავსე, კეთილშობილური და ლბილი მოძრაობით, რაც მიანიშნებს უმშვენიერესი ტომისგან მის წარმომავლობას, თავისუფლად და მსუბუქად მოაბიჯებს ქვის ფილებზე, ხოლო გამჭვირვალე ლეჩაქი საოცრად ფრიალებს და გარს ეხვევა მის მიმზიდველ თავ-პირისახეს. წინ გამოჩნდებიან ბურნუსები და ქუდები ჩვენი საყვარელი თანამემამულე ქალებისა, რომლებიც მიჩვეულან სამხრეთის კეთილისმყოფელ ცას და არ დარდობენ შორეულ მშობლიურ ჩრდილოეთზე... მაგრამ ბულვარიდან ვიწ-

[99] О. Константинов. Дорожник Закавказского края, 1850, Тифлис, с. 25—29.

[100] Газ. «Кавказ», 1846, № 46.

რო ქუჩებისა და შესახვევების ლაბირინტით გარშემოვლებულ სომ-ხურ ბაზარზე, თბილისის ამ ბირჟაზე, გავიდეთ. აქ ყოველ ნაბიჯზე თქვენ გაოცებთ რაიმე მოულოდნელი. ერთ ქუჩას თქვენ შეუმჩნევ-ლად მიყავხართ რომელიმე ნანგრევებთან.... შემდეგი შესახვევი ზედ მიადგება ახალი არქიტექტურით ნაგებ, ნაძერწი ნამუშევრებით აღ-მოსავლურ გემოვნებაზე შემკულ მშვენიერ სახლს... ერთ ადგილას თქვენ გზას გადაგიღობავთ ქარავანი, შემდგარი რამდენიმე ათეული აქლემისაგან, რომელთაც, მოზომილი ქანაობითა და მრავალი პატარა ზარის რეკვით, თავიანთ კუზებზე მიაქვთ ჭრელი სპარსული ნოხები და მდიდარი ქაშმირული შალები. მეორე ქუჩაზე თქვენ ვერ გაივ-ლით. იგი გაჭედილია აუარებელი მძიმე ურმით, რასაც ეწევიან ნელა მიმავალი კამეჩები და მიაქვთ ევროპისა და კოლონიების საქონე-ლი... როდესაც გააღწევთ ამ ქუჩებს... თქვენ გახვალთ სომხურ ბა-ზარზე. ყველაფერი, რასაც აწარმოებს აღმოსავლეთი, მოგროვილია მეწარმე სომხების მიერ მათს ცენტრალურ სავაჭროზე. თქვენ აქ ნა-ხავთ მთიელი ხალხების იარაღებს, მათს შალებს (მაუდებს), ღვე-დებს, ნაბდებს, ამ ბუნების ბავშვთა მწირი მრეწველობის ერთადერთ ნაწარმოებთ. ამ უხეშ ნაკეთობათა გვერდითაა სპარსული აბრეშუმ-ქსოვილები, ხაოიანი ნოხები და აღმოსავლეთის სხვა ძვირფასი ქსოვილები. ევროპასთან ვაჭრობამ აქ მოიტანა განათლებული ხალ-ხების მოხმარების საგნები და კოლონიების ნაკეთობანი, რაც აუცი-ლებელ მოთხოვნილებადაა გადაქცეული თბილისის მცხოვრებთათ-ვის. აქ, ისევე როგორც ყველგან, თქვენ ნახავთ აზიის მჭიდრო კავ-შირს ევროპასთან და ამ უკანასკნელის გაბატონებულობას.

თუ ერევნის მოედნიდან ჩავყვებით ქვემოთ ხალხით სავსე ბა-ზარს, დავინახავთ სავსებით ევროპული გემოვნების ზოგიერთ მაღა-ზიას, ჭრელი აბრებით, რომელზედაც დახატულია მრავალი საქონე-ლი, რომელთაც თვით დუქანში ვერ იპოვით"... მერმე აღწერილია თონეები, ფურნეები, სასაუზმეები, სამწვადეები, სასადილოები, ვერცხლის ქუჩა, ოქრო-ვერცხლის ოსტატების, ჯავაირჩების მუშა-ობა: კიდევ იქით იწყება მებაყლეების რიგი—ხეხილის დუქნები... მერმე ჭურჭლეულობის მაღაზიებია, „სადაც გამოფენილია სხვადა-სხვა ფერის შუშის ნივთები და ქაშანურის ნაწარმების ყოველგვარი საოცრებანი"... ყველა ეს იშვიათობანი მოტანილია ჩვენი, რუსული ფაბრიკებიდან. იქით გაადგილებულია თამბაქოს დუქნები... შემ-დეგ იყიდება მრავალგვარი ნახმარი საგანი, ძველი მუნდირები, მუ-ზარადები, ხურდა-მურდა... აქ თქვენ ნახავთ ძველ ჯავშნებს, ტულის თოფს, გატეხილ სამოვარს, და მრავალ რამერუმეს...

ამ სხვადასხვა ტომის ადამიანთა და საქონელთა სიჭრელესა და ხმაურობას თავს რომ დააღწევთ, თქვენ მიადგებით ტაძარს. ეს სიონის საყდარია, უძველესი სათაყვანებელი, ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობის მოწმე. გასცილდებით რა სიონის ტაძარს, შედიხართ ქარვასლაში, აზიური გემოვნების მშვენიერ და მასიურ შენობაში, შიგნითა ეზოთი, რომლის შუაში აუზია. ქარვასლიდან, სადაც აწყვია თბილისის ყველაზე მდიდარი საქონელი, „ბნელი რიგით“ (დახურული დუქნებით), რაც სავსეა უპირატესად რუსული საქონლით, გადიხართ თათრის მოედანზე (მაიდანზე), რომელსაც აგრეთვე სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები აქვს. აქაა საწყობები, სურსათ-სანოვაგისა, რითაც უხვად ამარაგებენ თბილისს გარეუბნები. აქ დაეხეტებიან მთიელები, რომელთაც გადაკიდებული აქვთ ქამრები, ძველი იარაღები, მათრახები და სხვა. აქვე ნახავთ ადგილობრივ ბუკინისტს პირამიდასავით დალაგებული წიგნების გროვით... რუსი სალდათი, ვითომდა უცაბედათ, შემოგთავაზებთ თქვენ ჩექმებს... ის თავის საქონელს უნდა ყიდდეს არა მაიდანზე, არამედ საკვირაო ბაზარზე, სადაც თავს იყრის მრავალი რუსი... აქვე, მაიდანზე ირევა აუარებელი მუშა (მეკურტნე), რომელთაც აქვთ თავიანთი ამქარი და ჰყავთ უსტაბაში. ისინი სამუშაოს ერთმანეთს არ სტაცებენ. „არავის თბილისის მცხოვრებთაგანს არ შეუძლია ჩიოდეს, რომ მუშამ არ მიიტანა ის, რაც მას მიეცა გადასატანად. ეს საწყალი, ნაცადი პატიოსნების — ხალხია“. ამავე მაიდანზეა დღიურ ქირაზე მიმავალი მუშების თავშესაყრელი, „ბინა“..., აქედან მტკვარზე ხის ძველი ხიდით გადიხართ მდინარის მეორე მხარეს, მეტეხის ციხისაკენ, რომლის ქონგურებზე ფრიალებს რუსული ალამი... ავლაბრიდან ისევ მტკვრისაკენ წამოსულს შეეძლო მაშინ ახალი აშენებული ხიდით გაეწია ორთაჭალისაკენ, „ქართველთა ლაღი ძხიარულებისა და დროსტარების ადგილისაკენ“.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადმინისტრაციამ თბილისში დააწესა ყოველწლიური იარმარკტა, პოკროვსკის იარმარკტის სახელწოდებით. მაგრამ როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ასევე თბილისშიც ამგვარად ორგანიზებულ იარმარკტებს მოსალოდნელი წარმატება არ ჰქონდა. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, კ. ორლოვსკის, 1865 წლის ანგარიშგებით მოხსენებაში ნათქვამია, რომ „იარმარკტების მოწყობის ცდა არ გამართლდა, რაც აიხსნება მრეწველობის განუვითარებლობით და იმით, რომ გუბერნიის ქალაქთა და სოფლების ვაჭრობა თავს იყრის თბილისში, რომლის ვაჭრობის აღ-

მავლობა გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ იგი არის მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი"[101].

თბილისის ბაზარმა და საერთოდ კომერციულმა ცხოვრებამ დიდმნიშვნელოვანი ალმავლობა განიცადა ბატონყმობის გაუქმებისა და განსაკუთრებით ფოთი-თბილისისა და, შემდეგ, კიდევ ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზებით შეერთების დროიდან. სწორედ ამავე წლებში მოხდა აქ საბანკო საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, და მაშასადამე, საკრედიტო ოპერაციების ერთგვარი მოწესრიგება. ამიერიდან კიდევ უფრო გაიზარდა თბილისის როგორც ტრანსკავკასიის სატრანსპორტო მაგისტრალის საკვანძო პუნქტის ეკონომიკური მნიშვნელობა.

1880-იანი წლების შუაში ცნობილი არტურ ლაისტი ასე აგვიწერს თბილისის ბაზარს:

„...ძველის ქალაქის ადგილებს შორის, რომელნიც უფრო მომეტებულად იზიდავენ ცნობის-მოყვარეებს, არის ბაზარი. ბაზარი დილით საღამომდე განუწყვეტელ მოძრაობას წარმოადგენს და ნამდვილი სურათი არის თბილისის ცხოვრებისა. აქ შეიძლება ნახოთ კავკასიისა და დასავლეთის აზიის ყველა ტიპები, ისე რომ ეს ბაზარი თითქო მასკარადიაო, ისე მოქმედობს კაცზე. ყვირილი, ხმაურობა, ყივილ-ხივილი ყურთა-სმენას ართმევს კაცს. მკვიდრ მცხოვრებთ გარდა, ბევრია სხვათა მხარეთაგან მოსული ხალხი, თუ სოფლებიდამ და თუ კავკასიის შორეული კუთხეთაგან; ცხენები, ვირები და ურმები, რომლებშიაც კამეჩებია შებმულნი, უფრო აძლიერებენ ვიწროობას და ხანდისხან, სრულებითაც შეჰკრავენ ხოლმე გზას.

აი, აქ მოძრაობს ჯგუფი თათრებისა, რომელთაც უზარმაზარი ტყავის ქუდები ჰხურავთ, თითქო პირამიდები დაუდგამთ თავზედაო; იმათ იქით მიდის ჩერქეზი, თავით-ფეხამდე იარაღით შემოსილი და ამაყად შესცქერის მონგოლებს, რომელნიც მას გზას აძლევენ; აცვია ჩერქეზს თავისი მოხერხებული ჩერქესკა, ჰხურავს კოხტა და საკმაოდ დაბალი ტყავის ქუდი, წელში გარჭობილი აქვს დამბაჩა და ხანჯალი მშვენიერ ქარქაშიანი ლამაზად ჰკიდია ქამარზედ. მერე მიდის წვეროსანი ლეკი — ეს დროებით შინ დათხოვნილი ავაზაკი, რადგანაც პირველი მოწოდების შემდეგვე მზად არის თავს დაესხას კახეთის სოფლებს, წაასხას თხა-ცხვარი და ლამაზი გასათხოვარი ქალები. ქართლელი გლეხი, რომელიც მიდის დინჯად და რომელსაც ხანჯლის გარდა სხვა იარაღი არა აქვს, მუქარით უცქერის ლეკს,

---

[101] ЦГИАЛ, ф. КК, 1866, д. № 142, л. 8.

რომელიც უხსოვარ დროთაგან მისი შეურიგებელი მტერი იყო. აგერ შორს მიერეკებიან ცხენებს ხმლებით შეიარაღებული ხევსურები ჯგუფად, სოსანის ფერის ჩოხებით და გაწეწილი ბეწვის ქუდებით. ცხვრის ტყავის ქუდები ხშირად შეინიშნება აქ სულ სხვა და სხვა სახისა და განუშორებლივ ადევთ თავზე, თუნდა ძალიანაც ცხელოდეს და ოფლი წურწურით ჩამოდიოდეთ პირისახეზე. იოლანი თათარი ჩამოიფხატებს ხოლმე ფაფახს და ღამ-ღამობით უკეთესი ბალიში ოღარც კი უნდა. დარბაისელი და ცბიერი სპარსელი, რომელმაც ყველაზედ კარგად იცის, როგორ შეიტყუოს კაცი თაკის დუქანში, იხურავს აგრეთვე შავს მაღალს ცხვრის ტყავის ქუდს. უნდა კიდევ ითქვას, რომ იმას უფრო მოუხდებოდა მელიის ტყავის ქუდი რომ დაეხურნა. იმიტომ, რომ ეს ტკბილ-მოღიმარი და უფრო კიდევ ტკბილად მოუბარი გაიძვერა — დიდი ავაზაკი ხდება, როცა საქმე ფულს შეეხება; ამიტომ სპარსელთან თუ მეგობრობა გაქვს, ფულის საქმე არ უნდა დაიწყო... ამ სხვა და სხვა ჭრელის ტიპების რიცხვი ამით კიდევ არა თავდება; ზემოთ ჩამოთვლილ წარმომადგენელთ გარდა სხვა და სხვა ტომებისა, სხვაც ბევრი დაეხეტება კიდევ თბილისის ბაზრებში; კავკასიაში ხომ ბარე 40 სხვა და სხვა ტომია დამკვიდრებული. ყველა ამათ წარმომადგენელს შეიძლება შეხვდეს კაცი თბილისის ქუჩებში. აქ ებრაელებიც არ აკლიან თვალებში, თუმცა საზოგადოდ კი ურიები ძალიან ცოტანი არიან კავკასიაში და ძხოლოდ ქუთაისში მათი რიცხვი საკმაოა, ისე რომ ცალკე უბანი აქვთ გაშენებული. კავკასიის მუზეუმში, რომელიც თბილისშია, შეიძლება ნახოს კაცმა ყველა გვარი ტანისამოსი მოხსენებულის ტომებისა"[102].

ბ. ქ ა რ ვ ა ს ლ ე ბ ი

მე-13 საუკუნის სპარსულ გეოგრაფიულ კრებულში „აჯაიბ ადდუნია" — „სამყაროს საკვირველებანი" — შემონახულია საინტერესო ცნობა თბილისის ბაზარზე. აქ, მტკვრის სანაპიროს გაყოლებით, მდინარეზე აშენებული დიდი ხიდის მისადგომებზე გამართული ყოფილა „ბევრი საბაზრო ადგილი". შემდეგ ჩამოთვლილია ნრავალი ადგილობრივი და უცხოური საქონელი, რაც ამ ბაზარზე, ე. ი. საერთოდ ქალაქის კომერციულ ცენტრში იყიდებოდა[103].

---

[102] ა. ლ ა ი ს ტ ი, კოლხიდაში („ივერია", 1885, № 4—5, გვ. 182—185).

[103] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XI — XIII სს. თბილისის ისტორიიდან (იიშ, I, 1960, გვ. 131).

დიდ სავაჭრო ქალაქთა კომერსანტების უხუცესს, ჩვეულებრივ ქარვასლის პატრონ სოვდაგრებს ფართო კომერციული და ზოგჯერ კიდევ მეფეთა დავალებით დიპლომატიური კავშირები ჰქონდათ, მოყვრები, ნათესავები, მეგობრები კომპანიონები ჰყავდათ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებში[104]. ამასთანავე ისინი მისულ მექარავნეთა მოსადგურენი იყვნენ, როგორც გულანშაროელი უსენი და ფატმანი იყვნენ „მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა ყოველგნით მავალთა“.

ექვსი საუკუნის შემდეგ თბილისის ამავე საბაზრო მიდამოს, რომელიც მოხსენებულია „სამყაროს საკვირველებანში“, ასე აგვიწერს საფრანგეთის თბილისელი კონსული ჟ. გამბა: „...სამი ქარვასლა მდებარეობს ბაზრის შუა ადგილას. ეს ბაზარი შედგება სხვადასხვა მოედნისა და ჭუჩისაგან, სადაც ყოველთვის აუარებელი ხალხი ირევა. ყოველ ხელობას ბაზარში მიჩენილი აქვს ცალკე ადგილი“... აქ უკვე მე-19 ს. 30-იან წლებში აღმოსავლეთის თუ დასავლეთის შორეული ქვეყნებიდან მოსული ქარავნები და ნეგოციანტები „განსაკუთრებულ დაღს ასვამს და ძალზე აცხოველებს ამ თავისებურ სასტუმროებს“ (—ქარვასლებს), სადაც ესოდენ განსხვავებული ენებისა და ქვეყნების ვაჭრები თითქოს ერთ ოჯახად ცხოვრობენ“[105].

ქარვასლები (ფუნდუკები) ძველი დროიდანვე ემსახურებოდნენ მგზავრებს, ვაჭრებს, ქარავნებს, რომელთა მისაღებად მათ ჰქონდათ სასტუმრო ოთახები, საწყობები, მაღაზიები, დარბაზები და ეზოები ქარავნების (პირუტყვის) დასაყენებლად და სხვ. რა თქმა უნდა, საველმწიფო ელჩებსა და საერთოდ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ქარვასლებში მეტის პატივისცემითა და მოკრძალებით ღებულობდნენ. დიდვაჭრის, ქარავანთუხუცესის სახით („ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარავნისა დიდისა“) გულანშაროს ჩასულ ავთანდილს ვაჭართა უხუცესის უსენის მეუღლე ფატმან ხათუნმა, როგორც საპატიო სტუმარს, ათი მონა გააგება და „მოუკაზმნა ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი“.

1850-იან წლებში და საერთოდ მე-19 ს. თბილისის კომერციული ცხოვრების თავისებური ცენტრები იყვნენ ქარვასლები. 1852 წ. ი. ევლახოვი წერდა: „...საქონელთა პარტიების უწყვეტი ნაკადი თურქეთიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან და ევროპის სხვა

---

[104] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970, გვ. 125—171.

[105] G a m b a. Voyage dans la Russie Meridionale, 1826, p. 274.

ადგილებიდან, რაც აქ შემოაქვთ ნათლად მიუთითებს იმას, რომ გამუდმებულად იზრდება მათი მოთხოვნა და გასაღება. თბილისი, როგორც უმთავრესი სასაწყობო პუნქტი, აერთიანებს რა სავაჭრო მოღვაწეობის ყველა სახეობას, ამ მხრივ, უნდა ითქვას, წარმოადგენს უზარმაზარ ბაზარს, რომელიც ყოველგვარი საქონლით ამარაგებს ამიერკავკასიის სხვა ქალაქებს. ტრანსპორტების ქარავნები სწრაფად სცვლიან ერთიმეორეს და თბილისის ქარვასლები სავსეა აურაცხელი დიდი და პატარა ბარდანებით (ნაკრაულებით)[105ა]

1850-იან წლებში თბილისში იყო 13 ქარვასლა; 1. ბატონიშვილების, 2. არწრუნის, 3. ბებუთოვების, 4. მელიქიშვილის, 5. სარაჯიშვილის, 6. სარქისოვის, 7. ვანქის ტაძრის, 8. შადინოვის, 9. ზუბალაშვილის, 10. მირიმანოვ-ს, 11. ხეროდინოვისა და 12. თამამშევის. ამათგან პირველ შვიდს ჩვენ გავეცანით მონოგრაფიაში „შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა... 1821—1831 წ.წ.". აქ ახლა მხოლოდ მერმე აშენებული ქარვასლების შესახებ და ზოგიერთ საერთო ხასიათის ცნობას მოვიტანთ:

ქარვასლები „აღმოსავლეთში სავსებით განცალკევებული სამყაროა, თავისი სპეციფიკური ადათებითა და ჩვეულებებით". აქ გარდა იმისა, რომ ყიდიან და ყიდულობენ წარმოდგენილ საქონელს, ადგილობრივი და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ვაჭრები სდებენ გარიგებებს საქონელზე, რომელიც სახეზე არაა წარმოდგენილი, წყდება სხვადასხვა საქონელზე ფასების აწევისა და დაკლებისა და თვით ამა თუ იმ ვაჭრის რეპუტაციის საკითხი. აღმოსავლურ ქარვასლათა ამ და სხვა საერთო დამახასიათებელ თავისებურებათა გარდა თბილისურ ქარვასლებში მოკალათებულნი იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის არზების მწერლები, თბილისში სხვადასხვა საქმეზე ჩამოსულ პირთა საიდუმლო მრჩევლები, ადმინისტრაციულ, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა შემფასებლები და განმქიქებელნი, რომელთა საქმოსნობა და თვითონაც ისინი პოლიციისაგან შეუღწეველ ბურვილებში იფარებოდნენ და იმალებოდნენ...

ქარვასლები ამასთანავე საერთოდ ყოველგვარი ინფორმაციის თავისებური ცენტრები იყვნენ. აქ ადამიანს შეეძლო გაეგო არა მხოლოდ ადგილობრივი, თბილისისა და საერთო კავკასიის შესახებ და არა მხოლოდ კომერციული ამბები, არამედ აგრეთვე მრავალი პოლიტიკური, ადმინისტრაციული მოვლენისა და თვით უცხოელის

105ა ЗКОИРГО. т. I. 1852. с. 183—184.

ქვეყნების ვითარების თაობაზედაც მოესმინა საინტერესო ინფორმაცია.

ქარვასლა ჩვეულებრივ შერგვალებული 2-3-4 სართულიანი ნაგებობა იყო, დიდი, შადრევან-აუზით დამშვენებული ეზოთი, სარდაფებით, საწყობებით, დუქნებითა და სახელოსნოებით, სასტუმრო ოთახებითა და დარბაზებით, სადაც ზოგჯერ საპატიო სტუმრების საზეიმო მიღებაც ეწყობოდა.

ამ ქარვასლებში, თბილისის ბაზარში, მოდიოდა როგორც ევროპიდან ყულევის გზით — ლონდონიდან, პარიზიდან, ჰამბურგიდან, ტრიესტიდან, კონსტანტინეპოლიდან და სხვ. ასევე აზიის ქვეყნებიდან, სპარსეთიდან, თურქეთიდან, თვით ინდოეთის ქალაქებიდან — ნახჭევანზე გამოვლით — თავრიზის, არდებილის, რეშტისა და სხვა გზებით მოტანილი მრავალგვარი ევროპული, კოლონიური და აზიური საქონელი.

1850 წელს ამიერკავკასიაში შემოიტანეს ევროპული და აზიური საქონელი სულ 3,74 მლნ. მან., აქედან გაიტანეს 228 ათასი მან., ე. ი. თვით ამიერკავკასიაში გაიყიდა 3,71 მლნ. მანეთის საქონელი. ამიერკავკასიაში შემოტანილი უცხოური საქონლის ერთი მესამედი უწინარეს მოდიოდა თბილისის ქარვასლებში და მერმე აქედან ხდებოდა მათი გადანაწილება სხვადასხვა ქალაქში. საკუთრად თბილისის მოსახლეობა კი ყიდულობდა ამიერკავკასიაში რეალიზებული მთელი უცხოური საქონლის თითქმის ერთ მეოთხედ ნაწილს.

ზემოთ დასახელებული ქარვასლებიდან აშენებული იყო: შიოევის ქარვასლა 1838 წ. (7 დუქანი, 14 სასტუმრო ოთახი, 2 საყავე, 1 სახელოსნო, სამკერვალო); იმავე წელს ჩადგა მწყობრში მირიმანოვის ქარვასლაც (2 დუქანი, 2 სარდაფი, 12 სასტუმრო ოთახი, 1 სახელოსნო, მეთექე); ხეროდინოვის—1840 წ. (8 დუქანი, 29 სასტუმრო ოთახი, 2 სარდაფი); შადინოვის 1843 წ. (11 დუქანი, 2 საყაწყობო სარდაფი, 27 სასტუმრო ოთახი), ხოლო თამამშევისა — 1850 წ. ერევნის მოედანზე.

ამ ქარვასლის აშენებამ, ეგონათ რომ დიდი საფრთხე შეუქმნა ყველა დანარჩენს; ფიქრობდნენ, რომ ვაჭრები ძველი ქარვასლებიდან გადავიდოდნენ თამამშევისაში, — ქალაქის ახალ ცენტრში. მაგრამ ახალი, ნაწილობრივ ევროპულ და ნაწილობრივ აზიურ სტილზე კეთილმოწყობილი ოთხსართულიანი ქარვასლა მხოლოდ ნელ-ნელა იზიდავდა ვაჭრებს, ხოლო ძველ ქარვასლებში კომერცია ისე დუღდა, როგორც წინათ... ვაჭრებიც შესამჩნევად კონსერვატიულნი აღ-

მოჩნდნენ. თამაშევის ქარვასლაში ასიოდე დუქნის, ოცდაათი ბნელი საწყობის, რიგი სახელოსნოებისა და სხვ. გარდა, მესამე სართულზე გამართული იყო თეატრი, სათანადო სადგომებით, ბუფეტით, ფოიეთი, გალერეებით და სხვ. აქ იყო ბიბლიოთეკაც[106]. ეს ქარვასლა ნავარაუდევი და არსებითად კიდევ უფრო დიდი კომერციული ოპერაციების ცენტრი ხდება უკვე 1860-იანი წლებიდან მოყოლებული.

* * *

მე-19 საუკუნის შუახანების თბილისის კომერციული ცხოვრება, მისი მაღაზიები, ქარვასლები, ბაზრები, სასაქონლო საწყობები, რომელთაც ბუნებრივად უკავშირდებიან აქაური საკრედიტო ორგანიზაციები, მიწოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბირჟები და სხვ. შეიძლება ითქვას, ასახავენ ამ პერიოდის დიდ ეპოქალურ გარდატეხას და არა მხოლოდ კომერციულ ურთიერთობათა სისტემაში, არამედ მთელ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში.

თბილისის ბაზარი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, როგორც საერთოდ ანალოგიური ქალაქის ბაზარი, იმავდროულად წარმოადგენდა რაღაც საოცარი თეატრის სცენას, სადაც იდგმებოდა დაუწერელი, მაგრამ რაღაცნაირად გააზრებული პიესები, რომლებიც ასახავდნენ ადამიანთა, ოჯახთა და მთელი საზოგადოების ვითარებას, თვით არქაული ეპოქიდან მოყოლებული ყველა ფორმაციის და ამასთანავე, ცხადია, უწინარეს არსებული მდგომარეობის მრავალწახნაგოვან სოციალურ, კომერციულ და ჩახლართულ პოლიტიკურ სიტუაციებს. აქ, ამ ბაზარზე, ერთმანეთს ხვდებოდა აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი თავისი ეკონომიკური, ყოფიერების ფრიად სხვადასხვაგვარი დანაშრევების... მრავალფერი რასობრივი, ნაციონალური, ეთნიკური, ტომობრივი, რელიგიური, მორალური, ეთიკური ნორმებისა და ფორმების მატარებელი კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი ხალხი და ესენი იყვნენ არა მხოლოდ მსხვილი და წვრილი ვაჭრები; არა მხოლოდ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნების მრავალფეროვანი შედგენილობის სოვდაგართა ქარავნები და დასავლეთისა და ჩრდილოეთის სახელმწიფოების ნეგოციანტები.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ფართო საქარავნო ვაჭრობისა და, მაშასადამე, მისი თანამდევი სხვადასხვა მხატვრული ხელოვნე-

[106] ЗКОИРГО, т. I, 1852, с. 182.

ბისა და თეატრალურ სანახაობათა გავრცელების ერთ-ერთი მაგისტრალური მიმართულება, როგორც ცნობილია, მიჰყვებოდა აბრეშუმის დიდ მაგისტრალურ გზას, რომლის ერთ-ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი განშტოება, ინდოეთ-სპარსეთიდან შავი ზღვისაკენ მიმართული, ამიერკავკასიაზე გადიოდა და აქ მისი მთავარი სასაწყობო და სატრანზიტო პუნქტი იყო თბილისი[107]. ირანის, თურქეთის, შუა აზიის (ტაშკენტის, ქივის, ბუხარის, სამარყანდისა და სხვა), ავღანისტანის, ჩრდ-დას. ინდოეთის თეატრალური ხელოვნება, სიმღერა, მუსიკა, პოეზია მრავალგვარ სავაჭრო საქონელთან ერთად მოედინებოდა და ვრცელდებოდა როგორც ჩინეთის, ასევე მცირე აზიის, კავკასიის, კასპიისა და შავი ზღვის მიმართულებით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების ქვეყნებისაკენ. ომები, რელიგიური ბრძოლები და პაექრობანი, მომღერალ-მელექსეთა და მელექსე-მომღერალთა ტურნირები, ქარიშხლიანი სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრება, მოსახლეობის მასობრივი მიგრაციები, ხელაღუპყრობელთაგან თავშესაფარისა და არსებობის საშუალებათა ძიება ბიძგს აძლევდა აზრთა, იდეათა, შეხედულებათა, როგორც ლიტერატურის, ასევე ფოლკლორის სახით გაცვლა-გავრცელების ამ პროცესს, რაც თბილისში, როგორც მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრში, თავის სარბიელს, განვითარებას, გადამუშავებას და გამოვლინებას ჰპოებდა.

6. ქალაქში საშოვარზე მოსულთა კავშირები

ა. მ ე თ ო ლ უ ხ ჩ ე ე ბ ი

ვაჭრები, როგორც ითქვა, ზოგჯერ ამქრებშიაც იყვნენ გაერთიანებულნი. მაგრამ ამქრებში ერთიანდებოდნენ ისეთი მოსაქმეობის ადამიანებიც, რომლებიც თითქოს არც ხელოსნები იყვნენ და არც ვაჭრები, რომლებიც ვითომდა ხელოსნებიც იყვნენ და ვაჭრებიც. ამ ასპექტში აღსანიშნავია, მაგალითად, თბილისელ მეთოლუხჩეთა[108] ამქარი.

---

[107] მე-19 ს. 50-იანი წლების თბილისისა და საერთოდ ამიერკავკასიის კომერციულ ცხოვრებაზე რიგი საინტერესო ცნობა აქვს ჩაწერილი ალ. დ ი უ მ ა ს. იხ. მისი, კავკასია, 1964, თბ.

[108] თურქ. „თოლუქ" — ტიკი, გუდა, რუმბი; — წყლის გუდა, კამეჩის ტყავი; თურქ. „თოლუქჩი" — მეთოლუხე.

მეთულუხჩეები ამიერკავკასიასა და კერძოდ თბილისში მოდიოდნენ უმთავრესად სპარსეთის აზერბაიჯანიდან — ხოის (ხუვის), სალმასისა და სხვა რაიონებიდან. ესენი უპირატესად ქრისტიანი აისორები იყვნენ.

მეთულუხჩეს[108] ქალაქში დაჰქონდა სასმელი წყალი, — ცხენზე ან ეირზე გადაკიდებული გუდებით, რომელშიც 8—10 და მეტი ვედრო სითხე ჩადიოდა. ჩამოსული თულუხჩი თბილისში, ჩვეულებრივ, რჩებოდა 5—6 წელიწადი და გარკვეული, საერთოდ კი საკმაო მონაგარის (ნაშოვრის) დაგროვების შემდეგ ბრუნდებოდა თავის სამშობლოში... წინასწარ იგი ჰყიდდა ცხენს (ეირს), თულუხს და თავისი კლიენტებისათვის წყლის მიწოდების (მიყიდვის) უფლებას.

ამ ნიშნების მიხედვით მეთულუხჩეები წარმოადგენდნენ საშოვარზე გასულ მუშებს, რომლებიც ფლობდნენ შრომის იარაღებს (სასაპალნე პირუტყვს და თულუხს — გუდას, რაც, როგორც ჭურჭელი, შეიძლება შრომის იარაღებს მივაკუთნოთ) და, მსგავსად ამქრის ხელოსნებისა, მათ თითქოს „მემკვიდრეობითი" (ყოველ შემთხვევაში პერსონალურად მიმაგრებული) კლიენტებიც, ასე ვთქვათ, შემკვეთლებიც ჰყავთ. მაგრამ ჯანსხვავებით, მაგალითად, საქართველოში ღვინის დამტარებელი მეჩალნდრეებისა, რომლებიც, როგორც წესი, იმავდროულად მეღვინეებიც, ე. ი. შინმრეწველებიც იყვნენ, მეთულუხჩეები წყლის, როგორც გასაყიდი საქონლის კეთებაში არსებითად არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ისინი მხოლოდ თავიანთი ჭურჭლით დაატარებდნენ სასმელ წყალს, სწორედ ისე, როგორც კარდაკარ მოსიარულე ვაჭრები სხვადასხვა საქონელს, — უპირატესად წვრილმან, ფართო მოხმარების საგნებს.

მეთულუხჩეების ამქარს (ამხანაგობას) ჩვეულებად ჰქონდა დაწესებული, რომ ქალაქში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე უნაცვალგებოდ (მუქთად) მიეზიდა წყალი, რისთვისაც თვითონაც არაფერს იხდიდა და ზოგჯერ კიდევ იგი პატიმრებსაც ამარაგებდა წყლით.

მეთულუხჩეთა ამქარი, როგორც საერთოდ ამქარი, ცხადია, ცდილობდა დაეცვა და შეენარჩუნებინა მონოპოლიური მდგომარეობა თავის საქმიანობაში. 1855 წ. 23 თებერვალს კავკასიის ნამესტნიკის დიპლომატიური კანცელარიის მმართველს დსს ლელლის სპარსეთის თბილისელი კონსული კასიმხანი სწერს:

„თბილისში არსებული ჩვეულების წინააღმდეგ ვიღაც მენახშირეს, მეთულუხჩეთა უსტაბაშის თანხმობისა და ნებართვის გარეშე, უყიდია თავისთვის ცხენი და გუდა და თვითნებურად შესულა მეთულუხჩეთა წოდებაში და ახლა მათ დიდ ზარალს აყენებს, ყიდის რა წყალს იაფ ფასად და, ამგვარად, მრავალ ოჯახს აქეზებს, რათა სხვა მეთულუხჩეთა ნაცვლად გახდნენ მისი კლიენტები"[100].

ამასთანავე კონსული იწერება, რომ მას ამის თაობაზე თხოვნით მიმართა მეთულუხჩეთა ამქარმა და ამიტომაც ითხოვს, რათა ხსენებული მენახშირე აიძულონ, რომ შეასრულოს ის პირობები, რაც არსებული ჩვეულებით აუცილებელია მეთულუხჩეთა ამქარში შესვლისათვის, ე. ი. თბილისის მოსახლეობაზე წყლის მიწოდება-მიყიდვის უფლების მისაღებად.

---

108 АСКАК, XI, № 862, с. 962.

იმავე წლის 20 მაისს გაცემული თბილისის სამხედრო გუბერნატორის განმარტებით,—მეთულუხჩეთა ამქარი არაა მოხსენებული კანონით დაწესებულ ამქართა რიცხვში, რის გამოც ამ მესარეწოობაში დასაქმებულ ადამიანთათვის არაა აუცილებელი ჩაეწერონ ამქარში. სწორედ, ამიტომ გუბერნატორს არ მიაჩნია შესაძლებლად განიხილოს მეთულუხჩეთა თხოვნა, რაც მათ (მეთულუხჩეებმა) კონსულს გადასცეს (— ხოლო უკანასკნელმა ადგილობრივ ადმინისტრაციას), მით უფრო, რომ მენახშირე, რომლის წინააღმდეგაც ისინი ჩივიან, როგორც კონსულის ნათქვამიდან ჩანს, ათ ფასად ყიდის რა წყალს... ამით რაღაც სარგებლობას აძლევს ქალაქის მოსახლეობას«[110].

იმავე წლის მიწურულს სპარსეთის კონსული კიდევ სხვა ნოტას უგზავნის ნამესტნიკის დიპლომატიურ კანცელარიას. ახლა იგი ითხოვს, რათა თბილისელი მეთულუხჩეები გაანთავისუფლონ სამესარეწეო მოსაკრებელისაგან, რაც წლიურად 1 მან. ვერცხ. შეადგენს.

ამ დროს საერთოდ დადგენილი იყო, რომ ქალაქის სასარგებლოდ მოსაკრებლებს იხდიდნენ: 1. ვაჭრობის უფლებისათვის—ადგილობრივი და სხვა ქალაქელი ვაჭრები, რომლებიც თბილისში მუდმივ ვაჭრობდნენ და 2. ისინი, რომლებიც შინამოსამსახურეებად და მუშებად იყვნენ დაქირავებულნი. ვაჭრები იხდიდნენ თავიანთი შეძლების (შემოსავლის) მიხედვით გაწერილ გადასახადს. ხოლო შინამოსამსახურეებსა და მუშებს უნდა აეღოთ ბილეთები, როგორც სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან თბილისში სამუშაოდ (საშოვარზე) ჩამოსულთ. ასეთი ბილეთისათვის დაწესებული იყო 1 მანეთი.

სპარსეთის ქვეშევრდომი მეთულუხჩეებიც 1 მან. იხდიდნენ, თუმცა, შენიშნავს თბილისის სამხედრო გუბერნატორი, ისინი უნდა იბეგრებოდნენ შეძლებისა და თავიანთი მესარეწეობის კვალობაზე, მაგრამ ქალაქის გამგებლობამ მხედველობაში მიიღო, რომ ზოგიერთ მეთულუხჩეს ხანძრის შემთხვევაში უნაცვალებოდ მიაქვს ადგილზე წყალი და ზოგჯერ ისინი პატიმრებსაც ამარაგებენ წყლით. მათთვის დაწესა მესარეწეობის უფლების ბილეთები, რისთვისაც უნდა იხადონ 1 მან... და ამიტომაც მათი ამ ბეგარისაგან განთავისუფლება შეუძლებლად იქნა მიჩნეული, მით უფრო, რომ „ბეგარა, რასაც ისინი ქალაქის სასარგებლოდ იხდიან... უმნიშვნელო რამეა იმ სარფასთან შედარებით, რასაც ისინი ქალაქისაგან ღებულობენ, ყოველთვის ამაღლებენ რა წყლის ფასებს...«[111]

ჩვენ თავის ადგილას გავეცანით ქალაქელ, კერძოდ თბილისელ ხელოსანთა ამქრულ კორპორაციას[112], წინამდებარე წიგნში გავაშუქეთ ვაჭართა კლასის კავშირების, გილდიების წყობილება და სტრუქტურა. ორივე ეს კორპორაცია ძირითად საქალაქო კლასებსა და მოსახლეობასთან შეფარდებით საკმაოდ დიდი მასის ორგანიზაციები იყო, რომელთაც დიდმნიშვნელოვანი პრივილეგიები და მეტნაკლები სიმტკიცის მონოპოლიური მდგომარეობა ექირათ, რაც აღიარებული იყო სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და, მაშასადამე, თვით ადმინისტრაციის მიერ.

---

[110] АСКАК, XI, № 863, с. 504.

[111] იქვე, გვ. 963.

[112] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. V, 1962, თბ., გვ. 162—336.

რაც შეეხება ქალაქში საშოვარზე გასულთა, დღიურ მუშათა და შინა-მოსამსახურეთა მდგომარეობას, აღებულ პერიოდში, ეს იყო ქალაქის მოსახლეობის არსებითად უორგანიზაციო ფენები და მათ, მსგავსად მეთულუხჩეებისა, კიდევაც თუ ჰქონდათ კავშირები, იგი, როგორც წესი, არაოფიციალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მხოლოდ თვით ამა თუ იმ ჯგუფის წევრებისათვის იყო საეალდებულო, უპირატესად, ცხადია, ჩვეულებითი, ტრადიციული, მდგომარეობის ფორმითა და ნორმებით.

ბ. ლატაკები და მათხოვრები

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიმდიდრე და სიღატაკე განუყრელ კავშირშია. თბილისში, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციულ და კომერციულ ცენტრში, სიმდიდრის დაგროვებასთან, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად მრავლდება ღატაკთა და მათხოვართა რიცხვი. ჯერ კიდევ 1812 წ. გენ. რტიშჩევი თბილისის გუბერნატორს მალინსკის სწერდა:

„ეხედავ რა აქ, თბილისში, მათხოვართა სიმრავლეს, სიმშილისა და ავადმყოფობათაგან თვით ქუჩებშიც რომ კვდებიან, წინადადებას გაძლევთ როგორც გუბერნიის პატრონმა...:

1. დაწვრილებითა და გულმოდგინებით გამოიკვლიეთ და განიხილეთ, თუ რა სახის მათხოვრები არიან აქ, და თუ, იქნებ, აღმოჩნდეს მათი დიდი ნაწილი იმერეთიდანაა, მაშინ შედგეს მათი სია, თუ სახელდობრ ვინ ვის (რომელ მებატონეს — პ. გ.) ეკუთვნის და რომელი სოფლიდანაა; ეს სია წარმომიდგინეთ მე და მაშინ ისინი ვაიგზავნებიან თავიანთ ადგილებში და მიეცემათ რაც საჭიროა[113]

2. ამასთანავე გამოეცხადოს თვით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომ მათ ყოველივე იღონონ, რათა მათი ყმები (მათხოვრებად) არ დაეთრეოდნენ თბილისში, მისცენ მათ საარსებო საშუალება და ამის შემდეგ კიდევ ვინც გამოიქცევა და დაიწყებს აქ მათხოვრობას, იცოდეს, რომ მას სასჯელი მოელის;

3. სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებზედაც, ადმინისტრაციის მხრივ, განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს, რათა ისინი უქმად არ დახეტიალობდნენ ქალაქში;

4. განსაკუთრებული სია უნდა შემდგარიყო იმათგან, „თუ ამ ღატაკებს შორის აღმოჩნდებოდა მაშინ აჯანყებული კახეთის გლეხები" და ეს სია წარედგინათ გენ. რტიშჩევისათვის; — ეტყობა ეჭვი ჰქონდათ: ხომ არ იყვნენ ისინი დაზვერვის მიზნით შემოსულნი ქალაქში[114].

1828 წ. გენ. სიპიაგინი აღნიშნავს, რომ თბილისსა და პროვინციებშიც ვხვდებით „მრავალ მათხოვარსა და უსაქმურ ხალხს, რომლებიც ავსებენ გზებს; — მათ არა აქვთ თავშესაფარი და გამოკვების საშუალება; ავადმყოფ-

---

[113] სოფლებიდან გამოქცეულ გლეხთა უკან — „მიწისკენ დაბრუნებით" ქალაქში პაუპერიზმის მოსპობის უტოპიური, ამასთანავე კონსერვატიული იდეა ცნობილია მე-19 ს. I ნახევრის რუსეთის საქალაქო მმართველობის ისტორიაშიც.

[114] АСКАК, V, № 274, с. 210—212.

ნი რჩებიან მიუსაფარნი და დაეხეტებიან ქუჩებში, სადაც თხოულობენ მოწყალებას და ეს საცოდავნი თავიანთი ლატაკური მდგომარეობით, თუ რამე უმნიშვნელო დანაშაულს ჩაიდენენ, მაშინ მათ სერიოზულ დამნაშავეებთან ერთად ათავსებენ სატუსაღოში და მორალური გამოსწორების ნაცვლად საპატიმრო ადგილებიდან ისინი გამოდიან დიდათ გარყვნილი გულით... უკანონოთ (ქორწინების გარეშე) დაბადებული ბავშვები ხდებიან მსხვერპლი გაფუჭებული დედებისა, რომელნიც ბავშვის მოკლელით ცდილობენ დაფარონ თავიანთი დანაშაული...“

ასე ხდება იმიტომ, რომ ახლა თბილისში ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების მრავალი ხალხი და ამასთანავე ქალაქი კეთილმოუწყობელია; არ არსებობს შესაბამისი საქველმოქმედო დაწესებულებები, რომელთა ორგანიზაციის ინიციატივა ხელისუფლებამ უნდა იკისროს[115].

1850-ან წლებში პაუპერიზმი, სიღატაკე, მათხოვრობა იმდენად მასობრივ ხასიათისაა ქალაქში, რომ კავკასიის ნამესტნიკი ა. ბარიატინსკი იძულებულია მიმართოს რიგ ღონისძიებას „მათი ალაგმვის მიზნით“[116]. აქ გამრავალებულ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარის ორგანიზაციის ინიციატივა გამოიჩინა ჯერ კიდევ გენ. გოლოვინის მეუღლემ, რომელმაც თავისი განზრახვა ვერ განახორციელა. 1857 წ. ა. ბარიატინსკიმ უკვე პეტერბურგს წარადგინა თბილისში საქველმოქმედო დაწესებულებისა და თავშესაფრის ხარჯთაღრიცხვა, რაც დამტკიცა იმპერატორმა[117].

1859 წ. 27 ნოემბერს თავ. ა. ბარიატინსკი თბილისის საქველმოქმედოს (Тифлисская богодельня) მთავარ მზრუნველ კომიტეტს წინადადებას აძლევს: სასტიკად და განუხრელად შესრულდეს ქალაქში მათხოვრობის აკრძალვის შესახებ საქველმოქმედოს სათანადო დებულების § 2 მითითება და ამიერიდან დაწესდეს, რომ ყოველ მათხოვარზე, რომელიც ქუჩაში მოწყალებას ითხოვდეს, ქალაქის იმ კვარტალის ბოქაულსა და ზედამხედველს, სადაც გამოჩნდება მათხოვრები, თითოეულ მათგანზე გადახდეს ჯარიმა: ბოქაულს 5 მან. ხოლო ზედამხედველს— 3 მან. და ეს ფულები გადაეცეს საქველმოქმედოს სასარგებლოდ.[118]

ასეთი ნამდვილად დრაკონული განკარგულების გატარებით, ცხადია, ქალაქის ქუჩებზე უნდა მოსპობილიყო მათხოვრობა... მაგრამ თვით მათხოვრებს თუ რამდენად მოეფონებოდათ ამით, ეს სხვა საქმეა. და ცარიზმის ბიუროკრატიას ამ თვალსაზრისით, გასაგებია, რეალური ღონისძიების განხორციელება არც შეეძლო.

გრ. ორბელიანი დიმ. ჯორჯაძეს (1859), სხვათაშორის, სწერდა: „გაიხსნა богодельня, მაგრამ გლახაკები კი ერიდებიან საპყრობილესავითო“[119],—პოლიციური ღონისძიების სხვანაირი შედეგიც, ცხადია, მოულოდნელი იქნებოდა.

---

[115] АСКАК, VII, № 20, с. 10—11.

[116] АСКАК, XII, № 147, с. 228—229.

[117] II ПСЗРИ, 1858, № 32754, 32755.

[118] АСКАК, XII, № 148, с. 235.

[119] გრ. ორბელიანი, წერილები, აკ. გაწერელიას რედაქციით, 1937, II, 258.

მოსახლეობის ნაწილის, კერძოდ წვრილმწარმოებელთა პაუპერიზაცია, სიღატაკე და მათხოვრობა საერთოდ ბურჟუაზიული ქალაქისა და თვით კაპიტალისტური წარმოების წესის აუცილებელი თანამდევი სოციალური მოვლენაა.

მათხოვრებს გარდა ადმინისტრაციის ყურადღებას ხშირად იქცევდა ქალაქის ღ ა რ ი ბ-ღ ა ტ ა კ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა, — განსაკუთრებით პურძვირობის წლებში. 1852 წ. პურის სიძვირისა და სიმცირის ვითარებაში ქალაქის ღარიბი მოსახლეობა დიდ გასაჭირში ჩავარდა. რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი მღელვარება მ. ს. ვორონცოვმა ბრძანა: თბილისის სახაზინო მაღაზიიდან „ღარიბი კლასის ადამიანთათვის მისაყიდად გაეცათ 300 ჩეტვერტი ფქვილი, იმ ფასებში რაც თვით ხაზინას დაუჯდა მისი შეძენა“[120].

ანალოგიური კრიზისი დადგა 1855—1856 წწ., როდესაც ადმინისტრაციამ ხსენებულ პირობებში მოსახლეობაზე გასცა 250 ჩეტვერტი პურის ფქვილი. ამასთანავე პოლკ. კოლიუბაკინს უნდა შეესწავლა „თბილისის ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა“. საკითხის გამოკვლევის შედეგად იგი დარწმუნდა, რომ „ქალაქის ღარიბი მოსახლეობა საერთოდ უკიდურესად შეეიწროებულია სურსათ-სანოვაგის მხრივ, რადგან აქაური 1 კოდი ფქვილის ფასმა 4 მან. ვერცხ“... მიაღწია. სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობის გამო პურის შემოზიდვა ფრიად გაძნელებული იყო... ესოდენი პურძვირობა, ფიქრობდა კოლიუბაკინი, „ღარიბებს მიიყვანს‘ უკანასკნელ უკიდურესობამდე, თუ კი არ გაძლიერდება დახმარების ღონისძიება“.

ცხადია, გაცემული პური მხოლოდ რამდენიმე დღე ეყოფოდა მოსახლეობას... უაღრესად გართულებულ ვითარებაში გენ. მურავიოვი 1855 წ. 23 ნოემბერს ფრონტიდან იძლევა განკარგულებას, რათა „თბილისის სასურსათო მაღაზიიდან, გაიცეს 1000 ჩეტვერტი პური... ღარიბი კლასის მცხოვრებთათვის მისაყიდად“, თვითღირებულების ფასებში...

მაგრამ მძიმე ვითარება მაინც გრძელდებოდა ... ოსმალეთთან ომის პროცესში მოსალოდნელი იყო თბილისში ჯარების დიდი რაოდენობის კონცენტრაცია... საჭირო იყო 8000-მდე ოსმალო ტყვეების გამოკვებაც... მაინც, გენ. მურავიოვი დარიგებას იძლევა, რომ მას არც თუ ისე კეთილ საქმედ მიაჩნია მოსახლეობისათვის ასეთი დახმარების გაწევა, რადგან, მოსალოდნელია, „რაკი მცხოვრებლები იაფი პურის შესყიდვას მიეჩვევიან „ძნელი გახდეს დახმარების შეწყვეტა მაშინაც კი, როდესაც აღდგენილი იქნება ჩვეულებრივი ფასები...“[121]

შემდგომ 1856 წ. გაზაფხულიდანვე თავი იჩინა ძლიერმა პურძვირობამ. თბილისის სამხედრო გუბერნატორი კოლიუბაკინი მთავარსარდალს გენ. მურავიოვს მოახსენებს: „ქ. თბილისის ობივატელების, განსაკუთრებით უღარიბესი კლასის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ“ — პურის ფასების უზომო გადიდებისა გამო... ადმინისტრაციამ კვლავ გასცა საინტენდანტოდან

[120] АСКАК, XI, № 734, с. 694—695.

[121] იქვე, გვ. 696.

2000 ჩეტვერტი ქვავის პური, 1 ფუთი 1 მან; — იმ პირობით, რომ ქალაქის თვითმმართველობას შემოდგომას ნატურითვე დაებრუნებინა ქვავი სამხედრო უწყებისათვის.

ამასთანავე ხელისუფლებამ პურის მსხვილ ვაჭრებს, მინას ბეგლაროვსა და ზალიკო ხარაზიშვილს, დაავალა, — რათა მათ, როგორც წინა წლებში, ერევნის გუბერნიაში შეესყიდათ პური თბილისის მოსამარაგებლად. ამისათვის, ამიერიდან, ამ ვაჭრებს მთავრობა პრემიებსაც აძლევდა... ცხადია, ეს იყო ვაჭრების მიზანიც, თორემ ისინი ერევნის გუბერნიაში და სხვ. რაიონებშიც პურს მთავრობის დავალების გარეშეც ყიდულობდნენ, რათა ის დიდი მოგებით გაეყიდათ ქალაქში.

ქ. თბილისში პურის ფასი სულ მატულობდა... 1856 წ. 21 მარტს ოფიციალური ცნობით მთელ ქალაქში პურის 10 დღის მარაგიღა იყო დარჩენილი, ხოლო გარედან მისი მიღების იმედიც არ იყო. ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა კვლავ გაეცა საინტენდანტოდან 1000 ჩეტვერტი პური... დაიწყო ცდები თბილისის მიმდებარე რაიონებიდან შემოეტანათ პური... 24 მარტს თბილისის მაზრის პროკურორი ტიტ. სოვეტ. ჩეხოვსკი აღნიშნავს: სულ იზრდება უკმაყოფილება და მღელვარება, დრტვინვა და საყვედურები როგორც თვით ვაჭრების მიმართ, ასევე პოლიციის უმოქმედობისათვის — ფასების უზომო აწევისა და სასტიკი სპეკულაციის გამო.[122]

მას მერმე, როდესაც პურისა (და მის შემდეგ) საერთოდ სურსათ-სანოვაგის ფასები უკიდურესობამდე აიწია... და სპეკულაციური მაქინაციების შედეგად ვაჭრებმა დიდძალი ფულები ჩაიჯიბეს... რომ მოეგოთ თბილისის მოსახლეობისა და განსაკუთრებით ადმინისტრაციის გული, 1856 წ. ივლისში თბილისის საპატიო მოქალაქეებმა, რიცხვით 87 კაცმა, თბილისის ქალაქის თავის, მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქის სარაჯიშვილის მეთაურობით „ქ. თბილისის ულარიბესი მოსახლეობის მდგომარეობისადმი თანაგრძნობით ამოძრავებულებმა“, მოწყალების სახით გაიღეს 7246 მან... ყველაზე დიდი თანხები გასცეს ივ. და გაბრ. მირზოევმა, ვ. არშაკუნმა, ი. ზუბალაშვილმა და ნ. მირიმანოვმა; სომეხთა კათალიკოს-პატრიარქმა ნერსესმა, რომელიც მსხვილ კომერციულ ოპერაციებშიც იყო ჩართული[123], ღარიბთათვის მუქთად დასარიგებლად გაიღო 1500 ფუთი ფქვილი და 1000 მან. ფულად.

ქალაქის ღარიბ-ღატაკთა და ბურჟუაზიული კლასების ურთიერთდამოკიდებულება ანალოგიური და ბევრად უფრო ანტაგონისტური ხასიათისა იყო, მაგალითად, 1870-იანი წლების მიწურულს, კერძოდ რუსეთ-თურქეთის ომის წლებში და შემდგომ ხანებშიც, რამდენადაც ქალაქელ წვრილმწარმოებელთა პაუპერიზაციის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა, რასაც ჩვენ სპეციალურად სხვა დროს შევეხებით.

---

[122] АСКАК, XI, № 734, с. 676—697.

[123] იქვე, გვ. 697; საფრანგეთის თბილისელი კონსული გამბა წერდა (1825), რომ ჯერ კიდევ ეპისკოპოსმა ნერსესმა თბილისში „ააშენა უზარმაზარი ქარვასლა, რაც თითქოსდა წინასწარმეტყველებს ამ ქალაქის ვაჭრობის სიდიადესო“ (გ ა მ ბ ა, დასახ. თხზ.).

იგი, რასაც შემდეგ ბაზარი (მოედანი, ქულბაქი) დაერქვა, ადრე იყო ადგილი მეზობელ თემთა (გვართა, ტომთა) საზღვარზე, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, უნდა ვიფიქროთ, უწინარეს იმისთვის, რათა გაეცვალათ (ურთიერთისთვის გაეზიარებინათ) არა იმდენად ნ ი ვ თ ე ბ ი, რასაც აუცილებელი საჭიროებისათვის ყოველი თემი (ოჯახი) თავისთვის თვითონვე ამზადებდა (აკეთებდა), არამედ უფრო ა მ ბ ე ბ ი (ინფორმაცია), რაც ახლობელი თუ შორეული თემებიდან, ტომებიდან, ქვეყნებიდან მოდიოდა — გადატანა-გადაზიდვის ყოველგვარი საშუალების გარეშე — და მით უფრო ადვილად ვრცელდებოდა, რაც უფრო მეტად აღიზიანებდა ადამიანთა ცნობისმოყვარეობას.

მხოლოდ შემდეგ იქ (მოედანზე) სადაც ურთიერთის თავისებურებათა და განსხვავებულობათა ხილვისა (ნახვისა) და მოსმენის ინტერესებით ამოძრავებულნი იკრიბებოდნენ და, ამგვარად, იქ სადაც ინფორმაციის (ცნობათა) გაცვლა ხდებოდა, თანდათანობით გაძლიერდა ნიეთების, უწინარეს, როგორც ჩანს, იარაღ-სამკაულებისა და იარაღებისა და სამკაულების, შინაური (ხელისეული) პირუტყვის და, ბოლოს, თვით ადამიანის (ტყვის, მონის) გაცვლაც კი.

ასე რომ, ბაზარი წარმოიშვა და იმთავითვე ვითარდებოდა, როგორც ინფორმაციის გაცვლის და, მაშასადამე, გართობისა და სანახაობის ადგილიც, სადაც, მერმე, ცხადია, სულ უფრო მეტ ადგილს იპყრობს ნივთიერ დოვლათთა გაცვლა, — თუმცა ინფორმაციის ცენტრისა და გავრცელების ფუნქციებს იგი ყოველთვის ინარჩუნებს. საქმე ისაა, რომ ყოველი საგანი, როგორც საქონელი, არ შეიძლება იმავდროულად გარკვეული, ზოგჯერ კიდევ ფრიად რთული ინფორმაციის მატარებელი ნივთი არ იყოს.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზრის, როგორც სოციოლოგიური ფენომენის, განხილვა აუცილებლობით გულისხმობს თვით მისი გენეზისის მოვლენების გაშუქებას. და ჩვენ აქ ადრინდელი ეპოქების მასალაც შემოგვაქვს სწორედ იმიტომ, რომ კვლევის საგნად აღებული რეგიონის მოსახლეობა ამიერკავკასიისა და თვით კავკასიის ერები, კერძოდ ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, კავკასიონის მთიანეთის აბორიგენთა — აბხაზთა, აბაზგების, ჩაჩნების, ყაბარდოელთა, ლეკთა, ოსთა, ქისტებისა და სხვათა საზოგადოებები სწორედ ჩვენი კვლევის საგნად აღებულ პერიოდში, მე-19 ს. შუაში, ეთხოვებოდნენ (ზოგნი კიდევ მხოლოდ ნაწილობრივ ეთხოვე-

ბოდნენ) არქაული და შუასაუკუნეობრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ნორმებსა და ფორმებს, რომელთა დიდმა ნაწილმა აქამდე თითქმის პირველქმნილი სახით მოაღწია. — სწორედ ამ დროიდან ძველის ნგრევისა და ცვა-ფარვის პროცესში, და მის საფუძველზე, ყალიბდება აქ ახალი მატერიალური და სულიერი წარმოებრივი ურთიერთობები, რაც უწინარეს ყოვლისა მყარდება ბაზარზე, ვაჭრობის პროცესში, ნივთიერ დოვლათთა გაცვლის ვითარებაში. ამ მხრივ რიგი საინტერესო მოვლენა აქვს აღწერილი (1858 წ.) ალ. დ ი უ მ ა ს (იხ. კავკასია, 1964, თბ.).

ბაზარი საერთოდ მით უფრო ფართოვდება და უნივერსალურ ფორმას ღებულობს, რაც უფრო ვითარდება გაცვლა, მაშასადამე, საქონლური წარმოება, რაზედაც იგი დიდ უკუგავლენასაც ახდენს. მართალია, პროდუქტი საქონლის ფორმას ღებულობს საზოგადოებრივი ცხოვრების ადრინდელ საფეხურზედაც, მაგრამ მხოლოდ კაპიტალიზმის ვითარებაში ღებულობს იგი საერთოდ საქონლის ხასიათს. „საქონლის მიმოქცევა კაპიტალის ამოსავალი პუნქტია. საქონლური წარმოება და განვითარებული საქონლური მიმოქცევა, ვაჭრობა, წარმოადგენენ კაპიტალის წარმოშობის ისტორიულ წინამძღვრებს"[124].

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, რამდენადაც განცალკევებული მწარმოებელი ერთი რაიმე სახეობის პროდუქტის მკეთებელი შეიქმნება, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია პროდუქტის (საქონლის) ყიდვა-გაყიდვა, რაც უპირატესად საგანგებოდ ამისათვის დანიშნულ ადგილზე —ბაზარზე ხდება. მაგრამ კაპიტალიზმის ვითარებაში ყიდვა-გაყიდვის საგანია, ე. ი. საქონელია არა მხოლოდ ადამიანის შრომის პროდუქტი, არამედ თვით ადამიანის სამუშაო ძალაც.

საქონლური წარმოება აუცილებლობით გულისხმობს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას... „ბაზარი ჩნდება იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ჩნდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და საქონლური წარმოება. ბაზრის სიდიდე განუყრელად დაკავშირებულია საზოგადოებრივი სპეციალიზაციის დონესთან"[125].

რაც უფრო შორს მიდის ნატურალური მეურნეობის რღვევა და გაღატაკებული ყოფილ წვრილმწარმოებელთა მასა პირადი მოხმარების საგნის მყიდველებად გადაიქცევა, მით უფრო სწრაფად ფარ-

---

[124] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 188.
[125] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., I, გვ. 104—105.

თოვდება ბაზარი. კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდება უწინარეს მოხმარების, ხოლო შემდეგ წარმოების საშუალებათა ყიდვა-გაყიდვა. მოხმარების საშუალებათა და წარმოების საშუალებათა ბაზრის განვითარების შესაბამისად წარმოიშობა და ვითარდება განსაკუთრებული საქონლის, მუშაძალის, ბაზარი. მაგრამ იგი ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს... ბაზარზე ვლინდება კაპიტალიზმის დამახასიათებელი ძირითადი წინააღმდეგობა — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათისა და კერძოკაპიტალისტური მითვისების ფორმას შორის არსებული ანტაგონიზმის სახით.

ცნობილია, რომ რამდენადმე განვითარებული ბურჟუაზიული წარმოება უკვე ვერ ეტევა ნაციონალური (თავისი) სახელმწიფოს ფარგლებში... კონკურენცია კაპიტალისტებს აიძულებს სულ უფრო გააფართოონ წარმოება და, მაშასადამე, იბრძოლონ საგარეო ბაზრებზე თავიანთ ნაკეთობათა სულ უფრო დიდი ზომით რეალიზაციისათვის[126]. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ როგორ იბრძოდნენ რუსეთის კაპიტალიზმის მესვეურები საგარეო ბაზრებისა და, აგრეთვე, კიდევ შინაგანი, საკუთარი კოლონიების ბაზრებისათვის. ვ. ი. ლენინი საკვანძოდ სამართლიანად შენიშნავს, რომ რუსი კაპიტალისტების „გოდება ბაზრის ნაკლებობის გამო—ჩვენი მრეწველობის დაღუპვის შესახებ — სხვას არას წარმოადგენს, თუ არა თეთრი ძაფით ნაკერ მანევრს ჩვენი კაპიტალისტებისას, რომლებიც ამით ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, თავისი ჯიბის ინტერესებს (თავისი „უძლურების“ მორცხვი შეგნებით) აიგივებენ „ქვეყნის“ ინტერესებთან და უნარს იჩენენ წაუბიძგონ მთავრობას დაპყრობითი კოლონიური პოლიტიკის გზისაკენ, ომშიც კი ჩაითრიონ იგი, ასეთი „სახელმწიფოებრივი“ ინტერესების დაცვის გულისათვის“ [127]...

ახლა აქ, ზემოთ განხილულ კომერციულ მოვლენათა ზოგადი შეფასების თვალსაზრისით, უკვე საჭიროა ისიც ითქვას, რომ რეფორმამდელი რუსეთის ქალაქთა უმრავლესობის კომერციულ ცხოვრებაში წამყვან როლს თამაშობდნენ *კაპიტალისტურამდელი ყაიდის ვაჭრები*[128]. ცნობილია, რომ რო-

---

[126] И. Кулишер, Основные вопросы международной торговой политики, 1929; Ehrenberg, Handelspolitik, 1936; Fontanna-Russo, Traite de politiique commerciale, 1908; Hobson, International Trede, 1939.

[127] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. I, გვ. 108.

[128] Рыдзюнский, Городское гражданство дореформенной России, 1958, М.

გორც ვაჭრობა, ასევე სავაჭრო კაპიტალიც წარმოადგენს კაპიტალის უძველეს თავისუფალ ფორმას[129]. იმდროინდელი რუსეთის, და კიდევ უფრო მეტი ზომით ამიერკავკასიის ქალაქებსა და, კერძოდ, თბილისში ვაჭართა წოდება ჩამოყალიბდა ისეთ ეკონომიკურ პირობებში, როდესაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ვ ი თ ა რ დ ე ბ ო დ ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ „მ ი ს თ ვ ი ს უ ცხ ო დ ა მ ი ს გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე“; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაჭრული კაპიტალის თავისთავადი განვითარება პირუკუ შეფარდებაშია საზოგადოების საერთო ეკონომიკურ განვითარებასთან. ასეთ ვითარებაში მსგავსად ვენეციელთა, გენუელთა და ჰოლანდიელთა საშუამავლო ვაჭრობისა, მთავარი სარფა მიიღება არა საკუთარი ქვეყნის ნაწარმოებთა უცხოეთში გატანით, არამედ კომერციულად და საერთოდ ეკონომიკურად განუვითარებელ, ანდა დაწინაურებელ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის პროდუქტთა გაცვლაში შუამავლობით და ორივე მწარმოებელ ქვეყნის ექსპლოატაციით[130].

* * *

მაგრამ ჩვენი საუბრის თემაა სოციალური ბუნება არა მხოლოდ იმ საგანგებო ადგილისა, ვთქვათ, მოედნისა, სადაც გასაყიდად (გასაცვლელად) გამოაქვთ ათასგვარი ნივთიერი დოვლათი, რის შესაძენად აქ, ბაზარზე, მოდის მომხმარებელი, მყიდველი; არა. ჩვენ ვმსჯელობთ ბაზარზე ფართო აზრით და ამ გაგებით შეიძლება მთელი ქალაქის, როგორც ყოველგვარი სიმდიდრის (ქონების, დოვლათის) მიზიდულობისა და დაგროვების ცენტრის ყოველი საზოგადოებრივი (სალაყბოს, ყაბახის და სხვ. მსგავსი თავყრილობის, შესაყარი, შესაკრები) ადგილი წარმოვიდგინოთ როგორც ბაზარი[131], ე. ი. ყოველი ადგილი, სადაც ხდება არა მხოლოდ (პურის, ფეხსაცმლის, ჩაქუჩის და სხვ.) მრავალგვარ ნივთიერ დოვლათთა, არამედ, აგრეთვე მრავალგვარი სულიერი სიმდიდრის, კულტურულ ფასეულობათა (ხელნაწერი წიგნის, ფერწერული ნამუშევრის, თეატრალური

---

[129] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 409—426.

[130] И. К у л и ш е р, Эволюция прибыли с капитала, I—III; К. М е д з ы х о в с к и й, О свободных гаванях, 1910; T a u s s i g, International Trede, 1927.

[131] ტერმ. ბაზარი, ჩაჰარსუ (ჩარსუ), რასტბაზარი და სხვ. კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში (საქ. ისტ. აღმოსავლური მასალები, 1976, I).

წარმოდგენის და სხვ.) ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა-გაზიარება, რაც შეიძლება ხდებოდეს, ვთქვათ, ქალაქის ნებისმიერ ქუჩაზე, მოედანზე, ქარვასლაში, თეატრში და ა. შ. კიდევ მეტი, ბაზარზე (ბირჟაზე). შეიძლება იყიდებოდეს ისეთი საქონელიც, რომელიც გარიგების მომენტში სახეზე (თვით ბაზარში) არც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ეს სავაჭრო გარიგების, ყიდვა-გაყიდვის მხოლოდ ფორმალური მხარეა და მეტი არაფერი.

ჩვენ შევეხებით ხსენებული გაგებით წარმოდგენილ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, როგორც საერთოდ ადამიანთა შორის წარმოქმნილ გარკვეულ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა, ასევე ძნელად შესაღწევ და გასარკვევ ადამიანურ ურთიერთობათა ზოგიერთ ასპექტში.

თბილისში, ბაზარზე, როგორც საერთოდ დიდი საკვანძო ქალაქების სავაჭრო ცენტრში, ადამიანს შეეძლო შეეძინა, ეყიდა, გაეცვალა, არა მხოლოდ ათასგვარი საქონელი, როგორც არსებობისა და წარმოების საშუალება, საერთოდ მატერიალური დოვლათი, და ხშირად ეთვალიერებინა თვით პროდუქტთა წარმოების პროცესებიც, არამედ, ამასთანავე, როგორც სულიერი საზრდო ენახა და მოესმინა, მაგალითად, მრავალნაირი წარმოდგენები, ცეკვები, სიმღერები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ცხენების ჯირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრივი... მიეღო საერთოდ მრავალგვარი ინფორმაცია, გაეგო ბევრი ადგილობრივი თუ უცხოური ამბისა და მოვლენის თაობაზე.

აქ ვაჭრობაც (გაცვლაც) იყო და წარმოებაც, გართობაც იყო და სანახაობაც, სადაც თითქმის ყოველ მცოდნე მსურველს შეეძლო არა მხოლოდ მაყურებლის, არაუნდ მონაწილის როლშიც გამოსულიყო.

საქმე ისაა, რომ ადრითგანვე გავრცელებული წარმოდგენით (გაგებით) უბრალო ადამიანთა ცხოვრება მძიმე შრომისა და მხიარული უქმობის (გართობის — მოცალეობის) აუცილებელი ერთიანობა იყო. გართობის წუთები იტაცებდა და ყოველდღიური აუტანელი შრომის (უფრო სხვისთვის შრომის) სიდუხჭირეს ავიწყებდა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა უორგანიზაციო არმიას...; მის სიცილსა და სიხარულში დროებით იძირებოდა გაბატონებული წოდებისა და ადმინისტრაციის თავგასულობისა და ყეყეჩობის, სისულელისა და დესპოტიზმის უაზრობა, აქვეყნიური უსამართლობა და ბოროტება...; უქმობა და გართობა დაჩაგრული და უფლებააყრილი ადამიანის (მონისა და ყმის, ღატაკი გლეხისა და მუშის) მეორე ცხოვრების ფორმა იყო, როდესაც იგი თითქოსდა

თავისუფლების, თანასწორობისა და სიუხვის სამყაროში გადადიოდა...;— როდესაც იგი წამიერად მაინც „მ თ ე ლ ი საზოგადოების“ წევრი ხდებოდა...; — როდესაც იგი გუბერნატორისა, თავადისა, აზნაურისა, სოვდაგრისა, ნეგოციანტისა, პოლიციელისა და საერთოდ სამოქალაქო თუ სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად იცინოდა და ეს ერთობლივი სიცილი იმ წუთებში მათ ყველას ცხოვრების (სიცილში ცხოვრების!) ერთ დონეზე აყენებდა და ყოველივე ამაში აბორიგენებთან ერთად უცხოელ ვაჭართა ქარავნებისა და სამხედრო ნაწილების მსგავსად ჩამოსული მსახიობები, კომენდიანტები, ჯამბაზები, აკრობატები, ტაკიმასხარები, ჟონგლიორები და მატრაკვეცებიც მონაწილეობდნენ...

ამგვარად, ბაზარი არა მხოლოდ ბაზარია, სადაც სხვადასხვა ნივთებს ყიდიან და ყიდულობენ. განვითარებული სავაჭრო-სამრეწველო ქალაქის ბაზარი თავისებური დიდი სანახაობაც არის, სადაც ერთდროულად, ანდა დღისა თუ კვირის სხვადასხვა დროს, მრავალი სცენაა წარმოდგენილი[132]. ამ ვრცელი დრამის თემა ერთია — გაცვლა-გაზიარება, ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ იმის შესაბამისად, თუ ბაზრის (ქალაქის) რომელ კუთხეში, რა ადგილას და სახელდობრ რა საქონელი გამოაქვთ, სხვადასხვაგვარია არა თუ მუდამ ცვალებად მოქმედ პირთა შემადგენლობა, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ზრახვები და მისწრაფებანი, არამედ მოცემული კატეგორიის საქონელთა წარმომავლობითი და ტექნოლოგიური სტატუსი, მასალა და ასორტიმენტი, ფერები და ფასები, მიწოდება და მოთხოვნა. მრავალგვარი შეიძლება იყოს თვით ფული (ბონეტა), რომელიც აქ შუამავლის, ე. ი. საქონელთა საქონლის, ანუ საყოველთაო ექვივალენტის როლში გამოდის, ტრიალებს.

ბაზარი — მოცემული ქვეყნის ოჯახური (კერძო)[133] და საზოგადოებრივი. წარმოებრივი და სოციალური ცხოვრების, ამასთანავე

[132] ჰ. ი. კლაპროთი — Klaproth (1808) წერს: „თბილისში ორი ბაზარია, სადაც არის 704 დუქანი. . ამ ბაზრებში, როგორც საერთოდ აზიაში, გაადგილებულია აგრეთვე ფრიად მრავალგვარი სახელოსნო. ერთი ქუჩა უჭირავთ მხოლოდ და მხოლოდ მებაშმაკეებს, სხვები მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს,... ოქრო-ვერცხლის ოსტატებს, აბრეშუმის მრთველებს (ფეიქრებს), მეთოფეებს. აქ ყველა მუშაობს ყველას თვალების წინ; უცხოელთათვის, ეს იმდენად საინტერესო სანახაობაა, რომ ბაზარზე გასეირნება — ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო რამაა თბილისში“.

[133] საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული თბილისის ოჯახებში ჩნდება არა მხოლოდ უცხოური ქვეყნების ნაკეთობანი, სხვადასხვა ნივთები, საერთოდ მატერიალური ფასეულობანი, არამედ აგრეთვე თვით უცხო ტომის ადამიანები, რაც ხელს უწყობს კულტურათა კონტაქტებს და საკუთრად ქართული ცივილიზაციის განვი-

როგორც შინაგან, ისე საგარეო ურთიერთობათა ამსახველი დიდი სცენაა. ბაზარი ნაციის სარკეა, რომელშიც, როგორც არც ერთ დღემდე დაწერილ წიგნში, თვალნათლივ აისახება მისი მეურნეობრივი და კულტურული შუბლი, თაოსნობისა და განვითარების ღონე, ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე და სიღარიბე, სოციალური დიფერენციაცია, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების, „თავისუფალი თავისუფლებისა“ და „დამონებული (დატყვევებული) თავისუფლების“ ხარისხი, იმედები და უიმედობა, წარსული და თანამედროვეობა, იდეალები და მისწრაფებანი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ცივილიზაცია.

* * *

ბაზარზე ფასდება ყოველგვარი ქონება (საქონელი, საქონებელი), რაც კი საქონელის ფორმას (და შინაარსს) ღებულობს, ყიდვა-გაყიდვის საგანი ბაზარზე ხდება. ყოველგვარ ფასეულობათა გადაფასება — მატყლისა იქნება ის თუ რკინის, აბრეშუმისა თუ ოქროსი; — იქნება იგი ხელოსნის (მუშის) მარტივი შრომის ნახელავი (ჩექმა, უნაგირი, სატევარი, კაბა), თუ ხელოვნის შემოქმედებითი შრომის შედეგი (ფერწერული სურათი, ღვთისმშობლის ხატი, ძვირფასი საჭურველი, მემატიანის, პოეტის თხზულება).

ნივთი, რომელსაც გარკვეული დამოუკიდებელი არსებობა და ღირებულება აქვს, ბაზარზე გამოდის არა როგორც ერთეული საგანი; ერთადერთი ნივთი, რომელსაც მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს. არა, აქ მეტნაკლები რაოდენობით ყოველთვის მოიპოვება სხვა მისი საბადლო, ანდა მისი, როგორც საცვლელი და სახმარი ღირებულების შემცველელი საგანი, რომელიც მას კონკურენციას უწევს მიწოდება-მოთხოვნის, ე. ი. გამყიდველ-მყიდველის ურთიერთდამოკიდებულების ასპექტში. ამიტომაც მისი ფასი (ე. ი. ფულში გამოხატული ღირებულება) შეიძლება მაღალიც იყოს და დაბალიც... შეიძლება ისეც მოხდეს, რომ აქ ძვირფასი რელიქვიები „არცა ღირდეს ჩალის ფასად“.[134]

თარგმანს. 1846 წ. მანანა ორბელიანისადმი წერილში გრიგოლ ორბელიანი წერს: „...თქვენი გაბრწყინვალებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით...; ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო...“ (გრ. ორ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, I, 119).

[134] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II: შ. რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის, გვ. 370—402.

ბაზარს, უფრო ორგანიზებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტთაგან განსხვავებით, როგორიცაა, მაგალითად, მუზეუმი, გამოფენა და სხვ., სოციალურად და პოლიტიკურად უფრო ნაკლებად რეგლამენტირებულთა შორის, საზოგადოების სოციალური დიფერენციის ასპექტში, შეიძლება შევადაროთ სასაფლაო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბაზრის მოსაქმეთა ვაჭარ-მყიდველ-გამყიდველთა მობილურობას აქ მიცვალებულთა მარადიული უძრაობა უპირისპირდება. მაგრამ ვითარცა ნაციის სიმდიდრისა და სიღარიბ:ს, ე. ი. საზოგადოების კლასობრივი (წოდებრივი) სტრუქტურის სარკე სასაფლაო, ვინ უწყის, იქნებ უფრო მდგრადი და მართალი იყოს, ვინემ ბაზარი, სადაც ელამ სარკეთა ნამდვილი სალონებიც კი შეიძლება იყოს მოწყობილი. მაინც ბაზარი, ისე როგორც სასაფლაო, საზოგადოების ნივთიერი და მორალური სახის გამოვლინების უძველესი ფორმებია, რომელთა დაკვირვებასა და შესწავლას არ აბრკოლებენ მათს გარშემო შემოვლებული გალავნები და რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ისეთი სოციალური ინსტიტუტების, მაგალითად, ოჯახის, შინაგან ცხოვრებაში შეღწევა, რომელთაც „გარეშეთა ხელყოფისაგან“ იცავენ როგორც ოფიციალური, დაწერილი სახელმწიფოებრივი კანონები, ასევე საზოგადოების ეთიკური და ზნეჩვეულებითი ნორმები და ფორმები.

ისიც აღსანიშნავია, რომ მუზეუმები და გამოფენები შედარებით ახალი მოვლენაა, ხოლო ბაზარი და სასაფლაოც უძველესი დროიდან მოყოლებული, თანდათანობითა და მეტნაკლები ზომით, რეგლამენტირებულ ფორმებს ღებულობენ. უკვე ანტიკურ ეპოქებში იყო ცდები ბაზრის მოწესრიგებისა, ხოლო ძვ. საბერძნეთში დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, რათა განესაზღვრათ, თუ რამდენი დღის შრომა შეიძლებოდა დახარჯულიყო საფლავის მოწყობაზე.

ის რაც ბაზარზე გამოაქვთ — უკვე საქონელია, ზოგჯერ საქონელია ისიც კი... ვისაც გამოაქვს... აქ „ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდება..., რათა იქიდან ფულადი კრისტალის სახით გამოვიდეს“[135]... ფულში წაშლილია საქონელთა ყველა თვისებრივი განსხვავება, ასევე ფულიც, თავის მხრივ... სპობს ყველა განსხვავებას[136]. ამასთანავე ფული თვითონ საქონელია და შეიძლება ყოველი ადამიანის კერძო საკუთრება გახდეს, ხოლო ამ გზით კი „საზოგადოებრივი ძალა კერძო პირის კერძო ძალად იქცევა“...

---

[135] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 169—172.

[136] F r i e d e n s b u r g. Die Münze in der Kulturgeschichte, 1909; მისივე, Münzkunde und Geldgeschichte, 1966.

ჯერ კიდევ ანტიკური საზოგადოებიდან მოყოლებული გმობდნენ ფულს, რომელზედაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ელემენტები და ადამიანთა ზნეობრივი ღირსება ხურდავდებოდა.

სოფოკლე: „ადამიანთა შორის არაფერს არ შეუქმნია ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს“; რუსთაველი: „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა, დღე სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა რღვენასა; შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა, კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“.

კოლუმბი: „...ოქრო საკვირველი ნივთია. ვისაც იგი აქვს ყველაფრის ბატონია“... ქ. კოლუმბი იზიარებდა და ელოლიავებოდა იმ შეხედულებას, რომელიც ოქროს მზის შვილად აღიარებდა. კოლუმბს, ისევე როგორც საერთოდ კონკისტადორებს — კორტესს, პიზაროს... და მისთანებს, არსებითად ოქრო მიერეკებოდა ვესტინდოეთისაკენ, სახელდობრ კოლუმბიის, პანამის, ვენესუელას, ნიკარაგუასა და კარიბის ზღვის სანაპიროებისაკენ, მექსიკისა და ბრაზილიის, პერუსა და სხვ. ამერიკული „ოქროიანი მიწისა და ხალხების“ აღმოჩენა-„გაცნობისაკენ“.

შექსპირი: ოქრო „გონჯს დაამშვენებს, მდაბალს აქცევს კეთილშობილად, ბებერს—ჭაბუკად, ქალაჩუნას —მხნედ და მამაცად, გულად ვაჟკაცებს გამოაცლის თავქვეშ ბალიშებს; წყეულს აკურთხებს; ძველ კერპს აქცევს სათაყვანებლად; ქურდებს შემოსავს დიდებით და მაღალწოდებით და დასხამს სკამზე სენატორთა გვერდით; დედაბერს, დიდი ხნის წინათ დაქვრივებულს, კვლავ გაათხოვებს“...

კ. მარქსი: თანამედროვე საზოგადოება „...მიესალმება ოქროს, როგორც თავისი ყველაზე ძირითადი სასიცოცხლო პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას“; ი. ჭავჭავაძე: „ამ საუკუნის ძლიერი ღონე და... დიდი სახსარი ყოველგვარის წარმატებისა... შეიქმნა ფული. ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემია, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ახლა რაც არის ფულია და სხვა არაფერი. უფულო... ყმაა ფულიანისა“[137].

---

[137] ფულის ყველა ფუნქცია ვითარდება მარტივი საქონლური მეურნეობის პირობებშიც. ფულის —ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მოკრილი მონეტის მიმოქცევას 2600-ზე მეტი წლის ისტორია აქვს. უძველესი მონეტა იყო ლიდიის მეფის გიგესის (687—654) მიერ მოკრილი ელექტრუმის სტატერი (14 გრ.). ჰეროდოტე გადმოგვცემს: „ადამიანთა შორის ლიდიელები პირველნი არიან..., რომლებმაც მოსპრეს

ფული არაა მოფიქრების ან შეთანხმების შედეგი, არამედ უფრო სტიქიურად არის წარმოქმნილი გაცვლის პროცესში... საქონელი, რომელსაც ყველაზე უფრო საყოველთაო სახმარი ღირებულება აქვს თავდაპირველად შემთხვევით... და ასე თანდათანობით... ასრულებს ფულის როლს...

ფული არის გამდიდრებისადმი მისწრაფების არა მხოლოდ ერთი საგანი, არამედ იგი მისი ერთადერთი საგანია. იგი არის არსებითად ოქროს წყეული წყურვილი... ოქროსა და ვერცხლის საქონელი, მათი ესთეტიკური თვისებებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, — რამდენადაც მასალა, რომლისგანაც იგი შედგება, ფულის მასალა არის, — შეიძლება ფულად გარდაიქმნას, ისევე როგორც ოქროს ფული ან ოქროს ზოდი იმავე საქონლად შეიძლება გარდაიქმნას... ოქრო, მონეტისაგან განსხვავებით, ფულად იქცევა ჯერ იმით,

---

და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფული. ესენი იყვნენ პირველი მეწერილმანე ვაჭრები " (ჰ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა თინათინ ყაუხჩიშვილმა. 1975, თბ. ტ. I. 72).

სწორედ იმის გამო, რომ ფული, ოქრო, უძველესი დროიდანვე უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა, ზოგჯერ, რეფორმაციების შემდეგ, აღზევებულნი მონდომებით ცდილობდნენ მის „დამდაბლებას". ასე, მაგალითად, ძველ ეგვიპტეში გამეფებული ამასისი ოქროს ტაშტს (ღმის ქოთანს) ხმარობდა... მერმე მისგან ღმერთის ქანდაკება გაკეთებინა და დადგა ქალაქის ხალხმრავალ ადგილას, სადაც მიდიოდნენ ეგვიპტელები და თაყვანს სცემდნენ, მიემთხვეოდნენ ამ ქანდაკებას. როცა ეს ტრადიციად იქცა... ამასისმა შეჰყარა ეგვიპტელები და უთხრა: ეს ქანდაკება გაკეთებულია ოქროს ტაშტისაგან, რომელშიც წინათ ეგვიპტელები ფეხს იბანდნენ, აფურთხებდნენ და შარდავდნენო, ხოლო „ახლა თქვენ ესოდენ ეთაყვანებითო". მერმე ისიც უთხრა: რომ მას, როგორც მდაბიური წარმომავლობისას, ოქროს ტაშტის მსგავსი რამ მოუვიდა (ემართება)... თქვენ მე უპატიურად მექცეოდით, ხოლო ახლა კი მე თქვენი მეფე ვარ და... ტაშტისაგან გაკეთებული ღმერთის ქანდაკების მსგავსად... უნდა ... მელოლიავებოდეთო!

1921 წ. 5 ნოემბერს სტატიაში „ოქროს მნიშვნელობის შესახებ" ვ. ი. ლენინი წერდა: „როდესაც მსოფლიო მასშტაბით გაეიმარჯვებთ, ჩვენ, ვფიქრობ, ოქროსაგან გავაკეთებთ საზოგადოებრივ ფეხისადგილებს მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში. ეს იქნებოდა ყველაზე „სამართლიანი" და თვალსაჩინო ჭკუის სასწავლებელი გამოყენება ოქროსი იმ თაობათათვის, რომელთაც დავიწყებული არა აქვთ, ოქროს გულისათვის როგორ ამოხოცეს ათი მილიონი კაცი და დაასახიჩრეს ოცდაათი მილიონი 1914 — 1918 წლების „დიდ განმათავისუფლებელ ომში"... მაგრამ როგორც არ უნდა იყოს „...ოქროს აღნიშნული გამოყენება, ჩვენ მაინც ვიტყვით: კიდევ საჭიროა ორიოდე ათეული წელი ისეთივე დაძაბულობით და ისეთივე წარმატებით ვიმუშაოთ, როგორც ვმუშაობდით 1917—1921წლებში, ოღონდ გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე, რომ აქამდე მივიდეთ" (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 117).

რომ მიმოქცევას გამოეცლება განძის სახით, შემდეგ კი იმით, რომ მასში შედის როგორც არა მიმოქცევის საშუალება და იმით, რომ შინაგანი მიმოქცევის საზღვრებს გადალახავს, რათა საქონელთა სამყაროში საყოველთაო ეკვივალენტის სახით იმოქმედოს. ამგვარად, ოქრო იქცევა მ ს ო ფ ლ ი ო ფ უ ლ ად... საერთაშორისო საქონელმიმოქცევაში ოქრო და ვერცხლი გვევლინება არა როგორც მიმოქცევის საშუალება, არამედ როგორც ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გ ა ც ვ ლ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა. მაგრამ საყოველთაო გაცვლის საშუალება მოქმედებს მხოლოდ ორივე განვითარებული ფორმით: ყ ი დ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს ა დ ა გ ა დ ა ხ დ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს ფორმით, მაგრამ მათი შეფარდება მსოფლიო ბაზარზე შებრუნებულია... როგორც ოქრო და ვერცხლი ფულის სახით, თვით მათი ცნების მიხედვით, საყოველთაო საქონელია, ასევე მსოფლიო ფულის სახით ისინი ღებულობენ არსებობის სათანადო ფორმას, — უნივერსალური საქონლის ფორმას. იმდენად, რამდენადაც ყველა პროდუქტი მათზე გასხვისდება, ოქრო და ვერცხლი ხდება ყველა საქონლის გარდაქმნილი ფორმა და, მაშასადამე, ყოველმხრივ გასასხვისებელი საქონელი... საქონლისთვის თავისთავად არ არსებობს არც რელიგიური, არც პოლიტიკური, არც ნაციონალური და არც ენობრივი საზღვარი. მისი საყოველთაო ენაა ფასი, ხოლო მისი საზოგადოებრივობაა ფული... უმაღლესი იდეა, რომელშიც ოქროსთვის მთელი სამყაროა მოქცეული, ბაზრის, მსოფლიო ბაზრის იდეაა... ოქროსა და ვერცხლს ღირებულების საზომის ფუნქციის შესრულება იმიტომ შეუძლიათ, რომ მათი მარტივი სხეულები ყოველთვის თავისთავის ტოლნი არიან და მათი თანატოლი რაოდენობანი თანატოლ ღირებულებებს გამოხატავენ; ამასთანავე შეიძლება მათი ყოველნაირ ნაწილებად დაჭრა და ნაწილების კვლავ შეერთება... ის უპირატესობაც აქვთ, რომ მათი შედარებით... მცირე მოცულობა შეფარდებით დიდ სამუშაო დროს ანუ დიდ საცვლელ ღირებულებას შეიცავს... ამიტომ ტრანსპორტაბელურიცაა... მატერიალური ძვირადობა აუცილებელი პირობაა საქონლისა, რომელიც მიმოქცევის პროცესის მარადიული ძრავის როლს უნდა ასრულებდეს...

ფულს აქვს თვისება ყველაფერი იყიდოს, თვისება ყველა ნივთი მიითვისოს... მისი ამ თვისების უნივერსალობა ესაა მისი არსობის ყოვლისშემძლეობა... ფული შუამავალია მოთხოვნილებასა და საგანს შორის, სიცოცხლესა და ადამიანის სასიცოცხლო საშუალებათა შორის... მოთხოვნა, რასაკვირველია, აქვს იმასაც ვისაც არა აქვს ფული... ეს მოთხოვნა არაა ნამდვილი, საგნობრივი მოთხოვნა...

განსხვავება იმ ეფექტურ მოთხოვნას, რომელიც ფულს ემყარება და იმ არაეფექტურ მოთხოვნას შორის, რომელიც ემყარება ჩემს მოთხოვნილებას, ჩემს ვნებას, ჩემს წადილს და ა. შ., არის განსხვავება ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ს ა და ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ს შორის, მხოლოდ ჩემში არსებულ წარმოდგენასა და იმ წარმოდგენას შორის, რომელიც ჩემთვის ჩემს გარეშე არსებობს, როგორც ნამდვილი საგანი... ფულის მფლობელის აზრით ფულზე იცვლება არა მხოლოდ ერთი რომელიმე გარკვეული ნივთი, ანდა ადამიანის არა ერთი რომელიმე არსობითი ძალა, არამედ ყოველგვარი ადამიანური და ბუნებრივი საგნობრივი სამყარო, ყოველგვარი ნივთი, ადამიანის ყოველგვარი ზოგადი თუ ინდივიდუალური თვისება[138].

ისიც აღსანიშნავია, რომ ოქროთი ყოველგვარი ამქვეყნიური თუ საიქიო დანაშაულის მოხსნა შეიძლებოდა, — თვით ღმერთის გულის მონადირება და მრავალთა ცოდვათა განტევება მიიღწეოდა. დავით აღმაშენებელი თავის ერთ ანდერძში აცხადებს: „...ხოლო დუკატი და ბოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული“... ჩემმა შვილმა მეფე დიმიტრიმ... „ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა..., რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი გამიმწარებიან, მოძღვარმა ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვისო“[139].

ახლა ჩემს მკითხველს უნდა მოხსენდეს, რომ მე-20 ს. შუაში, თანამედროვე კაპიტალიზმის ვითარებაში, დაიწყო ოქროს დემონეტიზაცია, ე. ი. მის მიერ ფულის ფუნქციის დაკარგვის პროცესი, შედეგად რთული ეკონომიკური მოვლენებისა, რამაც თავი იჩინა მიმდინარე ინდუსტრიული (მეცნიერულ-ტექნიკური) რევოლუციის პირობებში შექმნილი დიდძალი და მრავალგვარი სიმდიდრის საპირისპიროდ წარმომდგარ სალიკვიდო საშუალებებზე არსებულ მოთხოვნილებებთან შედარებით საჭირო ოქროს (მეტალის) მარაგის ნაკლებობის, მრეწველობის ტექნოლოგიაში ოქროს დიდი რაოდენობით გამოყენებისა და სხვ. სახით.

ოქროს დემონეტიზაციის ტენდენციის შედეგად ფულად მიმოქცევაში, საქონელგაცვლაში გაბატონებულ ადგილს იჭერს საკრედიტო ქაღალდის ფული. ოქროს დემონეტიზაცია როგორც შინაგან,

---

[138] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, თბ., 1954, I, განსაკუთრებით III და IV თავი; მ ი ს ი ვ ე, პოლიტიკურ- ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953; К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. 42, с. 146—151.

[139] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები..., 1897, ტ. II, 51—52.

ასევე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში თანდათან ძლიერდება. კრედიტი სულ უფრო დიდი ზომით ხდება საყოველთაო საზოგადოებრივი სიმდიდრის ფორმა, რომელიც ეწონასწორება საქონელთა სახმარი ღირებულების სახით წარმოდგენილ მთელ რეალურ სიმდიდრეს.

ისე მოხდა, რომ ამიერიდან არა ოქროს მოპოვების პირობები განსაზღვრავენ საქონლური ფასების დონესა და დინამიკას, არამედ თვით ეს უკანასკნელი მომენტები — ოქროს მოპოვების პირობებს. 1913-დან 1975 წლამდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოქროს მოპოვების მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო აშშ—4,2-ჯერ. ამავე პერიოდში საბითუმო ფასები აშშ გაიზარდა თითქმის 5-ჯერ. აქედან ჩანს, რომ არც წარმოების პროცესში და არც საბაზრო ურთიერთობაში ოქრო უკვე არ განსაზღვრავს ფასწარმოქმნას და არც ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს. ოქროს ფასი, მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად, ბაზარზე ისე მერყეობს, როგორც ყველა სხვა საქონლისა.

ოქრო მაინც „უკვდავი ფენომენია“, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ათასობით წლების წინათ მოპოვებული ოქრო (ცხადია, ზოგჯერ გადამუშავებული სახით), უძველეს ადამიანთა ოქროს ნაკეთობანი დღესაც ძვირფასი საქონელია, განძია, ხმარებაშია, რომელსაც ვერ შეედრება არათუ ქვის, არამედ არც ერთი რკინის ცული, როგორიც გინდ კარგი ნახელავი ის არ იყოს. ამიტომაცაა, რომ ბანკები ინახავენ არა ბენზინსა და ავტომობილს, არა პურსა და ატომის ბომბებს, არამედ ოქროს. საქმე ისაა, რომ დღემდე ოქრო აქტივის ერთადერთი რეალური სალიკვიდო რეზერვია და ამას კაპიტალისტურ ქვეყნებში კერძო თეზავრაციის სტატისტიკაც ადასტურებს.

ამგვარად, ოქრო, როგორც განსაკუთრებული საქონელი, ინარჩუნებს განძის ფუნქციას. იგი რჩება როგორც საყოველთაო სახმარი ღირებულება. ოქროთი შეიძლება ყოველგვარი უცხოური ვალუტის და ნებისმიერი საქონლის შეძენა; კრედიტის მიღება, ყოველგვარი გადასახდელის დაფარვა. იგი სიმდიდრის აბსოლუტური საზოგადოებრივი მატერიალიზაციის ფენომენია. ოქრო ყველაზე ხელსაყრელი (სასურველი) საქონელია. ბურჟუაზიულ სამყაროში ვაჭრობის ყველა გზა, კომერციული თაოსნობის ყველა გარიგება საბოლოოდ ოქროში აისახება.

ანტიკურ და ფეოდალურ ფორმაციათა ნატურალური მეურნეობის ვითარებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმები და მორალი ქადაგებდა „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას

უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს"... ბაზარი, ვაჭრობა, ისევე როგორც მევახშეობა (ფულით ვაჭრობა), წარმოებრივ ურთიერთობათა ის ფერმენტია, რომელიც არღვევს ამ საუკუნეობრივად განმტკიცებული უძრაობის ჩვეულებას და სავსებით საწინააღმდეგო სიტუაციას ქმნის, რადგან საზოგადოდ მოვაჭრენი „იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ; გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ; უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ"...—ბაზარი მოძრაობის, ცვლილებებისა და მობილურობისაკენ ეწევა ცხოვრებას...

ბაზრის, ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო ნ ა ა ლ ა ფ ე ვ თ ა გადანაწილება. დამპყრობლები, ჩვეულებრივ, ძარცვავენ ქალაქებს, საერთოდ მთელ დამარცხებულ ქვეყანას, საიდანაც აუარებელი სიმდიდრე, მთელი მოძრავი ქონების უდიდესი და საუკეთესო ნაწილი გააქვთ, რაც, გარკვეული ზომით, ადრე თუ გვიან. ბაზარზე გადის. დაპყრობათა შედეგად ხშირად წარმოიქმნებოდა დიდი ცენტრალისტური მონარქიები და მათი კავშირები შორეულ ქვეყნებთან, რაც იმავდროულად კომერციული კავშირების გაფართოებას და, მაშასადამე, საქონელთა (ამასთანავე საჩუქართა, ძღვენთა) მიმოქცევის არეალის გაგანიერებასაც მოასწავებდა და, ამგვარად, ზრდიდა უცხოური საქონლის მოთხოვნა-მოხმარებას.

სომეხი ისტორიკოსი მ. კალანკატუელი (VII ს.) წერს: „ხაზარებმა ალყა შემოარტყეს ნებიერ, მოვაჭრე, სახელოვან დიდ ქალაქ თბილისს... ქალაქის აღების შემდეგ, ჯერ მოსახლეობა ამოხოცეს, ხოლო შემდეგ მიუბრუნდნენ საგანძურებს. დიდი რიცხვი მძიმედ დატვირთული მეომრებისა მოდიოდა თავის უფროსთან და მოქონდა ნაალაფევის ზვინები და გროვები. იმდენი მოახვავეს, რომ ადამიანს თვალი უშრებოდა ოქროსა და ვერცხლის ქანქარების ცქერით. ენა ვერ იტყვის თვალმარგალიტით მოოჭვილ საეკლესიო, სამკაულ-მოსაკაზმავთა სიმრავლეს, რაც წაიღეს".

1258 წ. ბაღდადი დაეცა... და გამარჯვებულნი „აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, ლარითა და შესამოსელითა პატიოსნით, სამსახურებელითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვერცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა თვინიერ ოქროსა და ვერცხლისა... და სხუანი ჭურჭელნი ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი, და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკინა უპატიოთ მიმოდაიბნეოდა და ილეწებოდა..."[140]

---

[140] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385—386.

აქვე, მაგალითისათვის, საკმარისია დავასახელოთ თუ რაოდენ აურაცხელი სიმდიდრე გაიტანეს ჯვაროსნებმა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ასევე ევროპელებმა ამერიკის, აზიისა და აფრიკის თავიანთი კოლონიებიდან[114]... ნადირ-შაჰმა ინდოეთიდან[142] და სხვ. და სხვ.

თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები (XVII ს.), ეხება რა „ძალიან აყვავებული და გაშენებული“ ქ. თბილისის 1578 წ. თურქთა მიერ დაპყრობისა და მოსახლეობის ძარცვის ამბებს, აღნიშნავს, რომ „ყველაზე უბრალო ჯარისკაცმაც კი იშოვა იმდენი ოქრო, რაც ერთ ფარს გაავსებდაო“...

თბილისში შემოსულმა აღა-მაჰომედ-ხანმა (1793) უწინარეს გაძარცვა „მეფის საგანძურები, საიდანაც შეინახა რაც მოეწონა, ხოლო დანარჩენი თავის მეომრებს მიანება. მან მისცა მათ უფლება გაეძარცვათ და ცეცხლისათვის მიეცათ ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, დაეხოცათ ან ტყვეების სახით წაეყვანათ“ მოსახლეობისგან ვისაც კი მოისურვებდნენ. ეს იყო მტრის იარაღით სისხლისმღვრელ ბრძოლებში დაპყრობილი თბილისის უკანასკნელი ძარცვა-განადგურება.

ნაალაფევი სიმდიდრე მანამდე დიდ ნაწილში განძის სახით ინახებოდა, ხოლო ამიერიდან იგი, მნიშვნელოვანი ზომით, როგორც საქონელი ბაზარში, მიმოქცევის სფეროში, გადიოდა ხელს უწყობდა სავაჭრო ოპერაციების განვითარებას, ნატურალური მეურნეობის დაშლას და ამ „დროის დაუდგრომელ დინებაში“, — ფეოდალიზმის რღვევის პროცესში, — კაპიტალად იქცეოდა.

არსებითად ასეთივე ხასიათისაა დამპყრობელთაგან პერიოდულად, ანდა ერთდროულად, გაწერილი ხარკის გადახდევინება, ე. ი. მთელი მოგროვილი ძვირფასი ქონების ამოქაჩვა მოსახლეობის მასებისაგან, რაც მეტნაკლებად უძრავი ქონების გაუფასურებასაც იწვევდა. მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ მონგოლებმა საქართველოს მოსახლეობას იმდენად მძიმე ხარკები გააწერეს, რომ იმის ამოქაჩვის პერიოდში „ოქროდ ძვირად იყვის და სოფელი (ადგილ-მამული—პ. გ.) იეფადო“[143]... ახალ დროში ანალოგიური პროცესის რეალიზაცია აბორიგენთა მიწების (მამულების) დამპყრო-

---

[141] პ. გუგუშვილი, სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება, ტ. II, წიგნი I, თავები: სავაჭრო კაპიტალისა და კოლონიური განვითარების შესახებ, გვ. 55—156.

[142] Мухаммад-Казим, Поход Надир-шаха в Индию, 1961.

[143] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ.133—134.

ბთა (სარდლების, გენერლების, გუბერნატორებისა და სხვ.) და კოლონიზატორთა ხელში გადასვლის სახით ხორციელდებოდა.

ბაზარში ყიდვა-გაყიდვის საგანია მრავალგვარი პროდუქტი. მაინც შუასაუკუნეობრივ ურთიერთობაში ბაზრის ფუნქციები შესამჩნევად შეზღუდულია. აქ არ იყიდება მეფე-დედოფალთა, დიდებულთა, თავადაზნაურთა ტიტულები და არც ადგილ-მამული-ციხე-სიმაგრე. საერთოდ უძრავი ქონება ჯერ კიდევ ნაკლებადაა მიმოქცევის საგანი, იგი როგორც საქონელი უმნიშვნელო ზომითაა ჩართული კომერციულ გაცვლაში. შ. რუსთაველი აღწერს ორი რაინდის, ორი მეფის — ავთანდილისა და ფრიდონის ერთმანეთთან შეყრის მომენტს... და შედარებასაც აკეთებს: „...მომკალ, ბაზარს, სხვა მათებრი ივაჭრონ რა ანუ ყიდონ“...

არის ამასთანავე საგვარეულო, მაღალი ხელოვნებით შესრულებული, ფასდაუდებელი რელიქვიები... ავთანდილს ფრიდონისაგან ნესტანდარეჯანის საძებრად მიმავალს „...შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუდებელი ფასისა“.

მაგრამ დაუდგრომელთა დროთა სრბოლაში ირღვევა ფეოდალური იმუნიტეტები, აორთქლებას განიცდის ბრწყინვალე ტიტულატურა. იღუპება, ანდა ვიგინდარების ხელში გადადის — ბაზარში და ბაზრულად სტანდარტულ ფულად შეფასებული ხელთუქმნელი, უნიკალური, ფასდაუდებელი უძვირფასესი ნაკეთობანი.

ყველაფერი შედარებითია. ასეთია ბაზარიც. იგი თითქოს ყველგან სწვდებოდა ადამიანის სულსა და ხორცში, ჭკუასა და გონებაში, მორალსა და ყოფიერებაში. ბაზარზე იყიდებოდა თვით ადამიანი, როგორც პირუტყვი, ნივთი... ძვ. საბერძნეთში ბაზარზე ნაყიდი ტახტრევანის დამტარებელი მონები (იურიდიულად და პოლიტიკურად — ცხენები) მღეროდნენ, რომ მათთვის ტახტრევანი უფრო მსუბუქია, როდესაც შიგ...ზის მათი პატრონი[114]...

ბაზარში იყიდება არა მხოლოდ ისეთი ნივთები, რომელთა საშუალოდ გასხვისება შეიძლება. ასე იყიდება ვაშლი და საინი, სატევარი და ადამიანი. მაგრამ ადამიანი შეიძლება დროებითაც იყიდებოდეს. ერთი საათით, რამდენიმე დღით, როგორც მეძავი, როგორც მსახური, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქე და არა მონა. მაგრამ ყველა სხვა საქონელისაგან განსხვავებით, ფეოდალიზმის ეპოქაში

---

[144] დიახ, მონებიც..., ტახტრევანს შებმული ადამიანებიც.. მღეროდნენ, ლაღობდნენ, იცინოდნენ და ამ გზით გადადიოდნენ „ბედნიერ ცხოვრებაში...“ ადამიანს ყოველგვარ ვითარებაში შეუძლია მოიპოვოს ბედნიერების ნამცეცები და ლხენასა და შვებას მიეცეს... იმიტომ რომ, ის... ადამიანია.

ადამიანს, მაგალითად, გლეხს, თვითონ შეუძლია გაყიდოს თავისი თავი, თავისი ცოლშვილი.

როგორც ითქვა, განვითარებული საქონლური წარმოების პირობებში ბაზარზე იყიდება, საქონლად იქცევა თვით ადამიანის სამუშაო ძალა, განსაკუთრებული საქონელი, რაც იყიდება დროებით, საათობით, თვეობით... მაგრამ კაპიტალისტური ეპოქის დაქირავებული მუშა პირადად თავისუფალი ადამიანია და მას, თეორიულად, შეუძლია „როგორც მოეპრიანება", „როგორც უღირს" ისე და იმდენად დაანებოს თავისი თავი დამქირავებელს, საერთოდ იმას ვისაც ეკუთვნის წარმოების საშუალებები.

* * *

აღებული პერიოდის თბილისის ბაზარში მოსულ ქარავანზე, მექარავნე ვაჭრებსა და მათს მსახურებზე, ცხადია, ბევრად უფრო მრავალგვარი და სხვადასხვანაირი წარმომავლობის იყო ის საქონელი, რაც მათ თან მოჰქონდათ. ძნელად თუ შეიძლება დავასახელოთ იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს რამდენადმე დიდი მნიშვნელობის რეგიონი, რომელიც თბილისის ბაზარზე თავისი ნაკეთობით არ ყოფილიყო წარმოდგენილი. გამბა წერს (1825): „თბილისზე გავლით უკანასკნელ ხანებში მიდის მრავალი ინგლისელი, რომლებიც ჩვეულებრივ ამ გზით ინდოეთიდან მოემგზავრებიან ევროპაში. ისინი ბომბეიდან გამოსულნი 15-20 დღეს აღწევენ ბენდერ-ბუშირამდე, სპარსეთის ყურეში. ამ პორტში არის ინგლისის კონსული და აქ ინგლისელები ეწევიან დიდ ვაჭრობას, ავრცელებენ რა აქედან სპარსეთში ინდოეთისა და თავიანთი ქვეყნის მანუფაქტურების პროდუქტებს. ბენდერ-ბუშირიდან ისინი ექვს კვირაში ადვილად აღწევენ თბილისამდე... ქარავნები ამ გზას ექვს კვირაში გადიან. თბილისიდან ინგლისელები ევროპაში მიდიან ან ზღვით რედუტ-კალედან ოდესაზე, ანდა სახმელეთო გზით — კავკასიონისა (საქართველოს სამხედრო გზის) და რუსეთის პროვინციებით ავსტრიაზე გავლით. ზოგჯერ თბილისში ერთდაიმავე დღეს მიდიან ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინეპოლიდან, ინგლისელები კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები სმირნიდან (იზმირიდან) და ეზდიდან, უზბეკები — ბუხარიდან, ასე რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს მთავარ საკვანძო პუნქტად ევროპასა და აზიას შორის" ვაჭრობაში; ხოლო როდესაც აქ ვაჭრობა თავის

სრულ განვითარებას ჰპოვებს, „მაშინ თბილისის ბაზარზე ერთმანეთს შეხვდებიან სამარყანდის, ტიბეტის და ჩინეთის საზღვრებიდან მოსული ბუხარელები და ლაგორიდან და გუზურთიდან მოსული ინდუსებიო", — ვარაუდობდა საფრანგეთის თბილისელი კონსული.

ამ დროის თბილისის ბაზარზე აზიაც იყო და ევროპაც, ფეოდალიზმიც და კაპიტალიზმიც. აქ ერთმანეთს ხვდებოდა პლანეტის სხვადასხვა ქვეყანა და ხალხი, სოციალურ ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმა, თვით, არქაული ნორმები და ყოველივე, საბოლოოდ. ბურჟუაზიული წარმოების წესის კალაპოტში ჩაედინებოდა...

რუსი მწერალი პლ. ზუბოვი (1833) აცხადებს „...არის რა ამიერკავკასიის რუსეთთან ვაჭრობის ცენტრი, თბილისი იზიდავს აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს, რომელთა ტანისამოსი და გარეგნობა ქმნიან საოცარ მრავალგვარობას. თურქები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები, მთიელები, სომხები, ქართველები, რუსები და სხვანი ნაციონალურ კოსტიუმებში, მუნდირებსა და ფრაკებში; ევროპული ეკიპაჟები, გერმანული ფორშპანები, ქართული ურმები, სასაპალნე კამეჩები, ხარები, აქლემები, ვირები — ყველა ესენი ყოველ წუთს თვალწინ წარმოგვიდგებიან შეუჩერებელ პანორამებად და შეადგენენ ორიგინალურ სურათს".

შავი ზღვის საქართველოს პორტებიდან აქ მოდიოდა მრავალგვარი ევროპული და კოლონიური (ამერიკული, აფრიკული) საქონელი, განსაკუთრებით ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ტექსტილური ნაწარმოებები, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის სამკაულები და საოჯახო მოხმარების ნივთები, შავი ლითონის ნაკეთობანი — იარაღი-ინსტრუმენტები, მანქანები, საჭურველი, ფაიფურის, ქაშანურისა და ლითონის ჭურჭლეულობა, შაქარი, მედიკამენტები, საღებავები. ძვირფასი თვლები და სხვ. და სხვ.

ეს საქონელი ყველაზე მეტი ზომით საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან და მათი კოლონიებიდან, სამხრეთ რუსეთის ქალაქებიდან მოდიოდა. აქ მოჰქონდათ სკანდინავიის, პირინეისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულთა ხალხების ნაკეთობანი; ხოლო სპარსეთიდან და თურქეთიდან მოდიოდა როგორც ამ ქვეყნების, ისე მათი მეშვეობით ინდური, ჩინური, ტიბეტური, იაპონური და მეტნაკლები ზომით აზიის ჩრდილოეთის ხალხთა ნაწარმი საქონელი და, მაშასადამე, კულტურის ელემენტები.

* " *

ბაზარზე მიმდინარეობდა ფასეულობათა გაუფასურების დემონსტრაცია. მოდიდან თუ ხმარებიდან გასული ტანისამოსის, ჯავშან-მუზარადის, ჯამჭურჭლეულობის, დაშლილი (დაცემული) არისტოკრატიული გვარეულობის, დინასტიების, დაბალსინჯიანი მონეტების, სახელმწიფოებრივ ნიშანრეგალიების გაიაფება, ჩამოფასება და, საბოლოოდ, გაუფასურება, რაც ბაზარში ვლინდება, თვით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციის თანამდევი მოვლენებია.

— ეს მოვლენები: ბაზარში გამოტანილი ფეოდალური იმუნიტეტების, ზვიადობის, დიდებულების მაჩვენებელი ნიშნები, მათი დაყრილი აღჭურვილობა და სხვ. აქ ყველას თვალნათლივ უჩვენებს, რომ:

„...წარმავალია ნათელი... სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება"; რომ: „იმასაც მოკლედ უელია, ვინც გრძლად გვეგონა იარა!"... რომ: „ჩვენ რას წავიღებთ ამ ქვეყნით და ან ვის წაუღია რა!..."

მაგრამ ბაზარში გაიცვლება და იყიდება არა მხოლოდ მოდიდან გასული, საერთოდ ფიზიკურად თუ მორალურად გაცვეთილი საგნები. აქ, როგორც დავინახეთ, იყიდება უცხოური და ადგილობრივი, თანამედროვე და უახლესი ნაკეთობანი და მათი მიწოდება-მოთხოვნის რეალიზაციის პროცესში, ე. ი. ძველ და ახალ მატერიალურ და, მაშასადამე, მსოფლმხედველობრივ მოვლენათა „მშვიდობიანი" დაპირისპირების ვითარებაში ყალიბდება ახალი მოთხოვნილებები, რაც კალაპოტს უფართოებს ახალი ნივთიერი და სულიერი ცხოვრების მდინარებას, აძლიერებს აღმავალ წარმოებრივ ურთიერთობათა ეკონომიკურ სტრუქტურას.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გაცვლაში ასახული (რეალიზებული) ეს დაპირისპირება „მშვიდობიანია" საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის ასპექტში, მაგრამ, კერძო ადამიანთა პირადი და ოჯახური ცხოვრების თვალსაზრისით, ის შეიძლება იყოს უაღრესად მღელვარე და ძირეული გარდატეხის მაუწყებელი და თანაც ისეთი სიძლიერისა, რომ იწვევდეს მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ქონებრივ, მორალურ, წოდებრივ და, ადრე თუ გვიან, თვით ფიზიკურ განადგურებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოაქსწავებს განძეულობის განიავებასთან ერთად ოდესღაც ძლიერი, ძირძველი ოჯახებისა და მათი კავშირების აორთქლებას და იმავდროულად ადამიანურ ურთიერთობათა ადრინდელი ფორმების სიღრმისეულ გარდაქმნა-

გადახალისებას. მაგრამ ეს ადამიანურ ურთიერთობათა ის პროცესებია, რაც დიდი ხნის მანძილზე, განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან მოყოლებული და დრომოჭმულ ცნობიერებათა შემუშავებაგავრცელების ტრადიციით, არა იმდენად მეცნიერულ ტრაქტატებში, რამდენადაც ლიტერატურულ ქრონიკებში, „ადამიანურ კომედიებსა" და მემუარებში აისახება.

თავის, 1860-იან წლებში დაწერილ, ერთ თხზულებაში, პლ. იოსელიანი სპეციალურად ეხება საგვარეულო (საოჯახო), საეკლესიო და სახელმწიფო განძთა განაიავების საკითხს... აქამდე შემონახული ძვ. მზითვის წიგნებით გაკვირვებულნი „იკითხავენო, სად ჰპოებდნენ ესოდენთა ოქროსა, ვერცხლსა და თვალ-მარგალიტსა?"... და იგი უპასუხებს: „დროთაგან ძველთა მრავლად აქვნდათ ესენი შენახულად. დროდმდე შემოსვლისა რუსეთისა მთავრობისა, სამკაულნი განაშეენებდნენ ქალთა და დედანი ქალთა და რძალთა უძღვნიდნენ ეხვად"... მაგრამ მტერთა შემოსევებისა და მერმე კიდევ გაცვლის განვითარების პროცესში ეს განძეულობა თანდათან გაქრა. 1844 წ. კავკასიის ნამესტნიკად დანიშნულმა ვორონცოვმა აქ უკვე „ველარა ნახა ქალნი შემკულნი ძველითა წესითა სამკაულითა, რომელიცა ენახა მას 1803 წელსა, ოდეს ჯერეთ, 23 წლისა ახლდა აქა ციციანოვსა... შეწუხებულმა ვორონცოვმა „გამოიკითხა, რად ჰქმნეს ქართველთა ესე?"... და აი, ახლა ვორონცოვის „...ნახევრად-ვაჭრისა და ნახევრად-ბარონის..." მიერ წაქეზებულებმა „...მოიძიეს კვალად... დიდთა ოჯახთა შინა და სომეხთა შორის ესე გვარნი სამკაულნი"... ამგვარად, დაიწყო დარჩენილი განძების გამოვლინება, რომელთაც ახალი ეპოქის ვაჭრები და მეტროპოლიის არისტოკრატია უნდა დაეპატრონოს... და როდესაც აქაურმა ქალებმა „კვალად განაბრწყინეს გულნი, ხელნი, პირი და მკერდი" ძველი ძვირფასი სამკაულებით... ვორონცოვის მხლებელნი „კნიაზი გ. გაგარინი, ღრაფი სოლოღუბი, კნიაზი კოჩუბეი და სხვანი, დამფასებელნი ამათ სამკაულთა ღირსებისა, ეკვირვებოდნენ, მოიძიებდნენ თავისდა და სახლობათა თავისთათვის..." იგივე გრძელდებოდა ბარიატინსკის ნამესტნიკობის დროსაც, როდესაც ცარიზმის ბიუროკრატია „...მოიძიებდნენ სიძველეთა, ექმოდენ კეთილთა... რათა ესრეთ სიყვარულითა, ალერსითა, ღიმილითა და მათთანა დაახლოებითა, დაეკავშირათ ქართველი რუსთანა"[145]...

ამგვარად, მე-19 საუკუნემდე მოღწეული „სისხლითა მოპოვე-

---

[145] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, 1936, გვ. 30—31.

ბული და შენაძენი საგვარეულო, საეკლესიო და სახელმწიფო რელიქვიები, განძეულობა საქონლად იქცეოდა და უომრად, „ალერსითა და ღიმილითა“ გადადიოდა ახალი პატრონის ხელში; — ცარიზმის კოლონიურ ეკონომიკურ პოლიტიკასთან შეხმატკბილებული სავაჭრო კაპიტალი ღრღნიდა და შლიდა აქ ძირძველ ფეოდალურ ურთიერთობათა შენობის საძირკვლებს[1].

* * *

ფასეულობათა გადაფასების, ფასეულობათა გაუფასურების მოვლენები, რაც უპირატესად თავს იჩენს ბაზარში, თავისთავად დიდმნიშვნელოვანი ფენომენია, რომელიც, ერთი მხრით, მიანიშნებს ძველი ცხოვრების მატერიალური ფასეულობის დაშლის ინტენსივობის სიღრმისეულ პროცესებს და სწორედ ამით, მეორე მხრივ, გზახსნილს აძლევს გარდამავალი წყობილების ფორმებისა და ნორმების კ რ ი ტ ი კ ა ს და, მაშასადამე, იდეოლოგიურ ასპექტშიაც, — მისი დაშლისა და აფეთქების ფერმენტების გაღვივებისა და გაძლიერების სახით, — ნიადაგს ამზადებს ახალი ცხოვრების გათენება-აღორძინება-განმტკიცებისაკენ მისწრაფებულ ძალთა კონსოლიდაციისათვის.

* * *

ვაჭრობის განვითარების ისტორიის ამ მონაკვეთის 1883 წლით დამთავრება შეპირობებულია რიგი მომენტით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თვით ვაჭრობის, ასევე საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების სფეროში.

ამათ შორის საკმარისია დავასახელოთ:

1. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის (ფოთი—თბილისი, ბათუმი—თბილისი—ბაქო) მშენებლობის დამთავრება. ტრანსპორტის სფეროში ზემოთ აღნიშნულმა წარმატებებმა და მათთან ერთად რკინიგზის გაყვანამ გადატრიალება გამოიწვია ამიერკავკასიის შინაგან ვაჭრობაში. ამ მხრივ, აქ, პირველ რიგში,

---

1 იმდროინდელი პრესაში ხშირად თავსდებოდა განცხადება, რომ, მაგალითად, „ისყიდება ერთი ფუთი და ოცდაათი გირვანქა ვერცხლის სუფრის იარაღობა („პრიბორები“); ბრილიანტისა და ოქროს ნივთები — პრიკაზში დაგირავებული“ (დროება“, 1883, № 3, გვ. 4).

აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ფოთი — თბილისის რკინიგზის არსებობის პირველსავე წლებში ამიერკავკასიაში შემოტანილმა და რეალიზებულმა რუსეთის შიგა გუბერნიების საქონელმა უკვე გადაფარა უცხოური, კერძოდ დას. ევროპული საქონლის საერთო ღირებულება და, ამგვარად, რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ეკონომიკურმა დაპყრობამ უკვე რეალური ხასიათი მიიღო.

2. ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის აღკვეთა და მასთან ერთად რუსეთის ვაჭრობის და საერთოდ კოლონიურ ეკონომიკურ პოლიტიკაში გატარებული დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები;

3. თვით ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ მმართველობაში გატარებული რეორგანიზაცია (კავკასიის სანამესტნიკოსა და კავკასიის კომიტეტის გაუქმება) და სხვ;

4. ამასთანავე აღსანიშნავია საისტორიო წყაროების კონცენტრაციაში მომხდარი ცვლილება, რაც პეტერბურგში არსებულ კავკასიის მმართველობის უმაღლესი ინსტანციის, კავკასიის კომიტეტის გაუქმებამ (1882) გამოიწვია. წარმოქმნილიდან ნახევარი საუკუნის მანძილზე კავკასიის კომიტეტის საარქივო ფონდის სახით ჩვენს დრომდე დაცულია უმდიდრესი მასალა ამიერკავკასიისა და საერთოდ კავკასიის როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ადმინისტრაციული მმართველობის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური გახლითარების საკითხებზე. ჩვენი მიზანი იყო შესწავლის საგნად აღებული საკითხების გაშუქებისათვის შეძლებისამებრ გვესარგებლა და მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ხსენებული არქივის ფონდებში 1931—1940 და 1947—1959 წწ. მუშაობის შედეგად გამოვლინებული მდიდარი და აუთენტური წყაროები, რომელთა უდიდესი ნაწილი აქამდე გამოუქვეყნებელი და მეცნიერული თვალსაზრისით აუთვისებელი იყო.

(მეექვსე ტომის დასასრული)

საძიებლები[1]

1. საკუთარ სახელთა საძიებელი

აბაზაშვილი გ.—196
აბაშიძეები — 356
აბესალომოვი ს. — 161, 309, 327, 328
აბესალომოვი ლ.. ო., ტ. — 327
აბულაძეები—357
აბულ-შეჯიდი—101
აბუ საიდი—364
აბზახი დ.—199, 309
აბზახოვი—54
ადამოვი ა.—348, 349
ავალიანი ი.—351, 357
ავთანდილი—287, 406, 432
აზატიანი ჰ.—472
აიეაზაშვილი—328
აივაზოვი ა.—161, 348
ალადაშვილი ი.—328
ალექსანდრე ბატონიშვილი—312, 313
ალექსანდრე I—112, 320
ალექსანდრე II—326
ალექსანიანცი ს.—349
ალექსიძე ზ.—72
ალედოვი ი.—348,349
ალიბეგოვი ა.—348
ალიბეგოვი ი.—348
ალ-ისტახარი—396, 397
ალი-აღა—44, 49
ალიბეი—216
ალ-ჰამაზანი—363
ამბარიანი ა.—472
ამინაშვილი—327
ამინოვი ა.—17, 336
ამინოვი ი.—328
ანანოვი ი.—196, 284
ანდრონიკაშვილი ი.—284
ანრეპი ი.—58, 65, 254, 255
არაქელოვი—40
არამიანცი მ.—348
არდასენოვი ა.—258
არტამონოვი ლ.—68
არღუთაშვილი გ.—195
არღუთაშვილი ყ.—228, 329
არშაკუნი ვ.—416
არშრუნი—380, 383
ასათიანი ს.—112
აფაქიძე ა.—365. 368
აღამალაშვილი ს.—312, 314
აღა-მაჰმედ-ხანი—431
აღმაშენებელი დაეით—428
ახვერდოვი ა.—296, 328
ახვერდოვი გ.—349
ახნაზაროვი—327
აჯი-აბულ-ზოგრაშ-ზადე—348

ბაბანოვსკი—159
ბაბანოვი ა.—349
ბაგრატიონ-მუხრანსკი—74, 348
ბადალოვი ჰ.—348
ბაისაღოლოვი—327
ბაინდუროვი ი.—348
ბალანჩივაძე ი.—471
ბარიატინსკი ა.—37, 74, 77, 78, 244, 414, 436
ბარანოვი—103, 104
ბარანოვიჩი—274
ბარათაანნი—336
ბარუტჩევი გ.—349

[1] საძიებლები შეადგინა ნინო გუგუშვილმა.

ბასარელაშვილი ნ.—196
ბასტამოვი—327
ბატონიშვილი დ.—325
ბაქრაძე—356
ბახტაძე ვ.—471
ბებუთოვი—37, 47, 278, 279, 280. 315
ბებუთაშვილები—314
ბეგთაბეგიშვილი ი.—195
ბეგთაბეგოვი ნ.—348
ბეგლაროვი მ.—416
ბეზაკი—342
ბეზირგანაშვილი—327
ბეზირგანი კ.—329
ბენდიანიშვილი ა.—471
ბერძენიშვილი ნ.—365, 471
ბექა—375
ბიკონსფილდი—140—142
ბიტეპაკი თ.—89
ბლუდოვი—57, 94, 104, 308, 380
ბლუტი—401
ბობილევი ფ.—274
ბოზო პ.—162, 205
ბროსე მ.—344
ბუდბერგი ა.—252—254
ბუზლულაშვილი—327
ბუნგე ა.—348
ბუტალოვი ო.—395

გაბაშვილი ვ.—365, 420
გაგემეისტერი ი.—15. 17—23, 97, 98, 207
გაგარინი—386, 436
განჯუნცოვი მ.—348
გამბა ე.—406, 410, 433
გამბაროვი—327
გამსახურდია კ.—471
განი პ.—200, 237, 238, 291, 311, 341, 342
გარდაფხაძე გ.—112
გარსიაშვილი—327
გაწერილია ა.—414
გელდერი ე.—349
გეორქოვი ქ.—349
გიგესი—425
გიორგი ბატონიშვილი—45
გიორგი მეფე—43, 44, 294
გიორგი მხატვარი—234
გირშინგი ა.—311
გოგიჩაიშვილი ფ.—468, 471
გოგოლაძე დ.—471
გორდელევსკი ვ.—364
გოეთე—370
გოკიელები—360. 361
გოლოვინი—29, 162, 200, 204—206. 242, 254. 255, 342, 414
გოლიცინი დ.—82
გორჩაკოვი მ.—137
გრიბოედოვი ა.—94, 95, 97, 196
ერძელიშვილი ი. — 396
გუგუშვილი გ.—112
გუდოვიჩი—32, 41, 44, 51
გულასპოვი მ.—322
გურგენბეგიშვილი—327
გურგინბეგოვი გ.—195
გურგინბეგოვი ი. — 348, 349
გურგინბეგოვი ა.—348
გურგინბეგიშვილები—377

დადიანი მარიამ—46
დადიანი—113, 116, 219
დადიანი ნიკ.—112, 116
დადიანი გ.—112, 116, 117
დადიანი ლ.—164. 166
დავით აღმაშენებელი—429
დავით მეფე—45
დავითი (მიტროპოლიტი)—217
დალაქბეროვი—327
დანიბეგიშვილი რ.—377
დაშკოვი დ.—304
დემეტრე მეფე—428
დემოკრიტე—374
დიდიატინი—291
დიუგამელი—163, 165
დიუკრუასი (-დასპიკ)—19, 20, 105, 215, 343, 344
დიუმა ა. — 113, 410. 418
დოდჩარი ი. — 348, 349
დონდუკოვ-კორსაკოვი—151
დრუჟინინი ნ.—472
დუბენსკი—328
დუმბაძე მ.—72
დუნდუა გ.—368

ევანგულაშვილი ა.—196, 197
ევანგულაშვილი—327
ევეკაი ო.—332
ეკლია ჩელები—431
ევლახოვი ი.—406
ეზოვი ს.—213, 214
ეკატერინე II—82
ელიოზიშვილი—45
ელისაბედ პეტრეს ასული—366
ემინოვი ი.—349
ენგელსი ფ.—136, 158, 382, 396, 428
ენდრონიკაშვილი გ.—357
ერეკლე II—235
ერვე ი.—349
ერისთავი ა.—46
ერისთავი პ.—46, 47
ერისთავი ზ. — 388
ერისთავი რაფ.—30
ერისთავები—336
ერმოლოვი პ.—46, 94, 197, 321, 323, 324, 330
ეფენდიევი—328. 329
ექსელბირტი ა.—349
ეჯიბაშვილი—327
ეჯუბოვი ე.—345, 348

ვაგნერი ა.—352
ვანეცოვი ა. — 349
ვართანოვი ვ. — 349
ვართანოვები—332
ვარონი—362
ვახტანგ V—234
ვახტანგ VI—289, 292, 293, 300, 320, 321, 323
ვახანიანცი ვ.—349
ველიამინოვი—247, 300—302
ვორონცოვი მ.—90 —94, 99, 101, 102, 105, 107—109, 111, 155, 158, 160, 166, 167, 205. 206, 241, 249, 273, 275, 278-281, 283, 316, 325, 343, 367, 386, 415, 436
ვოსკ-ბოიანიკოვი—229
ვრონჩენკო—100—104, 106, 254, 281

ზავილევსკი პ.—34, 41, 48, 97
ზაკრევსკი—67, 399
ზამიატინი პ. — 348
ზალცმანი ფ. — 328
ზარაფიშვილი ა.—197
ზარგაროვი დ. — 304
ზაქარბეგოვი აღა — 195, 196, 323, 327
ზიმარხი—363
ზელინსკი ს.—334
ზოლოგინი მ.—274
ზუბილაშვილი ა. —·354
ზუბალაშვილი გ. — 328, 353
ზუბალაშვილი ი. — 328, 354, 359, 416
ზუბალაშვილი დ. — 353
ზუბალაშვილი მ.—353
ზუბალაშვილი ნ.—350
ზუბალაშვილი პლ. — 434
ზუბალაშვილები—377, 384
ზუბალოვი—280

თავლიდაროვი—327
თაიროვი ა.—328
თამარ მეფე—228
თამარაშვილი მ.—356
თამამშეევი ა., ი., გ.—327, 328, 332, 333, 338, 345, 356, 408, 409
თანდილაშვილი გ.—195
თეიმურაზ მეფე—45, 398
თეოფილაქტე (მიტროპოლიტი)—300
თორელი გამრეკელი კახა—375
თუთურიძე ვ. — 365

იარალოვი—349
იასამანოვი ლ.—195
იაშვილი ნ.—471
იბნ-ჰაუკალი—397
იზდანოვი—327
იზმიროვი—327
ინაძე მ.—362
ეოგელი—242
ეოსელიანი პლ.—62. 436
ეოსელიანი ე.—225
ეარლიშვილი ი.—196
ეუსტინე II—363
ეშხანოვი მ.—328
ეუზბაშევი ს., მ., ი., გ.—327

კაზაროვი ა., ს.—328, 349
კაისოვი—349

კადინაშვილი—327
კაკაბაძე ა.—471
კალატოზიშვილი დ.—196
კალანკატუელი მ.—430
კამაზოვი—327
კანანოვი—247
კანკრინი—15, 49, 50, 95, 100, 160, 161, 207, 248, 263. 379
კანჯელოვი—161
კანჯუნცევი მ.—349
კაპგერი—210
კარასაშვილი ი.—328
კასტელა—332
კასტორიუსი—396
კასუმოვი გ.—348
კასიმხანი—411
კევორკოვი ს.—348
კეზელი—328
კესარევი—254
კეპაღმაძე—362
კიკნაძე რ.—405
კილიტჩეევ ქ.—348
კისელიოვი პ.—57, 94, 104, 105, 159
კლარენდონი—137
კლაპროთი ჰ.—422
კნორინგი კ.—293
კობიაკოვი დ. — 325
კოვალენსკი პ. — 62, 293
კოკჩაკოვი პ.—348
კოლეჯა ჯ.—472
კოლიუბაკინი მ.—316, 384, 415
კოლუმბი ქ.—425
კონსტანტინე (მეფის ძე)—303
კოტეტიშვილი ვ.—229
კოტოვები—275
კსარხაკი—254
კუკუჯანოვი—327
კუკუჯანაშვილი ა.—196, 328
კუკარინი—44
კერტიეი—344
კუტაისოვი—33, 36, 37, 39, 41, 43, 48, 50, 95, 202
კოჩუბეი—436
კუცია კ.—365

ლავრენტიევი—67. 68
ლაისტი ა.—404, 405
ლეეენგაგენი—344
ლელი—411
ლენინი ვ. ი.—21, 246, 419, 426
ლენცი ი.—268
ლეპეშკინი—275
ლიოგკობიტოვი—11, 14
ლიტვინოვი პ.—116
ლიუდოვიკო IX—375
ლობკოვი—275
ლოგინოვ—ლეპეშკინი ს.—274
ლომოური ნ.—396
ლოპუხინი—320
ლორის-მელიქოვი—161
ლორის-მელიქოვები—314
ლორთლიფანიძე მ.—369
ლუკაში—333

მაკორდატო ა.—82
მაიაშვილი გ.—470
მათეოსი—375
მაინოვი—313
მაკაროვი პ.—349
მალაკოვი—327
მალცევი ი.—274
მალიანსკი—413
მამუკაშვილი ი.—359
მამედ-აღა ფ.—348, 349
მამედ-ალი-ბეკ ი.—349
მანდენაშვილი ი. —196
მანგოშვილი—327
მანთაშევები—314, 337
მანდენოვები—314, 327, 328
მანანოვი დ., ი., ა.—304, 327, 328, 345
მანიახი—363
მასლოვი პ.—472
მარგიანი გ.—471, 472
მარქსი კ.—135, 168, 298, 299, 382, 396, 420, 424, 425, 428, 468
მარი—205
მარქაროვი ო. — 348
მარკოვი ა.—333—336, 339
მარინი—249
მარიამი (დედოფალი)—217
მარიამი (მეუღლე ალექს. ბატონიშვილისა)—312, 313

მარიამი (ტყვე)—216
მარკო პოლო—375, 376
მატინოვი—327
მატაფოვი—348
მაჩაბელი ივ.—149, 152, 470
მაჰმედ-მაჰმედი—48
მაჰომეტოვი რ.—257
მეიენდორფი—93, 241, 279 280, 282,
მელქუმოვი გ.—215, 328
მელიქაზარიანცი ა., ა.—348, 349
მელიქ-ზურაბაშვილი—327
მელიქ-სააკაშვილი—327
მელიქ-მუნტიევი—327
მენანდრე—363
მესხია შ.—396
მესხი ს.—335—337
მესანთლიშვილი—327
მეუნარგია ი.—138, 336
მეღინოვი გ.—232, 349
მეჩნიკოვი ვ.—32, 33, 36, 37, 39, 41, 43, 48, 50, 95, 202
მიკირტიჩ-აღა—294
მილუტინი პ.—284
მირზაშვილი—327
მირზოიანი მ.—347
მირ-ვეისი—133
მირიმანოვი დ.—349
მირიმანოვი—327, 349, 350, 408, 416
მირიმანაშვილი ი. — 328
მირზოევები—349, 360, 416
მირო-მირიმანოვი—328
მოლჩანოვი ე.—248
მორესანი—260
მოსესოვი ს.—349
მოშკინი ა.—123
მოჰამედ-შაპი—98
მონტოევი—327
მურავიოვი ნ.—37, 241, 325, 415
მუსხელიშვილი ლ.—122
მუშრიბოვი—327
მუხრან-ბატონი ე.—49
მუხრან-ბატონი კ.—49
მუხრან-ბატონი ნ.—49
მუხრან-ბატონი—328
მუჰამედი—363
მღებროვი პ.—357

ნადირ-შაპი—431
ნაზარბეგიშვილი—327, 328
ნარიმანოვი ზ.—328
ნეიდგარდტი გ.—17, 18, 88, 90, 207, 252, 253
ნერსესი—416
ნესელროდე—95,99
ნესტანდარეჯანი—432
ნიკოლაი ა.—120, 123, 124
ნიკოლოზ I—168
ნიკოლოზა—375
ნიკოლაძე ნ.—133—135, 141—143, 357, 360, 469
ნიკოლაძეები—356, 357, 359
ნიკოლეიშვილი მ.—391
ნოვოსელსკი—243

ოგოლინი—242
ოლეარიუსი—366
ორბელიანები—45, 47. 329, 386. 423
ორბელიანი ა.—45, 338
ორბელიანი დ.—45
ორბელიანი ვ.—45
ორბელიანი ლ.—45
ორბელიანი ზ.—45, 330
ორბელიანი ი.—196, 329, 377
ორბელიანი გრ.—54, 87, 138, 241, 329, 336, 377, 414, 423
ორლოვსკი კ.—392, 403
ოსტროვიტიანოვი კ.—472
ოქოევი—196
ოქრუაშვილი—327

პალმერსტონი—101, 137
პარკუზატოვი—327
პასკევიჩი—43, 46, 48, 50, 52, 95, 312
პატრიარქოვი ა.—196
პაულუჩი ფ.—296
პეროვსკი—90
პეტრე დიდი—101, 241
პეტროვი პ.—328
პიოლა—374
პიტოევი ი.—327, 328, 349
პლინიუსი—362
პლანო კარპინი—375
პოდკოლზინი პ.—472

პოზენი—169, 212
პოკროვსკი ს. — 110, 256, 257
პოლიაკი—349
პომპეუსი—362
პონდოეევი ს.—349
პოლოსოვები—336
პროხოროვი—103, 104, 274, 281
პუგიეევი—327

ეომინი—260
ეორდანია თ.— 45, 428, 431

რაევსკი—204, 249—251, 253
რეადი ნ.—66, 67, 111, 114, 215, 316, 399
რევაზიშვილი ს.—328
რეიმესი ვ.—370
რენი ჯონ—117
რიაბუშკინი პ.—367
რიბნიკოვი—96
რიკგოფი—116
რიშარი ა.—349
როგავა გ.—72
როგოჟინი პ.—275, 281
როდოკონაკი—243
როდოფინიკინი კ.—150, 163—165
როზენი გ.—11, 12, 14—16, 52, 60, 96, 160, 163—166, 248, 260, 264, 268, 306, 308, 380
რომანოვი მ.—119, 121, 127, 313. 340, 384
როსტომიანი მ.—349
როტი-მონტონი—29
როტინოვი ი. — 327, 349
რტიშჩევი ნ.—295, 297, 298, 300, 304, 306, 413
რუბრუკი გილიომ—375
რუსთაველი შ.—287, 288, 425, 432
რუსეიშვილი ვ.—169

საკაძე—235
საადი—374
საიფოვი—47
სალია კ.—472
სანველაძე ო. ს.—327
სარაჯიშვილი დ.—304, 306
სარაჯიშვილი ს. — 328, 329, 345, 352
სარაჯიშვილი მ.—309
სარაჯიშვილები—327, 351, .377, 416
სარქისოვი გ.—345
სარქისოვი გ.—345
საფანოვი—105, 107
სელეზნევი მ.—211
სვეჩნიკოვი ა. — 345
სვიატოპოლკ-მირსკი—385
სიმონოვიჩი—297, 299
სიმუნსკი კ.—349
სიპიაგინი—36, 236, 260, 413
სიპინავა ვ. — 152
სიხარულიძე ე.—362, 397
სოლომონ I—46
სოლომონ II—303
სოლომონ მეფე (იმერეთისა)—45, 112, 356
სოლოლუბი—436
სოლალიანნი—336
სონღულაშვილი ჯ. — 234 ,235
სოფიო—330
სოფოკლე—425
სოლორაშვილი—384
სტავრო ვალინო—249
სტაკკი გ.—349
სტეფანოვი—115
სტეპანოვიჩი—214
სტრაბონი—362

ტაიროვი ა.—349
ტაიროვი ი.—349
ტაკოევი—327
ტალი ა.—89
ტარასოვი—195
ტატევოსოვი დ.—196
ტენგობორსკი ლ.—99
ტელიაფური ი. — 349
ტერ-აკოპოვი—349
ტერ-ასატუროვი—327
ტერ-გუკასოვი—328, 349
ტერ-გრიგუროვი—314
ტერ-დავიდოვი ა.—328
ტერ-ისაკოვი—327
ტერ-კაზაროვი—327
ტერ-მიქელოვი ბ.—349

ტერ-ოგანოვი—349
ტერ-ოგანესოვი ს.—349
ტერ-სარქისოვი ა.—328
ტიტოვი—327
ტიხოცკი ე.—115, 129, 145, 148, 149
ტორმასოვი ა.—36, 42, 46, 295
ტორნაუ—285
ტრიბოლონი—269
ტუეშელაშვილი ო.—396

უკრაინცევი ე.—82
ელიანცოვი ტ.—197
უმიკაანთ ოსეფა—235
ურბანოვა ზ.—472
ურბნელი ნ.—470, 371
უსაჩევი ვ. — 274
უსეინი—406
უსტა-მეხტი-ჰუსეინ-ოღლი—328

ფადეევი ა.—257, 259
ფატმანი—406
ფიოლდი ტ.—472
ფლავიუსი ა.—362
ფონ დერ-ფლიტი ი.—89
ფორაქიშვილი ა.—327, 328
ფორაქოვი ი.—349
ფრიდონი—287, 432
ფრიდონოვები—156, 314, 349
ფრიდონიშვილი—327
ფურცელაძე დ.—325

ქაპანაკოვი—327
ქართველოვი გ.—348
ქეთხუდაშვილი მ., ს.—327, 328, 345
ქეპინოვი—327
ქიშმიშევი ი.—327, 328
ქორიძე დ.—471

ყაუხჩიშვილი თ.—374, 426
ყაფლანიანი—45
ყიფიანი დ. ნ.—315
ყორღანაშვილი კ. გ. — 196, 328
ყორღანოვი ა.—349

შაბულათოვი—44
შაბულალოვი—327
შადინოვი ა., გ.—328, 329
შადინოვი ი.—40, 195, 327
შადინოვი—159, 377, 408
შავერდოვი ამ. — 304
შავერდოვი არტ.—304
შაეროვი ნ.—127, 185, 186
შალიკაშვილი—356
შამილი—97
შანშიაშვილი—44
შარდენი—113
შატილიტი—89
შახნაზაროვი ნ.—349
შერვაშიძე მ., დ.—73
შერგილოვი—327
შერემეტიევი—57, 94, 104
შექსპირი—425
შიოევი გრ.—349, 408
შიოშვილი—327
შიხ-მაჰმადა—235
შმიდტი—328
შოპენი ი.—13, 208
შულცე-დედიჩი—152
შჩეკუტინი—48

ჩაკვეტაძე ელ.—383
ჩალოიან-ბაბანოსოვი—327
ჩანტლაძე ვ.—346, 470, 471
ჩელები ევლია—168
ჩერნიშევი ა.—14, 15, 28, 94, 104—106, 108, 111, 160, 166, 204, 212, 249
ჩერნიაკოვი—129
ჩერევინი—245
ჩეტვერიკოვი ნ.—274, 277, 278, 281
ჩეხოვსკი—416
ჩითახოვები—315, 327, 328, 349
ჩინგისყაენი—375
ჩუბინაშვილი ნ.—307
ჩხეტია შ.—385

ციციანოვი ვ.—43, 51, 94, 112, 116, 198, 235, 303
ციცერონი—374
ცოვიანოვები—349
ცუგადუხოვი—327
ცურინოვი გ.—322, 327

ძიძიგური ი.—349

წერეთელი პ., ზ., ბ., კ.—45—47, 92, 355

ჭილაშვილი ლ.—406
ჭიკინაძე ზ.—351, 353, 354

ხარაზიშვილი ზ.—416
ხასია ბ.—471
ხახუტაშვილი ნ.—365
ხეთაგუროვი—257
ხეროდინოვი—161, 408
ხერხეულიძე—254
ხატისოევები—313, 314
ხიმშიაშვილი—303
ხობა ცურიანეი კ.—349
ხოევნი—197
ხოსროევი ბ.—349
ხოშტარია ე.—472
ხუდადოევები—314, 327

Абдулаев З. — 366
Адонц А. — 17
Али-Заде А. — 366
Алиев Ф.—366
Артамонов А. — 68, 114
Арутюнян Б. — 209

Бабаходжаев А. — 17
Бантыш-Каменский Н. — 367
Бакулин Р. — 121
Барац Л. — 139
Барбот де-Марна — 233
Бартольд В. — 362
Бачурин Н. — 375
Белокуров — 367
Бенземан — 80
Броневский С. — 366
Бухаров Д. — 114

Вебер М. — 290
Вутчевский В. — 82
Вышеславцов А. — 308
Вселого Ф. — 83

Гагемейстер Ю. — 98
Гакстгаузен А. — 223

ხუბილაი ყაენი—375

ჯავახიშვილი ი.—286, 328, 362, 468, 47:
ჯამბურია გ.—45
ჯამეევი ს.—303
ჯანაშია ს.—167, 233, 362
ჯანაშვილი—397
ჯანდალალოვი ზ.—233
ჯანჯუგაზოვი ა. — 349
ჯიმშეროვი ი.—348, 349
ჯორჯაძე დ.—242, 414

ჰამდალაჰ ყაზვინი—365
ჰაინინგერი გ.—472
ჰაქსტაუზენი ა.—116, 223
ჰაჯი შირ-მაჰმედ-ალა—48
ჰეროდოტე—426, 374
ჰულაგუ ყაენი—375

Галоян М. — 140
Герсеванов М. — 132
Гозалишвили М. — 362
Горделевский М. — 366
Гулишамберов С. — 144

Данилович Д. — 114
Даркевич Д. — 375
Дитятин И. — 291
Дранов Б. — 114
Дюкруасн-Даспик — 208, 209
Дубровин Н. — 51, 246, 252, 256

Евецкий О. — 390
Еылахов И. — 354
Еремян С. — 362
Есадзе С. — 140, 143, 200

Заходер Б. — 366
Зивекинг Ф. — 382

Иванейко В. — 200, 386
Иоаннисян А. — 95, 209
Исмаилов М. — 472

Капанадзе Д. — 368
Карпина П. — 375

Кизеветер А. — 291
Киняпин Н. — 140
Колесов И. — 140
Константинов О. — 114, 401
Коковцов М. — 366
Корганов М. — 242
Кулишер И. — 8, 29, 54, 381, 400, 416
Кун — 80
Кухарский П. — 114

Лобыженский К. — 84, 86

Мавродин В. — 367
Максимов М. — 369
Манандян Я. — 362, 366
Маркгроф О. — 256
Маркс К. — 373
Марко Поло — 375, 376
Марков О. — 366
Мегрелидзе Ш. — 138
Медзыховский К. — 139, 420
Мелгунов П. — 290
Меликишвили Г. — 362
Месхия Ш. — 366
Мец А. — 374
Минорский М. — 366
Мулов М. — 291
Муслев М. — 395
Мушрифаддин Саади — 374

Нарочницкий А. — 138
Натадзе Г. — 396
Новичев А. — 138

Озеров — 80

Палашковский С. — 129, 131, 226, 243
Перовский — 90
Пигулевская Н. — 362
Познер М. — 82, 123
Покровский М. — 257
Полиевктов М. — 369

Рожкова М. — 17, 96
Рубрук — 375
Руденко П. — 290
Рыдзюский П. — 291, 420

Семенов А. — 24, 82, 303, 367
Соболев М. — 54, 124
Собщинский А. — 368
Соколов А. — 201
Спасский — 290
Струве П. — 54, 82—84, 381
Сумбат-Заде А. — 17
Субботин А. — 127

Тарле Е. — 186, 226
Тенгоборский А. — 100
Тер-Австисян С. — 366
Тер-Мкртичян А. — 366
Тимирязев В. — 81
Тихоцкий Е. — 115, 129
Томсон — 362

Федоров М. — 110, 284, 366
Фехнер М. — 366, 367

Хвостов М. — 362

Чиляев Е. — 246
Чулков М. — 366
Чхетия Ш. — 244

Шавров Н. — 138, 201
Шапошников Н. — 54, 80
Шарден А. — 366
Шипов А. — 382
Штраух А. — 290

Энгельс Ф. — 373

Юзефович Т. — 366

Ямпольский З. — 362

Beer — 228, 369
Boucher — 139

Ehrenberg 54 416

Fontane-Rosso — 54. 416
Friedensburg — 424

Gamba — 406
Goldriher I. — 373
Graeter H. — 372
Gross H. — 290

Hobson — 54. 228. 362. 371
Heyd W· — 369 372
Herman A. — 228
Hegel W. — 228
Hegel K. — 290

Kiesselbach K. — 369
Kyger — 139

Lang D. — 362
Luschin A. — 369

Marhall — 80
Masson — 355

Omvin G. — 290

Periset E. — 228
Poelmann — 369
Primode F. — 362

Sumner B — 101, 138, 152
Shaw N. — 369

Taussig — 362, 420
Taussend — 400

Wirthwein W.—138, 139

II. გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი

აბხაზეთი—19, 56, 63, 67, 79, 71, 73, 166, 204, 205, 216, 220, 221, 222, 224, 251, 383, 390—392
აბაშა—121
აბასთუმანი—122
აგდამი სოფ.—395
ადრიაპოლი—50
აკლაბარი—39, 398
ავსტრია—111, 112, 140, 151, 433,
ავღანისტანი—128, 132, 133, 410
აზერბაიჯანი—6, 16, 68, 95, 225, 226, 228, 303, 393, 411
აზია—27, 73, 111, 115, 120, 126, 128, 136, 141, 146, 149, 179, 203, 209, 244, 262, 283
აზოვის ზღვა—67, 206, 334, 353, 363, 379, 431, 434
ათენი—374
ათრეკი მდ.—126
აკარა—375
აკულისი—208
ალავერდი ((ტაძარი)—393
ალექსანდროპოლი (გუმბრი)—19, 61, 69, 132, 181, 182, 200, 215, 392, 393
ალეკის მთა—393
ალექსანდრია—163
ალი სოფ.—392
ალეირი—344
ამერიკა—14, 97, 151, 431
ამიერკავკასია—5—20 და სხვ.
ანაპა—15, 31, 64, 70, 80
ანაკლია—79
ანატოლია—63, 64, 157
ანანური—248
ანი—286
არაბეთი—363, 376
არაბეთის ზღვა—368
არალის ზღვა—363
არაქსი მდ. — 26, 74, 111, 124, 129, 131
არაქსის ველი—111
არანი—396
არბო ს.—381, 393
არდებილი—68, 365, 394, 407
არეში ს.—395
არზრუმი—130, 137, 150, 376
ართვინი—80, 151
არხანგელსკი—366
ასკანა—390

ასტრახანი—23—25, 33, 56, 74, 75, 104, 179, 204, 210, 224, 240, 241, 329, 366, 394
ასტარა—69, 80, 182
ასტრაბადი—380, 394
ასურეთი—377
ასხის მთა—112
აფრიკა—363, 431
აფშერონი—80, 169
აღზევანი—229—231, 233
აჭარა—138
ახალციხე—16, 19, 48, 50, 62, 67, 79, 131, 132, 151, 179, 181, 200, 209, 303, 360, 380, 389, 392
ახალბაიაზეთი—233
ახალქალაქი—48, 131, 181, 389, 393
ახალქალა სოფ.—391
ახალი ზელანდია—251
ახ-ოღლანი—181
აჯი-ბაირამი—69

ბათუმი—6, 63, 80, 121, 136, 144, 149, 151, 216, 243, 390, 404, 437
ბაიაზეთი—215, 229, 231
ბაიაზიდი ქ.—210
ბალკანეთი—138, 139, 384, 434
ბალტიის ზღვა—26
ბაშბაკი—47
ბანძა—116
ბარდა ს. — 286, 395
ბარდაკი—396
ბარდუში—140
ბასილეთი—390
ბასხალი სოფ.—392
ბაკო—17, 19, 23, 24, 26, 27 და სხვ.
ბაღდადი—363, 430
ბედენ-ბუშური—433
ბეზობდალის უღელტეხილი—231
ბელაქანი—200
ბელიასუვარი—182
ბერლინი—207
ბესარაბია—240, 250
ბესარაბიის ტბები—252
ბიზანტია—363, 377
ბიჭვინთა—64, 70, 369
ბოლნისი—45
ბომბორი—64, 70
ბორდოს გზა—155
ბორჯომი—241, 381, 392
ბოსფორი—137
ბოლაზი—70
ბრაზილია—425
ბუხარა—128, 375, 410, 433

გაგრა—64, 70
გალაცი—28
განჯა (ელისავეტპოლი)—40, 46, 195, 196, 200, 223, 226, 327, 392, 393, 395
განდარი მდ.—250
გარდუსტა სოფ.—395
გელენჯიკი—64, 70, 30, 250, 251
გეოგჩაის მაჰალი—209
გერმანია—140, 151, 434
გიაზი—126
გილანი—329, 366
გიულისტანი—69, 181, 374
გოკია სოფ.—360
გორი—357, 392
გრანდა—363
გუზურთა—434
გურია—383, 399, 391

დამასკო—363
დარდანელი—137
დარუბანდი—225, 365, 395
დარიალი—244, 248, 363
დასავლეთ ევროპა—7
დასავლეთ საქართველო—67
დაღესტანი—33, 62, 97, 257, 329
დელიჯანის ხეობა—26, 79, 122
დერბენტი—19, 33, 61, 69, 80, 154, 183, 200, 366
დეაბზუ—390
დირსაკალა—39
დიღომი—352
დმანისი—122, 365
დონი—168, 169
დონის ნახევანი—210
დუნაი—112
დუშეთი—49, 196, 245, 302

ეგვიპტე—163, 164, 165, 220, 371, 372, 426
ევროპა—10, 14, 15, 17, 20—23, 26, 27, 55, 73, 74, 81, 83, 97, 100, 119—121 123, 126, 132, 156, 209, 244, 354, 379, 433
ეკატერინოგრადი—70, 76—78, 247
ეკვატორი—13
ელისავეტოპოლი (განჯა)—41, 71, 200, 231, 330, 381, 395
ელისავეტგრადი—156
ენგური—30, 69, 70, 78, 250
ენზელი—132, 394
ენიკალე—89
ერაყი—363
ერევანი—17, 26, 50, 68, 74, 79, 96, 122, 150, 154, 183, 185, 200, 209, 215, 229, 230, 231, 233, 260, 312, 313, 328, 362, 378, 392, 393
ერზერუმი—111, 120
ერზინჯანი ქ.—376
ერთაწმინდა—393
ერკეთი—390

ვანდამი ს. — 395
ვართაშენი—395
ვარშავა—399
ვენა—112
ვენეცია—375, 376
ვენესუელა—425
ვერნეადაკი—215
ვირტენბურგი—151
ვლადიმირის გუბ.—25
ვლადიკავკაზი—51, 52, 54
ვოლგა მდ.—75, 92, 128
ვოლგა—204, 240, 241
ვოლგისპირეთი—241

ზუგდიდი—68, 74, 390, 391

თაგაურის ხეობა—54
თავრიზი—21, 22. 68, 98, 120, 125, 129, 130—132, 155, 215, 368, 376, 393, 407
თბილისი—19, 21, 24—29 და სხვ.
თეთრი ზღვა—26
თეირანი—125, 126, 368
თელავი—19, 48, 200, 223, 238, 302, 318, 381
თერგი—69, 70, 90
თერგის ხეობა—52
თრაკია—377
თრიალეთი—45
თურქეთი—16—18, 21, 26, 27 და სხვ.
თურქეთის ზღვები—355
თურქეთის სანაპიროები—100
თურქმენჩაი—50
თუშეთი—200

იაგორლიცკი სტანიცა—168
იაპონია—228
იარკენდი—375
იგდირი—61. 181
ივანოვო—20, 25
ივერია—377
იზმირი—433
იმერეთი—41, 43, 45, 56, 61, 112, 113, 199, 200, 207, 210, 213, 215, 218, 222, 233, 356, 359, 360, 383, 384, 387, 391, 413
ინგლისი—7, 92, 127, 136—138, 140, 150, 160, 250, 382, 434
ინდოეთი—13, 14, 124, 132, 133, 137, 289, 351, 353, 354, 363, 365, 366. 371, 372, 382 407, 410, 431, 433
ირანი—13, 15—17, 23, 28, 50 და სხვ.
იტალია—140, 226, 227, 355, 434

კავკასია—9, 11, 35 და სხვ.
კავკასიონის მთიულეთი—62, 65, 377
კავკასიონის მთაგრეხილი—82, 255, 363
კაიშაური—245
კაისერი ქალ.—376
კალკუტა—353, 433
კამჩატკა—340
კარიბის ზღვა—425
კასპიის მხარე—74
კასპიის ზღვისპირეთი—80
კასპიის ზღვა—9, 18, 70, 71, 75, 79, 80, 82, 84, 122—125, 128, 131, 149, 170, 180, 186, 199, 200, 204, 241, 245 284, 362, 363, 366—368, 372

კაშგათი—375, 376
კაფა (ფეოდოსია)—116
კაჩკევო—61
კახეთი—223, 224, 238, 267, 397, 404
კეკსჰოლმი—268
კელასური—19, 67, 70, 72, 73, 79
კილიკია—376
კინბერნი—82
კინტრიში—390
კოდორი—391
კოდოვი—363
კოლხეთის დაბლობი—114, 362
კოლხიდა—377
კოლუმბია—425
კონსტანტინოპოლი—18, 22, 23, 28, 82, 94, 98, 160, 220, 221, 261, 303, 361, 363, 375, 376, 407, 433
კრასნოვოდსკის უბე—128
კუკუტაშენი ს. — 395
კულაში—390
კუმბაში—69

ლაგორია—434
ლაზისტანი—138
ლაიპციგი—10, 98, 155, 261, 357, 399
ლაილაში—390, 391
ლანჩხუთი—390
ლარსი—79
ლენინგრადი—18, 70
ლენქორანი—16, 19, 61, 69, 71, 80, 154; 181, 223, 380, 392, 394
ლენტეხი—112
ლენბასანი ს.—395
ლეჩხუმი—390
ლივორნა—28
ლიასი (პორტი)—376
ლიდია—425
ლივანი—82, 138
ლიუბეკი—139
ლოქინა ს.—224
ლონდონი—399, 400, 407

მადრასი—353, 433
მაზანდერანი—125, 329
მაკედონია—377
მარტვილი—218, 390
მარსელი—28, 399, 401
მარანი—390, 391
მარალიანი ს.—395
მაჰალი (რაიონი) — 202
მედინა—372
მეკა—363, 372
მექსიკა—425
მეშხეტი—132, 368
მეჯვრისხევი—393
მიდია—377
მინგეჩაური ს.—241
მოზდოკი—70, 112
მონღოლეთი—375
მოსკოვი—19, 24, 25, 55, 57, 93, 101, 103, 104, 114, 204, 210, 214, 225, 240, 272, 274, 275, 332, 359, 399
მტკვარი—80, 92, 124, 199, 240, 241, 260, 317, 362, 365, 403
მური ს.—391
მეხრანი—49
მცირე აზია—136, 155, 157, 410
მცხეთა—280, 321, 325

ნაგომარი—390
ნახჩევანი—26, 48, 69, 73, 74, 132, 154, 181, 182, 200, 208, 209, 215, 232, 378, 393, 407
ნაჯიხევი—215
ნიზოვსკი—80
ნიკოლაევი—78
ნიკოფსია—365
ნიკარაგუა—425
ნიჟნინოვგოროდი—33, 55, 75, 92, 114, 210, 225, 241
ნიჟე ს.—395
ნოვოროსიისკი—31, 64, 65, 70, 80, 138, 183, 205
ნორვეგია—374
ნოლა—112
ნუხა—19, 208, 226, 227, 393, 395

ოგოლდა ს.—154
ოდესა—27, 55, 56, 83, 92, 100, 138, 139, 155—157, 160, 164, 207, 250, 267,
ოზურგეთი—61, 68, 79, 80, 151, 181, 182, 242, 390

ოკა—92
ოლთასი—80, 233
ონი—45, 390
ორგოფი—69
ორგოვი—182
ორდუბადი—61, 80, 154, 181, 182, 393
ორენბურგი—128
ორთაკალა—39
ორკერეიანი—392
ორმუზი (ნავსადგური)—376
ორპირი—120, 121, 390, 391
ორპირი მდ.—74, 79
ოსეთი—112, 257
ოსმალეთი—62, 390
ოსტ-ინდოეთი—206
ოქროს ურდო—375
ოქსფორდი—139, 217
ოჩეჩირე (ოჩამჩირე)—19, 67, 70, 72, 73, 79, 115, 167

პადარი ს.—395
პალიასტომი—243
პამირი—376
პანამა—425
პარიზი—20. 47. 260, 359, 399, 400, 401, 407, 433
პერუ—425
პეტერბურგი—9, 11, 24, 25 და სხვ.
პიატიგორსკი—210
პირინეია—434
პოკროვსკოე სტ.—168
პოლონეთი—74, 77, 137
პონტო—136

რაკა—45, 90
რედუტ-კალე—23, 24, 26—29, 61, 64, 69, 73, 74, 78, 79, 110, 111, 141, 154, 166, 168, 180, 215, 219, 233, 380, 389, 391
რეშტი (ენზელი)—16, 125, 131, 132, 179 366, 380, 407
რიონი მდ. — 46, 74, 79, 117, 120, 240, 242, 260, 262, 263, 365, 386, 391
რომი—124, 363, 374
როსტოვი—357, 358
რუსი—393
რუმინეთი—351
რუსეთი—5—17, 20—23 და სხვ.

საბერძნეთი—124, 363, 374, 424
საკანდე ს.—356
სალიანი—392, 394
სალამასი—411
სამარყანდი—128, 375, 410
სამარა—128
სამურზაყანო—222
სამტრედია—121, 391
სამუხი—40, 196
სამსუნი—361
საშეგრელო—56, 63, 65, 67, 68, 94-96, 112—114, 116, 117, 120, 158. 163—165, 168, 204, 383, 384, 389, 391, 392
სანჯიყი—138
სარდარაბადი—229
საქართველო—5, 6, 12, 15 და სხვ.
საქსონია—270, 323, 340, 353
საქართველოს სამხედრო გზა—205, 228, 240, 242, 245, 247, 392
საფრანგეთი—140, 355, 363, 372, 375, 434
საჩხერე—389
სენაკი—391
სვანეთი—391
სიეანი ქ.—370
სინოპი—63
სირია—376
სირდარია მდ.—364
სირიაჩქონი—391
სიღნაღი—48, 200, 302, 308, 381, 392
სკანდინავია—434
სმირნის გზა—160
სმირნა—433
სომხეთი—6, 48, 158, 208, 209, 224, 229, 230, 362, 376
სოლთან-ნუხა—395
სოღანლუღი—267
სოღლაშენი—393
სოხუმი—19, 24. 65, 69, 74, 131, 132, 154, 167, 183, 204, 207, 215, 222, 250, 251
სოხუმ-კალე—23, 26, 29, 31, 61, 64, 69, 70, 73, 80, 166, 167, 221

სპარსეთი—19, 21, 26, 27, 29 და სხვ.
სპარსეთის ყურე—372, 376
სტავროპოლი—78, 183, 200, 210
სტრასბურგი—401
სუეცის არხი—141
სურამი—71, 79, 393

ტაგაურის ხეობა—52—54
ტაშკენტი—410
ტრაპიზონი—361, 365
ტრიესტი—399, 407

უკრაინა—351, 353
უნგრეთი—140

ფაზის რიონი—124, 364
ფასანაური—245
ფეოდოსია—82, 157, 158
ფინეთი—137
ფოთი—15, 67, 79, 80, 113, 116, 119, 120, 123, 129—134, 141, 143, 149, 168, 185, 186, 201, 241, 243, 361, 365, 391, 437
ფშავეთი—200

ქართლი—324, 356, 397
ქაირო—363
ქალდა—376
ქედაბექი—242
ქერჩი—23, 24, 82, 253, 254
ქერმანი—365, 368, 376
ქივა—126, 410
ქობულეთი—138, 390
ქოზიაპინი—61, 69, 182
ქუთაისი—46, 67, 68, 71, 74, 79, 80, 122, 196, 200, 207, 213, 215, 238, 242, 357, 358, 361, 382—386, 388, 389

ყაბარდო—53, 258
ყაზბეგი—51, 245
ყაზვინი—132, 368
ყაზახი—44, 48, 231
ყანდაპარი—133
ყარაბაღი—46, 394
ყარადაღი—395
ყარასიყალა—40
ყარაყორუმი—375
ყარსი—80, 136, 140, 286
ყიზლარი—33, 71, 76, 210, 248
ყიზლარ-აღაჩი—80
ყირიმი—82, 116, 204, 233, 375
ყირიმის ტბები—252, 254
ყირიმის სანაპირო—353
ყუბა—16, 69, 223, 225—227
ყუბანი—30, 53, 70, 78, 90, 250, 253, 256
ყულევი (რედუტ-ყალე) — 19, 21, 61, 64, 69, 74, 79, 112, 116, 119, 158, 160, 167, 168, 207, 209, 215, 217, 222, 223, 262, 358, 359, 389, 391, 392
ყულფა—229, 230, 232, 233

შავი ზღვა—9, 15, 19, 20 და სხვ.
შავი ზღვის სანაპირო—116, 117
შავი ზღვის პორტები — 71, 89, 104, 107, 123
შანდუში—376
შაპრუხი—132
შარური—61, 69, 182
შაჩეოუზი—376
შეკვეთილი (წმ. ნიკოლოზის საყარაულო)—15, 19, 69, 166—169, 253, 390
შემახია—19, 183, 195, 208, 226, 366, 392
შეკი—46
შეეცია—151
შიგა აზია—70, 127
შიგა რუსეთი—29, 69
შირვანი—46, 162, 228, 232, 366
შუა აზია—17, 75, 129, 133, 136, 140, 142, 145, 376
შუამთა—381, 393
შუი—20
შუის მაზრა—25
შუშა—71, 226, 393, 395
შუხუთი—390

ჩალის გორა—45, 46
ჩერქეზეთი—70
ჩინეთი—133, 363, 372, 375, 376, 410
ჩოლოქი მდ.—168

ზოლულა—112
ჩორნი რინოკის—71
ჩრდილოეთის პოლიუსი—18
ჩრდილოეთ კავკასია—60
ჩურუქსუ—68
ჩხარი—389

ციეი მდ.—74
ციეი სოფ.—360
ცხენის წყალი—79, 218, 391
ცხინვალი—356, 393

ძაე-ჯიკაუ (ორჯონიკიძე) — 51

წალკა—71
წედისი სოფ.—45
წეევა—390
წესი სოფ.—46
წმინდა ნიკოლოზის პორტი—69, 80, 167

ჭალა—390
ჭალადიდი—113, 391
ჭარ-ბელაქანი—254
ჭოროხი მდ.—63, 67, 68, 80, 140, 167

ხაზარეთი—365
ხაჩმასი ს. — 395
ხევსურეთი—200
ხერსონი—82
ხიდისკარი—46
ხიდისთავი—390
ხმელთა შუა ზღვა—124, 250
ხობი მდ. — 74, 116
ხოი (ხუვი)—411
ხონი—218
ხორასანი—132
ხრამი მდ.—196, 241
ხოტანი—376

ჯაგისმანი—69, 182
ჯავახეთი—360
ჯაფარაბადი—395
ჯებრაილი—61, 69, 80, 182, 393
ჯევადი—61, 71, 154, 181
ჯვარი—391
ჯულფა—26, 61, 69, 74, 121, 129, 132, 185, 215, 365, 366, 368
ჯუმათი—390

ჰავაი—401
ჰამბურგი—139, 366
ჰოლანდია—434
ჰოლშტინია—366

საგნობრივი საძიებელი

აბანოები—235, 313, 395, 400
აბრეშუმი—10, 16, 22, 23, 33, 45, 56, 67, 93, 108, 112, 119, 121, 125, 130, 140, 146, 174, 175, 179, 180, 185, 187, 190, 193, 194, 202, 208, 210, 214, 221, 226—228, 251, 257, 258, 266, 269, 273, 276, 283, 366, 370, 400, 423
აბრეშუმის ქსოვილები—125, 147, 180, 187, 189, 191, 210, 372, 376, 381, 390, 391, 400, 402, 434
აბრეშუმის თესლი—146, 194, 228
აბრეშუმი მოვის—228
აბრეშუმის დიდი საკაპრო გზა—362, 376, 410
აბხაზები—220, 221, 222, 387, 417
აზერბაიჯანელი—417
აისორი—411
აგრონომია—29, 267
ალიზარინის წარმოება—225
ამერიკელები—242
„ამერიკა“ (ნარმა)—384, 385
ამკრძალავი სისტემა—99, 328
ამკრძალავი ტარიფის პოლიტიკა—8—17, 99
ამუნიცია—64, 102, 196
ამქარი—312, 317, 342, 345, 346, 447, 410—412
ანდიელები—248
ანტაგონიზმი—415, 419
არაყი—32, 35, 38, 121, 206, 352, 353
არქეოლოგია—12
არქეოგრაფია—6

არშინი—161, 201, 202, 255
„არძაგანი“ გაზ. — 150
ასიგნაცია—84, 171, 269, 379
ასენიზატორი—386
აქლემი—53, 114, 121. 133, 181, 242, 368, 370, 376, 402
„აქლემის გზა“—122
აქციონერული გაერთიანება (კორპორაცია)—268, 270, 271
აქცია—7, 164, 202, 262, 263, 268—270
აქციზი—42, 214
აღწერა კამერალური—9, 10, 96
აღწერა ფინანსური—9, 10
აღწერა სტატისტიკური—9, 10
აჭარლები—390

ბადრაგი—52
ბაზარი—9, 10, 15—17. 22, 24, 27, 28, 79, 87, 94, 96, 100, 106, 125—127, 144, 145, 148, 149, 151, 152, 185, 186, 197, 245, 250, 257, 285, 291, 315. 333, 351, 366, 368, 370, 371, 382—405
ბაზა სანედლეულო—185
ბაზრის სოციოლოგია—417—437
ბაზაზები—208
ბათუმი—პორტო-ფრანკო—136—145
ბალახი—45, 47
ბამბა—10, 24, 25, 49, 55, 93, 96, 99, 112, .125, 128, 140—143, 174, 175, 180, 187, 188, 190, 193 210, 211, 214, 251, 260, 266, 273, 276, 393
ბამბაქსოვილი—14, 16, 17, 20, 24, 25, 58. 67, 98, 106, 110, 118, 125, 175, 178, 179, 187—189, 191, 200, 211, 212, 221, 236, 238, 247, 269, 281, 284, 360, 384, 385, 390, 391, 434
ბანკი კომერციული—115, 151, 350
ბანკი სახელმწიფო—151, 372, 404, 429.
ბანკირი—296
ბანკროტი (კოტრი)—210, 309, 311, 326
ბაკი—5, 6, 8, 16, 26, 29, 32, 38 და სხვ.
ბაკები რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე—32—38
ბაკის პოლიტიკა—32—81, 252
ბაკის შეღავათები—26— 29,124—129
ბაკი შინაგანი—34, 38, 41, 161, 380
ბაკები საკვებ პროდუქტებზე—38—42
ბაკები კერძო (პარტიკულარული)—38, 43—54
ბაკი საეკლესიო—45
ბაკის ტარიფი—54—59, 199
ბარდანა—24
ბატკანი—39
ბატონყმობა—224, 296, 404
ბატი—317, 387
„ბაშიბუზუკები“—168
ბაშლაკი—211
ბეგარა—30, 55, 92, 218, 219, 234, 237, 269, 290, 294, 300, 322, 341—343, 412
ბეკდვითი სიტყვა—394
ბედუინები—364
ბერძნები—362
ბეწვეული—372, 390
ბზის ხე—117, 118, 167, 168, 205, 243
„ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“ ჟურ. — 10, 11, 27
ბიზანტიელი—376
ბიზანტიის იმპერია—372
ბითუმად ვაჭრობა—278, 287. 343, 359
ბინათხარები—208
ბინათმშენებლობა—234
ბირჟა—337, 402, 409, 421,
ბიუროკრატია—7, 12, 26, 58, 79, 110, 115, 122, 160, 199, 212, 216, 237, 257, 267, 295, 339, 340, 344
„ბიურგერი“—287
ბოსტანი—188, 221, 222, 237, 252
ბოტინატი—427
ბრინჯი—39, 40, 45, 96, 118, 140, 180, 188, 214, 251, 265, 317, 393
ბრინჯაოს ფიგურები—401
ბრილიანტის ნივთები—437
ბროლი—230. 384
ბუკინისტი—403
ბურჟუაზიული კლასები—415
ბუხარი—388, 434

გადასახადი—30, 31, 38, 41, 51, 341, 427
გაკოტრება—210, 309, 311
გალანტერეია—348
გამოსყიდვა—317, 351, 364
გამოსაღები—228, 290, 294, 322, 342, 347
გამყოლები—371
განძი—427, 429, 436, 437
გარესაშოვარი—114
გაცვლითი ვაჭრობა—211, 222, 233, 256, 286, 371, 378, 417, 420, 425, 426
გეზელი—269
გემთმშენებლობა—140, 141
გემი იალქნიანი—189
გემი ორთქლის—189, 239—241
გერმანელი—434
გენუელი—355
გვარჯილა—221, 247
გზები—47, 107, 112—129, 130, 180—183, 205, 207, 222, 227, 239—245, 258, 368, 369—377
გილდია—23, 30, 290, 323, 330, 339, 340—350, 372, 373
გილდიური წყობილება—323, 333, 340—348, 412
გილდიის ვაჭრები—348—353
გირაო—199
გლეხი—42, 45, 168, 238, 292, 295, 300, 303, 320—322, 326, 335, 397, 404, 413, 421, 433
გოგირდი—221, 313
„გორნი ჟურნალი"—229, 231, 270, 271
გრენერები—227
გუდა—410, 411
გულდენი ჰოლანდიური—115
გურული—162, 387, 390

დაგირავება—300, 302, 413
დაგროვება კაპიტალის—148, 233—239
დაზღვევა—350
დალალხანა—198
დამბაჩა—404
დანა—180
დარიჩინი—180
„დისტურლამალი"—234
დაფნის ფოთოლი—217
დაქირავებული შრომა—153
დაქირავებული რაზმი—369
დეკლარაცია—339
დემონეტიზაცია (ოქროსი)—427
დემპინგი—271
დეპო საეკონომიკო—261, 273, 275—278, 281—283
დერეფანი—363, 364, 373
დიდვაჭარი—297, 298, 304, 327, 329, 350, 359, 370
დისკონტი თამასუქის—151
დოლათი—417, 420
„დროება" გაზ.—149, 150, 152, 243, 336, 337, 338
დუკატი—427
დურგალი—312
დუქანი—199, 214, 246, 247, 387, 390, 401, 409

ებრაელი—208, 211 212, 213, 256, 335, 372, 376, 387, 390, 405
ევროპეიზაცია—258
ეკიპაჟი—434
ეკლესია—40, 198, 209, 213, 288
ეკონომიკური პოლიტიკა—5—154, 216, 378—382
ეკონომიკური დაპყრობა—7, 8, 21, 30, 246
ეკონომიკური ექსპლოატაცია—22, 37
ემიგრანტები—356
ენდრო—93, 111, 112, 180, 223—226, 258, 265, 273, 276
ერბო—39, 266
ესპანელი—355
ექსპორტი—21, 56, 85, 86 და სხვ.
ექსპასია ეკონომიკური—246 258,
ექსპანსია ტერიტორიული—257, 258
ექსპანსია პოლიტიკური—303

ვარია—317
ვასალი—370
ვაშლი—432
ვაჭრობის ისტორია—6, 7, 9 და სხვ.

ვაჭრობის პოლიტიკა—5 —31, 54, 80, 88, 216, 252, 341
ვაჭრობა—5, 6, 7, 10, 16, 17, 19 და სხვ.
ვაჭართა წოდების ევოლუცია—285—299
ვაჭრები—16, 25, 31 და სხვ.
ვაჭართა კომპანიები—245, 260—285
ვაჭართა კლასი—29, 95, 184, 271, 275, 277, 280, 281, 286, 291, 305—320, 331, 347, 350, 353
ვაჭართა კლასი ნაციონალურ ფარვატერში—333—340
ვაჭართა წოდება—241, 285—361, 420
ვაჭრობა ავტონომიურ სამთავროებში — 216—233
ვაჭრობა თავისუფალი—46, 61, 65, 82, 94, 99—101, 206
ვაჭრობა შეღავათიანი—19, 57, 169, 380, 384
ვაჭრობა კონტრაბანდული—65, 68, 73, 91, 98, 103.
ვაჭრობა და საბაჟო ტარიფი—54—59
ვაჭრობა უბაჟო—70, 71
ვაჭრობა საქარავნო—184, 369—377, 422
ვაჭრობა კავკასიის მთიელებთან—246—259
ვაჭრობის სამართალი—293
ვაჭართა სახლები—353—362
ვაჭართა პრივილეგიები—320—333
ვენახი — 226, 268
ვერცხლი—84, 125, 196, 272, 364, 379, 386, 425—427, 430, 436, 434, 437
„ვეფხისტყაოსანი"—287, 371
ვირი—121, 368, 370, 376, 383, 404

ზანგები—97
ზანდუკი—118, 384
ზარბაზანი—116, 398
ზარაფი—372
„ზარია ვოსტოკა"—233
ზარქაში—375
ზეთი—10, 118, 251, 260
ზვინკალი—422
ზვარი—39, 268
ზომა-წონის ერთეულები — 201 — 203

თავისუფალი ვაჭრობა და კოლონიური პოლიტიკა—81—105, 209, 244, 253
თავისუფალი ტრანზიტი—5—8
თავისუფალი მესარეწე—253, 254
თავლა—196
თათრები—367, 390, 400, 404, 434
თაშასუქი—328, 372
თამბაქო—22, 57, 93, 118, 121, 125, 187, 188, 191, 194, 211, 217, 392, 400
თაოსნობა ბერეუაზიული—233, 287, 305, 330, 354
თაფლი—57, 111, 118, 211, 219, 375, 383
თაფლის სანთელი—117, 383
თევზი—18, 39—41, 45, 118, 125, 198, 199, 217, 316—319, 330, 390
თემი—417
თესლეულობა—260, 275
თექა—212
თვითნალექი მარილი—229, 232
თვალმარგალიტი—375, 436
თვლები პატიოსანი—372
თიკა—317
თოფის წამალი—206, 221, 247, 354
თოფი—221, 402
თუთის ხე—260, 268
თუნგი—195, 201
თურქები—168, 211, 220—222, 251, 288, 363, 367, 434
თხილი ბერძნული—383
თუჯი—81, 274

იარმარკა—10, 55, 92, 204, 207, 211, 245, 311, 353, 358, 370, 371, 384, 389, 400
იარმარკა ნიჟნი-ნოვგოროდის—75, 157, 225, 261, 262, 270, 271, 275, 278, 281, 311
იარმარკა პოკროვსკის—378, 379, 381, 403
იარმარკა პეტრე-პავლეს სახ.—381

იარაღი სამხედრო—59, 62, 206, 372, 374
იარაღი—ინსტრუმენტები — 403, 417, 434
იარლიყი—24, 27
„ივერია“—230, 470
იმერელი—387, 390, 391
იმპერია რუსეთის—89, 91, 100 და სხვ.
იმპორტი—85, 86, 101, 106, 109, 118, 119, 139, 144, 161, 170, 171, 176—179, 186—188, 192, 194, 262
ინგლისელები—13, 14, 98, 111, 126, 150, 157, 162, 206, 355, 433, 434
ინდიგო—251, 260, 266
ინდიკატორი—368
ინდაური—317, 387
ინდოელი—434
ინფორმაცია—303, 369, 371, 408, 417, 421
ირანელები—23
ირიგაცია—239, 244
„ისტორიჩესკიე ნაუკი“—259
იურისდიქცია—290, 303, 307
იხვი—317
იჯარა—32, 33, 39, 41, 42, 49, 162, 193, 198, 217, 218, 289, 305, 306, 310, 313, 315, 324, 334, 339, 350, 351, 353

კაბა—423
კავკასიის კომიტეტი—101, 102, 104—106, 119, 124, 438
კავკასიის მთიელები—63, 65, 123, 246
„კავკაზი“ გაზ.—66, 216, 227, 240, 282, 394, 401
„კავკაზსკი კალენდარი“—274, 275
კავშირგაბმულობა—124, 195, 199, 239, 244, 245
კაზაკები—67
კათოლიკები—338, 355, 356
კაიუკები—74
კაკალი—118, 205, 211, 243
კაკლის ხე—166, 167, 206, 211, 213, 217
კალა 118
კამეჩი—402, 404
კანაფი—39, 125, 188
კარანტინი—59—62, 62—69, 107, 253
კართოფილი—387
კარაქი—266
კასრები—266
კაპიტალი—25, 88, 162, 210, 217, 233, 263, 264, 273, 285, 305, 309, 331, 333, 334, 339
კაპიტალი სავაჭრო—159, 184, 259, 331, 332, 350
კაპიტალისტები—10, 55, 88, 92, 225, 249, 282, 329, 419
კაპიტალიზმი—79, 100, 143, 153, 186, 382
კაშენილი—260, 266
„კვალი“—120
კვერნა—220, 390
კოდი—201
კოდელები—377
კოკა—201, 398
კოლონიები—1, 2, 3, 8, 9 და სხვ.
კოლონიზაცია—7, 10 და სხვ.
კომერცია—17, 29 და სხვ.
კომერციული ურთიერთობა—55, 180, 205, 239, 243, 255, 273, 280, 283, 390
კომერციული თაოსნობა—8, 17, 108, 125, 126, 139, 143, 161, 195—199, 283, 287—289
კომერციული ცენტრი—123, 209, 369, 395—410
კომერციული მოსახლეობა—75, 242, 406
კომერციის სპეციალისტები—29—32
კომერსანტები—51, 55, 95, 307, 332, 400
კომისიონერები—117, 243, 297
კომერციული სასამართლო—399
კომერციული კონტრაქტები—39, 40, 42, 48, 196, 198, 223
კომუტაცია—237, 238
კომპანია ინგლისური—63, 203
კომპანია აქციონერული—111
კომლი—46
კოჩერმები—65, 184, 221

კონკურენცია—23, 89, 96, 97, 106, 127, 131, 135, 145, 149, 152, 156, 157, 160, 185, 193, 262, 264, 271, 284, 290, 310, 332, 360, 367, 419
კონტრიბუცია—196
კონცესია—284
კონიაკი—352
კონტრაბანდა—19, 20, 55, 56, 58, 59, 66—68, 71—73, 76, 92, 98, 99, 103, 105, 107, 142, 151, 152, 155, 158, 179, 203, 209, 252, 253, 255, 281, 334, 335, 394
კონფისკაცია—65, 72
კორპისიხე—217, 251
კორუპცია—9, 285
კორპორაციული ქონება—9, 287, 289, 329, 330, 342
კრედიტი—115, 151, 153, 199, 207, 239, 311, 335, 337, 338, 362, 399, 429
კრეიტერი—65
კრიალოსანი—387
კურტანი—121

ლაზები—168
ლარი—228, 398
ლეკები—246 404, 417
ლტრა—201
ლობიო—242

მაგისტრი—293
მადანი—57
მათრახი—403
მათხოვრები—413—417
მალი—322
მამული—45, 46, 269, 300, 306
მანგანიუმი—243
მანუფაქტურა—9, 34, 35 66, 90, 92, 97, 104, 126, 153, 157, 161, 188, 201, 209, 211, 264, 271, 272, 273, 348
მანქანები—30, 98, 153, 188, 191, 274
მარილი—38, 39, 51, 118, 157, 168, 180 206, 212, 214, 215, 217, 220, 223, 229—233, 252, 316, 317, 390
მარკიტანტები—247, 324
მარცლეული—214, 223, 256, 284, 383, 391
მასრაპი—322, 346
მატყლი—57, 93, 111, 112, 118, 157, 180, 185, 187—189, 190, 193, 194, 221, 258, 276, 393, 423, 434
მაუდი—125, 212, 348, 390, 391
მახტა—294
მდგმურები—235, 236
მეაბანოე—235
მეალაფე—318
მეაბრეშუმეობა—223, 226, 228, 265
მებამბეობა—223, 265, 384
მებაშმაკე—422
მებაყლე—317, 402
მებატონე—380, 413
მებღვეობა—158, 267, 268, 342
მეგრელი—169, 218, 337, 387, 391
მედიკოსი—269
მედიკამენტები—118, 434
მეეჯხეობა—233, 292, 356, 430
მეევნახეობა—223, 225, 265
მეთევზე—317
მეთამბაქოება—265
მეთოლუხჩე—346, 410—416
მეთოფე—422
მეიჯარე—40, 42, 45, 48, 49, 195, 196, 198, 199, 213, 219, 249, 288
მეკობრეები—121, 157, 307, 369, 370
მეკურტნე—403
მემამულე—42, 48, 213
მემცენარეობა—9, 255
მენახშირე—411, 412
მეპერე—319
მერქანი—56, 162, 217
მესარეწეობა—11, 38, 54, 68, 248, 255, 258, 323, 324, 340, 346
მეტროპოლია—5, 7, 9, 15, 39, 50, 57, 87, 308, 430
მეტალი—118, 146, 147, 172—174, 180, 188, 348
მეტეხის ციხე—403
მეურმე—377
მეუნაგირე—211
მეურნეობა ნატურალური—429
მეფუტკრეობა—219
მექუდე—312
მექარაგნე—406, 433

მექათმე—317
მექანიკოსი—267
მეღვინეობა—265, 268
მეშჩანები—31, 251, 290, 295, 296
მეჩექმე—312
მეჩალანდრე—411
მეცხოველეობა—208, 223, 255
მთიელები—65, 66, 70, 246—259, 403, 434
მიგრაცია—410
ძინა—266
მინორიტები—375
მიტკალი—16, 17, 20, 118
მიხაკი—180
მიწათმოქმედება—186, 195, 208, 219, 223, 243, 255, 266, 334, 342, 382
„მნათობი" ჟურნ.—397
მოგება—263, 311
მოვი—400
მოიჯარე—32, 40, 42, 49, 292, 295, 297, 328, 348, 350, 359
მომთაბარე ტომები—133
მონა (მონები) — 372, 417, 421, 432
მონაგარი (ნაშოვარი)—411
მონადირეობა—219
მონგოლები—288, 404
მონეტა—10, 18, 19, 22, 23, 37, 71, 84, 85, 171, 176, 177, 368, 399, 425
მონოპოლია—126, 127, 149, 195, 196, 214, 231, 248, 260, 268, 317, 339, 361
მონოპოლია უგზოობის—367
მონოპოლია ვაჭრობის—247, 281, 282
მოსაკრებელი—30, 33, 38—42, 44, 45, 51—53, 246, 253, 276, 294, 295, 412
მოსახლეობა ავტოქტონური—7
მოსახლეობა მუსლიმანური—68
მოსკოველი—23, 217
„მოსკოვსკიე ვედომოსტი", გაზ.—152
მოქალაქეთა წოდებრივი უპირატესობანი—299—306
მოქალაქე—161, 236, 287, 289, 290, 292, 295—298, 310, 320, 322, 324, 326, 339, 345, 350, 351, 356
მოხეტიალე ვაჭრები—256
მოხელე სამხედრო—7, 43, 259, 261, 263, 339, 379
მოხელე სამოქალაქო—259, 261, 263, 305, 309
მრეწველობა საოჯახო—18, 211, 255
მრეწველობა—22, 81, 84, 86, 96, 99, 100, 102, 152, 161, 184, 185, 195, 216, 219, 226, 233, 234, 240, 243, 255, 288, 350, 352, 377, 378, 403, 413, 419
მრეწველობა ფაბრიკული—89, 90, 91, 95, 100, 172, 173, 184, 261
მრთველი—382
მსახური—370, 371
მსხვილრქიანი პირუტყვი—381
მუშა—412, 421, 430, 433
მუშაძალა—419
მქედელი—422
მხევალი ქალი—372
მხლებლები—371
მხედრები—371
მსხვილრქიანი პირუტყვი—39, 41
მუსიკალური ინსტრუმენტი—274
მუსლიმანები—97, 138
მუხა—117, 118, 205
მწარმოებლური ძალები—9, 22, 94, 238, 297, 306
მქედელი—211
მხატვარი—312
მხერხავი—312

ნაალაფევი—430, 431
ნაბადი—248, 402
ნავთობი—57, 93, 180, 243
ნავი (ქაიუკები)—134, 217, 240, 369
ნაკეთობა უცხოური—26, 89, 203, 369, 383, 389
ნაკეთობა რუსული—11, 32, 31, 310, 378, 389, 391, 393
ნაკეთობა ფაბრიკული—160, 331, 381
ნაკეთობა მეტალის—146, 180, 381, 391
ნაკეთობა ვერცხლის—187, 211, 372
ნაკეთობა ოქროსი—187

ნაკეთობა თიხის—391
ნაკეთობა ხის—381, 391
ნაკეთობა მინის—146
ნაოსნობა—74, 85, 217, 240—243
ნართი ბამბის—17, 110
ნარმა—20, 118, 174, 179, 211, 247, 390
ნატურალური ბეგარა—237
ნატურალური მეურნეობა—380, 419
ნაციონალური ანტაგონიზმი—371
ნაწარმი ტექსტილური—125, 145, 161, 178
ნახევარფაბრიკატები—174, 175, 184, 188
ნეგოციანტები—409, 422, 433,
ნეფრიტის საკაჭრო გზა—376
ნოხები—400, 402
ნუმიზმატიკა—368, 369

„ობზორი"—135
ობივატელები—235, 295, 342, 346, 415
ოიკუმენი—374
ორტაღი—372
ოპიუმი—146, 194
ოსტატი ამქრის—29, 31
ოსტატი ოქრო-ვერცხლის—404
ოსები—391, 317
ოქრო—81, 115, 125, 188, 364, 381, 425—431, 434, 436, 437
ოქრო (მონეტა)—22, 23, 27, 115, 372
ოქროს მოპოება—429
ოქრონუმსერი ქსოვილები—376
ოქრომუედელი—211, 360, 422
ოქროს ქოთანი—426
ოქროს ჭურჭლეულობა—228,
ოჯახი—46, 417
ოჯახური მეურნეობა—237

პარტიკულარული ბაჟები—43—53
პაუპერიზმი—413, 414
პებრინი—227
პირუტყვი—33, 53, 55, 93, 125, 148, 180, 184, 187, 188, 191, 214, 222, 256, 391
პისტოლეტი—221
პლანტაციები—162, 223, 225, 269
პლუტოკრატია—248
პოეზია—21, 53
პოლიტიკური ეკონომია—11
პოლიტიკური დაპყრობა—246
პორტო-ფრანკო ბათუმის—19, 26, 55, 65, 67, 72, 73, 78, 82, 92, 115, 136—145, 150, 152, 158
პორტები—71, 101, 111, 115, 118, 131, 138, 139, 158, 167, 180, 192, 193, 204, 206, 215, 220, 250
პორტუგალიელი—355
პრემიები საკაჭრო—22—25
პრემია—89, 110, 308, 415
პრიკაზი—297, 298
პროტექციონისტული პოლიტიკა—157
პური—39, 40, 56, 93, 125, 147, 157, 180—189, 190, 191, 194, 214, 219, 221, 256, 308, 316, 318, 377, 415, 416, 420, 429

ჟამი (შავი ჭირი)—61, 72

რახტარი—16, 33, 36, 50, 160, 161, 198, 269, 380
რეკლამა—361, 362, 380, 381, 392, 394, 395, 397, 419, 435, 437
რელიქვია საგვარეულო—436
რელიქვია საეკლესიო—436
რელიქვია სახელმწიფო—436
რენტა მიწის—39
რენესანსი მუსლიმანური—362
რეფორმა—216, 339, 338
რკინა—32, 81, 118, 124, 125, 157, 167, 170, 187, 188, 202, 212, 221, 242, 348, 423, 430
რკინიგზა—121, 124, 132, 144, 146, 149, 186, 233, 239, 241, 243—245, 338, 361, 367, 404, 437
რომი—67, 390
რომაელები—362
„რუსსკი ვესტნიკ"—257, 258
„რუსსკი მირ", გაზ.—130
რუსი—375, 387, 434
რუსიფიკაცია—218

რუსი ვაჭრები—22, 27, 65
რუსული ნაკეთობანი—10, 16, 23, 24, 32, 34, 35, 38, 66, 75
რუტინა—203, 374
რძე—252

ხააქციზო მოსაკრებელი—206, 254
საბაჟო—21, 24, 25, 28, 55, 57, 60, 73—76, 77, 102, 103, 170, 181, 182, 188, 205, 219, 222, 305, 379
საბაჟო ტარიფი—8, 15, 20, 54—59, 71, 77, 87, 97, 178
საბაჟო საფასური—15, 17, 21, 24—26 და სხვ.
საბაჟო დებულება—18, 67, 69—73, 140, 141, 154
საბაჟო საკარანტინო ლინია—71, 72, 76—80, 203, 385
საბალახო—39, 45, 47
საბადოები—228
საბინაო ბეგარა—240
საგარეო ვაჭრობა—73, 83, 89, 100, 109, 124, 154, 169—180, 181, 185, 186, 188, 199, 315, 350, 419
საექსპორტო ვაჭრობა—214, 219, 223 393
სავაჭრო კაპიტალი—76, 82, 83, 84, 420
სავაჭრო სახლები—82, 159, 270, 351—361
სავაჭრო ქარავანი—375, 377
საზომი ქართული—202
საზომი რუსული—201
საიჯარო შემოსავალი—180
საკასრე ტკეჩი—243
საკაბოტაჟო ნაოსნობა—240, 249
საკაბოტაჟო ვაჭრობა—249
საკრედიტო ქაღალდი—427
საკარანტინო სამსახური—59—62
საკარანტინო დებულება—69—73
საკარანტინოები—28, 69, 70, 73, 80, 87, 166 170, 181
საკარანტინო ლინია—69, 70, 76—80, 143
სალაყბო—420
სამდრო მცენარეები—196, 273
სამხედრო იარაღი—60, 64, 66, 74
სამკაული—417
სანელებლები—372
სანთელი—57, 93, 211, 213, 300, 316
სანთელი სტეარინის—118, 189
სანთელი თაფლის—118, 168, 180
სანოვაგე—41, 42, 143
საპალნე—21, 33, 34, 39, 40, 43, 45, 48, 45, 48, 51, 53, 88, 102, 114, 201, 242, 368, 376, 411
საპატიო მოქალაქე—288, 299—306, 384, 415
საპონი—118, 195, 316
სარდინიელი—162
სარწყავი არხები—284
სასანიდები—363, 372
სასმელები—118, 145, 147, 180, 186
სასაწყობო პუნქტები (დეპო)—262
სატევარი—180, 423, 432
სატრანზიტო ოპერაციები—27, 170, 186, 239, 404, 410
სატრანზიტო საქონელი—26, 28, 74, 194, 373
სატრანზიტო ქარავანი—393
სატუსაღო—308
საყოველთაო ექვივალენტი—427
საფეიქრო მრეწველობა—223, 227
საქალაქო სათათბირო—323
საქონელი—10. 11, 16, 19 და სხვ.
საქონელი რუსული—19, 21, 23, 24, 27, 32, 34, 55, 56 91, 93, 204, 274, 403
საქონელი უცხოური—10, 24—25, 27, 29, 45, 67, 68, 74, 77, 89, 92, 96, 97, 98, 186, 274, 276, 362, 369, 408, 434
საქონელი სპარსული—26, 28, 70, 71, 76, 88, 95, 193, 366, 378, 393, 394
საქონელი საეკლესიო—39
საქონელი ევროპული—10, 22, 23, 26—28, 58, 66, 68, 71, 73, 89, 91, 94, 135, 180, 186, 188, 378, 400, 402, 434
საქონელი აზიური—16, 17, 76, 78, 97, 146, 179, 180, 193, 408
საქარავნო ვაჭრობა—367, 378, 404
საქონელი კოლონიური—26, 28, 71, 73, 348, 402

საქონელი მოსკატილური—125—187
საქონლური წარმოება—240, 418, 433
საქონელბრუნვა—56, 84, 145, 147, 148, 155, 178, 239, 368, 31 2, 389
საღებავები—10, 118, 125, 142, 145, 147, 157, 180, 187, 188, 194, 196, 266, 434
საშინაო ვაჭრობა—83, 195—285, 382—409
საწონი—201, 202, 256, 319
საწყობები—403, 406, 409
საკურველი—74, 434
საკურისები—372
„სევერნაია პჩელა"—233
სელის ნაკეთობა—125, 147, 151, 188, 189
სვანები—391
„სლოვო"—151
სიმინდი—117, 118, 211, 217, 219, 221, 222, 242, 243, 383, 391
„სინ ოტეჩესტვა"—9, 10
სიღატაკე—413
სიცილიელი—355
სოვდაგარი, სოვდაგრები—23, 29, 151, 306, 307, 328, 350, 359, 370, 384, 390, 406, 422
სოკო—296
სომეხი—11, 42, 48, 93, 150, 155, 211, 204, 242, 263. 311, 314, 334, 337, 353, 355, 377, 387, 390, 398, 413, 417, 433, 434
სოფლის მეურნეობა—195, 234, 238, 244, 257, 265, 330, 397
სპარსელი—288, 294, 375, 397, 401, 405, 415, 434
სპილენძი—56, 81, 93, 125, 145, 158, 212, 221, 242, 430, 434
სპირტი—32, 353
სპეკულანტები—217, 218, 309
სტაროვერები—168, 169
სტატისტიკა—125, 127, 130, 145—149, 152, 311

ტაგაურელები—51—54
ტავერნა—369
ტანსაცმელი—211, 221, 228
ტარიფი—21, 38, 77, 81, 93, 105, 112, 144, 188, 206
ტარიფი ევროპული—103
ტაძარი—313, 321
ტელეგრაფი—239, 245
ტექსტილური ნაწარმი—16, 17, 81, 98, 106, 142, 146, 147, 155, 157, 166, 170, 180, 389
ტვირთზიდვა—118, 119, 121, 124, 189, 206, 240, 242, 386
ტიბეტელები—375
ტივი—241
ტიკი—410
ტილო—174, 217, 247
ტრანზიტი საერთაშორისო—129—136
ტრანზიტის პოლიტიკა—81—87
ტრანზიტის სტატისტიკა—145—149
ტრანზიტი—5, 8, 16, 19, 21, 27, 29 და სხვ.
ტრანზიტი თავისუფალი—5, 8, 84
ტრანზიტი შეღავათიანი—54, 64, 83, 88, 89, 91, 96, 99, 102, 159, 160, 178, 243
ტრანზიტი უბაჟო—25, 27, 84, 88, 97
ტრანსპორტი—25, 45, 47, 53, 77, 102, 112—124, 180—194, 195, 196, 239, 240—242, 245, 368, 369, 437
ტურისტები—113, 369, 371
ტუფლი—401
ტყავი—57, 93, 118, 125, 157, 172, 173, 180, 187, 188, 190, 191, 195, 211, 393, 405
ტყვია—57, 93, 206, 221, 247
ტყვე—168, 216, 220, 221, 375, 417

უბიხები—251
უზბეკი—433
უნაგირი—423
უნგრელი—375
ურემი—21, 33, 39, 40, 53, 114, 121, 230, 231, 358, 377, 402, 404
ურთხელა—118, 217
უსტაბაში—317, 346, 403
უძრავი ქონება—237, 354

ფაბრიკა (ქარხანა)—9, 10, 16, 18, 24, 30, 31, 52, 104, 136, 151, 161, 179, 201, 262, 269, 308, 324, 359, 360
ფაბრიკანტები—10, 18—20, 23, 25, 57, 77, 94, 96, 103, 104, 142, 186, 277, .399
ფაეტონი—243
ფაიფური—81, 100, 384
ფარჩა—212
ფასი, ფასები—11, 20, 32, 34, 40—42 და სხვ.
ფასეულობათა გაუფასურება—435, 437
ფაქტორიები—399
ფეიქრობა—382, 422
ფეოდალი-სოვდაგარი—363
ფეტვი—40, 180, 317
ფეხსაცმელი—420
ფინანსები—12, 23, 35, 38, 50, 153, 338
ფინანსთა სამინისტრო—14, 15, 16, 18 და სხვ.
ფინანსთა მინისტრი—12, 15—18, 23, 24 29, 30, 49, 50 და სხვ.
ფირმა ბრანდტის—157
ფირმა ალშვანგის—151
ფირმა პერლოვის—151
ფირმა პოპოვის—151
ფისკი—28, 167, 234
ფლანელი—281
ფოლადი—118
ფორთოხალი—251, 260
ფორშპანი—434
ფოსტა—119, 199
ფრანგები—20, 123, 434
ფრინველი შინაური—252
ფული—11, 23, 42, 49, 222, 256, 303, 304, 308, 330, 334, 354, 360, 368, 423—428
ფულადი მოსაკრებელი—237, 343
ფუნდუკი—369, 406
ფურაჟი—393
ფურნე—402
ფქვილი—317, 415

ქათამი—317, 387
ქალაქები—ბაზრები—382—396
ქალაქი—41, 42 და სხვ.
ქალაქში საშოვარზე მოსულთა კავშირები—410—416
ქამარი—403
ქარავანი—45, 51, 113, 181, 231, 369—373, 376, 406, 409, 433
ქარვასლა—199, 275, 354, 360, 365, 368, 369, 374, 403, 405, 408
ქარავან-ბაში—231, 308, 342, 343, 370
ქარგალი—269, 342, 343
ქართველი ვაჭარი—311, 337, 353, 355, 417, 434
ქართული კოლონიები—377
ქაღალდი—33, 118
ქერი—40, 318
ქვამარილი—215, 229, 232
ქვანახშირი—243
ქვები (საწონი)—202
ქვევრი—398
ქისტი—417
ქირა—296, 358
ქოთანი—121
ქოლერა—100
ქოლგა—384
ქონება უძრავი—237, 321, 354, 432
ქონება მოძრავი—330
ქონება საეკლესიო—300, 301
ქსოვილები—20, 87
ქუდი—211
ქულბაქი—417
ქურთები—231
ქურქი—16

ღარიბები და ღატაკები—413—417
ღვინო—10, 20, 38, 39, 40, 56, 67, 93, 121, 206, 210, 212—214, 217, 268, 283, 348, 354, 398, 400
ღირებულება—23, 170, 190, 191, 219, 227, 371, 423
ღომი—387, 391
ღორი—49, 385, 391
ღუზა—206

ყაბარდოელი—417
ყაბახი—420

ყავა—118, 180, 212, 221, 260, 390, 400
ყალიონი—118, 142
ყასაბხანა—41
ყაჩაღები—307
ყაჭი—400
ყველი—39
ყმა—295, 299, 300, 303, 305, 370, 421
ყურძენი—387

შალეული—118, 125, 126, 180, 187—189, 190, 191, 210, 266, 384, 390, 391, 400
შაქარი—20, 81, 118, 125, 126, 131, 142, 144, 145, 147, 148, 178, 180, 187—189, 390, 400, 434
შაქრის ლერწამი—260, 266
შაშხი—222
შაფრანი—265
შემსყიდველები—195, 219, 256, 283, 497
შეღავათიანი ტრანზიტი—5—8, 26—28, 87—105, 136—144, 160, 162, 195, 199, 306, 340, 361, 379, 438
შეშა—195, 205, 296, 360
შინაგანი საბაჟო—33—35, 38, 48, 92
შინაგანი ვაჭრობა—17—31, 38—53, 195, 222, 245, 283, 383, 393, 394, 437
შინამრეწველობა—195, 255, 382, 411
შინამოსამსახურე—413
შინკარი (მიკიტანი)—335
შკიპერი—115
შრომა დაქირაველებული—114, 153, 184, 224, 419
შუამავალი—256, 397, 420, 422
შუშა (მინა)—81, 106, 183, 386

ჩაი—142, 145, 146, 187, 188, 191, 212, 251, 260, 386, 390
ჩალავადრები—357
ჩარჩები—208, 273, 360
ჩაფარხანა—196
ჩაფი—398
ჩაქუჩი—420
ჩაუენების ბეგარა—234, 235, 236, 294
ჩაჩნები—417
ჩერქეზები—256, 401, 404
ჩექმა—423
ჩითი—16, 20, 126, 151, 180, 191, 390
ჩინელები—375
ჩირი—179
ჩოლულა—112
ჩოხა—405

ცარიზმი—9, 15, 23, 53, 101, 136 და სხვ.
„ცისკარი" ჟურნ.—387
ციხე-სიმაგრეები—45, 252, 288
ცული—230
ცხენი—53, 114, 121, 181, 196, 357, 370, 376, 391, 400, 404, 405, 411
ცხვარი—39, 49, 387, 404

ძარცვა—7, 227, 369
ძელქვა—118, 205, 217
ძვირფასი ქვები—434
ძმარი—195
ძროხა—49

წაბლი—118
წარმოებრივი ურთიერთობანი—418, 435
წებო—375
წიგნები—273
წინდები—211
წისქვილი—357
წურბელა—118
წყალსადენი—308

ჭაობები—205, 251
ჭარხალი—387
ჭაჭა—217
ჭირი—103, 107
ჭილოფი—211
ჭურჭელი—20, 67, 145, 147, 188, 212, 256, 434

ხავერდი—67, 400
ხაზინა—22, 24, 37, 39, 40, 41, 46, 53, 198, 232, 290, 322, 379
ხარები—53, 230, 377

ხატი—423
ხელოსნობა—30, 184, 195, 211, 255, 266, 294—296, 299
ხელოსნები—29, 31, 202, 251, 282, 290, 292, 312, 329, 331, 342, 343, 347, 355, 356, 370—373, 410, 423
ხელფასი—36, 58, 60
ხელზე მოვაჭრე—208
ხელსაქმე—266, 294
ხელადა—201
ხე-ტყე—56, 93, 163, 165, 166, 180, 187, 190, 193, 194, 205
ხე-ტყის ექსპორტი—162—169
ხის იარაღ-ინსტრუმენტები—391
ხის ჭურჭელი—391
ხიდები—38, 47, 114, 288, 365
ხიზილალა—40, 41, 45, 318
ხილი—179, 180, 191, 252
ხილის არაყი—217
ხმალი—181, 221, 405
ხომალდები—65, 83, 164, 204, 221, 222, 250, 255, 369, 374
ხორბალი—39
ხორცი—197, 252, 316
ხურჯინი—102
ხური—312
ხუროთმოძღვრება—373

ჯავაირჩი—402
ჯამჭურჭლეულობა—118, 389
ჯაგერნაუტის ბორბლები—7
ჯიქები—251
ჯორი—368

ჰარამხანა—211
ჰუპტვახტი—308

შემოკლებათა სია

(აბრევიატურა)

ᲛᲘᲐ — მთავარი ისტორიული არქივი
ᲡᲐᲫ. ᲡᲘᲫᲕ. — საქართველოს სიძველენი
ᲡᲕᲡᲡ — საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო
ᲪᲡᲘᲐ — ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი
АВПКБ — Архив внутренней политики, культуры и быта СССР
АНХ — Архив народного хозяйства СССР
АСКАК — Акты, собранные Кавказской археографической комиссией
ГИА — Главный исторический архив ГССР
ЗКОИРГО — Записки Кавк. отд. имп. русск. географ. общества
ЗКОИРТО — Записки Кавк. отд. имп. русского технического общества
ОДНК — Обзор действия Кавказского наместника
КК — Кавказский календарь
ЛОЦИА — Ленинградское отделение центрального исторического архива СССР
ПСЗРИ — Полное собрание законов Российской империи
ССК — Сборник сведений о Кавказе
СССК — Сборник статистических сведений о Кавказе
РОПИТ — ᲠᲝᲞᲘᲢ — Русское общество пароходства и торговли
УЦГАЛ — Управление центральных государственных архивов в Ленинграде
СХАО — Сельское хозяйство и аграрные отношения
ЦАУГ — Центральное Архивное управление ГССР
ОРВЗ — Обозрение Российских владений Закавказом
ф.КК — фонд Кавказского комитета
ф.ВГПКЭ — фонд Верховного грузинского правительства. Казенная экспедиция[1].

---

[1] დასახელებული სახელმწიფო არქივსაცავების ფონდებით ავტორი სხვა და სხვა დროს სარგებლობდა, 1927 წლიდან მიყოლებული. ამ ხნის მანძილზე ზოგიერთი მათგანის სახელწოდება შეიცვალა. აქ მითითებულია იმ სახელწოდებით და წესით როგორც იყო ამონაწერების გაკეთების დროს.

ავტორისაგან

მონოგრაფიების, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.“, მკითხველთან კარგა ხანია, რაც არ მქონია საუბარი. მეოთხე ტომის პირველი წიგნი (—მეორე წიგნი: მეევენახეობა, უცდის გამოცემას) დაიბეჭდა 1965 წ. მის წინასიტყვაობაში ნათქვამია მომავალ სამუშაოთა თაობაზედაც...

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ინტერვალში, რაც მონოგრაფიების მეოთხე, მეხუთე და მეექვსე (წინამდებარე) ტომთა გამოცემას შორის დარჩა, დაიწერა და გამოქვეყნდა რიგი საჟურნალო სტატია და ათიოდე გამოკვლევა — ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და უცხო ენებზე. ამათგან აქ დავასახელებ მხოლოდ უმთავრეს წიგნურ გამოცემებს: „სოციოლოგიური ეტიუდები“ (ორი ტომი, 1970—1971); „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“ (1971, მეოთხე ახლადდაწერილი გამოცემა; 1963 წ. დაიბეჭდა მისი მეორე რუსული გამოცემა); „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ (1973); «Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье XIX—XX вв.», т. I (1968); «Теоретические аспекты планирования и прогнозирования» (1972); «Грузинская ССР, кратк. ист.-экон. очерк» (1977, V изд.); «Вопросы формирования семьи в аспекте воспроизводства населения» (1978, II изд.).

მაგრამ იყო ერთი მიზეზი, რამაც ერთხნობით თითქმის სულ ჩამომაშორა „მონოგრაფიების“ პრობლემას... სტუდენტობის წლებში (1926—1928) ფილიპე გოგიჩაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დავწერე ნაშრომი „ქართული წიგნი 1629—1929 წწ“. ისტორიულ-სტატისტიკური გამოკვლევა. იგი გამოიცა 1929 წ. (384 გვ.) და, ამგვარად, დაემთხვა ქართული სტამბური წიგნის 300 წლისთავს, — ქართული ცივილიზაციისა და კულტურის დიდ საიუბილეო თარიღს. თავდაპირველი აზრით კი ის ჩემთვის თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსის დასრულებისათვის დასაწერი სტუდენტის სადიპლომო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომლის წერის პირველ ხანებ-

ში კონსულტაციას მიწევდა ნიკო ნიკოლაძე; სწორედ მისი რეკომენდაციითვე მოვეწყვე (1926 წ. მოსკოვს პრაკტიკაზე წარგზავნილი სტუდენტი) რსფსრ გაერთიანებულ სახელმწიფო გამომცემლობათა სამმართველოში (აღრიცხვისა და სტატისტიკის განყოფილებაში), საიდანაც ფართოდ გაიღო ჩემთვის წიგნის წარმოებისა და გავრცელების, პოლიგრაფიული მრეწველობისა და ბეჭდვითი სიტყვის საოცარი და მომხიბლველი სამყაროს კარები...

და, აი, ახლა, ცხადია, არც თუ ისე მოულოდნელად, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ, მე მიხდება ხელი მოვკიდო და ქართული ბეჭდვური წიგნის 350 წლისთავისთვის განვაახლო სიყრმისა და სტუდენტობის ჟამს დიდოსტატების ხელდასხმით შექმნილი ეს ნაშრომი. მისი გაფართოებული აღწარმოების აუცილებლობამ მით უფრო მთლიანად „ამითვისა", რომ სიჭაბუკის რაშებზე გავლილი 300 წლის მანძილი და კიდევ ბევრად უფრო რთული და ტევადი 50 წლისა, ახლა მხცოვანის მუხლებით უნდა გადამეთელა... მე, ცხადია, ფიზიკურ ენერგიაზე მოგახსენებთ, თორემ სხვა მხრივ იმ ჭაბუკს ახლაც არ შევეპუები, თუ არ გავეჯიბრები კიდევაც... ამგვარად, ამ ორი წიგნის — „მონოგრაფიების" მეექვსე ტომის გამოცემა და „ქართული წიგნი 1629—1979 წწ." მეორე ახლადდაწერილი გამოცემის მოშზადება, გარკვეული ზომით, ერთდროულად ხდებოდა... ამგვარი, სულიერი და მატერიალური კულტურის დაშორიშორებულ სფეროებში სოციალურ ფენომენთა მიზეზობრივი კავშირების გამოვლენა-გაშუქების მუშაობის შედეგებზე, რა თქმა უნდა, უპრიანია მსჯელობდეს თვითონ პირუთვნელი მკითხველი.

მონოგრაფიების პირველი ტომი გამოიცა 1949 წ. და შეიცავს 1932—1938 წწ. შესრულებულ და გამოქვეყნებულ გამოკვლევებს. ამ ტომის II ნაწილი (353-748 გვ.) შეეხება მე-19 საუკ. საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის (მოსახლეობის მიგრაციის), ხოლო I ნაწილი კი 1801—1831 წწ. ვაჭრობის განვითარების პრობლემებს. წინამდებარე, VI, ტომში ვიკვლევთ შემდგომი ნახევარი საუკუნის მანძილზე (1831—1883) ისევ ვაჭრობის ევოლუციის მოვლენებს, — რაშიც აისახა ვაჭრული კაპიტალის სავაჭრო კაპიტალად და ვაჭართა წოდების ვაჭართა კლასად გადაქცევის დიდმნიშვნელოვანი სოციალური პროცესებიც.

1880-იანი წლების დასაწყისი ერთგვარი მოსაბრუნი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ საერთოდ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ისტორიაში; — რაც სხვა მონოგრაფიებშიც მაქვს მინიშნებული.

ერთი მხრივ, შინაგანი და საგარეო ვაჭრობის, ტრანზიტის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მეორე მხრივ, სამხედრო-პოლიტიკურ და ფინანსური მეურნეობის[1] შინაგანი მმართველობის ახალ ეტაპზე ამაღლებას, ცხადია, თანმიმდევრული გზით უნდა გაყოლოდა კომუნიკაციების სხვა საშუალებებიც.

1880-იან წლებში დიდი ცვლილება განიცადა ამასთანავე პრესამ, რომელიც, ცხადია, საერთოდ ვერ ჩამორჩებოდა ქვეყნის კომერციული განვითარების გზებს. ეს პროცესი უწინარეს იმით აისახა, რომ ამიერკავკასიაში გაჩნდა რიგი ახალი გაზეთი და ჟურნალი. გამრავლდნენ და შინაარსობლივად უფრო მრავლდარგოვანი გახდნენ გამომცემლობები, სტამბები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებთან და წიგნებთან ერთად სულ უფრო მრავლად ბეჭდავენ კომერციულ რეკლამებსა და იარლიყებს (ეტიკეტებს) — რუსულ, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვ. ენებზე და ამ სახითაც პოლიგრაფიული პროდუქცია შეიჭრა ისეთ ოჯახებშიც, სადაც იგი მანამდე თვალით არ უნახავთ. დიდად გაიზარდა საერთოდ მისი ტირაჟი.

... ყოველსავე ამას ისიც მოჰყვა, რომ საზოგადოებრივი აზრი, პერიოდულ პრესასთან ერთად, სულ უფრო იქღინთება კომერციული სულით. და, აი, ჩვენი ცხოვრების ისეთი დამკვირვებელი, როგორც იყო ივ. მაჩაბელი, მაშინვე თავისებურად გამოეხმაურა „ივერიაში“ (1882) გამოქვეყნებულ გ. მაიაშვილის ცნობილ სტატიას.

„ყველამ შეიგნო, რომ ხალხთა მომავალი კეთილდღეობა და პოლიტიკური წყობილება ერთობ მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიურ ცხოვრებასთან. შეგნებულია, რომ ხალხთა ცხოვრების პოლიტიკური სამართლიანი წყობილება მოუხერხებელია ეკონომიურის მდგომარეობის შეუცვლელადო“[2]. ამავე საკითხს ეხებოდა ნ. ურბნელი, რომელიც აღნიშნავდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, უმთავრესად კი ბატონყმობის გაუქმების დროიდან, ჩვენში განვითარდა „... ფ უ ლ ე ბ რ ი ვ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ც, რომელმაც დიდი ცვლილება მოახდინა ჩვენის ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში. ეს ცვლილება უფრო გლეხკაცობას დაეტყო იმიტომ, რომ სახელმწიფო ხარჯი (გამოსაღები და სხვ. გადასახდელები—პ. გ.)

---

[1] რეფორმამდელ პერიოდში ფინანსური მეურნეობის განვითარების საკითხს საფუძვლიანი მონოგრაფია მიუძღვნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ვასილ ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე მ, — ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში, 1975, თბ.

[2] „დროება“, 1883, № 166, მოწინაევ.

თითქმის მარტო იმას აწვა კისერზე. აღზრდილი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ (ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ — პ. გ.) მეურნეობაში გლეხკაცობა, უეჭველია აგრე ადვილად ვერ აიტანდა ახალს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო (საქონლურ — პ. გ.) მეურნეობას და ამის შედეგი, ვგონებ, ახლა ყველასთვის ცხადია"[3], — იმ სწრაფი სოციალური დიფერენციაციის სახით, რაც მაშინ უკვე მიმდინარეობდა.

წინამდებარე მონოგრაფიებში ნაჩვენებია, თუ როგორ დაიშალა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფეოდალური ეპოქის ვაჭართა წოდება და მის ადგილზე როგორ წარმოიქმნა ვაჭართა კლასი. სხვა ადგილას გაშუქებული იქნება ვაჭართა კლასის ფორმირების პარალელურად, მაგრამ მისგან რამდენადმე შეგვიანებით, თუ როგორ დაიშალა ქართული საზოგადოებრივობის უუძველესი, უშესანიშნავესი და უმტკიცესი სოციალური ფენა, — გლეხთა წოდება და მისი დიფერენციაციის პროცესში თუ როგორ გამოიკვეთა და ერთბაშად აღორძინდა გლეხთა კლასი, ბურჟუაზიული საზოგადოების ევოლუციის თავდაპირველი განვითარების პერიოდის ნაციონალური ორგანიზმისა და ტერიტორიული ორგანიზაციის უძლიერესი და უჯანსაღესი ნაწილი.

დასასრულ, ბუნებრივია, მკითხველს ორიოდე სიტყვით მაინც მოხსენდეს, თუ როგორ აისახა მეცნიერებაში (ქართველოლოგიურ, კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში) მონოგრაფიების ც ხ ო ვ რ ე ბ ა, რაც ორმოც წელიწადზე მეტია რომ დაიწყო.

ქართულად გამოქვეყნებული მონოგრაფიების შესახებ დაწერილია აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. კ. გამსახურდიას, აკად. ნ. ბერძენიშვილის, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის, პროფესორების: ვ. ჩანტლაძის, შ. მესხიას, მ. ასათიანის, ი. ბალანჩივაძის, ვ. ბახტაძის, ა. კაკაბაძის, ნ. იაშვილის, გ. მარგიანის. ა. ბენდიანიშვილის, დ. გოგოლაძის, დ. ქორიძის, ბ. ხასიას და სხვ. რეცენზიები.

გასაგებია, უფრო ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსულ ენაზე, ცალკე წიგნებად, გამოქვეყნებულმა მონოგრაფიებმა: «Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв.», т. I; «Аграрные отношения в Закавказье на рубеже 19—20 вв.»; Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX—XX вв.», т. I; «Шелководство в Грузии и Закавказье в 19—20 вв.», «Грузинская ССР» და სხვ. ამ მონოგრა-

---

3 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი გლეხკაცობა და აქციზის საქმე („დროება", 1883, № 197).

ფიებზე გამოქვეყნდა რეცენზიები აკად. ნ. დრუჟინინის, აკად. კ. ოსტროვიტიანოვის, პროფესორების — პ. მასლოვის, ა. ამბარიანის, ჰ. აზატიანის, პ. პოდკოლზინის და სხვ.; აგრეთვე უცხოეთის პრესაში: პროფ. ტ. ფიოლდის (უნგრეთი), პროფ. გ. ჰაინინგერის (გერმ.), პროფ. ზ. ურბანოვას (ჩეხოსლოვაკია), პროფ. კ. სალიას (საფრანგეთი), პროფ. ჯ. კოლეჯას (აშშ) და სხვ.

ამათგან აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორ ამონაწერს: 1. პროფ. პ. მასლოვისა და 2. აკად. ნ. დრუჟინინის რეცენზიებიდან.

აკად. ნ. დრუჟინინი: (1970): Перевод монографии П. Гугушвили с грузинского языка на русский имеет не только научно-академическое, но и политическое значение. Мне хотелось бы обратить на этот вывод внимание соответствующих организаций... и высказать пожелание, чтобы советские историки, экономисты и практические работники быстрее получили в свои руки это научное оружие, помогающее нашим социалистическим преобразованиям. О достоинстве научных трудов П. В. Гугушвили, вышедших на русском языке, говорят многочисленные отзывы, напечатанные на разных языках — не только на русском, грузинском, армянском, но и чешском, венгерском, немецком, французском, английском и т. д.».

პროფ. პ. მასლოვი (1958): Проф. П. Гугушвили «дает не историю народного хозяйства отдельного национального района, а историю народного хозяйства многонациональной территории. Здесь потребовалось обобщение большого материала, установление закономерностей, общих для всего района... Вместе с тем задача заключалась в том, чтобы найти место складывающимся закономерностям в общем историческом пути развития российского капитализма. В этом смысле книгу П. Гугушвили следует рассматривать не как фактографическую работу, а как теоретическое решение проблемы на основе обобщения исторических фактов... Вопросы промышленного развития Закавказья автором рассматриваются в широком плане и его исследования отдельных форм промышленности, как правило, начинаются с трактовки социологических вопросов о сущности и социальном характере данной формы промышленности, с привлечением сравнительных материалов из истории русской и зарубежной промышленности и с критического рассмотрения взглядов буржуазных экономистов и историков... Следует признать, что появление монографии П. Гугушвили является значительным событием в экономической науке».

აქ უნდა მოვიხსენიო მონოგრაფიების თემის ერთი ნაშრომი: «Фабрично-заводская статистика в Закавказье в 1864—1920 гг.»,

ч. I (ТИЭ, т. X), რომელიც, სამწუხაროდ, აკამდე უცნობი დარჩა შესაბამისი ეპოქის ქართველი ისტორიკოსებისთვის, თუმცა საკმაოდაა ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ. მაგალითად, პროფ. მ. ისმაილოვი (ნაშრომში «Промышленность Баку в начале XX века») წერს «В виду того, что еще в 1957 г. П. Гугушвили была опубликована обстоятельная работа о фабрично-заводской статистике в Закавказье, то вряд ли необходимо еще раз подробно останавливаться на этом вопросе...» და სხვ. ეს ნაშრომი ცნობილია უცხოელი კავკასიოლოგებისთვისაც...

ამასთანავე, ცხადია, ისიც აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიებში დადგენილი და მიღებული რიგი ახალი იდეა და შეხედულება თანდათანობით ინერგება, ანდა უკვე დანერგილია და მიმართულებას აძლევს შესაბამის სფეროში შემდგომ მეცნიერულ კვლევა-ძიებას... საჭიროა აქაც ერთი მაგალითი მაინც მოვიყვანოთ.

1938 წ. გამოქვეყნდა მონოგრაფია — „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“[7]. აქ პირველადაა წამოყენებული და დასაბუთებული ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარებაში მანუფაქტურული სტადიის არსებობის საკითხი... მალე, დისკუსიის პროცესში გაჩნდა ორი მიმართულება: ერთი ამტკიცებს, რომ აქ იყო მრეწველობის მანუფაქტურული ფორმა, ხოლო მეორე — რომ არ იყო... გაჭიანურებული დისკუსიის განმავლობაში შეიქმნა მთელი ლიტერატურა, რომელიც შეიძლება სპეციალური მიმოხილვის საგანიც იყოს, ხოლო როგორც ასეთი დიდ ადგილს მოითხოვს, რის გამოც მას აქ ვერ შევეხებით. მოვიყვანთ მხოლოდ პოლემიკის ერთ-ერთ საბოლოო დასკვნას, რაც პროფ. გ. მარგიანსა და პროფ. ე. ხოშტარიას ეკუთვნით. ისინი ასკვნიან, რომ „პ. გუგუშვილმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა დასვა საკითხი საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობის შესახებ“ და რომ „საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობის თვალსაზრისი პ. გუგუშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა საწინააღმდეგო მოსაზრებებთან ხანგრძლივ ბრძოლაში“ („ქართული ისტორიოგრაფია“, 1971, ტ. II, გვ. 44).

აქ დავსძენ მხოლოდ, რომ ეს თვალსაზრისი უკვე გატარებულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში. აგრეთვე,

---

[1] იგი შევიდა აგრეთვე წიგნებში: კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება, საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941 და Развитие промышленности... т. I, 1957.

ანალოგიურად, მიღებულია აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიოგრაფიაში...

იმ დრომ (1949—1979), რამაც „მონოგრაფიების“ I—V და წინამდებარე VI ტომის გამოქვეყნებაში გაიარა, დამარწმუნა, რომ ახლა ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ უპრიანი იქნება ისღა ვთქვა, რომ „მონოგრაფიების“ მეშვიდე ტომი თითქმის მზადაა დასაბეჭდად. ოღონდ, როგორც ადრეც აღმინიშნავს, გამომცემლობის რეჟიმი, სახელდობრ ნაშრომის ფიზიკური მოცულობის თვალსაზრისით, ფრიად...მობილურია, რის გავლენითაც „მონოგრაფიების“ წინამდებარე ტომის მოცულობა დაახლოებით ორჯერ ნაკლებია ადრინდელებზე.

პაატა გუგუშვილი

1979, თებერვალი

შინაარსი

ვაჭრობის განვითარება 1831—1888 წწ.

I. ვაჭრობის პოლიტიკა 5

1. თავისუფალი ტრანზიტის გაუქმების შემდეგ 5
2. ამკრძალავი ტარიფის პოლიტიკა 8
3. ვაჭრობის აღორძინებისათვის 17
4. პრემიები რუსული საქონლის რეალიზაციისათვის 22
5. ახალი შეღავათები . . 26
6. კომერციის სპეციალისტთა წაქეზება 29

II. ბაჟის პოლიტიკა 32

1. ბაჟები რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე 32
2. ბაჟები საკვებ პროდუქტებზე 38
3. პარტიკულარული ბაჟები 43
4. ბაჟის პოლიტიკა . 54
   ა. ვაჭრობა და საბაჟო ტარიფი 54
   ბ. საკარანტინო სამსახური 59
   გ. საბაჟო საზღვრის დაცვა . 62
   დ. 1847 წ. საბაჟო-საკარანტინო დებულება 69
   ე. ტრანზიტის საბაჟო მეთვალყურეობისათვის 73
   ვ. კავკასიის საბაჟო-საკარანტინო ლინია 76

III. ამიერკავკასიის ტრანზიტი. პოლიტიკა. საერთაშორისო მნიშვნელობა. სტატისტიკა 81

1. ტრანზიტის პოლიტიკის საწყისები . 81
2. თავისუფალი ვაჭრობა და კოლონიური პოლიტიკა 87
3. 1846 წ. კანონი ტრანზიტის შესახებ . 105
4. ტრანსპორტისა და ტვირთბრუნვის არქაულობა 112
5. ახალი კომუნიკაციების ვითარებაში . 124
6. ტრანზიტის საერთაშორისო ასპექტები . 129
7. ბათუმი პორტო-ფრანკო 136
8. ტრანზიტის სტატისტიკა . . . 145
9 ბრძოლა ტრანზიტის აღკვეთისათვის და 1883 წ. კანონი 149

IV. საგარეო ვაჭრობა 154

1. საგარეო ვაჭრობა 1830—1850-იან წლებში 154
2. ხე-ტყის ექსპორტი . . 162
3. საგარეო ვაჭრობის ბრუნვები და საგნები 169
4. საგარეო ვაჭრობის ტრანსპორტი . . . 180
5. საგარეო ვაჭრობა რეფორმის მერმინდელ პერიოდში 183

V. შინაგანი ვაჭრობა 195

1. კომერციული თაოსნობის ფორმები (გაცვლა. ვაჭრობა. იჯარები) 195
2. ადმინისტრაციული მოწესრიგება 199
3. ზომა-წონის ერთეულები 201
4. შეცვლილი ვითარება 203
5. ვაჭრობის პირობები 207
6. ვაჭრობა ავტონომიურ სამთავროებში . . . 215
7. ვაჭრობის ზოგიერთი საგნისათვის (ენდრო, აბრეშუმი, მარილი) 222
8. დაგროვების პირობები . . 233
9. ტრანსპორტი კომერციის ასპექტებში 239

VI. ვაჭრობა მთიულეთთან 246

VII. ვაჭართა კომპანიები 260

VIII. ვაჭართაკლასის ფორმირება 286

1. ვაჭართა წოდების ევოლუცია 286
2. ვაჭარ-მოქალაქეთა წოდებრივი უპირატესობანი 299
3. ვაჭართა კლასი ფორმირების საფეხურებზე 305
4. ვაჭართა პრივილეგიების ოფიციალური მოწესრიგება 320
5. ვაჭართა კლასი ნაციონალურ ფარვატერში 332
6. გილდიური წყობილება 340
7. გილდიის ვაჭრები 346
8. ვაჭართა სახლები (სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვ.) 351

IX. ვაჭრობის ზოგიერთი ზოგადი საკითხისათვის 362

1. ადრინდელი კომერციული კავშირები 369
2. საქარავნო ვაჭრობა 369
3. ბაზრებისა და იარმარკეტების ორგანიზაციისათვის 376
4. ქალაქები-ბაზრები 382
5. თბილისი — ამიერკავკასიის კომერციული ცენტრი 390

ა. ბაზრები . 395
ბ. ქარვასლები 405

6. ქალაქში საშოვარზე მოსულთა კავშირები 410

ა. მეთულუხჩეები 410
ბ. მათხოვრები 413

7. ბაზრის სოციოლოგიისათვის 417
* პრობლემის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ 437

ს ა ძ ი ებ ლ ებ ი

1. საკუთარი სახელთა 439
2. გეოგრაფიული სახელწოდებათა 448
3. საგნობრივი საძიებელი 457
4. ბიბლიოგრაფია (შემოკლებათა სია) 467
ავტორისაგან 468
შინაარსი 475
Содержание 478

СОДЕРЖАНИЕ

Развитие торговли в 1831—1883 гг.

I. Торговая политика (Запретительный таможенный тариф; к возрождению торговли; премии за реализацию русских товаров; новые льготы; поощрение торговцев) 5

II. Таможенная политика (Пошлины на завезенные из России товары; пошлины на предметы продовольствия; партикульярные пошлины; карантинная служба; охрана таможенных границ; кавказская таможенно-карантинная линия) 32

III. Закавказский транзит. Международное значение. Статистика (Транзитная политика; свободная торговля и колониальная политика; транзит и средства сообщения; международные аспекты транзита; Батуми—порто-франко; статистика транзитной торговли; к запрещению транзита и закон 1883 г.). . 81

IV. Внешняя торговля (Внешняя торговлия в 1830—1850-х годах. экспорт леса; обороты и предметы внешней торговли; транспортные средства внешней торговли; внешняя торговля в пореформенный период) 154

V. Внутренняя торговля (Формы коммерческого предпринимательства — обмен, торговля, подряды; единицы меры и веса; административное урегулирование; условия торговли; торговля автономных княжествах; некоторые предметы торговли: марена, шелк, соль; процесс и условия накопления; внутренние средства транспорта и торговля). 195

VI. Торговля с горцами 246

VII. Торговые компании 260

VIII. Формирование класса торговцев (Эволюция купеческого сословия; сословные преимущества купцов-горожан; к официальному урегулированию привилегий торговцев; класс торговцев в национальном фарватере; гильдейское устройство; гильдейские купцы-торговцы; торговые дома) . 286

IX. Общие вопросы торговли (Ранние комерческие связи; караванная торговля; организация рынков и ярмарктов; города-базары; Тбилиси — центр закавказской комерческой жизни — базары, каравансараи; корпорации отходников; к социологии базара) 363

X. Указатели

Собственных имен 439

Географических названий 448

Предметный 457

Список сокращений 467

От автора 468

Содержание 475—479

ПААТА ВИССАРИОНОВИЧ ГУГУШВИЛИ

академик Академии наук ГССР

ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ГРУЗИИ И ЗАКАВКАЗЬЯ В XIX—XX ВВ.

МОНОГРАФИИ

Том шестой

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი საქ სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი შ. თ ო ფ უ რ ი ა
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ლ. ჯ ა შ ი

გადაეცა წარმოებას 19.6.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.12.1978;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 30.0
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26.3

უე 01222; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 2068;

ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19